

ალავერდის ოთხთავი. 1051 წ.
მათე მახარობელი

ალავერდის ოთხთავი. 1051 წ.
ქრისტე წერს ეპისტოლეს ავგაროზს



ალავერდის ოთხთავი. 1051 წ.
მათე მახარობელი და სახარების დასაწყისი გვერდი



ზატიკი. XII ს.
განრღვეულის განკურნება



ჯრუჭის II ოთხთავი. XII ს.
ეგვიპტედ ლტოლვა



ჯრუჭის II ოთხთავი. XII ს.
საიდუმლო სერობა

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲯᲘᲡᲐᲜᲫᲔ,
ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ
ᲗᲔᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქართული სულიერების და სახელმწიფოებრიობის საფუძვლები

(სულის ზრდა, მისია, რაობა, ცივილიზაცია და სხვ.)

შრომა ეძღვნება საქართველოს სულიერი მისიის პირველი მკვლევარების ზვიად გამსახურდიას და ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ ნათელ ხსოვნას

განმეორებადობის პრინციპის მიხედვით ისტორიული, პოლიტიკური, ლიტერატურული თუ სხვა მოვლენები უსასრულოდ განმეორებადია და მუდმივად პარალელური სხვადასხვა ფორმით. ეს არის სწორედ კაცობრიობის საერთო გენეტიკური კოდი, რისი საშუალებითაც იკვეთება ადამიანთა ჯგუფების, თუ რასების და ერების თანაზიარობის და წარუვალობის გენეტიკური კოდი და მისწრაფებები, რაც ბუნებრივად გიბიძგებს იფიქრო ქართველთა ინდივიდუალურ სულიერ მისიაზე მსოფლიოს წინაშე.

უაკ (UDC) 241:008
თ.414

ანოტაცია:

დადებითი ველის ქვეშ მოქცეული ერები, მუდმივად მზარდი და ცვალებადი ორგანიზმებია, რომლებიც თავის განვითარების გზაზე ამსხვრევენ, ქმნიან და ახალს უმატებენ, მაგრამ ძველის ნაშთზე და ერწყმიან მაღალ, საშუალო ან ნაკლებად საშუალო კულტურებს, რაც შედეგია სულიერ თვისებათა დაგროვების. ყოველი ერის, პიროვნების და საზოგადოებების ნაკლი და ღირსება ცხოვრების გზაზე ირეცხება და იწმინდება ისე, როგორც ოქრო ქვიშაში. ამიტომ, ყოველი ერისთვის, რაგინდ ძვირფასი არ უნდა იყოს აწმყო, მაინც მისი შეფასება უნდა დაიწყოს წარსულიდან. ერების არსებობა და მნიშვნელობა უცილობლად არის დაკავშირებული მის ტერიტორიასთან, ენასთან და სულიერებასთან, როცა მისი წარსული კულტურის საგანძურზე მიდგება საქმე.

„ისტორია, გაგება-აღქმის თვალსაზრისით ხშირად სათუო და ორჭოფული გადაწყვეტილებების სარბიელია. მასზე ფიქრის გზაზე უამრავია მათრობელა, ტკბილი და მწარე აბები, რომელთა მიღების დროს ექმნებათ ადამიანებს გაზვიადებული და, იშვიათად, ყოვლად წარმოუდგენელი აზრები, ფაქტები და ეფემერები, თავიანთ სამშობლოსა და საუკუნეთა სიღრმეში მოთამაშე პერსონაჟებზე. მათი თარაზოში გასწორება ისევე აუცილებელია, როგორც ხუროს მიერ სახლის აშენებისას შენობის საფუძველი. არ ვიცით ეს რამდენად შევძელით, ვეცადეთ კი... ასე: **Uti sentio, ita dico** („უტი სენციო, იტა დიკო") – როგორც ვგრძნობ, ისე ვამბობ.

ავტორები

„ცოცხლებს მოვუხმობ", – ასეთი ეპიგრამა წაუმძღვარა რუსმა მოაზროვნემ ა. გერცენმა (ა. იაკოვლევი) ჟურნალ „კოლოკოლს", რათა რუსი ერი გამოღვიძებულიყო.

მთ. რედაქტორი *კოტე მიქაძე;*

რედაქტორები: *თამუნა აბსანძე, ომარ კელაპტრიშვილი, გოგა აბსანძე;*

რეცენზენტები: *დავით ზაქარაია, თამაზ ბარაბაძე, თემურ ჯავახია*

ტექ. რედაქტორები: *ვალერი და დათო უტიაშვილები*

კორექტორები: *თეანა ზაქარაია, მაია გორგიაშვილი*

ISBN 99928-0-949-3
© ს. თეზელიშვილი, 2006

ქართული სულიერების საფუძვლები

(შესავალი)

„ვითარ ვთქვა ქება მე უღირსმან და გლახაკმან შემკობად შენდა“.

ქართველი ერის სულიერება, ქართული სულის ფილოსოფიაა და მასზე ისტორიის შექმნა, საკუთარი თავის და გენეტიკური კოდის პოვნის საშუალება-გახსნაა.

ისტორიას ამოძრავებს პერსონალური და ჯგუფური ინსტინქტები, რომელიც ყველაზე მეტად მგრძნობიარეა სიცოცხლის დამკვიდრებისაკენ. ადამიანებს აქვთ გონების მკვებავი მარად უკვდავი იდეალები, რომელთა განხორციელება არის მათთვის ბედნიერების სამეფო და ნეტარი სიმშვიდის ნავსაყუდელი. ადამიანი სულის დასაოკებლად ეძებს ჰარმონიის, სიყვარულისა და მშვენიერების განცდებს, რომლებიც არიან ზეციური აღტაცებით გამსჭვალულნი, და აგრეთვე, ჰუმანური და მიწიერი იდეალებით გაცის-კროვნებულნი ისტორიის პერსონაჟები. მათი განხორციელებით ცდილობს დაიქ-ვემდებაროს ან იყოს სრულ ჰარმონიაში არსებულ ყოფიერებასთან და სიცოცხლის საზრისთან. ამ დროს ადამიანში მუდამ იბადება კითხვა – რა არის კარგი, ცუდი, მშვენიერი, ბოროტი და სად არის უკეთესი გამოსავალი? მიუხედავად დღევანდელი მსოფლიოს გიგანტური მიღწევებისა, მორალისა და ეთიკის სფეროში, ჩვენი თანამედროვეობა სავსეა ცხოველურით. საზოგადოებრივი ცხოვრების პულსის სიხშირე თხოულობს, რომ ახალი იდეებით გაშუქდეს ძველ იდეათა მიმწუხრის ჟამი, რათა ძველზე დაყრდნობით მოხდეს ახალი ურთიერთობების და დამოკიდებულებების შექმნა. ამ იდეალებს ყველა სხვადასხვა ხერხით ქმნიდა და ხედავდა: ჰამლეტი ეჭვების მოზღვავებაში, ფაუსტი შემეცნების წყურვილში, ტოლსტოი ჭეშმარიტების სიყვარულში, შოპენჰაუერი ცხოვრების სიძულვილსა და მატერიის ახსნაში, ჰეროსტრატე ბრიყვული სახელის ძიებაში, რუსთაველი ქრისტიანობაში და კაცთა შორის სიყვარულში, მაგრამ არსებობს ჩუმი, უხმაურო მდინარე – ქართველთა ერის სულიერი მისია, რომელიც ზვიად გამსახურდიამდე იყო მიჩუმათებული და ტაბუირებული.

ქართველი ერის ფუნქცია და საზრისი ამ კუთხით უნდა გაიხსნას. ის მოგვცემს საქართველოს ისტორიის სრულ პანორამას და გაამთლიანებს ასე ძნელად საპოვნ ფასეულობებს, რომელთა არსებობამ უნდა გადაწყვიტოს ქართველი ხალხის სულიერების შემდგომი გზა და გახდება ჩვენი საბოლოო გამთლიანების თავწყარო.

* * *

ფილოსოფოსთა აზრით, ყოველი ჭეშმარიტი მსოფლჭვრეტის საფუძველში დევს ღვთიური ტანჯვა და ამბოხი.

ტანჯვა ისეთი, რომელიც განსაზღვრავს საგანთა მეტაფიზიკურ ღირებულებას და ადამიანის გონი შეჰყავს კოსმიური არსების ყველაზე ძნელ შინაგანობაში, გარდაქმნის მას უკეთესისკენ და ზოგადად ასეთი ტანჯვა და ამბოხია, რაც შემდგომ შემოქმედების საფუძველი და საზრისი ხდება.

ამბოხი ისეთი, რომელიც მოცულია პრომეთესეული გრძნობით, კოსმოსისაკენ სტიქიური სწრაფვით და ადამიანის შეზღუდულობის წინააღმდეგ აჯანყებული გონებით.

ყველა ეპოქას, ხალხს და გენიოსს ჰქონდა სამყაროს შეცნობის საკუთარი საზომი. ბერძნები ასეთად მორალს მიიჩნევდნენ; ქრისტიანები – სიყვარულს; კანტი – კატეგორიულ იმპერატივს; ვუნდტი – თემობას; ნატორპი – ერთობას; კოვალევსკი – სოლიდარობას; კონტი – ცოდნის ზრდას; ზიმელი – ენერგიის მუდმივ სწრაფვას და მზადყოფნას; ნიცშე – სტიქიურობას და ზეკაცს; ჰეგელი – ლოგოსს; შოპენჰაუერი – ნებელობას. მათი იდეები უსასრულო წარსულსა და მომავალს შორის მყოფი ეფემერები არიან, რომელთაც თითქმის ბოლო წერტილამდე მისულს, ისე უსხლტებოდათ სლიპინა ოქროს თევზი, როგორც ზღაპრებშია მოცემული. ისინი კი სიამოვნებით იტყვიან, მივწვდი, დავიჭირე, მაგრამ თავის კრიალა ქერცლის წყალობით ხელიდან გამისხლტა.

მაგრამ, სანამ ამ თავის ბოლოში გავიდოდეთ, უნდა შევთანხმდეთ მთავარზე, რაზეც ბევრი უცხო და ჩვენი ფილოსოფოსი ამახვილებდა ყურადღებას. მხოლოდ გონება კი არ განსაზღვრავს ჩვენს აზროვნებას, არამედ ინტუიცია, რომელიც ინსტინ-ქტური ნათელხედვის სიღრმის გამოვლენაა და ობიექტურ ღირებულებას ღებულობს მხოლოდ მაშინ, როცა სრულად ეხვევა შემოქმედებითი ინდივიდუალობის ილუზიაში. ეს მოწმობს იმას, რომ აზროვნების წყაროა ზოგადად არა მხოლოდ ტვინი, ან სუბიექტის რომელიმე ერთი ნაწილი, არამედ ინდივიდის მთელი ბუნება, რომელიც მოცულია დიდი და ვრცელი ნერვული სისტემით. ასევეა ერის მთლიანი სხეულიც. შემოქმედებითი გონი რთული, წინააღმდეგობრივი მატერიის წარმონაქმნია და ყოველი მატერია ტანჯვის, ცეცხლოვანი დარტყმების გავლენით ყალიბდება ცნობიერების მცოცავ სხივებად. ეს უკანასკნელნი კი უსასრულოდ კრებენ და შემდეგ ახარისხებენ იდეების სასაფლაოსა და ნაკრძალში, ვარგის და უკვე დრომოჭმულ იდეებს.

დიდი და უბრალო შემოქმედება, ყოველთვის სავსეა ენებათა ჯაჭვივით გაბმული განცდებით, რომელიც გენიოსის ხელში ფართოვდება და საბოლოოდ კოსმიურს ერწყმის. ამ დროს დრო ისხამს ქარის ფრთებს, სადაც იმდენად აღმამფრენია ეს გარემო, რომ კონკრეტულ ორგანოთა განცდათა გარეშე დრო არ არსებობს და ჭეშმარიტი დრო მხოლოდ კონკრეტულ-ფსიქოლოგიური ფაქტის განყენებული და პირობითი ფორმაა. ჩვენი განვლილი ისტორია კი მკვდარი სამზარეულო იქნებოდა, რომ არა ადამიანის ჩარევა იმ შორეულ და უძრავ ქვეყანაში, რომელსაც განვლილი სულის თავგადასავალი, ანუ ქართველთა სულიერი მისია ჰქვია.

* * *

დღევანდელი ჩვენი სულიერი და ნივთიერი სამყარო ერთგვარი უპიროვნო და საგნობრივი ხასიათისაა, რომელსაც ურყევად აზის მატერიალური და პრაგმატული აზროვნების ბეჭედი. ჩვენი ძველი კულტურა კი სულიერების იმ სამოსელშია გახვეული, რომელსაც დროთა დინებამ ვერაფერი დააკლო. თავიდათავი ძველ ქართველ ქურუმთა სკოლებში უნდა ვეძებოთ, რომლებიც ასე გულდაგულ კინძავდნენ იდუმალ ბგერათა ჰარმონიას და, საბოლოო ჯამში, წარმოგვიდგება, როგორც თაიგული საზოგადოების ან ერის შექმნისა.

თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში, კიდევ უფრო საშიში საფრთხის ქვეშ მოექცა და სწრაფმავალი გახდა ეროვნული ფასეულობები. უტყუარად ჩანს, რომ ნიჭიერნი და მშრომელნი გადარჩებიან, სუსტნი და ზარმაცნი გაქრებიან და ეს ისე მოხდება, რომ ერთი ტყვიაც არ გავარდება.

ამგვარად, კაცობრიობა ემსგავსება ერთიან საქვაბეს, სადაც ჯერ შესუსტდება ეროვნული ცნობიერება და ზოგადი შთანთქავს კერძოს, ეროვნულს, ადგილობრივს და კონკრეტულს და გამეფდება უცხო, ჩვეულებრივი და პრაგმატული. ქართველებს კი, თუ რაიმე ღირებული გაგვაჩნია, ჩვენი წარსულის ნაშთებია, რქაწითელიდან დაწყებული „ოდოიამდე".

დღეს ცივილიზაციის წინაშე მსოფლიო მოქალაქის შექმნის პრობლემა დგას, მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ეროვნული არ დააზიანოს, ან უბრალოდ, გოეთეს ქარაგმით ვთქვათ, „ამ ადგილზე დღეს იწყება ახალი ეპოქა მსოფლიო ისტორიისა და ჩვენ და თქვენ შეგვეძლება ვთქვათ, რომ მის დასაწყისს დავესწარით".

ყველაფერს აწესრიგებს შეგუბებული ემოცია, რომელიც ანადგურებს ძველს და იწყება აფეთქება რაღაც ახლის, საიდანაც შემდეგ ხდება თავშეუკავებელი გადაშვება ამ თემის წიაღში, რის ირგვლივაც იტრიალებს ამ წიგნში თავმოყრილი მასალა. ყველაფერი კი დაიწყო ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობი ინტუიციით, რომელიც მიბიძგებდა ფიქრებს ქართველთა სულიერი მისიის ჯერ არსებობაზე და შემდეგ აღდგენა-გაცოცხლებაზე. ამ თემაზე რამდენიმე გამოჩენილმა ქართველმა სცადა აზრის გატარება, რაც ჩემთვის ერთგვარი კარგად გადახსნილი ხნული იყო, ქართველთა წარსულის უკეთ დასანახავად, რათა უფრო მკვეთრად მეხილა ის, ვიდრე მას ჩემი ინტუიცია შეიგრძნობდა.

ქართველთა კოდი, რომელსაც მე ქართველთა მზერაში ვხედავდი, იგრძნობოდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ქმნილების თვალის სხივი იყო. ის კი უტყუარია, რომ ღმერთი ყველაზე მეტად მათ მოუწყობს ხოლმე განსაცდელს და ეს მისგან გაწირვა კი არა, სულის წვრთნაა და ყოველივე ამის გაცნობიერება იმხელა ბედნიერებაა, რომლისგან მოგვრილ ემოციას უფრო მეტი გამკლავება უნდა, ვიდრე უბედურებას.

რაც აქ იწერება, ეს დიდ ემოციასთან არის წილნაყარი და, ამბობენ, დიდ ჭეშმარიტებებს ბევრი ახსნა არ სჭირდება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის მტვერწაყრილი, მიძინებული და ა.შ., ეს კი ღრმად ჩამარხული და თითქმის მთლიანად დაკარგულია.

თანამედროვეობაში დამკვიდრებულია ერთი მეტად მავნე სენტენცია: „ეშმაკეულობა — ეს არის გენიალობა", ოღონდ თუ ამაზე ხათრით დაგეთანხმეთ კონიუნქტურობიდან გამომდინარე, მერე ასე დავსძენთ, კი ბატონო, ოღონდ — სიყვარულისა და სიკეთის გარეშე. ჭეშმარიტი ღვთაებრიობის გზა ავბედითობაში ნაწილობრივ ხელოვნებამ იტვირთა, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო ამ ხაზის 50%-იანი განვითარება, რადგან ხელოვნება სხეულის და გონების საშუალებით ლამაზი სულის დემონსტრირებაა, სული კი მარადიულად რომ იდგეს ჭეშმარიტების სიმაღლეზე, ღვთაების სიყვარულით და მონანიებით იწმინდება, ანუ, თუ არ განვიცადეთ სულის კათარზისი, ზრდა ისე არ ხდება.

ყველა შემოქმედება თავისი ეპოქის სულიერების ნაყოფია. წინამდებარე თემა,

სულის ეს ქმნილება, კი ცდილობს უშორესი წარსულიდან გამოიხმოს დაკარგული სულების ცნობიერება, რათა კვლავ დაასაქმოს ერთიანი საქართველოს მთლიანი სხეული ერთი აზრით და ტანჯვით. და კიდევ ერთი აუცილებლობა ამ შრომისა ის არის, რომ ახალი ენერგიით აღიჭურვონ ქართველები.

ახლა ცოტა რამ წერის პროცესის და მასალის დალაგების ტაქტიკაზე უნდა მოგახსენოთ. მასალა გროვდებოდა და იწერებოდა თითქმის მთელი 8-9 წელიწადი, ამიტომ, ბუნებრივია, იწერებოდა სხვადასხვა ემოციებით და ხანგრძლივი პაუზებით, ამდენად, მასალა რამდენადმე სხვადასხვა ფრაგმენტული აურის ქვეშ მოექცა და არ ვცანით საჭიროდ მათ შორის მოგვეძებნა მექანიკური კავშირები და ერთი და იმავე თემას დავარქვით თემიდან გამომდინარე სახელი, მაგალითად, ადამიანი - წერილი №1, №2 და ა. შ. განსაკუთრებულ სირთულეს წავაწყდით წყაროების გამოყენებისას. იმდენად ბევრი და დანაწევრებულად იქნა წყაროები გამოყენებული, რომ გარდა თვითონ მასალაში მითითებისა, ერთ მთლიან გვერდზე ჩამოთვლილი წყაროები, მრავალი წლის განმავლობაში ადგილიდან ადგილზე გადატანისას აიბნა და ბევრი დაიკარგა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ნაწილი აღვადგინეთ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ არაფერია უფრო სასიამოვნო, ვიდრე სამართლიანი შენიშვნა და, ალბათ, მეორე გამოცემისას მკითხველის ბევრ სამართლიან და დროულ შენიშვნას გავითვალისწინებთ, ამიტომ მიგვითითეთ და გვირჩიეთ, ოღონდ კარგად გაიაზრეთ ყველაფერი.

P.S. ამ შრომაში გამოყენებულია ფრაგმენტები და შეხედულებები ლოვარდ ტუხაშვილის, ოთარ ქვრივიშვილის და სხვათა შრომებიდან, აგრეთვე, ზოგიერთ ეპიგრამას ავტორი მრავალი წლის წერის პროცესის შედეგად დაეკარგა და ამიტომ ველარ მივუთითეთ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

საქართველოს სულიერი მისტერია
ანუ მისია კაცობრიობს წინაშე

სიცოცხლე და ცხოვრების გამოცდილება მაიძულებს ვთქვა, რომ რაც უფრო იდუმალია ღვთაებრიობა, მით უფრო მომხიბლავია და მიმზიდველი. არავითარ გონებას არ ძალუძს განათლებითი ფორმებით მისი შეცნობა და უზენაესი შეიცნობა მხოლოდ სულის წვრთნით. ამ დროს ძალაუნებურად განილტვის ყოველდღიური პრაგმატულობა, სცილდება მატერიალურობას და თავისუფალი სული, მარად მშობლიურ საუფლოში იძირება. მასში შთანთქმა კი ისაა, რომ განეშორო ტექნიკურ საოცრებებში ჩაძირულ ქალაქებს, კოსმოსში გაჭრილი ადამიანის ამპარტავნობას და გახვიდე თაკარა მზის მცხუნვარებით დაღლილ, ურწყავ უდაბნოში. ყველა მწერლის უზენაესი მიახლებაა აღაგზნო მსმენელთა სული და შინაგანი შთაგონება და მაშინ

ხდება სული რწმენასთან ნაზიარები. ქართველი კაცის სინამდვილეში ყოველდღიური სინამდვილე და სარწმუნოება განუყოფელ მთლიანობად აღიქმებოდა ოდითგან.

ინდივიდუალური დამოკიდებულება სულიერ მისიასთან

მე ვეცდები ვილაპარაკო გამოყენებითი ფილოსოფიის ენაზე და ეს არ იქნება სნობიზმი, რადგან მეტყველების ეს ქსოვილი ყველაზე მეტად ესაბამება წინამდებარე შრომის არსს.

დღევანდელი ყოფის გარდაუვალი კანონები გვაფიქრებინებს, რომ ვთქვათ შემდეგი სიტყვები, ჩვენი საუკუნე ყველაზე სწრაფი და ცვალებადია, ამიტომ ადამიანს მეტი ძალისხმევა და გონების კონცენტრაცია სჭირდება, რომ დაემთხვეს დროს და სახელმწიფოს. ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ ძველად საზოგადოება იმართებოდა კანონიზირებული ტრადიციებით, ხოლო ახალი ნიშნავდა თავისუფალი ინდივიდუუმის ფენომენის აღმოჩენებს, შრომის თავისუფლებასა და საზოგადოების შექმნას თავისუფალ შრომაზე. ამიტომაც არის, რომ წინათ თუ ამა თუ იმ ქმედების გამო კოცონზე დაწვავდნენ, მას დღეს კანონით იცავენ. ამდენი კანონით მინიჭებული თავისუფლება ადამიანებს არასოდეს ჰქონიათ. ერთი შეხედვით ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ის, რაც ახალია და კარგია, მას დიდი დოზით იღებ, რაც ყველა ორგანიზმში მცირე ნგრევას მაინც იწვევს, როგორც ზედმეტი წამლით მოწამლული სხეული. ამ თავისუფლებით ადამიანი ინდივიდუალურად მივიდა ღვთის წინაშე და არავითარი იერარქიული შუამავლობა მას ღმერთთან არ გამოუყენებია. ეს იყო რევოლუციური წიაღსვლა სამოქალაქო საზოგადოების ახლებური შექმნისა. საქართველო თანდათანობით კარგავს ისტორიულ-ტრადიციული ტიპის სახელმწიფოებრივი განვითარების არსს და ხდება საზოგადოებრივი ორგანო. არც ეს არის, თითქოს, ერთი შეხედვით ცუდი, მაგრამ ბოლოდროინდელი განვითარებით, ჩვენ ქირურგიულად არ უნდა ჩავერიოთ ქართველი ერის განვითარების ტრადიციულ-ისტორიულ დინამიკაში, რადგან უკვე დროა იმის თქმისა, რომ ჩვენ ბევრ ახალს და კარგს არ უარვყოფთ, მაგრამ არც ბევრ ძველს.

ამიტომ დაგვჭირდა, გამოგვეხმო წარსულიდან ყველაფერი ის, რაც აქ არის მოცემული და ეს არის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ ანუ აჩრდილების სიცოცხლე. მოკლედ, ეს შრომა ძირითადად იქნება აგებული ქართველი ერის სულიერ მისიაზე და ისტორიულ ფუნქციაზე მსოფლიოს წინაშე. აქსიომა გახლავთ, რომ მოვლენა, ფაქტი მაშინ გვაძლევს ზუსტ პასუხს, როცა მას შევხედავთ ისტორიზმის კუთხით, რადგან ეჭვიც კი არ გვეპარება იმაში, როგორც შექსპირის ჰამლეტი ამბობს, „დანიის მიწა-წყალზე ვერ იყო საქმე კარგად“.

მიზეზობრივი კავშირი ადამიანსა და იდუმალს შორის

„ამას გიდებთ მცნებად თქვენ – რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, თუ თქვენ წუთისოფელს სძულხართ, იცოდეთ თქვენზე უწინ მე შემიძულა. თქვენ რომ წუთისოფლისანი ყოფილიყავით, წუთისოფელს ეყვარებოდა თავისიანი და რაკი არა ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, მიტომ სძულხართ წუთისოფელს“

იოანეს სახარება

ადამიანი მარადიულობიდან მოდის და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უკანვე – მარადიულობაში ანუ შინ მიდის. აქ, მიწაზე მყოფ ადამიანს მუდმივად აშინებს იქ გამგზავრება. ასე იმიტომ არის, რომ ამ ეპოქამ მთლიანად დასცალა სულიერებისაგან ადამიანი და იგი მხოლოდ მატერიალური სახით სუნთქავს და აზროვნებს.

მატერიალური ბუნებით და ვნების აღზევებით გათამამებული კაცობრიობა, კიდევ უფრო იმძიმებს სულს ცოდვით. მიწიერი ყოფის უარყოფა, რის შესახებაც არის ქრისტიანობაში ლაპარაკი, ზოგს ამბიციური თვითმიზანი ჰგონია. ასევე საკუთარი თავის მიწიერი უარყოფა და გარეგან კულტურისნულ ცხოვრებაზე უარის თქმა, ზოგს სულიერი თვითმკვლელობა ჰგონია, სინამდვილეში კი ისინი კარგავენ მადლს, რომელიც სულიწმიდის მეშვეობით ხორციელდება. ეს რომ არ მოხდეს და ქვეყანაში ისე გავლიოთ დღენი, როგორც ზეყანაში (ზეცაში), ჩვენ უნდა დავაღწიოთ თავი მაცდუნებელ სატყუარებს, რომელიც აქ, მიწაზეა და განწმენდა ხდება მაშინ, როცა სიყვარული მიმართულია ყველასადმი და არა გამონაკლისით, რათა ჩვენში არ წარმოიშვას ეგოიზმი. ჩვენი დღევანდელობის ყოველი ცოდვა კი ისეთი მჩქეფარეა, რომ დუნე, მარტივი სინანული ვერანაირად ვერ ელევა ცოდვილი სისხლის გამოშვებას ორგანიზმიდან. მორჩილსა და უბრალოებით სავსე ადამიანს არ გააჩნია განდიდების მანია და ამაღლებს თავისი უბრალოებით გამოწვეული განცდა.

ქართველი ვალდებულია დაფიქრდეს ამ სიტყვის მნიშვნელობაზე, რას ნიშნავს ის, რომ ვართ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, გეორგიანები ანუ მიწათმოქმედები და ყველაფერი ეს და ბევრი სხვა გვაიძულებს ვიფიქროთ, საქართველოს აუცილებლად გააჩნია სულიერი მისია, ისტორიული ფუნქცია და ბევრი სხვა ბედნიერი საიდუმლო. დღეს ქართველი კაცი საუკუნოვანი ბურუსუდან ამოდის და გაბრუებულ გონებას ცვლის მატერიალიზმით გააქტიურებული სულის მზერა. ადამიანის სიცოცხლე მილიარდობით წელიწადს ითვლის და მაღალი განვითარების ფაზაში მიხვდა, რომ მისი ფიზიკური პლანი არის მხოლოდ და მხოლოდ დროებითი ჭურჭელი მარადიული სულისთვის. ეს უკანასკნელი კი უნდა ყოფილიყო მუდმივად გაჯერებული საგანზე ჭვრეტით, რომლის შედეგად მივიდა უცდომელ დასკვნამდე, რომ მისი ინტუიტიური შეგრძნება და სულისმიერი ხედვა სულიერ სამყაროში განიცდება და პოულობს საკვებს, ხოლო მიწიერი ყოფა ილუზია და მოჩვენებაა.

კაცობრიობის განვითარების მატერიალისტურმა ხაზმა განავრცო ვნება, ფუფუნება

და ძალმომრეობა, რომელმაც საბოლოოდ შთანთქა სულისმიერი ხედვით აღჭურვილი თვალი და, შეიძლება ითქვას, რამდენიმე საუკუნეა, ფართო გაგებით რომ ვთქვათ, მხოლოდ სიმბოლურად ან დამცრობილად ინარჩუნებს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რელიგიას, ლაპარაკია, არა მარტო საქართველოზე, არამედ მთელი მსოფლიოს რელიგიებზე. ასე რომ, ზოგადად სულიერება, ფართო მასისთვის დაჩლუნგდა.

ყველა ადამიანი და ხალხი არის განსაზღვრულ შესაძლებლობათა ინფორმაცია, რომელშიც კოდირებულია რაიმე ისტორიული და სულიერი მისია.

უცნაურია ბუნება, მეცნიერება და რელიგია და ის, რაც სამყაროს დასაბამში ჩაიდო, გარდაუვალ ფორმულად და კანონად იქნა დადგენილი. ყოველივე უნდა ამოიწიოს, გაიშიფროს და სამივე ეს ფენომენი, მიუხედავად გარკვეული სხვაობისა, მაინც ბევრითა და ამ კვლევით ჰგავს ერთმანეთს. ყველაფერი რომ თავის ადგილზე მოთავსდება, უნდა მოხდეს შესწავლა თვით დედამიწის რეგიონების, დაწყებული მიწის და წყლის სინჯებიდან, დამთავრებული იმ უკიდეგანო სივრცით, რაც კი ამ სამყაროს შემადგენლობაში შედის, ასევე დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდებით (ზეზვა და მზია), რომელთა ასაკი 1,7 – 1,8 მილიონ წელიწადს ითვლის და კიდევ, რამაც მთლიანად შეცვალა წარმოდგენები სამყაროზე და დღეს მათ უხუცესი აფრიკის უხუცესი ჰომინიდი უსწრებს მხოლოდ 100 000 წლით.

არავინ იცის რა მოხდება კიდევ და უკვე შესუსტდა აზრი იმის შესახებ, რომ სამყარო დაიწყო აფრიკიდან. „ზეზვას და მზიას“ ტვინის მცირე ფორმის მოცულობამ, ასევე შეცვალა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადამიანის გავრცელება აფრიკის გარეთ ტვინის გადიდებასთან იყო დაკავშირებული. ღვთიური იდუმალება თვით ისეთ მცირე ფორმებსა და ერთი შეხედვით ჩვეულებრივ მოვლენებშია, როდესაც ქაფი ტივტივებს წყლის ზედაპირზე და ოკეანის ფსკერზე შლამში ჩაფლულ ნიჟარაში დევს მარგალიტი; საკმარისია წაყვე ამ მარგალიტის პირველსახეს, მის პირველქმნადობას, ამ ძაფს და შეიძლება სამყარო მარგალიტის მძივივით აკრიფო. აი, ამას უწოდებენ ხოლმე კაცობრიობის მკვლევარნი ბედი-მდევარს, რაც იგივეა, რომ მიახლოებით იცი, ხვდები, მაგრამ ვერ ისვენებ და მიყვები ამ გზას ფიქრიანი რომანტიკული სევდით სავსე.

თემა – სულიერი მისია – ილიას და რუსთაველის მონათესავე ბევრ შემოქმედს ჰქონდა სამიზნედ ამორჩეული. მასზე კალამს არ ასვენებდნენ გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე კაპანელი, დიმიტრი ყიფიანი, არჩილ ჯორჯაძე, მერაბ კოსტავა, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები, აკაკი ბაქრაძე და ბევრი სხვა. ამათ ფონზე, ჩემგან დიდი კადნიერებაა ამ თემაზე კალმის მიკარება, მაგრამ არა მგონია რამე ევნოს ამ საგანს ჩემი ფიქრის მიახლებით.

და ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ როგორც სხვა დროს, ასევე ახლაც, ღმერთს ვევედრები ხოლმე, არ დავეცე ამ ტვირთის ქვეშ. ვცდილობ, რომ ღმერთი ხშირად არ შევაწუხო, მაგრამ ერის სულიერ მისიაზე ფიქრისას კურთხევა უნდა მიიღო. ხორციელი პატივი არ უნდა მიაკარო საღმრთო საქმეს, ერისკაცის ცოდვილი ეთიკა არ უნდა აცდუნოს ცოდვამ. ამიტომ, იქ, სადაც ამ თემაზე ვმუშაობ, რამდენიმე ათეულ მეტრში ქაშვეთის ეკლესიაა, სადაც ღმერთს ვპირდები მოშიშობას და იმ უბრალო პატიოსნებას, რომლის იქით წასვლას არ უნდა ეცადოს ადამიანი, რაც ბევრჯერ მიცდია და მეტნაკლებად შემისრულებია დღევანდელი გაგებით.

ღვთიურობას და სიცოცხლეს ადამიანები განსაცვიფრებელი და იდუმალი გრძნობით განიცდიან. ერთი სიტყვით, რა არის ეს სიცოცხლე, დღემდე ვერავინ გარკვეულა ბოლომდე და ხშირად მგონია, მეცნიერების ენით და გასაღებით გარკვევა ძალზე ძნელია, აქ უფრო რელიგიის და ღვთისმეტყველების არგუმენტები გამოდგება. ადამიანმა კი თავის ბედნიერებად უნდა ჩათვალოს, რომ ის ხარჯავს თავისი სხეულის შესაძლებლობებს მიწაზე, მაგრამ მას ღმერთი წარმოადგენს შემდეგ სულების გალერეაში, იმ გარემოში და განზომილებაში, რომლისაც ჩვენ ასე გვჯერა და ეს სასუფეველი არის უკანასკნელი იმედი კაცობრიობის სიცოცხლის ჩანასახიდან დღემდე.

ჩვენ ამ პატარა შრომით გვსურს, რომ მეტი ჰარმონია დავამყაროთ ადამიანსა და იდუმალს შორის. მგზნებარე და მუდამ ფრთხალი სული იმის ნიშანია, რომ ადამიანი დღენიადაგ ჭვრეტდეს საგანთა საიდუმლოებებს, რაც აღაგზნებს ადამიანის გონებას და მიაქანებს ყოველთვის ძნელად მისაღწევი სრულყოფისაკენ. ჩვენ ამ ცხოვრებაში უნდა ვიცოდეთ არა ყველაფერი ყველაფერზე, რაც უტოპიაც არის ამასთანავე, არამედ ცოტა და აუცილებელი იმაზე, რაც ჩვენს სულს სწყურია.

ჩვენ ყოველთვის გვიზიდავს ის, რაც ყველაზე იდუმალს შეეხება, იქნებ ესეცაა ამ წიგნის შექმნის მიზეზი და კიდევ ის, რაც ყოველივე ამაღლებს და ახარებს ადამიანთა სულებს.

მისია და მისიონერობა – რატომ?

ისევე, როგორც მზის სხივებისგან და მისი ცხოველმყოფელობით გამოწვეული შედეგია გვერდაუვლელი დედამიწისთვის, ასევეა ორი მატერიკის დიდ გზაშესაყარზე დაფუძნებული ქვეყნის ბედი და მისია, რომ მისი კულტურით უნდა განიმსჭვალოს ევრაზია და მასთან მიახლებული სული.

საგანი, მცნებითი განმარტებით – „ქართველთა სულიერი მისია“, პირველად ზვიად გამსახურდიასგან გავიგე და მან შემოიტანა კიდეც მეცნიერულ მიმოქცევაში და ეს იყო მაშინდელი გადასახედიდან (კომუნისტური მატერიალიზმით გაჟღენთილი ადამიანისთვის სიტყვა) განუხორციელებელი ქიმერა და მკვდარი ცოდნის გაცოცხლება, ადამიანურ ღირებულებათა ამაღლება ჭეშმარიტად უძველეს და ფუნდამენტურ ფასეულობასთან ერთად, რომელიც სამყაროს დასაბამში იდვეს თავს უძველესმა ქართველთა წინაპრებმა, ბრძენმა ქალდეველმა, ლაზმა და შუმერმა ქურუმებმა.

მისია და მისიონერობა ტანჯვით და გვემით მიიღწევა და მისი მიზანი სხეულის და მიწიერების დათრგუნვაა. მისიონერობა ღვთიური კანონიკური სწავლულების დამკვიდრებაა ურწყულ უდაბნოში, რომელიც თაობათა ათასწლოვანი შრომით მიიღწევა, ამიტომ ქართველობა გადადიოდა მისტერიული სწავლებით და არა მხოლოდ გენეტიკით, სადაც ერთი სულით ცხოვრობენ ოსტატიც და შეგირდიც, როდესაც კავკასიური

ეთნოსი პირველად გამოვიდა ველურის ნაჭუჭიდან, შემდგომ ეთნოსად ჩამოყალიბდა და დაითესა მზის კულტის მსახურება-აღვლენაში. მან შეჭამა პირველად უმი ხორცი, შემდეგ მოხარშა, რადგან მხეცის მსგავსად ჯერ კიდევ სხეულის ფსკერზე გადიოდა თერმულ დამუშავებას. ეს ჯერ კიდევ მაშინ იკისრა მესაჭისა და მეგზურის როლი, რომელიც ქრისტეს რთვლით და შესაბამისი ეთნოსის სახელდებით – ქართველობით, განაგრძობს ქრისტეს შემდგომ არსებობას. ეს იყო ყველაზე დიდი სულიერი სიმაღლე და მისიონერობა – ქრისტიანობა, რომელიც კი მას აქამომდე ებარა.

მწყობრი წესრიგი ბუნებაში მანიშნებელია იმისა, რომ ყველაფერში და ყველგან არსებობს ფუნქციური განაწილება მთელ სამყაროში, რაშიც ღვთაების ხელი ურევია.

ომები, სიძულვილი, პლუტოკრატია სხეულის მიწიერების და ვნებების მიზეზია. მხოლოდ ღრმა სულიერებით განიწმინდება სხეულის მავნე ვნებები, რაც მეტია სული, ნაკლებია მანკიერება.

ღვთაების არსში ვერავინ შევა, თუ არ გაქვს სწრაფვა სულიერებისკენ, ლოცვისკენ და ფილოსოფიისკენ. ფილოსოფიაში მიღებულია აზრი, რომ გონება ჭვრეტს, ისმენს, სხვა ყველაფერი ბრმაა და ყრუ. ამის შესახებ დეკარტე ამბობს: „ახლა მე დავხუჭავ თვალებს, დავიცობ ყურებს, შევაკავებ ყველა ჩემ გრძნობას და ამრიგად მექნება საქმე მეტაფიზიკურ გააზრებასთან", ანუ სულთან.

ისევე, როგორც ყველა პიროვნება და თაობა თავისი განსხვავებული ნიშნების და „პროლის" მატარებელია, ხელწერის თუ სხვა ინდივიდუალობის მიხედვით, ასევა ერიც.

ყველა ერი თავისი გენეტიკური კოდიდან და ღვთაებრივი მისიიდან გამომდინარე, მასზე დაკისრებული მისიის მატარებელია კაცობრიობის წინაშე და ხანდახან სული იდუმალი ბიძგების ძალით ისვრის ისეთ ლოზუნგებს, რომლებიც ქართულ მისიას ეხება. ეს ქართული ცნობიერების სიმწიფეა, რომელიც ისევე მომწიფდა, როგორც ვაზის ყვავილობა და უმანკო გოგონას ქალიშვილობა.

კულტურათა მსვლელობა და ზრდა არასოდეს ყოფილა კომფორტული გზატკეცილები, ეს უფრო ულრან ტყეებსა და კლდე-ღრეებში მოსიარულე ცხვრის ფარის ხიფათიანი თავგადასავალია, რომლის სათავეში ღვთითმირონცხებული და ხელდასხმული მეფე-მწყემსი იდგა.

მიწა-წყალიც ისეთი რგებიათ ქართველებს, რომელიც მსოფლიოს ყველა ერისათვის, ხალხთა ხიდად წარმოიდგინება, რაც სულიერ მისიასთან ერთად ისტორიის უკიდურესობათა, ევროპისა და აზიის სულის შერწყმა იყო, სადაც სიმბოლურად ჩადებული იყო ჩრდილისა და სინათლის მონაცვლეობის აუცილებლობა.

ყველა თემა და შემოქმედება, რაზეც არ უნდა იყო ის შექმნილი, ბუნების, ადამიანების ან ერების ხასიათების შესწავლაა, რომელიც ზოგ შემთხვევაში შეუმჩნევლად, იძულებით და საჭიროების მიხედვით აღიქმება ყოფა-ცხოვრებაში. ამაში განსაკუთრებით დაეხმარა მას ბუნების ციკლურობის რიტმი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და სამყაროს გარეგანი ფიზიკა – რაც მას დახვდა, ჰომოსაპიენსის განზომილებაში მყოფ ადამიანს და მის ბუნებას, იგი ამავე დროს არქაულ პერიოდში შიშისაგან გამოწვეულ თაყვანს სცემდა ყველაფერს, რასაც ვერ ხსნიდა. შემდეგში პატივისცემით ეპყრობოდა და მის შინაარსს სწავლობდა, დღეს კი დგას საკითხი, რომ მან – ბუნება საკუთარ სამსახურში ჩააყენოს. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მიიწევს მისი დაპყრობისაკენ,

მაგრამ არსებობს მასზე ზემოქმედების შედეგად, აშკარად გამომწვევი საფრთხეები. ყოველივე ამის თქმით ხელი უნდა შევუწყოთ იმ მოვლენებს, რომ კაცობრიობა და განსაკუთრებით ქართველი ხალხი უფრო მეტ წესრიგში და ფუნქციურად დატვირთული იყოს ბუნებრივ მოვლენებთან და გონების ინტუიტიურ ძახილთან.

მისიაზე, ქართველი ერის სულიერ მისიაზე ფიქრისას ქრისტესავით უნდა ეცვა ჯვარს. ეს მტანჯველი აზროვნება ბედნიერებაა, მაშინ, როდესაც ფიქრობ ლოგიკის და მოვლენების იმ ჯაჭვზე, რაც უნდა გაგიძღვეს ბურუსით მოცულ იმ ტყეში, რასაც საქართველო ჰქვია. ხოლო საქართველოს მისიის კონტურები კაცობრიობის წინაშე მოჩანს, მაგრამ არამკვეთრად. ჩემი მიზანი კი ის არის, რომ გამოიკვეთოს ეს საგნები. ამას რომ მიაღწიო, მასზე უნდა იოცნებო და არც რეალურად არსებულ სინამდვილეს მოსწყდე.

საოცარია ჩვენი ისტორია, მაგრამ ფაქტია, რომ დიდება და გლოვა არ სცილდებოდა მას მთელი ისტორიის მანძილზე. ერთი მხრივ, ეს დიდება იქმნებოდა ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის მხრიდან და, მეორე მხრივ, ეს ხალხი ქმნიდა საზოგადოებაში ნაპრალებს, უფსკრულებს, გათიშვას და სხვა. მაინც საიდან დაჰყვა ამ ხალხს ეს ორი თვისება – უბედნიერესიც და უბორეტესიც.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ სრულყოფილად განიცადო სამშობლოს სიყვარული? – როდესაც სიკვდილსაც არად ჩააგდებ მისი გულისთვის, ოღონდ ეს სიკვდილი არ უნდა იყოს უგუნური ან იაფფასიანი გრძნობით გამოწვეული. და თუ გინდათ, რომ სულმა ლაღად იგრძნოს თავი თქვენს გვამში, ატარეთ მუდმივად სიმამაცის და უშიშარობის გრძნობა. ასევე, თუ გინდათ იგრძნოთ სრულყოფილების გრძნობა, თავი იგრძენით არასრულყოფილად. გაიხსენეთ ერის წარსული და მასზე ფიქრით გააჯერეთ გონება.

გონებისთვის კი საკმარისია ის, რომ სულ მცირე შესწორება შეიტანოს აქამდე არსებულში და ის ბავშვივით ხარობს. ოღონდ მას – გონებას, ეს ყველაფერი ძალზე ნაზად უნდა დააძალო, თორემ შეიძლება გაიჭყლიტოს.

საქართველოს იმ მიწაზე, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ, უამრავი ლეგენდა არსებობს, მათ შორის ბევრს მხოლოდ სილამაზის ელფერი დაკრავს. საქართველოს არსებობა ასეთ ნაყოფიერ და გზაჯვარედინ ადგილზე, სადაც ევროპა და აზია, ეს ორი უზარმაზარი მატერიკი უნდა შეხვედროდა ერთმანეთს, უნდა ყოფილიყო ქურუმთა ცენტრი, საიდანაც გაიცემოდა „სერტიფიკატი" ადამიანთა სწავლულებაზე, ან მათ პროფესიონალიზმზე. ასევე უნდა სცოდნოდათ საიდუმლო კოდი, რითაც ჩაიშიფრებოდა და შეინახებოდა დარგი (მაგ. მეტალურგიის საიდუმლო), რათა საიდუმლოს გაგებით მრავალრიცხოვან ბარბაროს მტერს არ ევნო მცირერიცხოვანი და ცივილიზებული ერისთვის. და თუ ეს ასე არ არის, რამ შექმნა უპირველესი ღირსების მქონე ქართული ფოლკლორი, სიმღერები, სახალხო კულტურა და სხვა? უბრალოდ ვთქვათ, რომ ეს წინაპართა გულმოდგინე მეცადინეობაა და მეტი არაფერი? რა თქმა უნდა, ეს ასე არაა!

არცთუ იშვიათად იყო, რომ ჩვენს კულტურას შეუტევდა უცხო ძირის მქონე მდარე ხელოვნება, ვითარდებოდა გარკვეულ მომენტამდე და მხოლოდ რაღაც ეტაპზე ხდებოდა მისი დაძლევა. ისევე, როგორც ოდესღაც აღმოსავლური ჰანგით გაჯერებული ჩვენი მუსიკალური და პოეტური კულტურა, ბაიათმა ლამის დაახრჩო და საბოლოოდ რომანტიზმის მარაოთი იქნა განდევნილი, ისევე როგორც დღეს დასავლური ჯაზის

მესვეურები ფიქრობენ მისცენ უპირატესობა საკუთართან შედარებით უცხოს, მაგრამ ისევ ღვთის და ბედის ანაბარა ვრჩებით, რადგან ისეთი დახმარებით დაუღწევია ქართულ ესთეტიკას თავი სიკვდილისგან, რომ კანონზომიერების პოვნა გიჭირს. უიშვიათესი პატრიოტული სულის მქონე მერაბ კოსტავა აღმოსავლურ – ბაიათურ და დასავლურ – ჯაზურ ორიენტაციათა შორის ოქროს შუალედის მოძებნას გვთავაზობდა, რადგან ის ჩვენზე ადრე რეაგირებდა იმ საფრთხეებზე, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ცალმხრივი ლტოლვის შედეგებს და ქართულ სიმღერა-გალობას გვთავაზობდა, როგორც საუკეთესო ვაქცინას ყველანაირი დაავადების სამკურნალოდ.

თვითშემეცნების უნარი ყოველთვის პიროვნებათა და ერთა ყველაზე დიდი თავსატეხს წარმოადგენდა და ძალზე მცირედთ ნაწილობრივ თუ გადაუწყვეტიათ ეს პრობლემა. ამიტომ ეწერა დელფოს სამისნოს ასე ხაზგასმით, „შეიცან თავი შენი და შენ შეიცნობ ღმერთებს და სამყაროს“.

სრულიად სხვა შინაგანი სულიერი წყობა აქვს აზიელს, მაგალითად ინდოელს. შემეცნების სირთულეს ასეთი კითხვით გამოხატავს – რისთვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე? რატომ მოვედი ამ ფიზიკურ და გრძნობიერ სამყაროში? მისთვის სიკვდილი სულის ხსნაა, განთავისუფლებაა! სიბერე, ავადმყოფობა და უბედურებები ბედისწერით დადგენილი ნორმებია. ინდოელისათვის ფიზიკური ცხოვრება ტყვეობა და ტანჯვაა.

აზიელი სულიერებიდან ფიზიკურში ეძებს გზებს, როდესაც ქრისტიანულში პირიქით არის. ამ ფორმულების მოძებნით უნდა ხდებოდეს ისტორიის სულიერების სწავლულება, რამაც საბოლოო ჯამში უნდა მოგვცეს პიროვნების თავისუფლების მეტი შედეგი.

სულიერი მისია ისტორიის ურთულეს გზაჯვარედინზე

„მეფევ-ბატონო, კარისკაცნო, დარბაისელნო, რომ აღებთ კავკასიის კარსა, შესძლებთ თვისსა დროსა დახშვასა მისსა?“ – უთხრა თავადმა ჩერქეზიშვილმა ქართლ-კახეთის მეფეს გიორგი XII-ს იმ დარბაზობაზე, სადაც მან მკაცრად და გარკვევით დაავალა ჯგუფს, რომ გაეწმინდათ დარიალის კარი რუსთა ჯარისათვის. გიორგი მეფემ უპასუხა: „დახშვა კარისა იქნება დახშვა ქრისტიანობის კარისა, ამისათვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაც ვესავთ (ვავედრებთ), იქმნება თვით მცველი კარისა. თვით ჯვარცმული მასზედ დახშვის და განაღებს ოდეს თვით ჯვარი იჩენს საჭიროდ“.

როგორ კარგად მოჩანს ამ დიალოგში თავადის ბრაზი და მეფის თავის მართლება, რომელსაც მართლმადიდებელი ქრისტიანობა ყველაფერს ურჩევნია. ე. ი. საქართველო

თვალახვეული და ყურდახშული არ შეხვედრია რუსების პოლიტიკას, მათგან მოსალოდნელ ასიმილაციას, რომ ისინი – რუსები, ათჯერ დიდ სივრცეებს როგორი სისწრაფით ყლაპავდნენ, რომ იქ ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის ნიშანწყალიც არ რჩებოდა, მაგრამ აქ – კავკასიაში სხვა ხალხი და სხვა ხასიათი ელოდათ. დახვდა კიდევაც. არ შეიძლება მეფეს და მშობელ მამას, ერეკლე II-საც არ სცოდნოდა იმ რისკის ფასი, რაზეც ისინი რუსეთთან შეერთებით მიდიოდნენ, მაგრამ სხვა ილაჯი აღარ იყო. მოკლედ, მეფეებმა ქართველობას და გაწყალებას ქრისტიანობის გადარჩენა ამჯობინეს. ასეთი აზროვნების შემდეგ მე მთლიანად გამოვრიცხავ, რომ არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო საქართველოს სულიერი მისია გაცხადებული საქართველოსა და მის პატრონ-მეფეთა წინაშე. ამასთანავე არ დაგვავიწყდეს, რომ ეთნომიმი ქართველი დაახლოებით X ს-ში ჩნდება და შემოვიდა სინონიმით – ქრისტეს რთველი. დავუბრუნდეთ კვლავ ვარაუდს, არსებობდა თუ არა საქართველოს სულიერი მისია?

დიალექტიკის მამამ – ჰეგელმა გვაღიარა ადამიანური სრულყოფილების განსახიერებად (მხედველობაშია კავკასიური რასა) და აღნიშნა, რომ აბსოლუტური გონი არსებობს კავკასიურ რასაში და მის უმაღლეს გამოხატულებად ქართველები აღიარა და ბოლოს დასძინა, ეს მათით ხორციელდება მსოფლიო ისტორიაო, ოღონდ ცოტაოდენ ნაკლოვანებაზეც მიგვითითა.

ცოტა საჩოთიროა ამ სიტყვების თქმა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ავცდებით, – უდავოდ მოვწონდით ყველას, თუმცა ბევრი ანგარიშმიუცემლად გვაქებდა, რათა ჩვენი ქებამოწყურებული სულის ვნება ყალბი პათეტიკით დაეცხრო. ვინც მტრობას გვიცხადებდა, მათაც მოვწონდით, ამის მაგალითია ქორწინებები და დასახლებები ქართული არეალის საცხოვრის'ში. ყველაზე ბევრი კი, რაც გარს გვეხვია, იყო 'ური, ღალატი, ციინიზმი და სხვა. ოღონდ სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარ შხამიან ისრებს გვიშენდნენ. ისტორია კი უტყუარად ხმოვანებს, რომ ყველაზე ძვირად შუა საუკუნეების მონათა ბაზარზე ჩერქეზი და ქართველი ტყვეები ფასობდნენ, სადაც ისინი მოწმდებოდნენ სხვადასხვა ფიზიოლოგიური რეაგირებებით – სირცხვილის შეგრძნება ანუ გაწითლება, თვალის გამომეტყველება, კანის ფერი, მამაკაცური და ქალური ფიზიოლოგიური სრულყოფები გარეგნულ ეფექტში, ცისფერი თვალები, ხვეული თმების სირბილე, სახის ანთროპოლოგიური განვითარება, ყვრიმალების მდებარეობა სახეზე, თვალის სხივი, მზერის განსაკუთრებული და მდუმარე მეტყველება და სხვა უამრავი ასეთი ფაქტორი, რომლებიც შეიძლება ცალკე თემის, განსჯის საგანი შეიქმნას.

კანტი უპირობოდ აღნიშნავს, რომ სპარსელები და თურქები ბევრს ეცადნენ გაეკეთილშობილებინათ თავისი ჯიში, რასაც სპარსელებმა მიაღწიეს კიდევაც. შაჰ-აბას I-ის და თემურ-ლენგის ლაშქრობებში, საქართველოს ისტორიაში ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ჩანს ის ფაქტი, რომ მათ, გარდა ტერიტორიული პლაცდარმისა, აინტერესებდათ ასევე გენეტიკური კოდიც.

მძიმე იყო ქრისტიანული ჯვრის ტარება და გაუთავებლად ადიოდა ქართველი გოლგოთაზე. გზადაგზა ვიღლებოდით, აპათიაც გვიპყრობდა და ტრაგიზმიც, მაგრამ ისევ ჩვენი იუმორი, დარდიმანდობა და ის აზრი, რომ ყოველგვარ სიტუაციაში არსებობს გამოსავალი, გვაძლევდა წინსვლის ძალას. სასაცილო წაკიდებებიც ყოფილა შიდა ომებში, მხედველობაშია „არადეთის ბრძოლა", რომელიც ორი ვაჭრის ჩხუბის

გამო ხდება ბაზარში და შემდეგ სერიოზულ კონფლიქტში გადადის. ამ ფაქტს იმიტომ აღვნიშნავ, რომ ეს ჩვენი ხასიათია და ნიშატი, სხვა კარგთან ერთად. ყველაზე გასაკვირი კი მაინც ის არის, რომ ქართველთა – „ლოგოსი" (სულიერი სიბრძნე) ქმნიდა სულის ასათრთოლებელ ხელოვნებას და მის წიაღში იქმნებოდა ქრისტიანული მისტერიის „შესაქმე".

საქართველოს არსებობას კი საფუძველი ჩაეყარა, ჯერ კიდევ ძველ შუმერში და ქალდეაში. ეს სამყაროს დასაბამია, სადაც ქართველი ქურუმები ქმნიან ზოდიაქალურ სისტემას, გეომეტრიულ ცხრილებს, ფარმაკოლოგიურ რეცეპტებს. ეს კი ხდებოდა 5000-5500 წლის წინ, შემდეგ მოდის ლეგენდარული კოლხეთის აიეტი, აფსირტე და მედეა, ჩვენგან 3500 წლის დაშორებით, რეალური კოლხეთი – 2500 წლის წინ, იბერია – 2300 წლის წინ. წმინდად ქართულია ძველი კოლხა, დიაოხი და საერთოდ ნაირობის ქვეყნები, ნახევრად ქართულია ურარტუ, პონტო, კაბადოკია, პაფლაგონია (ძვ. წ. XI, IX და VI საუკუნეები). ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან აღსდგა კოლხეთი, ძვ. წ. IV საუკუნიდან – იბერია. კოლხეთს ეგრისს უწოდებენ ხშირად, იბერიას – ქართლს და არ უნდა დაგვავიწყდეს კოლხეთის სახელმწიფოს უმთავრესი შვილობილი ქვეყანა ლაზიკა, რომელმაც ერთი პერიოდი მშობელს გაუსწრო სიდიდით და ავტორიტეტით.

საკვირველია, როგორ გადარჩა ისეთი მცირე ერი, როგორიც ქართველია მიწისაგან პირისა აღგვას, როდესაც მცირე ერების უდიდესი ნაწილი უბრალოდ და ელემენტარულად გაქრა, ხოლო ისეთი სვავები და დამპყრობლები, როგორებიც რომი, ბიზანტია და კიდევ სხვები იყვნენ, საკუთარ დამპყრობლურ ომებს და კორუფცია-ოქროთმოყვარეობას შეეწირნენ.

როგორ უნდა გაიაროს ერმა ჭირი? – ისე, როგორც ფოლადი ცეცხლით იწრთობა, ჭირისგან უნდა მიიღო წრთობა და არა ტრავმა, ისწავლო მასთან ბრძოლის მეთოდები, ცოტა ხუმრობაც უნდა მიაყოლო და ფსიქოლოგიური გარემო არ შეირყვნა. ეს არის გენის ძლიერება, ზოგნი „შიშით განილევიან და ირყევიან, ვითარცა, ლერწამნი ქართაგან ძლიერთა"... ლერწამის დრეკადობა აქვს ქართულ გენს შეძენილი. იხრება, მაგრამ არ ტყდება, იგი არ არის მყიფე, ის ელასტიურია და სწორედ ეს თვისებაა მისი სიცოცხლის გამხანგრძლივებელი. ეს კი ბადებდა დიდ ოპტიმიზმს და როდესაც ჭირი წარსულში გადადის, ეს ერთგვარად ავსებს და ადიადებს კიდეც ერის აწმყოს. ოპტიმიზმი იქცევა ქართული გენეტიკის ემბრიონად და საზრდოდ სამერმისო პერსპექტივისა. ამ დროს ცოცხლდება მინავლებული ქართული „ლოგოსი" და ამის შემდეგ სხეულდება ქართველთა „შესაქმე", რათა ქართულმა გენმა თავი დააღწიოს მღვრიე ტალღებს და წმინდა წყალში ამოყოს დამაშვრალი თავი.



ბოლნისი. 478-493

სულიერი მისიის შესწავლის მნიშვნელობა და მიდგომა

ყველაფერს ანზოგადებს ის ხედვა, რომ, თუ ჩვენ შეგვაფასებთ ან წავიყვანთ კაცობრიობის როლს იმ მიმართებით, რომ განვების ლაბორატორია, ანუ ისტორია სიცოცხლისა სხვა არაფერია, თუ არა ხანდაზმული და ახალგაზრდა ხალხების, ძველისა და ახლის მარადიული ურთიერთმონაცვლეობა, მაშინ აზრი სიცოცხლის ბუნებაა და როცა ძველები თავიანთი კულტურის მიმწუხრისას ცნობიერების მაღალ დონეზე იმყოფებოდნენ, ახლები ცნობიერების ბავშვურ ხარისხს ინარჩუნებდნენ, რათა თავიანთ ფხვიერ წიაღში მიეღოთ მარცვალი წინა ხალხების კულტურათა მონაპოვრისა, უფრო დიდი კულტურის შესაქმნელად. კულტურათა ამ ესტაფეტას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, ვიდრე ცალკეულ ხელდასხმულთა ინდივიდუალურ მისტერია-რიტუალებს, რადგან გარდამავალი ეპოქები ბევრად მეტი ფასეულობის შემცველია, ვიდრე ფუფუნებით და სიმდიდრით აღზევებული პერიოდები.

ყოველი ერი საკუთარი ისტორიის და გენეტიკის სიმწიფის ხარისხით ახდენს თავის სულიერი და ისტორიული ფუნქციის განსაზღვრებას კაცობრიობის წინაშე და ეს ხდება ბრძოლით და მოპოვება-მიღწევის გზით. მაგრამ არის ის, რაც ღვთაების ძალით და ნებით ხდება (კოდირება) ერის სულიერებაში. მთლიანობაში ეს არის ვრცელი ღირებულებათა სისტემა, რომელიც ფუძნდება, სამ ღვთაებრივ საუნჯეზე — ენა, მამული, სარწმუნოება.

ერის ცხოვრებაში ეს სამი განზომილება არის მარად ცოცხალი, მფეთქავი ნერვი, რომლის ორიენტირის გარეშე, ქვეყანა ქარიშხალში მოყოლილ უმწეო ჩიტს ჰგავს. ყველა სიცოცხლე ცვალებადია და არსებობს ასევე ის ხაზი, რომელიც სუბსტანციის სახით რჩება მარადიული ნიშან-თვისებით. წარსული გაკვეთილები ყოველთვის რჩებოდა ისტორიულ გამოცდილებად, მაგრამ საჭიროა შემაერთებელი ხიდის მოძებნა წარსულსა და აწმყოს შორის.

თანამედროვე ისტორიული მეცნიერების რთული მეთოდოლოგია და ზედმეტად აკადემიური სტილი, ფართო მკითხველისთვის მიუღწეველია, რაც ქმნის იმ გარემოებას, რომ ამ პროცესში ჩართულია მხოლოდ მცირე ნაწილი, ეს კი იქცევა იმ დაბრკოლებად, რომ საერთო-სახალხო დონეზე არ არის აყვანილი. ჩვენ ვცადეთ, რომ საქართველოს სულიერი მისია და მისი ისტორიული ფუნქცია ყოფილიყო ისეთივე მისაწვდომი ყველასათვის, როგორიც ჩვენი ხალხური სიმღერაა და ისეთივე რთული, ესთეტიკური და დიადი, როგორც ჩვენი ხალხური მწერლობა და ფრესკული ფერწერაა.

როგორადაც პრეტენზიულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს ფრაზა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ყველა ასეთი წიგნი უნდა იყოს მანათობელი ერისათვის, რაღაც კუთხით მაინც, თუმცა როდესაც ამ თემას ჰკიდებ ხელს, ეს უკვე პრეტენზიაა და განაცხადი.

მოკლედ, ჩვენ ვცადეთ და ამისთვის არ დაგვიკლია შრომაც, წვალებაც და

ლოცვაც.

ადამიანის სულიერი სამყაროს გაშუქება რომ შეიძლებოდეს რენტგენის სხივებით, თვით საუკეთესო ადამიანებიც კი საშინელნი გამოჩნდებოდნენ თავის ფიქრებით და ეს იმიტომ კი არა, რომ ისინი ზოგადად საშინელებები არიან, არამედ იმიტომ, რომ ისინი – ადამიანები მუდმივად ფიქრობენ ავზეც და კარგზეც და ეს ფიქრი სჭირდებათ ფონად, რათა გააკეთონ ანალიზი და მიიღონ შეფასებები. გაუწმენდავი ფიქრების გამო, ურთიერთის მიმართ მუდმივად იარსებებდა უხერხულობის გრძნობა და ექნებოდათ ძალდატანებითი ან სხვა ტერმინით, ხელოვნური კათარზისი.

მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ სულიერ სამყაროში, იქ, სადაც დაცული არ არის რელიგიური სიმაღლე, იშლება ზღვარი სუბიექტსა და ობიექტს შორის და ამით ვთქვათ, რომ ადამიანის შინაგანი სამყაროს ფარული დინებები მოდის მიზეზთა მიზეზიდან, ანუ უზენაესიდან. მიზეზთა მიზეზი ანუ სუბსტანცია, არის ფარული და უხილავი და ასევე დაფარა მან ადამიანის შინაგანი სამყარო, რომ გარედან მოვლენილი იძულებისაგან დაეცვა თავი, მათში სინდისად სახელდებული შინაგანი სიმართლის სულიერი ორგანო კი ყოფილიყო ამ ამორალიზმის დარაჯი და გამწმენდი, ასევე მიეცა კაცთათვის კეთილისა და ბოროტის არა მარტო შეცნობის, არამედ არჩევის საშუალებაც. ე. ი. არ ჰქონოდათ მექანიკური მორალი და ფანტაზიის უნარი მიენიჭებინა მათთვის. ამგვარად სულიერი სამყაროს დაფარულობა გულისხმობს, არჩევანის დროს წინა სამზადისს, ანალიზს და განსჯას, რომლის ფონზეც ვითარდება ადამიანი.

ბრძოლა ხარვეზებთან ანუ შეცნობა საკუთარი თავისა

კაცობრიობის ისტორია არსებით ნაწილში, სულიერ ღირებულებათა დამკვიდრებისთვის ბრძოლაა დედამიწაზე. ამ საკითხის ირგვლივ არ წყდება გოდება მსოფლიო ისტორიის ფოლიანტებში, მაგრამ უსამართლობის დემონი კი მაინც მკვიდრად დააბიჯებს ამ, ისედაც ცოდვილ მიწაზე.

ხშირად იკითხავს ადამიანი, რომ თუ ქვეყნისა და ადამიანის შექმნაში სამართალი ერია, ასე არათანაბრად რატომ გაუნაწილა განგებამ ბედნიერება ადამიანებს? რატომ დაიბადნენ ერთნი მაღალ კულტურულ გარემოში, მეორენი პირიქით, ერთნი გენიოსებად, მეორენი მდაბიოებად და ა. შ.

თემურ ლენგის ომების ისტორიას ერთი ასეთი ბრძნული ფრაგმენტი ამშვენებს, კოჭლმა დიქტატორმა ცალთვალა სულთანი ბაიაზეთ I ჩაიგდო ტყვედ და მის დანახვაზე დიდ მპყრობელს სიცილი აუტყდა. ცალთვალა ბაიაზეთმა ძალზე გაიკვირვა ულმობელი თემურის ასეთი საქციელი და მყისვე მოუწოდა, რომ „ნუ იცინი, თემურ, ნუ, თორემ მიწებს და სამფლობელოებს ღმერთი ანაწილებს და ვინ იცის, ხვალ შენ დაგადგეს ამაზე უარესი დღე!“ მრისხანე მბრძანებელმა გაღიმებული შუბლი მაშინვე შეიჭმუხნა და ასეთი პასუხი გასცა – „მე შენზე კარგად ვიცი, რომ ღმერთი

ანაწილებს და სწორედ ამაზე მეცინება, ეტყობა ღვთისთვის ყოველივე მიწიერი არაფერს წარმოადგენს და ამიტომ გაუნაწილა ორი ამხელა სამფლობელო ერთს ბრუციანს და მეორეს – კოჭლს?!" საკვირველია, რომ კაცი, რომელიც სახელმწიფოებს სვავივით ნთქავდა და მოჭრილი თავების პირამიდებს აშენებდა, ამ დიალოგით მთლიანად უარყოფს მიწიერი სამყაროს კეთილდღეობას. და თუ ეს ასეა, მთელი ცხოვრება იმქვეყნად გასამგზავრებლად მზადება ყოფილა. გარდაცვლილი აქილევსი კი ასე საუბრობს აჩრდილთა საუფლოში მისულ ოდისევსთან, ფიზიკურ სამყაროში მათხოვრად ყოფნა სჯობსო ჰადესში მეფედ ყოფნას. ინდოელებისაგან განსხვავებით, გრძნობადი სამყაროს დიდ სიყვარულს განიცდიდნენ ქართველები და საოცარი იყო მათი აქტივობა წმინდა გონებრივი პოტენციით, და ასევე უსაზღვრო იყო მათი მწუხარება გარდაცვალების ჟამს, მაგრამ დღეს უტყუარად ცნობილია იმ მწუხარე რიტუალებში მათი ელემენტები – სიმღერა, ყვავილები, ღვინით მისი სახელის ხსენება, ეს ყველაფერი არის ის, რომ ჩვენ ვეშველებით იქ გამგზავრებაში.

სიცოცხლე და ცხოვრება ბრძოლაა მიწიერებაში განფენილ მოვლენებთან, და ბრძოლათა ეს ნაკადი ბადებს პირველობის და უძლეველობის ამბიციებს.

უპირველესად უნდა ვისწავლოთ გარჩევა პათოლოგიური და ჭეშმარიტი ამბიციისა, რადგან თუ განაცხადი მართებული და არგუმენტირებულია, ეს ზრდის პასუხისმგებლობის არეალს.

ბუდისტური საზოგადოების წარმატებები ეს მათი პატიოსნების და სამართლიანობის შედეგია, მათივე რელიგიისა. მთელი ევროპული ცივილიზაცია რაციონალური აზროვნების ქმნილებაა. ქართველები, და საერთოდ ყველა, ცოდნით კი არ უნდა გაამპარტავანდნენ, არამედ აღივსონ ღვთაებრივი სისპეტაკით და მოთხოვნილებებით. მისგან ჩამოყალიბებული მრწამსი ხდება ინდივიდის მამოძრავებელი მოტივი და განსაზღვრავს ბედს. ამ დროს როგორც ერთს, ისე მრავალს ძალუძს სიძნელეების გადალახვით ავიდეს, ჯერ კიდევ ახლობელ წარსულში მიუღწეველ სიმაღლეზე და რაც რთულია პრობლემები, მით უფრო ფასეულია მათი დაძლევით გამოწვეული სულის ბრწყინვალება.

ქართველებმა უნდა შეინარჩუნონ განვითარების ის ხაზი, რომლითაც ისინი აღიჭურვნენ ღვთაების მხრიდან. არ გეჩვენებათ, რომ ქართველთა დაბალი რაციონალიზმი და პრაგმატიზმი იმის შედეგია, რომ მათ ვერ გამოამჟღავნეს რენტაბელური აზროვნება საკუთარი თავისა და სამშობლოს მიმართ, ამის შედეგია, რომ გუშინდელი სალდაფონი შესანიშნავი ბიზნესმენია. ეს იმიტომ, რომ ქართველი მთლიანად ჩაწნული არ არის ღვთაების ხაზით არჩეულ განათლებაში, რასაც უდავოდ კარნახობს ჩვენი გონება გენეტიკური კოდით.

სამყაროსთან ბრძოლის ამ პერიპეტიებში ქართველებმა შეიძინეს ინფანტილური გრძნობები უხვად, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ ქვეყნიერება ისეთივე კეთილი ჰგონიათ, როგორც მშობელი. ამიტომ, ჯერ საკუთარი თავის შეცნობა უნდა მოვახდინოთ რამდენადმე და მერე გავატაროთ რეფორმები. ერთი ჩინური სენტენცია გვასწავლის, რომ „თუ ჯარისკაცი სიკვდილს არ შეურიგდა, ომს ვერ მოიგებს", მაგრამ ეს სიკვდილი საუკეთესო შესაძლებლობაში უნდა იქნეს გამოყენებული სამშობლოს მიმართ. ამ ნაკლის გამო იყვნენ, რომ ხშირად ყოფნა-არყოფნის პირას მისული საქართველოს ადგილობრივი ძალები, როგორი პათოლოგიური სიძულვილით ებრძოდნენ ერთმანეთს.

ქართველმა უნდა შეიცნოს, რომ ის უნიკალური ინდივიდუალობა, რომელიც უმთავრესი იარაღი იყო მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, უამრავი შიდა დაპირისპირების მიზეზიც გამხდარა.

დასამალი არ არის, რომ, როცა მთელი ერი ეწევა ავადმყოფურ თვითგანდიდებას, ამ დროს იგი კარგავს ადეკვატურ ცნობიერებას და არსებობის უნარს, რის შემდეგ იგი განწირულად ითვლება. ისევე, როგორც ყველაფერი, დამღუპველი შედეგებიც გარკვეული კანონზომიერებით იქმნება და გააჩნია საფეხურეობრივი იერარქია. სიზარმაცე – ცინიზმი – ნიჰილიზმი – ყველაფრის უარყოფა და საერთო სკეპტიციზმი – ტყუილის გაბატონება – იდიოტიზმი და იშვიათ შემთხვევაში სადიზმი ან მიზანთროპია. ყველაფერი ეს მიემართება თვითლიკვიდაციისაკენ. ასე განადგურდა ყველა იმპერია ჩინგის-ხანის, თემურლენგის და სხვ. თავდაპირველად ყველაფერი ერთი უბრალო ამბიციით იწყება.

ერი, ისევე როგორც პიროვნება, ცხოვრობს თავის ბიოგრაფიაში, რომელიც არის ერის გამოცდილება, ღვთაების ხელდასხმით მიღებულ ცოდნასთან ერთად და შეადგენს ურთიერთის ორგანიზმის მოუცილებელ ნაწილს. ერთი არის პიროვნება, მრავალი – საზოგადოება. ისინი ერთმანეთს ქმნიან და არიან ერთი მთელის (ერის) ორგანული ნაწილი.

სწავლის უნარი, რომელიც ესოდენ გააჩნია ქართველი ერს, სიბრძნის უნარია, მაგრამ ერმა არ უნდა დაკარგოს განვითარების ამოსავალი წერტილი. შეიძლება ვინმემ თქვას, ვინ ან რამდენია დღეს სწავლულიო და ჩაიქილიკოს, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს მსურველი და მწყურვალი ადამიანი. ყველაზე ზარმაციც კი გულწრფელად ამბობს, რომ მას სწავლა წყურია. მე არ შევუდგები მიზეზების ჩამოთვლას, ეს ცალკე თემაა და კვლავ ვიმეორებ – არსებობს უამრავი ჭეშმარიტი მსურველი და განმხორციელებელი თითქმის უმნიშვნელო.

დღეს საქართველოში სუფევს დაუწერელი „მუხთალი წუთისოფელის“ დოგმატიკა, რაც გამოიხატება იმაში, რომ: „ცხოვრებას აქვს თვისება, არ პატიობს სისუსტეს ადამიანებს. ამ სისუსტის აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება უნდა იყოს კონკრეტულად და ერთგვარად ამ წიგნში მოთავსებული მასალა და ზოგადად საკუთარი თავის შეცნობა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ყოველთვის უჭირდა უკულტურო ბრბოებთან ომი, ისევე, როგორც ჩვენს სპორტულ კლუბებს დაბალი ტრადიციის მქონე სპორტსმენებთან. ჯერ ერთი, თუ ეს იცი და აცნობიერებ, ის უნდა დაძლიო, მით უმეტეს, იცი, რომ შენზე სუსტია. მაგრამ აშკარა თავისმოტყუებაა, რომ ყველა სტეპის თუ ტრამალის მეომრები ეყრდნობოდნენ სპეციფიკურ და დაბალ მისტერიულ იდეოლოგიას, რომელსაც ერი უპირისპირებდა ზარმაც და ყოყოჩა აზროვნებას, მაგრამ განა დავით აღმაშენებლის დიდგორის ბრძოლის მოგება არ არის იმის მაგალითი, თუ რაზეა დამოკიდებული გამარჯვება? მე ყოველთვის იმედი მაქვს დროის სწრაფი ტემპების, უეცარი ცვლილებების, ნახტომების, რადგან დავითმა არნახულად მოკლე დროში აღზარდა ქართული სული და ცნობიერება. მან შექმნა ზომიერი ინდივიდუალობის ფუნქცია და მიმართება ერის მოთხოვნებთან კავშირში, რაც უნდა მოხდეს ჩვენს დროშიც.

როგორ და რით განისაზღვრა ქართველთა სულიერი მისია

„ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული გვამცნობს: ნუ ფიქრობთ, თითქოს ჩვეულებრივი იყოს ბრძოლა, რომელიც წინ გვიძევს. არა ჩვენთა მსგავსთა ვებრძვით და არცა ძალნი ჩვენი თანაბარ არიან, რამეთუ ჩვენ გვამთა შეკრულნი ვართ, ხოლო უგვამოთა ვებრძვით, არ შეშინდეთ რამეთუ იყოს ბრძოლა უთანასწორო, მაგრამ უზომოა ძალა ჩვენი საჭურველისა, არცა სულითა დაცე-მულნი იყოთ და არცა ბრძოლითა უძლურ ქმნილი, რამეთუ სცანით მტერი თქვენი“.

იოანე ოქროპირი

სულიერი მისიის მინიჭება, მხოლოდ ღვთის წყალობად შეიძლება ჩაითვალოს ისევე, როგორც უფალი (მამა ღმერთი) თავის უსაყვარლეს ძეს განუმზადებს ჯვარცმას, ასევეა ადამიანში, ერში კოდირებული ეს ფაქტორი. ამ, ერთი შეხედვით, უბრალო არგუმენტში უზარმაზარი პანორამა იკითხება.

ჩვენი ისტორია ყველა მემკვიდრეობითობის ნიშნის მატარებელია და უფრო საეკლესიო ისტორიაა, ვიდრე საერო. ამიტომ ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, უცხოელი დამპყრობელი იბრძოდა ქრისტიანობის აღმოფხვრის წინააღმდეგ.

რას ანვითარებდა ძველი ქართველი ყველაზე მეტად, რომ შეენარჩუნებინა სულის რაობა? ცნობიერების ხარისხი და ადგილი მზის ქვეშ! რაც უნდა ყოფილიყო იმის გასაღები, რომ მას ეჯობნა თავდამსხმელზე. – ეს იყო გონების შუქი და უნარიანობა, რომლის ძალით უნდა მოეხდინა მეტალურგიასა თუ ასტროლოგიაში ზემაღალი ხაზის აღება, რათა ეს თამასა სხვისთვის აუღებელი ყოფილიყო. ამ დროს უპირველესი იყო რელიგია, ის ქვაკუთხედი, რომელიც იქნებოდა ბაზა აღმატებულობის „განმინათლენ თვალნი გონებისა ჩემისანი“ – ლოცულობს ქართველი ქრისტიანი და შემთხვევითი არაა, რომ ჩვენი ეროვნულობა გათანაბრებული იყო მართლმადიდებლურ აღმსარებლობასთან და გონების შუქთან.

ღვთის რჩეული ერის ჯვარი ყოველთვის მძიმე და დიდებულია, მაგრამ ეს იყო საკრალური დოგმატი, რომლის გარეშე რჩეულობა არ შეიძლება არსებულიყო. ქრისტიანობის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი მეფე ვახტანგ გორგასალი ასე ამბობს წარჩინებულთა წინაშე: „მეფეთა და ერთა ზედა მოიწევის განსაცდელი და ჭირი ღმრთისა მიერ ცოდვათა მათთაგან: ოდეს მორწმუნეთ აკლონ მსახურება ღმრთისა და გარდახდენ მცნებასა, მოაწევს ჭირთა ესევითართა ზედა, რომელი აწ ესე მოიწია ჩვენ ზედა, ვითარცა რა მამა კეთილი წურთინ შვილსა კეთილად კეთილთა ზედა საქმეთა და უკეთუ არა, კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მამისა თვისისა, გუებს მამა იგი გუემითა და სწავლითა, რათა ისწავლოს ყოველი კეთილი და იქმნას სახმარ კეთილისა. ეგრეთვე გუწუართნა ჩუენ ღმერთმან, დამბადებელმან ცისა და ქუეყანისაგან. ამისთვის გვწამს ჩუენ, რათა ვმადლობდეთ მოწყალებათა მისთა“.

მაგრამ რჩეული რომ გახდე, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიღებ ღვთის

წყალობას, როგორ გადმოვა მადლი? ამისათვის საჭიროა მარხვა, ლოცვა, რწმენის ურყევობა, უშრეტი სასოება და სიყვარული ღვთისა და ადამიანის მიმართ.

ებრაელი მღვდლის აბიათარის ასული სიდონია წმინდა ნინოს ეუბნება: „უცხოვო და აქა შობილო, ტყუეს და ტყუეთა მხსნელო, უწყო, რამეთუ შენზე მოიწია ახალი იგი ჟამი და შენ მიერ ისმეს ჰამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცისა მის კაცისა უბრალოისა (ანუ მაცხოვრისა) სისხლის უსამართლოდ დათხევისაი, რომლითაცა ქმნა ღმერთმან ჰურიათა სირცხვილი, ცის კიდეთა განბნევაი, მეფობისა დაცემაი და ტაძრისა მის წმიდისა მოღებაი, ერისა მის უცხოისა მოგებაი და თვისად წოდებაი, და დიდებაი მათი მიცემად“.

ბიბლიაში მოცემულია, რომ ისრაელელი ხალხი ღვთის რჩეული ხალხია, მაგრამ მათი დაცემა იწყება ქრისტეს ჯვარცმით და იუდას მიერ მაცხოვრის გაყიდვის შემდეგ. ასევე ამბობს იოანე ოქროპირიც, რომ იუდეველები ღვთის რჩეულები გახდნენ არა დამსახურების მიხედვით, არამედ ეს პატივი მათ წყალობის შედეგად მიიღეს.

ჭკვიანთათვის რჩეულობა პასუხისმგებლობაა ღვთის წინაშე და ღვთის სიყვარული ამ ხალხზე და არა კადნიერება. ამიტომ აუცილებელია, რომ განდგომილმა და ერესის მატარებელმა ქართველებმა იცოდნენ, ქართველთა უპირატესობა ჭეშმარიტი სარწმუნეობის, მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღიარებაა და ჩვენმა რჯულმა უნდა მოგვცეს უძლეველობის ძალა ღვთის მადლის წყალობით. და თუ ქართველს უნდა, რომ კვლავ გაისმას ქართველთა აღმატებული ხარისხის მაუწყებელი ზარები: „ქართლად ფრიალი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. მივყვეთ პეტრე მოციქულის სიტყვებს, სადაც მადლის მიღება ღვთის წყალობით არის შესაძლებელი: „ხოლო თქუენ, ნათესავი რჩეული, სამეფოი სამღვდელო, თესლი წმიდაი, ერი მოგებული, რაითა სათნოებათა მიუთხრობდეთ, რომელმან – იგი ბნელისაგან გიწოდა თქუენ საკვირველსა მას ნათელსა მისსა. რომელნი ეგე ოდესმე არა ერი, ხოლო აწ ერი ღმრთისაი, რომელნი – ეგე ოდესმე არა შეწყალებულ, ხოლო აწ შეიწყალენით“ (1. პეტრე. 2,9-10)



ქართველი ერის სულიერი მისია
და მსოფლიო გონი

„ვისაც სურს მოგიახლოვდეს შენ, ის უნდა ამაღლდეს ყოველგვარ ცნებებზე და საზღვრებზე. გონმა ზურგი უნდა აქციოს ცოდნას და ჩაიძიროს ინტუიციის მორევში..., რადგან ყოველგვარი განსწავლულობა არის აზროვნება – განსწავლულობა – ანალიზი, სქემებით და დოგმებით, რაც გონებას კეტავს გარკვეულ სამანებში. ამ დროს ნაკლებია გრძნობისმიერი აზროვნება, რაც ხელს უშლის ადამიანს ჩაწვდეს სასიცოცხლო სამყაროს სულიერებაში. ეს რომ არ მოხდეს, ცოდნა უნდა მიიღოს ადამიანმა ფრთხილად და გარკვეული დოზით, რათა არ დაიწყოს ადამიანთა მისტიური ჭვრეტის უნარის ნგრევა.

სულიერის მისიის შეცნობის გზაზე ადამიანს უმჯობესია ჰქონდეს მეტი ინტუიტიური ჭვრეტა და ზომიერი განათლება, ვიდრე დიდი განათლება და დაბალი ინტუიტიური ხედვა“.

ისტორია ზოგ შემთხვევაში გვაუწყებს, რომ კაცობრიობის ისტორია არსებით ნაწილში იდეების ისტორიაა, არც ის ყოფილა იშვიათი, რომ ბევრი ქვეყნისთვის სხვა ქვეყნის დაპყრობა ამა თუ იმ იდეის საბაბით ხდებოდა, თუმცა ჭეშმარიტი მიზეზი უბრალო ადამიანური, მიწიერთა და მოკვდავთა სიხარბე იყო.

ჰერდერი აღიარებს ძველი ცივილიზაციების – ეგვიპტელების, სპარსელების, ბერძნების, რომაელების კულტურულ ეპოქაზე გავლით, აღმავალი განვითარების გზით კაცობრიობის ჰუმანიზმამდე მისვლის კანონზომიერებებს. ჩვენ კი ვფიქრობთ, ისტორიის განვითარებას როგორც ჩვეულებრივი ტრადიციული კანონზომიერებები, ასევე უეცრად აღმოჩენილი მოულოდნელი მიზეზებიც განაგებს. მთლიანობაში კი, ისტორიის ცენტრალური მოედანი სავსეა ადამიანთა გვამებით და ძალადობით. ისტორიის ფილოსოფიის მიზანს კი წარმოადგენს გაურკვევლობის და კატასტროფის ამ გროვაში აღმოაჩინოს ის მიზეზები, რომლებიც კარნახობენ დიქტატს ან კანონზომიერებებს.

ჰეგელის მიხედვით, ისტორიის საბოლოო მიზანი უნდა იყოს მეტი თავისუფლების დამკვიდრება დედამიწაზე. თვით ისტორია კი ესაა „მსოფლიო გონის“ განვითარება დროში. „მსოფლიო გონი“ თავის მიზანს თავისუფლების რეალიზაციით აღწევს, რაც ბუნებრივად უწყობს ხელს ადამიანის გენეტიკური კოდის ამაღლებას. ხოლო ის მსხვერპლი კი, რომელიც მსოფლიოს გმირულ წარსულს მიეკუთვნება, უნდა ჩათვალოთ, რომ სწორედ თავისუფლებისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის იყო საჭირო.

ამგვარად, თავისუფლება თვითღირებულებადია და მიზანია თავისივე თავისა, რადგანაც გონი თავისუფლად შეიმეცნებს თავის თავს. ამიტომ ისტორიის მიზანი უნდა იყო კაცობრიობის უჭკნობი გვირგვინი, მეტი თავისუფლების და სამართლიანობის დამკვიდრება დედამიწაზე.

მსოფლიო გონის განვითარება კი, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ხშირად მოტივირებულია ინტერესთა და ვნებათა შეჯახებებით, პოლიტიკური კატაკ-

ლიზმებით და იგი ხშირად ეგოისტურ სურვილთა აურაცხელი ოდენობაა, ის იარაღი და საშუალებაა, რომლითაც მსოფლიო გონი აღწევს თავის მიზანს. ეს უკანასკნელი კი ისტორიას აღამაღლებს მაღალ ცნობიერებამდე და ხორცს ასხამს მას.

მსოფლიო მნიშვნელობის ინდივიდები კი არიან დროისა და ცივილიზაციის ორბლის ჭეშმარიტი კატალიზატორები. მათი ინტერესები და მისწრაფებები ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენათა აღსრულებისაკენაა მიმართული.

მართალია, მსოფლიო მნიშვნელობის პერსონალიები ხშირად ეგოისტური იმპულსებით მსჭვალავენ პოლიტიკურ ამინდს, მაგრამ ისინი ბუნებრივად ბადებენ ამავე მოვლენათა შესაბამის ანალიტიკოსებს, მკვლევარებს, რომლებთან ჭიდილში და შეფასებაში ვითარდება მსოფლიო გონი ანუ, თუ ვითარდება ბოროტება, მისსავე გვერდით იბადება და იზრდება სიკეთე. ჰეგელის თქმით, რომ არა ეს იმპულსები, ვერ შესრულდებოდა ალექსანდრე მაკედონელის და იულიუს კეისრის მისიები.

ყველაფერი კი ვითარდება მძაფრი, შეუპოვარი ბრძოლით, რადგან გონებას შრომა, მოქმედებები და მისწრაფებები მოცემული აქვს ინტუიტიურად.

ყოველ ეპოქას თავისი გონი – ეპოქის სული გააჩნია. ეპოქის გონი, ყველა მანამდე არსებული გონების ფორმათა გაგებით შეიცნობს თავის თავს, შეიძლება ითქვას, ამოწურავს, რითაც ერთი ისტორიული ფორმა დასრულდება და გამოჩნდება ახალი ეპოქის ათვლის წერტილი, ახალი რგოლი იმ მთლიანი ჯაჭვისა, რასაც ისტორიის გაბმული ჯაჭვი ჰქვია.

მსოფლიო ისტორიული გონის განვითარება კი მარადიული პროცესია და მისი განვითარების რგოლები არიან. კონკრეტული სახალხო გონი კი, მცირე დროის მონაკვეთური შეგნება. იდეოლოგიის ეს ფორმა და შინაარსი ხშირად ისე ცვდება, როგორც დაკონკილი ტანსაცმელი და ის ილევა მანამდე, სანამ ახალს არ გამოიგონებენ.

ძველი აღმოსავლეთის ხალხები უფრო ბუნებაში ცხოვრობენ, ვიდრე საზოგადოებაში. ასეთი ადამიანების აზროვნება უფრო მითის და ლეგენდის ხასიათს ატარებს, ისინი მთლიანად ბუნებასთან აკავშირებენ ანალოგებს და ამ პარალელებით ცდილობენ დაძლიონ ცხოვრება და განავითარონ გონი.

ანტიკური საბერძნეთი იყო პირველი „მორალის" პოლისი, სადაც პირველადაა ურთიერთგადაჭდობილი, კლასიკური გაგებით, ინდივიდი და საზოგადოება, კანონი და ზნეობა. მხოლოდ აქ ხდება პირველად, რომ საზოგადოება და პიროვნება ერთმანეთს ბრმად არ მორჩილებენ, არამედ ყველაფერი იბადება კამათში, გონების წრთობაში. მაგრამ ბერძენი მოქალაქე კანონს შეიმეცნებს „არა მხოლოდ როგორც საგნობრივი რაობით, არამედ როგორც კანონს საკუთარ თავში... სხვისი სხვისთან თავისუფალი ერთიანობა განიმსჭვალება, როგორც სხვები ჩემი მეშვეობით, ასევე მე სხვების მეშვეობით ვჭრეტ მათ საკუთარ მედ – თავად, ანუ საკუთარ მეს – თავს შევიგრძნობ როგორც მათ". მოკლედ, ადამიანები გამოდიან პანთეისტური – ბუნებითი რელიგიიდან და მიდიან უფრო ახლოს ერთმანეთთან, მაგრამ შიშის გრძნობა ჯერ კიდევ არ გადაულახავთ და მათი ყოფა სავსეა ბედისწერით, ორაკულებით და მკითხავებით.

ამგვარად, ადამიანის ნებელობა მაინც სუსტია. ჯერ კიდევ შორია რენესანსამდე და ადამიანი მთელი სისავსით გამოვლინდება იქ, სადაც მისი აქტიურობა იქნება ყველაზე მკვეთრი და შესამჩნევი.

რომის იმპერიაში ყალიბდება პოლიტიკური საზოგადოება, სადაც ფილოსოფიიდან

პრაქტიკაზე არიან გადასული. თუ ბერძენი მოქალაქე და ბერძნული სახელმწიფო გაჟღენთილია ნატურალიზმის და ოცნების სინთეზური გრძნობით, რომმა ეს სამართლებრივი მდგომარეობა განაქარვა. რომის იმპერატორები ამკვიდრებენ აბსოლუტური ძალაუფლების იდეოლოგიას. ამ მართვაში მონაწილენი კი იმპერატორის ძალაუფლებას აღიქვამენ, როგორც ბედს. ფრაგმენტულად ფეთქდებიან ინდივიდები, მაგრამ მათ, ჩვეულებრივად, კლავენ და ამით აჩერებენ პროგრესს. რომის მოქალაქე-ქვეშევრდომები ბედის სიმძიმის შეცნობით თავისი უბედური არსებობის გაგებამდე მიდიან. ამიტომაც იქმნება რომში ისეთი ფილოსოფიური სკოლები, როგორიცაა სტოიციზმი, ეპიკურულობა, სოფიზმი და სხვ., რათა ადამიანის ცხოვრების საფუძვლად უბედურება მიიჩნიონ. სიკვდილი კი ასე აიხსნება: „სიკვდილი საშიში არაა, რადგან, როცა ის არსებობს, ჩვენ აღარ ვართ, ხოლო როცა ჩვენ ვარსებობთ, ის ჩვენთან არ არის“.

სახალხო გონის განვითარების ესტაფეტა რომის შემდგომ, გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიაში გადავიდა. აქ ისტორიის შინაგანი ბუნება სრულად ამოქმედდა, რადგან ამ დროს გერმანელი, ისევე როგორც ევროპელი ხალხი, ქრისტიანობის საფუძველზე დგას, რაც ადამიანთა თანასწორობის და თავისუფლების ყველაზე უმაღლესი მოძღვრებაა. სული განიცდის მეტად თავისუფლებას და რწევას ადამიანის გვამში, გაიზარდა მისი მოძრაობის არე და ხდება მეტად ელასტიური, რაც ადამიანთა თანასწორობის და თავისუფლების ყველაზე უმაღლესი მოძღვრებაა. საბოლოო ჯამში გამოიხატა იმით, რომ შუა საუკუნეებში (V - XVIII სს.) იქმნება უთვალსაჩინოესი შედეგები კაცობრიობის განვითარების ყველა ხაზით. ამ პერიოდს მხოლოდ ანტიკური პერიოდი (ძვ. წ. X – I სს.) თუ შეედრება. ამგვარად, სული მთელი სიმძლავრით ორ შემთხვევაში იძრა: ანტიკური და შუა საუკუნეები. იქმნება შეხედულება, რომ სულისთვის მეტი თავისუფლების მიცემა სასწაულმოქმედად პროდუქტიულია. ეს არის ერთი მთლიანი ხაზი მსოფლიო კულტურის ყველაზე მსხვილი მდინარებისა, რომელიც ვითარდება ერთი გენეალოგიური ხის ფესვებზე და თუ მისი თესლები ძველ ქალდეაში, შუმერში და შუამდინარეთში დაითესა, ფესვები აუცილებლად ძველი პელაზგები და კოლხებია და ამ ფესვებზე აღმოცენდა მთელი ევროპის სახალხო კულტურა. ლოკალურად და ევროპისგან განყენებულად ვითარდება ჩინური კულტურა, რომელსაც არ ახასიათებს აღზევება და დაცემა, ემოციები და ეგზალტირება, მაგრამ მიედინება როგორც მდორედ განტოტვილი ღონიერი მდინარე. მისი ციკლური მოძრაობა არ წყდება და იგრძნობა ევროპის ხალხებისაგან განსხვავებით მისი თვითმყოფადობა. ინდოელების კულტურა კი უფრო ფრაგმენტულია და მონაკვეთური, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს უცხოელ დამპყრობთა ძალადობა და კოლონიზაცია, ასევე შინაგანი კონფლიქტები ინდიელ ტომებს შორის, ამიტომ ისინი კულტურის ნაკადებს ვულკანისებურად ქმნიან, აფეთქდებიან და ღვრიან უამრავ თვალმარგალიტს, შემდეგ კი ჩაქრება და ჩამოწვება ასწლიანი დიდი ღამეები.

XII ს-ში იოაჰიმ ფონ ფიორე შეეცადა ამ ხაზის დიფერენცირებას შემდეგი ფორმულით: I – წარმართული სამეფო, II – ქრისტიანული სამეფო და III – წმინდა გონების სამეფო. XV ს-ში პიკო დელა მირანდოლა წამოწევს წინა, აქტიურ ხაზზე ადამიანის ფაქტორს და მისი წარმოდგენით სამყარო შედგება ანგელოზური, ციური და ელემენტარული სფეროებისგან. მისი განმარტებით გრძნობადი და უხილავი

საგნები უმაღლესი უსხეულო საწყისისაგან წარმოიშვა, რომლის მოუწესრიგებლობას ღმერთი გარდასახავს წესრიგად. პიკო დელა მირანდოლას თქმით, სამყაროს წინააღმდეგობრიობა იმაში გამოიხატება, რომ, ერთი მხრივ, ის ღვთის გარეშეა შთენილი, მეორე მხრივ კი, მისი გაჩენა ღვთისმიერია – ღმერთი ბუნებაშია, იგი სამყაროს აღმავსებელი არსია. თავის თხზულებაში „ადამიანის ღირსების შესახებ" იგი საუბრობს ადამიანზე, როგორც მიკროკოსმოსზე. მიიჩნევს მას ნეოპლატონური სტრუქტურის (ელემენტარული, ციური და ანგელოზური) სქემად, რამდენადაც ყველა ეს სფერო განმსჭვალულია ვერტიკალურად და თუ წინათ ვარსკვლავთ მოძრაობა და თვითღირებულება განსაზღვრავდა ადამიანის ბედს, ამჯერად ადამიანის აქტიურობა განაპირობებს. ამ თეორიის შედეგად ადამიანი თვითონ შეიქმნა საკუთარი ბედნიერების შემოქმედი და ისტორიულ დანიშნულებად იღებს, თავისი ადგილი დაიკავოს ჰუმანიზმის ვრცელ სარბიელზე.

ამგვარად, თუ კაცობრიობას იდეები ისტორიის ჩონჩხს წარმოადგენდა, პიროვნებები და მათი ნიჭიერება არის ის ხორციელი გარსი, რითაც იმოსება ეს ჩონჩხები ასე ლამაზად, ისტორია კი ვითარდება, როგორც ყვავილის თესლში ჩაბუდებული მარცვალი, რომელიც თავის თავის რეალიზაციის შედეგად მიიღება ის პროდუქტი, რისთვისაც იგი არის შექმნილი. ასევეა ადამიანიც. ძნელია ისტორიის ქაოსური ფაქტოლოგიური მასალიდან გამოარჩიო ყველაზე არსებითი, რომელიც გამოდგება მისი განვითარების განსაზღვრების ხერხემლად. ამ თვალსაზრისით მოძღვრება ისტორიის ზოგად კვლევაზე, ხშირად ყველაზე იდუმალის კვლევაა, რომლის ასახსნელად ანალოგიები, უმეტესად ხსნიან მის სულს და არსს ყველაზე სიღრმისეულად.

მისტერიების ეპოქა

(შესავალი)

როდესაც წარსულ დროებაზედ ფიქრობ, განსაკუთრებული მგრძნობელობით უნდა შეხედო დროის განვითარების იმ ფაზას, რომელმაც შვა მომავალი, რადგან სამყაროს შეცნობის მხრივ უფრო არსებითია ის ეპოქები, სადაც მოქცეულია ჟამთასვლის დინებაში არსებული ევოლუციური და გარდამავალი დროის წიაღსვლები.

საქართველოს ისტორიაში 21-ე საუკუნე აუცილებლად შევა დმანისის აღმოჩენით. პირველი ევროპელები ხომ ზეზვა და მზია აღმოჩნდნენ, რომლებიც ფიქრშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათ თავის ქალას მილიონ 700, მილიონ 800 ათასი წლის მერე იხილავდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც პირველყოფილი ადამიანები ნადირის ყნოსვით და ხერხით ირჩენდნენ თავს, ისინი მუდმივად ატარებდნენ წყალს, როგორც დაბადების აუცილებელ მოვლენას და თაყვანს სცემდნენ ცეცხლს. ამ პერიოდში

გასცდებიან ადამიანები გრავიტაციულ მიზიდულობას, რათა დააღწიონ თავი მიწიერ სურვილებს. მათ უჩნდებათ აურა და ეს ის აურაა, რომლითაც ასტრალური ხედვით და ამგვარი აურის ფერთა გამის ცვლით ძაღლები გრძნობენ ადამიანთა ბნელ ზრახვებს, სურვილებს და თვით გარდაცვალების მოახლოებასაც კი, რაც იწვევს მათში გახშირებულ ყმუილს, რადგან კარგად ხედავენ ფიზიკურ სხეულდაკარგულთა მდგომარეობით გამოწვეულ სულის შიშსა და ძრწოლას, მათი უცნობ სამყაროში გამგზავრებით. ძაღლები მაშინაც ყმუიან, როცა ხედავენ ასტრალურ განზომილებაში გადასული სულის ბორიალს თავისი სახლის გარშემო, რასაც უმეტესად ვერ ამჩნევენ მიცვალებულთა ახლობლები.

ყოველივე იყო მაშინ, როცა ადამიანი იყო ველური, სანამ ის ლოცვას და მისტერიის აღსრულებას დაიწყებდა.

შემდეგ... პლუტოკრატიის ვნებით მოსილმა ადამიანებმა მესამე თვალი, გონების თვალი დაკარგეს და მისტერიათა ეპოქა დაიწყო.

საქართველოს მზადება ქრისტიანობისათვის

ის, რაც ანტიკური მსოფლმხედველობით მისტერიულ აქტს წარმოადგენდა, ქრისტიანულში ისტორიულ სინამდვილედ იქცა. ასე რომ, ქრისტიანობაში აღსრულდა არა მარტო ის, რასაც წინასწარმეტყველებდნენ პატრიარქთა ეპოქაში, არამედ ის, რისი ჩანასახიც იყო მისტერიებში. ქრისტეს ჯვარცმა არის ისტორიულ სინამდვილედ ქცეული ანტიკური მისტერიის გაგრძელება. ძველ აზროვნებაში და საკულტო ნაწილშიც იყო ჯვარი, მაგრამ ქრისტიანობაში იგი გვევლინება როგორც ერთგზის მომხდარი უდიდესი მისტერიული ამბავი. ქრისტიანობა, როგორც უპირველესი მისტერია, განსაკუთრებით ჯერ აღდგომაა და შემდეგ შობა. ის არის დიადი მისტიური სინამდვილე, რომელიც კაცობრიობის სულიერი განვითარების უმაღლესი საფეხურია, ხოლო ანტიკური მისტერიები და განათლების ეს საფეხური – შემზადებაა ქრისტიანობაში არსებული მისტერიებისა.

ანტიკურ მისტერიებში, წელიწადის მოკლე დღეებში ადეპტები მიაპყრობდნენ ხოლმე თავიანთ სულიერ ძალებს უმეტესად მზისაკენ... და შუაღამისას ეძლეოდათ შესაძლებლობა ეხილათ მზე... ამგვარად ჭვრეტდნენ ისინი მზეს შუაღამისას, და ეს იყო ჭვრეტა მზის არსის, მზის სულისა, ანუ – ქრისტესი, რითაც ხდებოდა მზადება ქრისტიანული რელიგიის შესახვედრად.

მისტერიათა წარმართული რელიგია უფრო მეტად არის გარეგანი, აშკარა ღია მიმდინარეობა, რომლითაც იხვეწებოდა ფორმები. შინაგანი წვდომის და სულიერების ზრდის რელიგია, ასევე უმეტესი ნაწილით კი არის ქრისტიანული რელიგია, რომელიც მოითხოვს ღრმა ცოდნას, ფარულ სიბრძნეს და ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ძნელად მისაღწევ იდუმალ კანონებს დიად ხელდასხმულთა, რომლებიც პირველ პირებად მონაწილეობდნენ ამ რელიგიათა დოგმატების შექმნაში.

ისტორიის გარეგან მხარეს იოლად ვეცნობით და ვეთვისებით, თუმცა იგი

საკმაო ხლართებით და სიბნელით არის მოცული. მეორე მხარე კი, რომელსაც პირობითად უნდა ვუწოდოთ ეზოთერული ისტორია ანუ მისტერიათა სიბრძნე, ძნელად თუ აღვადგენთ და ამოვშიფრავთ გარეგანი ისტორიის საფუძველზე, ვინაიდან იგი მიჩქმალულია ტაძრების სიღრმეში, ფარულ საზოგადოებებში, სადაც თამაშდებოდა სულისშემძვრელი დრამები წინასწარმეტყველთა სულებში. ჩვენთვის კი, არ დაუტოვებიათ წერილობითი ახსნები თავიანთი მოქმედებების შესახებ და არ გაუნდვიათ მოწაფეთათვის ის საზეო განცდები და წარმოდგენები, რითაც მაღლდებოდნენ ღვთაებამდე.

მას შემდეგ გვიხდება ჩვენ ამოხსნა და გაშიფრვა იმ დაფარული თუ კოდირებული სიბრძნისა, რომელიც გვევლინება ჩვენ ვითარცა წყარო ნათლისა, ორგანული და ჰარმონიული რამ, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ასევე პირობითად მსოფლიო სული ან რელიგიის დედაწყარო და ეს უძირითადესი საფუძველი – სუბსტანცია არის ადამიანის ცნობიერების წარმართველი და მამოძრავებელი. აქ არის ჩაშიფრული პირველსათავე რელიგიისა და ფილოსოფოსისა, რომელნიც ელიფსის მეორე ბოლოზე ხვდებიან ერთმანეთს და ქმნიან ერთიან, განუყოფელ ცოდნას. ეს არის ზეგრძნობადი ჭეშმარიტების საწყისი და სიცოცხლის უმთავრესი გონისმიერი იმპულსი და თუ ადამიანში არსებობს ღმერთი, სწორედ ამ ნაწილშია. მასში მოჩანს, იკითხება და იგრძნობა ემოციური მუხტით სიცოცხლის წარმომავლობა, მიზანი და პირველმიზეზი, საუკუნეთა საკვირველი მოქმედებისა, სადაც კოსმიური და მიწიერი გზაჯვარედინები მოციქულებსა და რელიგიურ ასპექტებშია გაცხადებული.

რაც უფრო ღრმად მივიწევთ ისტორიის სიღრმეში, კიდევ უფრო მეტად ვრწმუნდებით, რომ ზეცის კაბადონი იყო ქვეყნიერების ის პერანგი, სადაც მოცემული იყო სამყაროს განვითარება და ის ელემენტები, რომლის საშუალებით ადამიანებს ადრე თუ გვიან მოუწევდათ პასუხის გაცემა. და თუ გაიხსნება მისტერიებში ჩაშიფრული კოდები და სიმბოლოები, ამის შემდგომ კაცობრიობა ხელისგულივით გადაშლის თავის წარსულს და ცოდნას და განსაკუთრებით ეს ხელს შეუწყობს სწორედ მისიონერული ფუნქციების დაკისრებას, რომელიც თავს იდვა რამდენიმე ერმა.

კაცობრიობა კი გახდება უფრო მშვიდი, გონიერი და ნათელი. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მისტერიებიდან ქრისტიანობაში არსებულ გარდამავალ ეტაპს, რადგან ეს არის ტეხილოვანი გზაჯვარედინი აზროვნების გზაგასაყარზე.

მისტერიების ეპოქა ზოგად ჭრილში

დღევანდელ, მატერიალისტურად განწყობილ ადამიანებში იმდენად დაბინდულია ნათელხილვითი ცნობიერება, რომ ჩვენ ამ თავში მოგვიწევს საუბარი მისტერიების ეპოქაზე თავის დროსთან მიმართებაში და არა დღევანდელი გადასახედიდან.

ცნობილია, რომ წარღვნის ეპოქა იყო ტეხილოვანი შემობრუნების და რევოლუციური განვითარების გზა. ამ პერიოდში ხდება ატლანტიდური კულტურის დაფარვა და მისი ნაშთები, ყველაზე მკვეთრად შემორჩა აღმოსავლეთში, კერძოდ

ინდოეთში (რიშების კულტურა), შუამდინარეთსა და კავკასიაში. დღემდე შემორჩენილია ხუროთმოძღვრებაში გოლიათი ატლანტების ფიგურები, რომლებიც შენობის შესასვლელთან იდგმებოდა და მიუთითებდნენ იმაზე, რომ სამყარო მათ მხრებზე, მათი კულტურის ცნობიერებაზე იდგა და ამ სივრცეში შემავალი ადამიანები იქ მხოლოდ კონტროლით და წინასწარი მომზადებით ხვდებოდნენ. ატლანტების კვალი შემოინახა არქიტექტურის ამ ფრიად მიმზიდველმა ესთეტიკურმა განცდამ და გამოდის, რომ მშვენიერებამ აჯობა ყველა დანარჩენს, რაც მათ კულტურაში იყო ფასეული.

ატლანტიდური განწყობილების ძირითადი ნიშანთვისება კი ის იყო, რომ ადამიანს ჯერ კიდევ ეძინა ფიზიკურ სამყაროში და სამყაროში იგი ცხოვრობდა სულიერი ჭვრეტით. კიდევ უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი ხატოვანი აზროვნების და გრძნობადი ესთეტიკის ფორმით ხსნიდა სამყაროს მოვლენებს. კაცობრიობას ჰქონდა მკრთალი შეგნება იმისა, რომ მისი ჭეშმარიტი სამშობლოა სულიერი სამყარო და ამ ფიზიკურ გარსში იქიდანაა დაშვებული, ამიტომ ჰქონდათ კიდევაც ეპიტაფიად საფლავის ქვაზე – „მე უკვე შინა ვარ, შენ კი მგზავრი ხარ", ქართული ხალხური გახმაურებული და ასევე ძალზედ ესთეტიკური განცდა, რომ „წუთისოფლის სტუმრები ვართ", აქედან უნდა იღებდეს სათავეს.

ნათელხილვითი ჭვრეტა ორგანულად განიცდიდა ყოველგვარ რეალობას და უსულო საგნების შემეცნებაც ჭეშმარიტ საზრისს სულიერების პრიზმაში იძენდა, ხოლო მიწიერი ყოფა მთლიანად მოჩვენებად, ანუ ილუზიად აღიქმებოდა.

მაგრამ ფიზიკურმა პლანმა რამდენადმე გადაფარა სულიერი წიაღი, თუმცა ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ თავისი დროის ზეგავლენის ნიშნებს. მაგრამ როგორც ამბობენ, ყოველგვარი ახალი და დაბალხარისხოვანი ყოველთვის ჯაბნიდა ძველსა და მაღალს და ასე მოხდა ამჯერადაც.

უძველესი და დიადი მისტერიები იყო ის საგანმანათლებლო სკოლები, სადაც გადმოიცემოდა სამყაროსეული კოსმიური საიდუმლოებები ქურუმთა, ხელდასხმულთა და ადეპტთა მხრიდან. ხოლო ის, რაც არ იყო მისაწვდენი ფართო მასებისათვის, ქურუმები მათ განაცდევინებდნენ ხალხს კულტმსახურებაში, რიტუალებსა და სურათხატებში.

იმის გამო, რომ ხალხი ერთ დონეზე ვერ განიცდიდა მისტერიათა ინიციაციას, ხდებოდა მოსახლეობის ფენებად დაყოფა. ამიტომ უმაღლესი ხელდასხმულნი იუპიტერთან დაკავშირებულ პლანეტარულ და სულიერ ძალებს აქცევდნენ ეზოთერიზმის გასაიდუმლოებულ წიაღში, ხოლო უბრალო ხალხისთვის კულტმსახურება მოცემული იყო სურათ-ხატებში. მარსიანული ძალები სახელდებოდა არესით, მთვარეულის არტებიდეთი და ა. შ. ამგვარად, იქმნებოდა მითოსი, სადაც ერთი ხაზის და შინაარსის სხვადასხვა ხარისხია ჩადებული. ამდენად, დაიწყო ადამიანთა კონკურენტუნარიანი სვლა საკუთარი მეს და ინდივიდუალობის დასამკვიდრებლად. ხდებოდა დნმ-ის (გენეტიკური კოდის) სრულყოფა, რათა ადამიანს უფრო თამამი და დამოუკიდებელი ნაბიჯი გადაედგა სამყაროს ძიება-შეცნობაში, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, ხდებოდა მესამე თვალის ანუ სულიერი ჭვრეტის ნათელხილვის დაბინდვა. მან, ადამიანმა, სრულად ვერ წამოიღო ამ ეპოქის ეს უძვირფასესი განძი და ვერ შეერწყა იგი ახალს ისე, რომ ის არ დაფარულიყო. შეიძლება ეს შეუძლებელიც იყო და საკამათოა, მაგრამ ფაქტია, რომ ძველისა და ახლის სინთეზი ვერ არის სასურველ დონეზე

მოცემული.

მკვლევარი ოთარ ქვრივიშვილი ცალსახად ამბობს და, ეს ჩემთვისაც სარწმუნოა, რომ „ისტორიულ პლანში, როგორც არ უნდა ბარბაროსულად მოგვეჩვენოს, ეფესოს დიდებული ტაძრის დაწვა, ან სხვა უბრწყინვალესი მისტერიული კერების დამპყრობელთაგან ნგრევა, ერთიან ისტორიულ პროცესში ეს მოვლენები საკაცობრიო ბედისწერის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, „ძველი მისტერიების დაცემა საღვთო განგებულების შედეგია". მკვლევარს მხედველობაში აქვს არტემიდას ტაძრის დაწვა ჰეროსტრატეს მიერ.

ახლოვდებოდა ქრისტეს მისტერია და ეს სამყაროს უნდა განეცადა ხილულად და ხორციელად და არა ნათელხილვითი ჭვრეტით.

საქართველოში მისტერიული კერების დიდი სკოლები არსებობდა და ზოგადად ყველაზე ღრმა ჩაშიფრვა-გასაიდუმლოება ხდებოდა აქ, კავკასიაში. წარსულის ეს კვალი იმდენად მნიშვნელოვანია ქართველთა ცხოვრებაში, რომ აშკარაა, ცნობიერების ხარისხმა და მათში ჩამოყალიბებულმა გენეტიკურმა კოდმა უნდა შეძლოს ისეთი საიდუმლო ღვთისმსახურება, როგორიც მართლმადიდებლური ქრისტიანობაა. ამიტომ იქმნება პარალელური ხაზები და სახელები, ანუ მისტერიული კერები, რაც ქრისტეს მისტერიას უკავშირდება. აი, სწორედ ამან განაპირობა, რომ დაფლულიყო სვეტიცხოვლის საკურთხევლის ქვეშ ქრისტეს კვართი, ყოფილიყო საქართველო ღვთისმშობლის წილმხვდომი ქვეყანა, ექადაგა წმინდა ნინოს და განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებოდა წმინდა გიორგის კულტს და ბევრ სხვას.

საქართველო მისტერიების ეპოქაში ორი უდიდესი და ღრმა კოდის მატარებელი მითით შედის მსოფლიო კულტურაში, ერთია – იაზონის მიერ ოქროს ვერძის მოტაცება მედეას დახმარებით და მეორე – ამირანი ანუ პრომეთეს ცეცხლი, ღმერთთან შებრძოლება და მისგან დამოუკიდებლობის მოპოვება.

პირველი მითი ასეთი წიაღსვლის მატარებელია: ქალღმერთმა ნეფელემ თავის ვაჟს – ფრიქსეს, ჰერმესისაგან ბოძებული ოქროსმატყლიანი ვერძი გადასცა და დასთან ერთად კოლხეთისაკენ გაემგზავრა – მეფე აიეტის და მისი ქალიშვილის მედეას ქვეყანაში. კოლხეთში მისულმა ფრიქსემ ვერძი კოლხურ ღმერთებს შესწირა, ტყავი კი – აიეტს გადასცა, სადაც მოცემული იყო ოქროს დამუშავების და მოპოვების ხერხი.

ისტორია მკაცრად იძლევა ცნობებს, რომ კოლხეთში ვითარდებოდა უმეტესად ჰერმესული ხასიათის კერები, რომლებიც ძირითადად გულისხმობდნენ ოქროს მოპოვებას. არ დაგვავიწყდეს, რომ ოქროსმატყლიანი ვერძი ჰერმესისაგან არის ბოძებული, ასევე მეტალურგია და ვაჭრობა, რადგან ჰერმესი (იგივე მერკური) მთლიანად ითავსებდა ამ საქმის მფარველობას, და მესამე და დიდი მისტერია (კერა) იყო დიონისეს (ბახუსის) კულტი, რომელსაც ჩვენთან ასაიდუმლოებდნენ ანგურას და ჯუჯელიას სახელით. დიონისე ხომ მხოლოდ და მხოლოდ გაზრდილია ჰერმესის მიერ, ე. ი. ამ ცოდნით და სწავლულებით ღვინისა და ვაზის ღმერთი ჰერმესმა აღჭურვა.

ისტორია ხშირად ქადაგებს, რომ ეგვიპტელებს და კოლხებს ან სხვა ძველ ცივილიზებულ ხალხებს შორის მჭიდრო კავშირი იყო და უფრო ხშირად ამბობდნენ იმას, რომ ჩვენ ერთი წარმოშობა გვაქვს. სინამდვილეში კი საქმე გვაქვს მისტერიების გატანასთან ერთი მხარიდან მეორეში, შერწყმასთან, გასაიდუმლოება-დაფარვასთან,

შენახვასთან და სხვა, რაც ერთ კულტურას გარკვეული გამდიდრების სახით გადაეცემოდა სხვა კულტურიდან. ასევე სავარაუდოა, რომ კოლხეთში უფრო იქმნებოდა ფარული და საიდუმლო კულტურების კერები და ღიად და თვალ'ში მოსახვედრად არ ჩანს, როდესაც ბერძნულ-რომაული კულტურა აბსოლუტური დომინანტია ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ახ. წ. V საუკუნემდე, ანუ რომის იმპერიის დაცემამდე.

ძვ. წ. აღ. 1100 და 721-707 წლებ'ში, როდესაც ასურეთის მეფეები ტიგლათ-პილასარ I და სარგონ II ნაირობის ქვეყნებს, თუბალებს, მუსკებს, იგივე მესხებს დაიპყრობენ, მათი მატიანე მხოლოდ ამ ქვეყნების, კოლხეთის და მისი მეზობელი სამეფოების სიმდიდრესა და აღმავლობაზე საუბრობს.

ძვ. წ. აღ. XII ს-ში, როდესაც იაზონის მიერ ვერძის მოტაცების მითს ვარაუდობენ, ასტროლოგიური თვალსაზრისით არის ხარის ზოდიაქოთი განსაზღვრული ეპოქის დასასრული და ცხვრის ანუ ვერძის დასაწყისი. ამიტომ არის, რომ იაზონს ცხვრის ტყავის მოსაპოვებლად ხარების დამორჩილება უხდება, რომლებსაც სპილენძის ჩლიქები აქვთ. ამგვარად, ბერძნები აქედან იტაცებენ ოქროს წარმოების ცოდნა-მისტერიას და თავდება სპილენძის ხანა, რომელიც ხარის ზოდიაქოში იყო. უეჭველია, რომ ადამიანმა ცოდნის ჩამოყალიბება დაიწყო ასტროლოგიით, ვარსკვლავთგანლაგებით. ასე ვთქვათ, ცოდნა პირველად დედამიწაზე დალაგდა, დაბალანსდა ციდან და შემდეგ მისია დაეკისრათ სხვადასხვა ერებს.

ამგვარად, სამყაროს განვითარების მომავლის ცოდნა, თავის სცენარით უკვე დაწერილი იყო და მოვიდა დრო ამ ცოდნის სამზეოზე გამოტანისა. ამ მიზეზით ბერძნები იტაცებენ ახალ ცოდნას, რომელიც შენახული და ჩაშიფრული იყო კოლხეთში, მისტერიულ კერაში.

ძვ. წ. XI საუკუნიდან ქართველური ტომები კიმერიელთა შემოსევის შედეგად განიდევნებიან ახლო აღმოსავლეთიდან, კაბადოკიიდან და დღევანდელი თურქეთის სხვა ტერიტორიებიდან და რჩებათ მხოლოდ ძველი ადგილები – კავკასიის ქვეშ მდებარე მიწა-წყალი. კოლხურთან ერთად პარალელური ფუნქცია ეკირსებოდა მინოსურ კულტურას, რომლებსაც ეთნიკური თვალსაზრისით ისტორიკოსები ერთმანეთს ანათესავებენ. ახლა, კვლავ დავუბრუნდეთ მითების მონაწილე გმირთა ნათესაურ კავშირებს, რაც ავტომატურად გულისხმობს მისტერიულ კერათა ურთიერთნათესაობას.

აიეტის დები არიან კირკეა და პასიფაე. თეზევსი მინოსისა და პასიფაეს ქალიშვილის არიადნეს (მედეას მამიდაშვილი) დახმარებით აღწევს თავს მრისხანე მინოსის ლაბირინთს, ეს ისევეა, როგორც მედეას და იაზონის მითში, სადაც მოცემულია მრისხანე აიეტის მიერ ქალიშვილისა და სიძის დევნა. აიეტის დის, კირკეას ჯადოქრობისგანაც ოდისევსი სიყვარულმა იხსნა, რომელსაც თავდაპირველად კირკეამ ჯადოსნური წამლით დაავიწყა სამ'შობლო და ერთი წლის განმავლობა'ში დატოვა კუნძულ აიაზე (როგორ ემთხვევა ეს სახელი ჩვენს კუტაია, აიას) და მხოლოდ შემდეგ გაემგზავრა სამშობლოსკენ – ითაკასკენ. კირკეა დაეხმარა ოდისევსს, რათა ქვესკნელ'ში მოხვედრილიყო და ტერეზიასგან გაეგო ითაკას ამბები. მოკლედ, ამ მითებში ენება და სიყვარული გადამრჩენის მისიას ასრულებს.

ახლა გადავიდეთ ზემოთ თქმულის ანალიზზე და ვთქვათ, რომ სიყვარულის გზით სამივე შემთხვევაში გმირებს თეზევსს, ოდისევსს და იაზონს ერთი ოჯახის ქალები – კოლხეთის მეფის ქალიშვილი და დისშვილი ეხმარება, რომლებიც

გრძნეულების და საიდუმლოებების მცოდნენი არიან. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს გმირები თავს აღწევენ დაბრკოლებებს და აღწევენ მიზანს კოლხური მისტერიული სკოლების ინიციაციით, ხელდასხმით და ცოდნით.

მაგრამ ასევე საგულისხმოა, რომ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში სტრაბონი ამბობს: „კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებითა და ტყავებით აგროვებენ“, და აპიანეს (II ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები სქელმატყლიან ცხვრის ტყავს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება“ – ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ან გაფერმკრთალდა და დაძველდა ეს ცოდნა, ან გააღეს ეს კოდი და ხილულად, თვალნათლივ უჩვენებდნენ მისტერიის საიდუმლო ნაწილს. მაგრამ, არის მესამე და უფრო სარწმუნო წყაროც, კოლხებმა კოდი გააღეს იმის გამო, რომ ძალებმა, რომლებიც პლანეტათა ჰარმონიიდან მუსიკის ძალით იღვრებოდნენ და დედამიწაზე სტიქიურ მოვლენებში ისახებოდნენ, ფაქტიობრივად ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები. დედამიწაზე არსებულ სტიქიურ ძალად მიიჩნევა მთის ბროლი, კაჟი და ქვიშა, რომლებიც სუბსტანციური თვალსაზრისით იგივე ნივთიერებაა, რაც სილიციუმის ჟანგი – SiO_2, მაგრამ მათთან შედარებით მთის ბროლი განსაკუთრებული სისუფთავით გამოირჩევა. სულიერი თვალსაზრისით მასში მკვეთრად ირეკლება, იგივე ის სულიერი ძალები, რომლებიც სხვადასხვა ინტენსივობით ვლინდება კაჟსა და ქვიშაში. როცა ამ ძალების აღქმა ხდებოდა ვარსკვლავურ განზომილებებში, ქურუმები სულიერ მზერას ვერძის ზოდიაქოსკენ მიაპყრობდნენ. ზოგადადაც ცნობილია, რომ ვერძის ზოდიაქო ითვლება იმ ძალების „სამშობლოდ“, რომლებიც მიწიერ სუბსტანციათაგან ქვიშაში, კაჟში, მთის ბროლში ვლინდებიან. ქვიშის სუბსტანციიდან მომავალი ძალები განსაზღვრავენ მცენარეთა ფერადოვნებას, კალორიულობას, კვებით ხარისხს და სხვა მსგავსს. ამიტომ არის, რომ ხვანჭკარა (ვაზი), მისთვის დამახასიათებელი პარამეტრებით, მხოლოდ ერთ პატარა კუთხეში მოდის და არა სხვაგან, რადგან აქ მონაწილეობას იღებენ მზე, პლანეტები და მათი მიწასთან შეერთების პროცესი. რა თქმა უნდა, იგივე ხასიათის ზემოქმედებას ადამიანები კიდევ უფრო მძაფრად განიცდიან. ამიტომ ერთი და იგივე მინერალი შეიძლება სხვა კონტინენტზე არ იყოს იმავე თვისების მატარებელი, როგორიც აქ, თავის სამშობლოშია, სადაც ის აღწევს სრულყოფილებას და საერთოდ, როდესაც ადამიანები მიდიან სხვა ქვეყანაში ისინი სხვა კარმის, აურის და შარმის მატარებლები არიან. ამ უწონასწორობას სჯობია გაფრანგდე, გარუსდე და გარდაიქმნა, ვიდრე ატარო შინაგანად ორი სხვადასხვა ცნობიერი კულტურა.

ქართულ ზღაპრებში ხშირად გვხვდება ბროლის, მინის, ქვიშის თუ კაჟის კოშკი, რომელსაც იცავს გველი, გველეშაპი და სხვა ამგვარი, სადაც მოცემულია, რომ ბუნების ძალებზე გამარჯვების მოპოვების უნარი, სწორედ ამ დაბრკოლებების გადალახვასთან არის დაკავშირებული. არ+გონავტებში შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს საწმისს დარაჯობს გველეშაპი და საინტერესო ის არის ჩვენს წინაპრებში, რომ ისინი შიფრის კოდირებას და გასაიდუმლოებას ახდენდნენ ყველაფერში – ლექსში, სიმღერაში და თვით საბავშვო ზღაპრებში, რათა შემდეგ მოწიფულებს

უფრო იოლად დაეძლიათ მისტერიული სკოლები, ტრადიციული განვითარების ხაზით. ოქროს მოპოვება სიმბოლურად მზის ძალებთან ზიარებას ნიშნავდა და მზის ყველაზე აქტიური ზემოქმედება – გავლენა ხდებოდა ოქროში. აქვე გვინდა შეგახსენოთ, რომ აიეტი მზის ღმერთის ჰელიოსის შვილი იყო, ანუ აიეტი წარმოადგენდა ჰელიოსის მითის მისტერიის გაგრძელებას და იქიდან იღებდა სათავეს კოლხეთის მზიურ მისტერიებში, რაც ოქროს მოპოვებით ფიქსირდებოდა, მიმდინარე სულიერი პროცესები. ლეგენდა კი აზუსტებს ამ სულიერი ცხოვრების ხასიათს, რომ ოქრო ქვიშისაგან გამოცალკევებით მოიპოვებოდა. აქ კი ყველაფერი საიდუმლოებით,ჯადოსნურობით და გრძნეულებითაა მოსილი, ასევე კოლხეთშია ჰეკატეს ბაღი, რომელიც წარმოადგენს ყველასათვის მიუღწეველ აფთიაქს.

არც ოქროსმატყლიანი ცხვრის ტყავი მონაწილეობს მითში ფუნქციის გარეშე. ცხოველისა და ადამიანის ძვლოვანი ჩონჩხი კალციუმიანი ნივთიერების გამოვლენაა, ასევე მათ ზედაპირს – ტყავს აყალიბებს სილიციუმოვანი პერიფერიული ძალები. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქვიშაში არეკლილი სულიერი ძალები, ცხვრის ზოდიაქოთი იღებს ვარსკვლავურ ზეგავლენას ცხოველებში და ადამიანებში ვლინდებიან ტყავის სახით. იგივე ძალები მცენარეულ სამყაროში განსაზღვრავენ მცენარეთა სამკურნალო თვისებებს. სწორედ ამ ძალებთან ურთიერთკავშირი განაგებს მედეას გრძნეულებას წამლების დამზადებაში. აქვე გავიხსენოთ, რომ იუდეას უდაბნოში „იოანეს ემოსა აქლემის ბეწვის სამოსი და წელზე ერტყა ტყავის სარტყელი" (მათე. 3, 4) იქ, სადაც უდაბნოს ქვიშაც და მზეც ჭარბად არის წარმოდგენილი და უნდა ვივარაუდოთ იოანე წინასწარმეტყველზე ზემოქმედება პლანეტარული ძალებით, ერთ-ერთი სწორედ აქლემის ბეწვზეა დამოკიდებული.

იოანე ნათლისმცემელი უნდა აღიჭურვოს ისეთ სულიერ ძალად, რომ მოახდინოს ძე – ღმერთის ნათლისღება და მის სხეულში დაიბადოს ღმერთი, რაც სრულდება კიდეც.

ასევე ტყავთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ჰელესა და ფრიქსეს დედას, ქალღმერთ ნეფელეს, კიდევ ჰყავდა შვილი კენტავრი ქირონი, რომელსაც თავი და ზედა ტანი ადამიანის აქვს, ქვედა ცხენის, მაგრამ მას ათენასგან მიღებული აქვს ღვთაებრივი სიბრძნე. ხშირად იგი ტყის ღვთაებადაც არის წარმოდგენილი და ამით მას დაკისრებული აქვს ცხოველმყოფელობის ძალის ტარება, მცენარეული სამყაროს გასაიდუმლოებული ცოდნა და ამით მკურნალობა, მაგრამ ყველაზე საინტერესო არის ის, რომ შესანიშნავად ფლობს მუსიკალურ ხელოვნებას ანუ იცის ჰარმონიის კანონზომიერებები. იგი ასწავლიდა ბალახეულის საიდუმლოებებს და თვით მკურნალობს აპოლონს და მის შვილს ასკლეპიოსს, არგონავტებს, სიმღერას – ორფეოსს და სხვებს. კენტავრი ქირონი გვევლინება კრებით ძალად, რომელიც ერთდროულად ფლობს ამ მაღალ თვისებებს და ერთი ადამიანი მოიცავს როგორც ბუნების ელემენტებში გამოვლენილ თვისებებს, ასევე სფეროთა ჰარმონიიდან გამომდინარე ძალებს. ე. ი. კენტავრ ქირონის მისტერია, საწყისი ბირთვის მქონე შინაარსის შემცველია, რომელსაც სჭირდება ცხენის ან ძროხის ტანი იმისთვის, რომ რაც შეიძლება კარგად გაჯერდეს პლანეტარული და კერძოდ, მზის მოქმედებით მისი ტანი, რათა შემდეგ იმავე სხეულით, ექსტრაქტის სახით მიაწოდოს გონებას.

მცირე გადახვევით მინდა ასევე გითხრათ, რომ ქართული ჯიშის ძროხები,

მხედველობაშია შავი და წითელი ფერის ტყავის სამოსში მოცემული ოთხფეხა, წარმოადგენს იშვიათ ჯიშს მთელი მსოფლიოსათვის, რადგან მისი ტანი ყველაზე თანაბარზომიერად შთანთქავს მზის სხივებს და შემდეგ არის მისთვის სასარგებლო სამყურა და იონჯა.

კოლხეთში, ვერძის ტყავის მოდარაჯე დრაკონი, ორფეოსმა დააძინა სიმღერით იმიტომ, რომ ის ფლობდა სიმღერის გრძნეულების საიდუმლოებას და, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სფეროთა ჰარმონიას და მიწიერ ყოფაში ბუნების ჰარმონია ვლინდება კოსმოსურ სამყაროში, რაც ვარსკვლავური დამწერლობის კითხვას გულისხმობს და სიმბოლურად ვეფხვის ტყავით გამოისახება. იაზონთან ეს მომენტი გათვალისწინებულია და არ შეიძლება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც" ეს აზრი, სამყაროს ჰარმონია — მზისა და მიწის კავშირი არ იყოს სიმბოლიზებული. საერთოდ, არაფერი ისე არ მაოცებს ამ ძიებაში, როგორც მისტერიათა ეპოქა, და თუ აღსდგება იქ არსებული სიზუსტე, მაშინ ისტორიის მაჯისცემა საათის მექანიზმივით იწიკწიკებს. მცირე დეტალიც არ არის სარიტუალო წიაღსვლებში და ადამიანთა ინიციაციაში, რომელიც ღვთაებრივი ფუნქციით არ იყოს დატვირთული. ამ წერილში გამოყენებულია ფრაგმენტები მწერალ ოთარ ქვრივიშვილის ნაშრომიდან „სვეტიცხოვლის მისტერია".

ადამიანის ზომები სამყაროსთან მიმართებაში

(დრო, სივრცე, კოსმოსი, დედამიწა)

უკვდავების ჩქერალით მთვრალი ადამიანი, ეროსის ნექტარით და ამბროზიით არის გაჟღენთილი, მუდმივად ეძებს ცხოვრების საზრისს და ჭვრეტს შეუცნობს, რომელსაც ბურუსის თხელ ფენებს ნელ-ნელა, ასო-ასო აცლის და უახლოვდება შემოქმედს. ცხოვრების საზრისი კი როგორც წყალი, ცეცხლი, ჰაერი, მიწა, ასევე შედგება ოთხი საგნისაგან სული, ფიზიკა, ხელოვნება და მათემატიკა.

მთელი ნივთიერი და არანივთიერი მოვლენები ერთმანეთთან ისეთ ანალოგიურ და პარალელურ კავშირშია, რომ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ შტრიხებზე, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია დროის და სივრცის კოსმიურობასთან და განზომილებებთან. ამ მხრივ საინტერესოა ოთარ ქვრივიშვილის შეხედულებები. იგი ამ ზომების მნიშვნელობის გასარკვევად ადამიანის სხეულს სამწევროვნების პრინციპის გათვალისწინებით აყალიბებს და როგორც ზევით ვბრძანეთ ესენია: — ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეული. ასევე თეოლოგიაში მიღებულია, რომ: მათე ქრისტეს ცხოვრებას აღწერს ფიზიკურ პლანში, მარკოზი — ეთერულში, ლუკა — ასტრალურში და იოანე — არის მისი მე, ანუ მეობა. ადამიანებმა პირველი მითითებები სამყაროს მოწყობაზე მიიღეს ნათელხილვით, გამოცხადებით და სხვა მსგავსით.

წარღვნის პერიოდი არის რევოლუციური და გარდამტეხი გადასვლა ახალ ცნობიერებაზე. წარღვნა ჩვენ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მოხდა იმ დროის მსოფლიოს წყალში დაძირვა, არამედ განადგურდა ძველი ცნობიერება და ამასთან ერთად მოხდა ცვლილებები ადამიანის სხეულის სტრუქტურაშიც. ამ დროს ეთერული სხეული ღრმად იჭრება ფიზიკურ სხეულში და ძალზე უახლოვდება ნოეს კიდობნის ზომებს (300X50X30 – წყრთა). სამივე ეს ზომა კარგად ესაბამება სხეულის სამ გაბარიტულ პარამეტრს. ხელაწვდილი ადამიანის სხეული ზუსტად თავსდება მოცემული პროპორციებით აგებულ მართკუთხა პარალელეპიპედში.

ძველ მისტერიებში ხელებაწვდილი ადამიანის სიმბოლოს უამრავი დატვირთვა ჰქონდა – სისრულის, ზეცის და ღვთაებისაკენ სწრაფვის, სრულყოფილების, განვითარების და სხვ. ადამიანის ანუ ნოეს კიდობნის ფორმაში პირველად გამჟღავნდა ადამიანის სხეულისა და ტაძრის ფორმის ურთიერთკავშირი. ქრისტიანულ მოძღვრებაში ერთ-ერთი არსებითია ადამიანის სხეულის ტაძრად განმარტება, „ხორცნი ეგე თქვენნი ტაძარნი თქვენ შორის სულისა წმინდისანი არიან". რაც შეეხება იდეას, რომ ადამიანი ტაძარია ღვთისა და ფიზიკური სიკვდილის შემდეგ კვლავ გადადის ეთერულ მდგომარეობაში, მკვეთრად ჩანს ძველ მისტერიებშიც.

საერთოდ კი, ქრისტიანული ეკლესიის წინასახეებად უნდა მივიჩნიოთ მოსეს კარავი, სოლომონის ტაძარი, ბაბილონის ტყვეობის შემდეგ აგებული ტაძარი და წმინდა ნაწილები.

უზენაესი გაგებით ტაძარი უფლის ხატია, სადაც თავს იყრის და ერთიანდება მრავალი არსება. ხუროთმოძღვრული ფორმით განასახიერებს კოსმოსის ხატსაც, უხილავ და ხილულ არსებათგან შედგენილს. ამასთანავე, ტაძარში ქვეშეცნეულად წარმოიდგინება გრძნობადი სამყაროს ხატი. წმინდა მაქსიმე აღმსარებელი, წმინდა დიონისე არეოპაგელზე დაყრდნობით, საკურთხეველს ადარებს ადამიანის სამშვინველს, სამსხვერპლოს – გონებას, ტაძარს – სხეულს.

ამგვარი აზროვნების საწყისია ძველი ქალდეა, შუმერები ანუ ქართველთა წინაპრები, და უტყუარია, რომ ქართველთა სულიერ მისიაზე ლაპარაკი ჯერჯერობით აქედან უნდა დავიწყოთ და შემდეგ ვნახოთ გადაიწევს თუ არა ეს ზღვარი ისტორიის სიღრმე'ში. ძველი ქალდეველი ქურუმები, პლანეტარულ სისტემას კოსმოსურ წიგნად მიიჩნევდნენ და ცდილობდნენ ის წაეკითხათ და შეექმნათ მისგან ანალოგიები. ისინი მთელ სივრცეს წარმოადგენდნენ არა როგორც მკვდარ მატერიას, არამედ – ცოცხალ გეომეტრიულ სიმბოლოებად, გაცხადებულს ღრმა ღვთაებრივ სულიერებაში. ქალდეველები ცაზე ამოხსნილ ამოცანებში ხედავდნენ ღვთის ნებას და, უდავოა, რომ მთელი მეცნიერების ყველა დარგი სულიერების და მიწიერების ერთმანეთთან სინთეზით აიხსნა და გადმოიცა.

ბუნებრივია, აზროვნების შედეგად გაძლიერდა ადამიანის კოდი და გონება. იგი ხდებოდა დამოუკიდებელი და უფრო მეტად მატერიალიზებული, რაც იწვევდა მის მოცილებას სულიერებიდან და იგი ნელ-ნელა კარგავდა სულიერი შეგრძნებების იმპულსს.

მატერიალიზმის სქელი ნისლი ფარავს ადამიანის ცნობიერებას და იგი მთლიანად დაეყრდნო პრაგმატული და ყოფითი საგნების საზღვრებს, იქცა სამყაროს ცენტრად და საზრისად. მიუხედავად ყველაფრისა, პითაგორა და მისი მიმდევრები აცხადებდნენ,

საბოლოოდ ყველაფერს ამოხსნის რიცხვითი განზომილებები. მათი შემდგომი ფილოლიც ბრძანებს, რომ: „ყოველი შეცნობადი, რა თქმა უნდა, გამოისახება რიცხვით, რადგან მის გარეშე ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა რაიმე შეგვეცნო, ან გაგვეაზრებინა“.

დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს ადამიანის სხეულიდან გამომდინარე ძირითადი საზომი ერთეულის განსაზღვრის თაობაზე. ამიტომ იყო სხვადასხვა გემოვნებითი აღწერები ადამიანის გარეგნულ მშვენიერებასა და სრულყოფილებაზე. ადამიანის გარეგნობაზე მის ჟამთასვლაში მოცემული ზეგავლენის განცდილი რელიგიური მრწამსიც არსებობს, თორემ მხოლოდ ტრადიციის გადაცემით ვერ მიიღებდნენ ერთი რელიგიის წარმომადგენლები ამდენ მსგავს და განმასხვავებელ ნიშანს, რომ ასე სწრაფად ვხვდებით, ვინ ან რომელი ქვეყნის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ესა თუ ის ადამიანი.

ანალოგები და მსგავსი პარალელები გააჩნია ადამიანის აგებულებასაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის გაშლილი ხელების სიგრძე, მისივე სიმაღლის ტოლია, ამ სიმაღლეში თავსდება ოთხჯერ მისი წყრთა (მანძილი იდაყვიდან თითის წვერამდე და ექვსჯერ ფეხის ფუტი – ფეხის ტერფის სიგრძე). ეს განზომილებები თავის მხრივ დაყოფილია უმცირეს ერთეულებად – თითის სიგანედ, რომელიც ფეხში 16-ჯერ თავსდება, წყრთაში – 24-ჯერ, მხარში – 96-ჯერ. ვერტიკალურად ხელებაწვდილი ადამიანი 5 წყრთის ტოლია, რადგან თავს ზემოთ ემატება მას კიდევ ერთი წყრთა და არც დანარჩენ შუალედურ სიდიდეებშია ძნელი საერთო ენის გამონახვა.

ამ დროის ინდური კულტურა ადამიანის სხეულს „ცეცხლოვან კვადრატში“ ჰორიზონტალურად გაშლილი ხელებით წარმოადგენს და მის ანალოგ ყველა პარამეტრსაც იცნობს. მაგრამ ძირითად საზომ ერთეულად განიხილავს ფეხზე მდგომ, ხელებაწვდილ ადამიანს, რომლის ზომაში თითის ზომა 120-ჯერ თავსდება.

შუამდინარეთის ეზოთერული კუთხით წრე კოსმოსის ფიზიკური ხატია, კვადრატი – სულიერი ხატი.

ძველი ეგვიპტური მისტერიით – საშუალო ადამიანის ზომას ემატება მისი 1/6 ნაწილი, ე.ი. ფეხი და ძირითად საზომად მიღებულია არა ადამიანის საშუალო სიმაღლე, ვერტიკალურად ხელებაწვდილი ადამიანი, არამედ მათ შორის 7/6 ნაწილი ადამიანის სიმაღლისა (209,2 სმ). შუამდინარეთში ძირითადი საზომი ერთეული ხშირად ცვალებადი იყო, რაც მიუთითებს ვარსკვლავთმოძრაობაზე და ა.შ. ბაბილონურ-ასურულ ძირითად საზომ ერთეულად მიღებული იყო 129,0 სმ, შუმერის ტერიტორიაზე – 198,8 სმ. ნათელია, რომ ისინი ამ შემთხვევაში არ სარგებლობდნენ ძირითადი საზომი ერთეულით (ვერტიკალურად ხელებაწვდილი ადამიანი), მაგრამ ცხოვრობდნენ იმ სწავლულებით, რაც პასუხობდა მათი სულიერი განათლების ხარისხს.

ბერძნული კულტურა ამ მხრივ იყენებდა 183,0 სმ სიმაღლის განზომილებას, რომაული – 177,6 სმ და ა. შ.

კულტურულ ეპოქათა მონაცვლეობა არა მხოლოდ დროში ექვემდებარება გარკვეულ დოგმებს, ანუ ის, რასაც მათ დედამიწაზე არსებული ტრადიცია და გაბატონებული სტერეოტიპი უკარნახებს,არამედ ისინი იცვლებიან მზის გადაადგილების შესაბამისად, ზოდიაქოდან – ზოდიაქოში.

რიცხვთა თეორია სწორედ ის აზროვნებაა, რომლის შედეგად მიღებული ლოგიკა

მიიყვანს ადამიანს აზროვნებამდე, რომ ადამიანიც, დედამიწაც და კოსმოსიც ის ფიზიკური სხეულებია, რომლებიც გაერთიანებული არიან სივრცე-დროის ერთიან სისტემაში.

ანტიკურ ხანაში კოსმოსის მოდელი განსაზღვრულია ერთ მონაკვეთურ ანუ სასრულიან სისტემად, შემოსაზღვრულს ცის შორეული სფეროთი. ამ სფეროს ცენტრია დედამიწა და მის ირგვლივ მბრუნავი სფეროები. უტყუარია, რომ დედამიწა სიმბოლურად ნიშნავს ადამიანს, მის უპირატესობას სამყაროში. ერთი მწერი ინფორ-მაციის თანახმად, პითაგორას მოსმენილი ჰქონდა სფეროს მოძრაობის ხმა, რომელთა – დედამიწის და ბროლის სფეროების მოძრაობით, იბადება კოსმოსური მუსიკა – „სფეროთა ჰარმონია". მათზე განლაგებული არიან ციური სხეულები – მზე, მთვარე და ხუთი პლანეტა.

ფილოსოფიაში ხშირად საუბარია ცხრა, შვიდ და ხუთ ცაზე. არისტოტელემ სწორედ მეშვიდე თუ მეხუთე, ყველაზე შორს მდებარე ცას უწოდა მეტაფიზიკა, ანუ შეუცნობი და შეუღწევადი მატერია – ფიზიკა, ანუ მეტაფიზიკა. არისტოტელე კოსმოსის აგებულებას უკავშირებდა ხუთ ელემენტს, – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი და რაც არსებობდა დედამიწიდან მთვარემდე, მეხუთე ელემენტად კი იღებდა მთლიანად ეთერულ გარემოცვას.

კოსმოსის სასრულობის, ანუ შემოსაზღვრულობის არსად იგულვებოდა ღმერთი – გამოუთქმელი, გონებით მიუწვდომელი სუბსტანცია.

კოსმოგონიის განვითარებამ, ადამიანურ წარმოშობაზე კაცობრიობას უმშვენიერესი ნაყოფი მისცა და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს ცვლიდნენ და ენათესავებოდნენ კიდევაც, ყველამ თავის მხრივ მნიშვნელოვანი კაპიტალი შემატა ერთ საერთო საქმეს. ყველაზე თამამი განაცხადი ამ საკითხებში ნიკოლო კომპერნიკმა შეიტანა მე-16 ს-ში და დაანგრია პტოლომეოსთა ასტრონომია, რომლის ამოსავალი დებულება თვალნათლივი, ხილული მოვლენები იყო – ციურ სხეულთა მოძრაობა. ნიუტონმა განავითარა ყურადღება მოძრაობის პირველმიზეზზე და კარგად ხანს თვლიდნენ, რომ სამყარომ შეიმუშავა მიკრო და მაკროსამყაროს უნივერსალური თეორია და თითქოსდა, რაციონალური პრაგმატული აზროვნების წყალობით ღვთაებისა და ჭეშმარიტების შემეცნება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელიც რელიგიური აზროვნების ხარისხში ეხმარებოდა ადამიანებს არსებობისათვის ამ დროისათვის მთლიანად დაცარიელდა და მხოლოდ ზოგიერთ ტომში ინარჩუნებდა ადგილს, რომელიც თავის მხრივ წინ უსწრებდა ყველა რელიგიას და სამყაროს დასაბამში ხდებოდა მისი ადაპტირება კაცობრიობის ადეპტების მიერ.

გაცნობილი იქნა დემოკრიტეს ატომისტური თეორიაც, სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესის მიზეზ-შედეგობრივი სახით, რომლისგანაც შექმნეს უზარმაზარი მექანიკური საათი. ყოველივე ამის თხრობა საჭიროა იმისთვის, რომ მიმოვიხილოთ განვლილი გზა ისე მოკლედ, როგორც ერთ წვეთში ასახული სამყარო და ვთქვათ, რომ ყველა მოძღვრებაში იყო კეთილი და ნაყოფიერი მარცვალი, რომელთა სინთეზი მიიყვანს ადამიანებს ჭეშმარიტებამდე.

სამყაროს მოწყობის ანალოგიური თანამედროვე თეორიების უპირატესობა ძველთან შედარებით ისაა, რომ მატერიალური კუთხით იძლეოდა ობიექტურ სურათს. დედამიწა და ვარსკვლავთა სისტემა მართლაც მოძრაობს მზის გარშემო და ისიც აღარ არის

სადავო, რომ უამრავ მზეში ჩვენი მზე საშუალო სიდიდისაა.

სამყარომ დაკარგა ფიქრი, რომ არსებობს ერთი რომელიმე უძრავი წერტილი და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყოველივე და ყველაფერი რამდენიმე განზომილებით მოძრავია. დიდ დიაპაზონში, ოთხი სინათლის წელიწადიდან მილიარდობით სინათლის წელიწადად შეიცვალა. მათგან გამოსხივებული სინათლე, რითაც მათ ვარსკვლავად აღვიქვამთ, დიდი დროის წინ მომხდარა, ანუ მილიარდობით წლის წინ და დღეს მოაღწია მხოლოდ ჩვენამდე და ვარსკვლავთა მაშინდელ სახეებს ვხედავთ. ე. ი. ვარსკვლავთა ცა, მხედველობაშია, შორეული და მოციმციმე პლანეტები, დღევანდელი პლანეტების ანარეკლი კი არაა, არამედ მათ ეს ციმციმი თუ სხივი მილიარდობით წლის წინ გამოაგზავნეს.

დიდი შესწორებები შეიტანა სამყაროს კოსმოგონიაში კვანტურმა მექანიკამაც, რომელმაც დაანგრია სამყაროს უნაშთოდ დეტერმინირების პრინციპებით წარმოდგენის იმედი. ეჭვქვეშ დადგა მატერიის უმცირესი განუყოფელი ნაწილაკის არსებობაც, რადგან ატომთა დაშლის პროცესში აღმოჩნდნენ ნაწილაკები, რომლებიც დროის უსასრულო მონაკვეთებშიც ინარჩუნებდნენ არსებობას და უკვე აღარ გააჩნდა შემადგენელი მატერია. ატომის დაშლის ამ ეტაპზეც იკარგებოდა დროის ჩვეულებრივი გაგებაც. ელემენტარულ ნაწილაკთა ამ სამყაროში სივრცე და დრო წაშლილად გამოცხადდა, სადაც ხდომილებები ერთმანეთს დროში ენაცვლებიან. წაიშალა მატერიასა და ენერგიას შორის გამყოფი ხაზი. მათი აზროვნების წესრიგიდან ამოვარდა მცნებები – „ადრე", „გვიან" და სხვა ხდომილებები დროის ჩვეულებრივი გაგებით შებრუნებული თანმიმდევრობითაც შეიძლება ვითარდებოდნენ და ა. შ.

საბოლოოდ მიღებულ იქნა, რომ ელემენტარულ ნაწილაკთა მიკროსამყაროში, ასევე ციური სხეულებით განსაზღვრულ მაკროსამყაროშიც, სივრცეზე, დროსა და მატერიაზე ჩვეულებრივი განმარტება მიუღებელია. მაშასადამე, მიწიერ ყოფაში აღმოჩენილი კანონები, რომლებიც იყვნენ ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერების კანონები, გამოსადეგია მხოლოდ დროისა და სივრცის მცირე, ადამიანით განსაზღვრულ ნაწილში.

სამყაროს ასეთი მატერიალისტური გააზრება იყო ამბოხი საკუთარი, შინაგანი სამყაროს წინააღმდეგ და ყოველივე ამან გამოიწვია უკიდურესად რაციონალური გააზრება სასიცოცხლო მოვლენების, რამაც საბოლოო ჯამში ძალზე დაუცველი და მარტოსული დატოვა ადამიანი. ადამიანის არსება საუკუნეების განმავლობაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ასე დევნიდა სულიერების განცდას, რაც საერთოდ, ზოგადად თუ მეტნაკლებად დამახასიათებელია ადამიანის გონებისთვის. მეცნიერება და სხვადასხვა თეორიები აგრესიულად უტევდნენ ადამიანის სიცოცხლეს, მის არსებობას და იგი პირისპირ, შიშველი ხელებით აღმოჩნდა ამ ვეშაპთან.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენს უახლეს ისტორიაში კოსმოგონიის ჩამოყალიბების ფუნდამენტური მოძღვრება – აინშტაინის ფარდობითობის თეორია. დიდმა მეცნიერმა სივრცე და დრო ერთ მთელში წარმოადგინა და სივრცე-დრო ოთხგანზომილებიან სისტემად დაყო. ამან გამოიწვია ის, რომ მოვლენაზე დაკვირებას მიეცა დიდი მნიშვნელობა. ამით მან განსაზღვრა, რომ თუ სხვადასხვა დამკვირვებელი, სამყაროს მოვლენას სხვადასხვა წერტილიდან შეაფასებს, მიიღებს სხვადასხვა შედეგს და მათი ყველა დასკვნა ცალ-ცალკე განხილული სისტემისათვის

იქნება სწორი და სამართლიანი. ამ სახით წინა პლანზე წამოიწია სისტემათა ურთიერთმოძრაობის საკითხმა, თუ ადგილი გვექნება მაღალი სიჩქარით მოძრავ სხეულებთან, სადაც ნიუტონის მექანიკის ცნებები აღარ იძლევიან ზუსტ პასუხებს, რადგან მოძრავი დამკვირვებლის საათი თითქოსდა უფრო ნელა მუშაობს, ვიდრე უძრავი დამკვირვებლისა. ობიექტური ინფორმაციის მიღება კი მთელი სისტემის სივრცე-დროის ოთხგანზომილებიან კონტინუუმის კანონების და ცნებების მიხედვით დადგინდება.

აქედან გამომდინარე ვვარაუდობთ, ყველა ხილული მოვლენა ფარდობითია იმისდა მიხედვით, თუ ათვლის რა სისტემას ავირჩევთ მის განსახილველად. საბოლოო ჯამში კი ყველა სისტემა და მოვლენა თანაბარუფლებიანია ათვლის შედეგთა ობიექტურობის თვალსაზრისით.

ფარდობითობის თეორიის ასეთი შეფასების მიხედვით, სამყაროს ცენტრში დგას კვლავ დედამიწა, და ასკვნის, რომ სამყაროში არ არსებობს რაიმე წერტილი, ათვლის სისტემის იქ გადატანას რომ ჰქონდეს ადგილი, შედეგის მიღების თვალსაზრისით. ხოლო, რადგან სამყაროს ერთადერთი დამკვირვებელი ადამიანია და დედამიწიდან აკვირდება სამყაროს, აშკარაა, რომ სწორედ ეს წერტილი ყველაზე უფრო მისაღებია კოორდინატთა სათავის ასარჩევად. ამავე დროს, ამ თეორიას მიეცა სრული ნდობა არა აბსოლუტურობის და უპირატესობის თვალსაზრისით, არამედ იმის გააზრებით და გათვალისწინებით, რომ ყოველგვარი მოვლენა მაინც ფარდობითი იქნებოდა, რა სისტემის მიხედვითაც არ უნდა შესწავლილიყო იგი, ოღონდ დედამიწიდან აგებული ათვლის სისტემა ერთ-ერთი თანაბარუფლებიანია მათ შორის.

ზევით განმარტებულ თეორიაში, სივრცე და დრო განუყოფელნი არიან, სამყაროს არეებში კი, სადაც მოთავსებულია მატერიალური სხეულები, ადგილი აქვს სივრცე-დროის გამრუდებას, რაც აიძულებს ადამიანს, რომ სივრცული თვალსაზრისით განხილულ სამყაროს უნდა ჰქონდეს სასრული. ე. ი. ფარდობითობის თეორიის თვალსაზრისით, სამყაროს სივრცე ჩაკეტილია. თუ ამ ჩაკეტილი სამყაროს კოორდინატთა სათავედ წარმოვიდგენთ დედამიწას, რომელიც, როგორც ზევით მრავალგზის ვახსენეთ, რომ თანაბარუფლებიანია ამ ფუნქციით და დედამიწიდან გავასხივებთ სინათლის სხივებს, დავინახავთ, რომ ეს სხივები გავრცელდებიან არა აბსოლუტურად სწორ ტრაექ-ტორიებზე – წრფეებზე, არამედ მრუდებზე, მაშინ აშკარაა, რომ ყოველი სხივი გარკვეული სივრცის შემოწერის შემდეგ დაბრუნდება იმავე წერტილში, საიდანაც იყო განსხივებული, ე. ი. სხივები შემოწერენ წრეწირს. ამ წრეწირთა შემომვლები ზედაპირი იქნება სფერო. ამ სფეროს შიგნითა სივრცე შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩაკეტილი სამყაროს განმსაზღვრელ სივრცედ.

ჰოლანდიელი ასტრონომი ვილიამ დე სიტერი სამყაროს მოდელს წარმოადგენდა ჩაკეტილ და განსაზღვრულ სივრცედ. ასეთ სამყაროში რაც უფრო შორს ვიხედებით დედამიწიდან, სულ უფრო შენელებულად მოძრაობენ საათის ისრები, ხოლო გარკვეულ შორეულ წერტილებში საერთოდ ჩერდება საათის მოძრაობა. ამ წერტილთა ერთობლიობა, ე. ი. სადაც ჩერდება დრო, უნდა წარმოვიდგინოთ სფერულ ზედაპირად და იგივე სამყაროს საზღვრად. რადგან დროის გაჩერება ადამიანისთვის უნდა უდრიდეს მისი ცნობიერებისთვის უცხოს და მიუღწეველს, ხოლო ის მატერია და რეალობა, რაც ამ წერტილების ანუ დროის არშეგრძნების მიღმა აღიქმება, ადამიანური კოსმოგონიისათვის

მიუღებელია, იქ უკვე აღარ აღიქმება სამყარო აღარც დროში და აღარც სივრცეში. იქ დრო გაჩერებულია და მასთან ერთად ქრება სივრცეც. ხოლო რამდენადაც ვიცით, რომ სივრცე და დრო მასასთან ანალოგიურ ფარდობით კავშირშია, დროის და სივრცის არშეგრძნებად ნაწილში ანუ სფეროს მიღმა, ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მისაღებ რაიმე ნივთიერზე ლაპარაკი ზედმეტია.

გასული საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა ასტრონომმა ჰაბლმა აღმოაჩინა, რომ ჩვენი სამყარო ფართოვდება. შორეული გალაქტიკები რაც უფრო შორს იმყოფებიან დედამიწიდან, მით უფრო შორდებიან მას. აქედან გამომდინარე უნდა ვთქვათ, რომ შორეული გალაქტიკები დედამიწას შორდებიან იმ სიჩქარეებით, რომლებიც პროპორციულია დედმიწიდან მათი დაშორების მანძილისა, ამასთან ერთად ცილდება არა თანხვდომა დროისა გალაქტიკებს შორის და საბოლოო ჯამში დრო ნულამდე დაეშვება. ე. ი. დრო ჩერდება, მაგრამ ამავე დროს სამყარო, გალაქტიკა სივრცით ფართოვდება.

1927 წელს ბელგიელმა მღვდელმა და ასტრონომმა ლემეტრმა წარმოადგინა სამყაროს მოდელი, რომელიც იყო რელიგიურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სინთეზი. ამ მოდელის მიხედვითაც სამყარო ჩაკეტილი და შემოსაზღვრული სივრცეა, მაგრამ აქაც დედამიწას თუ დაშორდები, სამყარო ფართოვდება და საბოლოოდ აქაც ჩერდება დრო და საბოლოოდ იკარგება დროც და სივრცეც. არსებითად ეს არის მასალა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ბიბლიური წარმოდგენების ფიზიკურ პლანში წარმოდგენა, რაც კიდევ უფრო მჭიდროდ ეკვრის სამყაროს შესაქმისეულ წარმოდგენას. ნეტარი ავგუსტინე აღნიშნავდა, რომ სამყარო შექმნილია არ უკვე არსებულ დროში, არამედ დროსთან ერთად. საერთოდ თეოლოგიურ აზროვნებაში დამკვიდრებულია მცნებად, რომ „მოძრაობის მრავალსახოვანების გარეშე არ არსებობს დრო, ხოლო სადაც არავითარი არ არის, იქ არც არავითარი მრავალსახოვნება შეიძლება არსებობდეს“.

დროსა და სივრცის ამგვარი გააზრება ბადებს ეჭვს, რომ ყოველივე ეს, ხომ არ უარყოფს აბსოლიტური ჭეშმარიტების იდეას, ის, რაც საფუძველთა საფუძველია ყველა რელიგიისთვის.

როდესაც საბუნებისმეტყველო მეცნიერება დარწმუნებული იყო იმაში, რომ სამყარო მკაცრად დეტერმინირების პრინციპს ემყარება და შეცნობა-გააზრება უმცირეს დეტალებამდეა შესაძლებელი, მაშინ აზროვნების ამ მოდელში წარმოიდგინება მთელი კოსმოსი დროსა და სივრცეში უსასრულო, შემოუსაზღვრავ სივრცედ, ხოლო როგორც კი ფარდობითობის პრინციპების გააზრება მოხდა, სამყარო განსაზღვრულ, ჩაკეტილ სისტემად წარმოჩინდა დროისა და სივრცის თვალსაზრისით. ფორმაც, სივრცე-დროის სისტემის ადამიანური თვალთახედვიდან აღქმისა, ძირითადში უბრუნდება პირვანდელ სახეს. ბიბლიის დასაწყისი კი გვმოძღვრავს ასე: „თქუა ღმერთმან: იქმნედ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა, განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა და იყვნედ სასწაულებად და დღეებად და წელიწადებად“ (დაბადება 1.14).

ამგვარად, დროისა და სივრცის ძირითადი განსაზღვრება, მხოლოდ პლანეტათა მოძრაობასა და არსებობაშია შესაძლებელი და მთელ კოსმოსს მოჰფენენ საზრისის სინათლეს.

ძველი ცივილიზაციების მისტერიებში აშკარად ჩანს, რომ ინდური შივას ცეკვა ეს თავბრუდამხვევი რიტმის სიმბოლო იყო, ისევე როგორც ქართული ცეკვა „ფერხული", სადაც წარმოდგენილი იყო პლანეტათაშორისო მოძრაობა და წელიწადის განსაზღვრული დროის მონაკვეთი ეძღვნებოდა ამ მისტერია-ხოტბის აღვლენას.

ბიბლიაშიც შესაქმე იხსნება დროის იმ მომენტში განსახორციელებლად, როდესაც შემოქმედი პირველმიზეზნი დარჩნენ რა უბიწონი, დაბადეს ორი (დადებითი და უარყოფითი) პოლუსი და შეიქმნა პოლარობა. ამ ორ პოლუსს შორის კავშირით მოხდა დროის და რიტმის პულსაცია, ასე ვთქვათ, შესაძლებელი გახდა დროის და სივრცის აღქმა-ათვლა. მთელი კოსმოსური წესრიგი ემორჩილება რიტმულ მოძრაობას და მას ბიძგი მისცა დადებითი და უარყოფითი ნაკადების ურთიერთმონაცვლეობამ, რისგანაც იქმნება გრანდიოზული კოსმოსური ბალანსი სამყაროში, როგორც უმცირეს, ასევე კოლოსალურ მოვლენებს შორის.

არ დაგვავიწყდეს ადამიანის ორგანიზმი, აქაც ხომ წამყვანი ადგილი უკავია გულისცემას, სუნთქვას, დაძინება-გაღვიძებას, სიკვდილ-სიცოცხლეს და სხვა ასეთს. საერთოდაც, მიღებულია აზრი, რომ ადამიანი არის მიკროკოსმოსი ანუ ხატი. მაკროკოსმოსის ანუ დღე-ღამის მთელი გრავიტაციული დაძაბულობა და ადამიანის ორგანიზმში მოიპოვება უამრავი ასეთი პარალელი,უმცირეს დეტალებამდე გათვლით. კვადრატის ოთხი გვერდი უკავშირდება ქვეყნიერების ოთხ მხარეს, აგურისაგან ნაგები რიტუალური დანიშნულების ძეგლები და თვით აგურების რაოდენობა-დაჯგუფება ზუსტ შესაბამისობაშია დროისა და ადამიანის პარამეტრებთან. მსხვერპლშეწირვა, სექსუალური კონტაქტი გააზრებული იყო როგორც კოსმიური აქტი, რომელიც ემსახურებოდა ციურ სხეულთა მოძრაობის მოწესრიგებას და სიცოცხლეს.

ამგვარად, მთელი ჩვენი წარმართული დროის ფოლკლორი და ხუროთმოძღვრული შენობა-ნაგებობები დამყარებული იყო წარმართულ და ქრისტიანულ მისტერიებზე. სახოტბო რიტუალებს უნდა შეექმნა სხვადასხვა თეორიები, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოქროს კვეთა, რომლისგან გამომდინარე სიზუსტე ისეთი გაუხუნარი და უბერებელი იყო, რომ დღემდე არ აკლდება ელვარება და პირველყოფილი სიცხოველით ასხივებს მისი სიდიადე.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დრო და სივრცე რელიგიური მოვლენებია და როგორც სუბსტანცია პირდაპირ კავშირშია სიცოცხლესთან და კოსმოსთან.

საზოგადოდ დროის ათვლის აბსოლუტური სიზუსტე არ არსებობს, რადგან ბუნებრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელი რიტმები ერთმანეთის თანაბარზომიერია, ისევე, როგორც ადამიანში კალენდარულ სისტემათა განსხვავებულობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი არის წელიწადის განსაზღვრის მათემატიკური წესი. ამ მხრივ საზომი ერთეული „დღე-ღამე" უდრის დროის საშუალო დღე-ღამეს. რადგან მზის ხილული წლიური მოძრაობა არათანაბარია, ამიტომ ჭეშმარიტი დღე-ღამის სიდიდე არ არის მუდმივი და სიმბოლურად ეწოდება „საშუალო მზის" ცნება, ე. ი. მზის მოძრაობა ეკვატორზე ჩათვლილია თანაბრად ისე, რომ ვარსკვლავთ შორის წლიურ მოძრაობას ამთავრებს ზუსტად დროის იმავე პერიოდში, რა დროშიც მას ასრულებს ჭეშმარიტი მზე.

დროის ინტერვალს, საშუალო მზის ორ ქვედა თანმიმდევნო კულმინაციას შორის ეწოდება დღე-ღამე და არსებობს შემდეგი ციკლი წელიწადეობრივი თვლისა:

1. ტროპიკული წელიწადი – დროის ინტერვალი ჭეშმარიტი მზის ორ თანამიყოლებით გავლას შორის გაზაფხულის ბუნიობის წერტილზე მოიცავს 365, 2422 საშუალო დღე-ღამეს.

2. სიდერული წელიწადი – მზე ერთხელ მობრუნდება ცის კამარაზე უძრავ ვარსკვლავთა სისტემის მიმართ – 365, 2564 დღე-ღამე.

3. ანომალისტური წელიწადი – მზის ცენტრის ბრუნი მისი ხილული გეოცენტრული ორბიტის გარშემო – 365, 2596 საშუალო დღე-ღამე.

4. დრაკონული წელიწადი – მზის მიერ მთვარის ერთი მარყუჟის გავლა ეკლიპტიკაზე – 346,6200 საშუალო დღე-ღამე.

5. მთვარის წელიწადი – 12 მთვარის თვე – 354, 367 საშუალო დღე-ღამე.

გრიგორიანული კალენდარი, რომელიც შეიქმნა 1582 წელს, რომის მაშინდელი პაპის გრიგორი XIII – მიერ (მანამდე მოქმედებდა ძვ. წ. 46 წელს შექმნილი კალენდარი, ალექსანდრიელი ვარსკვლავთმრიცხველის სოზიგენეს მიერ, რომელსაც იულიუს კეისრის კალენდარსაც უწოდებენ), ორიენტირებულია ტროპიკულ წელიწადზე. იმის გამო, რომ ტროპიკული წელიწადი შედგენილია დღე-ღამეთა არამთელი რიცხვისაგან (365 დღე-ღამე, 5 საათი, 48 წუთი და 46, 1 წამი), სამოქალაქო კალენდრის შედგენისას მოხდა მისი ხელოვნურად შესწორება, ყოველ სამ წელიწადში 365 დღე იანგარიშება, ხოლო მეოთხეში 366 დღე-ღამე. განსხვავება სამოქალაქო და ტროპიკული წელიწადების (11 წუთი და 13,9 წამი) შეავსებს მეოთხე ნაკიან (366 დღე-ღამე) წელიწადს. ამის შემდეგ ეწოდა ჟამთააღრიხცვას ახალი სტილი, მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებშიც და ჩვენთანაც, საქართველოშიც, უჭირდა ფეხის მოკიდება ამ კალენდარს, ამიტომ მე-19 საუკუნეში ხშირად, როდესაც იბადებოდა ადამიანი, ორივე სტილით აღინიშნებოდა.

გრიგორიანულ კალენდარში დროის ათვლის წერტილად გამოყენებულია დღეღამტოლობა (ბუნიობა), ე. ი. ამა თუ იმ დროის მომენტი, მაგალითად, 21 მარტი, ერთი და იმავე კალენდარულ დღეზე მოდის. ამ შემთხვევაში მისი ტოლია, მისი პოლარული წერტილი 23 სექტემბერი, მაგრამ კალენდრის შექმნა მოხდა ქრისტიანული რელიგიის გათვლით და ზაფხულისა და ზამთრის მზებუდობის წერტილებით – ყველაზე დიდი დღე – 22 ივნისი და ყველაზე დიდი ღამე – 22 დეკემბერი. ათვლის ამ მთელ შინაარს განსაზღვრავს დედამიწის და მზის ურთიერთმდებარეობა და არა პლანეტათა და არც უძრავ ვარსკვლავთა ცა, რაც ნიშნავს, რომ გაზაფხულის დღეღამტოლობის წერტილი მოძრავი ხდება უძრავ ვარსკვლავთა ცის მიმართ. იგი ყოველწლიურად გარკვეული კუთხით შემობრუნდება მის მიმართ. ამგვარად, დედამიწა თავის დროის ათვლით მზეზეა დამოკიდებული. ამ კალენდრის ღირსებაა, რომ დაფიქსირებულია წლის ოთხივე კლიმატური პერიოდი და არ იკარგება არც 11 წუთი, რომელიც ტროპიკულ წელიწადთან შეჯერებისას წარმოიქმნა. ამ კალენდრის მოწინააღმდეგეების არგუმენტებია, რომ კალენდარი ძალზე შეზღუდულია უწყვეტი რიტმის თვალსაზრისით. გრიგორიანული კალენდარი უპირატესობას ანიჭებს დროის უწყვეტ გაგებას და არა დღე-ღამეებით განსაზღვრულ რიტმებს. მისთვის, გრიგორიანულისთვის დამახასიათებელია დიდი ციკლების თანხვდომა, ვიდრე დღე-ღამეთა უწყვეტი რიტმები. ამიტომაც, მისი კავშირი მთვარის კალენდრის ციკლებთან უფრო შეზღუდულია. იულიუსის კალენდარი აქცენტირებული იყო ძირითადად დღე-ღამის მონაცვლეობაზე, როგორც უმცირესი დროის ერთეულისა, რაც მთლიან ციკლს ქმნის დღე-ღამეთა

მთელი რაოდენობის შემცველობიდან და არა დროის, როგორც აბსოლუტური პროცესის გაგებიდან. აქ ყურადღება არ ექცევა გაზაფხულის დღეღამტოლობას, კალენდარული თვალსაზრისით და წინა პლანზეა დღე-ღამის ცნება, დედამიწის სფეროს სრული შემობრუნება თავისი ღერძის გარშემო.

იულიუსის კალენდრის მომხრეები, თავისი კალენდრის ღირსებად მიიჩნევენ, რომ ჩვეულებრივი და ნაკიანი წლები რაიმე გამონაკლისების გარეშე მონაცვლეობენ რიტმით 3-1, ერთი და იგივეა ნაკიანი წლების რიცხვი საუკუნეში. იულიუსის კალენდარი რიტმულადაა დაკავშირებული მთვარის კალენდართან. ყოველ 19 წელიწადში იგი ჯერადი ხდება მთვარის კალენდართან და მეორდებიან მთვარის იგივე ფაზებში.

28-წლიან ციკლში კვირის დღეები უბრუნდებიან თვის იგივე რიცხვებს. სააღდგომო ციკლი, ანუ დიდი ინდიქტიონიც ზომიერი ხანგრძლივობისაა და უდრის 532 წელს, ე. ი. დიდი ინდიქტიონის გავლის შემდეგ მთვარის ფაზების, დღეების, კვირეების და თვეების რიცხვების განლაგება მეორდება.

ორივე კალენდარი ერთი შეხედვით არ ტოვებს დიდ განსხვავებას ურთიერთშორის, მაგრამ სულიერ განზომილებაში აბსოლუტურად განსხვავებული კოსმოგონიური შეხედულებების მქონეა. ამიტომაც ნიშანდობლივია, რომ იულიუს კეისრის ეპოქის, ალექსანდრიელი სოზიგენეს და პტოლემეოსის კოსმოსის აგებულების მოდელი და, მეორე მხრივ, გრიგორიანული კალენდრის კოსმოსის აგებულების კოპერნიკისეული მოდელი, ერთი და იმავე პერიოდში ხდება.

ჩვენთვის გასაგებია ის, რომ ძალზე გავერთეთ წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით სივრცისა და დროის ახსნით და მოვცილდით სულიერების ხაზს, მაგრამ ამ ორი მიმდინარეობა – ხაზის (დრო-სივრცე და სულიერება) ერთმანეთის გარეშე განმარტება აბსოლუტურად შეუძლებელია.

წერილში გამოყენებულია მკვლევარის და მეცნიერის ოთარ ქვრივიშვილის შეხედულებები.

მისტერიათა ეპოქა

წმინდა გიორგის კულტი, მისი მნიშვნელობა და პარალელები

აზროვნებაში ყოველთვის ჩნდება პირველი სხივი, მას აუცილებლად მოჰყვება მეორე, მესამე სხივები და ბოლოს შეიკვრება მზისფერი ძნა სხივებისა. გრძნობის უძირო კუთხეებში ვიგრძნობთ მელოდიას და მიჰყევი აზროვნების მუსიკის რიტმის ხმას.

ქართველი ხალხისთვის წმინდა გიორგის კულტი ატარებს ღრმად ეროვნულ და მთავარმოწამის მნიშვნელობას. გარდა იმისა, რომ იგი მიწათმოქმედი ხალხის და

ამ მიწაზე მთავარი კულტუროსნობის ნიშნის, ვაზის კულტის შემოქმედი ხალხის – ქართველების, უმთავრესი სახე უნდა ყოფილიყო, იგი ასტრალური ასპექტით, განსახიერებაა კოსმოსური ბნელის დამამარცხებლის, იმ ბნელი ძალისა, რომელიც ებრძვის მზეს ანუ მთავარ სინათლეს, ხოლო სულიერი ასპექტით მზიური სხივით ნათელმოსილი ებრძვის დედამიწაზე არსებულ ბოროტებას.

წარმართულ ეპოქაში თითქმის ყველა დროს და ქვეყანას ჰყავდა ამგვარი გმირი, რომელიც ამარცხებს და განგმირავს ურჩხულს ან გველს, ასეთი იყო ინდოეთის ვედურ სიბრძნეში ინდრა, რომელიც იყო ელვათმტყორცნელი და გიგანტური გველის ვრიტრას მკვლელი, ძველ ეგვიპტეში ჰორუსსი, აპეპ-გველის მკვლელი, დელფოში პითონის მკვლელი აპოლონი, იაპონიაში სუსა-ნო-ვო, რომელმაც მოკლა დრაკონი ქალწულის გადასარჩენად, ასევე გადამრჩენის მისია აკისრიათ იაზონს, პერსეუსს და წმინდა გიორგის. ეს ის ქალწული-ქალღმერთებია, რომლებიც განასახიერებენ ანიმას, ადამიანის სამშვინველს, აგრეთვე ნათესებს და ზოგადად ყველანაირ ნაყოფიერებას. მაგალითად, ინდოეთის მზიური გმირი და მცველია სიტასი, რომლის სახელი სანსკრიტში ნიშნავს ხნულს, ნათესს, რაც ნაყოფიერების მფარველი ღვთაებაა ისევე, როგორც ქართველები – გეორგიანელებია თავის წმინდა გიორგით.

მაგრამ მის არქეტიპად და მისგან ბრძოლით წამოსულმა წმინდა გიორგიმ ყველაზე მეტად აპოლონის ადგილი უნდა დაიმკვიდროს, ამიტომ არის, რომ დიოკლიტიანე ყველაზე მეტად აპოლონის თაყვანისმცემელია. როდესაც წმინდა გიორგის სიკვდილს მიუსჯის, ასე ამბობს: „რამეთუ არა თაყუანისცა მან აპოლონს, არამედ შეაცდუნა დედოფალი", ანუ მან, წმინდა გიორგიმ დედოფალიც თავის ჭკუაზე მოაქცია. წმინდა გიორგიმდე კი მისი წინამორბედი ღვთაება აპოლონი, კასტილიის მინდორზე ოქროს ისრებს უშენს დრაკონს (პითონს). მის მოკვლის შემდეგ აქ აშენდება აპოლონის ტაძარი, სადაც შემდეგ სამფეხა სკამზე ზის მისანი პითია და ქვეყნიერების ბედს წინასწარმეტყველებს, აქ იმართებოდა სხვადასხვა შეჯიბრებები და ფაქტობრივად მთელი მცირე აზიის და მაშინდელი სამყაროს აზროვნების მისტერიულ ცენტრს წარმოადგენდა.

ამგვარად, ის აზროვნება, მგრძნობელობა და ნებელობა, რაც მოწესრიგებული იყო აპოლონის მისტერიით, საკმარისი აღარ აღმოჩნდა და საჭიროა ქრისტიანობის იმპულსები, სადაც ერთ-ერთ დედა-ძარღვს შეასრულებს წმინდა გიორგი. თუ ადრე ყველაფერი წესრიგდებოდა აპოლონით, რომელიც მფარველობდა აგრეთვე მუზებს და ამ დროს მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა ჰარმონიის ძალა, ამჯერად ადამიანურ სამშვინველში საჭირო იყო ბნელი, ბოროტი ძალის მოკვლა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო წმინდა გიორგის ძალით და ამ უკანასკნელს უნდა შეეცვალა აპოლონი, თუ აპოლონი არასოდეს იყო მიწიერებაში განცდილი ახალი სულიერი სიმაღლით, ქრისტიანობით განიცდებოდა ზეცაშიც და მიწაზეც. წმინდა გიორგის შთამაგონებელი მიქაელ მთავარანგელოზი იოანე მახარობლის გამოცხადებაშიც გვაუწყებს, რომ მიქაელი უპირისპირდება იმ აპოკალიფსურ დრაკონს, რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა. ბიბლიის მიხედვით მიქაელი ზეციური მხედრობის არქისტრატეგოსია და ქალდეურ კოსმოგონიაშიც წამყვანი ადგილი ეკავა.

წმინდა გიორგისთან კი წამოწეულია ადამიანის ფაქტორის მნიშვნელობა, რადგან იგი იცავს მეფის ასულს, ელისაბედს და კლავს წყლიდან ამოსულ დრაკონს. ე. ი. იგი

იცავს ქვეყანას ანუ ქალურ საწყისს, ანუ ყოველგვარი ემბრიონი, თუ სხვა დაუბადებელი ნაყოფი, იბადება ჯერ მდედრად და შემდეგ იკვეთება მისი სქესი. ქალი, კი არის სიმრავლის, ნაყოფიერების და სიკეთის სიმბოლო.

უძველეს სულიერ წარმოდგენებში არსებობდა ასეთი შეფასება-განსაზღვრება, სამშვინველის გამოსაკვებად არსებული იმპულსები მოდიოდა ზეციური იერარქიის სულიერი ძალებიდან, ისევე, როგორც წმინდა გიორგისთან მიქაელ მთავარანგელოზისგან და ეს გრძნობები, აზროვნება და ნებელობა, გადმოიღვრება მიწის, წყლის, ჰაერის და ცეცხლის სტიქიებიდან. მიწიერ სამყაროში კი ხშირად თავს იყრიან ნეგატიური, ლუციფერული და არიმანული ძალები, რომლებიც ძალმომრეობით, მაგრამ მაინც იკვლევენ გზას ადამიანური სამშვინველისაკენ და ადრე ეს წესრიგდებოდა ანუ იდევნებოდა აპოლონური იმპულსის მზის სხივებით და მაკროკოსმოსურ ასპექტში იგი უახლოესია და ტყუპისცალია არტებიდესი, რომელიც მარად ქალურ საწყისს წარმოადგენს.

საქართველოს მთიანეთში, მათივე ბარის ქრისტიანული მოძღვრება ზუსტად ისე არ განიცდებოდა, და ბევრ ადგილას, ცოტაოდენი ძალაც იქნა გამოყენებული ამ ახალი რელიგიური კულტურის მისაღებად, მაგრამ თუ რამე მთამ მიიღო უხვად და სწრაფად, ეს წმინდა გიორგის კულტია, რომელიც იქ არსებულ ძლევამოსილის და ბოროტის დამამარცხებელ კულტურას შეერწყა.

ხახმატის წმინდა გიორგი სალაშქროდ მიდის ქაჯეთში და წასვლის წინ ღვთისმშობელთან არკვევს თავის ლაშქრობის მიზანს:

„ქაჯავეთ რად იარები
გიორგი, მგლისა ფერაო?
ვალი მიკიდავ ქაჯებსა,
რად მკითხე, ქრისტეს დედაო?
ცომს ზელდა ქაჯის ბებერი,
წავასწარ ცხობაზედაო“.

როგორც ცნობილია, პური, ქრისტეს ხორცთაგანია, ზიარების პროცესში და ამ ლექსიდან ასეთი განმარტება უნდა შეექმნათ, ამ შემთხვევაში ადამიანთა სამშვინველში ბოროტი ძალები იწყებენ შემოდინებას და მათგან მომდინარე მანკიერება უკვე ზიარების დონეზეა.

ქაჯავეთის ლაშქრობის შემდეგ წმინდა გიორგისა და მის დამხმარე ხატებს ქაჯავეთიდან მიაქვთ ძვირფასი განძი და მოჰყავთ სამძივარი, კვლავ ქალი და ნაყოფიერება, ორ დობილთან (მზექალი და აშექალი) ერთად.

„იქ დაეჭირა გიორგის სამი ქაჯების ქალიო,
სამძივარი და მზექალი, მესამე აშე-ქალიო,
დანათლნა თავის ჯვარზედა გვერდით დაისხნა დანიო“.

წმინდა გიორგი აქრისტიანებს წარმართულიდან მომდინარე ბუნების დიდ დედას და სხვა ქალებს და იქმნება სალოცავი. აშე-ქალი უნდა დაუკავშირდეს ფინიკიურ ღვთაებას აშერას, სადაც ის ადონისის მეუღლე და მიწიერი ძალების განმასახიერებელია, მზექალი აპოლონური საწყისის მატარებელია და თუ ეს განათლება (აშერა-მიწა, მზექალი-მზე) საკმარისი იყო წარმართულში, მას უკავშირდება მთავარი სამძივარი – ქრისტიანობა. აბუსერიძე ტბელის თხზულებაში, წმინდა გიორგი ეცხადება ბასილის

და აფრთხილებს, რომ არასოდეს დალიოს წყალი პირჯვარის გადასახვის გარეშე, რადგან მასში ცხოვრობენ ეშმაკები და მხოლოდ ქრისტიანული იმპულსის შეტანით შეიძლება მას განვერიდოთ.

ამგვარად, წმინდა გიორგის ქვეყნის შვილობა, მხოლოდ მიწაზე დიდ კულტურათა, ვაზის და ღვინოს მოვლა-პატრონობას კი არ ნიშნავს, არამედ ეს ხალხი მუდამ უნდა იყოს მზად ბოროტთან საბრძოლველად, ამკვიდრებდეს სიკეთეს, დევნიდეს მანკიერს. კრასნოდარის მხარეში არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვით საძირკვლის გაჭრისას უცბად კი არ ხდება მისი დაბეტონება, არამედ, ჯერ მას მზის სხივებით გამოაშრობენ. უძველესთა წარმოდგენით სახლის ფუძეში ბინას იდებს გველი და მზის ძალებით ხდება მისი გაკეთილშობილება. ამ ტრადიციაში შენახულია წარმართული ხანის უძველესი შრე, მაგრამ საქართველომ, როგორც ღრმად ქრისტიანულმა მართლმადიდებელმ ქვეყანამ ეს ტრადიცია მისგან განდევნა. სამაგიეროდ საქართველოში არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ოქროს ნივთებს დებდნენ საძირკველში, რაც უნდა გავ გოთ ისე, რომ პლანეტარულ ძალებს მიწიერ სამყაროში შესაბამისი მეტალები ირ კლავენ, ესე იგი, პლანეტარული ძალები ყველაზე უფრო აქტიურად შესაბამის მეტალებში გამოვლინდებიან. ამ თვალსაზრისით, ქართველები მზიურ ძალებს ასე უხდიდნენ ხარკს. ამ ასპექტით საძირკვლის ფუძეში ოქროს ჩაყოლება გულისხმობს მზის ძალებისათვის თაყვანისცემას და მზის გახსნას ამ გარემოში აქტიური მოქმედებისათვის. ფუძეში ჩაყოლებულ ოქროში არეკლილი მზის სულიერი ძალების ზემოქმედებით ხდება ფუძის გველის გაკეთილშობილება.

ადამიანის სამშვინველის გაძლიერება

ქრისტიანულმა რელიგიამ და ადამიანის გენეტიკური კოდის მომწიფებამ მზის ქვეშეთში, გააქტიურა მისივე სამშვინველი, რამაც მისი აზროვნებითი მდგომარეობა მიიყვანა იმ ზომამდე, რომ, თუ ადრე ადამიანი ყველაფერს იღებდა კოსმოსიდან, ნათელხილვას, გრძნობადობას, ინტუიციას და გააჩნდა ყნოსვითი და სმენითი უფრო ძლიერი ორგანოები, ამჯერად მთელ აზროვნებით ფუნქციას იღებდა ტვინის სისტემა. უფრო კონკრეტულად კი, საქმე იყო შემდეგში: თუ ადრე ყველანაირი ძალმოსილების ფლობას, მაგალითად ფერთა გამის და სხვა გრძნობადის აღქმას, ადამიანი ზეციურ ძალთა იდუმალებას ანიჭებდა, ამჯერად ეს თვისება ტვინს მიაწერეს და ამ უკანასკნელის მეშვეობით უნდა მოეხდინათ. ასევე ინტენსიური ხდებოდა საკუთარი ინდივიდუალობის განცდაც. ამ დროს ერთადერთი საფრთხე არსებობს, ახალმა უცბად ან დიდი მოცულობით არ შთანთქას ძველი, რათა, რაც უფრო ეს პროცესი პერმანენტული და თანდათანობითი ტემპით იქნება, მით უფრო სასურველი იქნება შედეგი. ასევე, ამ დროს სისწრაფეს და დაჩქარებას ცოტა დაგვიანება სჯობია.

ეს პერიოდი (I-X) უნდა ჩაითვალოს კაცობრიობის განვითარებაში ნახტომად, ამიტომ ასეთ ტეხილოვან შემობრუნებას და გარდამავალ ეპოქებს კარგად ვერ უძლებს ძველი, ნაწილი იღუპება, რადგან ახლის დამკვიდრების მცდელობაში ნაწილი

რჩება, ნაწილი კი არიმანული და ლუციფერული ძალების მეოხებით იკრებს აგრესიულ ენერგიას და შუა საუკუნეების (V-XVIII ს.ს.) ყველა დიდი ომი, ამ ძალების აქტივობის შედეგია. ბევრი მეცნიერი სამყაროს ამ პერიოდს მისი უდიდესი გარდატეხის მეორე დღედ მიითვლის, ხოლო კულტურას მეხუთე რიგის ნიშანს აკუთვნებს. მოკლედ, წარმართული პერიოდის მზის მბრძანებულობის ეპოქა, ვერძის ზოდიაქოდან თევზების ეპოქაში გადადის. ამიტომ არის, რომ ქრისტიანებმა მსხვერპლშეწირვის უზოგადეს და ყველაზე მისაღებ ფორმად ცხვარი ანუ ვერძი აირჩიეს.

უდავოა, რომ გელათისა და იყალთოს აკადემიის უპირველესი ფუნქცია იყო ახალი და ძველი ნიადაგი გაეჯერებინათ ერთმანეთთან, რომლებსაც სათავეში ედგნენ რიგრიგობით იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები. თეოლოგი ოთარ ქვრივიშვილი ამ აკადემიებს თავის სიმაღლით მხოლოდ შარტრის აკადემიას უტოლებს. ამ აკადემიებში მთავარი იყო, რომ: ორი ფესვი – პლატონი და არისტოტელე ჩაეწნათ ახალ ფესვში – ქრისტიანობაში.

აკადემიკოსი ა. ლოსევი აღნიშნავდა: „ის ნეოპლატონიზმი, რომელსაც აღიარებენ ქართული აღორძინების ეპოქის წარმომადგენლები – იოანე პეტრიწი და რუსთაველი, აგრეთვე ანთროპოცენტრიზმია“.

განსხვავებული ცნობიერება სუფევდა ჩრდილოეთის მისტერიებში. აქ ადამიანური მე-ს გამოცალკევება ბევრად დაბალი და საგრძნობი დოზით ხდებოდა. ეს ბუნებაც ძალზე საცნაურია და ახლობელი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ცნობიერებაში.

ორივე შემთხვევაში ადამიანებს უხდებოდათ ბეწვის ხიდზე გავლა, სადაც ხდებოდა მათი სიმამაცის, სამართლიანობის, ზომიერების და სხვა გზებით სამშვინველის მომწიფება.

თუ წარმართულ ეპოქაში მომზადება, წრთვნა ხდებოდა მდინარეზე გადასვლაში, დევებთან ბრძოლაში და სხვა მითების ბაზაზე, ახალ სამყაროში ადამიანი თავის აქტივობით ახერხებდა ამას. ახალი აზროვნების საფეხურიდან ისტორიის წარსულში გადავიდა მხოლოდ ნათელხილვებითი და წინასწარმეტყველებითი აზროვნება.

ძველი ბერძნები წმინდა გიორგის არქეტიპად მზიურ აპოლონს მიიჩნევდნენ და ამიტომ იყო, რომ აპოლონში განივთებული იყო მზადება ქრისტიანობისათვის, რადგან იგი წლის ნახევარს ჩრდილოეთში ატარებს, წლის მეორე ნახევარში, გაზაფხულიდან შემოდგომამდე კი იგი ჩრდილოეთის ჰიპერბორიის ქვეყნიდან კვლავ სამხრეთისაკენ მიემართება და აქ ახალი წლიური ციკლი იწყება დელფოს კულტმსახურებაში.

თუ ძველი წარმართული ეპოქის გმირი მეფე-ფარნავაზი, სიზმრის ჩაგონებით იწყებს საქართველოს გამთლიანებას, ახალი ეპოქის უაღრეს ხარისხში აყვანილი მეფე, დავით აღმაშენებელი, მხოლოდ თავისი უდრეკი ენერგიის განხორციელების შედეგია, რომელიც 36 წლის მოღვაწეობით ახერხებს საქართველოს ზეობის წერტილში აყვანას, საოცრად დამცრობილი წერტილიდან და ყოფნა-არყოფნის წინაშე მდგარი პოზიციიდან.

იგი არ ანადგურებს პანთეისტური ბუნების ბატონობას, იმ ბუნებისა, რომელსაც ეთაყვანებოდა ანტიკურობა. იგი ეთაყვანებოდა ბუნებას ამ ვარსკვლავებითურთ, ამ ვარსკვლავიანი ცით და ცადაქმნილის სწორი მოძრაობით მორჭმულ ბუნებას... ანთროპოცენტრიზმს აქ არ მივყავართ ბუნების განადგურებამდე, როგორც ეს იყო დასავლეთში. ბუნება აქ მდიდრდება იმის მეოხებით, რომ ადამიანი მასთან სუბიექტის

მოთხოვნილებებით მიდის, იმის მეოხებით, რომ ადამიანი იქცა იმ პიროვნებად, რომელსაც სურს ყველაფერი შეიძინოს და თავისებურად გადააკეთოს. აქ არ ნადგურდება ბუნება ანდა კოსმოსი, პირიქით, მაღლდება ინტერესი – სულის, პიროვნების სუბიექტის ცხოვრებისადმი, სუბიექტისა, რომელიც თხემით ფერხამდე ჩართულია ამ ბუნებაში.

ამ სიტყვებში მოცემულია, რომ ახლის შენებისას ფრთხილად უნდა ვიყოთ ძველის ნგრევაში და სწორედ, წმინდა გიორგის შუბი უნდა გავიაზროთ, როგორც არიმანული და ლუციფერული ძალების მკვლელი; ხოლო ის ძველი მიქაელური იდეები, რომლებიც ანტიკურ სამყაროში ვლინდებოდა დელფოს მისტერიების სახით, უნდა ყოფილიყო სამზადისი ახალი ეპოქისა და ქრისტიანობის.

ახალი ეპოქის ცნობიერებით აღჭურვილი სამხრეთელი მისტიკოსები სულიერი ჭვრეტის პროცესს, ადამიანის შინაგანი ბუნებისაკენ მიდრეკილი ხასიათით ახერხებდნენ. ხელდასხმის პროცესში იგი ცნობიერებით აღწევდა შეუცნობელ ქვესიღრმეებს, რომელიც ჩვეულებრივ ყოფაში არაცნობიერის სფეროს განეკუთვნებოდა და ხდებოდა მე-ს გამყარება. ე. ი. ეს იყო ქმნადობა, რათა მოეხდინათ სამშვინველის კონცენტრაცია, რადგან ამ პერიოდში ადამიანის მე იყო მიდრეკილი კოლექტიური, ტომობრივი ცნობიერებისაკენ და ხელდასხმის პროცესში უნდა მომხდარიყო ჯგუფური ცნობიერებიდან ინდივიდუალური მე-ს გამოცალკევება. და თუ ეს პროცესი სადმე მომხდარა ან განხორციელებულა, აუცილებლად ქართველებში, რადგან იშვიათია მეორე რასა, ან გენეტიკური კოდი, რომელსაც ასე სჩვეოდეს ინდივიდუალიზმი, როგორც ეს ხდება ქართველში. ამ ფენომენის აღმოცენება ჩვენი ერისთვის ბედნიერებაც არის და უბედურებაც. ბედნიერებაა იმდენად, რამდენადაც თვითგადარჩენის ინსტინქტი და ბრძოლისუნარიანობა სამყაროს მიმართ, ამ შემთხვევაში, უსაზღვროა, და უბედურებაა იმდენად, რომ ეს თვისება ადამიანებში წარმოშობს უკიდურესად არაკოლექტიურ აზროვნებას, ამ დროს ხშირია შიდა ომები, კონფლიქტები, შური, ეგოიზმი და სხვა. ეს ფენომენი ზუსტად ასევე აისახება ჩვენს ბუნებასა და ცნობიერებაზე.



ბოლნისი. 478-493

მისტერიების ეპოქა

(ჰომო საპიენსი აქტიურობს)

სიცოცხლის მარადი საიდუმლოებით შეპყრობილი ადამიანი, უმზერს თვალშეუდგამ უსასრულო სივრცეს, ამ დროს ფიქრი ფიქრს მოსწყდება და გაეშურება მეხსიერების სასაწყობო მეურნეობაში, იქ ილექება ეს ემბრიონები, გადის რამდენიმეთვიან ან წლიან მზადებას, საიდანაც იგი მიეშურება სახალხო გაქვეყნებისათვის ქაღალდზე საწერად.

მისტერიების ხანაში ადამიანის სამშვინველმა პირველად განიცადა სიმწიფე და ამ ცნობიერებას ცივილიზაციის ბავშვობის ხანა შეიძლება ვუწოდოთ. პირველად დაფიქრდა ადამიანი სამოქალაქო და სულიერ იერარქიაზე, რათა ჰარმონიის მეტი ხარისხი შეეტანა სამყაროში, რაც საბოლოოდ განმტკიცდებოდა სამოქალაქო წესრიგით. იმჟამინდელი სამყაროს სულიერ-ფიზიკური კონსტიტუცია, პირველად ხსნიდა ხედვის ახალ სამანებს და ამ დროს ისე ძლიერ იცის შეგუბებულმა ენერგიამ გამოვარდნა, რომ ყოვლისმომცველობით წალეკავს არსებულს და ყოფიერს, სულიერს და უსულოს. და შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდში ხელოვნების და ფილოსოფიის ქმნილებები განსაცვიფრებელია თავისი სინატიფით და სრულყოფილებით.

ცნობადის ხის ნაყოფი უკვე ნაგემი ჰქონდათ ადამიანებს და ნიშნავდა, რომ იგი უნდა განთავისუფლებულიყო ჭექა-ქუხილის მსგავსი ღმერთისაგან, ის ხდებოდა თავისუფალი, დამოუკიდებელი და მარტოდმარტო უნდა მდგარიყო სამყაროს წინაშე, ამისათვის კი საჭირო იყო სიმამაცე და გონების სიმაღლე. ადამიანებს ნათელხილვის უნარი უნდა დაეკარგათ, შემდეგ მძაფრი ცხოველმყოფელი ყნოსვის, სმენის და სხვა ორგანოები და მის ხარჯზე ჯერ ხატოვანი აზროვნება უნდა ესწავლათ, განესრულებინათ ფორმების მშვენიერება და შემდეგ წმინდა აზროვნება განევითარებინათ. ძველი დაბალი ხარისხის ღმერთები უნდა შეეცვალათ ქურუმის წოდება-უნარით დაჯილდოებულ, ღვთაების და სიმარტოვის წიაღში გაწვრთნილ მოძღვრებსა და პატრიარქებს. ეს მათ უნდა დაემოძღვრათ კაცობრიობა, გაეყვანათ ახალ გზაზე და სულიერ იერარქიათა სურვილების და აუცილებელ მოქმედებათა გამომცხადებლები უნდა ყოფილიყვნენ დედამიწაზე. მათთან ერთად კაცობრიობის სამსახურში დგებოდა მონარქიულ-დინასტიური ინსტიტუტი, რომელიც ძირითადად საერო და სამოქალაქო საქმეებს მოაწესრიგებდა დედამიწაზე.

კაცობრიობის განვითარებას ყოველთვის ახასიათებდა ცნობიერების ევოლუცია, სხვადასხვა რიტმით და სიჩქარით. მისი ცვალებადობის სისწრაფე და ხარისხი, ერთი მხრივ, ყოველთვის დამოკიდებული იყო პლანეტარული ძალების ჩარევაზე და ამავე აქტივობით უპასუხებდა ადამიანი ყოველივე ამას.

ძველ წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში, ადამიანების არაცნობიერი ნათელხილვითი უნარი, რომელიც მანამდე ყველა კულტურისათვის მანათობელ გზას წარმოადგენდა სულიერი სამყაროს მოწყობაში, ამოწურვის მიჯნას მიუახლოვდა.

ადამიანის სამშვინველი რამდენადმე დაიბინდა, სამაგიეროდ, წინ მიიწევდა ცნობიერების ის ფორმები, სადაც მისი მე განიცდებოდა.

ამგვარად, ადამიანის გონების მეტი აქტივობა და მე-ს არსობიდან განჭვრეტა ხდებოდა აუცილებელი. წარსულს ჩაბარდა შეგრძნებითი იმპულსების აქტივობა და ადამიანი აყალიბებდა მართლზომიერ გეგმას სამყაროს წინაშე. იგი რჩებოდა საკუთარი გონების ამარა სტიქიური მოვლენების და სხვა ბოროტი მიწიერი ძალების წინაშე.

და მოდიოდა ქრისტეს ეპოქა ადამიანის საშველად, რათა მის სამშვინველს მისცემოდა მეტი ძალა.

მისტერიათა ეპოქა

(რელიგია და დრო)

ნუ შეგეშინდება უხილავის, არამედ ეკრძალვე მას, რადგან მისი თვალი ყველგან სწვდება, იგი სუნთქავს საიდუმლო წიაღში და უცნობსა და მიუწვდენელს, ნაცნობსა და ხელმისაწვდენს ხდის.

კულტურული პერიოდები: ატლანტიდის ცივილიზაცია (ძვ.წ. 10000), მეორე კულტურული სპარსული პერიოდი (ძვ.წ. 8000-6000), მესამე კულტურული ეპოქა, შუმერულ-აქადურ-ეგვიპტური ცივილიზაცია (ძვ.წ. 3000-2000), მეოთხე კულტურული ეპოქა, რომაულ-ბერძნული და ებრაული ეპოქა (ძვ.წ. I ათასწ.–ახ.წ. V ს), მეხუთე კულტურული პერიოდი – შუა საუკუნეები (ახ.წ. V-XIX ს.)

მისტერიულ სკოლებში მიმდინარეობდა ხელდასხმის პროცესი, რაც ითვალისწინებდა სულიერი და მიწიერი სამყაროს შემეცნებას, მის გარდაქმნას მაღალი აზროვნებითი ცნობიერებით, რაც საბოლოო ჯამში უნდა გამოხატულიყო ადამიანის სამშვინველის მომწიფება-ამაღლებაში.

ხელდასხმის საწყის საფეხურს „განწმენდა" წარმოადგენდა, რომელიც ადამიანის მომზადების გრანდიოზული პროცესი იყო. მასში შედიოდა უამრავი, სხვადასხვა სპეციფიკური სავარჯიშო, რაც ხშირ შემთხვევაში ადამიანისთვის ცხოვრების წესის გამოცვლას თხოულობდა და სამშვინველის საშუალებით იხვეწებოდა ადამიანის მორალური სახე. ამის შემდეგ ხდებოდა ადამიანის ზეაღსვლა ახალ, გასხივოსნების შემცველ საფეხურზე. ადამიანი, განწმენდისას გამომუშავებული ჩვევების მეშვეობით, სულიერ სამყაროს აღიქვამდა არა ბუნდოვნად, არამედ სამშვინველში აღმოცენებული ვნებების, გრძნობების ახალი ძლიერი ნაკადებით და შეიმეცნებდა სულიერებას მათი სურათ-ხატების მეშვეობით. ძველი წელთაღრიცხვის XV-X საუკუნეებში აკუმულირებული ეს ენერგია ნიაღვარივით გადმოიღვრება რენესანსის (XII-XVII ს.ს.)

ხანაში.

ამ თვისებების გამომუშავების შედეგად, ადამიანი ითვისებდა ახალ იმპულსებს, რაც დაკავშირებული იყო ახალ ცნობიერებასთან, უმთავრესად ახალი გემოვნებითი შეხედულებები სიმბოლურ აღქმაში და სფეროთა მუსიკაზე ანუ სამყაროს ჰარმონიაზე. ეს უკანასკნელი იყო ადამიანის სრულყოფის პირობითი ფაზა, რადგან კაცობრიობის განვითარების მუდმივობას, უკვე ჰქონდა ამ სამივე ფაზიდან თვითგანსრულების იმპულსებში მარადიული, ციკლური და სპირალური განვითარების ფორმები და ყოველივე ეს გამოიხატებოდა მუდმივ თვითგანახლებაში. საბოლოო ჯამში ხდებოდა შინაგანი სამყაროს ინიციაცია, რაც იყო შიდა და გარე სამყაროს შემეცნების გასაღები.

ფარნავაზის შემდგომი ეპოქა საქართველოსათვის არის ერთგვარი სიმშვიდის პერიოდი და სამზადისი ქრისტიანობისათვის. ზოგიერთი ბერძნული წყარო, საქართველოს უკვე სკვითებად მოიხსენიებს, როგორც ძვ. წ. აღ. XX-XV სს-ში – ეგვიპტედ. აქ ადგილი აქვს მისტერიათა თანაზიარობას და არა ეთნიკურ იგივეობას, როგორც დღეს ბევრ ისტორიკოსს ჰგონია. ასევე ანდრია პირველწოდებულის საქადაგიანოდ, სწორედ ამიტომ ზოგჯერ მხოლოდ სკვითეთს მოიხსენიებენ, რადგან საერთო მისტერიათა სიახლოვის გამო მის შიგნით გულისხმობდნენ კოლხებს.

უდავოა, რომ როგორც ტერმინი, ასევე შინაარსი „წარღვნა“ მოიცავდა ძველი სულიერი სიბრძნის განადგურებას და ახლის დაფუძნებას. მაგალითად, ძველი ატლანტიდის გაქრობა-გადაშენება იყო არა უბრალოდ მათი ფიზიკური განადგურება და წყალში ჩაძირვა, არამედ ატლანტიდის ხალხმა დაკარგა ან იცვალა ფერი სამყაროსთან დამოკიდებულებაში და მათი სიბრძნის გაგრძელება და ნაშთები უნდა იყოს ინდოეთში მანუს ცნობიერება, სპარსეთში და მცირე აზიაში ზარატუსტრა და არიმანი. ინდოეთის ცნობილ მანუს კანონებში და ძველ ცივილიზაციებში, სწორედ ეს კანონები უნდა გამოდიოდეს მანუს რჯულიდან.

თუ ჩრდილოელი ხალხის მისტერიებში ცნობადობის აქცენტი კეთდებოდა გარეგან სულიერებაზე, სამხრეთში ეს ხდებოდა სულის შიდა წიაღის შეცნობით. ჩრდილოეთი მისტერიების ეპოქაში სკვითიის სახით მოქმედებდა ეს ცნობიერება, სამხრეთში ინდოეთი, სპარსეთი, მცირე აზია, კავკასია და ა. შ. ოღონდ თვით ერთი ძირითადი ხაზის მისტერიულ სკოლებშიც იქნებოდა განსხვავებები.

მისტერიის უმთავრესი მიზანი იყო ის, რომ ყოფილიყო ნათელხილვის და სხვა ყველა საქმიანობის (მეტალურგია, მედიცინა, ასტოროლოგია და ა. შ.) მაღალი დონე. საქართველო იქნებოდა მისტერიის ღრმა გასაიდუმლოებაზე მომუშავე და მოფიქრალი მხარე, სადაც ზეგრძნობად პლანში განიცდებოდა ის სულიერი იმპულსები, რომლებიც უნდა ყოფილიყო ქრისტეს ეპოქასთან შეხვედრის სამზადისი. შეიძლება ვინმესთვის გასაკვირია, რატომ არ ჩანს სკვითეთის მისტერიების ნაკვალევი ჩვენს ისტორიაში. სავარაუდოა, რომ მათ აკლდათ სწორედ საიდუმლოების ხარისხი, რაც იწვევდა ხელდასხმის საიდუმლოს სწრაფად გამჟღავნებას და ის სწრაფად ითქვიფება ხალხში, კარგავს თავის პირვანდელ სახეს. საერთოდ კი, თუ ჩვენ სკვითურ ყორღანებში აღმოჩენილი მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ უფრო გარეგანი სულიერების ნიშნის მატარებელი მისტერიები უნდა ჰქონოდათ. თუმცა ისიც გარკვეულ დაღს ასვამდა მათ გაქრობას და ძალიან მოკლე ხანი დაჰყვეს ჰეგემონის როლში ისტორიის ზედაპირზე (დაახლ. ძვ. წ. VII-III ს.ს.), რადგან გოთებმა ისინი საბოლოოდ გაანადგურეს.

დაახლოებით ორასი წლის შემდეგ მათ ნასახლარებზე შავი ზღვის, კავკასიის ჩრდილოეთით და შუა რუსეთის სტეპებში ჩნდება ახალი ტომობრივი წარმონაქმნი — სლავები. მაგრამ, როდესაც მოციქულებს ჩაბარდათ თავიანთი საქადაგიანო ადგილები, ანდრია პირველწოდებულს მიაკუთვნებენ არა სლავებს, არამედ სკვითებს.

ძველ აღთქმაში ეზიეკელთან მოცემულია, რომ ქართველურ ტომებს მეშექის და თუბალის შთამომავლებს, რომლებიც იყვნენ მეტალურგიის დამწყებნი მსოფლიოში, ხშირად მიუღიათ საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მათ ჰქონდათ ზიარი, ახლომდგომი კულტურა მისტერიების სახით.

ანდრია პირველწოდებული თავად ესწრება მაცხოვრის ნათლისღებას, ის არის იოანე ნათლისმცემლის მოწაფე და რადგან იოანეს მალე კვეთენ თავს, სწორედ ანდრია უნდა იყოს იმ სულიერი გზის გამგრძელებელი, რაც იოანე ნათლისმცემელს დაეკისრა. იოანე კი იყო ის წმინდანი, რომელიც ყველაზე აქტიურად ამზადებდა ხალხს ქრისტეს მისაღებად.

ამიტომ მიემართება ანდრია სკვითეთშიც და საქართველოშიც, რადგან მან იცის, რომ სკვითია ატარებს მისტერიული ხელდასხმის გარეგან ფაქტორს, საქართველო შიდას და ეს ორი ცნობიერება უნდა გაერთიანდეს. მისი მეშვეობით უნდა მოხდეს ადამიანის სხეულში, მაცხოვრის ღვთაებრივი სულის და ძე ღმერთის ორბუნებოვნების (მიწიერი და ზეციური) შერწყმა, რომელსაც ჩვენი მართლმადიდებლური აღსარების დიოფიზიტური ბუნებით განვიცდით.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ პრომეთეს მითის ფრაგმენტი, სადაც მოცემულია, რომ პრომეთემ შექმნა ადამიანი თიხისაგან, მაგრამ მას სული ათენამ შთაბერა. ამ შემთხვევაშიც ორი ღვთიური ძალა მონაწილეობს. ამგვარად, ეს საკრალიზმი ყველა რელიგიისთვის აუცილებელი მომენტია. ამ შემთხვევაში პრომეთე არის ფიზიკური სამყაროს სიმბოლო, რომელიც კავკასიონზე იქნება მიჯაჭვული, ე. ი. კავკასიაში ეს მისტერია გადატანილი და გასაიდუმლოებულია. მაგრამ, რადგან მხოლოდ ფიზიკური სხეულის მიწიერ-მისტიკურ განცდას ესაჭიროება ზეციური გარემო სრულყოფილების მისაღწევად, ჰერაკლე ანთავისუფლებს მას (ადამიანს) და ამით ახდენს მასში ორბუნებიანობის დამკვიდრებას.

იოანეს სახარებაში ანდრია მოხსენიებულია, ქრისტეს მიერ ხუთი ათასი კაცის დაპურებაში, რაც ფილიპეს რთულად ეჩვენება და ამ დროს კვლავ ჩნდება ხედვის არეში ანდრია.

ბევრი მკვლევარის აზრით, ხუთი ათასი კაცის დაპურების სასწაული წარმოადგენს მოციქულთა მიერ ასტრალურ სამყაროში განცდილ წინასწარმეტყველურ ხატს, რომელი მიანიშნებს წარღვნის შემდგომი მეხუთე კულტურული ეპოქის დაპურებას ქრისტეს იმპულსით.

გამომდინარე იქიდან, რომ იოანე ნათლისმცემელი არის ქრისტემდე ძველი მისტერიული ეპოქის უდიდესი წარმომადგენელი, რომელიც დედის საშოდან შობილა (მაცხოვარიც ასე მიიჩნევს), ის — იოანე წყვეტს ძველი ცნობიერების არსებობას მას შემდეგ, რაც ქრისტეს მეოხებით მოხდა მისი და მთელი კაცობრიობის განახლება. რ.მაიერი მიიჩნევს, რომ ქერის პური და ორი თევზი, რომელსაც სახარებაში მოცემული ბიჭის საშუალებით აგზავნის, იოანე ნათლისმცემლის ღვთაებრივი ძალაა. ბუნებრივია,

ამ ზეგრძნობად მოვლენებთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი და აღმქმელი არის მაცხოვრის და იოანე ნათლისმცემლის მოწაფე ანდრია პირველწოდებული.

ასევე მოციქული ფილიპე და ნათანაელი არიან ადრეულ პერიოდში იმ ებრაული მისტერიების მსახურნი,რომლებიც ეგვიპტიდან მოდიან და ლეღვის ხის მისტერიებად იწოდებიან, რადგან ნათანაელი ფილიპეს დაძახებამდე ლეღვის ხის ქვეშ დაინახა. ლეღვის ხეს მაცხოვრის იერუსალიმში შესვლისას განესაზღვრა, უნდა გახმეს, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ უნდა განადგურდეს ძველი რელიგიური ცნობიერება და იწყება ახალი ქრისტიანული რელიგია.

ლეღვის ხის მისტერიებში ნეოფიტს სრულყოფილებამდე შვიდი საფეხური უნდა გაევლო. პირველი საფეხურის ნეოფიტს „ყორანი" ეწოდებოდა, შემდეგ მოდიოდა „ოკულისტი", „დამცველი" და „ლომი". მეხუთე საფეხურის ხელდასხმული იყო იმ სულიერების რანგის მფლობელი, რომელსაც შეეძლო მთელი არსებით მოეცვა საზოგადოებრივი სული, ყოფილიყო სულიერი მესაიდუმლე და დამცველი. ებრაულ მისტერიებსა და ეგვიპტურში ეწოდებოდა „ჭეშმარიტი ებრაელი". სწორედ მეხუთე საფეხურის ხელდასხმული ნათანაელი ხვდება ქრისტეს ღვთაებრიობას და ამბობს: „რაბი, შენ ხარ ძე ღმრთისაი, შენ ხარ მეუფე ისრაელისაი".

ნათანაელის გაგებით ქრისტე უნდა იყოს მეშვიდე საფეხურის ხელდასხმული „მეფედ" ანუ „მამად" წოდებული. მეექვსე საფეხურზე მდგომნი იწოდებოდნენ „მზის მხედრებად", ანუ ესენი იყვნენ მზის კულტის მსახურნი, ქურუმნი და ხელდასხმულნი.

ქრისტე ნათანაელს კი პასუხობს: „უფროისი ამათსა იხილო".

ებრაული მისტერიის მსახურნი ნათანაელი და ფილიპე, ლეღვის ხის მისტერიის წარმომადგენლები არიან,ანუ ეს არის ე.წ. ხიდები ეგვიპტურსა და ებრაულ სამყაროს შორის, რომლის საშუალებითაც დაკავშირდნენ მესამე (ეგვიპტური) და მეოთხე (ებრაული) კულტურები. ამ ლეღვის ხის მისტერიებით გამოიკვება ბერძნული მითოსიც, სადაც მოცემულია, რომ, ოდისევსი მთელი ღამის განმავლობაში ეკიდა ლეღვის ხეზე, ანუ ოდისევსისთვის ეს პერიოდი იყო უსაყრდენო, არ იყო ორბუნებიანი, იყო სულიერების ფონი და არ იყო მიწიერი ხელდასხმა. ლეღვის ხის ქვეშ დაიფლება ქრისტეს გვამი, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მასთან – გვამთან ერთად მიდის ის მისტერიული ეპოქა.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეხუთე კულტურული ეპოქის დამაკავშირებელი რგოლია ანდრია, ისე, როგორც ძველ ბერძნებს აკავშირებს ქრისტიანობასთან ფილიპე. ამიტომაც არის სახარებაში მოცემული:„მოვიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრეას და მოვიდნენ ანდრეა და ფილიპე და ჰრქუეს იესუს".

სამივე ეპიზოდში ანდრია დამაკავშირებელი რგოლის აღმნიშვნელი სიმბოლიკაა, ძველსა და ახალ სამყაროს შორის. განსაკუთრებით მის მოღვაწეობას ხაზი უნდა გაესვას სკვითური და ქართული სამყაროს გაერთიანებაში. სკვითებს კავკასიამდე მიაქვთ თავიანთი მისტერიული სულიერი სიმდიდრე, რომელშიც მოცემულია ადამიანის ფიზიკური სხეულის ევოლუციის მისტერიული განცდა. პარალელური ნაკადი, რომელიც განიცდება სამხრეთის მისტერიებში, წარმოდგენილია იოანე ნათლისმცემლის სახით და მიემართება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამ იმპულსების პირველი დამაკავშირებელია ჯერ იოანე ნათლისმცემელი და შემდეგ მისი მოწაფე ანდრია პირველწოდებული და, რა თქმა უნდა, ეს ხდება ქრისტეს მეოხებითა და მადლით.

უმთავრესი აქ ის არის, რომ ამ ჩრდილოური და სამხრეთული მისტერიების შეხვედრის ადგილია კავკასია, საქართველო. ეს ხდება ისევე, როდესაც ეგვიპტური კულტურა შეიცვალა ბერძნულით. ჩვენ ამ თავის დასაწყისში ლაპარაკი გვქონდა, რომ ინიციაციის და ხელდასხმის საიდუმლოება ჩაშიფრული და კოდირებული იქნა კავკასიაში.

იბერიისკენ წამოსული ანდრია გადმოივლის მთას, რომელსაც რკინის ჯვარს უწოდებს და თვითონ აღმართავს ამ ჯვარს და სამცხის სოფელ ზადენ-გორაში შეჩერდება. ღვთისმშობლის ხატის შემწეობით დაამსხვრევს კერპებს და აწყურისაკენ გაემართება, სადაც ქვრივ ქალს სამძივარას ვაჟიშვილს გაუცოცხლებს. ანდრიამ აწყურში არტემიდესა და აპოლონის კერპები დაამსხვრია და ქრისტიანული ეკლესია დააფუძნა.

ხახმატის წმინდა გიორგის ქაჯავეთში ლაშქრობა იგულისხმება იმ ადგილას, სადაც დღეს ჯვრის უღელტეხილია. წმინდა გიორგის ქაჯავეთიდან მოჰყავს სამძივარა და ქრისტიანად მოაქცევს მას. ამ შემთხვევაში სამძივარა ნაყოფიერების ქალღმერთის სიმბოლოა. წარმართული კერპების მსხვრევაც ნიშანდობლივია წმინდა გიორგის და წმინდა ნინოს მოღვაწეობაში, წმინდა გიორგიმაც აპოლონის კერპი დაამსხვრია და დედოფალი მოაქცია ისევე, როგორც წმინდა ნინომ არმაზის კერპები შემუსრა.

ამ საერთო ნიშან-თვისებით ანდრია პირველწოდებული, წმინდა ნინო, წმინდა გიორგი ერთი ხაზის მატარებელი და მოქმედებით მებრძოლი წმინდანებია. ისინი მიწისა და ზეცის შემაკავშირებლებია და ქრისტიანობას არსებითად, ბრძოლითი საქმიანობით უმაგრებენ მხარს.

საბოლოოდ, საქართველო, სწორედ წარმართული კერპების მსხვრევის და მათთან ბრძოლით და მახვილით მიღწეული თავგანწირვის ხარჯზე გაგრძელდება მართ-ლმადიდებლური ქრისტიანობით, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ჭეშმარიტი სულიერი მისია თავდადებული ბრძოლით სრულდება და არა სიმშვიდით და ნებიერი ბედით.

თუმცა ჩვენ სხვა თავებში ვაჩვენებთ, ბედმა როგორ მიართვა ქართველ ერს თავისუფლება და მათ კი როგორი უნიათობა აჩვენეს.

მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ სულიერი მისია და ეროვნული დამოუკიდებლობა ეს სხვადასხვა მცნებებია, ამიტომ ამბობს ქრისტე, როდესაც იერუსალიმში შედის, მე თქვენი სულის სახსნელად მოვედი და არა ოკუპაციისგან გასათავისუფლებლად. თუმცა, ხალხი მისგან ამას ამაოდ მოელის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, სამყარო მკაცრად დეტერმინირებულ პრინციპს ემყარება, რომლის ხედვა იძლევა შესაძლებლობას, სამყაროს უმცირეს ნაწილაკამდე შეცნობის. სწორედ აზროვნების ამ მოდელში მთელი კოსმოსი დროსა და სივრცეში უსასრულო, დაუსაზღვრავ სივრცედ წარმოიდგინება, ხოლო აინშტაინის ფარდობითობის თეორია, მას საზღვრულ და ჩაკეტილ სივრცედ წარმოადგენს, სადაც ერთია დრო და სივრცე.

თვითონ ფორმა, სივრცე-დროის სისტემის ადამიანური თვალთახედვიდან, საბოლოოდ მაინც უბრუნდება შესაქმეში მოცემულ სამყაროს, როდესაც ბიბლიაში გვეუწყება: „თქუა ღმერთმან: იქმნნედ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანასა, განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა და იყვნედ სასწაულებად და დღეებად და წელიწადებად“ (დაბადება 1,14).

გამოდის, რომ სივრცე და დრო ციურ მნათობთა დამოკიდებულებაში აღიქმება, („ყველას ისინი დროს დასდებენ ნიშანთ და ჟამთ აღნიშნავენ“) და მხოლოდ კოსმოსის მოდელით შეიძლება მოეფინოს მათ არსს ნათელი.

ძველ ინდუისტურ სიბრძნეშიც სამყარო განიხილება სივრცესა და დროში იმის წყალობით, რომ აქვს პოლარობისა და რიტმის უნარი. შესაქმე გააზრებული იყო დროის იმ მომენტში განსახორციელებლად, როცა შემოქმედი პირველმიზეზნი დარჩნენ რა უბიწონი, დაბადეს ორი პოლუსი, დადებითი და უარყოფითი და წარმოიქმნა პოლარობა. ამ ორ პოლუსს შორის არსებული პულსირებული კავშირით, წარმოიშვა რიტმი ანუ დრო, რამაც განაპირობა სიცოცხლის დაბადება. მთელი მატერიალური და სულიერი სამყარო, უწვრილმანესი დეტალებით და უვრცესი გალაქტიკებით, ემორჩილება ზოგადი კანონზომიერებით განსაზღვრულ რიტმულ მოძრაობას, ხოლო თვით რიტმი პოლარობიდან იღებს დასაბამს. დადებითი და უარყოფითი ნაკადების რიტმული თანამიმდევრობა აბალანსებს და აწონასწორებს გრანდიოზულ კოსმოსს.

ინდურ მითოლოგიაში რიტმის ცნება სიმბოლიზებულია შივას მოცეკვავე ფიგურასთან და თვით ნივთიერ შრემდეა დაყვანილი. ადამიანის სხეულსაც გააჩნია ორივე პოლუსი. დადებითი მდებარეობს ზედა ნაწილში, სადაც თმები თითქოსდა იკრიბებიან. უარყოფითი ხერხემლის ყველაზე დაბალ ნაწილში – კუდუსუნთან და ამ ორ პოლუსებს შორის არის უწყვეტი უხილავი დინება, რომელიც განიხილება სიცოცხლის მამოძრავებელ ძალად, ამიტომ, მიაჩნიათ ხერხემლის სიჯანსაღე სიცოცხლის უმთავრესი დეტალის მატარებლად.

ზოგადადაც, ადამიანის სიცოცხლის არსებობის ერთ-ერთი სახე არის იქ, სადაც რიტმი აღიქმება და თუ იქ წონასწორობა დარღვეულია, ეს გადადის ისეთ დაავადებაში, როგორიცაა ჰიპერტონია,ინფარქტი,ტვინში სისხლის ჩაქცევა, რაც არცთუ იშვიათად სიკვდილითაც თავდება. ადამიანის დაავადებაც ატომთა ჰარმონიის დარღვევაში გადადის.

დედამიწის გრავიტაციული დაძაბულობა და მოძრაობა საკუთარი ღერძის და მზის გარშემო, რაც, თავის მხრივ, სხვა ცალკეულ ქვედარიტმებს (დღე-ღამე, წლის დროები...) წარმოშობენ, რიტმულ და პოლუსთა პოლარობაზეა აგებული.

პითაგორამაც სამჭედლოში მოსმენილი რიტმული დარტყმებით შეაღწია სამყაროს შეცნობაში. მასთან გალაქტიკაში არსებული პლანეტები განიხილება ბროლის სფეროებად, რომელთა მოძრაობითაც იბადება კოსმოსური მუსიკა – „სფეროთა ჰარმონია“. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მას მოსმენილი ჰქონდა სფეროთა მოძრაობის ხმა.

ყველაფრის დამწყებებად კი გვევლინებიან ძველი შუმერის მხარეში მცხოვრები ქალდეველები. ისინი ყველა მოვლენაზე ორიენტაციად და ათვლის წერტილად იყენებდნენ ვარსკვლავთგანლაგებას. ყველა ციური სხეულის მდებარეობა და მოძრაობა, ციკლურად ცვალებადი იყო დროში, საიდანაც შეიქმნა კალენდარული სისტემა. მხოლოდ დღევანდელი ჩვენი კალენდარია შედარებით მექანიკური, ადრეულ პერიოდებში იქ იკითხებოდა სამყაროს მომავალი სულიერი ჭვრეტით. მცნება „მექანიკური“ ნიშნავს, რომ ჩვენ დღევანდელობას სულიერების თვალსაზრისით ვანზოგადებთ, მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის დაბალი რწმენით, ანუ ზოგადი, ზედაპირული შემეცნებით.

ყოველი კალენდარი დროის აღრიცხვის გარდა იძლევა მისი რელიგიური განცდის საშუალებასაც, რომელშიც ჩადებულია კოსმოსური ლიტურგიის ციკლური ანუ რიტმული დროთმონაცვლეობა. ამიტომ არის ღვთისმსახურება წარმოუდგენელი

დროის ამ ციკლური შეფარდებითობის გარეშე და დროის ეს ერთეულები, თვითონვე არიან დროის დამოუკიდებელი ხატები. ე.ი. ყველა დროს გააჩნია თავისი აურა, ენერგეტიკა და საერთოდ ბუნება. ბიბლია მიუთითებს, რომ დრო, როგორც სუბსტანცია, უშუალო კავშირშია კოსმოსურ სისტემასთან.

კალენდარული სისტემისთვის, დროის საზომ ერთეულებად გამოიყენებდნენ ხილულ ბუნებას, რის მაგალითს იძლევა ძველი კელტური ტომი – დრუიდები. ადამიანისთვის დროის ერთეულებიდან უმთავრესნი იყო და არის დღე-ღამე, თვე და წელიწადი. მაგრამ ზუსტ მეცნიერებათა წყალობით გარკვეული იქნა, რომ ტროპიკული, ასტრონომიული და ერთი განსაზღვრული რიტმით აღებული დროის რაოდენობა ანუ სხვადასხვა წელიწადი ერთმანეთს არ ემთხვევა. ამისათვის დამატებით ორიენტირად გამოყენებული იქნა ციური სხეულები. მოკლედ რომ ვთქვათ, საბოლოოდ სწორება მათზე – ციურ სხეულებზე მოხდა.

აქედან გამომდინარე ყველა საზოგადოება თავისი დროის რელიგიური ორგანიზმის ღვიძლი და განუყოფელი ნაწილი იყო.

ჩვენ, რომ კარგად გავერკვეთ დროის უთანაბრობაში, ეს უნდა ასე წარმოვიდგინოთ, – მზის ხილული მოძრაობა უთანაბროა, ამიტომ ჭეშმარიტი დღე-ღამის სიდიდე არ არის მუდმივი. პირობითად შემოტანილია „საშუალო“ მზის მცნება, ესე იგი მზის მოძრაობა ეკვატორზე ჩათვლილია თანაბრად ისე, რომ ვარსკვლავთ შორის წლიურ მოძრაობას ამთავრებს ზუსტად დროის იმ პერიოდში, რა დროშიც მას ასრულებს ჭეშმარიტი მზე.

დროის ინტერვალს, „საშუალო“ მზის ორ ქვედა თანამიმდევნო კულმინაციას შორის ეწოდება საშუალო დღე-ღამე.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით გრიგორიანული კალენდრის მმართველობას ქვეშ, რომელიც შემოიღო 1582 წელს, რომის პაპმა გრიგოლ XIII-ემ. მისი წლიური ხანგრძლივობაა – 365 დღე-ღამე, 5 საათი, 48 წუთი და 46,1 წამი. მანამდე არსებობდა იულიუს კეისრის კალენდარი, რომელიც შემოღებული იქნა ძვ. წ. 46 წელს ალექსანდრიელი ვარსკვლავთმრიცხველის სოზიგენეს მიერ. გრიგორიანული კალენდარი ემყარება ტროპიკულ წელიწადს. სამოქალაქო კალენდრის შექმნისას შესწორება ხელოვნური წესით იქნა შეტანილი. სამი წელიწადი ერთმანეთის მიყოლებით შეიცავს 365 დღეს და მეოთხე 366 დღეს და ეწოდება ნაკიანი წელიწადი. ასეთი ანგარიშით სამოქალაქო წელიწადის საშუალო ხანგრძლივობა 365,25 დღე-ღამეა. განსხვავება ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობასთან შეადგენს 11 წუთსა და 13,9 წამს. რომ არ მოეხდინათ თუნდაც დროის ამ მცირე მონაკვეთის გაძევება, პერიოდულად სამოქალაქო კალენდარი კორექტირდება და დაგროვილი დღეების რაოდენობა გაითვალისწინება. ასე მოხდა ევროპაში 1582 წელს, როცა შემოიღეს ახალი სტილი. დადგინდა, რომ შემდეგში ის წლები, რომლებიც მთელ საუკუნეებს გამოხატავენ, ე. ი. იყოფიან 4-ზე, მაგრამ მათი საუკუნეების რიცხვი 4-ზე უნაშთოთ არ იყოფა, ნაკიანის ნაცვლად მიჩნეულ იქნეს 365-დღიან წელიწადად.

გრიგორიანულ კალენდარში დროის ათვლის სწორება ხდება გაზაფხულის დღეღამტოლობაზე (ბუნიაობა), ე.ი. დროის ეს მომენტი 21 მარტი და 23 სექტემბერი და ზამთრისა და ზაფხულის მზებუდობის წერტილები, 22 დეკემბერი, ყველაზე გრძელი ღამე და 22 ივნისი, ყველაზე გრძელი დღე. ეს კალენდრული სისტემა

განისაზღვრება დედამიწისა და მზის ურთიერთმდებარეობით. ამ ათვლაში არ მონაწილეობს არც პლანეტები, არც უძრავ ვარსკვლავთა ცა, რაც ნიშნავს, რომ გაზაფხულის დღეღამტოლობის წერტილი მოძრავი ხდება უძრავ ვარსკვლავთა ცის მიმართ. გრიგორიანული კალენდარი მთლიანად მზეზეა ორიენტირებული და მისი მთავარი ღირსებაა, რომ წელიწადის დროში დაფიქსირებულია წლის ოთხივე პერიოდი და არ იკარგება 11 წუთიც, რომელიც ტროპიკულ წელიწადთან შეჯერებისას წარმოიქმნა. მაგრამ ამ კალენდრის ნაკლია, რომ შეზღუდულია უწყვეტი რიტმულობა. გრიგორიანული კალენდარი უპირატესობას ანიჭებს დროის უწყვეტ გაგებას და არა დღე-ღამეებით განსაზღვრულ რიტმებს, მისთვის დამახასიათებელია რიტმები დროის დიდ ციკლებზე, ვიდრე დღე-ღამეებით განსაზღვრულ რიტმებზე, ამიტომ მისი კავშირი მთვარის კალენდრის ციკლებთან უფრო შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ცხოვრებაში იგი მიღებულად ცნეს, ეკლესიამ მაინც არ გაიზიარა და კვლავინდებურად იულიუსის კალენდრით ითვლის დროს. იულიუსის კალენდრის ღირსებაა, რომ მასში ჩვეულებრივი და ნაკიანი წლები რაიმე გამონაკლისების გარეშე მონაცვლეობენ რიტმებით 3-1, ერთი და იგივეა ნაკიანი წლების რიცხვი საუკუნეში. იგი რიტმულადაა დაკავშირებული მთვარის კალენდართან და ყოველ 19 წელიწადში ჯერადი ხდება მთვარის კალენდრისა და მეორდებიან მთვარის იგივე ფაზები. 28-წლიან ციკლში კვირის დღეები უბრუნდებიან თვის იგივე რიცხვებს. სააღდგომო ციკლი, ანუ დიდი ინდიქტიონიც ზომიერი ხანგრძლივობისაა და უდრის 532 წელს.

იულიუსის და გრიგორიანული კალენდრის განსხვავებები ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, სინამდვილეში კოსმოგონიური შეხედულების შედეგია. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ, ერთი მხრივ, იულიუსის კალენდრისა და კოსმოსის აგებულების შესახებ პტოლემეოსის მოდელის და, მეორე მხრივ, გრიგორიანული კალენდრისა და კოსმოსის აგებულების კოპერნიკისეული მოდელის შექმნა შესაბამისად ერთსა და იმავე პერიოდში ხდება.

მისტერიათა ეპოქა

(ფარნავაზიდან მირიანამდე)

ქართლის ცხოვრების ერთი ვერსიით, ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში გაანადგურა ყველა უცხოტომელი ქართლოსიანთა გარდა და მმართველობა ჩააბარა პატრიციათა ფენის წარმომადგენელს აზონს და ამის შემდეგ ეს უკანასკნელი წაიყვანა იქ, საიდანაც შეიძლებოდა თაყვანი ეცათ მზისთვის, როგორც უმაღლესი სულისთვის, მთვარისთვის, როგორც მზის მიწიერი გამოსახულებისთვის. ამავე დროს ყოველი ახალშობილი ექვემდებარებოდა ვარსკვლავთა მფარველობას და ბედისწერულ გათვლას.

ყველა რიტუალი მოიცავდა სწავლა-განათლებას, მისტიკას, სულიერების მაღალ ხარისხს, მაგრამ უდავოა მზის განსაკუთრებული ადგილი უძველეს რელიგიებში,

თვით ძველმა ქართველურმა ტომებმა მოსინიკებმა, ხალდებმა (ხალიბებმა), მუშკებმა, რომლებმაც ფოლადის წარმოება და მიღება მთვარეს მიუძღვნეს და აქედან მოდის თითბრის და ფოლადის სახელი მესინგი, მუსკი, მაინც მზის და ცეცხლის აქტიური მონაწილეობით მიიღეს ეს მიღწევები, თუმცა კაცობრიობის ცეცხლთან შეხებას სამყაროს სიცოცხლის დასაბამიდანვე ექნებოდა ადგილი და, ალბათ, მზის და მთვარის კულტის ზეობის ხანაში დაიწყეს ფოლადის წრთობა ცეცხლზე და მისგან მოგვრილი ცხოველმყოფელი ძალა ყოველთვის მოახდენდა სამყაროზე ზემოქმედებას, წარმმართველი ძალის ფუნქციით.

აქვე უნდა აღინიშნოს ისტორიული ფუნქციის დიდი მნიშვნელობა, ყველაზე ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ ზონაში არსებობის მიხედვით. უძველესი დროიდან დასავლეთის ქვეყნები ინდოეთს უკავშირდებოდა საქართველოს გავლით. ინდოეთიდან მომავალი საქონელი, მდინარე ინდის მეშვეობით ერთი კვირის განმავლობაში მოდიოდა ბაქტრიამდე, ამის შემდეგ იკარისა და მტკვრის მეშვეობით გადაიტანდნენ სურამამდე, იქიდან კი – შოროპანში, როგორც ცენტრალურ სავაჭრო ცენტრში, და მხოლოდ ამის მერე მდინარე რიონის მეშვეობით ხდებოდა შავ ზღვასთან დაკავშირება. აქედან კი ყველა გზა ხსნილი იყო. პლინიუსის ცნობით, ყოველ წელს შოროპანში ხდებოდა, რომის მიერ 100 მილიონ სესტერიცაზე მეტი ვაჭრობა, რაც ქმნიდა ქართული სახელმწიფოებისათვის უძლიერეს ეკონომიკურ ბერკეტს. ინდოეთთან მუდმივი და მჭიდრო ურთიერთობა ბადებდა, მასთან კავშირში მყოფი ქვეყნებთან, რელიგიურ და სხვა კულტურულ ზეგავლენებს, და თუ საბერძნეთის და რომის პანთეონთა მრავალღმერთიანობა უკვე ძვ. წ. X-V სს-ში დაიწყო, ვედური სიბრძნე დიდი ხანი იყო მას შემდეგ, რაც გამოჩნდა თავისი შემოქმედებითი იმპულსებით კავკასიასა და სპარსეთზე. საქართველოში ეს კვალი განსაკუთრებით ირეკლება მთის ზოლში, სადაც დღემდე შემორჩა ასეთი ლოცვა-სადიდებლები – ადგილის დედა, მუხის ანგელოზი და სხვა. არსებობდა როგორც ადგილობრივი, ასევე გარედან, უცხოეთიდან მიღებული კერპები, ბომონები და საკულტო საგნები. მათ შორის ურთიერთობისას მთავარი იყო იერარქიული საფეხური და შესამჩნევია, რომ ადამიანები მასზე რეაგირებას ახდენდნენ სიმწიფის ხარისხის, ანუ ასაკის მიხედვით, წლის დროის და ვარსკვლავთმოძრაობის გაანგარიშებით. ადგილობრივ შექმნილ კერპებში შედიოდა ბომონი ბოჩი, რომელიც ფარნავაზის ეპოქამდე აღინიშნება და მას შვიდი ხელი ჰქონდა, რაც სიმბოლურად აღნიშნავდა თარგამოსის და ქართლოსის შთამომავლებს. ძირითადი ხელი იყო თვით ქართლოსი, მეორე – ეგროსი, მესამე – მოვაკანი, მეოთხე – ეროსი, მეხუთე – ბარდოსი, მეექვსე – ლეკოსი და მეშვიდე – კავკასოსი. თეიმურაზ მეფე ბოჩს უწოდებს ასევე მრისხანე და შურისმაძიებელ ბომონს. სავარაუდოა, რომ სისხლის აღების აუცილებლობის წესი ამ დროიდან უნდა იყოს მისტერიაქმნილი და დადგენილი.

სამყაროს განვითარების ელემენტად განიხილებოდა ზენდავესტური დუალისტური ანუ კონკურენტული ბრძოლის საწყისი, როგორც იყო, მაგალითად, სპარსეთში ორმუზდი (კეთილი) და არიმანი (ბოროტი). ჩვენი არმაზი, სომხური არმაზდი და ორმუზდი მონათესავე მისტერიები უნდა იყოს. უძველესი წიგნი „ბუნ-დეხაში“ მოგვითხრობს, რომ თავდაპირველად სამყაროზე მეფობდა ბნელეთი, მაგრამ შემდეგ ორმუზდის კეთილმა სულმა გაჟღინთა სამყარო და არიმანი ჩაიკეტა ჯოჯოხეთში, რადგან

ორმუზდმა შექმნა ნათელი სულთა ლეგიონები, რათა არ გავრცელებულიყო არიმანის მიერ ქმნილი ბოროტი ქალბატონი სულები. ზეცა და ნათელი სულები იქმნებოდნენ სამი ათასი წლის განმავლობაში, არიმანი მას გამოუცხადებს ბრძოლას ცხრა ათასი წლის შუალედში, პირველი სამი ათასი წელი არსთა გამრიგის მეშვეობით იბატონებს ორმუზდი, მეორე სამი ათასი – ორმუზდი და არიმანი ერთად და მესამე ათასი წელი არიმანი იქნება მსოფლიოს მბრძანებელი. მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ ორმუზდი შეებრძოლება არიმანს და ეს უკანასკნელი სამუდამოდ განიდევნება ჯოჯოხეთში. ამ ქარაგმულ-მითიურ თხრობაში იკითხება კეთილ-ბოროტის ჩვეულებრივი მონაცვლეობა.

ორმუზდის ქვეშ იგულისხმებოდა შემოქმედებითი და სიკეთის შემქმნელი იდეის აღმოცენება, სიწმინდეების მორჩილება, სრულყოფა, ჯანმრთელობა და უკვდავება; არიმანთან – ბოროტგანზრახულობა, სიცრუე და ბნელი. ძვ. წ. ათასწლეულებში არსებობდა რელიგიური მიმდინარეობა საბეიზმი, რომელიც დანაწევრებულად და ურთიერთკავშირში, ინტეგრაციულ პროცესში მოიცავდა მზეს, მთვარეს, ქარს, წყალს და ცეცხლს. ამ ორ უკანასკნელს ყოველთვის ეკისრებოდა განწმენდის ფუნქცია. საერთოდ კი ადამიანის სული ყოველთვის ექვემდებარებოდა ამგვარ ზემოქმედებას – განწმენდას, გასუფთავებას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და შემდეგ გამდიდრება-გაკეთილშობილებას. ბომონები უნდა ყოფილიყო უმთავრესად ვერცხლის ან ოქროსი. ისევე, როგორც გაცი და გაიმი.

ფარნავაზის მეფობის (ძვ. წ. 302-237) დროს, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზი იყო დარიოს კოდომანის ძმისშვილი დედის მხრიდან და მან შვიდ ვერსზე არაგვისა და მტკვრის შესართავთან დადგა არმაზის კერპი ისეთ მდგომარეობაში, რომ ბომონის მზერა მიმართული იყო არმაზ-ქალაქისაკენ. ფარნავაზის სიცოცხლეში ბავშვების მსხვერპლშეწირვა ჯერ კიდევ ხდებოდა და მისი სიკვდილის მერე სხეული ჩაფლული იქნა არმაზის კერპის მიწაში. ფარნავაზის შემდეგ ფარნაჯომს ადგილობრივი დიდებულები ძველი ფარნავაზის სათაყვანო კერპებისაგან განდგომილად თვლიდნენ და სომხეთის მეფეს სთხოვდნენ, მოეკლათ ან განედევნათ ფარნაჯომი, ხოლო მისი შვილი არშაკი დაქორწინებულიყო მათი მეფის ქალიშვილზე. სომხეთის მეფემ მართლაც მოკლა ფარნაჯომი, წაიყვანა მისი შვილი მირიანი მძევლად თავისთან და არშაკი დაქორწინდა ფარნაჯომის ქალიშვილზე, რომელიც შემდეგ შეიქმნა არშაკიდების დინასტიის ფუძემდებელი სომხეთში. მოგვიანებით, როდესაც ქართლში იმეფებს მირიანი, იგი დაუშვებს ორივე მისტერიის – ცეცხლთაყვანისმცემლობას (მამათა რელიგია) და კერპთაყვანისმცემლობას არსებობას, რომლებიც ქართველთა ტრადიციული რელიგიებია იმ დროისათვის. ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო ღრმად მონათესავე რელიგია ზოროასტრიზმის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერს ცოცხალს აქვს დასასრულის მოლოდინი და დიდ რელიგიებს ენაცვლებოდა, მცირე ფრაგმენტული გაელვების საკულტო რიტუალები – ავესტა ანუ კერიის მფარველობა. უწმინდეს საგანს წარმოადგენდა ჯაჭვის საკიდარი, რომელიც ეკიდათ ოთახში შუა ცეცხლის თავზე და ჩემს ბავშვობას ამ საგნის ფაქტი დახვდა დასავლეთ საქართველოში. ამიტომ იყო, რომ ძველ საქართველოში წყევლა: „შენს სახლში კვამლი არ ამოსულიყოს!“ – ყველაზე დიდი უბედურობის მომცველი იყო.

მკვლევარები ავესტას რელიგიის ნიადაგზე მოსულად ხედავენ ამირანის მისტერიას.

ამ უკანასკნელმა პირველად გაარღვია ძველი ღვთაების კარჩაკეტილი საზღვრები და უპირატესობა მიანიჭა ადამიანურ პრიმატს. კერძოდ, გაუმართა ღმერთს შებრძოლება-ჭიდაობა, შექმნა მეტალურგია და ამისთვის იგი ჩაკეტეს კავკასიონის მთებში, მღვიმეში თუ გამოქვაბულში. ანუ ამ მისტერიების და ცივილიზაციების კულტურა ლოკალიზებული იქნა კავკასიაში.

ავესტას მისტერიის თანახმად, როდესაც სული ტოვებს სხეულს, საყოველთაო გვამური უარყოფითი ძალები გამოდიან ჯოჯოხეთიდან და სახლდებიან გარდაცვლილის სხეულში, ამიტომ ყოველი მიკარება უსულო სხეულთან იყო ცოცხალი ადამიანის ურთეერთკავშირი უწმინდურობასთან. ამიტომ ხდებოდა მიცვალებულის განბანვა-გაწმენდა, რაც უმაღლეს გაპატიოსნებაში იყო მიღებული და ასე სრულდებოდა, ხალიჩა ან ლოგინი სადაც მიცვალებული იმყოფებოდა ექვემდებარებოდა საგულდაგულო გაწმენდას – სამჯერ ხარის შარდში რეცხავდნენ, სამჯერ წმინდა მიწის ან ქვიშის საშუალებით, სამჯერ წმინდა წყლით და სამ თვეს იფინებოდა მზეზე. თუ მაშინ მიცვალებულებს წვავდნენ, ან მიწაში მარხავდნენ, ავესტას რელიგიის თანახმად მათი მიწასთან და ცეცხლთან კავშირი იკრძალებოდა. არ შეიძლებოდა მიკარებოდნენ გარდაცვლილის თმას ან ფრჩხილს, რადგან ეს ბოროტ სულთა სამეფო იყო. საქართველოს მთაში ორსულთა მშობიარობა ბოსელში და ქალების მენსტრუაციული ციკლის დროს, წმინდა ადგილებზე მიკარების აკრძალვა კერიის კულტის ნაშთები უნდა იყოს. კულტები და მისტერიები ხშირად იყვნენ ერთმანეთს გადაჯაჭვულნი და ცვლიდნენ ერთმანეთს, ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო სიმბოლოებსაც ატარებდნენ, იყვნენ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ხდებოდა სხვადასხვა ცნობიერების საფეხურზე და განსხვავებულ კომბინაციურ რიტუალში. ერთადერთი იყო მზის კულტი, რომელიც გამოდიოდა ყოველგვარი დადებითი ენერგიის სიმბოლოდ, სიცოცხლის საწყისად და სხვა. მზის ირგვლივ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შემორჩა უამრავი გამონათქვამი, ყველგან მისი არსებობა ძალის მომცემია, ხოლო ჩამოცილება-არყოფნა – წყევლის, მაგალითად: მზეგასაშავებელო, მზედასაბნელებელო, მზე დაგიბნელდეს, მზე გაგიქრეს, ლოცვისა და ბედნიერების – მზეობა, მზეკეთილობა, ენამზეობა, მზეთუნახავი, მზისიერი, მზიანი პირი, მზის ყურებით გაგაძღოს ღმერთმა, მზით გაიხარო, ამომავალი მზის მადლმა, ჩემმა მზემ, თქვენმა მზემ, ჩამავალი მზე ანუ იგივე მკვდრის მზე, ამომავალი მზე – ბავშვის მომავალი, „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო, ვაჟის მამა შინ არ არის, მზევ, შინ შემოდიო; ქალაქს არის აკვნისათვის, მზე, შინ შემოდიო" – ამბობდნენ ყრმის მოვლენის სარიტუალო სიმღერა-ლექსით და ა. შ.

უმთავრესი კერპები ქართლში უნდა ყოფილიყო ბოჩი, არმაზი, ზადენი, გაცი და გაიმი. საქართველოს მთიანეთი კი თავისი დასტურებით ანუ ე. წ. ქურუმებით განაგებდა სამკვიდრებელს, სადაც ბოლო საუკუნეებში ხევისბერები ჩაენაცვლა.

არმაზის კერპი ისტორიაში სხვაგვარად სახელდება, როგორც შოთანი და ის მკვებავის კულტივირებით გამოიხატებოდა და დღევანდელი კარგად ნაცნობი შოთის პურები, აშკარაა, რომ შეიქმნა მსხვერპლშეწირვის იდეით. ამიტომ, ხშირად არმაზს და შოთს ერთი და იგივე მისიის აღსრულება ევალებოდა და ურთიერთს გულისხმობდა. არმაზის დაღუპვას ორ ღმერთს მიაწერენ. ერთია სინათლის ღმერთის ანტიპოდი, ქალდეური ითრუშანი და მეორე – სომხეთის მეფის თრდატის რელიგია, რომელიც შემდეგ ქრისტიანულ რელიგიას ეზიარება.

ძვ. წ. III საუკუნეში კი მეფე საურმაგის (ძვ. წ. 237-162) დროს საქართველოში ღრმად იჭრებიან ბერძნული და რომაული პანთეონის წარმომადგენლები ვენერა და დიანა, ხოლო ანდრია პირველწოდებულის მისიონერობის ეპოქაში უკვე საკმაოდ პოპულარულია პანთეონის სხვა წევრებიც არტემიზია, აპოლონი, და რეე მართლის (181-231) მეფობის პერიოდში მცხეთაში აფროდიტას ქანდაკებაც დაიდგმება, რომლის დროს აიკრძალება კიდეც ბავშვების მსხვერპლშეწირვა მცხეთაში.

ქართლში საკმაოდ პოპულარული იყო უცხოური ღვთაებებიდან ფინიკიური და ბაბილონური კულტების შემოტანა, კერძოდ ასტარტას ღვთაების დომინირება, რომელიც გამოისახებოდა ლომთან ერთად მდიდრული ხვეული თმებით და ვნების აღმძვრელი მკერდით. მან ერთ პერიოდში ჭირვეული ღვთაების იმიჯი შეიძინა და აშარის სახელწოდება მიიღო. ყველა ეს ღვთაება მეორეხარისხოვანი დანიშნულებით მოქმედებდა და საქართველო ამ პერიოდში სინთეზია მსოფლიო რელიგიების, სადაც თავს იყრიდა სპარსული მისტიციზმი, მსოფლიო სხვა ქვეყნების რწმენის პლასტიურობა და მიიღწეოდა უფრო მაღალი, ნათელი და სიწმინდის შემომტანი რელიგიური ხარისხი, რაც საბოლოოდ სახარებისეულ განათლებაში გამოიხატებოდა.

მისტერიების ეპოქა

(ჰომოსაპიენსის სულიერი სრულყოფა)

„უფროისი ამისსა სიყვარული არავის აქვს, რაითა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის“.

ერის და პიროვნების რაობის შესასწავლად მისტერიების ეპოქაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რა სულიერი მნიშვნელობის იყო ის და ისინი (მისტერიები), კოსმოლოგიური თვალსაზრისით და როგორ გამოიხატება იგი მისტერიული ინიციაციის პროცესში.

ადამიანის სულიერ-მატერიალურ აგებულებას და სინთეზს თავის გარკვეული ფუნქციები უკავშირდება. ჩვენ, მარტივ პირობებში, ვიცით, რომ, თუ დაირღვა გვამი ანუ სულის ჭურჭელი, ადამიანი კვდება და მასთან ერთად სული ქრება მისი არსებიდან. ეს კი ასე ხდებოდა, – პირველი იყო და არის ფიზიკური სხეული, გვამი, მატერია, რომლის მიხედვით დაიწერა შემდეგ მათეს სახარება; მეორე ნაწილი არის სასიცოცხლო ძალების ის სისტემა, რომელიც გვამს განმსჭვალავს სასიცოცხლო პროცესებით. სხეულის ამ მეორე ნაწილს მცენარეული ანუ ვეგეტაციური ნაწილი ეწოდება, მისი მიხედვით შექმნილია მარკოზის სახარება. თანამედროვე ფორმით მას ეწო ება ეთერული სხეული. მესამე არის მშვინვიერი ფაქტორების, გრძნობების, ვნებების, ლტოლვების და საერთოდ ემოციების გამომწვევი ფაქტორები. ადამიანის ამ გრადციებს არისტოტელე ცხოველურ, ანუ ანიმალურ სამშვინველს უწოდებდა და დღეს ჩვენ მას ასტრალურ სხეულს ვეძახით, თეოლოგიაში ასტრალურ სხეულად მოიხსენიება და

არის ლუკას სახარება. მეოთხეა ადამიანის „მე“-ს განმსაზღვრელი ნაწილი, რომელსაც თეოლოგიაში იოანეს სახარებით აფასებენ. ამიტომ შეიქმნა სახარების ოთხთავიც, რათა ადამიანური ღვთაებრივი სამყარო განეზომათ ოთხივე კუთხით.

ბერძნულ მისტერიებში დახვეწის და სრულყოფის მოვლენებზე მახვილი დასმულია ასტრალურ სხეულზე. ამ პერიოდში არსებული სწავლულების მეშვეობით სამშვინ-ველიდან განიდევნებოდა სუბიექტური განცდები, მხედველობაშია პირადი სიმპატია, ანტიპატია,და ადამიანური სამშვინველი მიმართული იყო საგანთა ობიექტური,სულიერი განცდისაკენ, რითაც მოხდა ხელდასხმის საფეხურის ამაღლება და სრულყოფა. ასტრალური სხეულის ამგვარ გარდაქმნას და სამშვინველის გაკეთილშობილებას, ბერძნები, თავისი კულტურული ეპოქისთვის დამახასიათებელ ენაზე, ფიგურალურად ეძახდნენ „ოქროს საწმისს“, რაც გულისხმობდა იმას, რომ „ოქროს საწმისის“ ფლობა ნიშნავდა განწმენდილი ასტრალური სხეულის ფლობას. უტყუარია, რომ ყველა ასეთი მისტერია-სწავლულება და ხელდასხმა-ინიციაცია სკოლებში გასადუმლოებული იყო.

სავარაუდოა, რომ ბერძნებმა, სწორედ ეს სწავლულება და ხელდასხმა წამოიღეს აიეტის კოლხეთიდან, რადგან აქ ინახებოდა და ხდებოდა კოდირება-გასაიდუმლება მისტერიების.

თუ ჩვენ ქართველების წინარე ტომებს მუშკებს, მოსინიკებს, ხალიბებს, ტიბარენებს, მაკრონებს და სხვებს ვაღიარებთ მეტალურგიის შემოქმედ ხალხად, უდავოა, რომ პრომეთეს მითი, იგივე ჩვენი ამირანი, უფრო შორეულია და საიდუმლოებით მეტად დაფარული, ვიდრე პრომეთე.

ცეცხლი, როგორც ფუნქცია და კატალიზატორი ადამიანის ცივილიზაციისა, იმ დროიდან იქნებოდა ადამიანის მეგზური, როდესაც გაჩნდა მეხი და ვულკანი. ამიტომ, ამირანმა ან პრომეთემ კი არ მოსტაცა ცეცხლი ღმერთს, არამედ მეტალურგიული რეცეპტები. საინტერესოა, რატომ ხდებოდა უფრო მეტი გახმიანება ბერძნული მითების, ვიდრე კოლხურის? პასუხი კვლავ ერთია! კოლხურ მისტერიებს ედო უფრო მეტი ბურუსის საფარველი, ვიდრე ბერძნულს. და, საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კავკასიის ქართული ზოლი იყო იმ კულტურათა შემნახავი, რომელსაც ევროპაში აღარ აჩერებდნენ თავდასხმების და სხვა მტრული გარემოცვის გამო. როდესაც კონსტანტინოპოლის ბიზანტია დაეცა, აქ, საქართველოში, ისეთი ნაკადით ხდება წმინდანთა ნაწილების შემოდინება, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ საიდუმლოს შენახვა შეიძლება ივარაუდოს კაცმა. ახლა ავხსნათ, რა ხდებოდა ადამიანის ცნობიერებაში ასეთი რევოლუციური გადატრიალებით.

სარწმუნოა ის ვერსია, რომ რაც უფრო მეტი მატერიალური მჭვრეტელი ხდებოდა ადამიანი საგნების, უფრო მეტად იძენდა დამოუკიდებლობის ხარისხს და ნელა, უჩუმრად წყდებოდა სულიერებისაკენ აღმავალ ხარისხს. ამიტომ არის ამირანის მითშიც შინაარსად ჩადებული, რომ ამირანი არ დაემორჩილა ღმერთს, მან ღმერთი გამოიწვია ძალის მოსასინჯად, ამიტომ მიაჯაჭვა იგი – ამირანი (პრომეთე) კავკასიონზე, რათა მეცნიერება გაეფრთხილებინა, კაცობრიობავ, იყავი ფრთხილად, ნუ მოსწყდები ღმერთს, რათა სულიერი ჭვრეტის უნარი არ დაკარგო. ბერძნების პრომეთეც ხომ კავკასიონზეა მიჯაჭვული, იმიტომ, რომ ის აქაურია, ამ მისტერიით არის ხელდასხმული და ინიცირებული. სიტყვა პრომეთესაც ბერძნები წინასწარმეტყველის სიმბოლიკაში

იაზრებდნენ, რომელიც ამ მხრივ ზევსსაც კი აღემატებოდა. ეს სიძლიერე სხვა არაფერია, თუ არა მეტალურგიის წრთობის ხარისხი და საიდუმლო კოდის ნიშანი. პრომეთე თავისი ბუნებით ნოვატორია და თუ ადრე ზევსს დაუჭირა მხარი მამის წინააღმდეგ ამბოხში, ამჯერად კვლავ რეფორმაციის და განახლების მხარესაა, რაც კვლავ ამბოხებასთან არის წილნაყარი. პრომეთეც იმას წინასწარმეტყველებს, რომ ზევსს თეტიდასგან შეეძინება ვაჟი, რომელიც მამაზე ძლიერი აღმოჩნდება და მის ძალაუფლებას დაამხობს. ე. ი. მოდის უფრო ძლიერი პროგრესი, მაგრამ ამ დროს ყველა უცილობლად ინარჩუნებს კონსერვატორის ბუნებას, ამიტომ ზევსი უარს ამბობს თეტიდასთან კავშირზე, მაგრამ წმინდა წერილებში დაწერილია, რომ ეს ძალაუფლებაც შეიცვლება ახლით. ქალღმერთი თეტიდა ქორწინდება ნელევსზე და მართლაც შეეძინება მამაზე ძლიერი შვილი — აქილევსი.

აქელივსსაც ქირონი გაზრდის, ისევე, როგორც პრომეთეს და კენტავრმა ქირონმაც საკუთარი უკვდავება შესწირა და ისე ჩავიდა ჰადესში. ამ პირობით განთავისუფლდა პრომეთე. დაუკვირდით, რა სიმბოლოები აღენიშნება, უკვდავებას წირავს ანუ მარადიული არ იქნება მისტერია, რომელიც იმჟამად იქნება ხალხის განათლების წყარო და ისიც დროებითი მოვლენებია, ოღონდ ამ ცვლილებებში კვლავ მიიღებს მონაწილეობას აღმზრდელ-განმანათლებლის სახით, პრომეთეს — ამირანის მისტერია.

აქილევსი პელაზგია ეთნოსით, მაგრამ მაინც აქაველთა მხარეზე იბრძვის, ანუ იდეა და პროგრესი უფრო წინ დგას ვიდრე საკუთარი ტომი.

ამ შემთხვევაში პრომეთეც (ამირანიც), აქილევსიც და ქირონიც გვევლინებიან შემაერთებელი რგოლების ეპოქის განვითარებაში, ძველიდან ახალში გადასვლის, სადაც თავსაც წირავენ დიადი მიზნის გამო. ანალოგიური გარემოებებია კოლხი ქალების მედეას, კირკეას და პასიფაეს ასულის არიადნეს შემთხვევებშიც, ისინი ტოვებენ თავიანთ სამშობლოს, სიმბოლიკა ასეთია ძველი სამყაროს და ახალ ქვეყანაში ანუ ახალი ეპოქების სამსახურში დგებიან.

ეს გადასვლები კი საჭირო იყო იმისთვის, რომ ადამიანის ცნობიერების — მატერიალურ, ეთერულ, ასტრალურ და მთლიანად სულიერ გარემოს არ აკმაყოფილებდა ძველი და ქმნიდნენ განვითარების ახალ საფეხურს, მითი — მისტერიის სახით.

როგორც შემდგომი კვლევები ადასტურებენ, კოლხური კულტურისათვის ღრმა, საიდუმლო შენახვა და ახლის აღმოჩენა ზოგად-ბუნებრივი მახასიათებელი იყო.

ეს არის ძვ. წ. XIX-XII საუკუნეები — ცხვრის ეპოქა, მეოთხე ეპოქა ანუ წარღვნის შემდგომი ეპოქა იყო სამზადისი, ქრისტიანულ ეპოქაში გადასვლის, სადაც ცხვარი წარმოადგენს უპირველეს მსხვერპლშეწირვის ობიექტს და ზვარაკს.



ბოლნისი. 478-493

სული და მისი მიმოქცევანი

– „რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა ნაშობნი ქრისტიანეთანი... გარდაგვლარძნეს – რომელნიმე მძლავრებითა, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრობით და სხვანი... რომელნი ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლუვანებით და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, შიშით განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, არამედ ქრისტეს სიყვარულითა და შიშით, ჩვეულებისამებრ მამულისა სვლისა, ჭირთა მოთმინებითა, არა განეშორებიან მხოლოდ შობილსა ძესა ღმერთისასა“.

ფილოსოფიის ძირითადი წამყვანი საზრისი არის სულის შემეცნება, ამიტომ თავდაპირველ შეხებას ამ საგანთან ადამიანი იწყებს მისი არსებობის და კვდომა-სიცოცხლის გაგებით.

რაკი სულში სიცოცხლე აუცილებლობითაა გამოვლენილი, მსგავსად სნებისა – ცხელებაში და ცხელისა – ცეცხლში, ამიტომ ცოცხალი ისევე უპირისპირდება მკვდარს, როგორც ჯანსაღი – სნეულს და ცხელი – ცივს.

სულის საკვები ადამიანის სხეულში ყოფნისას სიქველის ქმნადობაა და თუ ადამიანი ამას არ აკეთებს, იგი სულს მონურ მდგომარეობაში ამყოფებს. სული თავის შინაარსით სიკეთის ანალოგია, რომელიც ისევე შეიცავს მას, როგორც თვალი ნათელს, წყალს და ის ისევე გამჭვირვალეა და გამტარი, როგორც წყალი.

ყოველი მოვლენა ან საგანი განუწყვეტლივ მოძრაობს ბოროტსა და კეთილს შორის და გამოასხივებეს ნატიფ ნაწილაკთა ტალღებს.

პლატონი ერთ მეტად ორიგინალურ აზრს ანვითარებს გედის სიკვდილთან დაკავშირებით და ამბობს: „გედი იმიტომ გამოსცემს ხმას სიკვდილის წინ, რომ ისინი სანეტარო წუთებით ივსებიან, როდესაც სიკვდილის საუფლოში მიემგზავრებიან“. ე. ი. გამოდის, რომ ყველა სულიერს უნდა უხაროდეს სულად გახდომა და გარდაცვალება. სვანური ზარიც იმის მაუწყებელია, რომ იმქვეყნად მიმავალს საგზლად ატანდნენ მხნეობას, სიმღერის ძალას და საჩუქრებს.

მატერიალიზებული ადამიანური ყოფა პროგრესირებს ადამიანის პრაგმატულ ხაზს, მაგრამ აშორებს სულის რაობისგან. ჰაიდეგერი ადამიანის სულის კვლევისას ამბობს, რომ: „ახალი არის კარგად დაფარული ძველის გამჟღავნება, იმ საძირკვლების გაცნობიერება, რაზეც დგას ფილოსოფიური აზროვნება“.

პლატონი სულს ასე განმარტავდა: „სული კოსმოლოგიას სათნოების თეორიასთან აკავშირებს. მისი აზრით, ადამიანის სული შედგება 3 ნაწილისაგან: გონებისა, ნებისა, და სურვილისაგან. სული გონებით მსოფლიო სულის მსგავსია, თვითმოძრავი და მარადიული. მისი ნება თავისუფალ არჩევანშია, რომლის შესაბამისად სხვადასხვა სხეულში ჩასახლდება. თავდაპირველად იგი იდეებს შორის არსებობდა, მაგრამ ვერ დაფარა იქაური სიდიადე და სასჯელად სხეულში, როგორც საფლავში ამიტომ

მოთავსდა. სულის ბედი აზროვნების ძალაზეა დამოკიდებული. პლატონი სულს ფრთიან ეტლს ადარებს, რომლის მეეტლე გონებაა, ხოლო ურჩი ცხენები – ნება და სურვილი. სწორი შემეცნება სიკვდილისათვის მზადებაა, მაგრამ თვითმკვლელობა აკრძალულია. სიკვდილი სულისა და სხეულის გათიშვაა. განსხვავებით სხეულისაგან, სული მარტივია, ამიტომ იგი უკვდავია. სიმარტივე იდეალურ ატომურობას ნიშნავს და არა მრავალფეროვანი შინაარსის უარყოფას. სწორი შემეცნება საკუთარ თავზე გამარჯვების პროცესია და ზნეობრივ მოქმედებაში ვლინდება.

სათნოების თეორიის მიხედვით, ზნეობრივი მოქმედება არ არსებობს მისი ცოდნის გარეშე. სათნოება ზოგადად 4 სახედ იყოფა: სიბრძნე, სიმამაცე, ზომიერება, სამართლიანობა. პირველი გონების სათნოებაა, მეორე ნებისა, მესამე სურვილისა, მეოთხე მათ აერთიანებთ გონების ხელმძღვანელობით. პლატონი იცავს სათნო მოქმედების თავისთავად ღირებულებას. თვლის, რომ სჯობს უსამართლოდ დაისაჯო, ვიდრე უსამართლობა ჩაიდინო. ბოროტება მტრის მიმართაც არ უნდა ჩაიდინო. ზნეობრივი მოქმედების საზომი არ შეიძლება სიამოვნება იყოს, რადგან იგი თავად ქმნადობაა.

სულის უკვდავება

„ორობაი არა არს დასაბამი, ერთობაი არს დასაბამი ყოველთა.“

პეტრე იბერი

თემის მოცულობის გამო ალბათ ზედმეტი იქნება იმის ახსნა, რომ დავახასიათოთ საგანგებოდ გარდამავალი პროცესის არსის სირთულე და უნდა ვთქვათ, რომ არსად არ შეზრდია წარმართობა ქრისტიანობას ისე ბუნებრივად, როგორც საქართველოში. რაც უფრო სრულყოფილია ამ პერიოდის ბუნება, მით უფრო დიდი და კეთილი შედეგებია ახალი პერიოდისთვის. ამგვარად, ახალი ეპოქის ემბრიონი – ქრისტიანობა, ძველის წიაღში, წარმართული ხანის საშოში მომწიფდა და როგორც შვიდთვიანი ბავშვის სიცოცხლეა საფრთხის ქვეშ, ასევე ყოველივე სიჩქარე შეიძლება ბუმერანგივით უკუდარტყმით მოგვიბრუნდეს.

ბერძნულ კოსმოგონიაში მკრთალად არის ხაზი გასმული იმაზე, რომ, ადამიანი თავად უნდა მისულიყო მრავალღმერთიანობიდან ერთღმერთიანობამდე და ამას ფაქტიურად ადამიანთა სამშვინველის სიმწიფე წყვეტდა, თუმცა წმინდა წერილებში უკვე იყო მინიშნებები მაცხოვრის მოსვლაზე. თუ ეს ევროპაში დასრულდა რენესანსის ეპოქით, რომლის სათავო იდეა გახლდათ ქრისტიანობის სინთეზი არა ზოგადად წარმართულ, არამედ ყველაზე სრულქმნილ ბერძნულ წარმართულ კულტურასთან, ბიბლიური შინაარსისა და ბერძნულ უსრულყოფილესს ფორმებთან მოხდა. ქართველები, გარდა კულტურათა შეჯვარებისა, დაკავებულნი იყვნენ სამყაროთი და მარადისობით, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა სულის უკვდავების იდეას, რადგან მარადისობას თუ

სადმე ტოლი და მისი მსგავსი ჰყავს, ეს სულია, რადგან მის საფუძველზეა შექმნილი ყოველი არსი. სხვათა კულტურაში კი ვარჩევდით უფრო წარუდინებელს და სულის'შემძვრელს, ვიდრე მხოლოდ ტკბობისთვის გამიზნულ საგანს, ან სულიერების ახალ კვირტს ვზრდიდით, ამიტომ მივიღეთ ჩვენ ასეთი ოქროს ფოლკლორი და ეთნოგრაფია. თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, დაასახელეთ მეორე ისეთი პატარა ერი, რომელიც დღენიადაგ იბრძოდეს პოლიტიკურ რუკაზე არსებობისთვის და თან ქმნიდეს ასეთ ხელთუქმნელ განძს. ქართველი ხალხის მუდმივი თვისება სამყაროს სულის უკვდავებაა, რომელიც ბუნებრივად მიგვაახლოებს ადამიანის სულის უკვდავებასთან. ამიტომ უწოდა ქართველმა სიკვდილს გარდაცვალება, ასევე მართლდება ის სიტყვები, რომ ბუნებაში არაფერი არ იკარგება. ადამიანის გარდაცვალება კი წარმოიდგინება, როგორც სხეულიდან გასვლა და არა გაცამტვერება. დატოვა ეს ხორცის ჭურჭელი ამ ცეცხლოვანმა სულმა, როგორც ძველი სამოსი, დაბერებული და მყიფე სხეული. განვიდა, რადგან არაერთგზის უნატრია სულს სხეულში არსებობისას დააღწიოს თავი სხეულის საკანს და იქ პატიმრობას, აღისრულოს სურვილი ყველგან არსებობისა, არ გაქრეს სასიცოცხლო ასპარეზზე, რაც დროისა და სივრცის ყველაზე მაღალი შესაბამისი ღირებულებაა. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, მისი სურვილი, შექმნას სტიქიასთან მებრძოლი რაკეტები და კოსმოსური ხომალდები, არის იმის სწრაფვა, რომ გაანეიტრალოს საკუთარი სისუსტეები და მიუახლოვდეს სულის უკვდავებას და მარადიულობას. ასეთი მოქმედებით, თუ ზოგჯერ სხეული საპატიმრო დილეგია, წარმატებული შემოქმედი ადამიანი ზემაღალი ღვთის ტაძარი და უზენაესთან და თავისუფლებასთან წილნაყარი მარადიული მშვენიერებაა. მხოლოდ ამგვარი მარადიული ღირებულებებით (სიყვარული, სინდისი, სამართლიანობა, სიბრძნე, მშვენიერება და ა. შ.) მიმდინარეობს ადამიანში ფასეულობათა ევოლუცია და მას უნდა მიჰყვეს ნაბიჯ-ნაბიჯ უკვდავებამდე.

აზროვნება, ლოგიკა, ინტუიცია კი არის ის ქმედება, რომლითაც მიიღწვის ადამიანი შეუცნობადის აღსაქმელად და ანათებს ბნელეთის უფსკრულებს. სწორედ ასეთი სწრაფვით ჩადეს ქვაში და ბგერაში მიქელანჯელომ და ბეთჰოვენმა სულის სიმაღლე და მარადიულობა. ჩვენ არ შევუდგებით ემოციათა და გრძნობების ცალ-ცალკე განხილვას, მაგრამ უნდა შევჩერდეთ ერთზე – სიყვარულზე. პავლე მოციქული მას თვით სიბრძნეზე ზევით აყენებს და ამბობს, ყველაფერი გაქრება გარდა სიყვარულისა. ღვთაების სიყვარული არის უმაღლესი და თუ გინდა შეხვიდე უმაღლესი განცდის აპოგეაში, მხოლოდ კი არ უნდა გწამდეს, უნდა გრძნობდე მის არსებობას. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რუსთაველმა გენიალური „ვეფხისტყაოსნის" წამყვან ღერძად სიყვარული გამოიყენა და ამ ხაზის განვითარებით ავტორს უნდა თავის პოემას და გმირებს უკვდავება მიანიჭოს. სიყვარულის ნაპერწკალს საერო ცხოვრებაში ყველაზე სწრაფად პოეტური ინტუიცია გრძნობს და მისი საშუალებით მხდალიც კი შეიძლება შეიქმნას გმირი. არსად ისე არ განიცდის ადამიანი ამაღლებას, როგორც სიყვარულით გაჯერებული ადამიანის სული, რომელიც ბრიყვსაც კი აკეთილშობილებს და საბოლოოდ ხდება მისვლა სულის უკვდავების განცდამდე. ინტიმური სიყვარული ხშირად გამორიცხავს გონისმიერ განსჯას და უმთავრესად გაზაფხულსა და ზაფხულში იდგამს ფეხს, ვინაიდან ამ დროს მშვენიერი გრძნობა ბუნებაზე ქორწინდება და ორგზის მშვენიერია ამ ბედნიერი ჰარმონიით. იგი ამ

დროს ბუნებასავით უცოდველი, გულწრფელი და ალალია. მთელი ეს სიმძაფრე და განზომილებები მოცემულია აფროდიტეს და ეროსის მითში, ასევე უმჭიდროეს კავშირშია პიგმალიონთან მშვენიერება, ხელოვნება, სიყვარული და უკვდავება.

შოპენჰაუერი სიყვარულს, ხელოვნებას და მშვენიერებას ერთ მთელში განიხილავს. სამივე მათგანი სრულად იმორჩილებს ადამიანის გონებას და წარმართავს მას. ორივე სქესი უმაღლესი გაგებით სიყვარულში დავანებისას გულისხმობს თვითდათმობას და თავგანწირვას და ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სული ქვეშეცნეულად მიისწრაფის უკვდავებისაკენ. იესო ქრისტემ მაშინ აღასრულა ჯვარცმის მისტერია, როდესაც ბოლომდე და სრულად შეიყვარა მოყვასნი თვისნი, ამიტომ გვაუწყებს იოანე ღვთისმეტყველი: „შიში არ არს სიყვარულსა თანა, რამეთუ სრულმან სიყვარულმან გარე განდევნოს შიში“. ამიტომ გოლგოთის მისტერია კაცობრიობის სრულყოფის მისტერიაც და ადამიანის უკვდავებისაც. სულის უკვდავების ერთ-ერთი მაცოცხლებელი იმპულსია შეგრძნება და კავშირი ჩვენთვის მახლობელ და ერის გმირ სულებთან და ამ ამოსაცნობი ზღუდე-ნიშნით უცნაურ სიკვდილ-სიცოცხლის გამყოფ ხაზს იოლს და არასაშიშს ხდის. მარიამ ღვთისმშობელსაც კი მიეგება საზვერეებში ძე ღვთისა, რათა გაუიოლოს გადასვლა იმ ქვეყნად – ზესთა სოფელში. ყოველგვარ მცირედშიც იძებნება სულის მარადიულობის არსი. ძველი ეგვიპტელი ქურუმის ჰერმეს ტრისმეგისტოსთან და ხშირად მოვლენა უწვრილმანეს პერსონიფიცირებამდე დადის, ამიტომ არის უდიდესი სიმბოლიზმი მისტერიებში, მათ გმირებსა და ღმერთებში. სულის უკვდავების გარეშე ყოველგვარი სამყაროსეული მოვლენა აზრს კარგავს, ამიტომ ის ზეეროვნული მცნებაა და მისი საშუალებით და ძალით გაიარა მაცხოვარმა გოლგოთის მისტერია. მიღებულია, რომ სულთა საუფლოში არ არსებობს ხარისხები ეროვნულობის მიხედვით. ეს კიდევ უფრო მეტად ამტკიცებს სულიერი იერარქიების და ბერძნული წარმართული ღმერთების საერთო წარმომავლობას, რაც განაპირობებს კიდევაც ქრისტიანობის და ანტიკური კულტურის სინთეზს, პავლე მოციქულისა და დიონისე არეოპაგელის მიერ ათენის ეზოთერული სკოლის დაარსებით რომ ჩაეყარა საფუძველი. ათენა-პალადის მიზანი გახლდათ ადამიანი, აქედან გამომდინარე იყო იგი სიბრძნის განსახიერება, ამიტომ იგი განცალკევდა ღმერთებისგან, რადგან ის იყო ჭურჭელი ადამიანის მე-ს მომწიფების და მხოლოდ ასე უნდა ქცეულიყო ღმერთად. ჰეგელი ასეთი მსოფლმხედველობით აიგივებდა ობიექტური სამყაროს შემეცნების საშუალებას, აზროვნების სუბიექტურ პროცესთან, მე-სთან. ერთი სიტყვით, ადამიანი ხდებოდა მაქსიმალურად დამოუკიდებელი და თავისუფალი, მას მხოლოდ საკუთარი გონების საშუალებით უნდა დაეცვა თავი ყოველი ადამიანური და სტიქიური სიავისაგან. ამის გამო ანიჭებს ათენა-პალადი ოდისევსს ადამიანურ თავისუფლებას.

ადამიანებში სულის კარნახით ხდება, სიკვდილისწინ ცოდვების გამოსყიდვის ის გზა, რომ მათ უჩნდებათ აზრი, რათა შემდგომში მოვიდნენ იმ ხალხის და ეროვნების წარმომადგენლებად, ვისაც მათ ყველაზე მეტი ზიანი მიაყენეს. ეს სუფთა ზეეროვნული ბუნების შედეგია და სულთა მარადიული სიცოცხლის არსია. თეოლოგიაში და ნეტარი ავგუსტინესთან არის სულთან ასეთი შეხებები, რომ განვითარებულ ხალხებში ადრე მცხოვრები მაღალი უნარებით დაუნჯებული სულები ითვისებდნენ იმ სულიერ საუნჯეს, მათმა ყოფილმა მტრებმა, რომ დატოვეს იმ ეროვნებაში წინა ცხოვრების ჟამს.

სულეთიდან ადამიანის სული ბავშვივით სუფთა, უმწიკვლო და მოუსვენარი გამოდის, რომელიც გვამში არსებობის ბოლომდე უდრეკი ენერგიის განხორციელებაა.

მაგალითად, ჰენრიხ შლიმანისათვის ძველი ბერძნული კულტურა გაუგონრად გამტაცებელია, ისევე, როგორც მარჯორი უორდროპისათვის ქართული სამყარო. ერთგვარად ეს არის ქვეცნობიერიდან ანაზდად ამომსკდარი სიყვარული და ლტოლვა, და სხვა საბუთიან არგუმენტებს ძეხორციელი ძნელად მოძებნის. ეს ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადრეულ ეპოქებში მათ სულებს რაღაც ავი თუ კარგი კავშირი ჰქონდათ ამ ხალხებთან. ასეთ გახსენებას და ლტოლვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ პითაგორა, პლატონი და მისტერიათა ხელდასხმულები. ანალიზური და სინთეზური აზროვნების პროცესში, წარმოსახვით და ინტუიტიურ აზროვნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყოველთვის, გარდა დღევანდელი ეპოქის მეცნიერებისა.

ძველი მსოფლიოს ადეპტები და ამ ფენის კიდევ უფრო მაღალი ქურუმები რეალურს და ობიექტურს სულიერ სამყაროს მიიჩნევდნენ, ფიზიკურს კი — ილუზიად. პლატონთან სულები და იდეები მონათესავე მცნებებია, სადაც მშვენიერებათა კიბე იწყება სხეულისა და ფორმის მშვენიერებიდან და ადის ზნეობრივ სილამაზეთა საფეხურამდე, შემდეგ მისი აპოლოგია ესთეტიკურ და ეთიკური საწყისების უმაღლეს წერტილს უახლოვდება. არისტოტელეს მოძღვრებაში ადამიანური სული ციური წარმოშობისაა. მისი აზრით, იგი სულეთიდან სხეულდება ადამიანურ ხორციელ მატერიაში, ხოლო გარდაცვალების შემდეგ უბრუნდება კვლავ სულეთს. ამ მხრივ არისტოტელე ზუსტ უნისონშია ბიბლიასთან. ასევე თანხვდომა ჰქონდათ არისტოტელეს და ბიბლიას სულთა ინკარნაციასა და გარდასხეულებაზე.

რა ელის სულს სხეულთან განშორების შემდეგ? სული გვამში სიცოცხლის დროს არის პატიმარი და მხოლოდ სხეულთან განშორების შემდეგ უბრუნდება მარადიულ სასუფეველს (თავისუფლებას).

წმინდა წერილების მიხედვით, მართლმადიდებლური ქრისტიანული სწავლულებით, გარდაცვლილის სული სამი დღის განმავლობაში თავს დასტრიალებს ცხედარს და ამით, ამასთანავე, ემშვიდობება ახლობლებს და ნათესავებს. მესამე დღეს ანგელოზებს სული ზეცაში აჰყავთ და უფალთან წარადგენენ და სასუფევლის სანახებს აჩვენებენ ექვსი დღის განმავლობაში. მეცხრე დღეს სულს კვლავ წარადგენენ უფალთან და ამჯერად ჯოჯოხეთს მოატარებენ. მეორმოცე დღეს შედგება სულის სამსჯავრო, რომლის დროსაც ანგელოზები იხსენებენ მის კეთილ ნაღვაწს მიწიერ და მოკვდავ განზომილებაში. განსაკუთრებით გაიხსენებენ იმ საქმეებს, რაც მის სახელზე სხვებს გაუკეთებიათ გარდაცვალებიდან 40 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ დაცემული სულები წარმოადგენენ, წარმოაჩენენ მის ცოდვიან ცხოვრებას. ორივე სამსჯავროს შემდეგ იესო ქრისტე პირად სამსჯავროზე გაასამართლებს გარდაცვლილთა სულებს და დედამიწაზე მეორედ მოსვლამდე მიუჩენს ადგილს სასუფეველში ან ჯოჯოხეთში. ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ საერთო სამსჯავრო შედგება, რომელზეც თითოეული ადამიანის სულს უფალი ხელახლა გაასამართლებს ყველას თანდასწრებით და უკვე სამუდამო ადგილსამყოფელს მიუჩენს. იმის მიხედვით, თუ როგორ ზრუნავენ ახლობლები გარდაცვლილის სულზე, როგორ ლოცულობენ ეკლესიაში და ამის შემდეგ შეიძლება კიდევაც სულის აყვანა ჯოჯოხეთიდან სამოთხეში. გამორჩეულად ცხოველმყოფელია დედის ლოცვა, ახლობელი ნათესავების, მეგობრების, ნათელ-მირონის და სხვა. მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრებით, მიკვდავის სიკვდილი დროებით

განშორებაა მათგან და აუცილებლად შეხვდებით ზეციურ სამყაროში. ამიტომ ამბობს ჩვენი ხალხური ზეპირსიტყვიერება – „წუთისოფლის სტუმრები ვართ", ხოლო ცაში კი უკვე შინა ვართ და სიკვდილი არის არა გაქრობა, არამედ – გარდაცვალება.

სულიწმიდა

„ჩვენი ძველები ამბობდნენ, სოფელს ღვარძლი რომ დარევს ხელს, ეშმა ხარხარებსო".

ყოველი შემოქმედება და ქმნადობა სულიწმიდის გაცხადებაა სიტყვაში გამოვლენილი. ანტიკური ხანის ქრისტიანობის წინასწარმჭვრეტელი და თეოლოგი ორიგენე ფიქრობდა, რომ როგორც შინაგანი აზრი, ასევე ღვთაებრივი შემოქმედება მიიღწევა სულიწმიდის გადმოსვლით ადამიანზე. სულიწმიდის მადლი კი ეძლევა იმას, ვინც სიკეთით და სიქველით ცხოვრობს. მადლი ასევე არის სნეულთა მკურნალი და ნაკლუვანებათა ალმავსებელი, ძალა და წყალობა ღვთისა. ის, ვინც ნაზიარებია სულიწმიდას, მას ზეგარდმო ეფინება მადლის ძალაც. ყოველივე ზემოთქმული მრავალ თეოლოგს აქვს გამოთქმული და დღეს იმდენად ჭეშმარიტებაა, რომ ეს აზრი არავის არ ეკუთვნის, რადგან საყოველთაო და ანბანურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. თუმცა საინტერესო განმარტებას იძლევა ბრძენი სულხან-საბა მადლის შესახებ: „მადლი ესე არს, რომელმან არცა ნაცვლის გებისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყუარულისათვის კეთილისა და ქველის საქმე ქნას". ქრისტიანულ თეოლოგიაში მადლის ცნებას უკავშირებენ პრედესტინაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც, საყმაროს ყველა მოვლენა ადამიანის ჩათვლით, წინასწარაა განსაზღვრული ღვთაებრივი ნებით. აქედან მიაწერენ ადამიანის სიცოცხლეს რელიგიურ ძალას და მიღებულია, რომ ბავშვი იბადება დედის, მამის და სულიწმიდის ძალის ჩარევით.

ყოველგვარ გაგებას სულიწმიდისას ახლავს თავის ანტიპოდი, ისევე, როგორც სინათლე ვერ წარმოიდგინება ბნელისა და ჩრდილის გარეშე, ასევე სიკეთე არ იქნება ისე, რომ მას არ გააჩნდეს ბნელი – ბოროტი. ამიტომ ამბობს სახარება: „ნათელი იგი ბნელისა შინა ჩანს და ბნელი იგი ვერ ეწია მას".

სულიწმიდის ძალა რომ ჩვენზე გადმოვიდეს, ამისათვის საჭიროა დროული ანუ იმ დროს ძალზე აუცილებელი და მხურვალე ლოცვა. უფალი გვეუბნება: სადაც თუნდაც ორი ან სამი ადამიანი შეიკრიბება ჩემი სახელით, მეც მათთან ვიქნებიო. ამიტომ ერთობლივი ლოცვა, როგორც წმიდა მამები ამბობენ, ცეცხლის ალივით ადის ზეცაში უფალთან და სწრაფშემსმენელი ხდება უფალი ამ დროს. ჩვენ კი ლოცვას მოვუკელით იმიტომ, რომ სინანული აღარ გვაქვს და ვეგუებით ცოდვას. ტალახი, რომ მოგეკვრება და რამდენიმე დღე არ მოიშორებ, ის ჭუჭყი დროთა განმავლობაში უფრო ჩაჯდება და მისი მოშორება შემდეგ ძნელია. ჩვენი ცოდვაც დროთა განმავლობაში ღრმავდება ჩვენში, რომლის მოცილება შემდეგ გვიჭირს. როგორც სხეულს ვიბანთ წყლით, ასევე სულისთვის საჭიროა წმინდა და მხურვალე ლოცვა. ხშირად გულიდან

ამოსული ერთი „უფალო, შეგვიწყალენ“ უფრო მეტია, ვიდრე საათობრივი ლოცვა უგულოდ და სიყვარულის გარეშე, ამიტომ მიეცა ადამიანს და სულიერს მხურვალების და სიმძაფრის შეგრძნება. ლოცვა უფლისადმი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი მორწმუნის მძლავრი იარაღია, რომლის წყალობით შესაძლებელი ხდება მისი გულისა და გონების კეთილგანწყობა, განახლება, განწმენდა, მრავალი ფუჭი და არაფრისმომცემი ცოდვილზრახვისაგან. მხოლოდ წმინდა და უმანკო გულში დაივანებს დაუსაბამო და უსასრულო სიყვარული, მხოლოდ სუფთა და მშვიდ გონებას ძალუძს ღვთაებრივი ბედნიერების ჭვრეტა.

„უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“, – ჭეშმარიტ ქრისტიანს ამ სიტყვების ხშირად გამეორება მართებს.

ვისაც სურს იცხოვროს ამ ლოცვით, პირველ რიგში, უნდა შემოსოს კეთილ-გონიერებითა და ყურადღებით, რამეთუ ჩვენს დაცემულ ბუნებას ყოველ წამს შეუძლია გვიღალატოს.

უფლისადმი ლოცვას გააჩნია დასაწყისი, თანმიმდევრობა და დასასრული, რომელიც უსასრულობაში იღვრება და თვით უსასრულობაა. ჭეშმარიტი მლოცველი სწორედ ამ გზით მიდის, ივსება ლოცვის გზნებითა და მოწიწებით, რათა მონანიებამ სრულად მოიცვას მისი არსება და შემდგომ ცდილობს, ეს სამი ძვირფასი რამ, მუდამ თან ახლდეს მის ლოცვას.

წმინდა მამები ამ ლოცვით ვარჯიშს ურჩევენ როგორც ბერებს, ასევე ერისკაცებსაც, მაგრამ უნდა სრულდებოდეს დაბალ ხმაზე, ყურადღებით, საზოგადოებაში კი მხოლოდ გონებით. ლოცვის ხანგრძლივობა დამწყებთათვის მკაცრადაა განსაზღვრული მოძღვრის მიერ.

როდესაც მორწმუნის გონება დაკავებულია ლოცვით, ბოროტი ძალა, ანუ საკუთარი დაცემული ბუნება, აღარ აწუხებს მას ათასგვარი ავიზრახვით, აზრით, გრძნობით.

აზროვნების, გულისთქმისა და გრძნობების ოთხი სახე მოქმედებს მლოცველზე: პირველი არის წყალობა ღვთისა, მარცვალი დარგული და შემდგომ აღმოცენებული ქრისტიანის გულში წმინდა ნათლობით, მეორეა მფარველი ანგელოზის მიერ შეთავაზებული აზრი, სხვანი წარმოიქმნებიან თვით ჩვენს დაცემულ გონებაში და ბოლოს გრძნობა-აზრები, რომელთა თავზე მოხვევასაც ცდილობენ ბნელი სულები.

მხოლოდ პირველი ორი ეხმარება მლოცველს, აძლიერებს ყურადღებას და მონანიების გრძნობას ბადებს, რასაც მოჰყვება ცრემლი და მლოცველს მთელი სიცხადით წარმოუჩენს მისი ცოდვების სიმძიმესა და კაცობრიობის დაცემის სიღრმეს, სიკვდილის გარდუვალობას, ღვთის მიერ ადამის მოდგმის გასამართლებას, მარადიულ ტანჯვას... რაც შეეხება ბოლო ორს, ისინი მოქმედებენ ერთობლივად, ამის მიზეზია დემონთა კავშირი და ურთიერთობა ადამიანის დაცემულ ბუნებასთან.

ბოლნისი. 478-493

ღვთიური მადლის გადმოსვლა ადამიანზე და მირონცხების საიდუმლოება

საბჭოთა ხელისუფლების დაუწერელი ლოზუნგი: „მიწიდან კაპიტალისტები ავლაგმოთ, ციდან კი – ღმერთი“.

ქრისტიანულ რელიგიაში შთაგონებით აღჭურვა და ღვთიური მადლის გადმოსვლა ასევე ხდება ყველაზე მეტად მირონცხებით. თუ მარხვა და სხვა ღვთისმსახურება აძლიერებს ადამიანის ნიჭს და გონებრივ და სხეულებრივ ძალმოსილებას, მირონცხება არის ცენტრალური ნაწილი, ან, თუ გნებავთ, უზენაესი ფაზა მისტერიის განხორციელების. თავად მირონი არის მცენარეული ზეთი, მას ამზადებენ ოცდაათზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებისაგან, რომელშიც შედის თეთრი ღვინო, ზეითუნის ზეთი, ვარდის ზეთი, საკმეველი და სხვა ნივთიერებები. ამის შემდეგ ხდება მირონის მოხარშვა, რომელშიც მთელი წმინდა სინოდი იღებს მონაწილეობას. მოხარშვის შემდეგ მას აკურთხებს კათალიკოს-პატრიარქი და ეს ხდება წელიწადში ერთხელ – დიდ ხუთშაბათს. ნაკურთხი მირონი წარმოადგენს უდიდეს სიწმინდეს, რომლის მოფენა-ცხება ხდება სასულიერო პირის მეშვეობით. შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა განსაკუთრებული სახე სამეფო კურთხევის მირონცხებისათვის. ნათლობის მირონცხების შემდეგ ადამიანმა მირონცხების ადგილი უნდა მოიბანოს, რათა თავიდან აიცილოს სიწმინდისადმი მოუფრთხილებლობით ცოდვაში ჩავარდნა.

როგორც ყველა რელიგიურ მისტერიას, მირონცხებასაც აქვს ხილული და არახილული მხარე და მოქმედება. მირონცხების ხილულ მხარეში ყველაზე მაღალ ფაზას წარმოადგენს ის მომენტი, როცა მღვდელმსახური მირონის წასმათ ჯვრებს გამოსახავს ადამიანის სხეულზე და წარმოსთქვამს სიტყვებს: „ბეჭედი მინიჭებული არს სულისა მიერ წმიდისა“. ბეჭედი ნიშნავს, რომ ადამიანი გახდა ღვთისა. ადამიანზე თუ მოვლენაზე უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენს უხილავი მოქმედება. ამ დროს ადამიანზე გადმოდის ღვთიური მადლი და თუ ნათლობით ხდება ადამიანის სულიერად შობა, მირონცხებით იწყება მისი სულიერი ზრდა. ზოგადად კი, მართალია, სულიწმიდის მაცხოვნებელი მადლის გარდმოსვლა ყველა საიდუმლოს აღსრულების დროს ხდება, მაგრამ მირონცხება უპირატესად სულიწმიდის საიდუმლოა. ნათლისღების ჟამს, როდესაც ადამიანს სცხებენ ნაკურთხ მირონს, მას განსაკუთრებული სახით ეგზავნება სულიწმიდა, სულიერად გაძლიერებისა და ზრდა-განვითარებისათვის.

ამდენად, ქრისტიანული სწავლებით ძალზე მნიშვნელოვანია, როდესაც წმინდა მირონის ცხება ხდება შუბლზე, თვალებზე, ნესტოებზე, ყურებზე, მკერდზე, ხელებსა და ფეხებზე. შუბლზე მირონის ცხებით განიწმინდება ადამიანის გონება და აზრები. თვალებზე და ყურებზე ცხებით – ადამიანის მგრძნობელობითი ორგანოები და საერთოდ ასტრალური სხეული, მკერდზე მირონის ცხებით – გული და გულისთქმანი, ხელებსა და ფეხებზე მირონცხებით – მისი საქმე და მოქმედება. მირონცხებასა და ნათლისღებას შორის ყოველთვის იყო ღრმა სულიერი კავშირი, თუმცა ახალმონათლულის მირონცხება ხდება არა როგორც ნათლისცემის შემადგენელი ნაწილი, არამედ როგორც ცალკე საიდუმლო. ეს წესი მოციქულთა დროიდან მომდინარეობს და იესო ქრისტე პირდაპირ მიუთითებდა მოციქულებს, რომ ყველა მორწმუნე

მიიღებდა სულიწმიდის მადლს. მოციქულებიც მოქმედებდნენ სულიწმიდის შთაგონებით და ნათელღებულ მორწმუნეთათვის ხელდასხმით გარდამოიწევდნენ სულიწმიდის მადლს. აქედან ნათლად ჩანს, რომ ნათლისღება და სულიწმიდის გარდამოწევა, მოციქულთა ხელდასხმით, მოციქულთა დროსვე განირჩეოდა, რომელიც ისევე მაღალი მნიშვნელობის იყო, როგორც ნათლისღება. „ახალი აღთქმის" საღვთო წიგნებიდან ჩანს, რომ სულიწმიდის მადლის ხელდასხმით გარდამოწევის ნაცვლად, ნათელღებულთათვის ნაკურთხი მირონის ცხება მოციქულების დროსვე შემოიღეს, რადგან მოსანათლავთა სიმრავლის გამო მოციქულები ვერ ახერხებდნენ ყველა ახალმონათლულის ხელდასხმას – სულიწმიდის ნიჭთა მისაღებად. ამიტომ მოციქულებმა დაიწყეს მირონის კურთხევა და მისი მღვდელმსახურებისათვის გადაცემა, რათა წმინდა მირონი ეცხოთ ახალმონათლულთათვის და გარდამოეწიათ მათზე მადლი სული წმიდისა.

მადლი

ზეგარდმო შთაგონება ელვაა, რომელსაც ციდან აგზავნიან ცის მადლით შეპყრობილთათვის.

რადგან უფალმა სიყვარულით და სიკეთით შექმნა ადამიანი, ამიტომ, რაც კი უპირველესად უბოძა ადამიანს არის წყალობა, რომლის ძალით უნდა განვითარებულიყო ადამიანი და მოედინება სულიწმიდის ძალიდან. სულიწმიდა ისევეა, როგორც მზის დისკო, რომელიც გასცემს სინათლეს და სითბოს, მაგრამ მას – მზეს არაფერი არ აკლდება. ასევეა სულიწმიდის ძალით მადლმოსილი ადამიანი, რაც უფრო ღრმად შედის სიკეთის და ნიჭიერების წიაღში, იქ კიდევ უფრო დიდი მოსავალია მისაღები. მადლის მიღება ნიშნავს არა უბრალოდ ამ თეზისის (მადლის და სულიწმიდის კავშირი) გაზიარებას, არამედ ყოველივე იმ მანკიერების განდევნას, რაც მასში მატერიალური ხაზით შემოვიდა. სულიწმიდა განაბრწყინებს ბიწიერებისგან დაცლილებს და თავის თავთან ზიარებით სულიერებად აქცევს. სულიერებით აღვსილებს კი თავადვე შეუძლიათ გასცენ სიკეთე და სიყვარული. „ეს ხდება ისევე, როგორც ელვარე და გამჭვირვალე სხეულს მასზე დაცემული სხივის არეკვლით, ახალი სხივის წარმოშობისას" (ბასილი დიდი, „სულიწმიდის შესახებ").

მანკიერებათაგან დაცლილი და სული წმიდის მადლით აღვსილი სული ჭვრეტდა სამყაროს მომავალს, ქმნიდა სჯულის კანონს, ხვდებოდა სასუფეველში და აღწევდნენ უზენაეს განღმრთობას, მაღალ სულიერებას.

პავლე მოციქულის თანახმად, მამა ღმერთი მოქმედებათა განმანაწილებელია, ძე – მსახურებათა, ხოლო სულიწმიდა – მადლისა. „ხოლო განყოფანი მადლთანი არიან და იგივე სული არს" (I კორინ. 12,4).

ყველა დიდი ამბავი და მოვლენა სულიწმიდის ძალით არის შთაგონებული და მათ შორის უდიდესია სახარების შექმნა, საგალობლის თხზვა. სულიწმიდისაგან აღვსილი ძალით იქადაგა მოციქულთა სწორმა წმინდა ნინომ საქართველოში ქრის-

ტიანობა, ამიტომაც მივმართავთ სადიდებელ ტროპარში ქართველთ განმანათლებელს „სულიწმიდისა ქნარო ნინო“.

მადლის განაწილებისას იგი მოქმედებს „ვითარცა ნებავს“ (კორინ 12,11), ე. ი. ძირითადი თვისებების მიხედვით – სიბრძნე, სიკეთე და სამართლიანობა. თეოლოგიაში მიღებულია, რომ შეიძლება ბუნებით ნიჭიერი კაცი ვერ ეზიაროს ან ვერ აივსოს სულიწმიდის ძალით, როცა უბრალო მეთევზე ან მებაჟე მახარებლად იქცევა. გრიგოლ ღვთისმეტყველი გვასწავლის – „მადლი ეძლევა არა იმას, ვინც ლაპარაკობს, არამედ იმას, ვინც სიკეთით ცხოვრობს“.

მოკვდავთა შორის ქალწული მარიამი გახდა უდიდესი წყალობისა უფლისგან, „გიხაროდენ მომადლებულო, უფალი შენთანაა“ – მანამდე პირველად მიენიჭა ჩვეულებრივ მოკვდავს უდიდესი მისია ღმერთმსახურებისა. მას – მარიამს უნდა შესძენოდა ძე ღმერთი, იესო ქრისტე, რაზეც თვითვე გაოცებული კითხულობს, რომ მან ხომ არ იცის კაცი და მასთან ურთიერთობა, რაზეც პასუხობს მთავარანგელოზი: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა“ (ლუკა 1,30)

მადლი ძველ აღთქმაშიც არის მრავალ ადგილას მოცემული, ერთ-ერთია, როცა ქორების მთაზე, ცეცხლმოკიდებული მაყვლოვანის სახით გამოეცხადა ღმერთი მოსეს და აუწყა ნება თვისი, ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლისა და ხელცარიელს არ გამოიყვანდა უცხოთა ჩაგვირიდან – „...და მოვსცე მადლი ერსა ამას წინაშე მეგვიპტელთა და, რაჟამს გამოხვიდოდით, არა გამოხვიდეთ ცალიერნი (გამოსვლა 3,2)“. ეგვიპტელები ღვთაებრივი მადლის ძალით გულუხვად განეწყვნენ ისრაელიანების მიმართ და ნებით დაუთმეს ძვირფასი ნივთები, რაც კი ჰქონდათ.

დააკვირდით საქართველოს ისტორიის გზაჯვარედინებს და რთულ პერიოდებს, როგორ იგრძნობა ღვთაებრივი ძალის მოქმედება მათი ისტორიის დინებაზე. მაგრამ ძველ აღთქმაში მადლი ადამიანის არსის განახლებას კი არ იწვევდა, რაც ახალ აღთქმაში გააჩნდათ, არამედ ამზადებდა ქრისტიანობისათვის. „და სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის და ვიხილეთ დიდებაი მისი, დიდებაი ვითარცა მხოლოდშობილისაი მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“ (იოანე 1,14) – გვმოძღვრავს იოანეს სახარება. არამარტო ქრისტეს მოციქულებმა მიიღეს მადლი, არამედ ყველა ჭეშმარიტმა მორწმუნემ: „რამეთუ სავსებისაგან მასისა ჩვენ ყოველთა მივიღეთ მადლი მადლისა წილ“ (იოანე 1,15). ამ მუხლში იგრძნობა ხარისხობრივი ფაზა მადლმოსილებისა, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ ადამიანი არ მიიღებს უმაღლეს მადლს სულიწმიდისაგან, ანუ სრულ დაცილებას ყოველივე ბოროტისგან, რასაც საბოლოოდ მოჰყვება სულიერების ამაღლება.

სულხან-საბა მადლს ამგვარად განმარტავს: „ესე არს, რომელმან არცა ნაცვლად გებისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყუარულისათვის კეთილის და ქველის საქმე ქნას“. მაგრამ, როგორც ზევით განვსაჯეთ, ეს ღვთაებრივი ძალმოსილება, შეიძლება ნიჭიერ ადამიანებსაც არ გააჩნდეთ, „რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ რჩეულნი“ (მათე 22,14). მადლი ოდნავ განსხვავებულად ესმოდა ტერტულიანეს, როგორც ღვთიური ძალის ინსპირაცია (შთაბერვა). მადლის სუბსტანციურობის ეს ცნება უპირატესია ევროპულ კათოლიციზმში და თავისი ყველაზე სრულყოფილი ფორმულირება ავგუსტინესთან მიიღო – „მადლი არის ნაწყალობევი საჩუქარი“, რომლის განმარტებით ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი უძლურია სრულად

ჩაწვდეს სიკეთის, სიყვარულის და სამართლიანობის არსს. ადამიანის მატერიალური ყოფა – თავისუფლება, გარკვეულწილად ხარვეზებისკენ სწრაფვაა ეგოიზმსა და ვნების გრძნობადობაში ჩაძირული კაცობრიობის და სულიწმიდას შეუძლია მას მიანიჭოს სიკეთის ქმნადობის უნარი, მხოლოდ მადლის გარემომცველობით.

ადამის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც დაკავშირებული იყო პირველქმნილ ცოდვასთან, რომ მხოლოდ მადლის უნარით უნდა მოეხდინა მისი განდევნა. მადლის არსებობის უძირითადესი ფაქტია აგრეთვე, ღვთაებრივი სიტყვის განკაცება, რომლის საშუალებით დაცემულ ადამიანს ღმერთი ხსნას აძლევდა ქრისტეში.

ზოგადად ადამიანი არის ღვთაებრივის და მატერიალურის ნაზავი და იგი ცუდმედიდურობის ჟამს ღვთის ნებას ეწინააღმდეგება, მაგრამ იგი შექმნილია ღვთის ხატებად და ყოველივე ამას გრძნობს სინდისის ხმაში, როგორც მუდმივი ზეციური მოწოდება, ეს კი იმის დადასტურებაა, რომ იგი იმყოფება ცოდვაში და მიუხედავად ამისა, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ადამიანის ცოდვისადმი ასეთი დამოკიდებულება არ არის პირველსაწყისი მდგომარეობა. ადამიანი უნდა იყოს ღვთის ხატი, ღვთაებრივი ნების წმინდა ჭურჭელი. ეს ჭურჭელი ანუ ადამიანის ბუნება შეიცვალა პირველი შეცდომების შემდეგ და ადამიანის დაცემა იყო მისი ბუნების დაცემა. ეს დაცემული ბუნება მიიღეს ადამის შთამომავლებმა მემკვიდრეებად. მაშასადამე, მას, ადამიანს აღარ შეუძლია თავი დაიხსნას ამ ცოდვისგან სულიწმიდის მადლის გარეშე. დაახლოებით ასეთ რაკურსში აიხსნება ავგუსტინეს გააზრება მადლისა და ცოდვის ურთიერთკავშირისა.

როგორც ვთქვით, ძველ აღთქმაში ადამიანი ჯერ შემზადდა მადლის მისაღებად და ძე – ღმერთი ანუ სიმბოლურად კი – ადამიანი იმიტომ განკაცდა, რომ აელორძინებინა ადამიანის ბუნება და საკუთარი ძალით ეხსნა თავისი თავი. ამიტომ დაიწყო ჟანრი – რენესანსიც, სადაც საოცარი აქტივობით წარმოჩინდა ადამიანი. ხსნა ცოდვისგან ერთეულ ადამიანებს ებოძებათ ღვთის მადლით. მადლის დახმარებით ხდება გზასავალის მოძებნა სინანულისაკენ. მონანიება აღვიძებს ღვთაებრივი ძალის ცნობიერებას. ამ საფეხურზე ადის ქრისტეს სიყვარულში და იძენს მადლს, უმეტესი სისავსით. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ მოქმედებს ადამის ცოდვილი ცნობიერების საფეხური. იგი, ადამიანი, მუდმივად იგებს ბრძოლებს ცოდვასთან ჭიდილში და ხდება მისი განმსჭვალვა ღვთის ნებით, რის შემდეგ წარმოადგენს ღვთის ხატს და ჭურჭელს. მადლის სავსე წყაროა ქრისტე. თვით ძველი აღთქმის მამებსაც კი მხოლოდ იმის მეშვეობით შეეძლოთ ხსნა, რომ ქრისტეს მოსვლის ლოდინი და რწმენა აძლევდა მათ სულს ღვთაებრივ მადლს.

ვინ აღივსება მადლით? ის, ვინც მთლიანად გაივლის საფეხურეობრივ წ აღსვლას ღვთის გზასავალისკენ და საბოლოოდ მის გარემომცველობაში მცირეოდ ნი რჩეულნი მოხვდებიან.

მადლის მართლმადიდებლურ შეგნებაში ერთ-ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს მაცხოვრის ცნობილ იგავს (მათე. თ. 13), რომლის მიხედვითაც მადლი ეწყალობება ყველას, მაგრამ მადლმოსილი ხდება მხოლოდ „ქვეყანა კეთილი", ის გული, „რომელმან სიტყუაი იგი ისმინა და გულისხმაყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი" (მათე 13,23).

საქართველო მარიამის წილხვედრი ქვეყანაა, ქვეყნებსაც გააჩნია თავისი მადლმოსილება. იგი იკუმშება, იმცრობა, შემდეგ იზრდება, მატულობს, მაგრამ არასოდეს

არ ქრება ერის წიაღში, მისი შინაარსი; საქართველოს მთელი არსებობა მადლის გადმოღვრაა, მთელ მის ისტორიაზე, წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე.

მართლმადიდებლური ქრისტიანობა ქართველ მეფეებთან, ერთან და სიმრავლესთან კავშირში

პირამიდის წვეტად გამოყენებული ლოდი უნდა ყოფილიყო წმინდანის თვისებების მქონე, ამიტომ მას ყოველთვის ღმერთი არჩევდა ხელმწიფობისათვის.

„მოდის ჟამი ყველა ერისა და ენათა შეკრებისა და მოვლენ და იხილავენ ჩემსა დიდებასა“ (66-18); „დაინახავენ ხალხები შენს სიმართლეს და ყოველი მეფე შენს დიდებას; გიწოდებენ ახალ სახელს, რომელსაც უფლის ბაგენი გამოკვეთენ“ (62,2).

ყოველი სიქველე და სიკეთე სიყვარულს აღძრავს ადამიანში და ეს გადამდები თვისებაა, ჭეშმარიტ რელიგიას და ქრისტიანობას ნაზიარები კაცისათვის. ამგვარი გააზრებით ერთი მრავალია და სიყვარულის წყალობით მრავალი – ერთი. ამ პრინციპით საგნები იძენენ სასიცოცხლო იმპულსებს. ერთისა და მრავალის თანაარსებობა საბოლოოდ იძენს აზრს უკვდავებაში.

პიროვნების და ხალხის ეს დამოკიდებულება მოცემულია ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანის მიმართვაში ქართველი ერისადმი: „ამან წმინდამან (ნინომ) აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაი და შუაღამეს ოდენ მეჩუენა მე მზე მბრწყინვალე, ქრისტე ღმერთი ჩუენი... და მექნა ჩუენ მოძღუარ და შემრთნა ჩუენ ერსა ქრისტესსა ნათლის-ღებითა... და მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხოვრებისაი“ (შატბ. კრ. 345)

ზოგადად მეფე წარმოადგენდა მიწიერ კავშირს თავის ქვეყნისას ზეცასთან (ღმერთთან), პატრიარქი და კათალიკოსი მთლიანად ზეციურია, რომელთა დროს შუა საუკუნეებში კი არ იბადებოდა ახალი, არამედ ხდებოდა ძველის განახლება და ახალ ხარისხში აყვანა.

ერების ჩამოყალიბების ისტორია მკაცრად და ურყევად ასაბუთებს, რომ ერები კი არ შეიქმნა თავიდან და სრულიად ახლად, არამედ განახლებული ფორმით ჩამოყალიბდნენ. ამის უპირველესი ნიმუშია ქართველი ერის ჩამოყალიბება – შექმნა, რაც კოდური შიფრის გახსნით, ქრისტეს რთველს, ქრისტეს მოსავალს ნიშნავდა. პავლე მოციქული ამბობს: „შეიმოსეთ ახალი იგი განახლებული მეცნიერებაი მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა, სადა-იგი არს წარმართი და ჰურია, წინდაცვეთილობა და წინდაუცვეთელობა, ბარბაროს, სკვითელი, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე“ (კოლას 3,10-11).

განახლებული რელიგიით ყალიბდებოდა ახალი ერი, სადაც შემავალ ეთნიკურ ჯგუფებს უქრებოდათ განმასხვავებელი ნიშნები და ღირსებებით უთანაბრდებოდნენ ერთმანეთს, რომელთა უმთავრეს ფასეულობას უნდა წარმოადგენდეს სულიერი განათლება. ქრისტიანულ დიოფიზიტობაში გაცხადებული იყო აგრეთვე ქრისტეს

ორბუნებიანობა ამგვარი კუთხით, რომ ქრისტიანობა და ეროვნულობა, ერთმანეთთან ათანაბრებდა ყოველგვარი წარმოშობის ადამიანს.

„ნათესავი ქართველოა“ — ხშირად ისმის მატიანეში და ეს იმთავითვე ნიშნავდა ქრისტიანობას, ასევე დანაწევრდა ქრისტიანთა ფუნქციები და არსებობდა საეკლესიო მსახურება ასეთი ფუნქციით: ჯვარის შემომტანი, ჯვარისმტვირთველი, ჯვარის მსახურნი და ესენი იყვნენ საღვთო ომის მწარმოებელნი და ქრისტიანობის მცველნი. ათონის მთაზე დღესაც არსებობს სოფელი მალხა, რომლის მცხოვრებლები არაბულ ენაზე საუბრობენ და თავისთავს გურჯებს უწოდებენ და აქ დასახლებულან იმისათვის, რომ დაეცვათ ათონის მთაზე არსებული ჯვრის სამონასტრო კომპლექსი და იქ არსებული სიწმინდეები. მათ ევალებოდათ ძირითადად ამ მიწის და რელიგიის მხედრული დაცვა.

ქართველთა სულიერი მისია, ყველა სტრიქონით და აზრით ჩანს, რომ ჯერ კიდევ გაწყვეტილი არ ყოფილა XII საუკუნეში. არსებობს ასეთი წყარო თამარის გარდაცვალების შესახებ, რომ თამარ მეფის უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა ქრისტეს ხატისა და ცხოველმყოფელი ჯვრის წინაშე ყოფილა ასეთი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მისიონერულ ფუნქციაზე: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყნისა! შენ შეგავედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა“ (ქ. ცხ. II 145).

ამ დოკუმენტის თანახმად საქართველო, როგორც სულიერი მისიის ისტორიის სუბიექტი, წინასწარგანჩინებული იყო „უწინარეს სოფლისა დაბადებისა“. ჩართულია ესქატოლოგიურ პერსპექტივაში, რომელიც წინასწარ არჩეულია ღვთის შვილად, აქედან გამომდინარე უსასყიდლო მინიჭებით (1 პეტ 1, 18-20; ეფეს. 1, 5-7).

გიორგი მერჩულე (X ს.) ქართლის ირგვლივ, როგორც ქრისტიანული ქვეყნის გასამაგრებლად წინა პლანზე წამოსწევს ენას, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ საყრდენს ქვეყნის განახლებისათვის. არ დაგვავიწყდეს, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში, ტარდება ქართველთა წინაპარ ტომებში მსგავსივე რეფორმა, რომლისთვისაც გენიოს გალაკტიონს ლექსიც აქვს მიძღვნილი და ენას ადარებს 26 საუკუნის წინათ ამობრწყინებულ მზეს. „შენ, რომელიც მარად მზეებრ გვინათ არა გუშინ გაჩნდი თვალის ჩინად, არამედ მზით ამოენთე ბრწყინვად ოცდაექვსი საუკუნის წინათ შენ სიძველის გმოსავს ნელი ხავსი, ქვაზე ჭრილი ხარ ჩუქურთმის მსგავსი, დიდი გზნებით ასე იყავ სავსე ოცდაექვსი საუკუნის წინათ...“

ენის სრულქმნა ხდება არა როგორც საკომუნიკაციო საშუალება, არამედ იგი აყავთ სულიერების უმაღლეს საფეხურზე, რათა ქართველის ცნობიერებაში გაიხსნას საიდუმლო, რომელიც ქრისტიანულ ლიტურგიაშია მოცემული. ამიტომაც ამბობს ამავე საუკუნეში იოანე ზოსიმე „ქებაი და დიდებაი ქართული ენისაი“-ში, რომ „ყოველ საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, ანუ ამ ენაში ჩადებული და ჩაშირულია ყველა საიდუმლო, რომელსაც ქრისტიანული მსახურება მოითხოვს. განა შეიძ ება, რომ მისიონერული დატვირთვა ამ ერისას არ მიეცეს ენას, ან მოხდეს ზეგრძნო ადი ენის გარეშე.

გადმოცემის თანახმად, ამ მისიონერულ მიწაზე, კერძოდ მცხეთაში, შემოაქვთ ქრისტეს კვართი და ელია წინასწარმეტყველის ხალენი, რაც სიმბოლურად უკავშირდება

ძველ (ხალენი) და ახალ (კვართი) აღთქმას. ებრაული ისტორიის გადმოცემის მიხედვით, პირველი ქრისტიანები ქართლში იყვნენ ებრაელები, ელიას ხალენი დაფლეს იაკობის კიბესთან, როგორც სიმბოლო ძველი აღთქმის ტაძრის პირველსახესთან, ხოლო ქრისტეს კვართი, როგორც უპირველესი ქრისტიანული სიწმინდე, დაიფლა იქ, სადაც აშენდა მცხეთის სამოციქულო ტაძარი – სვეტიცხოველი, რომელიც უნდა ყოფილიყო უდიდესი მისტერიის განსახორციელებელი ადგილი, „რომელი ჰნათობს საუფლოსა და ზეგარდმო ქსოილსა კუართსა ზედა" (ნიკოლოზ გულაბერისძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი"). ამ გალობანის მიხედვით სვეტიცხოველი, რომელიც ამოზრდილია უნივერსალურ და წმინდა ადგილზე, იორდანის ნათლისღებისა და თაბორის ფერისცვალების ნათელთან ზიარებით მსოფლიო ქრისტიანული რელიგიის ცენტრია და უმაღლესისაკენ მიისწრაფვის. ელიას ხალენი და უფლის კვართი არის წინდი, ჩადებული მცხეთის მიწაში და სიმბოლო ახალი იერუსალიმის დასამკვიდრებლად და ასაშენებლად. საქართველოს ტოპონომიკა – ბეთლემი, თაბორი, გეთსიმანია და სხვა, არის პარალელი და განმეორება იერუსალიმის ტოპონიმიკის.

ფაქტობრივად, საქართველო არის ახალი ქრისტიანული ქვეყანა, ანუ ახალი აღთქმა, რომელსაც ისევე, როგორც ძველ აღთქმას, იერუსალიმს (მას განაგებდნენ ისრაელის მეფენი იასე, დავით წინასწარმეტყველი, სოლომონი) განაგებენ უფლის ხელდასხმული და მირონცხებული ადამიანები. ქართველი მეფეები – ბაგრატიონები თავიანთ დინასტიას თვლიდნენ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად და ტიტულატურაში ეწერათ – „იასეან-დავითიან-სოლომონიანები". ქართველ ბაგრატიონ მეფეთა შესახებ მატიანეში ნათქვამია: „ოი, მე მეფობას ქართველთა, იხარებდე, რამეთუ ნინომ დაგადგა შენ გვირგვინი ქრისტეს მიერი". აქ ქრისტეს ეკლიან გვირგვინზეა საუბარი და სისხლით გაბრწყინებას და მოწამეობას გულისხმობს. მათი ცხოვრებიდან ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ განსაკუთრებით ნიშანდობლივია აშოტ კურაპალატის აღსასრული: „... და მოწყლეს იგი მახვილითა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი, სისხლითი მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი მისი დათხეული დღესაც საჩინოდ სახილველ არს" (ქ. ცხ., I 377).

ახალი აღთქმა ხორციელდება ახალ ეპოქაში (ქართველებში), რომელიც „შინაგანად შემკულია და კურთხეული", – როგორც ამას ამბობს იოანე ზოსიმე (X ს.), მაგრამ „მდაბალი და დაწუნებული". ალბათ, დღევანდელ დროზეა საუბარი. რა საოცარი დამთხვევაა. ასევე როგორ ეხმიანება დღეის ჟამს ქრისტეს სიტყვები მოციქულთა მიმართ: „უკუეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა" (ი. 15,18) – ანუ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მეზობლების ეს შემოსევა, ასევე წინასწარჩადებული იყო ქართველების სიცოცხლის მისტერიაში, რაც, როგორ ჩანს, შედიოდა კიდევაც ქართველთა სიცოცხლის მისიონერულ მისტერიაში.

გაბრიელ ბერი (სალოსი ბერი) და მისი ღვთიურობა

გაბრიელ ბერის მკურნალი ექიმი ზურაბ ვარაზაშვილი მოგვითხრობს, რომ, „ჩემი უმცროსი შვილი, ნიკოლოზი 142-ე ფსალმუნს კითხულობდა თურმე და ოჯახში ხატებიდან მირონის დენა დაიწყო“. ამით განმარტავს, რომ სულიერება მოდის მაშინ, როდესაც თვითვე მიიქცევი სულიერებისაკენ და სიწმინდისკენ. ფსალმუნთა და სახარების კითხვით ადამიანში ყოველთვის სულიერების სინათლის სხივი შემოდის. ასევე ამბობს, რომ ცუდად მოქმედი ადამიანი კარგავს ღვთის მადლს, რომელიც მისგანვეა ბოძებული, შესაბამისად, ირღვევა ჰომეოსტაზი და ნივთიერებათა ცვლა და ამ დროს ექიმთან ერთად მოძღვარიც უნდა ჩაებას მის მკურნალობაში. წმინდა მამები გვმოძღვრავენ, რომ, როდესაც კაცობრიობა ცოდვით დაეცა, თუ უფალი სიკვდილს არ დაამკვიდრებდა დედამიწაზე, ცოდვა უკვდავი იქნებოდა. სიკვდილით ზღვარი ედება დანაშაულსა და ბოროტებას. რელიგიურად მანკიერებისათან ბრძოლის უამრავი ინტერპრეტაცია გვეძლევა და მათ შორის ერთი ეს განმარტებაც არსებობს.

მამა გაბრიელი ბევრს უბრალოდ სასწაულების შემოქმედი გგონიათ, ეს არ არის სწორი, რადგან მას არასოდეს არ ჰქონია თვითმიზნად ვინმეს გაკვირვება, არამედ მან აამუშავა თავისთავში უმაღლესი სულიერება და მისი შეგრძნება, და ეს მოხდა არა სულისადმი მექანიკური და ხელოვნური სწრაფვით, არამედ ბუნებრივად; ასევე უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც გამოჩინებულობის გამო წირავენ უმაღლეს ზნეობრიობას, ღვთისგან მიცემულ ბუნებას. იგივე ექიმი ზურაბ ვარაზაშვილი მოგვითხრობს, რომ: სიცოცხლის ბოლო წლებში მამა გაბრიელს სისხლი ავუღე, რომელიც გამოსაკვლევად თბილისში უნდა წამოგვეღო, მაგრამ ამპულა დაგვივარდა და მხოლო ორი მილიგრამი სისხლიღა დარჩა. მეორედ ვეღარ დავითანხმებდით სისხლის აღებაზე და გადავწყვიტეთ, დარჩენილისთვის გაგვეკეთებინა ანალიზი. ექიმმა სისხლი კარადის უჯრაში შეინახა, მაგრამ ანალიზის გაკეთება უკვე საჭირო აღარ იყო, რადგან მამა გაბრიელი გარდაიცვალა. ოთხი წლის შემდეგ სისხლი შემთხვევით ნახეს და აღმოჩნდა, რომ სისხლი ახლად აღებულს ჰგავდა.

დასკვნაში წერია, რომ გემოლიზი არ მომხდარა. მედიცინის ყველა კანონის თანახმად, ეს სისხლი გახრწნილი უნდა იყოს. ყველაფერი მის უწმინდესობას მოვახსენეთ. გვითხრა, მოვიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდებაო. სისხლი დღესაც მონასტერში ინახება. მამა გაბრიელის გარდაცვალებიდან შვიდი წელი გავიდა და თუ რატომ არ არის სისხლი გემოლიზებული, მხოლოდ უფალმა უწყის. ამით იმის თქმა გვინდა, მამა გაბრიელი იმდენად ძლიერად იქნა გამსჭვალული სულიწმიდის ძალით, რომ მან მიიღო წმინდანის ძალამოსილება. ამგვარად, სულიერება და მისადმი ნიჭის წარმართვა არ ხდება მექანიკური და ხელოვნური ზემოქმედებით, არამედ მას სჭირდება მწყობრი, მშვიდი, თანაბარი მიმართება, რომლის დროს ხდება ხორცის და ყველაფერი მასთან დამოკიდებულის თრგუნვა. უფრო ჭეშმარიტი, დიადთან და ჭეშმარიტთან მისვლის სხვა გზა არც შეიძლება არსებობდეს.

წმინდა ბასილი ადამიანის წარმოშობას ისეთივე კოსმიურ, ასტრალურ ძალებს უკავშირებდა, როგორი საშუალებითაც შეიქმნა დედამიწაზე ცხოველები და ამბობდა:

„ადამიანი ცხოველია, რომელმან მიიღო კურთხევა, გახდეს ღმერთი“, ანუ ბიოლოგიურ სულიერთა შორის, ადამიანს მიეცა შესაძლებლობა, მიუახლოვდეს ღმერთს. ეს ყველაფერი კი ხდება სულიერების ან უბრალოდ მხოლოდ ადამიანის სულის საშუალებით, რომლის შესახებ წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ასე საუბრობს: „სული არის ღვთის სუნთქვა და არის ზეციური, ითმენს შეზავებას მიწიერთან და არის გამოქვაბულში დამკვიდრებული ნათელი“. მხედველობაშია ადამიანის გვამი, ჭურჭელი, სხეული, შემდეგ განაგრძობს, რომ: „თუმცა კი ღვთაებრივი და ჩაუქრობადია“, მაგრამ, მაინც ღმერთი ღმერთად რჩება, ადამიანი — ადამიანად. ღირსი იოანე დამასკელის მიხედვით კი: „სული არის ცოცხალი არსება, უბრალო და უსხეულო, უხილავი თავის ბუნებით სხეულებრივი თვალებისათვის. მას აქვს გონება, არ აქვს გარკვეული ფორმა და ფიგურა. იგი მოქმედებს ორგანული სხეულის მეშვეობით, ანიჭებს მას ზრდას, სიცოცხლეს, გრძნობას და შობს ძალას... სული არის თავისუფალი არსება, რომელსაც აქვს უნარი გადაწყვეტილების მიღებისა, გააჩნია ქმედების ნება და ნებელობა“.

საერთოდ, სულთა წარმოშობის შესახებ პოპულარულია მრავალთა შორის ასეთი შეხედულებები: ღვთის მიერ ყველა სული შესაქმის დასაწყისშივე შეიქმნა და ისინი თავიდან უხილავ სამყაროში არსებობდნენ. თავისუფალი ნების ადამიანის მიერ უკუღმა გამოყენების გამო მოხდა სულების დაცემა, რამაც მათი განწმენდის აუცილებლობა გამოიწვია. ამიტომ, ისინი დედამიწაზე იგზავნებიან, სხეულში თავსდებიან, რათა შემდგომ სინანულით იცხოვრონ, თუმცა ზოგი მათგანი ისე დაეცა, რომ სხეულში აღარ იგზავნება და დემონი ხდება.

სულის ზემოქმედებით არის გონება დაჯილდოებული შემეცნების და ანალიზის უნარით, თავისუფალი ნებაც ღვთისაგან ადამიანისთვის მინიჭებული უდიდესი ნიჭია, რომელსაც წმინდა მამები ადამიანის სულის უმთავრეს თვისებად მიიჩნევენ და ამ უნარს ადამიანი წვრთნის და ზრდის ღმერთთან მისწრაფებით. თავისუფალ ნებას ადამის დაცემამდეც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მისტერიული სკოლის სახით. ქრისტეს განკაცების და აღდგომის შემდეგ, ადამიანზე ღვთის განგებულება აღესრულება და მისი ცხონების საკითხი ადამიანის თავისუფალ ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული.

სიცოცხლე — ბედისწერა თუ ღვთის ნება?

სიცოცხლე კომედიაა მოაზროვნისთვის და ტრაგედია იმათთვის, ვინც განიცდის.

ჰიპოკრატე

დღევანდელი, ნაკლები სულიერების მქონე ადამიანებისათვის ეს თემა — სიცოცხლე არის ბედისწერა თუ ღვთის ნება? — ძალზე აქტუალურია. საყოველთაოდ ცნობილია თეოლოგიაში, რომ ბედისწერის იდეალიზაცია მოხდა ანტიკურ ხანაში და იქმნებოდა ძველი ბერძნული ტრაგედიები („ანტიგონე“, „ოიდიპოს მეფე“ და სხვ.), მაგრამ ქრისტიანული სწავლულება ამას კატეგორიულად კრძალავს, რადგან სამყაროს

განვითარებისათვის, ეს არის ჩავლილი მცირეფრაგმენტიანი ეტაპი. ის ვერც ძველ წარმართულ რელიგიას შეედრება, ოღონდ წარმართულ რელიგიაში იჯდა მცირე ფორმით.

ქრისტიანული ეკლესია უარყოფს ბედისწერის მცნებას და ამბობს, რომ ღმერთმა ადამიანს, მის პიროვნულ ნებას მიანიჭა არჩევანი ცოდვასა და მადლს შორის, სათნოებასა და ბნელს შორის. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ადამიანის ცხოვრება ბედისწერით არის განსაზღვრული, მაშინ მას არც ცოდვა მოეკითხება და არც მას უნდა ჰქონდეს სურვილი ებრძოლოს მას. ჩვენ გამოვეცით შრომა „მოძღვრება ბედისწერაზე", სადაც განხილულია, თითქოსდა ბედის გარდუვალობა ადამიანის ცხოვრებაში, ამით გამოწვეული ტრაგედიები და ბრძენკაცთა თუ წინასწარმეტყველთა პროგნოზები ამასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნულ შრომაში ასევე მოცემულია, თუ როგორ შეიძლება შეებრძოლოს იგი მას, გადაავადოს, აიცილოს, იგრძნოს მისი კარმა, აურა სხვადასხვა ბიოლოგიურ გარემოში და ვითარებაში და სხვა. უბრალოდ, ხსენებულ შრომაში მე ამ მასალით ვამახვილებ ყურადღებას ადამიანის ფსიქიკის შეძენილ ან თანდაყოლილ გამრუდებულ ცნობიერებაზე, რომელთან ბრძოლა აუცილებელია.

თუ ჩვენ ბედისწერის ფეტიშიზაციას მოვახდენთ, გამოდის, რომ მაშინ არა მარტო ცუდის კეთებაზე უნდა აგოს პასუხი ადამიანმა, არამედ სიკეთეც ბედისწერით ყოფილა განპირობებული და ადამიანი მის ხელში ბრმა იარაღია. ქრისტიანული რელიგიის სიკეთე კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს, როგორც უკვდავი სულის მქონეს და გონიერ არსებას თავისუფალი ნება უბოძა, რათა თვითონ აერჩია ღვთის მორჩილებაში ყოფილიყო, თუ ბრმა ბედისწერის. კაცობრიობამ, ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში მოიშორა ბედისწერის იდეა და ამით ადამიანი გახადა უფრო აქტიური და დააყენა ბედისწერაზე მაღლა. არის ასეთი შეხედულებები – წინასწარმეტყველება, მკითხაობა, ქირომანტია და სხვა, სადაც ყველაფერი წინასწარდაგეგმილს ემორჩილება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ არ არსებობს წინასწარგათვლილის აცილების შეუძლებლობა, თუმცა ადამიანი თავისი ფსიქიკით ატარებს აკვიატებულ აზრს, ბედს – იღბალს, სიზმარს და სხვა. ხშირად ეს სიზმარი და გარემოება მისთვის საშიშიც და შემაძრწუ-ნებელიც არის, მაგრამ გულმოდგინე ლოცვით და ღვთის მოშიშობით ყველაფრის აცილება შეიძლება.

ქრისტიანულ მისტერიაში წინასწარ იყო ჩადებული იუდას მიერ ქრისტეს გაცემა, მაგრამ ეს მოხდა არა ბედისწერის საშუალებით, არამედ თავისუფალი ნებით, მისტერიის განხორციელების აუცილებლობით. ამით ღმერთმა აჩვენა კაცობრიობას, რომ იგი შეიცავს მერყევ ხასიათს, მასში არსებობს სუსტი ხასიათი და ამგვარი ბუნება, რის გამოც უნდა შეებრძოლოს მის სისუსტეს. ამ დროს ღმერთი ადამიანებს უბიძგებს მეტი აქტივობისაკენ, ასევეა ერიც, რომელსაც მიეწოდება ის ემოციები, რომ მათში იყოს მეტი სიმკვრივე და გაერთიანება. იმ ბედისწერის თეორიაში კი, სადაც ბედისწერის პრიმატი დევს და ადამიანებს ან ერებს მისი გარდუვალობის იდეას სთავაზობენ, აუცილებლად არის ქრისტიანული რელიგიის საწინააღმდეგო, დრომოჭმული და უვარგისი შეხედულება.

ბედისწერის აქტივობა ადამიანში შექმნილია ადამიანის მიერ და თუ მას ავი და სასტიკი გამოვლენა გააჩნია, შეიძლება მისი მოცილება ლოცვით, ხატებთან

ურთიერთობით, ეკლესიასთან ახლო დგომით. ამის უამრავი შემთხვევაა, როდესაც ქრისტიანული რელიგიის მფარველობით ადამიანები ახერხებენ თავი დააღწიონ ბედისწერის მარწუხებს.

მთელი გარემომცველი ლამაზი საიდუმლოებიდან ამოდის ის, რომ მას უნდა ჩაწვდე ისე, რომ შეინარჩუნო ის მშვენიერება, რომელსაც ის ასხივებს. ყოველივე არსებული გამოუცნობი ღრუბელია, რომელსაც ღვთაებრივი ცეცხლის დამაბრმავებელი ბრწყინვალება ფარავს. ამ ღრუბლის გამჭვირვალობა და შეუღწევადობა ჩვენს სულიერ ხედვაზეა დამოკიდებული. ლოცვით სავსე, ნატიფი სულისთვის იგი გამჭვირვალეა და საცნაური და უხეშისთვის ბნელი და შეუღწევადი. ასევეა ბედისწერის შეცნობაშიც, მხოლოდ სუსტებს შეუძლიათ აღიარონ ბედისწერა წარმმართველ ძალად, თუმცა მისი გამოვლინებები მცირე ფორმით არსებობს, მაგრამ მათი ზემოქმედება ადამიანზე იმდენად უმნიშვნელოა, რომ, ნებისმიერ ადამიანს ძალუძს მისი ჩახშობა.

ბედისწერა და წინასწარმეტყველება

შემთხვევა არის ფსევდონიმი ღმერთისა, როდესაც მას ხელმოწერა არ სურს.

ა. ფრანსი

ჯერ კიდევ მონარქიის ხანაში გაიშალა ათენის დემოკრატიის კვირტი. მეფე კოდროსის მეფობისას ატიკას ლიდიელები დაესხნენ. სამისნოს წინასწარმეტყველებით ათენელები გაიმარჯვებდნენ იმ შემთხვევაში, თუკი ლიდიელები ათენის მეფეს მოკლავდნენ. უცხოდ გადაცმული კოდროსი ფარულად გაემართა ლიდიელთა ბანაკში, თავს დაესხა ერთ-ერთ ჯარისკაცს და თავი მოაკვლევინა. როდესაც მოკლულში ლიდიელებმა მეფე კოდროსი შეიცნეს, შეშინებულებმა თავი აარიდეს ბრძოლას და უკან გაბრუნდნენ, რადგან ამ დროში ყველაფერს წინასწარმეტყველება წყვეტდა. ამ პერიოდში მეფეს და მონარქიას რესპუბლიკა ამჯობინეს და ათენის ღირსეულ მოქალაქეთაგან დაიწყეს არქონტების არჩევა, თავიდან ათი წლის ვადით და შემდეგ ერთი წლით. ეს იყო პირველი ბიძგები ათენის დემოკრატიისა და მასთან ერთად დაირწა მსოფლიო დემოკრატიის აკვანი, რომელსაც საფუძვლად დაედო მეფის თავგანწირული სიყვარული საკუთარი ხალხისა და მიწა-წყლის და უფრო მეტი, გასაოცარი რწმენა ღვთისა. დემოკრატია კი თავის ძალას და მამას — პერიკლეს მმართველობაში იპოვის.

ადამიანის სამშვინველში კი ბედისწერის იდეის განსაზღვრების სურვილი, ბედისწერის შიშით დაძლევის გამო დაიწყო, რასაც თან ახლდა სინდისის ქენჯნა და შენანებით განცდილი კათარზისი. დემოკრატია კი იყო მცდელობა, რათა გაქცეულიყო ბედისწერის საპყრობილედან.

ფენომენი ნიჭისა, რომ გვერდაუვლელად უკავშირდებოდეს ბედისწერის არეალს,

მაშინ გენეტიკური ხაზის განხილვისას მოცარტის მამაც და შვილიც გენიოსები უნდა ყოფილიყვნენ. მთლიანობაში კი გენიოსს მოიცავს სამი აურა ნიჭი – შთაგონება, შრომა და ცოტა ბედი. ეს უკანასკნელი კი გაბედვისგან იღებს სათავეს და ორივე სიტყვა ერთ ძირზეა აშენებული. ამიტომ, ხშირად წარმატებული ბედისწერა ზომიერი გაბედულებაა.

აჩრდილები და ბედისწერა

მხოლოდ მწიფე ცნობიერების ხარისხის მქონე ადამიანს შეეძლო დაპირისპირებოდა შურისძიების ქალღმერთებს – ერინებს. ეს იყო სინდისის დიდი გამოღვიძება და პირველად ქრისტემდე ოთხი საუკუნით ადრე დაიწყო ამაზე ლაპარაკი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ პერიოდში ჰადესის შურისგებითი ტანჯვა ადამიანთა დასჯის მთავარი მოქმედი მსაჯულია. იულიუს კეისრის აჩრდილმა პირდაპირ განუცხადა თავის მკვლელს და შვილობილს – ბრუტუსს, კარავში განმარტოებულს: მე ვარ ბრუტუს, შენი ბოროტი გენია და ფილიპთან შევხვდებით ურთიერთს. სწორედ ფილიპთან გაიმართა ბრძოლა კეისრის მომხრეებს და ბრუტუს-კასიუსის ლაშქარს შორის, რომელიც ამ უკანასკნელთა მარცხით დამთავრდა და იულიუს კეისრის შემდეგ არცერთი მკვლელი არ დარჩენილა ცოცხალი და ყველას მტანჯველი წუთები ჰქონდა სიცოცხლის ბოლოჟამს. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ კეისარის სული სხეულის გარეშე იბრძოდა შურისგებისათვის.

შურისძიების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს დანიის პრინცის ჰამლეტის მამის აჩრდილის სიარული – მოჩვენება ქალაქში, რომელსაც თავის მკვლელის მიმართ, რომელსაც ჯერ კიდევ განუწმენდავი სული აქვს და იბრძვის იმისათვის, რაც ქრისტემ უკვე აკრძალა თავისი რელიგიით – ბედისწერა. რადგან ჯერ კიდევ არ არის ხარისხობრივი მზაობა გენეტიკურ კოდში და იღვწის ძველი სამშვინველით. ამიტომ ამბობს „ფედონში“ პლატონი: „სანამ დედამიწაზე ვცხოვრობთ, ამოირეცხეთ გულიდან მოყვასისადმი შური და მტრობა. დაამყარეთ კეთილგანწყობა და ჰარმონია ურთიერთს შორის და ეს იქნება საწინდარი, ბედისწერის ავი კარმის უღლისაგან თქვენი გამოთავისუფლებისა და სასურველი საქმე ღვთისა“.

ამგვარად, შურისძიების ფაქტს, თვითონ ცოცხლადდარჩენილები ქმნიან თავისივე გონებით, რადგან მათ აწვალებთ სამყაროსეული უსამართლობის შეგრძნება.

ბოლნისი. 478-493

ღვთისმშობელი

ქრისტიანობა ქალში ღვთისმშობლისეულ საწყისს ხედავდა და გრძნობდა, რომ იყო მთავარი შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის. ქალს უკვე გავლილი ჰქონდა ევასეული – ქალურობის წარმართული „ნდომის" პერიოდი.

ქართლის ცხოვრებაში შემონახულია ფრიად უპირველესი ნიშნის მქონე ფაქტი, ივერიის ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობაზე. ქრისტეს ამაღლების შემდეგ, სიონის მთაზე შეიკრიბნენ მოციქულები და ღვთისმშობელი, რათა გაერკვიათ, თუ ვის სად უნდა ექადაგნა ქრისტიანობა, რომელ მხარეში და ქვეყანაში. კენჭისყრამ მარიამ ღვთისმშობელს ივერია არგუნა, თუმცა კიდევ უფრო ძველიდან, ივერიელები თავიანთ ქვეყანას უწოდებდნენ ღმერთის დედასამშობლო – ქვეყანას. მისიის განხორციელების წინ, ღვთისმშობელს გამოეცხადა ძე თვისი – მაცხოვარი და ურჩია, რომ მის მაგივრად წასულიყო ანდრია პირველწოდებული. მარადიულმა ქალწულმა მისცა ხატი თავის გამოსახულებით და ყრმა იესოთი, რომელიც მის შემდეგ აწყურის ხატის სახელით არის ცნობილი და ინახებოდა გელათის ტაძარში. მემატიანეს ცნობით, მოციქული საქადაგებელ გზას დაადგა კაბადოკიის გზით და მალე იგი მოვიდა ივერიის მხარეში შავი ზღვის პირას, ქალაქ ბიჭვინთაში და მოიარა კლარჯეთი, აწყური, ცხუმი (სოხუმი), სამეგრელო, ოსეთი, აფხაზეთი და სხვა ადგილები. შემდეგ გადმოვიდა ქართლში მცხეთის გავლით, სადაც ააგო ხის ჯვარი და მოიარა კახეთის დედაქალაქი, გრემი, ყაზბეგი და ეს ადგილებიც ჯვრებით შეამკო. მას თან ახლდა მისი მოწაფე სვიმონ კანანელი, რომელმაც აფხაზეთის მთებში, ახალ ათონთან ჰპოვა განსასვენებელი.

მარიამ ღვთისმშობელი ამ დროს ცხოვრობდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში და როდესაც იოანე ღვთისმეტყველი ეფესში გაემგზავრება საქადაგებლად, მაშინაც გამოეცხადება ღვთისმშობელს მაცხოვარი და ეტყვის, რომ დარჩეს იერუსალიმში – სიონში და იოანესთან ერთად გაემგზავრებიან მარიამ მაგდალინელი და სხვა წმინდანი ქალები, ხოლო მარიამ ღვთისმშობელს მიძინებისას, გამოეცხადება გზაზე მაცხოვარი და აუწყებს დედა ღვთისმშობელს: ივერიელნი სამგზის არიან ღვთის ნეტარების ემბაზში განბანილი და მათ არ ელით წყვდიადში ყოფნა და ტყვეობა სატანის მონობისა.

წმინდა ნინო იერუსალიმში ყოფნისას ყოვლისშემმოსველ ქრისტიანულ ძალას ევედრებოდა მხოლოდ მარიამ ღვთისმშობელს და მის მიერ იქნა გამოგზავნილი ივერიის მხარეში, რომელსაც მესხეთ-ჯავახეთში ძილში ყოფნისას გამოეცხადება მარიამ ღვთისმშობელი და მისცემს ვაზის ლერწისგან შექმნილ ჯვარს და კაბადოკიელი წმინდანი ნინო თავის თმით შკრავს ჯვარს, რომელიც მაშინვე შეიძენს განკურნების და სხვა სასწაულმოქმედ ძალას. არც ამ ჯვარს აკლია სხვა სიწმინდეებთან ერთად გატაცება-გაძარცვა, მაგრამ მხოლოდ ერთი წყაროს მიხედვით ძნელია მასზე საუბარი. უმჯობესია ასეთი სიწმინდის ყოფნა-არყოფნა გამოძიებული იქნეს სახელმწიფოებრივ დონეზე. ჩვენ კი ამ ცნობის მოწოდებისას ვსარგებლობდით ანტონ ნატრიევის

შესანიშნავი თეოლოგიური შრომის „სვეტიცხოველის“ ისტორია-ანალიზით.

დღეს არმაზში დგას სამი ეკლესია, რომელთა შორის ერთ-ერთის კარებზე იკითხება XII ს-ის წარწერა, რაც თავისი შინაარსით წარმოადგენს უმაღლეს ხოტბას მარადის ქალწულისადმი. ამის თქმა იმიტომ მოგვიწია, რომ ეს, ერთი შეხედვით ისტორიის უმნიშვნელო დეტალი, მიანიშნებს, რომ ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა უნდა ვყოფილიყავით. სავარაუდოდ, ტექსტი წარმოადგენს თამარ დედოფლის აღაპს, შესაწირს და იმგვარი სიმაღლის ქედმოდრეკაა, მოციქულთასწორი ღვთისმშობლისადმი, რომ მის ქებას უმჯობესია თვითონ მოვუსმინოთ: „ქ. ყოვლად საგალობელო დედოფალო, ცათა დაუტევნელისა დამტევნელო, მტვირთველო ღვთისა ქერუბინთაგან უტვირთველსაო, ღვთის მშობელო დედაო, მაწოვნებელო, მზრდელო ღვთისა ჭეშმარიტისაო, სიტყვასაებრ შენისა სანატრელო, მარადის ქალწულო მარიამ პატიოსანო და ნათლისა მომცემელო ყოველთა შენდამი შემავედრებელთაო! მე უნდოი დედაკაცი ხათუნ, ყოფილი მარიამ, დედაი საბალთისი, ძმისწული სულდაისი, რომელი ღირს ვიქმენ ღვთივ წმიდასა მართლმადიდებელსა კათოლიკე ეკლესიასა სულისა შევედრებად შუამდგომელობითა სვეტისა ცხოველისათა, შემწეობითა საქართველოს კათალიკოზის ნიკოლოზისათა და შეწევნითა ყოველთავე კათოლიკე ეკლესიისა შვილთათა, ხელ ვყავ მცირედითა მსახურებაი: ვიყიდე და აღვაშენე არმაზის ეკვტერი სრული ყოვლითა, საკურთხეველი განვაახლე და სიგელი, მწირველი სულისა ჩემისათვის და ვინცა შემდგომით შემდგომად წარედგინებოდეთ ქართლისა კათალიკოზობასა შეიწყალეთ უნდოი სული ჩემი და დაამტკიცეთ თქვენცა ღმერთმან მტკიცე გყვეს, ვინც შესცვალოს წადილი ჩემი, შემსცაიცვლების ქრისტეს სარწმუნოებისაგან და შენაზღვნიან ცოდვანი სულისა ჩემისანი... ამინ. ერთ გლეხი ტ. გელაისძე, ა ციხე-დიდს ლომინა უპაისძე. მცხეთას“.

ი´შვიათად შეხვედრია ჩემს თვალსა და გონებას, ამგვარი უზადო ქმინლება სულიერი სიღრმის და მხატვრული სიტყვის, მთელი თავისი მოკრძალებით, უბრალოებით და მხურვალებით. მასში გადმოცემულია მოწიწების და თაყვანის სინთეზი მარადის ქალწულისადმი, სადაც ღვთისმშობელთან ერთად, მორწმუნე დედოფალი ზეციურ ძალებთან შუამდგომლობას თხოვს სვეტიცხოველს.

სანამ ღვთისმშობლის წილხვდომილობაზე გადავიდოდეთ, მინდა, რომ ქრისტემდელ ეპოქას და პატრიარქალურამდე არსებულ პერიოდს შევეხოთ.

ქალის კულტი ისე არსად არ არის შემონახული, როგორც კავკასიაში ამას ჩვენი, საერთო კავკასიური ფოლკლორი და ისტორიაც მოწმობს და ბევრი სასოება და ხოტბა-აღსავლენი მატრიარქატის ეპოქის კულტურის ნაყოფია. მატრიარქატის ხანის კულტურა, რომ დიადი და მაღალი რანგის მისტერიათა მატარებელია, ერთი ასეთი ლოცვა მოწმობს, რომელსაც იგივე ადგილი ეკავა, რასაც „მამაო ჩვენოს“ ქრისტიანულ ხანაში და თავისი შინაარსით წარმოადგენს სიბრძნეს წარმართული და ქრისტიანული კულტურისა:

„დიდო დედაო, ცაო მშვენიერო, მომცველო ყოველივესი,
შამქმნელო და დამბადებელო, უსასრულო სივრცეში
დაუტეველო, უმცირესში ჩატეულო, უწონ-უმანძილოვ,
ცარიელა და სავსევ, უჟამო უძრაო წყვდიადო ცაო,
სივრცეში დროში ნათლით გამოვლენილო ერთა და ერთთა ერთობაო,

მომეც უფლება, უფლებათა დავრჩე მართალი ჩემ თავ-უფალთან
და სამართლიანი სხვათა მიმართ, რათა
დავიცვა ცის სიწმინდე და ვიყო თავისუფალი
ვითარცა შენ, ცაო, თავნებაო". – უპირველესად აქ ჩანს ქართველთა კოსმიური ცოდნა და ღრმა მისტერიულობა. თავის მხატვრულ-ესთეტიკური და მისტერიულ-სიღრმისეული გაგებით ეს ლოცვა არის მაშინდელი აზროვნების გენიალური გამოვლინება. ქართველთა წინაპრები სამყაროს კოსმიური ცოდნით ავსებდნენ და ვარსკვლავთმოძრაობით და ცის პერანგზე დაწერილი მოწოდებით აღასრულებდნენ ღმერთის ნებას. ისინი ცას უყურებდნენ, როგორც თავნება ცას ანუ დედას და მათთვის აბსოლუტის დანიშნულება ჰქონდა. ჩინელი მოძღვრის ლაო-ძის მოძღვრებაში, ასევე აბსოლუტის შესატყვისია „დაო-დე", „დაო-დე-ძინი" კი მისი მოძღვრების სახელწოდებაა. დე ლაო-ძისთან მატერიალური სამყაროა, ქალური საწყისი, ხოლო დაო შეუცნობელი, უხილავი, კაცური საწყისი. ლოგიკის თანახმად, ქართველებმა დედაში ორივე საწყისი ჩადეს, ასევე უნდა იყოს სიტყვა დედაკაციც შექმნილი და გააზრებული.

ზემოთქმული მაფიქრებინებს, რომ მისტერიათა ის ჯაჭვი, რომელიც ახასიათებდა ქართულ მატრიარქატულ სამყაროს, შეუმცდარი და უმაღლესი რანგის უნდა ყოფილიყო კაცობრიობის კულტურის იმ ხანაში და ქართველებს მაშინ მსოფლიო განმანათლებლის როლი უნდა ჰქონოდა. ასევე სავარაუდოა, რომ, ღვთისმშობლის წილხვდომი ქვეყნის სტატუსი ქრისტიანულ ეპოქაში, იმის ანარეკლი და გაგრძელება უნდა იყოს, რომ მატრიარქატულ სამყაროში გვეკავა უმაღლესი მისტერიული რანგი.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნობის ეზოთერული საფუძველი უნდა იყოს ის, რომ, – ღვთისმშობელი, სოფია ანუ ზეციური დედა ეზოთერული ხედვით არის მისტერიების დედა, იზიდა, „მაგნა მატერ"-ი ყველა ანტიკური კულტურისა და რელიგიისა (ამ აზრს განსაკუთრებით იზიარებდა ზვიად გამსახურდია). პირველ-ქრისტიანთა და ეკლესიის მამათა გაგებით, ღვთისმშობელი არის სულიწმიდის მიწიერი განზომილება – გამოცხადება. სულიწმიდის, რომელიც არის უზენაესი საღვთო სიბრძნის – სოფიის და ცოდვათაგან განწმენდის მადლის მომცემი. სახარებაში მას ნუგეშისმცემელი (პარაკლეტი) ეწოდება.

იოანეს სახარებაში მაცხოვარი ამცნობს თავის მოწაფეებს, რომ მომავალში სულიწმიდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისაგან და ამავე დროს უნდა მოჰმადლოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნე: „არამედ ჭეშმარიტება გეტყვი თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რაითა მე წარვიდე. უკეთუ მე არ წარვიდე, ნუგეშისმცემელი იგი არ მოვიდეს თქუენდა (საუბარია სულიწმიდის და ღვთისმშობლის მოსვლა-შეცვლაზე – ხაზი ჩემია ბ. თ.), უკეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიმართლისათვის და სასჯელი-სათვის. ცოდვისათვის ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ, ხოლო სიმარ-თლისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ და არღარა მხედვიდეთ მე. ხოლო სასჯელისათვის, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაი დასჯილ არს" (იოანე 16. 7-11). წმინდა წერილის მიხედვით, მომავალში ცოდვების მხილება ყველა ენაში ანუ ხალხში მოხდება ნუგეშმცემლისგან (ღვთისმშობელისგან, პარაკლეტისგან, სოფიასგან – ეს სიტყვები ყველა ერთმანეთის სინონიმია), აგრეთვე, ისიც საყურადღეობა, რომ

ღვთისმშობელს წილად ერგო საქართველო, სულიწმიდის გადმოსვლის დღეს ანუ მარტვილიას.

როდესაც ქრისტემ თავის მოწაფეებს საღვთო სიბრძნე გადასცა, იგი უბარებს, ვინაიდან ისინი არ იყვნენ მომწიფებულნი მთელი ცოდნის მისაღებად, მომავალში სულიწმიდა ანუ სული ჭეშმარიტი გადასცემს მათ ამ სიბრძნეს: „ფრიადღა მაქვს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალგიძ ტვირთად, ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაი, გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“ (იოანე 16. 12-15).

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სულიწმიდა არის კაცობრიობის ცოდვის მამხილებელი და ამავე დროს „ყოველი საიდუმლოს“, ანუ სიბრძნის მომფენი, ისევე როგორც ქართული ენა, მოდგმა, ხალხი, ვინაიდან მისი მისია იგივე სულიწმიდის მისიაა, ე.ი. „სულიწმიდა ქართული ენის ანუ ქართული მოდგმის მეშვეობით განახორციელებს თავის მისიას, როდესაც ამხელს კაცობრიობის მეორედ მოსვლის ჟამს“ (ზვიად გამსახურდია, „საქართველოს სულიერი მისია“).

მხილება და ცოდვათა განწმენდა, ერთი მხრივ, თუ ხდებოდა ქრისტეს ეპოქაში, მაცხოვრისა და მიქაელ მთავარანგელოზის დახმარებით, მეორედ მოსვლის ჟამს ეს მოხდება სულიწმიდისა და გაბრიელ მთავარანგელოზის მეშვეობით, რომელმაც ახარა ღვთისმშობელს მესიის ჩასახვა და მასშივე იგულისხმება სულიწმიდის მომავალი მისია. ზვიად გამსახურდიას აზრით, VI საუკუნის სტელაზე ამიტომ არიან გამოსახულნი მიქაელი და გაბრიელ მთავარანგელოზები, რომელთაც სასოებით უპყრიათ ხელთ ქართული ანბანის დაფა. ასევე ბრდაძორის მეექვსე საუკუნის სტელაზე არის იკონოგრაფიისათვის ერთი მეტად საგულისხმო სცენა: სუდარაში გახვეულ ლაზარეს ამაღლებისა და განდიდების მეორედ მოსვლის ჟამს, როდესაც მიქაელ მთავარანგელოზი ამცნობს საყვირით კაცობრიობას მეორედ მოსვლის დადგომას, რაც მეტყველებს იმაზე, რომ იმ ეპოქის საქართველოში იცოდნენ ეზოთერული საიდუმლო ლაზარესა და იოანეს იგივეობის, ვინაიდან აპოკალიპსში მეორედ მოსვლის მოვლენების აღწერისას ლაზარე სავსებით არ არის ნახსენები, ხოლო იოანე ესქატოლოგიური ხილვით ჭვრეტს თავისთავს მიქაელ მთავარანგელოზის გვერდით მეორედ მოსვლის დადგომის ჟამს (გამოცხ. 19-21). ბრდაძორის სტელაზე გამოსახულია ლაზარე, იგივე იოანე. ღვთისმშობლის წილხვდომილობის საიდუმლოების გახსნა იწყება მაშინ, როდესაც საქართველო ხდება მისი საქადაგებელი. „და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევაი ქუეყანა საქართველოისა და ჩუნებით ეჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი და რქუა“: „ოი, დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავსა, მეოხებითა შენითა მათთვის, ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თან წარატანე ხატი შენი ვითარიცა პირსა დადებითა გამოისახოს. და შენი წილი ხატი იგი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა.

მაშინ ჰრქუა ყოვლადწმინდამან მოციქულსა ანდრიას: „ძვილო ანდრია დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქვეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებელ არის სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებლად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას,

წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილხვდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ".

ღვთისმშობლის კვართი

გონება სულის წონასწორობის ორგანოა და ჩვენი ჭკუა ღრმად ჩამარხული, როგორც კაჟში ნაპერწკალი და თავისით არ იჩენს თავს, თუ არავინ დააკვესა.

საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის, განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩევა ღვთისმშობლის კვართი. ქრისტიანული ისტორიის მიხედვით, მარიამმა იგი მფარველობის ნიშნად ბერძნულ ეკლესიას დაუტოვა და მხოლოდ სამგზის განბანილ ბიზანტიის იმპერატორს შეეძლო მასთან ხელით შეხება.

ბიზანტიის იმპერატორის ლევ დიდებულის (457-471) ძმები, გალვიუსი და კანდიდი პალესტინაში წმინდა ადგილთა მოსალოცად წავიდნენ. ლაზარეთში [illegible] ქალიშვილის სახლში შეჩერდნენ, სადაც შიდა ოთახში, იატაკზე უამრავი ავადმყოფი იწვა და სანთლები ენთო. ებრაელი მასპინძელი გამოუტყდა, რომ აქ, კიდობანში, [illegible] მარიამის სამოსელი, რომელიც ღვთისმშობელმა უანდერძა ორ ღარიბ ქვრივ ქალბატონს და შემდგომ წესად დაამკვიდრეს, რომ სამოსელი მემკვიდრეობით გადასულიყო მორწმუნეთა შორის. იმპერატორის ძმებმა იხილეს კვართი და გზა განაგრძეს იერუსალიმისაკენ იმ იმედით, რომ მოიტაცებდნენ ამ სიწმინდეს. ამ მიზნით დაამზადეს ისეთივე კიდობანი და უკან დაბრუნებისას შეცვალეს ის კიდობანი, სადაც კვართი იდო.

474 წელს იმპერატორ ლევ დიდის ძმების მიერ ჩატანილი კვართი, ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენეს და ამის აღსანიშნავ დღესასწაულად 2 ივლისის დღე გამოაცხადეს.

626 წელს, გაზაფხულზე, სპარსელების და ხაზარების არმია შახრვარაზის სარდლობით ბოსფორს მიადგა და კონსტანტინოპოლისაკენ დაიძრა. ამავე პერიოდში ბიზანტიის იმპერატორი ირაკლი (610-641) ლაზიკაში იყო და სპარსელებზე სალაშქროდ ემზადებოდა. კონსტანტინოპოლის მმართველმა პატრიარქმა სერგიმ (610-638) ალყას ვერ გაუძლო და გარს შემოჯარული მტერი ქალაქში შეუშვა და ქალაქის მფარველად გამოცხადებული სიწმინდეები გარეთ გამოიტანა ღმერთისადმი ლოცვის აღსავლენად და მფარველობის გასაწევად კვართის თანადგომით. ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და აღელვებულმა ზღვამ მტრის ფლოტი წყალში ჩაძირა.

ღვთისმშობლის კვართს ასეთივე მფარველობა აქვს გაწეული სარაცინებთან ბრძოლაში.

673 წლის აპრილიდან სექტემბრამდე მამაცი მეომრის მოავიას ფლოტი კონსტანტინოპოლის კედლებქვეშ იდგა. კონსტანტინოპოლი ალყაშემორტყმული იყო

გემებით და ქალაქი განწირულად მიაჩნდა ყველას, მაგრამ კვართის თანადგომით სარაცინელთა ფლოტი ზღვაში ჩაიძირა.

866 წელს რუსი წარმართი რაინდები ასკოლდი და დირი 200 ხომალდით ბოსფორში შევიდნენ და კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყეს. ამ დროს ბიზანტიის იმპერატორი მიხაილ III ლოთი (842-867) შავი მდინარის ნაპირებთან აგარიანებს ებრძოდა და მხოლოდ პატრიარქ ფოტისგან შეიტყო მტრის შემოსვლა ქალაქში, რომელმაც მეტი ვერაფრით დახმარება ვერ მოახერხა.

ხალხი საგონებელში იყო ჩავარდნილი და პატრიარქმა ფოტიმ კვლავ კვართის დახმარებას მიმართა. ვლაქერნის ტაძრიდან გამოასვენა კვართი და მისი კიდე ზღვას შეახო. უცებ ამოვარდნილა საშინელი ქარბორბალა და მთელი რუსეთის ფლოტი ჩაძირულა. გადარჩენილ რუს წარმართ მეომრებს ასკოლდის და დირეს მაშინვე უწამებიათ ქრისტე. ამ ისტორიული ფაქტის წყაროს იძლევიან XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსები კედრენე, ლევ გრამატიკოსი და სიმეონ ლოგოფეტა.

კვართის არსებობას სამეგრელოში ასაბუთებს XVII საუკუნის მისიონერი, თეატინელთა მისიის პრეფექტი სამეგრელოში ჯუზეპე მარია ძამპი. სიწმინდის ჩამოტანას კონსტანტინოპოლის დაცემის, 1453 წლის შემდეგ ვარაუდობენ და ჩამოუტანია კონსტანტინოპოელ არქიეპისკოპოსს. მოგზაური პატრები ასე აღწერენ კვართის ფორმას: „ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი ოთხისა. აქვს ერთი მტკაველი მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. ინახება ხობის ეკლესიაში, სადაც ის ჩადებულია ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ლუსკუმაში, რომელიც ბეჭდით არის დაბეჭდილი“.

საქართველოში ინახებოდა ან დღესაც ინახება ღვთისმშობლის კვართის სარტყელი, რომელზეც მარიამს თავისი ხელით ამოუქარგავს საკუთარი გამოსახულება. არსებობს ისტორიული წყარო, რომლის მიხედვით იგი ელენე დედოფალმა, ბაგრატ III-ის მეუღლემ, წამოაბრძანა ბიზანტიიდან ბედიის მონასტერში. კვართი ხშირად მოგზაურობდა ბედიის მონასტრიდან ზუგდიდში – დადიანების სასახლეში და 1936 წელს კვლავ ზუგდიდი ფლობდა.

კვართის ნახვა სამეგრელოს მთავრის ნებართვის გარეშე არავის შეეძლო და ეს იყო უდიდესი პატივი, თუკი მას ვინმეს მიაგებდნენ.

1891 წელს ყაჩაღებმა ხობის მონასტრიდან გაიტაცეს კვართი. მის მოსაძებნად მთელი სამეგრელო ფეხზე დამდგარა, მაგრამ არცერთ ცდას შედეგი არ მოუცია. მესამე დღეს ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინებულ ადგილას იპოვეს და კვლავ მონასტერში დაასვენეს.

რუსი დიპლომატები – ალექსი იევლევი, პავლე ზახარევი, ფეოდოტი ელჩინი და თვით ივანე მრისხანე ცდას არ აკლებდნენ, რომ კვართი რუსეთში გაეტანათ, მაგრამ იმ დროს საქართველომ შეძლო მისი გადარჩენა.

ანტიოქიის პატრიარქი მაკარი მე-17 საუკუნეში იერუსალიმის საპატრიარქოს სწერდა: ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სამეგრელოში, იმ მონასტერში ვიმყოფები, სადაც ღვთისმშობლის კვართია დასვენებული და მას ვუყურებო. მაკარ ანტიოქელმა, კვართს ძვირფასი ქსოვილი დაადო, მის თარგზე გამოჭრა და აკურთხა. გადმოგვცემენ, რომ ასეთი ასლი სიწმინდის სახით ინახებოდა კონსტანტინოპოლში.

2000 წელს ზუგდიდში, კვართზე სასწაული მოხდა და მასზე იესო ქრისტეს

გამოსახულება გამოჩნდა. მისი დანახვა, მხოლოდ კინოობიექტივის დახმარებით გახდა შესაძლებელი.

დღევანდელ პირობებში ღვთისმშობლის კვართის წელიწადში ერთხელ გამოსვენებას სარისკოდ თვლიან, ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით, საერთოდ აიკრძალა სიწმინდის გადატანა. ის კვლავ იმ ადგილზეა დაბრძანებული, რომელსაც ლევან დადიანმა მის პატივსაცემად „ქალწულისეული კოშკი“ უწოდა.

ქალის ფუნქციის რაობა ზოგადქართულში და საერთოდ

„ქართველი ქალნი არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში განსაცვიფრებლად წვრილნი. არიან მახვილი გონებისა, ზრდილნი და თავაზიანი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი“, – ასე ფიქრობდა ფრანგი მოგზაური შარდენი.

ღვთაებრივი ჭეშმარიტება, სულიერი მისია, ეს მარად ძნელად მისაღწევი მწვერვალი, ყოველთვის იდუმალებით არის შენახული და როგორც სრულყოფილი ქალი, ასე ადვილად არ უღებს კარებს მძებნელს, რადგან ასეთი საიდუმლოებები წვით და დაგვით მოიპოვება, შექსპირიც ხომ ამბობს, – „ვის უყიდია საგანძური ხურდა ფულებით, კახპა ერგება მოღალატეს, ძველთა წესია“.

ჩვენმა უახლოესმა წარსულმა დაამტკიცა, რომ სამყარო და განსაკუთრებით საქართველო ამოვარდნილია მწყობრი განვითარების განზომილებებიდან, რაც მომაკვდინებელ დარტყმებს აყენებს ადამიანის ცოდნას. წინამდებარე შრომის შექმნის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ესაა. მეორე – სწავლა აღზრდის გარეშე ბოროტებაა, რადგან ასეთი სწავლა ყოველთვის გამოიყენება უაზრო პრინციპების და დემაგოგიური ოსტატობის დაუფლებაში. ამგვარი „განათლებით“ ვებმებით ბრმა შურისძიების, ძალადობის, უნდობლობის, დაუნდობლობის ჯაჭვში, რაც ღვარცოფის მოვარდნას და წალეკვას გვიქადის.

ადამიანის კულტურონსნობა სირცხვილის გრძნობით დაიწყო და მისი გაქრობა, რომელსაც ჩვენს დღევანდელ დროებაში ხშირად აქვს ხოლმე ადგილი, უკიდეგანოდ ამუხრუჭებს მის ხარისხობრივ სიმაღლეს და წინა პლანზე სწევს ჯოგური ინსტინქტების იმპულსებს.

ნებისმიერი საშიშროება მცირდება, როდესაც მოვლენის ძირებს და მის გამომწვევ მიზეზებს მივაგნებთ,ამიტომ გავამახვილეთ ყურადღება ამ ორ პრინციპზე, სიმწყობრე და სწავლამდე – აღზრდის პირობებზე. ეს იმდენად ფაქიზი ინსტრუმენტია, რომ მისგან მოგვრილმა სიმფონიამ, სულ მცირე ზედმეტობით შეიძლება დაარღვიოს ჰარმონიის თაიგული, ამიტომ ამბობდა აინშტაინი მოცარტზე, „ვერსად უნახავთ

ზედმეტ ნოტსო", რადგან ამ ტიპის ვარსკვლავებში წუნი არ არსებობს.

სამყაროს გიგანტური სხეულის ჰარმონია და ევოლუცია უმცირეს დეტალებამდეა გათვლილი და ყოველ ახალ ცივილიზაციაზე გადასვლა, რაღაც ხრიკული თამაშების ამოცნობას თხოულობს ჩვენგან. იდეა იმის შესახებ, რომ სამყარო საათის მექანიზმს ჰგავს, მკაცრად დეტერმინისტულ კანონებს ემყარება და კიდევ უფრო ხშირად ბერდება, რადგან ბუნებას უფრო მეტად უნდა დავუჯეროთ და დროგამოშვებით შევებრძოლოთ კიდევაც. თანამედროვე პროგრესი დაფუძნებულია პრაგმატიზმზე, რაციონალიზმზე, ლაპლაპისეულ ზუსტ, მოწესრიგებულ მოძღვრებებზე, ვიდრე მარადიულ და ფუნდამენტურ ღირებულებებზე. მათ შორის ზოგადი პოლიტიკის და მართვის სისტემებშიც კი, რადგან ოდესღაც დღევანდელი ძველი კარგი, ძველად ახალი, პირველად მიუღებელი იყო და ჭეშმარიტი ბრძოლით დაიმკვიდრა ადგილი.

ამბობენ, ემბრიონი პირველად იბადება მდედრის ნიშნით, მხოლოდ მეშვიდე კვირას ხდება გარკვეული სქესის რაობა. ასევეა ბუნებაც, უფრო ქალური, ცვალებადი ხასიათი აქვს, ვიდრე მამაკაცური. ამიტომ ეს ორი – ქალური ანუ ქაოსური და მამაკაცური – მეცნიერული უკიდურესობა ფარავს მთელ სამყაროს. რა თქმა უნდა, ეს დროებითი სიმბოლოებია და არა მუდმივი, მაგრამ მათი განმარტება ასე შეიძლება: – გონებრივი წესრიგი და სპონტანური; პირველი გონების ნაყოფია და ფუნქციონირებს წინასწარ გამომუშავებული გეგმის მიხედვით და მიმართულია ნათლად გამოხატული სხვადასხვა მიზნებისათვის და კონკრეტულ კანონებს ემორჩილება. მეორე სპონტანური (ანუ ქალური) წესრიგი კი იქმნება ორგანული ევოლუციის პროცესის მსვლელობაში, ისინი არ განასახიერებენ ვიღაცის ჩანაფიქრს და არ კონტროლდებიან ერთი ცენტრიდან, მისი კოორდინაცია მიიღწევა არა საერთო მიზნის დაქვემდებარების ხარჯზე, არამედ სამყაროში და ადამიანთა საზოგადოებაში მოქმედი უნივერსალური კანონებით. ამით მიიღწევა გაუთვალისწინებელი და კეთილისმყოფელი ბუნებრივი შედეგები.

რაციონალიზმი მტკიცე გონებისგან დაიბადა და გონების დამსახურებაა, რომელსაც გრძნობს და შეგნებული აქვს, მისთვის დამახასიათებელი საერთო – ზოგადი თავისი შეზღუდულობა, რომელსაც ჟამიდან ჟამზე ანგრევს და წინ მიიწევს. ეს დამოკიდებულება და შეგნება თავისი შეზღუდულობების და საკუთარი თავის უმწეობის შეცნობა, აძლევს მას საზღვრების გაფართოების შესაძლებლობებს. კაცობრიობის ბორკილებს კი ამსხვრევს სპონტანური, ქალური ბუნების ტიპის ცივილიზაცია, რაც თავდება სასწაულებრივი აღმოჩენებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ეპოქისათვის საჭიროა ქალური ინტელექტის და მისი კულტურის კულტივირება, რათა მამაკაცურმა მეცნიერულმა გონებამ წუთშესვენება გამოაცხადოს დედამიწაზე, ახალი, შემდგომი აღმოჩენებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, ქალური ინტუიციის ძლიერება, რომლის აღორძინება, ახალ წარმოუდგენელ წარმატებებს მოუტანს კაცობრიობას. დააკვირდით მუსულმანურ ქვეყნებს და იქ, სადაც ქალი წარმოადგენდა მხოლოდ გამრავლების სიმბოლოს, ახალი და პირველი საფეხურები დაიკავა. ეს არის დრო-ჟამის და კაცობრიობის ახალი მორიგი ორსულობა. ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა, რომელიც ახალ მსხვერპლშეწირვას თხოულობს. მსოფლიო ისტორია დიდ ფაციფუცშია და სიურ-ეალისტურ ულტიმატუმს გვიყენებს, რომელსაც ვერ გეტყვის პირდაპირ და უნდა მიუხვდე.

ეს არის დრო გადარჩენა-გადახალისების, სადაც მოხდება შერჩევაც და სელექციაც, ამისათვის კი საჭიროა, მარიამ ღვთისმშობლის ქვეყანამ საყოველთაო მონანიება და მორჩილება გამოაცხადოს მართლმადიდებლური სარწმუნოების წინაშე, რადგან სინანულის გარეშე ჩვენ ვერ ვიგრძნობთ სულის არსებობას, რაც უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ამაღლება-შთაგონების გზასავალზე. ყოველივე ეს ჩაშიფრულია ჩვენს ქართულ ენაში იდუმალწერით. ამას გვავალებს პირდაპირი შეგნებით ღვთისმშობლის წილხვედრილობა და ამ მთვლემარე ძალების ამოქმედება გააცოცხლებს იმ იდუმალებას, რომელიც ამაღლების უპირველესი საწინდარია, რადგან ყველაფერი ხდება გონების დაბინდვით. ჩვენი ხსნა ცოდვების მონანიებაშია და მასშია თვითონ ჩადებული თვითგადარჩენის ინსტინქტი. მაშინ იქნება მოპოვებული ერის ენერგიის რაობა და ის სურათხატი, რომლის ძალითაც აღდგება, მარადქალური დედის ხატება და მოგვეცემა ის უდიდესი მუხტი, რათა ურთიერთსიყვარულით შევიცნოთ ძალა მონანულებისა...

ღვთისმშობლის პორტრეტი

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.

ნ.ბარათაშვილი

ჩვენამდე მოღწეულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხორციელი სილამაზის აღწერა წმ. თეოფანესა და ნიკიფორეს თხზულებებში ამგვარი შინაარსით: „ეს იყო საშუალო სიმაღლის, სახე ჰქონდა ხორბლისფერი, თმა ღია ქერა, ოდნავ ოქროსფერში რომ გადადის, თვალები ნათელი, სუფთა, დაწმენდილი, გამოხედვა სწრაფი, გამჭოლი, წარბები ოდნავ დაშვებული, მუქი ფერისა, ცხვირი საშუალო, ბაგეები ვარდისფერი და ტკბილმოუბარნი, სახე არც მთლად მრგვალი, ხელის თითები მოგრძო. მასში არ იყო არავითარი სიამაყე, ყველაფერში უბრალოება, ოდნავი მოჩვენებითობის გარეშეც კი. არავითარი განებივრება-გააზიზება, ყველაფერში სრული მორჩილება. ტანსაცმელს ატარებდა უბრალოს; უპირატესობას ანიჭებდა ბუნებრივ ფერებს. ყოველ მის საქმეში ღვთიურად ანათებდა უხვი მადლი“. ის იყო ჭურჭელი სათნოებისა და სრულიად უბიწო. გონება მისი ღვთიურ საქმეებში ფლობდა ისეთ სიბრძნეს, რომელიც არავის კაცთაგან არ გააჩნდა და არც არავის ექნება მომავალში. აღიზარდა იერუსალიმის ტაძარში და წმ. წერილი ესმოდა ისე ცხადად და სწორად, რომ გაოცებაში მოჰყავდა გამოცდილი და დახელოვნებული სჯულისმოძღვარიც კი. ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში გრძნობდა რაც ხდებოდა მის ირგვლივ წმინდა და ღვთიური, როდესაც იკითხავდნენ თუ რა შეიძლება იდგეს მის თავდაბლობაზე უფრო მაღლა, გაბრიელ მთავარანგელოზი ახარებს, რომ ის შობს ძეს მაღლისა მესსიას, მეფეთა-მეფეს; მართალი ელისაბედი ესალმება როგორც დედას უფლისას. ის კი, არათუ არ აიმაღლებს თავს, არამედ შიშსაც კი ჰგვრის ასეთი პატივი: – შეძრწუნდება ანგელოსის სიტყვებზე და თავს ღვთის მხევლად აღიარებს, რომელსაც მოჰხედა უფალმა.

ასევე რა შეიძლება მის უპოვრობაზე უფრო სრულყოფილი იყოს? ასულმა მდიდარი მშობლებისა, უგულებელყო ყოველივე, რაშიც ნუგეშს ხედავენ ასულნი კაცთანი, უყვართ რა სიკეთე ამა ქვეყნისა: მას არ ჰქონდა საკუთარი სახლი და ცხოვრობდა იოსებ დურგლის უბადრუკ ქოხში. შემდგომ ჯვარცმისა მისისა თვისისა, არ ჰქონდა თავის მისაყრდენიც კი და ცხოვრობდა ქრისტეს უახლოესი მოწაფის სახლში. რა შეიძლება მის უმანკოებაზე უფრო წმინდა იყოს? თვით იპოსტასურმა ღვთის სიტყვამ აღზარდა იგი და საშო მისი თვის ჭერად იგულა. წმ. ამბროსი მედიოლანელი მის უბიწოებას ასე გადმოგვცემს: „ის იყო ქალწული არა მარტო ხორცით, არამედ სულითაც, საუბარში ღვთივგანბრძნობილი, ცოტას ლაპარაკობდა და საუბარშიც იყო უმანკო".

რა უნდა ითქვას მის სიმამაცეზე უდიდეს განსაცდელთა და მწუხარებათა შორის? – არ დაცემულა სულით,როცა წინ ედო ხიფათით აღსავსე გზა ეგვიპტისაკენ, ასეთივე სიმტკიცით მიჰყვებოდა იგი თავის ძეს, რომ განაცვიფრებს ადამიანურ გულსა და ყოველივე ხილულსა და უხილავ ბუნებას, როცა იგი ვნების გზას შეუდგა, იყო გოლგოთაზე, როცა ძე მისი ჯვარს აცვეს და მის ჯვართან იდგა. არ იცოდა სიძულვილი, რაიმე ან ვინმეს შეზიზღება და მიძინების წინ თავისი სამოსი დაურიგა ღატაკებს. ბალზე ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ აუცილებელსა და სასიკეთოზე, სიტყვები მისი იყო ტკბილი; სიამოვნებით უსმენდა სხვებს და თითოეულს შესაბამის პატივს მიაგებდა, თავის საუბრებში ყოველთვის კეთილსახიერებას ინარჩუნებდა, არასოდეს არ იცინოდა და არ იცოდა შეცბუნება; დამოკიდებულება ჰქონდა მშვიდი და ურისხველი.

წმინდა ნინო

ამბავი წმინდა ნინოსი და წმინდა ვაზის ჯვრისა

ზენაით მბრძოლისა მარად შემწესა ჩუენისა, შენ მიერ ჰხსნილნი მონებისაგან ბნელისა ფარაო ისა, ყოვილსა შესხმათასა შევთხზავთ შენდამი, ქალწულებისა ყუავილო ნინო! ქრისტეს მხედრობად აღწერილნი მონანი ზენასა მეუფისანი, არამედ ვითარცა მარად თანა მბრძოლად გაქვს მადლი მისი ძალი, მარად მძლე ექმნენ მტერთა ჩუენთა მებრძოლთა და გვიხსნენ ვნებისაგან საცთურსა, რათა ანგელოზებრსა გალობასა დავთხზვიდეთ შენდა. გიხაროდენ, სულისა მიერ საღმრთოსა განწმენდილო საღვთოო სძალო.

სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა მოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ეველრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათუის.

ქართველთა მოქცევაზე გადმოგვცემენ როგორც ჩვენი ჟამთა აღმწერნი, აგრეთვე უცხო ქვეყნის მემატიანენი, თანამედროვენი წმინდა ნინოსი და ახლო დროის წარსულში მცხოვრებნი. რეფინი აღწერს მოქცევას და ამასთანავე შენიშნავს, რომ „ეს გარემოება

მიამბო იერუსალიმში იბერიის მეფემ ბაკურიუსმაო". ქრისტეს სახარების გავრცელების შესახებ ცნობებს, ყველა შემდგომნი, ქართლის ცხოვრებაზე დაყრდნობით იძლევიან, სადაც ჩართულია წმინდა ნინოს ცხოვრება მოწაფეების გამონათქვამებზე.

როგორც ცნობილია, საქართველოში მოვიდა ანდრია პირველწოდებული და იქადაგა ქრისტიანობა, მასთან ერთად იყო სიმონ კანანელიც. ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ გაიარა სამმა საუკუნემ. ქართველებმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარეს მხოლოდ მეოთხე საუკუნის დასაწყისში. ამ ხანებში საბერძნეთში კონსტანტინე დიდი მეფობდა, რომელმაც აკრძალა ქრისტიანების დევნა. ქალწული ნინო სწუხდა, რომ ქვეყანაში, სადაც ქრისტეს კვართი ინახება, ცხოვრობდა ხალხი, რომელთა დიდ უმრავლესობას ქრისტე არ სწამდათ და მოინდომა ქართველების გაქრისტიანება. ამ აზრით წამოვიდა იერუსალიმიდან საქართველოში. გზაზე მან დიდი შიში, წვალება გადაიტანა. ერთხელ ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი, გაამხნევა და მისცა ვაზის ლერწისაგან გაკეთებული ჯვარი. როცა წმინდა ნინოს გამოელვიძა, ჯვარი ხელში ეკავა, შეკრა თავისი თმით და დარწმუნდა, რომ ღმერთი მისი შემწე იყო. გამხნევებული „ვაზის ჯვარით" წამოვიდა და მივიდა მცხეთაში.

წარმართი ქართველები თაყვანს სცემდნენ არმაზის კერპს. ქვეყანაში მეფობდა მირიანი.

მეფესა და წმინდა ნინოს მიუწერიათ საბერძნეთის იმპერატორ კონსტანტინესთვის ქართველთა გაქრისტიანების სურვილის შესახებ და უთხოვიათ საჩქაროდ მღვდლების გამოგზავნა. გამოუგზავნიათ ეპისკოპოსი, ორი მღვდელი და სამი მთავარდიაკონი. სანამ ისინი მოვიდოდნენ ქვეყანაში, წმინდა ნინომ ხალხი მოამზადა ქადაგებით. მოსულებმა პირველად მონათლეს მეფე მირიანი, დედოფალი ნანა და მცხეთის მცხოვრ ბნი. მცხეთაში მტკვარი იქცა ემბაზად, სადაც ისინი მოინათლნენ. წმინდა ნინოს აუწყია ქადაგ

ბა, აგრეთვე, სხვადასხვა მხარეში და ხალხი მოუქცევია ქრისტეს სჯულზე და წ ინდა ჯვარი დააბრძანა მცხეთაში.

როცა კახეთში წმინდა ნინოს შეუსრულებია მოციქულებრივი მოღვაწეობა, „ღვთის განგებით ეუწყა მას სიკვდილის მოახლოება", უცნობებია მეფე მირიანისათვის და მეფე მირიანი და ეპისკოპოსი წასულან წმინდა ნინოსთან კახეთში.

წმინდა ნინომ რომ მიიძინა, მისი სხეული მიაბარეს ბოდბეში და წმინდანის სახელზე მეფე მირიანს დაუწყია ეკლესიის შენება, რომელიც ბაქარს დაუსრულებია.

„ივერიის ეკლესიამ, ანტიოქიის ეკლესიის ნებართვით წმინდა ნინოს უწოდა მოციქულთა სწორი და საქართველოს განმანათლებელი შერაცხა წმინდანების რიცხვში და მოსახსენებლად დააწესა ყოველწლიურად დღესასწაული 14 იანვარი" (ძვ. ს.).

დღესასწაულის დაარსება უნდა მომხდარიყო წმინდა ნინოს მიძინებიდან ახლო ხანებში, ამაზე მოწმობენ ძველი ეკლესიები, რომლებიც აუშენებიათ წმინდა ნინოს სახელზე.

ერის განძი – წმინდა ვაზის ჯვარი დაბრძანებულა სიონის ტაძარში, ტაძრის შემადგენელ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს და ერის, მრევლის სალოცავ ხატთაგანია. სასწაულმოქმედი წმინდა ჯვარი, ასევე სასწაულმოქმედია თავისი თავისადმი. წმინდა ნინოს წმინდა ვაზის ჯვარი, უფალი იესო ქრისტეს წმინდა ჯვარის ნაწილია, ქართველების ნათლობის სიმბოლოა; უძველესი ქრისტიანული სამყაროს რეალობაა;

ქართული ეკლესიის სიწმინდე-საუნჯეა!

წმინდა ჯვარს შემოხვეული აქვს ფარჩის ძვირფასი საბურველი, მისი სიმაღლე 88,75სმ, ხოლო სიგანე – 53,25 სმ. „აბრეშუმის ძაფით დამაგრებული და ვაზის მსხვილი ღეროები წმინდა ნინოს თმებითაა შეკრული". წმინდა ჯვრის ფრთები ოდნავ დახრილია. ერთ ადგილას, ცნობისმოყვარე მკრეხელის მიერ, დანითაა ამოთლილი, ალბათ უნდოდა დარწმუნებულიყო ღვთაებრივი ხის არსებობაში.

წმინდა ჯვრისათვის ქართველი მეფეების მიერ გაკეთებულია ძვირფასი გვადრუცი (კიდობანი). მოოქროვილი ვერცხლის დაფა 6 ნაწილადაა დაყოფილი, უზადო ჭედური ხელოვნებით შესრულებული. წმინდა ჯვართან დაკავშირებული სასწაულები და შემთხვევები, წმინდა მოციქულის მსახურება და ქადაგებები, გამოსახულებები ასომთავრული წარწერებითაა დამშვენებული.

საქართველოში შემოსევებისა და აოხრებების დროს იმის შიშით, რომ წმინდა ჯვარი არ დაკარგულიყო, თითქმის 17 საუკუნის განმავლობაში, სხვადასხვა ადგილი გამოუცვლიათ. უკანასკნელად, 1749 წელს მიტროპოლიტ რომანოზს საიდუმლოდ წაუღია რუსეთში და მიურთმევია ვახტანგ მეფის ძე ბაქარისათვის მოსკოვში. ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფელ ლისკოვოში, ვახტანგ მეფის მამულში ინახებოდა ჯვარი 52 წლის განმავლობაში. განაწყენებული თეიმურაზ II, ერეკლე II და გიორგი XII ევედრებოდნენ მეფე ვახტანგის შთამომავლებს, დაებრუნებინათ საქართველოს უძვირფასესი განძი, მაგრამ ქართლის სამეფოს ტახტის მაძიებლებს ყურად არ უღიათ ხალხისა და მეფეების თხოვნა.

ბაქარის შვილიშვილს, უფლისწულ გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის ვაზის ჯვარი 1800 წელს მიურთმევია იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის. უნებებია იმპერატორს და ქართველებისათვის გამოუგზავნია 1801 წლის 15 ოქტომბრის რესკრიფტით: „ჩვენ უწყით რანაირად უყვარდა და პატივსა სცემდა საქართველოს ხალხი პატიოსანსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა ნინოსა, ამიტომ ვგზავნით ამ ძვირფას საუნჯეს ისევ საქართველოში".

იმპერატორს რესკრიფტით ჯვარი გადაუცია პეტრე კოვალენსკისათვის და უბრძანებია, რომ „საქართველოს სამღვდელოება მოჰგებებოდა ჯვარსა ქალაქის გარე ბჭესა". რესკრიფტში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ რუსეთიდან წმინდა ჯვრის გადმობრძანებისას, ამალა ექვს პუნქტში შეჩერებულა და საქრისტიანო ზეიმები გაუმართავთ. კათალიკოსი ანტონ II დიდი ამალით, საზეიმოდ შეგებებია და წმინდა ვაზის ჯვარი თბილისის გარეთ მიუღია, რომელიც ახლაც არის დაბრძანებული საკურთხევლის (სიონი) მარცხენა კედელში.

ისტორიული მასალების მიხედვით, წმინდა ჯვარი ინახებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილებში, სხვადასხვა სახელმწიფოებში, ციხე-სიმაგრეებში, ეკლესია-მონასტრებში...

ნინოს აღსრულების შემდეგ, წმინდა ჯვარი, როგორც მეოხი და მფარველი სრულიად საქართველოსი, სხვადასხვა დროს ინახებოდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში (დაახლოებით 642 წელი). სპარსეთიდან შემოსულმა „მოგვობამ საშინლად შეავიწროვა ქრისტიანობა და დევნა დაუწყო ხატთა და ჯვართა". 457 წელს წმინდა შუშანიკის განკარგულებით, გააფთრებულ ცეცხლთაყვანისმცემელთა შიშის გამო წმინდა ჯვარი წაიღეს ტაოში, იქიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გადაიტანეს სპერში,

ხოლო სპერიდან კაპოეტის ციხეში. გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეში, ვანანდში და ქალაქ ანს. ბოლოს წმინდა ჯვარი დააბრძანეს მცხეთის ტაძარში. ანანურის ღვთისმშობლის ეკლესიიდან 3 წლის შემდეგ წმინდა ჯვარი გადანახული ყოფილა არშის ციხეში. მომხდარა ისიც, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში წმინდა ჯვარი დაკარგულად ითვლებოდა. დავით აღმაშენებლის მიერ წმინდა ჯვარი, როგორც „ივერიის სიმდიდრე და კუთვნილება", საპატიოდ გადაუტანიათ მცხეთის ტაძარში.

გრიგოლ რობაქიძეს „წმინდა გრაალის მცველში" გენიალური აზრი აქვს გატარებული – უბედურების ჟამს ვაზის ნასხლავისაგან გამოჭრილ ჯვარს, რომელიც წმინდა ნინომ თავისი თმებით შეკრა, მტევნები გამოუღია და მისი წვენი რაინდებს თასით შეუნახავთ. ეს თასი „გრაალია", გული საქართველოსი..."

ვერ მონახავთ ქვეყნად მეორე სახელმწიფოს, რომელსაც ვაზისა და სარწმუნოების ერთიანი სიმბოლო აქვს – ეს მხოლოდ საქართველოა!

წმინდა ნინოს ჯვარზე მასალა გაკეთდა გიორგი სარაჯიშვილის წერილის („ამბავი წმინდა ნინოსი და წმინდა ვაზის ჯვრისა") მიხედვით.

რა არის რწმენა ადამიანში

მარად გვახსოვდეს, რომ რწმენა არის რასაც ვერ ვხედავთ და ვერ ვეხებით, მაგრამ გვწამს, განვიცდით და სულიერად გვამაღლებს.

როგორც სამყაროს ყველა მოვლენა და საგანი მსგავსია და სხვადასხვაც, ასევეა რწმენის დეფინიცია, თუმცა ყველა განმარტება ენათესავება ან ძალიან ახლოა ერთმანეთთან. პავლე მოციქულის სწავლულებით, რწმენა არის მოსალოდნელის განხორციელება და უხილავის დაჯერება. იოანე დამასკელის სიტყვებით, „რწმენა არის ის, რისი იმედიც გვაქვს და დაჯერება უხილავი საგნების არსებობისა"; წმინდა იოანე ოქროპირის შენიშვით, „რწმენის თვალსაზრისი დამოკიდებულია იმაზე, რაც ჩვენთვის ცნობილი არაა ხილულად".

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რწმენა არის ის, რასაც ხორციელი თვალებით ვერ ხედავენ, ხელებით ვერ ეხებიან, მაგრამ გონება ამას გრძნობს ინტუიტიურად და აზრობრივი შინაარსით. ასევე მიუწვდენელია სამება ერთში და პირუკუ, ერთი სამებაში. ჩვენ არ შეგვეძლება გავიგოთ სრულად, თუ როგორ შეისხა ხორცი სიტყვა-ღმერთმა უბიწო ქალწულს საშოში. იშვა უთესლოდ და ქალწულობის შეურყვნელად ძე ღმერთი, მაგრამ მტკიცედ გვწამს მისტერიის არსის იდუმალება და სიდიადე. ქრისტეს წმიდა საიდუმლოებებში პურისა და ღვინის სახით, ჩვენ ძე ღვთისას ადამიანურ ხორცსა და სისხლს ვერ ვხედავთ, მაგრამ გვწამს, რომ ევქარისტიაში ქრისტეს ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი გვეძლევა, რაც იძლევა რწმენის დინებას გონებაში. მიწიერი მოკვდავის თვალებით ვერც ყოვლადწმიდა დედოფალს, ღვთის-მშობელს ვხედავთ, რომელიც ზეცაში თავის ძესა და ღმერთთან ერთად მეუფებს

ცოდვილთა სულის მონანულებაზე და ეევედრება ჩვენდა საოხად მაღალ მეუფეს – აი, ეს არის რწმენა. ჩვენ ვერც ღვთის სათნოებით სავსე წმინდანებს ვხედავთ, რომელნიც ქრისტეს ზეციურ მოდღესასწაულე ეკლესიაში ღვთის ტახტთან დგანან და ჩვენი სასოებისათვის ევედრებიან, მაგრამ გვჯერა ამ ჭეშმარიტების. არ უხილავს არავის თავისი მფარველი ანგელოზი, მაგრამ გვჯერა, რომ ქრისტეს ყოველ მიმდევართან ნათლობისას მფარველი ანგელოზი იმყოფება და ეს არის ის ძალა, რაც რწმენას გვანიჭებს. ჩვენ ვერ ვხედავთ ზეციური დიდების გვირგვინებს, რომელნიც ღვთის მოყვარულთათვის არის განმზადებული და ვერც ჯოჯოხეთის ტანჯვას, რომელიც მოუნანიებელ ცოდვილებს ელით, მაგრამ გვჯერა, რომ ყოველს თავის საქმეთა მიხედვით მიეზღვება და ეს არის რწმენა. ყოველივე განსჯის რომ, ამგვარი აზროვნებით რწმენა არის ის, რასაც ვერ ვხედავთ, მაგრამ გვჯერა ამის და ეს უხილავი სულიერად გასაგნდება და განხორციელდება. და პირუკუ ის, რასაც ჩვენი თვალები ხედავენ და ხელები გრძნობენ არ არის რწმენა. პავლე მოციქული ამბობს: „ხოლო სასოებით ხილული არა არს სასოება, რამეთუ რომელსა იგი ვინმე ხედავენ, რასაღა მე-ესავნ?“ (რომ. 8,24). „რამეთუ ვხედავ აწ, ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ, აწ ვიცი მცირედ, ხოლო მერმე ვინცა, ვითარცა შევიმეცნე. ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაი, სასოებაი და სიყუარული, სამი ესე, ხოლო უფროის ამათსა სიყუარული არს“. მაშასადამე სიყვარული მეტია რწმენასა და სასოებაზე, რადგან იმავე მოციქულის სიტყვებით, სიყვარული მარადიულია, ხოლო რწმენა და სასოება წყვეტს არსებობას, სანამ უფალს სინამდვილეში არ ვიხილავთ, რადგან იქ, ზეცაშიც მუდამ გვეყვარება ღმერთი, წმინდანები და ერთმანეთი. როცა განხორციელდება ის, რისიც გვწამს და რისი სასოებაც გვაქვს, მაშინ უსასრულო სიყვარული კიდევ უფრო მტკიცედ მეუფებს. რწმენა და სასოება იმიტომ გაქრებიან, რომ რაც ახლა გვწამს და გვწამდა, საკუთარი თვალებით ვიხილავთ და რისი იმედიც ახლა გვაქვს, მას მივიღებთ ზეცაში.

ყოველივე თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რწმენაა ის, რასაც ვერ ვხედავთ და არ ვეხებით და, პირიქით, ყოველივე რასაც ვხედავთ და ვეხებით არაა რწმენა. მოკლედ, რწმენა აუცილებლად უნდა ატარებდეს უხილავ ნიშან-თვისებას.

რწმენა მოდის და მაგრდება ადამიანის სულში მხურვალე ლოცვით და სულიწმიდის მეოხებით. ამიტომ, რათა ქართველებმა აღადგინონ თავისი სულიერი მისია და ისტორიული ფუნქცია, უნდა ილოცონ ხშირად და მხურვალედ.

რწმენა არასოდეს არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ ის უნდა იყოს გზა, რითაც უნდა მიწვდე ძნელადსარწმუნოს და უხილავს. რწმენის საშუალებით უხილავი და სულისმიერი გრძნობა იქმნება ჭეშმარიტებად და ზოგადადაც, ყოველი სიტყვა მკვდარია და მხოლოდ რწმენით ეძლევა მას სიცოცხლე.

საქართველო ცოცხალი და ქმედითი ხატია მართლმადიდებელი ქვეყნის და შექმნილია როგორც პატარა იაზისი ყველაზე დიდი მატერიკის ევრაზიის შუა გასაყარზე. ან იქნებ შეიძლება, რომ შემთხვევით მისცემოდეს ეს მზით გაჯერებული და განსაცვიფრებლად ნაყოფიერი მიწა, თავისი უმშვენიერესი და უნიჭიერესი ადამიანებით. არის პატარა დამთხვევები, მაგრამ ყველა დიდი მოვლენა – აუცილებლობის და კანონზომიერების ბეჭდით არის აღბეჭდილი. თუმცა არც ის ყოფილა იშვიათი, რომ საზოგადოებას გააჩნია თავის ხასიათი და ეს მისი ბედისწერაა იმ გაგებით, რომ მისი

ბედი წინასწარაა დაწერილი წმიდა წერილებით (თავისი ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე). ამგვარი ღრმად ინდივიდუალისტური შტრიხები, იშვიათია, ასე ხაზგასმით გააჩნდეს რომელიმე უძველეს ერს, როგორც ქართველებს. ხასიათი კი ისე უნდა გქონდეს გაწვრთნილი, რომ ზოგიერთ მავნე, არაქრისტიანულ სურვილებს გზაზე გადაუდგე, რაზეც უდიდეს გავლენას ახდენს აღზრდა, ვარჯიში, აუტოტრენინგი, მედიტაცია და სხვა. ხასიათები კი შეხედულებათა და თვისებათა მანქანაა, რომელიც ადამიანებს ჩვევასა და ინსტინქტში აქვთ გადასული. ისინი ხშირად უბრალო დეკლარირებული ინტონაციით შემოდიან, მაგრამ შემდეგ შეარხევენ უაღრესად ფაქიზ და მგრძნობიარე სიმებს.

რელიგია

ზოგიერთ საგანთან და მოვლენასთან დამოკიდებულების შინაარსი ყველაზე არსებითია რელიგიურ და სამოქალაქო ცხოვრებაში.

(ფერილი 1)

ყოველი რიტუალი და ღვთაებასთან დაკავშირებული მოვლენა ასახავს და სრულყოფს სიწმინდეს, რომლის მიღებით ადამიანი ახდენს თავის თავზე მადლის გადმოდინებას და ამაღლებას სრულქმნისაკენ. რელიგია არეგულირებს სულის კავშირს ზეციურ სამყაროსთან და არსებულ სინამდვილესთან.

რწმენა დასაწყისია სიმრთელისა, რომელიც არ აძლევს სულს მოდუნების საშუალებას, რათა მარადიულად ჭვრიტოს საზრისი და შეიმეცნოს თავისი თავი. გამოცხადება ღვთაების ქმედითი აქტია, რომელიც აძლიერებს უშინაგანეს იდუმალ კავშირს ხილულსა და უხილავს შორის. გამოცხადების დროს აქტიურდება ცოცხალი, ან, უფრო სწორად, თვალით აღსაქმელი ღვთისმოსაობა და სულის მეშვეობით იკვეთება „მეს" (იოანეს სახარება) ფუნქცია. ამ უკანასკნელის გარეშე კი, საერთოდ არ იქნებოდა მოძრაობა ჭეშმარიტებისაკენ. ამ გზაზე დასადგომად კი საჭიროა, მედიტაცია, აზრობრივი დაკვირვება, ჩაღრმავება, ჩაძირვა, მხურვალე ლოცვა, მარხვა და საერთოდ სულის და გონების შიდა წიაღის ჩართვა რელიგიის არსში. ამ დროს იწყებს ადამიანი სვლას იდეალური ჭეშმარიტებისკენ და იზრდება შემეცნების უნარი. ადამიანი ამ დროს აკეთებს აღმოჩენებს სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან და მთელი ეს გარემომცველობა მოდის მასთან ჰარმონიაში. აბსოლიტურ სრულყოფილებას ადამიანი ვერასდროს ვერ აღწევს, რადგან ეს მხოლოდ ღვთის ფუნქციაა. იგი, სული, მარტივ შემთხვევაში მშვენიერების, ფილოსოფიურ ხედვაში მიზეზობრივი კავშირით და ღვთაების არსში ჩაძირვით ახდენს მიწიერის გადალახვას და ღვთაებისაკენ სვლას. თუ მოკვდავმა არ დატოვა ამქვეყნიური რაციონალური შეგრძნება, ისე ის ვერ მივა მადლის მიღების ფაზამდე. ყოველივე ეს არის რელიგიური გამოცდილება, რაც უშუალო კავშირშია სულის წრთვნასთან, რათა ამ უკანასკნელმა დაამყაროს ურთიერთობა

ზეციურ ძალებთან. ამიტომ, ნიკოლოზ ბერდიაევი უ. ჯეიმსის მისამართით ამბობდა: „ქრისტიანული დოგმატიკა ცდისეული წარმომავლობისაა, ჭეშმარიტად მორწმუნეთათვის და რელიგიური ცხოვრებით მცხოვრებთათვის, დოგმატები წარმოადგენენ ფაქტებს მისტიური ხასიათისას, ხილვებს...“

რელიგიური გამოცდილების სიხშირით და აქტივობით, მისტიურ განზომილებაში გადავდივართ, როდესაც საფეხურეობრივი ანუ გრადაციული გადასვლაა მარხვიდან მედიტაციაში, ლოცვაში და ა. შ.

მისტიურობის დროს შეიგრძნობა ცოცხალი, გასულიერებული ნეტარება უხილავისა და ღვთაებრივთან რეალურად თანდასწრებულისა. სულს ეუფლება გრძნობა, მანამდე უცნობ ჭეშმარიტებათა შემეცნების და ასეთია მატების ხარისხი, რაც ხდება საფუძველი სულის რწევისა. მაშასადამე, ცხოვრება რელიგიურ წიაღში ზრდის სულიერებას მოკვდავში.

ღვთისმოსაობაში, არის საფეხურები: ა) რაციონალური, როდესაც ღვთისადმი ვედრება და კავშირი, უეცრად და რაიმე გაჭირვებით არის გამოწვეული. ამ დროს, როგორი გულწრფელიც არ უნდა იყოს მლოცველი, ღვთაებასთან მიმართება მინიმალურია. ბ) ჩვეულებრივ ღვთისმოსაობაში, აზრობრივი და ფუნქციური შინაარსი წონასწორობაშია. გ) მისტიურ ღვთისმოსაობაში, ცოცხალი „მე“ განსაკუთრებული აქტივობით არის სავსე და სული მისტიური მიმადლებისას იმდენად არის უმაღლესი ჭეშმარიტებით დაკავებული, რომ სხეული მიწაზეა განრთხმული, როგორც უსიცოცხლო გვამი და სულს მიეცემა მომავლის განჭვრეტის ცოდნა, საგანთა იდუმალი ბუნების წვდომა, ჭეშმარიტ და ყალბ რელიკვიათა განსხვავების უნარი და ცნობა – კავშირი გარდაცვლილთა მდგომარეობის შესახებ.

მესამე ხარისხში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჰაერში გაჩერებას ანდა ზევით აწევას, რადგან ამ მოვლენებს მისტიკოსთა უმრავლესობაში შევხვდებით, მაგრამ მასში არ ძევს საფუძველი მისტიური სულის წვრთნისა. მსგავს ქმედებებს, არცთუ იშვიათად გარეგანი ზემოქმედებითაც ახდენს ადამიანი, მაგრამ თუ ეს ხდება წმინდანთან, ეს ისეთივე მისტიური ანუ რელიგიური გამოცდილებით და მუდმივად ღვთაებრივი ცხოვრებით არის გამოწვეული, რასაც ადასტურებს კიდეც წმინდა თომა აქვინელის ბიოგრაფი, როდესაც სალერნოს მონასტერში ბერებმა თავად იხილეს, საკურთხევლის წინ მლოცველი წმინდა თომა აქვინელი თუ როგორ ასცდა მიწას შესამჩნევად და ლოცვის დროს ჰაერში იყო გახევებული. ეს მოხდა იმიტომ, რომ სულის მოძრაობით იმდენად დაიჯაბნა სხეული, რომ მორჩილად დაყვებოდა ყველგან. ამ დროს ხორციელი ვნებისგან ისეა გაწმენდილი ადამიანი, რომ აბსოლუტურად ბატონობს მასზე სული და აღკვეთილია ვნების მიდრეკილებანი (ცხოვრება წმ. თომა აქვინელისა მოთხრობილი ვილჰელმ ფონ ტოკოს მიერ, ლაიფციგი 1967.)

თეოლოგიაში მიღებულია მოსაზრება, რომ ლოცვითი ჭვრეტის ერთმა საათმა, უფრო მეტი ჭეშმარიტება უნდა გაუმხილოს ადამიანს ზეციური საგნების შესახებ, ვიდრე რამდენიმეწლიანმა სწავლულებამ. ასეთი ღვთისმსახურებისას წმინდა იგნაციო ლოიოლი ერთხელ გამოუტყდა მამა ლაინეცს, რომ ერთხელ როდესაც ლოცულობდა დომინიკანური ეკლესიის პატრონიკეს კიბეებზე, იგი ნათლად ჩაწვდა ღვთაებრივი ჩანაფიქრის მთელ სიბრძნეს, გამოვლენილს სამყაროს შექმნაში. მეორეჯერ, ერთ-ერთი საეკლესიო პროცესის დროს, სული მისი აღაფრთოვანა ღმერთმა და მას

ელირსა ეხილა ხატში, წმინდა სამების საიდუმლო არსისა. ამ ხილვამ მისი გული ისეთი ნეტარებით აღავსო, რომ შემდგომში მასზე მხოლოდ გახსენება აიძულებდა მრავლად ეღვარა ნეტარებით მოგვრილი ცრემლი.

ადამიანი ამქვეყნად ვითარდება ორი ხაზით, ერთია ისტორიული ცოდნა, ანუ ჩვეულებრივი სწავლულება, ცოდნა წარსულისა აწმყოში, ისტორიკოსის მიერ საკუთარი სულის თვითშემეცნება დროის განსაზღვრულ განფენილობაში, რომელიც მუდმივად აცოცხლებს გამოცდილებას აწმყოში, და მეორე, რელიგიური გამოცდილების უნარი ყველა ადამიანშია დამარხული და საკრალური ბუნებისაა, რომელიც უკვდავებას ანიჭებს. სულის წვრთნით, რელიგიური გამოცდილების მუხტის მატარებელია ქართული ხალხური სიმღერები: „ლილე“, „ჩელა“, „ჩაკრულო“, „წინწყარო“ და ალბათ ყველა. მათში ღვივის რელიგიური ცეცხლი, რომელიც შექმნიდანვე წუთისოფლის მარადიულობასთან იყო წილნაყარი. ამიტომ არ იქმნება დღეს ამ სიმაღლის შემოქმედებითი ნიმუშები, რადგან ისინი (ძველი სიმღერები და ბევრი სხვა რამ...) ლოცვისგანაა მიღებული. მადლის მიღებას თავის შესაბამისი გარემოს შექმნა სჭირდება, თუ როგორი უნდა იყოს სხეულის დგომის პოზა, ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის წესი, სენაკის დაბნელების ხარისხი, როდის უნდა დააკვირდენ წმინდანის ნაწილებს და „ახალი ყვავილების“ ცქერით, კვლავ როდის უნდა შეიქმნან წარმოდგენა „სულიერი ცხოვრების გაფურჩქვნა“-ზე (იგნაციოს ლოიოლა, სულიერი წერილები და დარიგებანი. მიუნხენი, 1922, გერმ. ენაზე). ყოველივე ეს ძალზედ უახლოვდება დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას, რომლის მიხედვით ყველა დროში, ყველაფრის ქმნადობას უდიდესი არსობრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა, გარემო-განწყობის მიხედვით.

ბიბლიის მთარგმნელები, შემოქმედნი და გადამწერები უამრავ მოსამზადებელ საკითხსა და წინაპირობას ითვალისწინებდნენ მუშაობის დროს. ეს იყო თვით, დღეს ყველაზე უფრო მარტივ ჩვევებად მიღებული: ხელ-პირის დაბანვა, ჯდომის წესი, ეტრატის ზომები, შეცდომის დაშვების „უფლება“ და ბევრი სხვა.

რაც შეეხება ენების შექმნას და მის ჩამოყალიბებას, აქ, უდავოა, რომ სახეზე გვაქვს ძველი ენების შეუდარებლად მაღალი საკრალურობა. ენა ყოველთვის მზარდი და ქმნადი სხეულია ერის ცხოვრებაში. ამიტომ ნიშანდობლივია ის, რომ ახალი ენები და ეს ბუნება (ახალი) ყველა თანამედროვე ენამ განიცადა, რომლებიც იმ დროს გამოიკვეთნენ და გამობრძანდნენ მოქმედების ასპარეზზე, როდესაც ცხოვრების ბირთვი და ენა ტოვებდა ტაძართა და ღვთისმოსავთა სამფლობელოებს... ძველი ენიდან აღმართული ყოველი სიტყვა თავისი საკრალური მნიშვნელობით და ფუნქციურობით არის მთა, რომლის შესატყვისი თანამედროვე სიტყვა წერტილივით გამოიყურება.

ძველი სამყარო იმდენად იყო ღვთიურობის სამოსელში გახვეული, რომ ეს ნიშანი აქვს აღბეჭდილი ძველი აღთქმის ბერძნულ ენაზე მთარგმნელ სამოცდაათ ბერძენს, რომლებსაც ზეეროვნული და მხურვალე რელიგიურობით აქვთ მომზადებული და ღვთაებრივი შთაგონებით ჩაგონებული. თეოლოგი ე. ბოკი ამბობს, რომ: „როდესაც ადრეული ქრისტიანობის დასასრულს ბერძნული ახალი აღთქმა ითარგმნა, უკვე პიროვნულმა ელემენტმა გარკვეული მოცულობით ზეპიროვნულის ადგილი დაიკავა. ჩვენ ვხედავთ იერონიმეს ბეთლემში, ოცდაათი წლით თავის სენაკში განმარტოებულ წმინდანს, რათა წმინდა წერილები ბერძნული სულიერებით განმსჭვალული, ზეციური ეთერიდან ლათინური ენის მიწასავით მკვრივ ნებისეულ ფორმებში გადაიტანოს...

ძველი ენიდან სიტყვის ბუნებრივი უბრალოებით ახალ ენაზე შესაბამისი სიტყვით გადმოცემა, ჩვენ დიდი ხანია დავთმეთ. ამიტომ, ზოგიერთ ადგილას ჩვენ ვცდილობთ გარკვეული აღწერითი ელემენტით გზის გაკაფვას, საბოლოო ჯამში ეს ნიშნავდა, რომ გერმანული ენის შიგნით ახალი ენა მოგვესინჯა. ახალი აღთქმის წერილების მომავალი თარგმანებისათვის ცხადია, რომ აუცილებელია ფილოლოგიური და თეოლოგიური სინთეზური განსწავლულობა. საბოლოო ჯამში ეს თარგმანები უნდა მოექცეს სულისათვის გახსნილი სმენიდან"... (ახალი აღთქმის წერილები, თარგმანი ემილ ბოკისა, დორნახი, 1958, გერმ. ენაზე).

ასეთი ცოდნის მისაღწევად საკმარისი არაა, რომ ისტორიკოსმა, მწერალმა და შემოქმედმა თავისი საგანი მხოლოდ შინაგანად განიცადოს. მან შინაგან განცდას უნდა დაუმატოს ზეინდივიდუალური და სულიერი კავშირების ცოდნა, რაც არის გონების მესამე თვალი.

ზეინდივიდუალობა არის ის განცდა, რომ ბავშვს, რომელიც კენჭებით თამაშობს, მისთვის უბრალო გართობა კი არ უნდა იყოს, არამედ მოქმედება, რომელშიც ჩადებულია გონების გაწაფვა, მომავალში მნიშვნელოვან საქმეთა აღსრულებისათვის. ამ კაპიტალის მისაღებად გონება იკვებება ეროვნულობით, ტრადიციით და იმ ხალხური სიბრძნით, რომელიც უძირო ჭაა მაძიებლისათვის.

როგორც ლიტერატურა არ შეიძლება არსებობდეს კარგი გრამატიკის გარეშე, ასევე რელიგია — ზნეობის გარეშე. ზნეობა კი ორი სულიერი ნიჭიერებით დგას ფეხზე, ეს არის — მოვალეობა და სურვილი.

ქრისტიანობა

ქრისტიანობის მიხედვით ადამიანი გვირგვინია შესაქმის, ხატია ღვთისა და ტაძარი სულიწმიდისა. ღვთის შემეცნება კი არის ის უმთავრესი სიმაღლე, რითაც ის განსხვავდება ყველა სხვა მიწიერ ქმნილებათაგან. ეს არის ადამიანის ყველაზე დიდი უპირატესობა, ყველა სხვა სულიერთან შედარებით. ღმერთი მხოლოდ მას გამოეცხადა და აზიარა ღვთაებრივ სიბრძნეს. ყოველივე არის ის ფასდაუდებელი ნიჭი და სულიერება, რითაც იგი დგას დანარჩენ სამყაროზე. მისი გამსჭვალვა ამ სიბრძნით მოხდა სულიწმიდის მეშვეობით.

ქრისტიანობა, თეოლოგთა მიერ აღიარებულია, როგორც სულიერების უაღრესი ხარისხი. ქრისტეს გარეშე ღვთაებას ჩვენთვის არ გააჩნია ცოცხალი რეალობა. ეს ერთადერთი შემთხვევაა ზოგადად ყველა რელიგიაში, როცა ძე ღვთისა ამყარებს კავშირს ადამიანისას ღმერთთან.

არ არის მეორე რელიგია, რომელიც გარდა სულიერისა, ასე ღრმად იყოს ისტორიულ და გარეგან სახესთან დაკავშირებული. ქრისტიანულ რელიგიაში

ცნობიერების ყოველ საფეხურს გააჩნია კავშირი და ახსნა, გარეგან და ისტორიულ ასპექტებში.შესამჩნევად ამავე დროს იძლევა სულიერ იმპულს ცხოვრების გაღრმავებისა, უდიდესი შინაგანი წვდომისა, რაც, საბოლოო ჯამში, არის სტიმული უდიდესი და უღრმესი ღვთაებრივი სიბრძნისადმი. სულიერი სიყვარული არის ძირითადი ნერვი ქრისტიანული იმპულსის, რომლის დროსაც გათიშული ადამიანთა „მე", უფრო და უფრო უახლოვდება ურთიერთს სულთა უშინაგანესი და უღრმესი შინაარსის საფუძველზე.

ქრისტე ადამიანში ხედავდა ხატს და ანარეკლს ღვთაებრივისას და ამიტომაც სწყუროდა მისი გამოსყიდვა ცოდვათაგან და უსაზღვროდ უყვარდა ყველა. მისი მზერა კაცთა მოდგმის მიმართ იყო იმდენად მსჭვალავი, რომ ჩვეულებრივი სხეული, მატერიალური გარსი ქრებოდა მის წინაშე. მდიდრის სამოსსა და გლახის ძონძებს მიღმა იგი ჩასცქეროდა ადამიანის სულს და მდარე განათლებისა და ცოდვის ბნელეთში იგი ეძებდა უკვდავ და ლამაზ მარგალიტებს ადამიანის სულისას, ემბრიონული ფაზაში მყოფ ძალას და სრულქმნას ადამიანის სულისას, რომელნიც შესაძლოა უსასრულოდ განვითარდნენ. ყველაზე დაცემულ და მიხრწნილ ადამიანში იგი ხედავდა ანგელოზად გადაქცევის შესაძლებლობას.

გოლგოთას მისტერია ადამიანის განვითარების გზაჯვარედინია, არა მარტო კაცობრიობის ფიზიკურ განვითარებაში, არამედ ის ეკუთვნის მთელ დანარჩენ სამყაროს, სადაც კი ადამიანის ფეხის ხმა გაისმის, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა. ეს მოახდინა ჯვარცმითა და სიკვდილის დათრგუნვით და სატანური ძალების დამხობით ძე ღმერთმა და მას მიუჩინა თავის ფარგლები.

ამ დროიდან ის სფერო, რომელსაც ბერძნები „აჩრდილთა საუფლოს" უწოდებენ, განიმსჭვალა ქრისტიანული სულიერების ელვით, რომელმაც აუწყა ორივე სოფელს მყოფ არსებებს, რომ სინათლე კვლავ ეწვეოდათ მათ და ის ძლიერება, რომელიც გოლგოთას მისტერიით დამკვიდრდა ფიზიკურ სამყაროში, ნათელს მოჰფენდა სულიერ სამყაროსაც.

საუკუნო ცხოვრების რწმენა კაცობრიობამ მოიპოვა არა ფილოსოფიური რაციონალიზმით, არამედ იესო ქრისტეს ცხოვრებისა და სიკვდილის ჭვრეტით, რათა შეიგრძნოს თავისი წარუვალობა ღმერთთან კავშირით.

ღვთის იდეის შექმნა და გამომუშავება ამაღლებული გრძნობის ინტუიციის და რელიგიასთან სინთეზის საქმეა. ეს იდეა, როგორც სიცოცხლის და აზროვნების უმწვერვალესი წერტილი და უზენაესი ხარისხი ყოველგვარი აღზევებისა, ადამიანში ბავშვობიდანვე უნდა აღმობრწყინდეს, როგორც კი სულის რწევას იგრძნობს ადამიანი და გაბედავს თვალი გადაავლოს შემეცნებას, აზროვნებას, შიშსა და იმედს.

ყმაწვილმა დეე გამოიმუშაოს საკუთარი აზრი და არ შეიძლება მასზე – ტვინზე, დიდი ძალადობრივი ოპერაციის ჩატარება, რადგან იგი შეიძლება ამ ძალადობისას საერთოდ გაიჭყლიტოს. მას უნდა ჰქონდეს ხასიათი იმისა, რომ არ ინატროს სიცოცხლე რელიგიის გარეშე და მისი ესთეტიკური გრძნობა უნდა იყოს წმინდა, რათა მისთვის თვალსაჩინო იყოს ის აუტანელი დისჰარმონია, რომელიც უცილოდ გამომდინარეობს რელიგიის გარეშე, ანუ მორალურ წესრიგს მოკლებული სამყაროდან.

წმინდა მამები გვმოძღვრავდნენ, რომ არაფერი და არავინ არ ზრუნავს სულზე და ხორცზე ისე, როგორც ზეგარდმო ძალა და იცოდე, რომ შენი არსი, შენი მე –

სულშია. განიმსჭვალე ქრისტიანული შეგნებით, დააყენე შენი სული ხორცზე მაღლა, მოაშორე მიწიერი მტვერი და ცოდვა, არ გააიგივო სიცოცხლე ხორცთან და ნუ დაათრგუნვინებ მას სულს, არამედ შეუერთდი შენივე სულის ცხოვრებას – აი, ამრიგად აღასრულებ ყოველგვარ სიმართლეს და დანიშნულებისამებრ, უშფოთველად იცხოვრებ ღვთის საუფლოში.

სულიერი მისია, ერთი სახით, სხვა არაფერია, თუ არა დაკარგული მიზნის, ფუნქციის მოძებნა და გეზის აღება სასურველისაკენ, რაც უზარმაზარ მოცულობად შეუწყობს ხელს, რათა ქართველმა მოძებნოს თავისი თავი და ადგილი ამ ქვეყანაში. სანამ ამას შევუდგებოდეთ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმ ფენომენზე, რომელსაც უმაღლესი უნარი, ჭკუა ჰქვია. მისი დანიშნულება იგივეა, რაც პოლიციისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წესრიგში მოყვანა და ადგილის მიჩენა ყოველივე იმისათვის, რაც უკვე მოცემულია ჩვენში. იგი პასიურია მანამდე, სანამ არ ამოძრავდება ჩვენში სხვა განცდები და მისწრაფებები. აზროვნება უფრო მეტია, ვიდრე საკუთრივ ტვინი, როგორც ორგანო. იგი – აზროვნება მწყობრში არ მოდის მანამ, სანამ ვნებებს არ დავთრგუნავთ. ამგვარი ხედვით და გონების წვრთნით გვეძლევა უზენაესი უნარი – სიბრძნე, რომლის მომადლება მხოლოდ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რელიგიას ძალუძს და როდესაც იგი შემოდის აზროვნების სამყაროში, ადამიანისთვის საზეო ცხოვრება იწყება.

სახარებისეული რელიგია არ უნდა მივიჩნიოთ და მივითვალოთ, როგორც კატეხიზმოს ცოდნა და ელემენტარული ღვთისმეტყველება, არამედ უნდა შევიმეცნოთ რწმენა და ეს რომ მოხდეს, ქრისტიანობის საფუძვლად უნდა წარმოვისახოთ ჯერ მანამდე ჩვენში არარსებული ქმედითი აქტი – ღვთის მოქმედება იესოში, რომლის სახეს და ხატებასაც გვაძლევს სახარება.

რელიგია

მატერია + სული (ამით ხორციელდება მსოფლიო ისტორია)

(წერილი 2)

ჭეშმარიტი რელიგიის გაგება, რომლის შინაარსია აბსოლუტური სული, არსებითად გულისხმობს რელიგიის შემეცნებას ანუ სულის მეცნიერებას, რომლის წყარო არის ღმერთი. ის ცოდნა და პრინციპები, რომლის მეშვეობით სუბსტანცია გვევლინება სულად, თვითდასრულებული, უსასრულო ფორმის სახით არის დასაწყისი თვით-განსაზღვრებისა. ასევე აბსოლუტურ რელიგიაშიც სული გამოავლენს არა თავის აბსტ აქტულობას, არამედ თავის თავს.

ათეისტურ აზროვნებაში შექმნილია აზრი, რომ რელიგია ბორკავს თავისუფალ აზროვნებას, მაგრამ, როცა თვალს გადაავლებთ სხვადასხვა ქვეყნის ათეისტურ მოძღვრებებს, აშკარად ჩანს, იმდენად ღარიბია მათი არგუმენტაცია, რომ ფაქტობრივად სხვა ხელჩასაჭიდ მიზეზს ვერსად ნახავთ. სინამდვილეში კი რელიგიის მეოხებით

სრულყოფს ადამიანი თავის თავს და აძლევს მის აზროვნებას კალაპოტს და მიმართულებას.

საერთოდ კი, ყოველი რელიგია არის პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ვცოცხლობ და როგორია ჩემი დამოკიდებულება გარემომცველ სამყაროსთან, ან ამ უკანასკნელის პირველმიზეზთან.

ღმერთი კი იმდენად არის ღმერთი, რამდენადაც იგი შეიმეცნებს თავის თავს. ადამიანის შემეცნება ღვთის შესახებ ვითარდება ღმერთში თავის თავის ადამიანად შემეცნებისათვის. ადამიანის სული თვალთაგან დაფარულია, ასევე დაფარულია ღმერთიც, მაგრამ ღმერთი ცხადდება მის ქმნილებებში. ასევეა ღვთაებრივი ძალა სულისა, რომელიც ცხადდება შემოქმედებაში, მეხსიერებასა და სრულქმნისაკენ მარადიულ მისწრაფებაში.

შუა საუკუნეების ბევრი თეოლოგი, ადამიანში სამ ცნობიერებას გამოჰყოფდა – ადამიანი ცხოველი, რომელიც შეესაბამება მის გარეგან და ხორციელ გრძნობებს; გონიერი ადამიანი, რომელიც მოიცავს კულტურის შრეებს და ბოლოს კი ეს არის უმაღლესი, ღვთისმოსავი ადამიანი. პირველი – გარეგანი, ცხოველური, გრძნობადი ადამიანია; მეორე – შინაგანი, გონიერი კაცი; მესამე კი ეს არის გონი, უზენაესი ნაწილი სულისა. ამ უკანასკნელის არსებობისას სული აღმართავს იალქნებს და მიემართება უხილავი ჭეშმარიტების საუფლოსაკენ. უდიდეს სიქველეს მაშინ ეზიარები, როდესაც გულმხურვალედ ესწრაფვი სულის ასამაღლებელ განწყობილებას, რომლის მიღწევასაც მუდამ შეძლებ საკუთარი უნარით. უსაფუძვლოა ზეცისადმი ვედრება, არ არის საჭირო ტაძრისადმი მუდარა, სანამ შენ თვითონ – ადამიანი არ გამსჭვალავ საკუთარ თავს ღმერთით, რადგან ხარ ტაძარი, ჭურჭული და სავანე ღვთისა, ოღონდ ის უნდა იპოვო და აღმოაცენო შენში.

წარმოიდგინეთ წრე, რომლის შუაგულიდან რადიუსებად გამოდიან სხივები. რაც უფრო შორდებიან ცენტრს ეს რადიუსები, მით უფრო შორდებიან ურთიერთს, ცალკევდებიან და, პირიქით, რაც უფრო უახლოვდებიან ცენტრს, მით უფრო უახლოვდებიან ურთიერთსაც. ეს წრე არის სამყარო, წრის შუაგულშია ღმერთი, ხოლო რადიუსები ადამიანთა ცხოვრების გზებს ასახავენ. ასევეა სიყვარულის თვისება, რამდენადაც მოვწყდებით ჩვენ ღვთის სიყვარულს, იმდენადვე შორდება ყოველი ჩვენგანი თავის მოყვასს და თუ შევიყვარებთ ღმერთს, იმდენადვე მივეახლებით მას სიყვარულით, რამდენადაც დავუკავშირდებით სიყვარულით მოყვასს.

ღმერთი, როგორც აბსოლუტური სრულქმნა, მოიცავს მხოლობასთან ერთად მრავლობითობასაც. სრულყოფილება სხვა არაფერია, თუ არა დადებითი რეალობის სიდიდე, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და რადგან ღმერთი აბსოლუტური სრულ-ყოფილებაა, იგი თავისუფალია იმ საზღვრებისა და ფარგლებისაგან, რაც გააჩნიათ საგნებს. საოცრად ამაღელვებელია და სულიერია ბასილი დიდის ლოცვა ღმერთისადმი, რაც კარგად ასახავს მის სრულქმნასაც: „დაუსაბამო და უხილავო ნათელო თვალშეუდგამო, რომელი მიუჩრდილებელ ნათელ ხარ, შენ უკვდავო მეუფეო, მოხედენ ვედრებასა ჩვენსა ჟამსა ზედა ამას, რომელნი მრავლისა შენისა მოწყალებისა მიმართ მინდობილნი ვართ და გევედრებით“.

რადგან აქცენტი ამჯერად სრულყოფილებაზე დაისვა, უნდა ითქვას, რომ სრულყოფილება მხოლოდ სულთა თვისებაა და მასთან ძალზე ახლოს დგას ბუნება.

სრულყოფილების წრთვნა და მიღწევა განისაზღვრება სამივე ცნობიერების წვდომაზე, პირველის – ცხოველურის და გრძნობადის შეცნობა და დათრგუნვა, მეორე – შინაგანი და გონიერი კაცის, რომელიც ამუშავებს წარმოდგენებს კულტურის შესახებ და დღევანდელი პერიოდის საუკეთესო ადამიანები არიან ამ ხაზის მატარებელი და ისიც მცირედნი, რაც შეეხება მესამეს, – არის ღვთისმოსავი და ღმერთზე, სულზე მსწრაფველი ადამიანი, რაც სრულყოფს ადამიანს, რომელსაც ეუფლება მაქსიმალური სიმშვიდე, ხდება კონცენტრირებული უმაღლეს დონეზე და ამით ახორციელებს მსოფლიო ისტორიას, რაც მდგომარეობს საერთო ჯამში იმაში, რომ ხორცი შეისხას ქართველთა სულიერმა მისიამ.

ფილოსოფოსები და მისტიკოსები იყვნენ პირველნი, რომელნიც მსოფლიო სულის გამოღვიძებისას იყვნენ ზეციური ტაძრის სიღრმეებში, როგორც ამ პირველადი აქტის დამწყებნი და შემდეგ გადამცემი ღვთისმეტყველებისა. ამ უკანასკნელებმა კი ღვთიური აზროვნება ახალ ხარისხში აიყვანეს. თუმცა ჩვეულებრივი მოკვდავნი აბსოლუტურ რანგში ვერასოდეს მიწვდებიან მას და ხდება მხოლოდ მიახლოვება იდეალურთან.

ჩვენი მოქმედება და სულიერება ღვთისადმი წარმოშობს უკვდავ აჩრდილებს ჩვენს გონებაში, რომლითაც იმსჭვალება შემდეგ ჩვენი სული. გონების ამ მიმოქცევის დროს ჩვენი აზროვნება იძენს უნივერსალურ ბუნებას მსოფლიო სულისას და უახლოვდება ღვთაებას. ამგვარი შეგრძნებით ადამიანის სხეულში მდინარებს იდუმალების განცდა, რაც ყველაზე მაღალი ესთეტიკური სიმაღლეა „ჰომოსაპიენსში“.

რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს საგანი, მას აქვს თავისი გარკვეული სული. მცენარის ყვავილობა სულისაკენ სწრაფვაა, თუმცა ჩვენ მატერიალურ ყოფაში მას ყვავილის მისტერიას ვეძახით. მეცნიერული თვალსაზრისით სული განსხვავდება მატერიისაგან, ფილოსოფიური და ღვთიური თვალსაზრისით კი ისინი უახლოვდებიან ან ერთი შინაარსის მატარებლები არიან. სული და მატერია ისე განირჩევიან, როგორც თოვლი და ორთქლი, ორთქლი და წყალი, წყალი და თოვლი. ისინი სხვა არაფერია ერთმანეთის, თუ არა იგივეობრივობა სხვადასხვა ფორმით მატერიალურ განზომილებაში.

როდესაც სულის სიმები ირხევიან გამოყოფს განცდებს ლოცვის, სიმღერის, შემოქმედების და სხვა სახით. რაც უფრო დიდი სიხშირეა, მით მეტია შედეგი, ხოლო როდესაც მატერიის რხევები ხდება ინტენსიური, იგი გადაიქცევა ღრმა სულიერ შედეგად. ამ დროს ადამიანი ბუნებიდან ან რაიმე გარეგანი მოვლენიდან იღებს შთაგონებას და გადაიქცევა მაღალ სულიერებად, მაგალითად ასე უნდა იყოს მიღებული ან დაბადებული სიმღერა „წინ წყარო“ და სხვა მისი მსგავსი. ყველა შემთხვევაში ქმნადობის და მსოფლიო ისტორიის განხორციელებისათვის აუცილებელია შერწყმა ასეთი ფორმულით სული+მატერია.

სულისა და მატერიის ეს ჰარმონია განსაცვიფრებელია გრძნობად და ზეგრძნობად სამყაროში, იდეებში, საგნებში და ბუნების სხვა საუფლოში. უზენაესი ჰარმონიაა ღმერთი, რომელმაც შთაბერა სულებს ძალა, ვითარცა ხატი თვისი. რიცხვები, ფიგურები, თანავარსკვლავედები, მთელი ბუნება, ადამიანებიც კი, ჩაწნულია ერთი მთლიანი ქრისტიანული რელიგიის საიდუმლოებებში.

როგორც მზეა ასტრონომიაში ცენტრი, ისე ღმერთია სულიერებაში. ისინი

თავისუფლებასა და უკვდავების პარალელებად, რომ წარმოვიდგინოთ, შეიძლება შევადაროთ სინათლესა და სითბოს. და თუ მატერიალურ ყოფაში მიწიერი ფიზიკის საფუძველია — მზე, სინათლე და სითბო, სულიერი ფიზიკის საფუძვლებია — ღმერთი, თავისუფლება, სიყვარული და უკვდავება.

ჩვენ დროში შეინიშნება ფართო თანხმობა ღვთისმეტყველებსა და ფიზიკოსებში, რომ შემეცნების ნაკადი სულ უფრო ხშირად მიემართება როგორც მექანიკური, ასევე არამექანიკური რეალობის შეცნობისაკენ. ასე ვთქვათ, სამყაროს შეცნობა ხდება არა მხოლოდ წმინდა ღვთისმეტყველების გზით, არამედ მატერიალური ათვლებითაც და არც სულის სტუმრობაა შემთხვევითი მატერიის საუფლოში. ასევე XIX და XX საუკუნეებში მეცნიერების საგრძნობ ნაწილს მიაჩნდათ, რომ იციან პასუხები სამყაროს მატერიალურ აგებულებაზე, მის მექანიკურ ტანსაცმელზე, მაგრამ ბაიზენბერგის „განუსაზღვრელობის პრინციპმა" მთლიანად შეცვალა ეს დამოკიდებულება,რომელიც მეცნიერმა წარმოადგინა 1927 წელს „განუსაზღვრელობის კანონის" სახით. ამით ჩაეყარა საფუძველი ადამიანის ცოდნის სინთეტიკურ ძეგლს და დასდეს პირველი საბჯენი ქვა ამ ტაძრისა, რომლითაც მოხდა შერიგება ორი დამდურებული დისა — რწმენისა და მეცნიერების.

მსოფლიო რელიგიების მიმართულებები

(ზოგადი მიმოხილვა)

რელიგია რომ არ იყოს, ადამიანები ერთმანეთს
დახოცავენ გემრიელი მსხლისა და ლამაზი ქალისათვის.
ნაპოლეონი

თავიანთი რელიგიიდან გამომდინარე სხვადასხვა ერები არსებობენ განსხვავებულ გარემოში. ბუდისტური სამყარო არის უნივერსუმი, ოკულტური, მიღმური, ირაციონალური. ქრისტიანობისთვის და იუდაიზმისთვის დომინანტური და ტრანსცენდენტურია ცნობიერების საგანი. შესაბამისად, ევროპაში ფსიქოლოგია რაციონალურია, აღმოსავლეთში — ირაციონალური. მაჰმადიანობა უფრო ორიენტირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებაზე. მაჰმადიანური მისტიკის არსია სამყაროს დამანგრეველი ძალების, სულიერთან დაპირისპირებული მატერიის კრულვის შემეცნება. ბუდიზმი ცდილობს დააბალანსოს სამყაროს ჰარმონია. დაოისტები ითვისებენ და იყენებენ მუნ-სამყაროში მიღმურ, შემოუსაზღვრავ ძალებს. ეროვნული ცივილიზაციისთვის დღეს უზენაესი ჭეშმარიტების ფუნქცია ეკისრება მეცნიერებას და ფილოსოფიას და თუ ჩვენ მას დავუმატებთ ქრისტიანულ მართლმადიდებლობას, საქმე სისრულესთან გვექნება და ის საზოგადოებები, რომლებიც უგულებელყოფენ განვითარების ამ ხაზებს, უბრალოდ ისპობიან და მეტი არაფერი.

ინდურ კულტურაში ზომაზე მეტად არის შემორჩენილი ის განცდა, როდესაც სამყაროს იგი ჭვრეტდა ხატოვან აზროვნებაში. ადამიანი გრძნობდა, რომ მისი

ნამდვილი სამშობლო სულიერი სამყაროა. აქვე მინდა დავძინო, რომ უამრავ ჩემს მეგობარს უთქვამს სიკვდილ-სიცოცხლეზე საუბრისას, რომ ჩვენი არსებობა და მიწიერი სამყარო უფრო მგონია მოჩვენებითი და ჩვენ იქიდან ვართ დაშვებული, ოღონდ ჩვენი ფსიქიკა ატარებს მუდმივ სტრესს და შიშს იქ არსებულზე და მოხვედრაზე. ეს გრძნობა და განცდა იმდენად გაძლიერდა, რომ ნათელხილვითი გრძნობა, საუკუნეების მანძილზე საგრძნობლად დაებინდა და გახდა ძლიერ მატერიალიზებული მთლიანად. ასე ვთქვათ, ადამიანის მატერიალიზებამ ღვთაებრივი გააძევა და მხოლოდ მკრთალი ანარეკლი ჩანს მისი, რომელიც გადაფარა ფიზიკურმა განცდამ. ამასთან ერთად გაიზარდა ადამიანის აზროვნებითი შესაძლებლობები და თავისუფლების აქტივობის ხარისხი, მაგრამ ამავე განვითარებამ მოსწყვიტა ღვთაებრივ სამყაროს და ფიზიკური სამყაროს შემეცნებისაკენ წარმართა იგი.

მცხეთა – მეორე იერუსალიმი

რომ არა ოდითგან ბუნებრივად არსებული საკრალური ადგილები, საქართველო არ შეიძლება ყოფილიყო ქრისტიანული სულიერი მისიის მატარებელი.

საქართველოს სულიერი მისიის განხილვისას, აუცილებელია ახსნილი იყოს მცხეთა, როგორც ნიშანსვეტი ქართლოსიანთა ტომებისათვის.

დღეს უტყუარად ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ნათელხილვის ეპოქაში (ძვ. წ. III და ახ. წ. I-V ს.ს.) სამყარო დაყოფილი იყო სხვადასხვა საკრალურ ანუ მისტერიათა აღსრულების ტერიტორიებად, ამიტომ არსებობდა აღთქმული მიწა, მირონცხებული ადგილები, ადგილის დედა და სხვა ამგვარი. ნათელია, რომ ყოველივე ეს მოძებნილი იყო ზოდიაქალურ სისტემაში ვარსკვლავთმრიცხველობით და საბოლოოდ ამის დასტური და შემოწმება იყო იმ ადგილზე აღსრულებული ინიციაცია, მისტერია, ხელდასხმა და სხვა. ის ადგილი, რომელიც უმაღლეს ფაზაში ასრულებდა წარმართულ საკრალურ სცენებს, უდავოა, რომ იქნებოდა ამა თუ იმ მისტერიის აღსრულების კონკრეტული ადგილი. თვითონ ადგილი კი იძენდა სულიერების მაღალ დონეს, შარმს, კარმას და შექმნილი აურა იყო ის ძალა, რომელსაც უნდა აღეზარდა ახალი თაობა, ხალხი, ერი და სხვა. ასევე საგრძნობია, რომ ქართველთა ნიჭიერებაში და წარმატებაში, აქ, საქართველოში შექმნილ აურას უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული. ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ მიუხედავად ჟამთასვლაში მოხდენილი მრავალრიცხოვანი ემიგრაციებისა, სიმბოლურად რუსეთში ან საფრანგეთში მყოფი ქართველი, წარმატებული ხდებოდა მაშინ, როდესაც ის შევიდოდა იმ ქვეყნის სულიერების წიაღში, სადაც ის ცხოვრობდა, ანუ პეტრე ბაგრატიონი ან კომპოზიტორი ბოროდინი იყო აურით რუსი და არა ქართველი. აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ თუ ადამიანის ცნობიერება არ არის გაჟღენთილი ღრმა ზეციური ძალებით, ისე არ შეიძლება შეიქმნას მისგან ღრმად ეროვნული და წარმატებული პროდუქცია, ამიტომ არის, რომ საქართველოდან

წასულ ადამიანს უჭირს ნიჭის და გენიის გარსში ყოფნა, რადგან ყველა ემიგრანტი ეს არის შუა გზაზე გაჩერებული ადამიანი, რომელიც არც მიწისაა და არც ცისა და მხოლოდ ის ემიგრანტი ხდება წარმატებული, თუ ის მრავალწლიანი ან საუკუნოვან პერიოდში ხდება უცხო გარემოში. ასე რომ, სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, უნდა ვთქვათ, თუ ქართველს უნდა ვარსკვლავის მოწყვეტა, იცოდეს ვარსკვლავად გახდომა უფრო იოლია დედის კალთაში, შინ. ეს იმდენად ვრცელი თემაა, რომ ჩვენ ამაზე მეტს აღარ გავაგრძელებთ და გადავალთ მცხეთაზე და მის მნიშვნელობაზე ქართულ სულიერებაში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართველ ქურუმთა და ადეპტთა მიერ მცხეთა ოდითგან იქნებოდა ადამიანთა ხელდასხმის, ინიცირების და მირონცხების ადგილი, თვითონ მის სახელსაც ამ უკანასკნელისგან წამოსულად თვლიან და იგი უნდა ყოფილიყო სულიერი ძალით მირონცხებული და საერთოდ ღვთაებისგან ცხებული ადგილი. ოდესღაც ეს ადგილი კიდევ უფრო გამაგრდა რელიგიური აურის შექმნით და მის სახელს და ავტორიტეტს ეს ფაქტი და ძალა მუდმივად ამკობდა.

ახლა მოვუსმინოთ ისტორიას. შესანიშნავი თეოლოგის და ისტორიკოსის ანტონ ნატროშვილის მიხედვით: ჯერ კიდევ ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელს, მეფე-ფარნაჯომს, მირვანის შვილს, აღუმართავს ზადენის კერპი დაახლოებით 109 წელს, ხოლო მეფე თეიმურაზ I-ის მიხედვით კერპები და ბომონები, აქ ჯერ კიდევ მამასახლისების, ე.ი. ძვ.წ. IV-III საუკუნეებში მდგარა და აქ სრულდებოდა მსხვერპლშეწირვა.

VI საუკუნეში, როდესაც ღვთითკურთხეული სვიმონ მესვეტის ლოცვით მცხეთას მოვიდა, და საერთოდ ქართლოსიანებში, 13 სირიელი მამა, მეფობდა ფარსმანი და მცხეთის კათალიკოსად ბრძანდებოდა ევლავი, რომელმაც სიზმარში მიიღო მოწოდება, რომ მირიანის ტაძარში უნდა აღმართულიყო ცხოველმყოფელი სვეტი და მის ქვეშ, ანუ მისი საფუძველი უნდა ყოფილიყო ქრისტეს კვართი, რომელზეც უნდა დაშენებულიყო ქართლოსიანებში ქრისტიანული სულიერება.

მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარეობს იბერიელთა და ქართლოსიანთა ყოფილი დედაქალაქი არმაზ-ქალაქი, არმაზ-ციხე, რომელიც ქართული მატიანეს მიხედვით ქართლოსის პერიოდში უნდა იყოს აშენებული და არმაზამდე უმთავრეს კერპს ორმუზდი წარმოადგენდა და კონუსისებურ მთაზე იყო აშენებული. არმაზქალაქი ჯერ მურვანყრუმ, ხოლო შემდეგ თურქ-სულჯუკებმა და მონღოლებმა საბოლოოდ მიწასთან გაასწორეს. არმაზის კერპისადმი მიძღვნილი დღესასწაული იმართებოდა ყოველი წლის 6 აგვისტოს და მსხვერპლშეწირვა ხდებოდა არა მარტო ცხოველების, არამედ ადამიანებისაც და ეს უკანასკნელი საბოლოოდ აიკრძალა მეფე რევ მართალის (186-213) მიერ. არმაზის აღმოსავლეთით არსებობდა სამი ეკლესია: წმ. ეკატერინეს, ღვთისმშობლის მიძინების და წმინდა მოწამე მარინასი. მსგავსი ნაგებობები ძალიან ბევრი იყო და ამით მხოლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ ეს იყო სულიერების ის ადგილი, საიდანაც უნდა განფენილიყო ნათელი მთელს კავკასიაში.

განაშენიანების შესახებ ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ, როდესაც 1871 წელს არქეოლოგმა გ. ბაიერნომმა საქართველოში გათხრები ჩაატარა, მან აღმოაჩინა აკლდამები – სემიტური წარწერებით ძვ.წ. X ს-ის დათარიღებით, ხოლო ებრაელები აქ უკვე არიან ძვ. წ. VI საუკუნეში, შესაძლებელია უფრო ადრეც და როდესაც ისინი

მიიღებენ მცხეთის გარეუბანში, კერძოდ ბებრისციხესთან დასახლების უფლებას, დიდი სიხარულით ხვდებიან ამ ფაქტს, რაც ალბათ მიუთითებს იმაზე, რომ სიხარული გამოწვეული უნდა იყოს ადგილმდებარეობის საკრალურობით და მაგიურობით. განსაკუთრებული ძალის მატარებელია აგრეთვე ჯვრის მონასტერი, რომელსაც მატიანე ჯვრის საყდრად მოიხსენიებს. გარკვეულ დროს წმინდა ნინო ცხოვრობდა აქ, რომელმაც ღვთისადმი მიძღვნილი წმინდა ცრემლიანი ვედრებით წყაროც ამოახეთქინა არსთა გამრიგეს. აქვე იყო დადგმული სამკურნალო ხიდან გამოთლილი ოთხი ჯვრიდან ერთ-ერთი, რომელიც დღეს მოთავსებული უნდა იყოს მონასტრის შიგნით, როგორც უმთავრესი სიწმინდე და მოიხსენიება აღდგომის მე-8 დღეს. ჯვრის ახლოს არსებობდა ქრისტეს წამების ანალოგი ადგილი – გოლგოთა. ანტონ ნატროშვილის განმარტებით, გამოქვაბული, სადაც დაჰყო წმინდა ნინომ და სასწაულმოქმედი სამკურნალო წყალი მე-19 საუკუნეშიც არსებობდა.

გუარამ ბაგრატიდი (575-600) კურაპალატი იყო პირველი, ვინც დაიწყო ჯვრის საყდრის მშენებლობა და ის ასწია კაცის ნახევრის სიმაღლეზე. მისმა შვილმა, ქართლის მთავარმა სტეფანოზ I-მა (600-619) და ძმამ დიმიტრიმ გააგრძელეს ეს საქმე. სტეფანოზ I-ის შვილმა ადარნასე I-მა (619-639) გიპოტოსმა განასრულა ჯვრის საყდარი და მისმა მემკვიდრემ მთავარმა სტეფანოზ II-ემ შემოფარგლა მისი საზღვრები და განაწყო განსასვენებელი ძვალშესალაგი. არქიტექტურული უბრალოება და დაბალი თაღები წარმოადგენს მისი ძველთაძველი სტილის პირველ ნიშანს. ანსამბლს გააჩნია ჯვრის ფორმა და ყველა გამონაშვერი მომრგვალო ფორმისაა. მთავარი შესასვლელი სამხრეთიდან მდებარეობს და ტაძარს გააჩნია მთავარი შემკავებელი, დამჭერი თაღი. ეკლესია აშენებულია ყავისფერი ქვით და კედლები დაფარული ყოფილა ფრესკებით. ტაძრის დასავლეთ მხარეს მაცხოვრის გამოსახულებიანი ფერწერა ყოფილა, რომლის წინ დაჩოქილ და მავედრებელ პოზაში ყოფილა სტეფანოზი, ქვეშ წარწერით „მფარველო ჯვარო, შეიწყალე ქართლის პატრიცია სტეფანოზი". ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ქართლის მთავარს ჰქონდა ფერწერა თავისი გამოსახულებით და მთავარანგელოზს შესთხოვდნენ (ადარნასე, დიმიტრი და სხვებიც) მფარველობას.

ტაძრის შუა ადგილი ეკავა ზემოხსენებული ხის ჯვარს და ჯვარი ამაღლებული ფონით იყო წარმოდგენილი. ქვის სამუშაოები მთავარი თაღის ქვეშ გვაგონებს რვაწახნაგოვან ფიგურას, რომელიც სხივოსნდება სასწაულმოქმედი ჯვრიდან. ჯვრის დასავლეთ მხარეს არსებობდა შესასვლელი თაღი, რომლის სიღრმეში გამოსახული იყო მაცხოვარი. მონასტერში იყო წმინდა ქალწულის და იოანე ჯვრისმტვირთველის გამოსახულებებიც ბერძნული წარწერებით, მაგრამ ეს ყველაფერი იყო სულ რაღაც ასზე მეტი წლის წინათ. რა საცოდაობაა, აქამდე მოაღწიოს ყველაფერმა ამან და რაღაც „გუშინწინ", როცა ყველაფერი თითქოსდა შესაძლებელი იყო მოსავლელად, არ განხორციელდა.

ამბობენ, ჯვრის საყდარს, ჯაჭვის საყდარსაც უწოდებდნენ, რომლის მეშვეობით დადიოდნენ მცხეთაში მორწმუნენი, მაგრამ იგი ჯერ გაწყვეტილა და შემდეგ სრულიად გამქრალა. არანაკლებ საწყენია ის, რომ ახალი რელიგია ან სამოქალაქო რეფორმა, როგორც წესი, ახდენს ძველის რამდენადმე სხვაგვარ წარმოდგენას, რაც იმას იწვევს, რომ ვწყდებით ჩვენს ფესვებს, ეს კი ისტორიაა, რომლის გარეშე არ შეიძლება ცხოვრება.

ამგვარად, წარმართული ეპოქის ნაშთებს ჩვენ ვეძებთ მხოლოდ არქეოლოგების დახმარებით, რაც, უდავოდ, არასაკმარისია წონადი ისტორიის შექმნისათვის.

მთლიანობაში კი მცხეთა აშენებულია ქართლოსის შვილის მცხეთოსის მიერ, რომელიც ღვთაების წინასწარგანზრახვით უნდა იყოს მირონცხებისთვის განსაზღვრული. ქართლოსის მამა თარგამოსი, ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, კავკასიაში დასახლებულა 3242 წელს (თარიღი აშკარად სადაოა) ქრისტეს დაბადებამდე, ე. ი. 5000-ზე მეტი წლის წინ. თარგამოსს რვა შვილი ჰყოლია: ქართლოსი, ჰაოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკანი (ლეკოსი), ჰეროსი, კავკასი და ეგრისი. ეგრისს ერგო დასავლეთ საქართველო და კერძოდ იმერეთი მთლიანად, ქართლოს – ქართლი, ლეკანს – ლეკეთი, ჰეროსს – კახეთი და ჰერეთი, კავკასს – კავკასიის ჩრდილო ნაწილი და ა. შ. ყველანი კი ნოეს შვილის იაფეტის შთამომავლებად ითვლებოდნენ. ქართლოსმა კი მისი სიკვდილის შემდეგ შვილებს – მცხეთოსს – მცხეთა, გარდაბანოსს – გარდაბანი, კახუროს – კახეთი, კუხოსს – ქიზიყი და მიმდებარე ტერიტორიები და გაჩიოსს გაჩიანი უბოძა სამემკვიდრეოდ, მცხეთოსი კი ძმათა შორის წინამძღოლად შერაცხა. ქართლოსის აშენებულ ქალაქებად არის მიჩნეული ქალაქი ორბისი – შემდეგ დაერქვა სამშვილდე და მტკვრის ციხე (ხუნანი). მისი სიკვდილის შემდეგ, ქართლოსის ცხედარი დასაფლავებული იქნა არმაზის მთის ქვეშ, რომლის საფლავზეც ფარნავაზმა აღმართა არმაზის კერპი. მცხეთოსის სიცოცხლეში ქართლოსიანები შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დაწყებულა შიდააშლილობა. მცხეთოსის ზეგავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ სახელი მცხეთოსი წარმოადგენდა ერის, ეთნოსის აღმნიშვნელ ტერმინს. მისგანვე წარმოშობილად ვარაუდობენ სახელებს სამცხეს, მეშეხს, მოსოხს, მესხს და სხვა მონათესავე ეტიმოლოგიური შინაარსის შემცველ ტერმინებს. სიტყვის ძირი „მცხ“ ქარაგმულად აღნიშნავდა მირონცხებას და მისტერიულ აღმსარებლობას. ინიციაცია და ხელდასხმა ბუნებრივად იწვევდა, საკუთარი რელიგიის შერწყმას მცხეთოსის რელიგიასთან და კულტთან. აგრეთვე ვანის წარწერები, რომელიც მე-19 საუკუნეში მცდარად მიიჩნიეს სომხური ანბანის წინარე ნიმუშად და ანტონ ნატროშვილის მტკიცებით, ქართული იმ წარწერებში წარმართული პანთეონის პერსონაჟებია მოხსენიებული. პროფესორ ხახანაშვილის მიხედვით კი, ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული ტერმინები კასკი, მუსკი (კაშკი, მუშკი), არის ქართველურ ტომებად ცნობილი მუსკები და თუბალები, რომლებიც მეტალურგიის პირველდამწყებებად არიან ცნობილი, ხოლო თუბალები და ტიბარენები ერთი და იგივე ტომია. ვანის კლდის წარწერებზე პირველი გაშიფრვები გააკეთა გროტენფენდმა, აგრეთვე ლენორმანმა, ლეიარდმა, შულცმა, ჰენრი რაულინსონმა, ვეისმა და სხვებმა. ყველა ერთად აღიარებდა, რომ ვანის კლდის წარწერებში მოხსენიებული ხალხები არიან ისინი, ვინც ჰეროდოტეს ჰყავს მოხსენიებული თავის ისტორიულ თხზულებებში ალაროდიების სახელით. ქართული წარწერები სომხეთის ტერიტორიაზე კი აღმოჩნდა იმის გამო, რომ, ქრისტეს ხანამდე, ბაბილონის და ნინევიელების (ასურეთი) მიერ ქართველური ტომები შევიწროებული და აყრილი იქნა ამ ტერიტორიებიდან და ამ მიწებზე თანდათანობით დასახლდა ფრიგიის სომხური ტომები. დაიკავეს ურარტუ და არარატის მთიანეთი. ამ აზრს მხარს უჭერდა რაულინსონი და სომხეთში ცხოვრობდა ორი ტომი, თავად სომხები და ალაროდიელები ანუ ქართველური ტომები. ჩემი აზრით, ეს ორივე უნდა იყოს ქართველური ტომები. მწერალი აკაკი

ბაქრაძე ვარაუდობდა, რომ სიტყვა „სომეხი“ თავის სუფიქსით „ეხი“ ისეთივე ქართველური ტომია, როგორც მესხი, ჯავახი, რადგან ამ ხალხს სხვა ყველა ხალხი ეძახის არმენებს.

ხახანაშვილის და მორგანის მიხედვით, სომხები წარმოვიდნენ აზიიდან, გაიარეს შავი ზღვის ჩრდილოეთი, გაჩერდნენ დუნაის ბასეინში (თრაკია) და იქიდან განიდევნენ მცირე აზიაში, გაიარეს ბოსფორი და ჰელესპონტო (შავი ზღვა) და თანდათანობით მიუახლოვდნენ მიწას, სადაც ალაროდიელები და ურარტუელები ცხოვრობდნენ, ანუ დღევანდელი სომხეთის ტერიტორია. ეს პროცესი დასრულდა დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნეში.

ქართლოსის წინაპართა სამშობლოდ კი, ძველ მესოპოტამიას (შუამდინარეთი) ვარაუდობენ და როდესაც იქ ცხოვრობდნენ ბაბილონის მეფე იყო ბელ-ტიტანიდი, მასში გულისხმობენ სასტიკ დამპყრობელს ნიმროდს და ის აიძულებს მცხეთოსის მამას ქართლოსს, რომ ააშენონ ერთობლივად ბაბილონის გოდოლი, რათა მოხვდეს ღმერთის რისხვის ქვეშ, მაგრამ, მათ შემდეგ მოუვათ უთანხმოება და ბაბილონის მეფე მათ განდევნის არარატის მთისკენ, ალაროდიელებთან.

ქართლოსი აღსდგება ნიმროდ-ბაალის ძალმომრეობის წინააღმდეგ და, მკვლევარ ვარდანის მიხედვით, მოკვდება თარგამოსის შვილის ჰაოსის მიერ. საბოლოოდ, ძვ. წ. XII საუკუნეში, იმდროინდელი მსოფლიოს ცენტრალურ რეგიონში, მცირე აზიაში ჰეგემონად და წარმმართველ ძალად გვევლინებიან მესხური ტომები. სტრაბონის თქმით, ძვ. წ. 1175 წელს ურარტუელები იპყრობენ კუმუხს. ეს ის კუმუხია, რომელსაც ბერძნები კომაგენის სახელით იხსენიებენ და მდებარეობდა მდინარე ტიგროსის სამხრეთით, მდინარე ევფრატის ორივე ნაპირზე. ალაროდიელები კი განსაკუთრებულ წარმატებას აღწევენ ეგვიპტის ფარაონის რამზეს III-ის დროს და შეიჭრებიან ჯერ კიდევ ძლიერი ასურეთის საზღვრებში, რომელთა მეფე იყო სალმანსარ II. ამ უკანასკნელის სამფლობელო გადაშლილი იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე მთლიანი ვანის ტბის ჩათვლით. ძვ. წ. 782-778, 776-774 წლებში კი ასურეთი (სალმანსარ III) იმორჩილებს ურარტუს. სკიფურ ან სკვითურ ეპოქად ცნობილ ძვ. წ. VII საუკუნეში, ასურეთის მეფე ტიგლათფილესარი სარგებლობს ალაროდიელების დასუსტებით და ურარტუს დაპყრობით დაიკმაყოფილებს ხარბ მადას, მესხები და ტიბარენები (მაკრონები) პონტოს ზღვის ჩრდილოეთით იქნებიან შევიწროებული და ამავე პერიოდში ჩნდება ახალი გეოგრაფიული სახელი კაბადოკია, რომელიც უდავოდ ქართული ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული და ქმნიან ამავე სახელწოდების სახელმწიფოს. ძვ. წ. 189 წელს კი მოსხები ზღვისპირა ქვეყნის კლასიკური წარმომადგენლები არიან. ამ დროისათვის საქართველოში ფრიქსეს უკვე აქვს ჩამოტანილი ოქროს ვერძი, რომელიც მარსის სახელზე იქნა შეწირული კოლხეთში და იაზონსაც აქვს უკვე უკან წაღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პოლიტიკის არენიდან ალექსანდრე დიდის წასვლის შემდეგ ქართველურ ტომებში ორი შტო — თარგამოსის და ნიმროდის შთამომავლები იბრძვიან პირველობისათვის. მტკვრის მარჯვენა მხარეს ქართლოსის და თარგამოსის წარმომადგენლები არიან და დედაქალაქად არმაზი აქვთ გამოცხადებული და მარცხენა მხარეს ნიმროდის შთამომავლები არიან დედაქალაქი მცხეთათი. ისტორიის ამ პასაჟიდან მკვეთრად ჩანს, რომ მცხეთა და მისი შემოგარენი ღრმად

გამოკვეთილი საკრალური ადგილებია, რადგან იმ დროს და საერთოდ ძველი მსოფლიოს დროს, გარდა იმისა, რომ ქალაქს უნდა ჰქონოდა სარწყავი და სასმელი წყალი უხვად, ასევე ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა მიწის, ადგილის დედის საკრალურობა. მანამდე კი ალექსანდრე მაკედონელმა, თუ მისმა სარდალმა მემნონმა, გაანადგურა მამასახლისის ინსტიტუტი და მმართველად დასვა, ექვთიმე თაყაიშვილის წყაროს მიხედვით, პირველი ქართველი მეფის არანის შვილი აზონი და, როგორც ცნობილია, მას მოკლავს დინასტიურ ბრძოლაში ფარნავაზი, რომელიც ძვ. წ. 302-237 წლებში მეფობდა ქართლში და დაჰყო მოსახლეობა ექვს ფენად: 1) ერისთავი-ვოევოდები; 2) დიდებულები; 3) აზნაურნი და თავადნი; 4) ვაჭრები, ხელოსნები; 5) ხალხი, რომლებიც ემსახურება მეფეს, დიდებულებს და თავად-აზნაურებს და 6) თავისუფალი მიწათმოქმედნი. ქვეყანა დაიყო ცხრა სატრაპად ანუ საერისთავოდ. ნიმროდის შთამომავლები დროგამოშვებით მაინც მართავენ ქვეყანას და სიამაყით იხსენებენ, რომ ისინი ბიბლიური ნიმროდის შთამომავლები არიან, რომელსაც მეფეთა მეფის და მსოფლიოს გადამრჩენის წოდება აქვს. მაგრამ, მაინც შეუდარებელია ფარნავაზის წვლილი ქართველური ტომების განვითარების საქმეში და ის გვირგვინდება დამწერლობის განახლებით, რაც მხედრული, საერო ანბანის შემოღებაში გამოიხატება. ისტორია ამბობს, რომ ძვ. წ. I საუკუნეში კავკასია არის სანახაობით სავსე თეატრი, რის გამოც არ დააყოვნებს მსოფლიოს დაპყრობის სურვილით აღგზნებული რომი და თავის ლეგიონებს გამოგზავნის პომპეუსის მეთაურობით. არტაგის კულტურული ქვეყანა იბერია ვერ უძლებს, უძლიერესს სამხედრო ხელოვნებას რომისას და დაზავებაზე მიდის, სამაგიეროდ მას დაუთმობელ წინააღმდეგობას გაუწევს მეზობელი ბოსფორის სამეფო მითრიდატე VI პონტოელი ევპატორიელი ძვ. წ. 130-63 წლებში, რომელსაც ყველაფერი საბოლოოდ სიცოცხლის ფასად დაუჯდება, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება, ზოგჯერ ერთ წამში დასრულებული სიცოცხლე სჯობია უსახელო სიცოცხლეს. მცხეთის პირველობის და პოპულარობის მზე, როგორც სამეფო რეზიდენციის იქ არსებობის, ასევე ერთ წამში ჩაესვენება და ეს მოხდება მაშინ, როდესაც ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ დაჭრის ხოხობს და ის ბუნებრივად აღმოცენებულ თბილ წყალში ჩავარდება და ახ. წ. 469 წელს საქართველოს დედაქალაქად გამოცხადდება ტფილისი ანუ თბილი წყლების ადგილი. უკან დარჩა კავკასიის ყველაზე საკრალური ქალაქის, მეორე იერუსალიმად წოდებული მცხეთის ისტორია, რომელიც მარტიროლოგის სისხლითა და ცრემლით დაწერილი ქვეყნის ამბავია. ადგილები და ფაქტები აღნუსხულია თეოლოგის და ისტორიკოსის ანტონ ნატრიევის წიგნის „სვეტიცხოვლის“ მიხედვით. ფაქტები და განსაკუთრებით თარიღები შესაძლოა სადავოა, მაგრამ მოგაწოდეთ ისე, როგორც აღნიშნული წყარო იძლევა.

მარტვილი. VII ს.

სვეტიცხოველი და ქრისტეს კვართი

საზოგადოება ვერ იარსებებს ქონებრივი უთანასწორობის გარეშე, ხოლო უთანასწორობა რელიგიის გარეშე. ყოველგვარი უთანაბრობა მხოლოდ რელიგიით შეიძლება დაბალანსდეს.

ნაპოლეონი

მე-19 ფსალმუნში დავით წინასწარმეტყველი გვაუწყებდა, რომ მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, მოხდება მისი კვართის განაწილება კენჭისყრით, ხოლო ებრაელების ნაწილი სალმანსარის და ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის დევნილობის შედეგად დასახლდებიან მცხეთის სიახლოვეს ხერკთან (ხერკი-ხარკი გადახდილია, მოცემულია). ვახუშტის ცნობით, ამ ადგილს უწოდებენ საგურამოს, ბებრის ციხესთან, დიდციხესთან, შიო მღვიმის მონასტერთან ახლოს და ივერიელთა სხვა ქალაქებსა და მხარეებში, ისინი წარმოადგენდნენ გედევანიშვილების, ელიოზიშვილების, ბარნაბაშვილების სხვადასხვა სათემო ოჯახებს და ვალდებულად რაცხდნენ თავს, რომ ივერიელ ებრაელთა მცირე ჯგუფს ყოველ წელს პასექის დღესასწაულზე მოენახულებინა სამშობლო – ისრაელიანთა ქვეყანა.

ქრისტეს დაბადების შესახებ ებრაელებმა იმთავითვე იცოდნენ, რადგან ისრაელის პირველი ღვთისმოშიში და ქრისტეს ნათესავი აბიათარი იღებს ცნობას მცხეთაში ამის შესახებ, რომელიც იყო რანგით ისრაელის მთავარი რაბინის ტოლი ხარისხის. ებრაელთა თემის წარმომადგენელს ელიოზს ჰყავდა და – სიდონია და ღრმად მორწმუნე დედა. ელიოზმა თან იახლა მხედარი ლონგინოზ კარსნელი, რომელიც მას მცველად ახლდა გრძელ და სახიფათო გზაზე და მეორე მხრივ, რელიგიის ისტორიკოსები მას, ლონგინოზ მეშუბედ მოიხსენიებენ. მან უგმირა ქრისტეს ფერდში შუბი, რათა მისი ღვთაებრიობა დაემტკიცებია და იგი ქრისტემ 38 წლის ავადმყოფობის შემდეგ განკურნა და უთხრა: „აი, გამოჯანმრთელდი და ნუ ჩაიდენ ცოდვას, რომ არ შეგხვდეს ამაზე მეტი ტანჯვა“ (იოანე V, 14). ელიოზი თავად შეიქმნა ქრისტეს ჯვარცმის თვითმხილველი და შემდეგ ერთი მცხეთელი ებრაელისაგან კენჭისყრით შეიძინა ქრისტეს კვართი, რომელსაც შეეგებება მცხეთასთან ახლოს გუმანით მიხვედრილი და დიდი სიწმინდით აღფრთოვანებული, მისი და – სიდონია. სიდონია კვართს გულში ჩაიკრავს და იქვე სულს განუტევებს. მთელი მცხეთა შეიკრიბება სასწაულმოქმედი აღსასრულის წინაშე. ეს ამბავი მოხდა მეფე ადერკის დროს და, მეორე მხრივ, მეფე ამაზიერის მეფობისას. წმინდა ღვთისმოშიში სიდონია დასაფლავებული იქნა მცხეთაში, სამეფო ბაღში და მის საფლავზე ამოიზარდა გოლიათური და ზებუნებრივი ძალის მქონე კედარი, რომელიც შემდეგ შეიქმნება ცხოველმყოფელი ძალის მქონე სვეტი. სიდონიას და ელიოზის დედამ ღრმა სულიერების წყალობით, ქრისტეს სამსჯვალებით მიჭედება მცხეთაში გაიგო და უნებურად წამოიძახა: „ამიერიდან დარბევა და დევნა გელის ებრაელთა სამეფოვ, რადგან თქვენ ჯვარს აცვით მაცხოვარი და შეიქენით შემოქმედის მტერი და ამის შემდეგ ხდება იერუსალიმს ელიოზის გამგზავრება და კვართის ჩამოტანა. ზოგიერთ მკვლევართა ვარაუდით, აბიათარის და ელიოზის წასვლა პირველად ხდება ქართლის მეფე ადერკის დროს,

ხოლო სიდონიას მიერ კვართის გულ'ში ჩაკვრა და გარდაცვალება მეფე ამაზიერის დროს და ზოგი წყაროს ცნობით აბიათარი იყო ელიოზის და სიდონიას მამა.

კვართთან დაკავშირებით არსებობს ცნობა-ვარაუდი, რომ სპარსეთის შაჰმა აბას I-მა რუსეთის მეფეს მიხეილ თევდორეს ძეს გაუგზავნა ქრისტეს კვართი, სიდონიას საფლავის გაძარცვის შემდეგ და 1625-1626 წლის 25 თებერვალს, შაჰ აბას I-ის ელჩს ურსუნ ბეგს რუსეთის პატრიარქთან ფილარეტ ნიკიტას ძესთან მიაქვს ქართველთა ეს უპირველესი სიწმინდე — პატივისცემის ნიშნად. გარდა ამისა, მწერლისა და თეოლოგის ანტონ ნატრიევის ზემოთ მოყვანილი ცნობა, გრძელდება ამგვარად, კვართის წმინდა მცირე ნაწილი ან ყალბი ანალოგი გზავნილი მოსკოვმა მიიღო 1624 წლის 27 ივნისს და ძვირფასი პერანგი გატანილი იქნა ძეგამის მონასტერში. პერანგის ნაწილი კი უსპენსკის მონასტერშია დასვენებული. ზოგის ვარაუდით, ზამთრის სასახლის ერთ-ერთი ტაძარში, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრე'ში, ალექსანდრეს ლავრაში და სხვა. ამგვარად, ყოველივე ჰოსა და არას შორის დგას და სხვა არსებითი დამაჯერებელი ცნობები არ მოიპოვება.

პირველი ტაძარი მირიან მეფის და ნანა დედოფლის დროს აშენდება, სადაც ცხოველმყოფელი კედრის სვეტი, მხოლოდ წმინდა ნინოს ლოცვის შედეგად იქნება დამშვიდებული და ადგილმიჩენილი. მირიანის შვილის რევის გულმოდგინებით ხის ტაძარი შეიცვლება ქვის მასალით, რევის შვილი ტაძრის რესტავრაციით დაკავდება, ხოლო ვახტანგ გორგასლის დროს იგი მიიღებს ცხოველმყოფელი ძალის მატარებლის გამოსახულებას და ტაძარს შემოავლებენ მირდატის შვილის — არჩილის დროს მორღვეულ გალავანს. შემდგომში მისი შენება-რესტავრაციის ისტორია ასე გაგრძელდა, 1020 წელს პატრიარქმა მელქისედეკმა, ცხოველმყოფელი სვეტი შეამკო ოქროთი და ვერცხლით. 1110 წელს იგება დღევანდელი სახით მეფე გიორგი I-ის მიერ, მე-15 საუკუნეში თემურ-ლენგის მიერ 1387 წელს დანგრეულ და გაძარცვულ ტაძარს აღადგენენ, მე-16 საუკუნეში ირანის შაჰი თამაზი ხელყოფს ტაძრის სიწმინდეებს, 1685 წელს შაჰ-ნავაზის შვილი — მეფე გიორგი შეაკეთებს ტაძარს და ბოლოს ანტონ I კათალიკოსი 1744-1755 წლებში, აღადგენს ტაძრის გარეგნულ სულიერ ძალამოსილებას და, რა თქმა უნდა, ბუნებრივად სათვალავშია მე-17 საუკუნეში ირანის შაჰის აბას I-ის დროს ტაძრის ხელყოფა. სვეტიცხოველ'ში ქრისტეს კვართთან ერთად ინახებოდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი, ღვთისმშობლის კვართი, სარტყელი და უბრუს წმინდანის მანტია.

ზემოთ მოხსენიებული ისტორიის შექმნაში ივერიელებთან ერთად, როგორც თხრობიდან და საერთოდ წყაროების მონაცემებიდან ირკვევა, მონაწილეობდა ებრაული თემი, რომელთა შთამომავლებად ანტონ ნატრიევი თვლის გედევანიშვილების და სხვათა გარდა, ქართლში, ელიასიძეებს, მაღალაძეებს, კარსიძეებს, კახეთში: გიჟიმყრელებს, მიცობლიძეებს, გარაყანიძეებს. აგრეთვე, იმერეთში ბარაბაძეების გვარის წარმომადგენლებს მიიჩნევს რომაელი მხედრის მკვლელის, ბარაბას შთამომავლებად, რომელიც ქრისტეს გვერდით უნდა ეცვათ ჯვარზე. აღსანიშნავია, დღევანდელი ქართლის ის ნაწილი, სადაც ეს გვარები გარაყანიძეები და სხვები სახლობდნენ კახეთის ტერიტორიად ითვლებოდა. აქვე გვინდა ჩავრთოთ იშვიათი ცნობა სხვადასხვა წყაროთა, თუ როდის იქნა საქართველოში ოფიციალურად გამოცხადებული ქრისტიანობა — ვახუშტი, გიორგი მთაწმინდელი, ჩამჩიანი, ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე 317 წელს აღნიშნავენ,

თედო ჟორდანია და მოსე ჯანაშვილი – 324, მარი ბროსე – 328, ექ. თაყაიშვილი და პროფ. ალ. ხახანოვი – 332, ბარონიუსი – 311 ან 327, სასულიერო მოღვაწე და საქართველოს კათალიკოსი კალ. ცინცაძე – 334, წმინდა ნინოს ცხოვრების მცხეთურ ხელნაწერებში – 335, აქედან ითვლიან წმინდა ნინოს მიწიერი ცხოვრების დასასრულს და ათარიღებენ 338 წელს (ა. ხახანოვი, ექ. თაყაიშვილი), სხვები 355 წელს ასახელებენ და 67 წლის ასაკში აღნიშნავენ მიწიერი სიცოცხლის დასრულებას. ანტონ ნატრიევი კი ურყევად მიიჩნევს 326 წლის 20 ნოემბერს ყველაზე ბოლო ვარიანტად, რადგან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის გამომცხადებელმა მირიან მეფემ კონსტანტინოპოლში კონსტანტინე დიდთან ელჩები გააგზავნა, როცა ამ ქვეყანაში ჩაცხრა აჯანყება, რომელიც მაქსენიციმიუსის და ლიციინიუსის (321-325) მიერ იყო მოხდენილი და კონსტანტინე დიდი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის გამოცხადებისათვის აგზავნის ანტიოქიის პატრიარქს ევსტათის, რადგან ის ძალიან მალე კონსტანტინე დიდის მიერ იქნება გადაყენებული თავისი თანამდებობიდან და ის მას იქიდან აგზავნის სამოღვაწეო უფლებების შეკვეცამდე.

ამიტომ სავარაუდოა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაქრისტიანება მოხდა 325-326 წლებში, უფრო სწორად კი ნიკეას პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების (325) შემდეგ, თუმცა ამავე კრებაზე, უკვე მონაწილეობას იღებდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. კონსტანტინე დიდის დედა-დედოფალი ელენე ივერიელებთან მოსალოცდ დეპეშას აგზავნის ამ ბრწყინვალე დღესასწაულთან, გაქრისტიანებასთან დაკავშირებით და დედა – დედოფალი გარდაიცვლება 326 წელს. იოანე ეპისკოპოსი გადმოგვცემს,რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით,მისი რჩევით მოჭრილი იქნა კიპაროსის ხე არაგვის პირას, სადაც ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეებში არსებობდა ძუძუს წყალი, ეს მოხდა 25 მარტს, პარასკევს და პარასკევი ამ წლებში ამ თარიღს მხოლოდ 320 და 326 წელს ემთხვევა. ამ გამოთვლის მიხედვით წმინდა ნინო ქართლში პირველად ჩნდება 318 წლის ბოლოს, რადგან მისი აქ მობრძანებიდან დაახლოებით 7 წლის მერე ხდება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ხოლო წმინდა ნინოს დაბადების თარიღად სავარაუდოდ უნდა ავითვალოთ 286 წელი. წმინდა ნინო კაბადოკიიდან მოდის ქრისტიანთა დაუძინებელი მტერის დიოკლიტიანეს დროს (303-311). გამომდინარე აქედან, წმინდა ნინო ივერიელთა მიწაზე შემოდის დაახლოებით 32 წლის ასაკში.

გავაგრძელოთ მსჯელობა კვლავ სვეტიცხოვლის ირგვლივ. მისი აშენების გეგმა პირველად წმინდა ნინომ წარმოადგინა და თვით მისი ლოცვით დამშვიდებული და დამორჩილებული სვეტი გამოსცემდა არომატული ზეთის სურნელს და თავდაპირველად აიგო მესიის სახელზე, ხოლო ვახტანგ გორგასალი მის მიერ აშენებულ ამ ტაძარს თორმეტ მოციქულს მიუძღვნის და დედაქალაქს თბილისში გადაიტანს, მცხეთა კი საკათედრო ტაძრად დარჩება. 1110 წელს სვეტიცხოვლის გრანდიოზული კომპლექსი ერთდროულად უნდა ყოფილიყო ნოეს კიდობნის, იერუსალიმის სოლომონის ტაძრის, წინასწარმეტყველ იეზიკელის ტაძრის, პეტრე-პავლეს ტაძრის, ხომალდის ფორმის და ამასთანავე პერპენდიკულარული და ოთხკუთხა ჯვრის ფორმის. შენობის აგებასთან დაკავშირებით არის ასეთი ხალხური ლეგენდა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს, რომ: სამთავისის და სვეტიცხოვლის ტაძარი ააგო ოსტატმა და შეგირდმა, მაგრამ როდესაც შეგირდის აშენებულმა სვეტიცხოველმა აჯობა

ოსტატის სამთავისს, შეგირდს მკლავი მოსჭრეს და ტაძრის ერთ კედელზე ამოტვიფრულია კაცის მკლავი, გონიოთი ხელში. ლეგენდა კი შემდეგს ამბობს: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“.

ბუნებრივია, სვეტიცხოვლის ტაძრის არქიტექტურაში დაცულია ძველი ქართული სატაძრო კულტურა, რომელიც შერწყმულია ბიზანტიურ სტილთან. მისი სიგრძეა 27 საჟენი, 2 არშინი და 10 ვერშკოვია და თუ მას დავუმატებთ ფუნდამენტის ზომებს, მივიღებთ 28 საჟენს და 12 ვერშკოვს. ტაძრის სიგანე ფუნდამენტის ზომების ჩათვლით არის 13 საჟენი, 1 არშინი და 12 ვერშკოვი და ფუნდამენტის ზომების გარეშე 12 საჟენი 1 არშინი და 12 ვერშკოვია.

ფასადის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან სახურავის ფრონტონამდე 12 საჟენი, 2 არშინი და 13 ვერშკოვია. სახურავიდან კარნიზამდე – 4 საჟენი, 2 არშინი და 6 ვერშკოვი; თაღის სიმაღლე ჯვრის მსგავს ნახევარსფერომდე – 4 საჟენი, 2 არშინი და 2 ვერშკოვი, სფერული სიმაღლე – 14 ვერშკოვი, ჯვრის ფორმის ზომები 2 არშინი და 6 ვერშკოვია ჯამში, ტაძრის სრული სიმაღლე ჯვრისა და სფეროს ჩათვლით, შეადგენს 23 საჟენს და 9 ვერშკოვს. თაღის სივრცული მოცულობა გარედან დიამეტრის გათვალისწინებით 5 საჟენი, 2 არშინი და 3 ვერშკოვია, ყველაზე დიდი თაღის შიდა სივრცული მოცულობით შეადგენს 11 საჟენს, 2 არშინს და 7 ვერშკოვს.

ტაძარს მთლიანად უკავია 339 კვ. საჟენი და 12 კვ. ვერშკოვი. ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს, კედლებს, ბოძებს, ფუნდამენტს უკავია 99 კვ. საჟენი, 1 კვ. არშინი და 12 კვ. ვერშკოვი. ტაძრის შიდა სივრცული მოცულობა 239 კვ. საჟენია და 8 კვ. არშინი.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1839 წლის №669, გვ. 1375 გადაწყვეტილებით, მცხეთის ტაძრის ხელთნაწერული 1833 წლის აღწერილობით, ტაძარი სიგრძით წარმოადგენს 61 ადლს=30,5 საჟენს; სიმაღლე 60 ადლი=30 საჟენი და სიგანე 22,5 ადლი =11 1/4 საჟენი.

ალავერდის ტაძარი: სიმაღლე 32 საჟენი, სიგრძე 27 საჟენი და სიგანე 15 საჟენი.

სიონის ტაძარი ტფილისში წარმოადგენს სიმაღლით 25 საჟენს, სიგრძით – 12 2/3 და სიგანე – 9 2/3 საჟენს.

სვეტიცხოვლის სახურავის არქიტექტურაში გამოყენებულია გადახურვის ორი ფორმა – ძველი ქართული და უბრალო ქართული, ზედა მოედანი ძველი ქართულით და ქვედა უბრალო ქართულით, ფილებს შორის გადაბმებში ჩაგლესილია სპეციალური წყალგაუმტარი თიხა, რომელიც დროდადრო იღებება, ასევე სპეციალური წყალგაუმტარი საღებავით. ამგვარად პირველი მტერი შენობის, წყლისა და თოვლის დენა ყოფილა, რაც იწვევს საბოლოოდ მის დანგრევას. როგორც აღვნიშნეთ, არქიტექტურა ბიზანტიურ-ქართულია, ოღონდ იქაც შესულია მცირე ცვლილებები, რაც ორი სტილის გადაბმას და გარდამავალ ღერძს ანვითარებს. შენობის ფორმა მკაცრად და აკადემიურად ნაგებ ამ ეპოქის სულს მიეკუთვნება. შენობის ფართო ფორმებში დაცულია სწორედ ის სიმეტრიულობა, რაც ქმნის სიმკაცრის ფონს. ორნამეტთა და არაბესკთა სკულპტურულ გამოსახულებებში ჩანს ოსტატთა გემოვნების სინატიფე. მახვილწვეტიანი დაბოლოებები და თაღების მსუბუქი მდებარეობა ქმნიან ვითარებას, რომ ისინი თითქოს ციდან

არის ჩამოშენებული და დაკიდული. ქვების დიდი რაოდენობა ალგეთური წარმოშობისაა, მცირე ნაწილი ძეგვის და ყველა ქვა ისეა გათლილი, რომ არ იკარგება მთლიანი ჰარმონია.

ტაძრის არქიტექტურის უპირველესი თვისებაა, რომ ის აღძრავდეს მაღალ სულიერებას, სიმშვიდეს, თავისუფლებას და მორჩილებას ზეციური ძალებისადმი. ტაძარი არასოდეს არ უნდა იყოს გარეგნული ფუფუნებითი სიმდიდრის ორნამენტებით გადატვირთული, არამედ ის თავის უბრალოებით და აქედან გამომდინარე სიდიადით უნდა აღძრავდეს არამიწიერ შთაგონებას და მთლიანად დაკავშირებული უნდა იყოს მხოლოდ ღმერთის სიდიადეს. სვეტიცხოვლის მონაცრისფრო-მოყვითალო გათლილი ქვა ზევით აღწერილი ნიშანთვისებათა მატარებელია, რომელიც ყოველთვის მზადაა აღძრას სურვილი ადამიანის იმ ოდენობის თავისუფლების, რომელიც ნეტარებით არის მზად ციურ ძალებთან გასაფრენად. ტაძრის არქიტექტურა ბუნებრივად უნდა იძლეოდეს იმ იმპულსებს, რომ გრძნობდე თავს მის წინაშე მუხლმოყრითა და ქედმოდრეკით, რაც აიძულებს მორწმუნეს და მნახველს, რომ შევიდეს ტაძრის ინტერიერში, რათა გამოხატოს იქ მოწიწება სიწმინდეებისა და ლოცვით აღავლინოს სადიდებელი. პლატონ იოსელიანის თქმით: „ტაძრის ნაგებობა არის ადამიანური გონების ერთ-ერთი უძნელესი ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც ზეციური ძალების დახმარების გარეშე შეუძლებელია და წარმოადგენს შემოქმედის ძალის აშკარა კავშირს მიწიერ ძალებთან. ტაძრის მაღალი ხელოვნების არქიტექტურის სრულყოფილება წარმოადგენს გმირულ გზნებას, როდესაც ის თავის ზემოქმედებით გაიძულებს აგიჩქაროს გულისცემა ლოცვისადმი და შეწყალებისადმი, მაშინ ტაძარში შესული უნებურად იგრძნობს ზებუნებრივი ძალების თანაარსებობას და იწვევს შერიგების და დათმობის თავმდაბალ სურვილს“.

ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ განცდათა მთელი ეს გამა, კი არ უნდა იყოს მაცდუნებელი, არამედ გაიძულებდეს სულის ჭეშმარიტ მღელვარებას, რომელიც სავსეა არა ადამიანური ძალის შეგრძნებით, არამედ ღმერთის სიდიადით, საკუთარი პიროვნების სიმცირით, რომელიც განწირულია მხოლოდ ღმერთის თაყვანისათვის.

ტაძრის თაღები, რომელიც მარადიული სიმბოლოა მკვდრეთით აღდგომის და სიკვდილზე გამარჯვების, წარმოადგენს კონსტანტინე დიდის პერიოდის არქიტექტურულ ზეგავლენას. თაღების ასეთი სიმაღლისადმი მიდრეკილება ქართულ არქიტექტურაში აიხსნება, როგორც ღვთის სიყვარული და კლიმატური პირობებიდან გამომდინარეობა. თაღების კონისისებური ფორმა ტოლია ფუნდამენტის იმავე სიმეტრიასთან და დიამეტრთან. როგორც ყველა ქრისტიანული ტაძარი, სვეტიცხოვლის შიდა სივრცეც იყოფა სამ ნაწილად: კათაკმეველთა ანუ მოსანათლავთა მოსამზადებელი ადგილი, შუა ნაწილი და საკურთხეველი. ტაძრის ეს სამი განყოფილება სიმბოლიზირდება წმინდა სამებასთან. საკურთხეველი ტრადიციულად უნდა მდებარეობდეს აღმოსავლეთის მხარეს. წმინდა წერილებში მოცემულია, როგორც სიმბოლო სიმართლისა და სიკეთის, დასავლეთი ბოროტების მხარეა, ამიტომ ტაძარში შესული, პირით, ჯერ დგებოდა დასავლეთის მხარეს, რაც ნიშნავდა თავის დანებებას და გამოთხოვებას სატანასთან, ბოროტებასთან და გონების სხივის მიმართულებას ახლისკენ, აღმოსავლეთისკენ.

ტაძარში არსებობდა წყალი, რომელიც სამკურნალო დანიშნულებითაც იხმარებოდა და მთლიანობაში სვეტიცხოველი წარმოადგენდა მსხმოიარე სვეტს, რომლის ირგვლივ უნდა შემოკრებილიყო კავკასიის მთელი საქრისტიანო.

თავისუფლება

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას... კეზმენტები და მარი სვეინეები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა, ვიდრე სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. (წერილის ფრაგმენტი, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიამ ვ. ი. ლენინს 1921 წლის 8 მაისს გაუგზავნა საქართველოს ანექსიის და დაპყრობის შემდეგ).

მსოფლიო ისტორია თანდათანობითი განვითარებაა თავისუფლების შეგნების. თვით ისეთი ქვეყნები, რომლებიც ჩვენ უახლეს ისტორიაში მსოფლიოს უპირველეს კოლონიზატორებად გვევლინებიან, დღეს თავგანწირვით ცდილობენ, რათა შექმნან მმართველობის და ურთიერთობის ისეთი მექანიზმები სადაც ადამიანები და ქვეყნები კიდევ უფრო კომფორტულად და თავისუფლად იგრძნობენ თავს სამყაროში. ყველაზე მარტივი პრიმატები და ერთუჯრედიანი მწერებიც კი ფლობენ თავისუფლებისადმი ლტოლვის ინსტინქტს და აქედან გამომდინარე თავისუფლება ის არის, ვისაც რა სურს და როგორ სურს, კანონიერების ფარგლებში, მაგრამ ეს კანონები უნდა იყოს თანამედროვე მსოფლიოს სტანდარტებით შექმნილი და დაწერილი. ყველა პოეტი და ესთეტიკოსი თავისუფლების მქადაგებელია და ალბათ მხოლოდ პოეტს შეეძლო ეთქვა, „თავისუფლება სულს ისე მოწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“ (გ. ტაბიძე). თავისუფლება უნდა მორჩილებდეს ორ მომენტს, კანონს (ღმერთს) და გონებას და მაშინ იბადება აზროვნებაში ინდივიდის სუვერენიტეტი, რომელიც მზად არის შეუტიოს ცხოვრების თვალშეუდგამ სიმაღლეებს. ხელი აიღო თავისუფლებაზე ეს იმას ნიშნავს, რომ ხელს იღებ შენს ადამიანურ ღირსებაზე, შენს უფლებებზე და ამ დროს სული განიცდის გაუსაძლის წვალებას.

საკუთარ თავზე ბატონობა და მისი დამორჩილება სხვაგვარად გამორიცხულია, თუ არ ხარ თავისუფალი და თუ შენ არ ხარ თავისუფალი, მაშინ შენ სხვას მორჩილებ და ეს სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს კანონის გარდა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს უფლის ნებისგან.

ქსენოფანტე აღწერს: ბერძენთა ლაშქარი ძარცვა-გლეჯით მიიწევდა წინ. მიუვალ ადგილებში თავშეფარებული „ტაოხელები“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავენ მტრის კარგად გაწვრთნილ მეომრებს. ერთ-ერთ მთაზე გალავანშემოვლებული ადგილი იყო, რომელიც ომიანობის დროს ადამიანების და საქონლის თავშესაფარი ყოფილა და დღეს საომარ სიმაგრედ გადაქცეული მოულოდნელობას სთავაზობდა ბერძნებს. მიუხედავად იმისა, რომ მთიდან დაგორებული ლოდებით არაერთი ბერძენი მეომარი დაიღუპა, სიმაგრე აღებულ იქნა.

„მაშინ, – ამბობს ქსენოფანტე, – ჩვენ წინ გადაიშალა საშინელი სანახაობა, ქალები ისროდნენ ქვემოთ თავის ბავშვებს და შემდეგ თვითონაც ცვივოდნენ კლდიდან უფსკრულში. მამაკაცებიც ასევე იქცეოდნენ და ლოხაგოსმა, ბერძენთა ჯარის ერთ-ერთმა სარდალმა ენეოს სტიმფალიელმა დაინახა ერთი ლამაზ ტანსაცმელში ჩაცმული

ტაოხი ქალი, რომელიც მორბოდა და ჩანს, აგრეთვე კლდიდან გადავარდნას ლამობდა, მაშინ სტაცა მას ხელი, რათა ხელი შეეშალა მისთვის გადავარდნილიყო, მაგრამ ტაოხმა ქალმა ისიც თან გადაიტანა და ორივენი გადაეშვნენ კლდიდან და დაიღუპნენ. აქ ძალიან ცოტა ხალხი იქნა ტყვედ ხელთგდებული, სამაგიეროდ ბევრი საქონელი, პირუტყვი, სახედრები და ცხვრები ვიგდეთ ხელთ".

ამ ხალხის – ტაოხელების თავგანწირვაში ჩანს, რომ თავისუფლებისათვის სიკვდილი ყველა ფასეულობაზე მაღლა იდგა. ჩინგიზ-ყაენის მებრძოლები მასიურად მიმართავდნენ ამ ხერხს და მათი რწმენით ტყვეობას – სიკვდილი სჯობდა, ვაჟას ბაკურიც ტყვეობის გამო დააჭრის ცოლ-შვილს თავებს და თვითონაც ზედ დააკვდება. აშკარაა, რომ ხალხის თვითშეგნება, გონი და სულიერება გაჯერებულია თავგანწირვით, რომელიც ყველაზე უკიდურესს ჩაიდენს თავისუფლებისათვის. ნუთუ ეს ალტრუიზმი, მხოლოდ გაუაზრებელი ცარიელი მაღალი სულიერების ნიშანია და მეტი არაფერი, ან იქნებ ხომ არ სჯობია, სიკვდილის მაგივრად, ცოცხალი გადარჩნენ და შემდეგ იძიონ შური მოსულ მტერზე. იქნებ მათ სული ჰქონდათ ასე აღზრდილ-გაწვრთნილი და არ შეეძლოთ სხვანაირად. 2400 წლის წინანდელი, ჩვენს წინაპართა მტვერწაყრილი თუ გახუნებული გმირობა, რომელიც დღეს მხოლოდ მოსაყოლად დარჩენილა და მეტი არაფერი, ვინ იცის დღეს როგორ დამცრობილა. მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ დღემდე თავისუფლება უზენაეს ფასეულობებში შედის და მისთვის ათასობით ადამიანი სიცოცხლეს არ დაიშურებს. ან იქნებ ის სჯობდეს, რომ რომელიმე შედარებით ჩამორჩენილმა ტომმა, უმჯობესია განიცადოს თავსმოხვეული დამპყრობლის კოლონიზაცია, ვიდრე ის ველური და ტლანქი კულტურის გარემომცველობა, რომელშიც ის არსებობს. არა! თავისუფლება სულის იდუმალი თვისებაა და დაბალ ორგანიზმებშიც, ცხოველებშიც კოდირებულია, როგორც სასიცოცხლო აუცილებლობა გარემო პირობების არსებობაში. თავისუფლების მთელი სისავსით განცდა უნივერსალური და მარტივი მოვლენაა. უნივერსალური იმდენად, რამდენადაც ის ეხიდება ბევრ თვისებას და მარტივი, რადგან ყოველ ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია მისდამი სწრაფვა. მას სჭირდება ღვთითბოძებული ფორმა სულისა, რომელიც ბრძოლასა და წვაში იბრძმედება და შეიმეცნება. მაგრამ, ერთია თავისუფლებისათვის ვიწრო, სწორხაზოვანი თავგანწირვა, როდესაც ადამიანმა, მხოლოდ ერთი ომი უნდა მოიგოს და მეორეა, როდესაც ჩვენი წინაპარი ამგვარი მისტერიით სულს უკრიალებდა და გამჭვირვალობას ჰმატებდა თანამოძმეს და ჭვრეტდა ამაღლებულ განცდას, რათა გამოეკვება და აღეზარდა მის არსებაში ნათელისა და ბნელის გამყოფი ხაზები. მაგრამ საოცარია გონების თავისუფლებისადმი ლტოლვის ელვისებური აზროვნება, არადა რამდენია დღემდე ცოცხლად შემორჩენილი ამგვარი ფაქტი ქართველთა ცხოვრებაში, როდესაც განწირულებს ისღა დარჩენიათ, რომ ლამაზი სიკვდილით დაესრულებინათ დედამიწაზე არსებობა. საქართველოს მეფემ კონსტანტინე II-მ ჯერ უმწეო ქალები იხსნა სიკვდილისგან და მერე მისი მეომრები უდავოდ განწირულები, ლამაზი სიკვდილის ძებნაში გადაეშვნენ. ასეთი სიკვდილის შვილები იყვნენ – თევდორე მღვდელი, სამასი არაგველი, გიორგი XI და სხვები. ზეპირი გადმოცემით, ჩემამდე მოსულია ფიზიოლოგ პავლოვზე ასეთი გადმოცემა, რომ როდესაც სიკვდილის წუთები მოუახლოვდა, კარებზე კაკუნის ხმა გაისმა და ის კი, სიკვდილის შეგრძნებებს აფიქსირებდა. მან ასეთი პასუხი გასცა – პავლოვი დაკავებულია, პავლოვი კვდება, პავლოვი მუშაობს, ანუ სწავლობს სიკვდილს, მაგრამ მთავარია ჩვენ

არ ავცდეთ ძირითად თემას — თავისუფლებას, და ზოგადად კი, თუკი რაიმე რაიმეს მონაცვლეობის შუქ-ჩრდილთა ფონზე უნდა განვიხილოთ, ეს აუცილებლად სიკვდილი შეიძლება იყოს. სიკვდილთან იწონება თავისუფლება, ყველაზე ძვირად და ვერგასამეტებლად. სიცოცხლეს მაშინ აქვს აზრი, სანამ ადამიანი არ კარგავს თავისუფლებისადმი შეგრძნების და მისადმი სწორი დამოკიდებულების უნარს და ეს არჩევანი უნდა მოხდეს ქრისტესა და ანტიქრისტეს შორის.

თავისუფლება

მერაბ კოსტავა

მერაბ კოსტავას ეს შესანიშნავი ესე საქართველოს თავისუფლებისა და თავგანწირვის გამო პატიმრობაში მყოფს აქვს დაწერილი. ეს თავისუფლების ლტოლვის შესანიშნავი ჰიმნია და თავისუფლების ფასი ყველაზე კარგად მის შეზღუდულობაში შეიგრძნობა.

საკანი. სენაკს მაგონებს იგი, პატიმარი — მეუდაბნოეს არანებაყოფლობითს. ასე განსაჯეთ, აქ იძულებით უნდა დავატყვევო ჩემსავე თავში უსასრულო წყება სურვილებისა, სამშვინველისეული ქაოსის უმისამართო ენერგიით აღძრული, ლტოლვები, რომელთა დასადავება, გათოკვა და ჭკუაზე მოყვანა მეუდაბნოელთა, სოფლისაგან განდგომილთა სანუკვარი მიზანია.

მეც აღარ დავაყოვნე და უმკაცრესი კანონმდებელივით სანქცია დავადე ჩემს აბეზარ სურვილებს, გარდუვალობის ძალით სათითაოდ დავატუსაღე და შევუდექი მათ ულმობელ განკითხვას. გაუჩინარდა გლუვი გველაძუა, ნაირფერად აელვარებული ხატება მათი. შეწყდა მათი მოუსვენარი, საყვედურით აღსავსე სისინი. მოისვენა სხეულმა, და სადღაც, გონებაში აკიაფდა სიმშვიდის მომფენი კანდელი სულისმიერი.

სარკმლის დამხანჯლავი სინათლე შთენილა მარტოოდენ ერთადერთ, ჩაუფერფლავ სურვილად. ცის ნაფლეთები მარადისობის ლურჯი იებივით მოსდგომია ცხაურის ვიწრო სამზერებს. თვალბუდეები ძლივსღა ამაგრებენ ამოსავარდნად გამზადებულ, უსასრულობის მირაჟით დატყვევებულ თვალებს. შორს, კაბადონზე, იალქანივით ლაპლაპებს სივრცეში მონავარდე მტრედი. უცნაურად ენამჭევრობს იგი, როცა ფერწერის სიმსუბუქით ჰაერში ავლებს იდუმალ ხაზებს. ნეტა თუ ფიქრობს ამ ფარულ ნიშნებს აღმოუჩინოს სადმე წამკითხველი. ამაოდ, რადგან ისტორიის სათავეებთან აღმართული გასაოცარი სახე კალხასისა ჩვენმა აკადემიურმა საუკუნემ არათუ ანაქრონიზმად, ბალღობისჟამინდელი „უმეცარი" კაცობრიობის მონაჩმახად მიიჩნია, როგორც ყოველივე მითოლოგიური.

რაოდენი თავისუფლებაა, საოცარო ფრინველო, შენს მოძრაობაში! განუსაზღვრელი ექსტაზი სივრცეთა შთანთქმისა, ერთდროულად ყველგან ყოფნის სურვილი. თავისუფ-

ლება დიახაც ჰგულისხმობს ყოვლისმომცველობას და შენ უთუოდ ჰფლობ მას სივრცეში, რომლის სინაკლებესაც მომეტებულად განვიცდი მე, როგორც პატიმარი. მაგრამ შენს უბოროტო გულს, შენს უმანკოებას ვფიცავ, უსპეტაკესო, კიდევ მეტად რომ დავიწროვდეს საკანი, თუნდაც რომ დაიძრნენ და კუბოს ფიცრებივით შემომეჭდონ მისი კედლები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი. შენ სივრცეებმა გასწავლეს ფრენა, მზემ ოქროს ცვარში ამოავლო საშურველი სითეთრე შენი სხეულისა. მიწამდე დაჰყვინთავ და წამისყოფაზე უმალ დიდებული მნათობის კალთასთან ნებიერად ამოჰყვინთავ ფირუზოვან თვალსაწიერის მეუფევ, მაგრამ ვერ მომატყუებს ეგ შენი თავდავიწყებამდე დაუცხრომელი ნავარდი. არამც და არამც შენ არა ხარ თავისუფლება, არამედ მარტოოდენ სიმბოლო ხარ თავისუფლებისა. ნამდვილი თავისუფლება, აქ, კუბოსდარ ვიწრო საკანში იშვის. აქ, შეგრძნებათათვის, ხანგრძლივ მოწყენილობაში იბადება იგი. უჩინრად ისახება ენერგიულ ფიქრებში, დაიძვრის, როგორც მდინარე მეხსიერებისა და მიეშურება ჩემივე ცხოვრების სათავისაკენ. დავიწყების უფსკრულიდან მოუხმობს გარდასულ სახეებს, აწ განვლილ ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ნაფიქრ-ნაგრძნობსა თუ წარმოსახვაში აელვარებულ სურათ-ხატებს. ხელახლა აცოცხლებს, ახლებურად წარმოგვიჩენს მტერსა და მოყვარეს და შენში ჰბადებს ახალ თვალს, თვალს მსაჯულს, შენივე სიღრმისაკენ მიქცეულს, რომელიც დაწვრილებით გამოიწვლილავს მთელს შენს წარსულს, შენს ნამოქმედარს, ნათქვამს, გულისნადებსა თუ ნააზრევს, ადამიანებისადმი მიმართებას, პირუთვნელობის უქცეველი სასწორით ასწონის ყოველივეს, ნაწევარებს გაამთლიანებს, მიზეზებიდან გამოიყვანს შედეგებს და შედეგებიდან კვლავ მიგაბრუნებს მიზეზებისაკენ, რითაც გასწავლის კითხვას დრო-ჟამისეულ კანონებში არეკლილი ბედის წიგნისას. დრო-ჟამისეულ მდინარებაში გასწავლის ნავარდს ისე, ვით შენ დანავარდობ, საოცარო ფრინველო, უკიდეგანო სივრცეში, სინანულის საკურთხეველთან გახსნილს, სინდისის ცეცხლში გამოგაწრთობს, საკუთარ თავს, საკუთარ ჭეშმარიტ არსს გაპოვნინებს, სიქველის საწყისსა და უჟამობის სამანებს მიგააახლებს და მაშინ, ამ ახალი სიმაღლიდან განახლებული სულითა და შემართებით გააცნობიერებ და გადააფასებ ნებისმიერ არსებას, ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენას და ისეთ უმნიშვნელო გასაჭირსაც, როგორიცაა პატიმრობა, ოთხ კედელს შუა გამომწყვდევა, გიხსნის და რაც მთავარია, დასაბამს აძლევს შენში ახალ, ჭეშმარიტ ცხოვრებას, შინაგანი თავისუფლების შუქით გასხივოსნებულს.

მაშ ასე, სივრცეების პატარა ბინადარო, შენ მხოლოდ მშვენიერი სიმბოლო ხარ იმ თავისუფლების, ამ ბნელ საკანში რომ იწყო აღმოცენება. ოდესღაც მტრედისფერი დაარქვეს რიჟრაჟს, როცა კაცობრიული ცნობიერების გარიჟრაჟზე პატრიარქთა დიდმა წინაპარმა ნოემ წარღვნისეულ სტიქიათა დაცხრომისას გამოგტყორცნა კიდობანიდან, როგორც მაცნე გადარჩენილი კაცობრიობის ახალ საფეხურზე აღზევებისა და შენ მაშინ ცნობიერების გარიჟრაჟის სიმბოლოდ იქეცი. სპეტაკზე უსპეტაკესად გიხილა ზეცით გარდამოსული იორდანეზე წინამორბედმან უფლისამან და ნათლისმცემელმა, როცა ლაჟვარდოვანი სიწმინდის მისაღებად მოიწიფა კაცობრიული გონი, და ამ ახალი განწმედილი ცნობიერების სიმბოლოდაც შენ შეიქმენ. ცნობიერება მიგვაახლებს ჭეშმარიტებას, ხოლო ჭეშმარიტება თავისუფლების ძალუმი ფრთებით გვაუნჯებს. ანგელოსის ორი ფრთა ფრესკაზე მაღალი ცნობიერი ცხოვრების ხატია, ხოლო ქერუბიმის ექვსი ფრთა-ხატი განუსაზღვრელად უფრო მაღალი ცნობიერებისა,

და ვინ უნდა გაგიმართოს მზერა შენ, უფალო, რომელი ყველგან ხარ და ყოველივეს აღავსებ მადლითა შენითა. ეს შენ მოგვივლინე სულიწმიდის ხატად ელვარე ნიამბით მოსილი პატარა მტრედი, სხეულისმიერი საკნის წიაღში რომ აღგვინთებს ცნობიერების კანდელს და გვიზიარებს ანგელოსურ ბუნებას შენსას, უკვდავებისა და თავისუფლების საწინდარს. ჭეშმარიტად არსებობს შენგან დადგენილი ცით დედამიწამდე დამავალი და მიწით ზეცამდე აღმავალი ანგელოსური კიბე ცნობიერების ხარისხებისა, შენგან რჩეული ერის ნუგეშად, რომ იხილა ოდესღაც ბიბლიურმა იაკობმა. შენა ხარ მტრედი, ხატი ცნობიერების ამ სიმაღლეთა ერთიანობისა. ვუმზერ სივრცეში შენს დაუსრულებელ ნავარდს, როგორც ჩემი სულის პროექციას გარე სამყაროში და ვტკბები მშვენიერი სიმბოლოთი, რომლის ჭეშმარიტმა არსმა ჩემშივე იწყო აღმოცენება.

ერი და ეროვნება

ერი ჟამთასვლაში ყალიბდება, სხვადასხვა ეთნოსების და ტომობრივი ჯგუფების მიერ, რომელთა გაერთიანების მთავარი საფუძვლებია: რელიგია, ენა, ტერიტორია, ფოლკლორი, ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები და სხვა მათი ბუნებრივად ინტენსიური ურთიერთობა, რომლისგანაც ვიღებთ შემდგომ ეროვნებას.

ეროვნებებმა ჩამოაყალიბება დაიწყეს გვაროვნულ-ტომობრივი წყობილებების პროცესში, სხვადასხვა ტომისა და შერწყმის კონსოლიდაციის პროცესში. ეროვნებისთვის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია სისხლისმიერი კავშირები და ნათესაობა. თუმცა არა ერთი ეროვნების ადამიანია, ვინც არ მიაკუთვნებს თავის თავს წარმოშობით, გენისა და სისხლის მიხედვით თავის წინაპარ ერს, რადგან ისინი აღიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ სულ სხვა ერის წიაღში და საკუთარი თავის, რომელიმე ერზე მიკუთვნება, ეს პიროვნების უფლებაა.

ტომთა გაერთიანებას ერებად ძირითადად ხელი შეუწყო რელიგიამ და ენამ და ამჟამად ეს ორი ფენომენი მძლავრობს ადამიანთა შემეცნებაში სისხლის ფენომენს.

ყოველი ერის წიაღში აღმოცენდება კულტურის ისეთი ელემენტები, რომლებიც შემდეგ იქცევიან საყოველთაო გამაერთიანებელ ძალად.

ერი და ერები აღმოცენდებიან ქარიზმატული ნიშნით და შემდეგ იკვრებიან ერთ არსად და ერთსხეულად. ჩამოყალიბების პროცესის გზაზე მიეცემა მას ისტორიული კატეგორიულობა. იგი ყოველთვის მყოფადშია მოქცეული და ცვალებადია ისევე, როგორც ბავშვის დაბადება და სიმწიფის მიმდინარე გზა, იმ განსხვავებით, რომ იგი ასაკთან ერთად ბადებს განმაახლებელ კვირტებს, რომელიც ხდება სიცოცხლის შემდგომი იმპულსი და შთაგონება მარადიულობისა. ამგვარად, მისი გარეგნული სახე ცვალებადი და მოკვდავია, შინაგანი — უცვლელი და მარადიული.

აკაურთა. V-VI ს.ს.

ლეგენდა ქართული ეთნოსის წარმოშობაზე

ქართლის ცხოვრების მიხედვით ქართველები და სხვა კავკასიელები ბიბლიური პერსონაჟებიდან მომდინარეობენ. მათი საერთო წინაპარი თარგამოსი იყო ძე თარშისი, ძის წული იაფესი, ძისა ნოესი. მას შემდეგ, რაც ბაბილონის გოდლის აშენება არ მოხერხდა, რადგან მშენებლები სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ, ისინი გაიფანტნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. თარგამოსიც წამოვიდა „ნათესავითურთ მისით" ჩრდილოეთით და დაემკვიდრა არარატისა და მასის, ჩვენი ვარაუდით კავკასიის მთათა შორის. თარგამოსს ჰყოლია 8 გამოჩენილი, „ძლიერი და სახელოვანი" შვილი: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკოს, ბეროს, კავკასოს, ეგროს. ამათ გაუყო თარგამოსმა თავისი სამფლობელო და ყველანი თავ-თავის სამფლობელოში დაასახლა. მათგან მოდიან: ჰაოსიდან – სომხები, ქართლოსიდან – ქართველები, ბარდოსიდან – რანნი, მოვაკანოსიდან – მოვაკანელები, ლეკოსიდან – ლეკები, ჰეროსიდან – ჰერები, კავკასონიდან – კავკასიანნი, ეგროსიდან – მეგრელნი.

ეთნოსი და ტოპონიმიკა

არ არის არც ერთი სიკვდილის შვილი, რომ თავისი უბედურება და ნაკლოვანება არა ჰქონდეს.

სისმენდი

არც ეთნოსი!

ერების შეცნობაში და მათ ძირძველ საცხოვრისებზე აზრის შესაქმნელად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტოპონომიკა, ადგილების გეოგრაფიული სახელწოდებები, რომელიც ერის შეცნობის არგუმენტებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველია და ხშირად უფრო ძველია, ვიდრე ენა. ენა უფრო სწრაფად განიცდის ცვლილებებს, ვიდრე ეთნოსი. აქედან გამომდინარე სავარაუდოა, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველებს შორის, მეგრული ეთნოსი, რადგან მდინარეების და სოფლების სახელების დიდი ნაწილი მეგრული ანუ ლაზური წარმოშობისაა, ამ უკანასკნელის საერთო წინაპარია და არის კოლხური ანუ ზანური. მაგალითად, წყალტუბო ზანური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თბილ წყალს, ოჩამხური გურულად ნიშნავს სათევზაოს და ისიც კოლხურ-ზანური ენის რეზულტატია. ერთ დროს საქართველოს დასავლეთის დიდი ნაწილი ეკავათ სვანურ და ზანურ ტომებს, მაგრამ სამცხე-ჯავახეთიდან შემოჭრილმა მესხურმა ტომებმა მოახდინეს დღევანდელი გურიის ტერიტორიის ექსპანსია, რისგანაც შეიქმნა გურია. გურია რომ მესხური და მეგრული ტომების ნიადაგზე შეიქმნა, ეს ჩანს მათ კუთხურ კილოკავში, ფოლკლორში, ჩვეულებებში და ა.შ. ეს მოხდა დაახლოებით V-VI საუკუნეებში, რასაც მოჰყვა კოლხური ტომების ორად გაყოფა და სამხრეთელებისაგან წარმოიშვა ლაზები, ჩრდილოელებისაგან – მეგრელები. მათ შორის ურთიერთობას, ისინი ავტონომიურად და ქვაბურ ფორმაში ახორციელებდნენ,

სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა მკაცრად დაცული ჩვევები და რელიგია. ამის შემდეგ ქართლის ტომებმა დაიკავეს დღევანდელი იმერეთის მიწა-წყალი და იმავე ვითარებით, როგორც გურიაში, აქაც შეიქმნა იმერული ეთნოსი. ასევე მოხდა საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში. ძირითადად მოძრაობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ხდებოდა. მაგალითად, ცნობილი ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას მიხედვით, ლიკლიკაძეები, წერეთლები, კლდიაშვილები, გიორგაძეები და სხვები საინგილოდან (ჰერეთიდან) გადმოსულებად ითვლებიან, რადგან იქ მათ ვერ გაუძლეს თემურ-ლენგის ურდოებს. რაჭული ეთნოსიც სვანური და ქართლური ტომების სინთეზია და ამის საფუძველს იძლევა ამ ორივე მხარის ზეგავლენა ფოლკლორულ უბნებში. იმერეთში კი ვისაც კი უძებნია თავისი შორეული ფესვები – აუცილებლად მესხეთამდე მიდიან, ან ასიოდე წლის წინ ჩამოსახლებული რაჭველები არიან, რომლებიც თავს იმერლებად თვლიან. იმერეთის დიდი ნაწილი თავის ფესვებს მესხეთში ხედავს და თვით გალაკტიონისთვის რომ გეკითხათ, იტყოდა: ჩვენი წინაპრები მესხეთიდან ყოფილან მოსული ამ მიწა-წყალზეო.

შაჰ-აბასის აგრესიას უკვალოდ არ ჩაუვლია მე-17 საუკუნეში და იმდენად დაცარიელდა კახეთი, რომ ადგილობრივი ემისრები ირანის ლომს ცნობას აწვდიან, – „ქართველები იმდენად გაძლიერდნენ, რომ უკვე 10 000 ხმალს ითვლიანო!“ ძნელი წარმოსადგენია უფრო სავალალო მდგომარეობა, ვიდრე ეს ცნობა, რადგან ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს ქართველთა ყოფნა-არყოფნაზე ამ რეგიონში. ფაქტია, რომ ეს მხარეც ძირითადად შეივსო მთიანეთის და ქართლის მოსახლეობით და ამას დაემატა ილია ჭავჭავაძის აქტიურობა იმერლების იქ ჩამოსასახლებლად და დღეს ეს ეთნოსიც საკმაოდ მძლავრობს ამ კუთხეში. ძველი კახელები კი, ფერეიდანსა და საინგილოშია უფრო საძებნი. ენის ფონეტიკური პროცესებიც ძალიან ჰგავს ფერეიდნელ და ინგილო კახელების ფორმებს, დღევანდელი კახური კი უფრო ქართლურის ზეგავლენაა.

თურქები კავკასიაში X ს-ში ჩნდებიან პირველად და ის მიწა-წყალი, რომელიც დღეს თურქეთად აქციეს XVI-XVII საუკუნეებში დაიწყო და სძლია ისეთ იმპერიას (ოსმალეთი), რომელსაც მანამდე ევროპის 14 სახელმწიფოს ტერიტორია ჰქონდა ერთდროულად დაპყრობილი, მაგრამ იქ მცხოვრებ ქართულ ეთნოსს ვერ უცვალა სახე. უამრავი ტოპონიმია შემორჩენილი დღევანდელ თურქეთში (არტაანი, ართვინი, ხოფა, ქორჩხა და სხვები). ტბა ჩირდილი, ყოფილი ქართული სიტყვაა და ჩრდილიდან იღებს სათავეს, მაგრამ თურქებს უჭირთ ამ სიტყვის საარტიკულაციო აპარატით დამუშავება, ისევე როგორც ცხუმი (დღევანდელი სოხუმი). ასევე უცვალეს სახელი საქართველოს დედა-მდინარეს მტკვარს და მას ბერძნებმა და თურქებმა კურა, კურნუს, უწოდეს, რაც შემდეგ რუსებმაც გადაიღეს და გამოიყენეს. ასევე მეცნიერები თვლიან, რომ ისტორიული ჰერეთის (საინგილო) ქალაქ ზაქათალას სახელწოდება საქართველოდან უნდა იყოს მიღებული, რადგან ამ ფონეტიკურ ფუნქციაში გაცილებით იოლია საქართველოს ნაცვლად ზაქათალას წარმოთქმა, რასაც ენათმეცნიერებაში ჰქვია ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია, ანუ პირველმა ხმოვანმა დაიმსგავსა მომდევნო ხმოვნები. ტოპონიმიკის ისტორიიდან ამ პროცესების აღწერა დაუსრულებლივ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ესეც სავსებით საკმარისია.

სისხლის მონაწილეობა გენიოსების გამოვლინებაში

მაღალი შთაგონება, ბიოლოგიურად, სისხლის აზარტული მოძრაობაა ტვინის პატარა მთაგრეხილებში.

ძველი ბერძნები და განსაკუთრებით ჰიპოკრატე, ადამიანის ნიჭიერებაში მისი სხეულის დინამიკის იმ ნაწილს აქცევდნენ ყურადღებას, თუ როგორ მოძრაობდა სისხლი შთაგონების მომენტში და დღეს აშკარად ამბობენ ფიზიოლოგები, რომ ტვინის ის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს ადამიანის აზროვნების რაღაც უბანს, დავუშვათ პოეზიას ან მუსიკას, განსაკუთრებით ჯერდება სისხლით და შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი იმდენად სასიამოვნოდ აღსაქმელია, რომ ტვინი ნებივრობს, რაც ადამიანში ბადებს ესთეტიკის ზეაღმატებულ განცდებს. სისხლი, ბუნებრივია, სისხლძარღვთა საშუალებით ამარაგებს ტვინს განსაკუთრებული ვიტამინებით გენიალურ წუთებში. ენდოკრინული ჯირკვლები, მათ მიერ გამოყოფილი ბიოქიმიურად აქტიური ნივთიერებებით საკმაოდ შორს მდებარე ორგანოებზე სისხლის საშუალებით მოქმედებს. არსებობს სისხლის ოთხი ჯგუფი, რომელთა შეთავსების წესი კარგადაა ცნობილი და გენეტიკურად არის განსაზღვრული. სისხლის ჯგუფებზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საკვები და ის გეოგრაფიული გარემო, სადაც ადამიანს უხდება მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი შეიქმნა დასმენის მსხვერპლი, როდესაც მან თქვა ერთ კერძო საუბარში, რომ მაღალი ცივილიზაციები იქმნება I ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანების მხრიდან. აქ საუბარია პოტენციურ შესაძლებლობაზე და არა იმაზე, რომ ეს ფაქტორი, სისხლი გადამწყვეტია და ერთადერთი. სისხლის ჯგუფების მიხედვით არსებობს ფსიქოლოგიური პორტრეტებიც და ესეც, რა თქმა უნდა, რამდენადმე პირობითია და ანგარიშგასაწევია, მაგრამ წარმოდგენილი დასკვნები არ ვრცელდება ამა თუ იმ სისხლის ჯგუფის 100% ან 50%-ზე.

I ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებს ახასიათებთ ლიდერობა, ენერგიულობა და ამბიციურობა. II ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებს უყვართ ურთიერთობები, არიან საგანგებოდ მგრძნობიარენი და უჭირთ მოდუნება და განტვირთვა. III ჯგუფის სისხლის მქონენი არიან განსაკუთრებით ინდივიდუალისტები და დიდ ანგარიშს უწევენ საკუთარ ნება-სურვილს. IV ჯგუფის სისხლის მქონენი გაწონასწორებული და მშვიდი ბუნებისანი არიან, სამაგიეროდ უჭირთ გადაწყვეტილების მიღება და ახასიათებთ ბევრი ყოყმანი.

რეზუს-ფაქტორს ერითროციტებში, ანუ სისხლის ბურთულებში მოთავსებული განსაკუთრებული ცილა განსაზღვრავს და თუ მისი შესაბამისი ცილა არსებობს, სისხლი რეზუს-დადებითია. რეზუს-ფაქტორთან დაკავშირებული პრობლემები ფეხ-მძიმობის დროს იჩენს თავს, მაშინ, როდესაც დედას რეზუს-უარყოფითი სისხლი აქვს, მამასა და ნაყოფს რეზუს-დადებითი. ორსულობისას დედისა და ნაყოფის სისხლის ერთმანეთში აღრევა არ ხდება. მათ შორის მხოლოდ ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების, ასევე ცალკეული უჯრედების გაცვლა მიმდინარეობს, პლაცენტის საშუალებით. დედის სისხლში ნაყოფის ერითროციტების მოხვედრის შემდეგ ქალის ორგანიზმი მის საწინააღმდეგო ანტისხეულებს გამოიმუშავებს. ეს ანტისხეულები ორგანიზმის საბრძოლო

იარაღია ნაყოფის წინააღმდეგ. ნაყოფის ზრდასთან ერთად ხდება დედის სისხლში ნაყოფის ერითროციტების მზარდი დაგროვება. პლაცენტის საშუალებით ეს ანტისხეულები ნაყოფის სისხლში ხვდება, რომლებიც რეზუს შემცველი ერითროციტების განადგურებისაკენ არის მიმართული და ნაყოფის ერითროციტები იღუპებიან. ამის საფუძველზე ნაყოფის სისხლში თავს იყრის ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმზე, განსაკუთრებით ტვინზე, უარყოფითად მოქმედებს. რეზუს-ფაქტორი გენეტიკურად განისაზღვრება და თუ დედ-მამის სისხლი, ორივე რეზუს-უარყოფითია, ბავშვის სისხლი აუცილებლად რეზუს-უარყოფითი იქნება. თუ მშობლებს რეზუს-დადებითი სისხლი აქვთ, ნაყოფს შეიძლება ჰქონდეთ, როგორც, რეზუს-დადებითი, ასევე რეზუს-უარყოფითი სისხლი.

მიღებულია ასეთი არაოფიციალური დასკვნა-შეფასება, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში უმეტესად III ჯგუფის სისხლი აქვთ, ევროპელებს II ჯგუფის სისხლი, ჩინელებში რეზუს-უარყოფითი სისხლი თითქმის არ არსებობს, საქართველოში ყველაზე ხშირი I ჯგუფის სისხლია და თუ დააკვირდებით, ზევით აღწერილ ბუნებას, აშკარად მისაღებია ის ფორმულა, რომ ქართველები არიან უკიდურესად ინდივიდუალისტები და ლიდერის პოზიციების მოსაპოვებლად, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „არა დაინდობენ, არცა მეფესა და მიწასსა თვისა“.

რასა და გენეტიკა

მარტო ის კი არ კმარა, რომ სიბრძნეს ფლობდე, უნდა იცოდე მისი მოხმარება და კიდევ სოკრატეს სიბრძნე – იცოდე ის, რომ არაფერი იცი.

გენეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეთნოსის გენეტიკური ერთობის ჩამოყალიბებაში უპირველეს როლს ენა თამაშობს. ეს ნიშნავს იმას, რომ ორი პოპულაცია, რომელიც ერთ ენაზე მეტყველებს, მაგრამ გეოგრაფიულად ერთმანეთისგან დაცილებულია, გენეტიკურად უფრო მსგავსია, ვიდრე ტერიტორიულად ახლოს მყოფი ორი პოპულაცია, რომელიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს. სისხლისა და ცილების შესწავლის საფუძველზე მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კავკასიის ქედს ბარიერის როლი არ შეუსრულებია, რადგან 1998 წლიდან ხდება კავკასიელთა გენეტიკური მარკერების დაკვირვება მოლეკულურ დონეზე და გენების გაცვლის ინტენსიური პროცესია სახეზე.

ანატომიურად განვითარებადი ადამიანები დაახლოებით 200 ათასი წლის წინ წარმოიშვნენ და ეს თარიღი ე. წ. მიტოქონდრიული დნმ-ის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, თუმცა ადამიანი მანამდე ვითარდებოდა, მაგრამ ბოლო 200 ათასი წლის მანძილზე განვითარების ტემპი ძალიან დაჩქარდა. აფრიკასა და დმანისში აღმოჩენილი ავსტრალოპითეკი და ჰომინიდები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ, როდესაც ადამიანი საბოლოოდ კარგად გაიმართა წელში (ე. წ. Homo Erectus) ჯერ კიდევ

ძლიერად განსხვავდებოდნენ თანამედროვე ადამიანისგან ქცევის ნიშან-თვისებებით, ტვინის ზომით, თავის ქალის მორფოლოგიით და ტანისა და კიდურების ზომებით და პროპორციით. ამის შემდეგ იყო ე. წ. „ხელმარჯვე ადამიანი", რომელიც ძალზე მოხერხებულად ამზადებდა პრიმიტიულ იარაღებს, შემდეგ ნეანდერტალელი, რომელიც ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობდა და ბოლოს თანამედროვე ადამიანი, რომლის სახის ნაკვეთები 150-200 ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია მეცნიერთა ვარაუდი.

რასოლოგიის სპეციალისტები დიდი ხნის განმავლობაში კამათობდნენ, არიან თუ არა ერთი რასის წარმომადგენლები ბიოლოგიურად ერთგვაროვანნი. კვლევის შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რასები ერთმანეთისაგან გენეტიკურად არ განსხვავდებიან.

რასობრივი ნიშან-თვისებები – კანის ფერი, თვალის ჭრილი და სხვა ამგვარი, მხოლოდ გარემოსთან შეგუების შედეგია. გენეტიკური ინფორმაციის ბანკში კი ფიქრობენ რამდენიმე ათას ნიშან-თვისებას, საიდანაც ვარაუდობენ, რომ ყველა პოპულაციის სათავეში დაახლოებით 10 000 ადამიანი იდგა. თუმცა ასევე აღიარებენ ამ ციფრების პირობითობას.

კავკასიის მოსახლეობა გენეტიკურად უფრო ახლოს დგას წინა აზიის ჯგუფებთან (ბერძნები, ირანელები, თურქები, არაბები და სხვები), ვიდრე ევროპის მოსახლეობასთან, რაც, რა თქმა უნდა, გავლილი ისტორიიდანაც ფიქსირდება, ვინაიდან დამპყრობლების დიდი უმრავლესობა მამაკაცები იყვნენ Y ქრომოსომით, კავკასიის მოსახლეობა გაცილებით ახლო დგას წინა აზიელებთან, ვიდრე „მიტო დნმ"-ით, რომელიც შთამომავლობაზე დედისგან გადადის. ადამიანების და მაიმუნების (შიმპანზე, გორილა, ორანგუტანი) გენეტიკური შედარებისას, გენი Foxp 2, რომელიც პასუხისმგებელია არტიკულაციაზე – ანუ მეტყველებაზე, დაადგინეს, რომ ადამიანს მაიმუნისაგან განსხვავებით ახასიათებს სპეციფიკური მუტაციები ამ გენში, რომლებიც საბოლო ჯამში მეტყველების უნარს აბალანსებენ. ასევე ლაბორატორიული კვლევები მიდის თმის საფარის გენებთან (ე. წ. hairless yene) დაკავშირებით. ამ გენში მიმდინარე მუტაციები იწვევს თმის საფარვლის სრულ დაკარგვას თაგვში, ზოგიერთ მაიმუნში და ადამიანში, ზოგადად გენეტიკასთან დაკავშირებით კი ასე შეიძლება ვთქვათ, რაც არ უნდა წინ იყოს ყველა მსგავსი მეცნიერება დღეს, მასში ისევე ხილულია შიდა შრეები, როგორც აისბერგის ხილული ზედა ნაწილი.



აკაურთა. V-VI ს.ს.

ქრისტე და ქართველთა გენეტიკური წარმოშობა

„ქართველთა ბედზე, ჯერ კიდევ სამყაროს დასაბამიდან ეწერა ნიჭისადმი ლტოლვა და თავდადება. იგი ყველგან უჩინმაჩინივით და მარქაფი ჯარივით იდგა ქართველთა მხარეს. იგი ჩნდებოდა მოულოდნელად ყველაზე გაუსაძლისი გაჭირვების ჟამს, დიდი გასაჭირის დროს.“

კ.გამსახურდია

„ქართველი ნიჭში გრძნობდა უდიდეს ინდივიდუალობას და ცალობას, იგი ამ დროს ცალი იყო, ობოლი და ქორწინდებოდა შთაგონებაზე.“

გრ.რიბაქიძე

ვერ შევძლებ პროცენტულ პარამეტრში ავსახო ჩემი ჰიპოთეზა,რომ რამდენად და როგორი ხარისხით შეეხო და რა მასის და რა მოცულობის იყო ის აზრი, რაზეც იქნება აქ საუბარი, მაგრამ ის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები ერწყმოდნენ ერთმანეთს ერთი ცნობიერების, განათლების და სულიერი ხარისხით, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ერთი და იგივე გენეტიკური წარმოშობის თანატომელთან. აგრეთვე, ხდებოდა სხვადასხვა, შორს მცხოვრები გენეტიკების მქონე ადამიანთა შერწყმა, რათა გენეტიკური კოდი და სულიერების სიმაღლე გაეზარდათ. ამიტომაც წარმოებდა ძვ. წ. I და ახ. წ. I ათასწლეულში დიდი გადასახლებები. ერთი სიტყვით, ეს ხდებოდა იმის მიხედვით თუ რა ჭირდებოდა ერს, ტომს, ადამიანს, მხარეს და მის ტვინს.

როდესაც შენი ერის შესახებ გიწევს რაღაც საუბარი, ან განმადიდებელის დაწერა-შექმნა, უხერხულობა გიპყრობს, რათა გაბერილმა წარმოდგენამ, ღიმილის პორტრეტი არ გამოძერწოს ადამიანში, მაგრამ ეს თემა იმდენად მაცდუნებლად ირწევა ადამიანის გონებაში, რომ ის, რაც სულიერ მისიას ეკუთვნის და როდესაც შენს ხალხზე რაიმეს წერ, კეთილი უნდა ინებო და წარმოადგინო შენი ნააზრევი ამ საკითხზე მშვიდად და აუჩქარებლად.

ჭეშმარიტად დიდი გერმანელი მეცნიერი ჰუმბოლდტი ამტკიცებდა, რომ ევროპელი ხალხები ქართველებისგან დაიწყო. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. რასოლოგი რეპლი ამტკიცებდა, რომ ქართველები უნიკალური რასაა. კანტის მიხედვით კი, სპარსელები და თურქები ბევრს ეცადნენ, რომ თავიანთი ჯიში გაეკეთილშობილებინათ ქართველებით, რასაც სპარსელებმა მიაღწიეს კიდევაც. ჰეგელი საერთოდ ამბობს, რომ „ისტორია ხორციელდება კავკასიურ რასაში“. ეს სია შეიძლება კიდევ გაგრძელდეს, მაგრამ ეს წერილის მიზანი არ არის. ჩვენ უბრალოდ ზოგადად ვამაგრებთ სათქმელს. თუმცა, კიდევ არიან სხვა პოლონელი და ამერიკელი მკვლევარები, რომლებიც სამყაროს სულიერ და ხორციელ საწყისს კავკასიურ რასაში ხედავენ.

ინგლისელი თეოლოგი ჩემბერლენი ამტკიცებს – იესო ქრისტე სისხლით, ხორცით, ტომობრივი წარმოშობით არ იყო ებრაელი. იგი მხოლოდ სარწმუნოებრივად

იყო ებრაელი (იუდეველი) და გალილეველი. გალილეველნი, კი ახლო აღმოსავლეთიდან გადმოსახლებული ტომი გახლდათ, რომლებიც მეომარი და მომლხენი ხალხია. აქ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ ვისზეა საუბარი, რადგან ყველა გზა ქართველური ტომებისკენ მიემართება. ჯერ აღვწეროთ მისი გარეგნობა, იმ საბუთის მიხედვით, რომელსაც იერუსალიმის თემის თავმჯდომარე რომის სენატს უგზავნის: „ჩვენს დროში გამოჩნდა უდიდესი სათნოების ადამიანი, სახელად ქრისტე იესო... ის ტანმაღალია, მშვენიერი, აქვს კეთილშობილური სახე, ისე რომ, ვინც მას უყურებს, ერთდროულად სიყვარული და შიში იპყრობს, აქვს ღვინისფერი, თაფლისფერი დატალღული თმა, დახუჭუჭებულიც კი, რომლებიც მხრებზე დაცემისას ბზინავს, ნაზარეველთა (ნაზარეევი ქალაქია და გალია მხარე – ოლქი) ჩვეისამებრ შუაზე აქვს გაყოფილი, შუბლი სუფთა და სწორი აქვს, სახეზე კი არცერთი ლაქა და ნაოჭი არ ატყვია, არამედ ვარდისფერი დაჰკრავს, ცხვირპირი უნაკლო სილამაზის აქვს; წვერი ხშირი და ფართე, შედარებით მოკლე, ისიც შუაზე ორად გაყოფილი, თვალები ცისფერი და ძალიან ნათელი. ის შიშის მომგვრელია, როცა კიცხავს და სიყვარულით აღსავსე, როდესაც შეაგონებს, მაგრამ ღირსებას ყოველთვის ინარჩუნებს. ის არასდროს უნახავთ მომცინარე, არამედ მტირალი. ტანი და ხელ-ფეხი იერით მშვენიერი აქვს. საუბრის დროს სეროზულია, თავმდაბალი და ზომიერი, ის უმშვენიერესია კაცთა მოდგმაში“. არ იფიქროთ, რომ რაიმეს ვამტკიცებდეთ კატეგორიულად და იმპერატივებით. ჩვენ უბრალოდ ქართველთა რასიულობა და გენეტიკური სტრუქტურა გვაინტერესებს და ეს არგუმენტები, თუ მწირი მასალა ობიექტურად არსებობს და ყურადღება მივაქციეთ მას.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველ და ებრაელ ხალთა ურთიერთობას, საკრალური იდუმალება ფარავს. უკვე გამოითქვა მოსაზრებები, რომ ურია და ებრაელი, სხვადასხვა ხარისხი და სიმაღლეა. ქართველებს ებრაელები ენათესავებიან და ქართული ანბანის კოდის გამშიფრავები, მათ მაღალ ხარისხსა და სულიერ ნათესაობაზე მიუთითებენ.

იესო ჩვეულებრივი სახელი იყო იუდეაში და მოდის ძველებრაული იეშუადან, რაც ნიშნავს ღვთაებრივს. ქრისტე ნიშნავს მხსნელს, მესიას. ეს სიტყვაც არსებობდა ძველებრაულში, მაგრამ არავის საკუთარი სახელი არ ყოფილა, იგი მხოლოდ მაცხოვარს ეწოდა.

სამხრეთ პალესტინაში შედის იუდეა, ჩრდილოეთ პალესტინაში კი გალილეას ოლქი და ორივე მხარე რომის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. ორივე ოლქში სახელმწიფო რელიგიით იუდეველები არიან. ცნობილია, რომ ებრაელი ხალხი ღვთის რჩეული ერია და მათ დაჰბადეს თავდაპირველად ღმერთი, ხოლო ამჟამად ლაპარაკია მესიაზე – მხსნელზე, იგივე იესო ქრისტეზე. უნდა მომხდარიყო სალმრთო თანასწორობის პრინციპის დაცვა და ამჯერად ქრისტე უნდა დაბადებულიყო სხვა ხალხში და დავუშვათ, რომ ეს ხალხი გალილეველები, ქართველთა წინარე ხალხია. იგი უნდა გაცხადებულიყო ისეთივე მრავალტანჯულ ხალხში, როგორიც არიან ებრაელები. ნუთუ, ნებისმიერი ისტორიკოსისათვის თვალში საცემი არ არის ის, რომ ებრაელი და ქართველი ხალხის ისტორია ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

პირველი შემთხვევაა, როდესაც ღმერთი უნდა გაცხადებულიყო კაცში და ამას თორმეტი მოციქულის გარდა ვერავინ ვერ აცნობიერებს და ხალხი დამცინავად

კითხულობს – ესაა ნაზარეთიდან? შენა ხარ მეფე? – ის კი მშვიდად პასუხობს: რომ, მე მხოლოდ სულთა მეუფე ვარ.

ერთხელ იესო თავის თანამემამულეებს წმინდა წერილს განუმარტავდა ნაზარეთში, მისი დაბადების ადგილას. ნაზარეველებმა თქვეს: „ეს ის არაა, იოსების შვილი, აქ რომ დაიბადა და იზრდებოდა და როდესაც გააძევეს ნაზარეთიდან, მას გაახსენდა ანდაზა, რომ არ არის წინასწარმეტყველი თავის მამულში" (ჰეგელი, რელიგიის ფილოსოფია, ტ. I, მ. 1976, გვ. 42. რუსული გამოცემა). ამ ამბავის ასეთი ინტერპრეტაციით გადმოცემა, პატარა არგუმენტია ქრისტეს არაებრაულ წარმოშობაზე, მაგრამ ქრისტეს მთელი სულიერი და ფიზიკური ცხოვრების მისტერიაში არ ყოფილა მოქმედება, სიტყვა ან აზრი, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა არ ჰქონოდა.

ამჟამად, არსებულ ნაზარეთზე, ყველა მნახველი განმარტავს, რომ იშვიათია მეორე სხვა მხარე ჰგავდეს ისე საქართველოს, როგორც ნაზარეთი და საერთოდ, ეს ორი ქვეყანა – ისრაელი და საქართველო ერთადერთია, სადაც ქრისტეს მისტერიის მოქმედების ადგილებია: ბეთლემი, გეთსიმანია, გალია და სხვა ძალიან ბევრი, იქაც არის და აქაც.

ისეო ქრისტეს ებრაულ წარმოშობაზე სახარებაშიც არის ხაზი გასმული და ხშირად ამბობენ, სულიწმიდისაგან შობილი ძე-ღმერთი, როგორ არის აბრაამის და დავითის შთამომავალი. იოსები,ხომ ღმერთმა დაუდგინა შემწედ მას და მარიამ ღვთისმშობელს. იქნებ იოსების ამ სულისმიერი მამობის გამო აღიარებენ ებრაელად. ასევე არ დაგვავიწყდეს, რომ აბრაამი ძველ ქალდეაში (ქართველთა წინაპარი ქვეყანა) გადის საღმრთო სწავლებას. ქართველი მეფე-ბაგრატიონებიც ხომ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად მიიჩნევდნენ თავს და თავიანთ ტიტულატურაში ასე წერდნენ იასეან-დავითიან-სოლომონიანი. აქ საჭიროა გავერკვეთ, ეს უბრალოდ ფესვისმიერი კავშირია თუ მარტივი ნათესაური შეხება.

გარდა ამ პიროვნული შტრიხებისა, არსებობს გალილეველებზე ეთნოგრაფიული ხაზები, რომლებიც არანაკლებ მეტყველებენ ქართველების ბუნებაზე.

ახლა შევეხოთ მათ ხასიათს, როგორ ხასიათდებიან გალილეველები ისტორიაში? ფიცხნი,ენერგიულნი,ჯიუტნი,პრინციპის დათმობას სიკვდილი ურჩევნიათ. ეს ხდება მაშინ, როცა ებრაელ ხალხად სახელდებული სხვა ტომები შესანიშნავ ურთიერთობაში არიან რომაელებთან. ალბათ ამ დროს ისიც გასახსენებელია, რომ როდესაც რომაელი „ნამესტნიკი" პროკურატორი პილატე ნახავს ჯვარცმისთვის გამზადებულ ქრისტეს, განაცხადებს, რომ ის – ქრისტე უცოდველია და ბოლოს ასე თქვა კიდევაც – „მე ამ საქმისგან ხელი დამიბანიაო".

ეზეკია გალილეველი გაბედავს, რომ სათავეში ჩაუდგეს იუდეა-გალილეას აჯანყებას რომის კეისრის წინააღმდეგ. გალილეველი ქალის ხასიათს განასახიერებს ივდითი და ესთერი, რომლებიც განთქმული არიან სილამაზით და სამშობლოსადმი თავგანწირვით. ისინი გამოირჩეოდნენ სახის ძლიერი გამომეტყველებით და ლაპარაკობდნენ არამეულ ენაზე. გალილეველების დახმარებით აიღეს ებრაელებმა იერუსალიმი ძვ. წ. 614 წელს, სპარსი შარბარაცის წინამძღოლობით და გაწმინდეს დამპყრობლებისგან. მათი დევიზი იყო: „ღმერთი არს ერთადერთი – მეუფე ჩვენი: სიკვდილი არარაობაა, თავისუფლება – ყველაფერი!" შემდეგ გალილეაში გაჩნდა სიკარულთა (დანისტების) პარტია, რამდენადმე მსგავსი, თანამედროვე ინდიური „ტუგებისა". მათმა მთავარმა

ბელადმა მინამეხმა ნერონის დროს გაანადგურა იერუსალიმის რომაელთა გარნიზონი.

ებრაელები რწმენით არაებრაელებს გაბრაზებისას ეძახდნენ წარმართებს და ბევრი ავტორი ფიქრობს, რომ გალილეა უნდა იყოს შერქმეული სახელი. თვითონ სახელწოდება გალილეა რომ ვთარგმნოთ, მივიღებთ შემდეგ შინაარსს: წარმართთა ოლქი (გეჰილ ჰაგგოუიმ), კიდევ უფრო სწორად რომ ვთქვათ, წარმართი გადამთიელი.

ქრისტეს დროს გალილეა იყო მოწყვეტილი იუდეასგან და გასაკვირი არ არის, რომ გადამთიელად მიეღოთ იქაური კაცი.

იუდეველები არც სამარიელებს ცნობდნენ ღმერთის ხალხად და მათ ეძახდნენ ერეტიკოსებს და უფრო მწვავე ურთიერთობა ჰქონდათ მათთან, ვიდრე გალილეველებთან.

ინგლისელი თეოლოგი ჩემბერლენი პირდაპირ, უაპელაციოდ ამბობდა, რომ, „ის, ვინც ამტკიცებს, რომ ქრისტე ებრაელია, ის უვიცია – რამდენადაც ერთმანეთში ურევს რელიგიას და რასას“. მისივე მტკიცებით, ქრისტე ებრაელი იყო რელიგიისა და აღზრდის მიხედვით, მაგრამ ტომობრივად არამც და არამც. არასოდეს არ გიფიქრიათ ნუთუ, რატომ იყო ქრისტეს მეგობარი ლაზარე, რომელიც მკვდრეთით აღადგინა და რატომ არის მასში დამარხული ქართული ენა, რომელიც უდიდესი საიდუმლოს მატარებელია. სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ის, რომ, თუ გაიხსნება ანბანში ჩადებული კოდი, სამყაროსთვის ნათელი გახდება ყველაფერი.

გალილეა და მისი მეზობელი ტომები, ძალზე ხშირად იყვნენ ასირიის კოლონიზაციის ქვეშ და ამ პერიოდში განსაკუთრებით შევიდა მათში არიული სისხლი, ასევე ბერძნული, ფინიკიური და სხვაც. ეს ხდებოდა ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე. ხოლო ის ხალხი კი, რომლებიც ებრაული წარმოშობის არ იყვნენ და სახლდებოდნენ პალესტინის მიწაზე, მექანიკურად ხდებოდნენ ებრაელად წოდებულნი.

ამჯერად მოვიშველიოთ კავკასიურ რასაზე ჰეგელის მიერ თქმული ციტატა: „მხოლოდ კავკასიურ რასაში სული აბსოლუტურ ერთიანობაში მოდის თავის თავთან, მხოლოდ აქ სული შედის სრულ წინააღმდეგობაში ბუნებრივი არსებობის პირობებთან, აღწევს თავის თავს აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში და ახდენს თვითგანსაზღვრებას, ამ სულს აქვს რწმენა, რომლის საშუალებით ამოსხლტება მუდმივი რყევიდან ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ, ახერხებს მუდმივ განვითარებას და ამით ახორციელებს მსოფლიო ისტორიას... პროგრესი ხორციელდება კავკასიურ რასაში“.

კავკასიური რასა დღევანდელი რასოლოგებში და ანთროპოლოგიურ მეცნიერებაში აღნიშნავს ევროპულ რასას და ტერმინი კავკასიური ნიშნავს მხოლოდ მის ძირს და ბუნებითი ნიჭიერების ნიშანის მატარებელია, კლასიფიკაციის ხაზით.

კავკასიურ რასაში, მისი თვალსაზრისით, შედიან წინა აზიის მცხოვრებნი და ევროპელები. ეს დაყოფა ახლანდელ დროში იგულისხმება ქრისტიანებად და მაჰმადიანებად. საყოველთაოდ ცნობილია ასევე, რომ მთელი კავკასია თავის შორეული ჩრდილოეთით და სამხრეთით, თავისი ხორციელი და სულიერი შემადგენლობით, ერთი გენეტიკური სტრუქტურის შემცველია.

ახლა გადავიდეთ თავის ქალის ანთროპოლოგიურ ანალიზზე, რომელიც ცნობილია, როგორც დღემდე ერის ფიზიოლოგიური და ანთროპოლოგიური უძველესი ნიშნების ყველაზე ხანგრძლივად შემცველი და შემნახავი, რომელსაც ჰეგელი რასობრივი კლასიფიკაციის საფუძვლად და შეუვალ პრინციპად მიიჩნევს: ყურის ხვრელიდან

ცხვირის ძირამდე გავლებული ჰორიზონტალური ხაზი, გადაკვეთილი შუბლის ძვალიდან ზედა ყბის ძვალამდე, ქმნის ძირითადად სწორ კუთხეს, რომელიც ცხოველებს ძალზე წამახვილებული აქვს. მაღალგანვითარებულ რასას კი აქვს განსაკუთრებით სწორი კუთხე. ამ წუთას მაგონდება ვაჟას საუბარი ერთ-ერთ პიროვნებასთან, რომელიც უმტკიცებდა, რომ ისინი სისხლისმიერი ნათესავები იყვნენ, რაზეც ვაჟა პასუხობს, – „გიცანი, ჩვენიანო, ყვრიმალები ამოწეული და ჩვენსავით გაქვსო". ეს მომენტი უბრალოდ ჩავრთეთ, რომ გვეთქვა ზოგადადაც ასეა მიღებული და უბრალოდაც და ამ საქმის ანუ ანთროპოლოგიის მარტივ მცოდნეთა შორის საუბარში.

რაც შეეხება სწორი კუთხეს, რომელიც განსაკუთრებით გააჩნია კავკასიურ რასას, არ დაგვავიწყდეს, აქ იგულისხმება ევროპელი ხალხებიც. ამ სიმბოლო – ხარისხის მაჩვენებელს ატარებენ იტალიელები, ჩერქეზები, ქართველები და ალბათ კიდევ სხვებიც. ამ რასის თავის ქალა კარგად მომრგვალებულია ზემოდან, ღაწვის ძვლები საშუალოდ შესამჩნევი, შუბლი ცოტათი ამობურცული, წინა კბილები ორივე ყბისა პერპენდიკულარულია, კანის ფერი – თეთრი, ლოყები – ალისფერი, თმები – რბილი (ჰეგელი). აი, დაახლოებით ის პორტრეტული აღწერილობა, ოდნავი პერიფრაზირებით. საერთოდ გვინდა დავამატოთ, რომ ანთროპოლოგიაში ჯიშის და ძირის ყველაზე მეტი ერთგული და გამძლე არის თავის ქალა, რაც ყველაზე ძნელად ემორჩილება ევოლუციას.

ზემოთ ხსენებული თეოლოგი ჩემბერლენი, ბუდასა და ქრისტეს შედარებითი ანალიზის ფონზე თვლის, რომ ბუდა უდიდესი ღვთაებრივობაა, მაგრამ ქრისტე უფრო დიდ მოვლენად მიაჩნია, რადგან არ გმობდა მიწიერ ცხოვრებას, პირიქით აკურთხებდაო მას. შემდეგ ვითარდება აზრი და სვამს მახვილს ასკეტიზმზე, არა როგორც თვითმიზანზე, არამედ როგორც საშუალებაზე ღვთისგან მადლის მისაღებად. მოკლედ, მიზანი არის სიყვარულის შეგრძნების ამაღლება და არა სხეულებრივი თვითგვემა. რელიგიის თითქმის ყველა იდეოლოგი და პატრიარქი უწესებდა თავის მოწაფეებს გვემას, განსაკუთრებით საჭმელთან მიმართებაში და მარხვაში ამ პრინციპის დაცვა უპირველესად იყო მიჩნეული. ქრისტე კი არც თავისი მოწაფეებისაგან მოითხოვდა და არც თვითონ არ ანიჭებდა განსაკუთრებულ ყურადღებას მარხვას, ყოველ შემთხვევაში არ ჩანს. მასზე ამბობენ კიდეც, რომ „აი კაცი, რომელსაც უყვარს პურის ჭამაც, ღვინოც", ასევე როდესაც ამბობს: „სუთ ღვინო, ვითარცა სისხლი ჩემიო". ქრისტეზე მეტად ახალ აღთქმაში იოანე ნათლისმცემლის მარხვა ჩანს, ქრისტეც მარხულობს უდაბნოში ჯვარცმამდე, მაგრამ მაინც უმეტესი მარხვა ეს იოანე ნათლისმცემლის ხაზია. არ შემიძლია ვთქვა, რომ ღვინოს, აქაც, ქრისტეს ღვთაებრივობის განფენაში ერთ-ერთ განსაკუთრებული ადგილი უკავია და იქ არაფერი არ უნდა იყოს სადავო, რომ პირველი მევენახეები და ღვინის შემოქმედნი ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, არც ის არის შემთხვევითი, რომ წმინდა ნინო ვაზის ჯვრით შემოდის საქართველოში. რელიგიაში არც ერთი ასეთი ფრაგმენტი არ არის ისეთი, რომელიც დაკავშირებული არ იყოს მისტერიის დედაარსთან. ამიტომ, ქრისტეს სიახლოვე ვაზთან და ღვინოსთან, ქართველებთან კავშირზე მიბიძგებს.

წერილი ქრისტეს წარმოშობაზე თამამი განაცხადია,მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზეა და მეტი არაფერი.

ერები, ეთნოსი

„ჩვენ ძლიერი ხალხი ვართ, დიდი და მდიდარი მიწა-წყალი გვაქვს, მაგრამ სახელმწიფოს მართვა არ ვიცით. მოდით და იბატონეთ ჩვენზედ“, – პირველი რუსული მატიანეს ავტორი – ბერი ნესტორი ასე იწყებს სამშობლოს ისტორიას და ჩასულან ილმენის ტბის გარშემო მცხოვრები რუსები სკანდინავიელ ვარიაგებთან, იგივე ნორმანებთან ანუ ვიკინგებთან და დაძრულა იქიდან სახელმწიფოს სამართავად ორი ძმა, ტრუვორი და სინეუსი ნოვგოროდში დასამკვიდრებლად, რომლებმაც მალე კიევსაც უმთავრეს. მაგრამ ეს იყო, სკვითებად ყოფნის დამთავრების შემდეგ და მერე მათ მონღოლური გენი შეიწოვეს სხეულში და ძალზე სწრაფად დაიწყეს განფენა-გაზრდა ჰორიზონტალურად. გარდა ამისა ამბობენ, ამ გენით მათ ბევრად გაზარდეს ამტანობაცო. თუმცა...

(ფერილი 1)

არსებობს ერებთან მიმართებაში ასეთი მცნებაც, დიდი ერები და მის ქვეშ იგულისხმება პოლიტიკურ ან სხვა დიდ ინტერესთა კარნახი და თავსმოხვევა, ანუ ერთგვარი შიში და ქედისმოხრა სუსტისგან ძლიერის წინაშე. მაგრამ შედარებით მკრთალად ხმარობენ ამ ტერმინს ისეთ ერებსა და ეთნოსზე, რომლებიც თავისი კულტურით და იდეებით იმდენად წინ უსწრებენ აქტიურ ისტორიაში ჩართულ მოვლენებს, რომ თვით ეს „აქტივისტი“ ერები მთლიანად გადადიან ამ კულტურის უნარის ქვეშ. თანამედროვე რუსულ კულტურაში ნიშანდობლივია, სუფრის ყველა ის ელემენტი, რაც რუსებმა ქართული სუფრისგან აიღეს – თამადის არჩევა, ზოგიერთი სადღეგრძელოს დროს ფეხზე ადგომა, ქეიფის დროს ემოციური და მხურვალე გამომჟღავნება განცდების, სადღეგრძელოთა დროს სათქმელის იერარქიული განზოგადება და სხვა. ვფიქრობ, რომ დიდ რუსულ კულტურას ეს სრულიადაც არ ამცირებს, მით უმეტეს ქართული ყოფითი კულტურაც და სხვა დარგებიც უხვად არის ნაკვები რუსული ხელოვნებით და მეცნიერებით. სხვათა შორის, რუსეთის იმპერიის კოლონიზაციის დროს, თუ რამე მოიგო ამ ურთიერთობაში ვინმემ, ეს მათი კულტურული და მეცნიერული ჰიბრიდები იყო.

ერეკლე II-ის დროს, ზოგიერთი ქართველის მხრიდან იყო ცდები საერთოდ ჩაკეტილიყო კავკასიონის ქედი, მაგრამ კავკასიის ჩაკეტვის ამ სტერილურ იდეებს, თვით მეფეც და სხვებიც უარყოფითად შეხვდნენ, რადგან სჯობდა რუსეთის იმპერიული საფრთხე დაგვეძლია, ვიდრე ანტიკულტურულ და კონსერვაციულ გარემოში ჩავკეტილიყავით. მხოლოდ ამისთვის შეიძლება ვუწოდოთ გამარჯვებული ერი ქართველ ხალხს, რადგან მან შეძლო გაევლო ეს დანაღმული მინდვრები ბევრად წარმატებით, ვიდრე ისეთმა დიდმა კოლონიზატორულმა ქვეყანამ როგორიცაა ოსმალეთი და ეს სულ რაღაც ორასი წლის წინ მოხდა. ეს ყველაფერი ხდებოდა ასეთი ფორმულით, როცა ერთი ხალხი ქმნიდა ძლიერ იმპერიულ სახელმწიფოს, მეორე იცდიდა და პოლიტიკური ძლიერების ძალის მოსაკრებად, ბავშვურ ცნობიერებას ინარჩუნებდა და

შემოქმედებით ენერგიას ინახავდა შემდგომისათვის, რათა მოსავალი წინა კულტურათა მონაპოვრისა მიეღო თავის სუფთა, ხელუხლებელ წიაღში, რათა მომავალში აღმოჩენილიყო ერთი დარტყმით ზეაღმსვლელი აღმატებული ცნობიერების დონით.

გენეტიკოსთა აზრით, ასეთი უეცარი პროგრესის მქონე თვისებებით ხასიათდება სამხრეთის ქვეყნები — ნაკლებ ზამთრიანი ან უზამთრო, მზით გამთბარ-გასხივოსნებული, შეგრძნების ორგანოებზე ინტენსიურად ზემოქმედი გარემო, რადგან ამ შემთხვევაში სამხრეთული მზით გაჯერებული ტემპერამენტიანი სასწაულებრივი ემოციური ასხლტომით გაჯერებული ტვინი უცბად მიაღწევს იმ სიმაღლეს, რაზეც ჩრდილოელს ასი წელი სჭირდება ხშირად. მუდმივი ზაფხული, ფერთა და გამათა განუწყვეტელი მეტამორფოზა, განსაკუთრებით აღაგზნებს სამხრეთელთა სამშვინველს.

შემთხვევითია როდია, რომ თანამედროვე ფილოსოფიური და მეცნიერული სისტემების შექმნაში, ჩრდილოეთის მხარის გენისოთა ოდენობა მეტია, რადგან სამყაროს განვითარება და წესრიგი, მშვიდი და მუდმივი დაკვირვების შედეგია და კაცობრიობა თავის სიჭარმაგის და დაბრძენების პერიოდით, სწორედ ჩრდილოეთის ხალხის გონების აქტივობის ხანას დაემთხვა. არც ის არის შემთხვევითი, რომ ზაფხულში სწავლა წყდება და ბევრ ქვეყანაში სამუშაოს საათების ოდენობა მცირდება და ადამიანის აზროვნების ინტენსივობის პერიოდად ზამთარი და შემოდგომაა მიჩნეული. ზაფხულიდან შემოდგომასა და ზამთარზე გადასვლა, გრძნობისმიერიდან ცნობიერზე, ცხადია უკვალოდ არ ჩაივლის გაზაფხულის და ზაფხულის ესთეტიკის აღმძვრელ გარემოზე და ბუნებრივად მზადდება სამშვინველის ექსტაზში მოყვანის პროცესი. გრძნობათა ორგანოების მიერ ექსტაზად გადმოღვრილი და სეზონური გარესამყაროს შერწყმისგან დაღლილი სამშვინველი შემოდგომასა და ზამთარში, როგორც მცენარე სახეცვლილი ფორმით, კვლავ ახალი ადამიანის წიაღს უბრუნდება და ზაფხულის მაკროკოსმიურ გრძნობად შთაბეჭდილებებს მიკროკოსმოსად ანუ მე-ცნობიერებად გარდაქმნის და ასე გრძელდება ეს ციკლი და ჯაჭვი, მოკლედ რომ ვთქვათ, შემოქმედება ითესება გაზაფხულსა და ზაფხულში და იღება მოსავალი შემოდგომაზე და ზამთარში, რომელიც არის ქვეცნობიერი პროცესი. ეს ხდება იმის გამო, რომ სითბო, სინათლე და ფერთა ელვარება კლებულობს, გარესამყარო იძარცვება და შეგრძნებებზე მათი ზემოქმედება სუსტდება, რაც იძლევა თვითჩაღრმავების და ანალიზის უნარსა და დროს. როდესაც ბერძნული და რომაული კულტურა არნახულ ზენიტში იყო, შუა და ჩრდილო ევროპა უმწიფარი სამშვინველის კოდში იმყოფებოდნენ. ბიბლიის თარგმნამ და ქრისტიანობის შეღწევამ მათში უდიდესი ზემოქმედება მოახდინა, მაგრამ ეს მოხდა მარათონული გზის გავლით.

ასევე უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ხალხებმა ბოლო ხუთასი წლის განმავლობაში გაიარა ლაბორატორიული მეცნიერებები და ზოგადად მეცნიერების უდიდესი გზა, რაც არის ფართო გაგებით, სამყაროთმცოდნეობა ანუ ერთდროულად ხდებოდა ობიექტური სამყაროს, სულიერი და ფიზიკური რეალობის უდიდესი შემეცნება, რამაც ბუნებრივად გაზარდა კაცობრიობის მედიტაციური და ინტუიტიური სიმახვილე.

ხალხთა ეროვნებად ჩამოყალიბებამ და კულტურამ ფართო და მასობრივი მასშტაბები მიიღო სამყაროში და სამყაროდ და მიკროკოსმოსში მაკროკოსმოსად შეიცნო თავი და მაკროკოსმიური უკიდეგანობის წყურვილმა ხელახლა იძალა. მთელ ამ პროცესს კატალიზატორად ევლინებოდა რელიგია, ენა, მამული.

მაგრამ, თუ კაცობრიობის შეგრძნებითი და განსჯითი აზროვნების პერიოდი ადამიანის ეგო-ს, შედარებით დაბალ საფეხურს შეესატყვისებოდა, რომლის დროსაც ურთიერთობის სტაბილიზება ოჯახში, გვარში, ტომში და ეროვნებებში ხორციელდებოდა, მაშინ, როდესაც გონი თავის უფლებებში შევიდა და შემდეგ ქრისტიანული იმპულსების დახმარებით გაარღვია სისხლის ნათესაობის და ტომობრივი შეზღუდულობის ჯებირები და ამასთანავე, პურის ზიარებიდან აზრის და იდეის ზიარებამდე ავიდა, ეროვნული გამორჩეულობის იდეა ატავიზმად და ნეგატიურ მოვლენად იქცა და აქვე უნდა დავძინოთ, რომ (საუბარია თვითმიზნად ქცეულ ეროვნულ გამორჩეულობაზე და არა ღირსებაზე) იბადებიან ჰიტლერის მსგავსი ადამიანები, რომლებიც ქადაგებენ რასობრივ უპირატესობებს და ამ გრძნობას სინდისის თვისებასთან კავშირში ავლენენ, როგორც მორალური და ღმერთის მიერ წინასწარგანზრახული საქმე, რაც გერმანელი და საერთოდ არიული რასის მსოფლიო ბატონობაში იკვეთებოდა.

რასა, ერები, ეთნოსი
(ერის ტრადიციების გარდამავლობა)

მე-20 საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა, სწრაფმა გადაადგილებამ და კომუნიკაციებმა, ხელი შეუწყვეს ვაჭრობის და აღებ-მიცემობის თავბრუდამხვევ ტემპს, პოლიტიკური, ზნეობრივი, რელიგიური და სხვა სულიერ ღირებულებათა უსწრაფეს გაცვლას.

(წერილი 2)

რასა, ხალხი, ერი, ცივილიზაცია, კულტურა ერთმანეთის მონათესავე და ახლო მდებარე მცნებებია. მათ შორის ზოგი უფრო ახლოც არის ერთმანეთთან. მაგალითად, რასა, ხალხი, ერი — ერთი ჯგუფი და ცივილიზაციაა, კულტურა — სხვა, მაგრამ თვით ჯგუფებს შორისაც არის მცირე სხვაობები.

რასა, ადამიანთა ყველაზე დიდ ჯგუფს მოიცავს, შემდეგ კლებულობს ასეთი რიგობით — ხალხი, ერი, ეთნიკური ჯგუფები, ტომი და ოჯახი. ამის აღწერა-გამიჯვნა იმისთვის გვიწევს, რომ, შევეხოთ თემას — ერი, სახელმწიფო, გლობალიზაცია და სხვა.

მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ, პლანეტას აღარ აქვს დიდი და მრავალწლიანი დიდი მსხვერპლის შემცველი ომები, მაგრამ წინა პლანზე წამოიწია მცირე ერების გაქრობის საშიშროებამ. ისინი ან უჩუმრად წყალდებიან, ან მცირე ბრძოლის შემდეგ, ბედს ნებდებიან. ამბობენ, „ყველამ თავის მკვდარი უნდა დაიტიროსო“ და ამ წერილის დაწერის მიზანიც ეს არის და მეც ჩემს სატკივარს მოგახსენებთ.

საინტერესოა, დღეს რა საფეხურზე დგას ქართველები, თავის განვითარების დონით და ზევით აღწერილი ნიშნით? პასუხი, შეიძლება ერთნიშნად გაეცეს, — იგი უცილოდ წარმოადგენს ხალხს და ერიც კანონზომიერად შეიძლება ეწოდოს, რადგან

არსებობს სამყაროს დასაბამიდან და მუდმივად ეწეოდა საგანმანათლებლო ფუნქციას. ჰეგელი, რეპლი, კანტი და ბევრი სხვაც ქართველს კავკასიურ რასაში მოიაზრებენ. რასებია დღეს: ყვითელკანიანები – ჩინელები, მისი მეზობლები და ინდოელები და როგორც მრავალმილიონიან ხალხს, გააჩნიათ ერთი სტრუქტურის გენეტიკური შედგენილობა, ძალზე ახლო კულტურა, რომელიც სხვადასხვა ეთნიკურ დანაყოფს ქმნის; დიდი ერია სლავები და მათ შორის, მაგალითად, რუსებს დღეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ თავის ზემოქმედებით მსოფლიო ხალხებზე. დილემის წინაშე დგას მსოფლიოს ნომერი პირველი „სუპერდერჟავა" – ამერიკა. იქ ისე თანაბრად არის იტალიური, ზანგური, ჩინური, ინგლისური თუ სხვა ეროვნება, რომ ერთი სახელი არაფრით დაერქმევათ, ამიტომაც გადაწყვიტეს ასე: ამერიკული ნებისმიერი წარმოშობის ადამიანს, პასპორტის ეროვნების გრაფაში, ჩაეწეროს შემდეგი – ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე.

საგარეო პოლიტიკას ერთი დაუწერელი კანონი აქვს, როგორი გულმოწყალე მფარველიც არ უნდა ჰყავდეს მცირე და სუსტ ერს, ძლიერი ქვეყანა ყოველთვის ეცდება, თავისი ინტერესები მუდმივად გაატაროს სუსტ ქვეყანაში და ხშირ შემთხვევაშიც ძალდატანებითი წნეხიც გამოიყენოს.

ხალხები არასოდეს იღუპებიან, თვით ყველაზე ულმობელი ღია ტირანიის ქვეშ. უფრო და სრულად დამღუპველ დოზებს შეიცავს ის აბები, სადაც გლობალიზაციის ტკბილი და მიმტყუებელი შხამებია ჩადებული და ამ უარესობის უფრო დიდი ხარისხია შიდა ომები, სამოქალაქო დაპირისპირებულება, მაღალი კორუბცია, საზოგადოებათა გათიშვა-დაქსაქვა, ერის ისტორიული ფუნქციის და სულიერი მისიის დაკარგვა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ხალხის და ერების განმტკიცების ერთ-ერთი საფუძველია, მოვლენათა სიმწყობრე და რიგითობა.

მისტერიების ეპოქაში, ყველა მოვლენა და საგანი, განსაზღვრული იყო მდედრობითი და მამრობითი ხარისხით, რადგან ყოველი ძალა და მისტერია, სიძლიერის და სინაზის ფონზე იკითხებოდა და მოქმედებდა. ასევე მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო თავისი ნიშნით მამაკაცური ენერგიის გამოსხივებაა – ინტელექტით, ძალით, სიმამაცით, გაბედულებით, ლოგიკით და სხვა ამგვარით. ქალი ერის სიმბოლოსთან იყო გაიგივებული, ნაზი სიყვარულით, თანაგრძნობით, სიფრთხილით. კაცი პერსპექტივაში ხედავდა სამყაროს, ქალი ადგილზე. კაცი გადიოდა სანადიროდ, ქალი ალბათ უმეტესად გამოქვაბულში რჩებოდა და ხედავდა ბავშვს და გარემოს. იქ, სადაც ვითარდება საგარეო საქმე, სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული, ოჯახი კი ქმნიდა ტრადიციას, ყოფით ელემენტებს და იმ მცირე რელიგიურ აზროვნებას შეიცავდა, რომელიც მათ გააჩნდათ. ჩვენს უახლეს ისტორიაში,მიუხედავად იმისა,რომ მიმდინარეობს ქალის ემანსიპაცია, მტკიცდება და ვითარდება მამაკაცური თვისებების პრიმატულობა, ვიდრე ქალური, რადგან ნელ-ნელა იმცრობა ერის საგანთა და ნივთთა აღმავლობა, ანუ ქალური თავგანწირვის, მისი საქმიანობის და თვისებების განვითარება და დომინირება, სამაგიეროდ მოდის წინ ინტელექტი, ძალა, ლოგიკა, პრაგმატიზმი და სხვა. ნუთუ არასოდეს არ გიფიქრიათ, რომ, რატომაა, – ქალის ამორალიზმი და მეძავობა უფრო დიდი სირცხვილი, ვიდრე კაცის და უნდა ითქვას ბევრად მეტად არის მიჩნეული ცუდ საქმედ. ქალის ღირსებაზე ეკიდა ერის ბედი თავის კულტურით, ეს უკანასკნელი კი თავის თავში მოიცავდა ყველანაირ ზნეობას, ტრადიციას, სისუფთავეს, რელიგიას და სხვა. ქალის

წარმოებით ბუნებაში ახალმა საუკუნეებმა ჩადეს მამაკაცური ბუნება და ხასიათი და მეტსაც ვიტყვით, დღევანდელ ქალებს თავისი სინაზით და სილამაზით სჯობდნენ XVIII-XIX საუკუნეების და უფრო შორეულ პერიოდის ქალები. თუმცა, ცალკე განსჯის თემაა რითი სჯობდნენ და რითი არა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მსოფლიო ახალი წესრიგის მოწყობის წინაშეა და ისიც ვიცი, რომ ისეთი მცირე ერები, როგორც ჩვენ ვართ, ვერ შევაჩერებთ ამ პროცესს, მაგრამ ჩვენ უნდა ავიცდინოთ ეს გლობალიზაციის დარტყმები, რომლებიც ახალ წესრიგს მოაქვს მცირე ერებისთვის. ამ წერილში ტერმინი მცირე ერები არ ნიშნავს, რიცხობრივ სიმცირეს, რადგან მცირე ერი შეიძლება იყოს 50-100-მილიონიანი, მაგრამ ჰქონდეს ის საფრთხე, რასაც მათი უშიშროების უზრუნველყოფა ჰქვია.

დღეს იშვიათია მცირეს ხარისხში შემავალი ქვეყანა, რომელიც არ ლაპარაკობდეს მსოფლიოს უდიდეს ოლიგარქთა ზეწოლაზე, სუსტ და დაუცველ ქვეყნებზე. ასე ვთქვათ, მიდის ფარული კამათი მსოფლიო ახალ გადანაწილებაზე. ამ მიზეზით აწარმოებენ სუბნაციონალურ ერთობათა შექმნას, ზეროვნული ერთობების დაფუძნებას ანუ პოლიტიკური და რელიგიური ეკუმენიზაციების ჩამოყალიბებას. ამ ტენდენციების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს რაციონალიზატორული და პრაგმატული ბერკეტების გააქტიურება, რომელიც საბოლოო ჯამში მიისწრაფვის ძლიერი სახელმწიფოს შექმნისაკენ, რომელშიც შეუმჩნევლად ქრება ერის ნიშნები, ტრადიცია, დედური და მამური საწყისების, ისედაც სუსტი წერტილების ასიმილაცია და ბევრი სხვა. ნურავინ იფიქრებს, რომ უნდა აღსდგეს ძველი ცივილიზაციების მამური და დედური საწყისები ძველი შინაარსით, მაგრამ ამ თეორიის ახლებური გააზრება კი არის საჭირო, ტრადიციის აღორძინების საფუძველზე.

საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ შეიძლება იყოს სახელმწიფო და არ იყოს ერთ ერად ჩამოყალიბებული. მაგალითად, აშშ არსებობდეს როგორც ერი და არ ჰქონდეს სახელმწიფო, ისევე, როგორც 25-მილიონიან ქურთებს არა აქვთ სამშობლო და ა. შ.

ერთან ერთად ქრება მამულიშვილობის ინსტიტუტი და ფართოვდება მოქალაქეობის ასპექტი. ყოველივე ამას, არა მარტო ზევით აღნიშნული თეორიები უწყობს ხელს, არამედ თანამედროვე მსოფლიოს ურბანიზაცია. ერთი სიტყვით, მოდაშია, ქალაქელობა და ის სტილი, რაც მის ქვეშ იგულისხმება. თვით ევროპის თანამედროვე ფერმერები ძალიან გვანან ქალაქელებს. არადა მთელი ათასწლეულების მანძილზე, სოფლის კულტურის ხარჯზე გადავრჩით, ჩვენც და სხვა ხალხებიც.

თანამედროვე მსოფლიო ისტორია თანდათანობითი განვითარებაა თავისუფლების შეგნების, მაგრამ აქ დიდი პროცენტით ჭარბობს პიროვნების და სახელმწიფოს პრიორიტეტი. ერის პროგრესის კონტურები კი კრიზისს განიცდის. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს ნებისმიერი კუთხურობის გამოვლენა გონების ჩამორჩენილობა მეგონა, მაგრამ წლებმა და გამოცდილებამ სხვა ნიშანი და სიგნალი მომცა.

მსოფლიო პოლიტიკის წარმართვის სხივი კვლავ ქრისტეს აღდგომის კოსმიური მისტერიით უნდა დავიწყოთ და განვახორციელოთ საკუთარ არსებაში სულიწმიდის მადლით აღვსილმა, რათა ნიჭიერების და სინათლის მადლით მოსილმა ადამიანმა კვლავ გააკეთოს ნახტომი რენესანსული იდეალისაკენ, რითაც მოხდება ადამიანის ახალი ნაბიჯების გადადგმა აზროვნებითი წიაღსვლებისაკენ, ორი განუყრელი დის მეცნიერებისა და სულიერების ცის კაბადონზე.

რასა და ეთნოსი

(ჩვევები, ხასიათი, თვისებები)

ქვეყანა დიდი თეატრია, სადაც მხოლოდ მთავარ როლებზეა კონკურენცია, ეპიზოდურზე კი – ხვეწნა და დაძალება.

(წერილი 3)

ქართველები ანთროპოლოგიურად ევროპულ რასას ეკუთვნიან, ევროპულმა რასამ კი შექმნა ის დიდი ცივილიზაცია, რომელიც დომინანტია დედამიწაზე. ორი ათას წელზე მეტია ქართველები ამ რასის სამხრეთევროპულ განშტოებას მიეკუთვნებიან. ეს განშტოება კი ქრონოლოგიურად ბევრად ძველია ვიდრე ჩრდილოევროპული. ანთროპოლოგიურად ქართველები წინააზიურ ტიპს ეკუთვნიან,ეს იყო შუამდინარეთში, სადაც ხდებოდა ევროპული ცივილიზაციის უპირველესი კერების მომზადება.

საერთოდ კი, კავკასიაში წარმოდგენილია სამხრეთევროპული რასის სამივე განშტოება, რომლებიც განსახლებული არიან 21-ე და მე-40 პარალელებს შორის – გიბრალტარიდან ინდოეთის სუბკონტინენტამდე და ასევე აღსანიშნავია, რომ კავკასიის გარდა სამივე განშტოება დედამიწაზე სხვაგან არსად არ ცხოვრობს. ეს აზროვნება იქით მიდის, რომ ცივილიზაციის პირველი კერები მომზადდა კავკასიელის გენეტიკაში, რომელიც ხასიათდება ბუნებასთან მებრძოლი უნარით და მარადიულად ქმნის გონებაში თვითგანახლების იმპულსებს.

ნებისმიერ რასას, ერს, ეპოქას, ხალხს, ფენას, პროფესიას თავისი სხეულებრივი და გონებრივი მდგომარეობა და სტილი აქვს, რომელსაც ვერავინ ვერ უგულებელყოფს და მისეულია. აქედან გამომდინარე, ამ ფენის, ქვეყანის, პროფესიის წარმომადგენლებს, თავისი ინდივიდუალობის მარაგიდან მიეცემათ ის ემოციები, მიმიკები, პლასტიკა, ჟესტები და აზროვნების სახეები, რომელიც მერე ყველასთვის ახლობელი და თანაზიარი ხდება. ამიტომ, მიუხედავად კავკასიური რასის იშვიათი ფიზიკური წარმოშობის განსხვავებულობისა, ისინი მსგავსნი ხდებიან ყველანაირი გაგებით და ამ დაახლოებაში ყველაზე გადამწყვეტი როლი ითამაშეს იმ რელიგიებმა, რომლებიც გაიარეს კავკასიურმა რასებმა, განსაკუთრებით კი ქრისტიანულმა.

ყველა პირის, საზოგადოების, მოძრაობისა და პოზის სტილი განუყრელადაა დაკავშირებული აზრისა და გრძნობის ხასიათის ფორმებთან, რომლის შეცვლა ან მოჩვენებითობის სფეროში შეყვანა წამგებიანია. ამიტომ არის, ყველა დაკვირვებული თვალი ამოიცნობს ადამიანის კულტურის სტილს, წარმოშობას, სიცრუეს და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხმისა და თვალის სხივის ემოცია. ამ ორში უტყუარ სიგნალებს იძლევა ეს უკანასკნელი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ეთნოსი, ყველა ხალხი განვითარების გზაზე გადის გარკვეული თანმიმდევრობით განსაზღვრულ ფაზებს, ისევე როგორც მცენარე, ცხოველი ან საერთოდ ცხოვრების რაღაც მოვლენა. ყველაფერს აქვს თავის მოწიფულობის და დაბადების ეტაპები. არ კვდება იმ შემთხვევაში, თუ მასში ჩადებულია თვითგანახლებადი იმპულსები. ამ პროცესში

ერთდროულად იღებენ მონაწილეობას კანონზომიერება და შემთხვევითობა. სტაბილურ დროში ადამიანის ქცევას მყარი ტრადიცია განსაზღვრავს და არ შეიმჩნევა მკვეთრი ცვლილებები. ძირფესვიანი ნგრევის და მტკივნეულ ეპოქათა პერიოდებში კი ავანსცენაზე ადის შემთხვევითობა. ეს არის ერთგვარი საბედისწერო წუთები, სადაც არჩევანი კეთდება და არის ტეხილოვანი შემობრუნების გზა, სადაც ბევრი ტრადიცია, ზოგ შემთხვევაში დრომოჭმული და ზოგჯერ, ჯერ კიდევ საჭირო, კვდება. მაგრამ, რას იზამ, ასეთია ბედი მათი.

ეთნოსის სტილი და ჩვევები ეთნიკური სტიქიაა. იგი ყალიბდება ეთნოსის ასაკითა და მისი კავშირებით მშობლიურ ბუნებრივ ლანდშაფტთან. ეთნოსის ასაკი განსაზღვრავს მის ენერგეტიკულ ძალას და მოქმედების უნარს. ეთნოგენეზისის ძალა ემყარება ვ. ი. ვერნადსკის მიერ აღმოჩენილ ბიოსფეროს ცოცხალ ნივთიერებას. ისტორიას, სწორედ ამ ენერგიის ეფექტი წარმართავს. ლევ გუმილოვმა მას პასიონარობა უწოდა ანუ მოქმედებისადმი შინაგანი ლტოლვა, რომელიც ადამიანში ყველაზე ძლიერია და იგი შემოქმედებითი აღმაფრენის ყველაზე ძლიერი მუხტია. ეთნოსში პასიონარობის ოპტიმუმს კეთილდღეობა მოაქვს, დეფიციტს კი ცხოვრების უუნარობა, სისუსტე, სიზარმაცე.

ეთნოსი და საკუთარი ლანდშაფტი ერთმანეთს ჰგვანან ძალიან და ადამიანის დაცილება მასზე უდიდეს ტრაგედიას იწვევს. ეს პროცესი უფრო ძლიერია მაშინ, როდესაც პიროვნება ღრმა პატრიოტიზმის მატარებელია. მახსოვს ერთხელ, ზვიად გამსახურდიას შვილმა, შესანიშნავმა მწერალმა და მოაზროვნემ კონსტანტინე (კოკო) ზ. გამსახურდიამ, ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რა გენატრება ყველაზე მეტად საქართველოში? მოკლედ უპასუხა – ციხე-ტაძრები. იმ წუთებში მე ძლიერ ვუთანაგრძნე კოკო გამსახურდიას, რადგან მეც მიგრძვნია იგივე, ციხე-ტაძრების და საერთოდ სოფლის პეიზაჟის მონატრება.

ზოგადად პასიონარობა საზოგადოებრივ მდგომარეობას უშუალოდ არ უკავშირდება. შეიძლება არ იყო პასიონარული ადამიანი, მაგრამ ხელმძღვანელი კი იყო... ასეთი გახლდათ, მაგალითად პეტრე პირველის ძმა – მეფე ივანე ალექსის ძე. საზოგადოების რიგითი წევრი კი შესაძლოა ფრიად პასიონარული იყოს, მაგალითად ივანე სუსანინი. სტალინს, მის გარშემო მყოფთა შინაურული თბილი ურთიერთობა აკლდა, ის უყვარდათ სიცივის, მიუკარებლობის და გამაბრუებელი შიშის გამო. ასევეა, ერთი შეხედვით, გულცივი და მოსაწყენი ავგუსტუსი და, მეორე მხრივ, ისტერიკიანი ნერონი – ისინი ორივე სასტიკნი არიან. ასე რომ, შეიძლება ყველა ტიპს – სანგვინიკს, ფლეგმატიკს, ქოლერიკს გააჩნდეს პასიონარობის ანუ შინაგანი მოქმედების და ნეგატიურის შერწყმა. ამ თემაზე იმიტომ ვსაუბრობთ, რომ ასევე ამ თვისებების მატარებელია ზოგიერთი ეთნოსიც.

ჰუმანიზმი სხვადასხვა ეთნოსში და ადამიანში სხვადასხვაგვარად დევს, ინგლისელის ჰუმანიზმი სულ სხვაა, ვიდრე დასავლეთ-აფრიკელი ზანგის. სიკეთე და ბოროტება სუპერეთნოსების წარმომადგენლებს პოლარულად ესმით. მაგალითად, ტურ ჰეირდალი კუნძულ მატუ-ჰიკაზე ფრანგულად ესაუბრებოდა იქაურ ინტელიგენტ კანიბალს, რომელიც ეუბნებოდა: „უცნაური ხალხი ხართ ევროპელები. ჩვენ ჩვენს მტრებს, რომლებსაც ტომებს შორის ომებში ვკლავდით, ვჭამდით კიდეც. თქვენ, ევროპაში ომობთ და მოკლულებს მიწაში მარხავთ. რატომღა კლავთ, თუ არ ჭამთ!“ ამ

თვალსაწიერიდან კანიბალი ბევრად მაღალი მორალის არის, ვიდრე ადოლფ ჰიტლერი, რომელმაც ძალაუფლების მოპოვების მიზნით მოაწყო მსოფლიო სასაკლაო, ხოლო კანიბალმა რელიგიისა და მორალისათვის.

მაგრამ, ხომ არსებობს ყველგან და ყველაფერში ჩვევა და თვისება, კარგი და ნაკლებ კარგი ან ცუდი და თუ ეს ეთნოსზე ვრცელდება, ის მიიღება ბუნებრივი გზით და არა ძალდატანებით და თავსმოხვევით.

გვარები და ეთნოსი

გვარების წარმოშობა ცივილიზაციამ ბუნებრივად მოითხოვა და საერთოდ ძირითადში ყველაფერი იქმნება დროის აუცილებლობის კანონით. სელჯუკთა დიდმა მონარქმა თოღრულ-ბეგმა, კონსტანტინე გამსახურდიას განსაზღვრებით, და ბევრმა სხვა მისმა რანგისამ წერა-კითხვა სრულიად არ იცოდა, ალბათ იმიტომ, რომ ეს მათთვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ასევე ყოფილა IX-X საუკუნეებში, მასიურად გვარები არ არსებობდა, ჰქონდათ მხოლოდ დიდგვაროვან თავადებს. ეს პროცესი IX-X საუკუნეებში დაწყებულა და XVII საუკუნეში მთლიანად დასრულებულა.

გვარები წარმოიშვნენ ტოპონიმიკის, პროფესიის, რიტუალის ან მისტერიის აღსრულების, მამის ხსოვნის ან სხვა რაიმე ხუმრობის ხარჯზე. მაგალითად, მთვრალაშვილების გვარს ასეთი ისტორია აქვს, მათი წინაპარი ჯაფარიძე, წარმოადგენდა ერეკლე II-ის მზარეულს, რომელსაც შვილის შეძენის გამო სამეფო ვახშამი გამოუვიდა მლაშე, ზედმეტმარილიანი, როდესაც მეფემ ეს მიზეზი გაიგო, ბრძანა, რომ ის ჯაფარიძე, იმ დღიდან იქნებოდა მთვრალაშვილი. საერთოდ, ცნობილია, რომ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარებია ჯაფარიძეები, წიკლაურები, გელაშვილები, მჭედლიშვილები და სხვა. ასევე, ჩვეულებრივ საუბარში მიღებულია მოსაზრება გვარების თავადურ წარმოშობაზე და დამტკიცებულია აზრი, რომ უმეტესად ისინი აზნაურები არიან. მაგალითად, თითქმის ყველა ასათიანი და ახვლედიანი თვლის თავს თავადად, მაგრამ კვლევა ამტკიცებს, რომ მათი მხოლოდ 10%-ია თავადი. ყველაზე ძველ გვარად უცილოდ უნდა მივიჩნიოთ ბაგრატიონები, რადგან ეს გვარი დიდი უპირატესობით უსწრებს ყველა გვარს და ამ გვარის წარმომადგენლები ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-III სს-ში ჩნდება საქართველოში, დღევანდელი თურქეთის სპერის ოლქში, მთავრებად კი გვევლინებიან მე-7 საუკუნეში, ციციშვილების გვარი XIII-XIV საუკუნეებიდან გვხვდება, არღუთაშვილების გვარი მხარგრძელების შთამომავლებად არიან მიჩნეული. ბარათაშვილების გვარის უამრავი განშტოება არსებობს, ორბელიანების გვარის ერთი შტო ყაფლან ბარათაშვილისგან მოდის, ისევე, როგორც ყოფლანიშვილების ყოფლან ორბელიდან, ანდრონიკაშვილები თავის წარმოშობას ბიზანტიას უკავშირებენ. ბიზანტიელი ანდრონიკი იყო ერთ-ერთი კომნენოსის შვილი. მელიქიშვილები კილიკიიდან არიან წამოსული და სომხეთში სახლობდნენ სამი ქრისტიანული სარწმუნოებით: მართლმადიდებლური, კათოლიკური და გრიგორიანული. რუსიშვილების (იოანე ბატონიშვილის მიხედვით) გვარის პირველი წარმომადგენელი რუსეთის ელჩს ჩამოჰყვა საქართველოში.

ძველი ბრწყინვალე თავადების ძალიან ცოტა, რამდენიმე ერთეულია შემორჩენილი საქართველოში. მაგალითად, ამილახვრები, ორბელიანები, სუმბათაშვილები და სხვები.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის მიხედვით შუა საუკუნეების საქართველოში, თუ ბატონიშვილს გაუჩნებოდა უკანონო შვილი, ის იერარქიის დაბალ საფეხურზე გადადიოდა და თავადი ხდებოდა, თუ თავადს გაუჩნდებოდა აზნაური და თუ აზნაურს, ისიც ერთი საფეხურით ქვევით იწევდა, თუ მას დედა არ ეყოლებოდა მისივე რანგის.

ყოველივე გვარის თავში აღწერილი მასალა არ არის დიდი მოცულობის, არამედ ეს არის შეხსენება და ფიქრი ჩვენ წარსულზე, რადგან თუ ჩვენ კარგად ვიცით ფესვები, უფრო კარგად გვეცოდინება მომავალი. ერთი ასეთი ტრადიცია არსებობდა, – სადილის დროს ოჯახის უფროსი ეკითხებოდა შვილიშვილებს თავის წინაპრის სახელებს, იქნებ ამიტომაც დალაგდა ჩვენი სასუფრო სადღეგრძელოები ასე გენიალურად. ტრადიცია კი იქმნებოდა, არა მხოლოდ მარტივი სილამაზის გამო, არამედ ამით იქმნებოდა ჩვენი წინაპართა მეხსიერების და მოკრძალების გენი, რომელსაც უნდა შეენახა შემდგომ საქართველო.

ეროვნულობა და გლობალიზმი

მარადისობა არის უსასრულოდ გადიდებული წამი და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ სამყაროს დასალიერამდე ვიმოგზაუროთ ამ უსასრულო წამში ჩვენი თვითმყოფადობით, თუ გვინდა, რომ მსოფლიო იყოს ჩვენით მდიდარი და მრავალწახნაგოვანი.

ადამიანის მნიშვნელობა თავისი ღირებულებებით, უფრო დიდია მაშინ, როდესაც ის მსოფლიო კულტურაში შედის ეროვნული ბეჭედით დაღდასმული და მისი გენიალურობის ან ჩვეულებრივი ყოფის პროდუქტი ღრმად ინდივიდუალური და ეროვნული საგანძურის ნაყოფია. მაშინ ის უფრო საკუთარია, როდესაც რაც შეიძლება ნაკლებად ჰგავს სხვას. უდიდესი ტექნიკური აღმოჩენებიც გარკვეულ ეროვნულ ნიშან-თვისებებს ატარებენ, ის მხოლოდ გამოყენებადია საერთო სახალხო და მსოფლიური. აქედან გამომდინარე ეროვნული და მსოფლიური გამოყენების ფაზაში ერწყმიან ადამიანის სულიერებას და ამით გონება იძენს სიცოცხლის ახალ ვარიაციას და ესთეტიკას. ამიტომ არის, რომ ყველაზე დიდი ქართველი შოთა რუსთაველი თავის უნივერსალობით ერწყმის მსოფლიოს. ყველა დიდი ეროვნული კულტურა ზოგადკაცობრიულია ამასთანავე, როდესაც იგი ხდება კაცობრიობის ფიქრის სავანე. ამ შემთხვევაში საზრისის მთელი გზა არის რთული ურთიერთმოქმედება ინდივიდუალობათა, რადგან მსოფლიურ კულტურაში იერარქიების სხვადასხვა საფეხურისა და შემოქმედებების შეზრდა ერთი იერარქიისა მეორეში, იგივეა რაც პიროვნებისა ერში, ერისა კაცობრიობაში, კაცობრიობისა კოსმოსში და კოსმოსისა ღმერთში. ერი და ეროვნულობა არის დინამიური სუბსტანცია და არა წარმავალი ისტორიული ფუნქცია.

იგი თავის ფესვებით ისეთ იდუმალებასთან არის ჩაზრდილი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ერის წიაღში წარმოქმნილი გონება – ჩვევანი და სიმდიდრე. ალბათ ყველას ახსოვს მოხუცი ცოლქმარის ჩივილი (ფილმი „მონანიება“) ქალაქის თავთან (ვარლამ არევაძე), როდესაც ისინი ამბობენ ეკლესია – მონასტრების ნგრევაზე – „მათი განადგურება ჩვენი სიღრმისეული ფესვების ამოკაფვაა“.

არცთუ იშვიათად, ყოველგვარი მცდელობა განისაზღვროს ეროვნულობა რაციონალური ნიშნით მარცხით თავდება, რადგან სრულყოფილებისგან არის შორს. არც რასა, არც მიწა-წყალი, არც ენა, არც რელიგია არ წარმოადგენს საკმარის ნიშან-თვისებებს ერის განსაზღვრებისა, რადგან მას სჭირდება დროის დისტანცია და ხალხში განზავების და შერწყმის ფაზა, სადაც მას ერქმევა სახელი, რომ ის ქართულია ანუ ქართველური, რაც მოსდევს ხალხის გათავისების ჟამს. ეროვნების ჩამოყალიბებებას ასევე თან დაჰყვება, რასათა და ტომთა სისხლის შერევა, მიწების მრავალგზისი გადანაწილება, სადაც მაცხოვრებელ ხალხს ერთიანი დუხჭირი და საზეიმო წუთების გადატანა ანიჭებს უნარს, შექმნას ერთი ეროვნული ხატი. ამდენად ეროვნულობას თან სდევს უამრავი მსგავსი საიდუმლოებრივი, მისტიური და ირაციონალური, როგორც ყოველგვარი ინდივიდუალობის განმსაზღვრელი, რაც ბუნებრივად გადადის ეროვნულობაში. აქედან გამომდინარე, ეროვნული სულის იდეა მარხია, ისტორიულ სტიქიათა მერყეობის, ბედის ცვალებადობათა, ძველის ნაწილის დანგრევათა და ახლის შემქმნელ მოძრაობათა მიღმა.

ყოველგვარი ძალდატანებითი ჩარევა ეროვნულობის განვითარებაში სახიფათოა, რადგან მან შეიძლება დაკარგოს თავისი ბუნებრივი განვითარების ხაზი და შეიძლება ისეთივე შედეგი მოგვცეს, რაც ადამიანის აქტიურმა ჩარევამ ჩვენს საერთო ეკოსისტემაში, ანუ შედეგი იქნება მომაკვდინებელი. ჩვენი, მცირე ერის გადარჩენის ერთ-ერთი გზა ეროვნულობაა, რომელიც ღრმა ინდივიდუალობის ბეჭდით არის დაღდასმული, – რაც ცალკე განხილვის თემად (წიგნად) შეიძლება გამოიცეს. დღევანდელ ჩვენს ყოფაშიც არის ბევრი ისეთი სტიქიური ძალა, რომელიც ღრმა ეროვნული ნიშნით არ არის აღბეჭდილი და თანამედროვე დროის ქაოტურობის და დაულაგებლობის გამო, მას ჯერ კიდევ არ მიულია ეროვნულობის ნიშან-თვისებები, რადგან მისი დინების კალაპოტი ჯერ კიდევ არ არის მყარად გამოკვეთილი. უნდა ვიცოდეთ, რომ კაცობრიობა და მსოფლიურობა ღრმა გლობალიზმის შემთხვევაში მიიღებს, მხოლოდ ღრმად არაეროვნულ და უსახურ, მოსაწყენ საყოველთაო ერთფეროვნებას. თუ დაუშვებელია კაცობრიობის იდეის დაპირისპირება ეროვნული იდეისადმი, დაუშვებელია შებრუნებული დაპირისპირებაც და ყოველგვარი შერწყმა ხავერდის ხმას უნდა გამოსცემდეს და მხოლოდ ასეთი დაგემოვნებით შეიძლება ეროვნული ხაზის განვითარება. არ შეიძლება მტრობა სხვადასხვა კულტურათა, კაცობრიობისა ეროვნების სახელით და პირიქით, ასეთი მოქცევა ეროვნებისა კაცობრიობის წინააღმდეგ არის გაღარიბება ეროვნებისა და დაღუპვა მისი. ასევე ყალბი, თავკერძა ნაციონალიზმი უთუოდ გაიზიარებს მომაკვდავი კონსერვაციის ბედს. შემოქმედებითი განმტკიცება ეროვნებისა არის სწორედ განმტკიცება კაცობრიობისა, რაც საბოლოო ჯამში ეროვნება იქცევა, კაცობრიობის საერთო კულტურის შენაკადად, ზოგადის მარად მკვებავ ძარღვს წარმოადგენს და, საერთოდ, ამ ორი უკიდურესობის განხილვისას საჭიროა დავიცვათ ბალანსი და გავექცეთ ორივე უკიდურესობას.

ისტორიული ფუნქცია

ერის სული გაბზარული მარმარილოს შედევრია, თუ მას არ გააჩნია ზიარი სულიერი და ისტორიული ფუნქცია. ეს სული ხელოვანის ნიჭიერებით და თავგანწირვით უნდა შედულაბდეს.

„არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“, განმარტავს მემატიანე, ფარნავაზის წინა პერიოდზე და შემდეგ კი „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. ფარნავაზის ნამოღვაწარი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანია საქართველოს ისტორიაში, მაგრამ მანამდე უკვე შექმნილია ენა ქართული, რაც უსიტყვოდ მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი დამწერლობის ხარისხი, მხედველობაშია ბოლნისის სიონის ბილინგვა, უთუოდ მიუთითებს რამდენიმე ასწლიან წარსულზე და უდავოა, რომ დიდი სახელმწიფოს გარეშე არ იქნება ასეთი სიმაღლის დამწერლობა, მაგრამ ასევე აშკარაა, რომ მტერს იგი ფარნავაზამდე დაუმცრობია და შემდეგ ფარნავაზს ავადმყოფის ლოგინზე მიჯაჭვული ქვეყანა ფეხზე დაუყენებია. ამიტომ ამბობს ქართული ეკლესიის მწყემსმთავარი ანტონ კათალიკოსი: „ჰხამს მაშინ ქება ფარნავაზ-მეფე დიდი, ვის მეფობითნი ჰსჯულნი დაჰსდუნა საქებად“.

ქართული სახელმწიფოებრიობის სიღრმეში, კი მკვეთრად მოჩანს აიეტის და მისი მითიური გმირის, მედიცინის სიტყვის შემქმნელის მედეას პერიოდი. ეს კი ძვ. წ. 14-13 საუკუნის მიჯნებია. რაც სამყაროს ერთ-ერთი ცივილიზებული დასაბამია.

ჯვარი და ხატი იყო ხარკი ძველი კერპთაყვანისმცემლობის სასარგებლოდ. ქრისტიანობამ ბევრი რამ მიიღო ძველი და ცდილობდა ძველ გუდაში თავისი ღვინო ჩაესხა, მაგრამ ცხადია, ამ გზით თვით სითხესაც გარკვეულად ეცვლებოდა იერი და ფერი.

ამიტომ, ძველის განადგურება კი არ მოხდა, არამედ ჩანაცვლება და შერწყმა და საბოლოოდ ქმნადობაში ეს იყო, ძველის გადალახვა და არა ლიკვიდაცია. რადგან ზოგადად ცნობილია ძველს და შეჩვეულს უცბად არ უნდა მოსწყვიტო ადამიანი. საბოლოო ჯამში, ეს არის თანდათანობითი პროცესი ძველის მოცილების და ახლის მიწოდების. კარგი იქნება, თუ რეფორმატორები და დემოკრატები ძველის ახლით შეცვლისას, ამ მეთოდს გაითვალისწინებენ. ამ პროცესში გამოიკვეთა ყველაზე ძლიერ მარიამ ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის სახეები. პირველის წილხვდომი ქვეყანაა და მისი კალთაა მცველი ქართველთა, მეორე არის ჩვენი მფარველი, რომლის ნების გამტარებელი ანუ მიწათმოქმედნი და ბოროტზე კეთილის გამარჯვების გამტარებლები და ამ შინაარსის მისიონერები ვართ ჩვენ — ქართველები. ისინი არიან საქართველოს თავზე მადლი და ნათელი და უბედურებას, რასაც თვისტომი თუ გადამთიელი საკუთარი ხელით თესავს და ჩვენ გვცილდება, მათ მადლსა და ნათელში უნდა ვხედავდეთ.

ამ გაუტანლობის გამო და მცდარ, სატანური ბუნების აღზევებაზე ბრძანებს დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი: მწვანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა არა! ესრეთ არა!

როგორ დაიკარგა ისტორიული ფუნქცია

არაფერი ისე არ ფიტავს ადამიანის სხეულს, როგორც უფუნქციობა, ასევეა ერიც...

ყველა ძველ და დასაბამიერ ერებს გააჩნდა როგორც სულიერი მისია, ასევე ისტორიული ფუნქცია სამყაროს წინაშე. ამ ორიდან უმჯობესია პირველი გქონდეს ყოველთვის, მაგრამ პირველის დაკარგვის შემთხვევაში, მეორე მხოლოდ სასუნთქ ჟანგბადს წარმოადგენს, ე. ი. არსებობ, მაგრამ მომავალში არსებობის რეზერვები ნაკლებია! ბუნებრივია გქონდეს ორივე, მაგრამ... გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთის ყველა იმპერატორმა გამოიყენა კავკასიის ასათვისებლად და არა შესასრულებლად. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ არა იმ პერიოდში ერეკლე II-ს მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთება, სამცხე-ჯავახეთი და აჭარა საქართველოს მფლობელობაში არ იქნებოდა.

რუსეთის მიერ 1826-1828 წლებში ირანთან და 1828-1829 წლებში ოსმალეთთან მოგებული ომების შემდეგ, ყურადღება გადატანილი იქნა დაპყრობილ ტერიტორიებში ხალხის ასიმილაციაზე და სრულ ათვისებაზე. თუ რა ხერხებით ხდებოდა მსგავსი ოკუპანტური ნების განხორციელება, ამაზე ქვევით მოგახსენებთ.

1818 წლიდან მეფის რუსეთი გეგმაზომიერად შეუდგა ქართულ მიწებზე უცხოტომელების — გერმანელების, სომხების, ბერძნების და რუსების ჩამოსახლებას. ანდრიანოპოლის ზავის (1828) შემდეგ ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა. XIX ს-ის 50-იანი წლების ბოლოსათვის ამიერკავკასიაში უკვე აღირიცხებოდა 50-ოდე რუსული სოფელი და 10 რუსული დასახლება და ეს ყველაფერი სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში განხორციელდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი რუსებისგან ჩვენ სიკეთის გარდა არაფერი გვახსოვს. უფრო მეტიც, ისინი, და საერთოდ სლავური მოდგმა, ისე კარგად ერწყმოდა ქართულ ეთნოსს, რომ ჩვენი სისხლისანი და ხორცისანი ხდებოდნენ.

რეფორმები გატარდა ამიერკავკასიის მმართველობით აპარატში და მთავარმართებელი უფლებრივად გაუტოლეს რუსეთის გენერალ-გუბერნატორებს, რომელთა რწმუნებულ აპარატებში კადრები აბსოლუტური უმრავლესობით წარმოადგენდნენ არაქართული მოდგმის ან რუსოფილი პერსონალიებით დაკომპლექტებულ პირებს.

უპირველესად გაბატონდა რუსული სამართალი, ენა, ბიუროკრატია, რაც მექრთამეობის პირდაპირი დედაა და, რა თქმა უნდა, გაძლიერდა ადგილობრივი, მკვიდრი ხალხის ჩაგვრა. ყოველივე ამან გამოიწვია აჯანყებების სერია: კახეთში, იმერეთში, მესხეთში, ქართლში, თიანეთში, გურიაში, სვანეთში და სხვაგან, განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა შეიქმნა დაღესტანში: „შამილის წარმატებებს ფართო ხასიათი მიეცა. მიურადებმა ათობით რუსული გამაგრებული ადგილები ჩაიგდეს ხელში. გაანადგურეს გარნიზონები, ბევრი ჩვენს მიერ დამორჩილებული აული კვლავ შამილის ხელში გადავიდა... პერსპექტივა ჩვენს მფლობელობას სრულ განადგურებას უქადის" (ვ.ოგარკოვი. „ვორონცოვები", სანკტ-პეტერბურგი, 1892, გვ. 87-88, რუსულ ენაზე).

ამგვარად, რუსეთის გეგმამ, ერთი დარტყმით მიეღწია სრული გამარჯვებისათვის, კრახი განიცადა, ისევე როგორც შემდგომ ფაშისტური გერმანიის მიერ რუსეთის

დაპყრობის გეგმამ. ამ დროს ყველა ოკუპანტი საფოსტო ცხენებს ცვლის, რადგან გრძელი მარათონისთვის და ახალი დარტყმებისათვის ემზადება: დაპყრობილ ხალხებს შიგნით შიდაკონფლიქტები, უცხოტომელების წაქეზება აგრესიისკენ, ჩინ-მენდლების დარიგება და ფულადი კორუფცია, რათა შეექმნათ პრივილეგირებული ფენა, ქართული არისტოკრატია ჩამოეშორებინათ ეროვნული ცნობიერებისათვის და ერთიანი ქართული სხეული შუაზე გაეხლიჩათ. ეს ყველაფერი განხორციელებული იქნა ისე ბრწყინვალედ, რომ რუსული ხიშტი ძალმომრეობაში მას სრულებითაც ვერ შეედრება. ამის მაგალითია ის, რომ ისინი, ვინც აჯანყებას ედგნენ სათავეში, შემდეგ პირველი დასაყრდენები შეიქმნენ მეფის რუსეთის ხელში.

1842 და 1844 წელს დაიწყეს ახალი იმპერიული რეფორმები, რომლის შემდეგ, კავკასიაში მთავარმართებლის ნაცვლად შემოიღეს ახალი, ფართო უფლებებით აღჭურვილი მეფისნაცვლის თანამდებობა,რომელზეც დაინიშნა ინგლისურ დიპლომატიურ ტრადიციებზე აღზრდილი, განათლებული, შორსმჭვრეტელი და ცბიერი პოლიტიკოსი მიხეილ ვორონცოვი.

ნიკოლოზ პირველმა პირადად გააცნო ვორონცოვს ის ამოცანები, რომლებიც მას უნდა განეხორციელებინა კავკასიაში. ყველაფერი აიგო ხალხის გართობაზე და აქედან მიღებული ტკბობით გამოწვეულ ყურადღების მოდუნებაზე, რითაც უნდა მომხდარიყო „კავკასიის ხალხების რუსეთში გათქვეფა". (ე. სტალინსკი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის საიუბილეო კრებული, ტფილისი, 1901, გვ. 32. რუსულ ენაზე).

დაინერგა ახალი წესები, არა ვითომ მტრული მიზნებით, არამედ უფრო კულტურული და ცივილიზებული ქცევის ნორმების თვალსაზრისით. 1849 წელს გაიხსნა ამიერკავკასიის ბანკი, რომელიც თავადაზნაურობას აძლევდა გრძელვადიანი სესხის გამოყენების უფლებას. ჯერ დააჩქარა ქართული თავად-აზნაურობისთვის წოდებების მინიჭება, შემდეგ კი გააჭიანურა, რომ ისინი რაც შეიძლება ბევრნი ყოფილიყვნენ. საქმე კი ის იყო, რომ ამ გაბევრებულ და მიწა-მამულით აღჭურვილ მაღალ წოდებებს ბანკში ჩაედოთ, აეღოთ სესხები, შემდეგ ამას ვერ გადაიხდიდნენ და ამას მოჰყვებოდა მათთვის საფუძვლის გამოცლა. 1849 წელს მიღებული იქნა კანონი, რომლის თანახმად, მემამულენი გათავისუფლდნენ სასამართლო ორგანოებში ყმების კუთვნილების შესახებ საბუთების წარდგენის მოვალეობისაგან. ამიერიდან გლეხებს უნდა ჰქონოდათ თავიანთი თავისუფლების დამამტკიცებელი საბუთი. გამალებით მიდიოდა გზების გაყვანა, რასაც ხელი უნდა შეეწყო კავკასია-რუსეთს შორის ენერგიული აღებ-მიცემობის გაჩაღებისა და ერთიანი საბაზრო სისტემის შექმნისათვის.

ვორონცოვმა კარგად გამოიყენა ქართული გენის საოცარი მიდრეკილება ტკბობადი და სანახაობრივი განცდების მიმართ. რამდენი რამ კეთდება მის მმართველობის პერიოდში: დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, კავკასიური მუზეუმი, რუსული თეატრი, იტალიური ოპერა, ჟურნალი „ცისკარი", გაიხსნა მეორე გიმნაზია, გაიხსნა გიმნაზია ქუთაისში, თავადაზნაურთა შვილები დიდი სიმრავლით იგზავნებოდნენ რუსეთის სასწავლებლებში და ბოლოს ყველაზე მზაკვრული რამ. ეს მან, ვორონცოვმა შექმნა, ქართული სახელწიფოებრივი სხეულის დამანგრეველი „აპარატი", ე. წ. ბალ-მასკარადები იქ მოსახვედრად ქართველი თავადაზნაურობის ისეთი აღგზნებაა აღწერილი მათივე მიწერ-მოწერაში, ასე გგონია სამოთხეში ხვდებოდნენო.

ერთი შეხედვით კაცი იფიქრებს, რა უნდა იყოს ცუდი საჯარო ბიბლიოთეკის და თეატრის დაარსებაშიო, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ ეროვნული მეობის შენარჩუნების ბრძოლის გზაზე დამდგარ ხალხს, შიმშილის დროს ბუტერბროდს და კოქტეილს შეაჩეჩებენ, ისინი მთლიანად თუ არა, დროებით მაინც შეიკავებენ თავს ყოველივე ეროვნულისგან. და კიდევ, ბიბლიოთეკები შეივსო რუსული წიგნებით და სწავლა-განათლებაც უნდა ყოფილიყო ამ ენაზე. რუსული სამართლის წესების, ენის შემოღებას, ბიუროკრატიისა და კორუფციის დანერგვის და მაცდუნებელი ბალ-მასკარადების გახშირების ჭეშმარიტი მიზანი კი საქართველოს ოკუპაცია იყო.

ვორონცოვმა შეცვალა შამილის წინააღმდეგ ომის ტაქტიკაც, თუ მისი წინამორბედნი ერთბაშად ცდილობდნენ მთელი კავკასიის მთიანეთის ჩაყლაპვას, ამჯერად შეუდგნენ ტყეების გაჩეხვას, შეშის და ხის მასალის რეალიზაციას გზების გაყვანის მიზნით. ასეთი გზებით გაშიშვლებულ ტერიტორიებზე და დაპყრობილ მიწებზე აწყობდნენ სტანციებს და სამხედრო დაბებს, სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ქართული წარმოშობის რუსი მოხელის არაკჩეევის (არაყიშვილის) ფანტაზია იყო და წარმოადგენდა მუდმივად მოქმედ სამხედრო ბანაკს, რომელიც ქალაქის ტიპის დასახლების იყო და სულ რამდენიმე წუთში გარდაიქმნებოდა აუღებელ ციტადელად. ტყეების გაჩეხვით კი, „ხიშტების სისტემა შეიცვალა ნაჯახის სისტემით" (ა. ზისერმანი, ოცდახუთი წელი კავკასიაში, ნაშ. I, პეტერბურგი, 1879, გვ. 72, რუსულ ენაზე).

აი, ასეთ პოლიტიკის გატარებაზე წერდა არჩილ ჯორჯაძე: „ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეები ქართული პოლიტიკურ აზროვნებაში, რომ მიეღოთ საქართველოსგან ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა, ქართველებს პირდებოდნენ ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფას მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ... ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცხადა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართული ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ – ეს ოცნება რეალობად იქცა".

უეჭველია, რომ ვორონცოვს პირადი სიმპათიებიც ჰქონდა ქართველი თავადაზ-ნაურობის მიმართ და მან ეს ელიტა საკუთარ მამულში, ყირიმშიც კი მიიწვია, გემით, საკუთარი ხარჯებით, მაგრამ ვორონცოვი და მისი წინამორბედნი და კერძოდ პასკევიჩი, რომელიც ჩვენთვის ძვირფასი ალ. გრიბოედოვის სიძე, დის ქმარი იყო, პირწმინდად უსრულებდნენ ფარულ გეგმებს რუსეთის იმპერიას და მათ ხელში დაითესა ქართულ მიწაზე უცხოტომელი მასობრივად. ვორონცოვი კი ასე ამბობდა: საქართველო სულ სხვა ბაღია და მის ყვავილებსაც სხვა მებაღეობა ეჭირვებაო (აკ. წერეთელი, რჩეული, ტ. III, 1989, გვ. 80). „აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსაც სცემდა, მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა, სულ ამას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდი რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქრო-ქსოვილი იქნებაო", – იგონებდა მისი ქვრივი (იქვე, გვ. 74-75). ყველაზე მომგებიანი კი, რაც მისთვის ვორონცოვმა გააკეთა იყო ის, რომ მან ძალზე ახლო ურთიერთობა დაამყარა ქართულ არისტოკრატიასთან, ეს უკანასკნელი კი ჩართო გამაბრუებელ და თვალის-მომჭრელ ბალ-მასკარადებში. ეს იყო ის საცდუნებელი, რომელშიც ქეიფის და დროსტარების მოყვარული თავადაზნაურობა მთლანად გადაეშვებოდა. მისი ვარაუდი

100%-ით შესრულდა და ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში უკვე იწერებოდა ქართული პროზის შედევრები ილიას და დავით კლდიაშვილის ხელით, სადაც თხრობის გმირებად გამოყვანილია უფუნქციო და ყველაფრის უქონელი თავადაზნაურობა.

მეფისნაცვალმა ასე ააგო ეკონომიური ბაზის და ისტორიული ფუნქციის დაკარგვის მოდელი – გინდა იცხოვრო თანამედროვე ფუფუნებით? – გაქვს მიწა? – დიახ! მაშინ კეთილი ინებე და დააგირავე მამული გრძელვადიანი სესხის გამცემ ბანკში და მიიღებ ფულს და ფუფუნებას, ოღონდ შემდეგ რა მოხდებოდა ამას არ ამბობდა.

აი, რას წერს მაშინდელი ერთ-ერთი უფუნქციო და ყოველგვარ გონიერებას მოკლებული, ვინმე მწერალი მელანია ბადრიძე: „გალერეებზე დაჰქრიან გამოწყობილი ლაქიები, ფანჯრებიდან მოჩანან მდიდრული ფარდები და ყვავილები, ჭერზე მოოქროვილი ჭაღები. ახდა ის, რაზედაც ვოცნებობდი; არა მჯეროდა, რომ თბილისში ჩემს თანამემამულეთა შორის ასეთი განათლება იყო. როდესაც ამაში დავრწმუნდი, კვლავ გავცოცხლდი რაღაც დიდებით, თითქოს გადამერეცხა ძველი აზიური ჟანგი (ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1959, გვ. 170, 241).

ყველაზე სავალალო კი ის იყო, რომ ქართველთა აჯანყებებში დამსჯელებად (მთიულეთი – 1804, კახეთი – 1812, იმერეთი – 1810 და 1819, გურია – 1841) თვით ქართველები მონაწილეობდნენ და აქტიურობდნენ. რუსეთი ურიგებდა ქართველ თავად-აზნაურობას ჩინ-მენდლებს და წოდებებს და შემდეგ, ამ რეგალიებით აღჭურვილთ შამილის წინააღმდეგ მიმართავდა იმ მოტივით, რომ ლეკებს ძველ დროში ქართველების წინაშე ჩადენილი ცუდი საქმისათვის საზღაური უნდა მიეღოთ. იყვნენ ისეთებიც, როგორიც გიორგი მუხრანსკი იყო, რომელიც ქადაგებდა ასეთ თეორიებს: „საქართველო რომ მოისპობა, ამაში ეჭვი არ უნდა შეგეპაროს, ამისი მსგავსი ბუნებაშიც ბევრია, დიდი თევზი პატარას ჭამს, დიდი მხეცი პატარას და ა. შ. ამიტომ ჩვენ მომავალი არა გვაქვს და უმჯობესია ჩვენი გადაგვარება, გარუსება“ (ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება, თბ., 1919, გვ. 19-20). უბედურება ის იყო, რომ მუხრანსკიმ, პოპულარობის მიზნით, ეს ნაშრომი ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა. ამ საშინელ ანტიპატრიოტულ პროპაგანდაში უფრო თვალსაჩინონიც მონაწილეობდნენ, მაგრამ, ღვთის წყალობით, არც ღირსეულნი გვაკლდა და ილიამ გიორგი მუხრანსკის „ჭკუით და გულით მოცვეთილი“ უწოდა, ზაქარია ჭიჭინაძე კი ასე ახასიათებდა: „იგი არა მარტო გარუსებული იყო და მოძალადე ქართველთა, არამედ იყო ქვემძრომი და რუსეთის დიდი მომხრე“.

დამონების პროცესი ძირითადად სამი ეტაპისაგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე, როდესაც შენზე ძლიერ მოძალადეს, დამპყრობელს, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევ და იბრძვი თავისუფლებისათვის; მეორე, როდესაც მოძალადე, დამპყრობელი ჯერ კიდევ გძულს, მაგრამ ამასთანავე შეგუებული ხარ უკვე იმ აზრს, რომ ის შენზე ძლიერია და ბრძოლას აზრი აღარა აქვს, და ბოლოს, მესამე ეტაპზე, უკვე იმდენად ეჩვევი, ეთვისები მოძალადეს, დამპყრობელს, რომ გიყვარდება კიდეც და სხვანაირად ველარც წარმოგიდგენია არსებობა. ეს პროცესი კარგად არის გადმოცემული „ჯაყოს ხიზნებში“, მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობის მაგალითზე. ვორონცოვმა კი დააჩქარა ქართველი ხალხის მესამე ეტაპზე გადაყვანის პროცესი, რომელმაც თავის ყველა

ელემენტით კლასიკური სახე მიიღო საბჭოთა პერიოდში. აკაკი წერეთელი კი წერდა ამ ჩვენი კეთილმოსურნე მეფისნაცვლის შესახებ: „საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ, თუ რუსეთში მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა ოდესაში და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ".

ერთ-ერთი პირველი ძველი თაობის თავადაზნაურთაგან, იყო ერეკლე II-ის შვილთა შვილი, თეკლე ბატონიშვილის უფროსი ვაჟი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების გამო 1840 წლამდე ორენბურგში იყო გადასახლებული. მან ერთ-ერთმა პირველმა შეინარჩუნა ამ გამაბრუებელ თვალისმომჭრელობაში სიმშვიდე და გონების სიფხიზლე და წერდა: „მთავარმართებლები ხომ გვატყუებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტური მძვინვარებით. ვორანცოვის დრო სულ სხვაგვარი მოსატყუებელი იყო. ჩვენგან გამოუცდელი ვარანცოვი ბევრს გვეალერსებოდა, ვითომც კაი კაცობას გვიჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ, ვინც რუსეთის ინტერესებზე იქცეოდა. ამასთან ხელგაშლილი, ჩინებს და სხვადასხვა ჯილდოებს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხრომა ჰქონდა ხოლმე... და კიდევ რამდენი რამ მოიგონა ვორანცოვმა ჩვენი მოსატყუებელი, ერთობ ქართველებსა ასე ეგონათ, იმისთანა განცხრომა შექცევანი სულ ასე დარჩებოდა, ამიტომ ვარანცოვის სახელს ასე ადიდებდნენ, ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო, მაგრამ მე კი ზედმიწევნით ვიცოდი, ესეები სულ მოჩვენება იყო ვარანცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითად ამაებაში და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარავის ჰქონდეს, ამისათვის რომ ვარანცოვის დროს შამილი და დაღესტანი გაძლიერებულნი იყვნენ: ქართველების ეშინოდა (რომ არ აჯანყებულიყვნენ), მაგრამ ვარანცოვმა იმ თავისი ცბიერულის გონებით ესენი სულ ჩაშალა და ბოლოს ისევ იმ მონობაში დარჩნენ ქართველები, როგორც ადრე იყვნენ რუსებისა. ჩვენს ეხლანდელ სასწაულებზეც ვერას ვიტყვით კარგსა ჩვენი ქართველებისათვის, ამისათვის, რომ ჯერ სრული განათლების სწავლა იმათში არ არის და მას უკან, რასაცა ასწავლიან, სულ ერთიან ქართველებსა რუსებად ამზადებენ" (ვ. კოტეტიშვილი).

ალ. ორბელიანი 1849 წელს პეტერბურგში მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში წერდა თეატრის შესახებ: „თეატრის არსებობას უნდა შევხედოთ არა მარტო, როგორც სიამოვნებას, რომელსაც აქვს დასახული მნიშვნელოვანი მიზანი: ტუზემცემი გააცნოს რუსულ ენას, რუსულ ჩვეულებებს და ასეთნაირად ხელი შეუწყოს და ისინი თანდათან გათქვიფოს რუსებში" (ს. გერსამია, გ. ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 39).

ვორონცოვი ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ქართული თეატრის დაარსების თაობაზე ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილ მოხსენებაში.

1850 წელს პიესა „გაყრას" ვორონცოვიც დასწრებია, სადაც მეფის მოხელის ვზიატკინის როლს ასრულებდა, სამეფისნაცვლოს უმაღლესი თანამდებობის პირი შერბინინი, რომლის დამქაში იყო, ასევე რუსი მაღალი მოხელე ბულგაკოვი, ლოთი ივანეს როლში. ვორონცოვი ისეთივე უხერხულობაში ჩავარდნილა, როგორც ნიკოლოზ I გოგოლის „რევიზორის" პრემიერაზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, მაყურებლები გაქვავებული იდგნენ და არ იცოდნენ რა ექნათ, ტაში თუ დუმილი. მდგომარეობა ისევ მეფეს უხსნია და უთქვამს, – „აი პიესა, ყველას მოხვდა და ყველაზე მეტად

მეო". დაუკრავს ტაში და დარბაზიც აჰყოლია. ვორონცოვსაც იგივე მოუქმედებია, ოღონდ ნაკლები ტაშით. დააკვირდით როგორ გვანან ყველა ეპოქის ეს ტიპები ერთმანეთს, მოკლედ სიტუაცია დროებით განმუხტეს და 1856 წელს, პოლიტიკურად მიუღებელი სპექტაკლები „დავა" და „გაყრა" აკრძალეს.

ზემოაღწერილ პერიოდს შესაძლოა, ამ წიგნისთვის არა დამახასიათებელი უტრირებით ვუკეთებთ ანალიზს, მაგრამ, იშვიათ შემთხვევაში, ზოგიერთი ფრაგმენტი მოითხოვს სათანადო დეტალიზაციას, რათა ჩვენმა შემდგომმა თაობებმა იცოდნენ იმპერიის ეს ავი ხერხები და მეთოდები.

საქართველოს როლი მსოფლიო კულტურაში

„რევოლუციას ამზადებენ გენიოსები, ახორციელებენ ფანატიკოსები და სათავეში მოდიან მედროვენი", თუმცა ამ სენტენციის ბოლო სიტყვას უფრო მძაფრადაც ამკობენ „ნაძირალები", მაგრამ ყოველი რევოლუცია არ არის ამ სენტენციის ტერმინების მახასიათებლების ქვეშ."

მსოფლიო კულტურაში საქართველოს უპირატესი ადგილი მზის ქვეშ რევოლუციაა, მაგრამ არაფერს ისეთი ზიანი არ მიუყენებია საქართველოსთვის, როგორც შიდა ომებს, ღალატს, პლუტოკრატიას და სხვ.

უტყუარია, რომ ერების ჩამოყალიბება მცირე ფორმის ჯგუფებიდან ამგვარად დაიწყებოდა – ოჯახი, ტომი, ეთნიკური ჯგუფი, ერი, ხალხი და რასა. ასევე გასაკვირი არ უნდა იყოს იმ მოსაზრების გამოთქმა, რომ ხალხებად და ერებად ჩამოყალიბების შემდეგ მომხდარიყო მათი დაშლა და ერთ-ერთი ნაწევრის საფუძველზე, ახალი სელექციური აზრის და ოჯახის მქონე ერის შექმნა-ჩამოყალიბება. ასე შეიქმნა ქრისტეს შემდგომ ეპოქაში ქართველების ერი, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს კოლხებმა, ლაზებმა, ეგრისელებმა, იბერებმა, ივერიელებმა, რანებმა, აფხაზებმა, კახელებმა, კუხებმა და სხვებმა. უფრო ადრე კი მათ წინაპრებად მოიაზრებიან მოსინიკები, კასკები, კაბადოკიელები, მოსხები, მუშქები – ეს იყო დაახლოებით ძვ. წ. აღ. მე-15 ს-ში, როცა შეიქმნა მეტალურგია ქართველების მიერ და იგი რიტუალურად და მისტერიულად ჩაიშიფრ-გასაიდუმლოვდა ამირანის მითში, უფრო ადრე კი იყვნენ შუმერები, ქალდეველები, ხეთები, ფინიკიელები და ა. შ.

თანამედროვე, ევროპული ნიშნით, სახელმწიფოთა და ერების ჩამოყალიბება დაიწყო რენესანსის ხანაში და უმთავრეს ნიშნებად აღიარებული იქნა რწმენითი აღმსარებლობა, ენა, ტრადიცია და უამრავი, ერისათვის მახასიათებელი ნიშანი. ყოველივე ამან ძლიერი იმპულსები მიიღო XVI ს-ში და ისტრიკოსები მას რეფორმაციის პერიოდად ნათლავენ.

1815 წელს, ეროვნული სახელმწიფოების სტატუსის შესახებ დადებული ხელ-

შეკრულების ძალით უნდა განსაზღვრულიყო საზღვრები და აღდგენილიყო ქვეყნებს შორის ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთიანობა. ამავე პერიოდში ძლიერ და მოწინავე ქვეყნებში შემუშავებული იყო პროგრამა, რაც ითვალისწინებდა ჩაგრული და მცირე ერებისათვის ავტონომიის მინიჭებას და თავისუფლებას. ძალაში იყო ეროვნებათა უფლების იდეაზე აღმოცენებული „ეროვნებათა პრინციპი", რაც ნიშნავდა ყოველი ერის მიერ თავის ბედის თვითგანსაზღვრას და დიდ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულად გაერთიანებას. ეს პრინციპი შემდეგ რუსეთმა პანსლავიზმის და ლუი ბონაპარტემ ბონაპარტიზმისათვის გამოიყენა და, ბუნებრივია, მოხდა მცირე და ჩაგრული ერების დაპირისპირება მჩაგვრელებთან. მარქსიზმის მესვეურნი ამ დაპირისპირებას ოსტატურად იყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ, თუმცა მათი საბოლოო მიზანი იყო ეროვნული ნიჰილიზმის შექმნა და ყოველგვარი ტრადიციული კვდებოდა დიდი და მჩაგვრული ერების ხელში. ამიტომ საქართველოში 1900-იან წლებში პარტიებს შორის, როგორც დღეს, ასევე მიმდინარეობდა მკაცრი დაპირისპირება კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის.

როგორც წესი, ყოველგვარ კამათში ორივე მხარე აჭარბებს ხოლმე, მაგრამ როგორც ადამიანთა ფსიქოლოგიურ კონიუნქტურას აქვს მიღებული, რეფორმატორები ანუ ლიბერალები ძალზე ცდილობენ დანერგონ რაც შეიძლება მეტი ახალი. ეს უკანასკნელი კი უხვად კლავს ყოველგვარ ძველს და ქვეყანა კარგავს თავისი ბუნებრივი განვითარების სიცოცხლეს. ასევეა ამჯერადაც, ორივე მხარე ტყუის, ოღონდ ბევრად მეტად ლიბერალები.

ტერმინ „მცირე ერებს", ჩაგვრის შემთხვევაში, ძველად ეძახდნენ „წურილი ერი", ევროპაში ეძახდნენ ნაციო ანუ ერი. ჩემი შეხედულებით, ყველას ჯობია „დაუცველი ერი", რადგან ინდოეთი ხუთჯერ ან ექვსჯერ აღემატებოდა დიდი ბრიტანეთს, მაგრამ მასთან შედარებით ნაკლებმრავალრიცხოვანი სახელმწიფოს (ინგლისის) წნეხის ქვეშ წელში იკლაკნებოდა.

ტერმინებთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ, რომ ქართველები ხალხის დიდ მასას ეძახოდა ჯარს, აქედან მოდის სიტყვა საჯარისო. დასავლეთ საქართველოში იყო დღესასწაული ჯარიანობაც. ამგვარად, სამხედრო ფუნქციის მქონე დატვირთვა მან აქედან მიიღო.

ყოველი სახელმწიფოებრივი მიწყობა მოსახლეობის დიფერენციაციით იწყებოდა და ლენინის თეზისი — „უკლასო საზოგადოება და ინტერნაციონალიზმი" — წინასწარ გამიზნული აბსურდულობა იყო, რადგან იმდენად თვალში საცემია ერის მოსახლეობის დაყოფის აუცილებლობა ფუნქციისა და მისიის მიხედვით. ამიტომ, ზეობის ხანაში, საქართველო სამხედრო ფუნქციას თავადაზნაურობას ანიჭებდა, გლეხს კი, როგორც გინდათ გაიგეთ, უფრთხილდებოდა, როგორც ეკონომიკურ ბერკეტს. ქართლის ცხოვრება ორ ფენომენზე ხმარობს ერის დაღუპვის საშიშროებას, რა ენა დაკნინდეს, ერი დაეცეს და რა გლეხი წაიქცეს... ასევე დიფერენცირებული იყო თავადაზნაურობა — თავადი, ერისთავი (ერის უფროსი) და უფრო კიდევ მაღალი ხარისხი — ერისთავ-თერისთავი. ყველა ეს მცნებებია საქართველოს რომელიმე მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის უფროსი. ამაზე ზევით მოიაზრებოდა მთავარი და ბოლოს მეფე. ისევე, როგორც ევროპაში მიდიოდა იერარქიის კიბე დაბლიდან ზევით — ბარონი, გრაფი, ჰერცოგი და მეფე ან იმპერატორი. ეს იყო ის სქემა, რომლითაც

დგებოდა ცენტრალიზებული სისტემა სახელმწიფოში. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ფეოდალის შესახებ ნათქვამია: იგი მეტია, ვიდრე „სიმრავლითა ერთა“, ხოლო ჯუანშერთან V საუკუნეში გამოყენებულია ტერმინი „წურილი ერი“.

ამ ტერმინების ქვეშ ჩადებული შინაარსით ხდებოდა ერის ეროვნული ენერგიის აკუმულირება, რომელსაც უნდა დაეცვა ეროვნული მთლიანობა და ყოფილიყო მისი დულაბი.

შუა საუკუნეების ქართველთა ხასიათში და რელიგიურ აღმსარებლობაში აშკარად ჩანს ამქვეყნიური მიწიერება და ემპირიულობა, რადგან ქვეყნის ფენები სქემატურად ჩართულია სახელმწიფოებრივ შენებაში და არც ერთი ჯგუფი არ არის საერთო სპექტაკლის დუბლიორებში. მიუხედავად მცირე ერებისთვის დამახასიათებელი სირთულეებისა, რომელსაც გ. ქიქოძე ასე განმარტავს: „ბევრი რომ აკლია დღევანდელ პირობებში, ქონებრივი მორჭმულობა, მრავალრიცხოვანი სპა, მჭრელი მახვილი თავის დასაცავად, მაგრამ, სამაგიეროდ მას ზოგიერთი მაღალხარისხოვანი ზნეობრივი ღირებულებები აქვს: „მამულის ძლიერი სიყვარული, ხალხის ერთმანეთთან სიახლოვე, უფრო ადვილია ეროვნულის პიროვნულთან შერწყმა, სახელმწიფოებრივი ერთგულება მთლიანობისადმი“ და უამრავი სხვა.

ზოგადად პატრიოტული გრძნობა პატარა ქვეყნებში უფრო მძაფრია, უკიდეგანოში — უფრო ძნელად ხელშესახები და ვერმისაწვდენია. დიდ ტერიტორიაზე პატრიოტიზმს ბუნებრივად ცვლის მისწრაფება იმპერიულობისადმი, მოქალაქის შეგნებას ქვეშევრდომობა ენაცვლება და ზოგადად თითოეულის ჭირი და ლხინი მხედველობაშია ტრადიცია და რიტუალი ნაკლებად არის ერთმანეთისთვის მისაღები და გასაზიარებელი. ამგვარად, ზოგიერთი იმპერიის ჰარმონიულობა უფრო ხელოვნური და მექანიკურია, ვიდრე ბუნებრივი. თუ დიდ სახელმწიფოში მტრის ნაბიჯი, საზღვრების გადმოკვეთა და სხვა, ინდიფერენტულს ხდის მისგან უკიდურეს ზოლში მცხოვრებ ადამიანს, პატარა სახელმწიფოში, ყოველი გარეშე მტრის მოქმედება, საკუთარ ოჯახზე დარტყმად აღიქმება. პატარა ქვეყანაში ხშირად ისმის ჩვენ და დიდში მე. ასევე ვთქვათ ბალანსი დადებით — უარყოფითში, თითქმის თანაბარი იყო, თუ არ ჩავთვლიდით იმას, რომ არის ერთი დიდი საშიშროება, მცირეს ყოველთვის ელის საფრთხე დიდი ერისგან, მოცულობით ხარისხიდან გამომდინარე, ასე იყო შუა საუკუნეებში. მაგრამ, მაინც იქსოვებოდა გათიშულობის ბადე იმპერიების მხრიდან და ეს იყო უმთავრესად ანგარებითი მომენტი. ჯერ გაჩვენებდნენ რა იყო ფუფუნება, მისი უპირატესობები, შემდეგ შეგაჩვევდნენ და მერე ხდებოდა გათიშულობის მარცვლების ჩაყრა მასაში. ამიტომ ამბობს ილია: „ვაი იმ ქვეყანას, საცა თვითეული ყველასთვის არა ჰფიქრობს და თვითეულისათვის, საცა მე ხშირია და ჩვენ იშვიათი! განვითვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასო დავიჭერით და ყველა მაგ განთავისუფლებამ, ცალცალკეობამ ყველგან და ყველა სფეროში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულ წკეპლას მოუვიდა, ხალხის სამშობლოს კი არა, ბინას, ან თავის ეზო კარმიდამოს გულისხმობენ, მამულისათვის ბრძოლა ეხლა ღობეა, დიდი მამული დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ“ (ივერია, №1, 1882 წ.).

ამავე თემაზე წერდა 1917 წლის 11 აპრილს „სახალხო ფურცელში“ კონსტანტინე გამსახურდია: „თუ ერთი ნაწილი ქართველებისა მაშენებლის, ერის მესაძირკვლის როლსა ჰკისრულობდა, მეორე — სნეული ნახევარი, მუდამ რღვევის პროცესს

უპირისპირებდა ერის მაშენებელთა ლტოლვასა და საქმიანობას". იქვე აღნიშნულია ქართველების ეს ბუნება, როგორ სამარცხვინოდ გამოჩნდა 1916 წელს ლოზანაში ერთა ლიგის კონგრესზე, სადაც სხვა ერის წარმომადგენელნი, თვით დაპირისპირებულნი პარტიებიც კი, ერთიანი ეროვნული ინტერესით შეკრულნი გამოვიდნენ. ქართველებმა კი აქაც გამოიჩინეს თავი და ერთმანეთის დაპირისპირებულად გააცნეს სამშობლო. ისტორიას უფრო მწარე ფაქტიც აქვს, როდესაც შემოსეულ მტერს გაშმაგებით აქეზებს ადგილობრივი ქართველი ფეოდალი, რომ ქართველების დაუმარცხებლად არ დატოვოს საქართველოს ფარგლები, ან კრწანისის ბრძოლა და თბილისის დაქცევა რად ღირს, როდესაც სამჯერ მოაბრუნებენ, უკან გაბრუნებულ აღა-მაჰმად-ხანს, მაგრამ არ მინდა გამიტაცოს ამ ნერვიულმა ემოციურმა იმპულსმა, რაც საქართველოს დაქცევით გაზულუქებული ზოგიერთი ფეოდალის გამედიდურებით იყო გამოწვეული.

ერთი კი ფაქტია, რომ იმგვარად აუხსნელ ვითარებაში აღწევს ხშირად საქართველო კოლონიზაციის მარწუხებს, რომ მხოლოდ ზოგადად არსებული საგარეო პოლიტიკის წყალობას უნდა მიეწეროს, რომელიც იმ პერიოდში არსებობდა. ვინმეს შეუძლია უარყოს, რომ 1918 და 1989 წლებშიც საქართველოს ხონჩით არ მიერთვა თავისუფლება, დამოუკიდებლობა?!

არის კიდევ ერთი მეტად საინტერესო, მაგრამ მშრალად და მარტივად მოცემული განმარტება. მკვლევარ სერგი დანელიას აზრით, „ქართველის ბუნება მის განუსაზღვრელ ეროვნულ ენერგიაში ფენომენალურად არის მოცემული და სამომავლოდ მისი გამოვლენის შესაძლებლობანი არსებობს, მაგრამ ამისათვის საჭიროა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა, რუსეთის იმპერიის ასიმილაციური პოლიტიკისაგან თავის დაღწევა, თვითმპყრობელური „ლევიათანისაგან" განთავისუფლება, რომელსაც მტრებისაგან წამებული საქართველო იძულებით შეუერთდა". რა კრავდა ქართველთა გონს ერთ მთლიანობაში: ენა, ეროვნული კულტურა, მართლმადიდებლური ქრისტიანიზმი, ისტორიული მემკვიდრეობის ორგანულობა და, საბოლოო ჯამში, მისწრაფება ეროვნული საზრისის იდეალთან.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ მცირე და დიდი ერის ცნობიერებას, თუ დიდი ან იმპერიული ერის ეროვნული ცნობიერება იმპერიულ ბუნებას ჩქმალავს ზეეროვნულში, მცირე ან ჩაგრული ერის წარმომადგენლისათვის მამულიშვილობის რაობა ენის, სარწმუნოების, საერთოდ კულტურისადმი ერთგულებაში, გეოპოლიტიკური სივრცის და საზღვრების სიყვარულში იკითხება.

ზოგადად მცირე ერებში იმპერიებმა შეიტანეს ბზარი და ჩამოაყალიბეს გაორებული ადამიანი, თუ, ერთი მხრივ, პიროვნებაში არსებობდა ერთი მთლიანი პატრიოტული ჯაჭვი, ყველანაირი ლოგიკის იერარქიის დაცვით, მეორე მხრივ, ადამიანში ჩამოყალიბდა კარიერისტული და პლუტოკრატი ადამიანი, ხოლო ამ უკანასკნელმა იმდენად იძალა, რომ აჯობა პირველს და უძირითადესს, ამიტომ იყო, რომ 1832 შეთქმულების ყოფილი მეამბოხეები შემდეგ ჩინ-მედლებს და იმპერიის მაღალ ხელფასებს იყვნენ დახარბებულნი. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველთა სიძლიერის მწყობრი სული, საბჭოთა იმპერიამ ქრთამის დაფუძნებით დაშალა და ეს არ იყო უბრალო შემთხვევითობა. ამგვარად, ქართველი გაორდა თავისი ბუნებით, მას დამოუკიდებლობაც სურდა, მაგრამ ვერც კომფორტულ ცხოვრებას თმობდა.

მცირე ერებზე ძალზე ფსევდომეცნიერული აზრი გამოთქვა და ეს აუცილებლო-

ბადაც აღიარა ლევ გუმილოვმა, ხოლო ანდრეი სახაროვი კი უფრო შორს წავიდა და საქართველო მცირე იმპერიად მონათლა. გუმილოვი კი ეფერებოდა და ასე ნთქავდა მცირე ერებს: „მცირე ერები საინტერესონი არიან თავისთავადი როგორც ეგზოტიკური, ეთნიკური მოვლენებით, ასევე საინტერესონი და სასარგებლონი დიდი ერისთავის, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან, მაგრამ ისტორიულად უპერსპექტივონი არიან, რადგანაც, რამდენადაც შემწყნარებულნი არ უნდა იყვნენ დიდი ერები მათ მიმართ, საბოლოოდ მაინც უფრო მძლავრი ნაკადების შენაერთებად იქცევიან და ამდენად განწირულნი არიან".

საინტერესოა მაშინ ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა: რამ გადაარჩინა ებრაელი ხალხი 2000-წლიან გაფანტულობას და უსამშობლოობას, ან ქურთი ხალხი, რომელიც სამ უზარმაზარ სახელმწიფოში (სპარსეთი, თურქეთი და ერაყი) არის გაბნეული 25 მილიონამდე მოსახლეობით. ორივეს ჰქონდა ძლიერი სათემო დაწესებულებები, ხალხის შიგნით, სადაც თავმოყრილი იყო სარიტუალო და სამისტერიო ინსტიტუტების მთელი კრებული. ზოგადი პოლიტიკური სიმწიფე, რაც გამოიხატებოდა ახლისა და ძველის ზომიერი შერწყმით, როგორც ზევით ვთქვით, ახალი ცოტა უნდა იყოს ამ თიხაში და ძველი ბევრი, იშვიათად ამ ბალანსის დარღვევა შეიძლება მცირედით. უკვდავი ფორმულით – ნაკლები სიბოროტის არჩევა ორიდან, ასე მივიდა ერეკლე II ურყევ გადაწყვეტილებამდე, შეერთებოდა ერთმორწმუნე რუსეთს და როგორადაც არ უნდა ვაკრიტიკებდეთ ან პატივს ვცემდეთ, ფაქტი ერთია, ერეკლე II-ის გამუდმებული ომები, მიუხედავად იმისა, რომ ათეულობით ომი და 60 ლაშქრობა ჩაატარა და დიდი უმეტესობა მოიგო, მაინც წამგებიანი აღმოჩნდა სახელმწიფოსათვის და ქართულმა გენოფონდმა დიდი დეფიციტი განიცადა. უდავოა, რომ ერეკლეს ყველა ეს ფაქტორი გაცნობიერებული ჰქონდა, რადგან სახეზე იყო გენერალ ტოტლებენის ღალატი და თავხედობანი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს იყო ისტორიული აუცილებლობა და ეს სიტყვა „აუცილებლობა" მთელი სისავსით გაიაზრეთ. კონსერვაციულ კარჩაკეტილობას ან გაწყალებას სჯობდა გადაგველახა იმპერიის მარწუხები.

ახლა კი მივყვეთ იმ ისტორიულ წიაღსვლებს, რაც მან განიცადა მე-20 საუკუნის დასაწყისში და ეს ბედისწერის გარდუვალობით იყო თუ არა გამოწვეული. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, მინდა დავსვა ასეთი საკითხი. ჩვენთან ერთად, მეტროპოლია ფლობდა რამდენიმე ქვეყანას, რომლებიც თავის სიმდიდრით და წიაღისეულით ჩვენზე ბევრად უმჯობესს წარმოადგენდნენ ძლიერთა ამა ქვეყნის წარმომადგენელთა თვალში, მაგრამ არც ერთის მიმართ ისეთ ემოციურ დამოკიდებულებას არ იჩენდნენ, როგორც ჩვენი – საქართველოს მიმართ. მხედველობაშია ჩვენი არდათმობის მოტივი იმპერიისაგან. რა იყო ამის მიზეზი? გეოპოლიტიკური სივრცე, გენოფონდი თუ მისი რასიული დახვეწილობა (როგორც კანტი ამბობს, სპარსელთა ერთ-ერთი მიზანი იყო თავიანთი რასის გაკეთილშობილება). შავიზღვისპირეთი, უიშვიათესად ზომიერი ჰავა და თითქმის ყველაფრისათვის მდიდარი ნიადაგი. მოკლედ, აქ ყველაფერია ჩამოთვლილი, რაც კი ოკუპანტ ქვეყანას უნდა ახასიათებდეს სხვა ქვეყნის დასაპყრობად.

ახლა კი როგორ ხდება ეროვნული დამოუკიდებლობის მიღება. 1917 წლის ნოემბერში საქართველოში ეროვნული ყრილობის მიერ აღიარებული იყო რუსული ორიენტაცია, მაგრამ ამ დროს დაიშალა რუსეთი და საქართველოს ხელბორკილი

შემთხვევით გამვლელმა გაუხსნა და მაშინვე დაუწყო მორიგ მფარველს ძებნა. ასეთები იყვნენ ჯერ გერმანია, მერე ინგლისი. გერმანიასთან ხელშეკრულების მუხლები 1918 წლის 28 მაისს დაიწერა, მაგრამ ეს ურთიერთობა იმდენად უდღეური აღმოჩნდა, რომ მალე საქართველოს საზღვრებთან გენერალ კრესის მცირე გერმანული რაზმი გამოჩნდა, რაც ანგარიშგასაწევი ძალა იყო მტრისთვის, რომლისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ საქართველოზე მეტად ეს კავშირი ეცნო რუსეთის მთავრობას. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი კი თვლიდა, რომ: „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არასოდეს ყოფილა ფორმალურად გაუქმებული და ამიტომ, რუსეთის მთავრობის გარეშეც შეუძლია ცნოს გერმანიამ". (1,37). რაშიც, რა თქმა უნდა, აკ. ჩხენკელი გულუბრყვილოდ ცდებოდა. გერმანიას მარტო დე იურე სახელმწიფო კი არ სურდა, არამედ დე ფაქტოც.

1918 წელს გერმანიაში რევოლუცია დაიწყო, იმპერატორი ვილჰელმი გადადგა და ამდენად გერმანული საყრდენიც საქართველოსთვის უნიადაგო გამოდგა. ამის შემდეგ ევროპის გამარჯვებულ სახელმწიფოებს (ინგლისი, საფრანგეთი) მიაპყრო თვალი და 1919 წლის თურქეთ-ბრიტანეთის დროებითი ზავის კონვენციით, ამიერკავკასია ინგლისელობის გამგებლობაში გადავიდა. ყველაფერს კი წერტილი 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებმა დაუსვა, საქართველო იძულებით დააწვინეს საოპერაციო მაგიდაზე და თავისუფლება კიდევ ერთხელ ამოაჭრეს.

ასევე მოხდა 1989 წელსაც, როდესაც საქართველოს თავისუფლება უფრო დიდი „დერჟავების" კაბინეტებში წყდებოდა, ვიდრე საპარლამენტო ასამბლეებში და ბარიკადებთან. ამგვარად, გამართლდა მტრების ანალიზი და შედარება, რომ მცირე ერები, დიდი ქვეყნის ლოკომოტივის შემადგენლობის ერთ ვაგონს წარმოადგენს, იგი დონორი ერია და ამ სწრაფმავალ რაკეტებზე და ბორბლებზე შემდგარ მსოფლიოში სრულიად მიუღებელია სხვაგვარი არსებობა.

დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად დარჩენას, დაწყებით ეტაპზე მნიშვნელოვნად აპირობებს ძლიერი ეკონომიკა, რომელიც განსაზღვრული იქნება შიდა პოლიტიკური ფაქტორებით და არა საგარეოთი, რათა ვერავინ შეძლოს ჟანგბადის გადაკეტვა გარე ზემოქმედებით. შემდეგ კი ვითარდება, ისეთი საგარეო პოლიტიკური სკოლის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება ყველა ვითარებაში აუცილებლობის დროს ნაკლები ბოროტების არჩევაზე, სამხედრო მრეწველობის ჩამოყალიბებასა და სხვა რიგ ფაქტორებზე.

საქართველოს არსებობა და მისი ისტორიულ-სულიერი ფუნქციის დამცრობა მაინც ჩვენი უნიათობის უცილობელ გარდუვალობად უნდა მივიჩნიოთ. ფილოსოფოსი კ. იასპერსი მსოფლიო კულტურის ისტორიაში მთავარი ერების, ხალხების მონაწილეობაში საქართველოსაც მიიჩნევდა. ღერძული დრო დიდი კულტურის დასაწყისად, არა ძვ. წ. აღ. მე-10 ს-დან დაიწყო, როგორც ეს მიჩნეულია მსოფლიოს პირველ დიდ რეფორმად (ანტიკური ხანის პერიოდი ძვ. წ. X-I სს), არამედ ძვ. წ. აღ. მე-6 საუკუნიდან იწყება და მთავრდება ახ. წ. აღ-ის V საუკუნით. ეს თარიღები მცირედით ცდება რომის იმპერიის საწყის ათვლის წერტილს – 754-753 (ძვ. წ.) წელიწადს. რომის იმპერიის კარნახი მსოფლიო პოლიტიკურ კულტურაზე დღესაც თვალში საცემია და მხოლოდ მსოფლიო კონცერტის ამ სცენაზე, ძალზე ცოტა (8 ან 10 ქვეყანა, სულ კი 240-მდე ქვეყანაა მსოფლიოში) სახელმწიფოები არიან სოლისტის

როლში და ფუნქციებში.

ასეთივე გეგმაზომიერებით იყო ჩართული საქართველო მსოფლიო კულტურის ღერძულ დროში, როგორც დღეს, მხოლოდ ეს არის, რომ სახელმწიფოები თავისი მოცულობითი განფენილობით იმცრობიან ან ფართოვდებიან. მთავარია, რომ მას – საქართველოს კვლავ უკავია უაღრესად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური სივრცე, რომლის მნიშვნელობით, ის ბევრად მეტია საჭიროების მხრივ პოლიტიკური თანამშრომლობისთვის მსოფლიოსათვის, ვიდრე ბევრი 100-მილიონიანი უზარმაზარი ქვეყანა. თუ ამას ჩვენ დავუმატებთ რამდენიმე ათასწლიანი სელექციით მიღებულ გენეტიკურ კოდს, ისინი მუდამ მზად იქნებიან, ხშირად შესთავაზონ კაცობრიობას კულტურის მესაჭის როლი.

ქართველი ერის ისტორიული ფუნქცია

„მიმოიხედე ირგვლივ, ნახე, რა მშვენიერია ეს ქვეყანა ნაქუხილარზე, მიხედე შენს საყვარელ კავკასიონს, სადაც მე და შენ დათვებს, მგლებსა და ფოცხვერებს შევბმივართ ხოლმე.

თვალი მოავლე შენს კახეთს, ვაზებისა და ვარდების ქვეყანას, ნახე ვაზის ყვავილობა, ნამდვილი სასწაული დედამიწისა.“

კონსტანტინე გამსახურდია

ადამიანის და ერის ბუნებაში არაფერია ისე პირდაპირ ერთმანეთზე დამოკიდებული, როგორც ზნეობა და რელიგია, რომელსაც უკიდეგანოდ ეხმარებიან და პირველადი ღირებულების საყრდენი სვეტებია (რელიგიასთან ერთად) ენა, წარსული და მისი საცხოვრისი. ისინი გარკვეულ იდეალურ კონსტრუქციაში ქმნიან მარადიულ, მდიდარ სულიერ წიაღისეულს და ამ საკვებით მუდმივად ეწევიან თვითგანახლებად პროცესს, ფენიქსივით იწვის და თავისივე ფერფლიდან აღსდგება. ამ დროს რეზერვები მათი შექმნის სათავეებშია ჩადებული. მაგრამ, თუ ამ სვეტებს შორის უპირველესობაზე მიდგება საქმე, თავი და თავია რელიგიაა, რომლის სინათლის სიკაშკაშის ფონზე ვითარდება ერის ძლევამოსილება, რადგან მისით ყალიბდება და ვითარდება მიდგომა მოვლენებთან და საკითხებთან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღეს სამოქალაქო საზოგადოებაა სახეზე გამოკვეთილი. დიდ და მრავალრიცხოვან ერებთან შედარებით, რთულია პატარა ერების საქმე, რადგან დიდი ერები, ძალის ან სხვა ხერხებით აღასრულებენ თავიანთ ნეგატიურ თუ პოზიტიურ მისიას. პატარა ერებს კი უხდებათ ბევრად მეტი სამუშაოს შესრულება, რათა მოახდინონ სიმცირის კომპენსაცია და აღასრულონ თავიანთი მისია. მცირე ერი მარადიულ სახელმწიფოს ვერ შექმნის, თუ ამით კაცობრიობის წინაშე ის ფუნქცია არ იდო თავს, რომელიც მსოფლიოს მუდმივად სჭირდება. ერად ჩამოყალიბების და სახელმწიფოს არსებობის საერთაშორისო ფუნქცია,

კი ისტორიული მისიის აღსრულებაა. მაგრამ, ჯერ ამ ფუნქციის მოპოვებაა საჭირო მსოფლიოს წინაშე. ამიტომ იყო, რომ წინარე ქართველურმა ტომებმა – შუმერებმა, ქალდეველებმა, კოლხებმა, ლაზებმა, მუშკებმა (მესხები) და სხვებმა შექმნეს უხსოვარ დროს ზოდიაქალური სისტემა, რათა ამოეცნოთ პლანეტათა განლაგება, ვარსკვლავ-თმიმართულება და ღმერთის მიერ დაარსებულ სიცოცხლის მოვლენაში მიეგნოთ მსოფლიოს განვითარების მიმართულებები. მაშასადამე, წინარე ქართველებმა სამისიონერო და საგანმანათლებლო საქმიანობა იკისრეს სამყაროს დასაბამიდანვე. ამისათვის მათ გონება აღჭურვეს ბრძოლის, ენერგიის და ძლევამოსილების ჟინით. ისიც კანონზომიერებაა, რომ ბედმა და ალბათ ღმერთმა, მე-20 ს-ში ორჯერ მიართვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს ისე, რომ თითიც არ გაუნძრევიათ, რადგან თავის უმეცრებას არ გადაჰყოლოდნენ შემთხვევით და არ დაკარგულიყო მისიონერი ერი. ასე რომ, ხანდახან ღმერთიც წაგვაშველებს ხოლმე ხელს. მხედველობაშია მენშევიკების დროს შექმნილი საქართველოს რესპუბლიკა და ზვიად გამსახურდიას მთავრობა. ხოლო მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იყვნენ ქარში გამოტანილი სანთლები.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდ გზაჯვარედინზე, ამიერკავკასიასა და შუამდინარეთში თამაშდება კაცობრიობის ისტორიის ძირითადი სპექტაკლები. აქ, ამ გეოგრაფიულ ნაწილებში მიეჩინათ მათ ბინა, რათა ყველაზე ხელსაყრელი ყოფილიყო ყველანაირი კულტურის გავრცობისათვის. დღევანდელი ეთნიკურობით საქართველოს შექმნა, ქრისტიანული რელიგიის დაფუძნებამ განაპირობა, თუმცა წინარე ქართულ ტომებში (შუმერები, ქალდეა, კოლხები, ლაზები და სხვები) უფრო იყო მისიონერობა გამოკვეთილი და ახალი ერის დასაწყისიდან დასავლეთმა ქრისტიანული ცივილიზაციის მისიონერებად მიიჩნია ისინი, რომელთაც უნდა შეენახათ და შეეტანათ ეს სულიერება ნაკლებად განვითარებულ ხალხებში.

ზემოხსენებული ზოდიაქალური სისტემის შემდეგ, მათ მეტალურგიით აღჭურვეს ადამიანები, რაც თვისობრივად ნახტომისებური ნაბიჯი იყო პროგრესულ ისტორიაში. სხვა მხრივ, გავხდით ჯერ სპარსეთისა და შემდეგ ბიზანტიისთვის ის ძალა, რომლებიც მომთაბარე და აგრესიული ტომების მოძრაობას გააკონტროლებდა. ქართულ სახელმწიფოში შეიქმნა წესრიგი და სტაბილურობა და არ ყოფილა პერიოდი, როდესაც უფრო დამცრობილიყოს საქართველოს მიწაწყალი, ვიდრე დღეს. ყოფილა, რომ მტერს დაპყრობილი ჰქონია ჩვენი მიწა-წყალის დიდი ნაწილი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ქართული ორგანიზმი ყოფილიყო ესოდენ დარღვეული, უფუნქციო და უმიზნო (ეს წერილი მზადდებოდა 1998-2000 წლებში – ავტ.). დღეს ჭეშმარიტად საძოვარზე მიშვებული გათითოკაცებული ხალხი ვართ, ჯოგის თვისებით, რაც უბიძგებს ადამიანებს მოხვეჭისა და კორუფციისკენ. ეს ყველაფერი მოიტანა ერის მიერ ფუნქციის დაკარგვამ. ზუსტად ასევე დაემართა ოდესღაც ძლევამოსილ რომის იმპერიას, რომლის დანგრევის ძირითად მიზეზად სახელდება კორუფცია, პლუტოკრატია და სხვა ამგვარი.

ქართველი კი იგონებდა ხალიბურ ხმალს, რომ მას მეტალურგიით და მისი ნიჭიერების ფანტაზიით უნდა ეჯობნა მტრისთვის, რომელიც შემდეგ ფოლადის წარმოებას საიდუმლო კოდით ჩაშიფრავდა, რათა მტერს არ გამოეცნო მისი წრთობის ნიშნები და არ ეჯობნა მისთვის. ამგვარი ხასიათით ხდებოდა იმ უზადო სიმღერების შექმნა და ვერცერთი სხვა ერი ვერ დაასახელებს ისეთ მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელიც სამი, ოთხი ათასი წლით თარიღდებოდეს. ძლიერი სახელმწიფო კი, იყო

განვითარებული სავაჭრო გზები, აღმავალი ეროვნული ეკონომიკა, რომელიც აღებ-მიცემობით აკავშირებდა მსოფლიოს საქარავნო გზებს. ასეთი სახელმწიფო კი მუდმივად იყო დარტყმის ქვეშ მოქცეული და მას მუდმივად უნდა ჰყოლოდა რეგულარული გაწვრთნილი ჯარი. ყოველივე ეს ანიჭებდა ფუნქციას, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მისია ეკისრებოდა, იქმნებოდა მაღალი გენეტიკური კოდის ადამიანი და მსოფლიოს მონათა ბაზარზე ყველაზე ძვირად იყიდებოდა კავკასიელი ადამიანი. ყველა ეს მოვლენა ბუნებრივად ანიჭებდა ამ თვისებებს და ფუნქციებს ერთმანეთს და ისინი ჰგავდნენ იმ მექანიზმებს, რომელთა თითოეული ჭანჭიკის გამოცლა იწვევდა ამ ორგანიზმის რღვევას. მოკლედ, სახელმწიფო იყო თაიგული, რომელსაც არაფერი არ შეიძლებოდა გამოცლოდა. არსებობდა ასეთი პრინციპი,ადამიანი აძლევდა ერს ყველაფერს, რაც კი ებადა და შემდეგ იღებდა მისგან ასევე ყოველივეს. შენების პროცესი იწვევდა ადამიანში ვნებების სიმძაფრეს და იქმნებოდა უძვირფასესი ცივილიზებული გრძნობა – პატრიოტიზმი. იზრდებოდა სულგრძელობა, თავდადება, სიყვარული, სიმამაცე, სამართლიანობა, ზომიერება და მიიწევდა ადამიანი ციური თვალშეუვლები სიმაღ-ლეებისაკენ, რაც იყო ერის ისტორიული მისიის არსებობის და თვითგანახლების რეზერვი. ჩემთვის ისიც ნიშანდობლივია, რომ ქრისტეს სისხლი (ღვინო, ვაზი) და ხორცი (პური) საქართველომ მისცა სამყაროს, საქართველოშია ამ კულტურების უპირველესი ნიადაგი და ამ ბუნებრივი კლიმატური პირობების შეჯერებით ხდება ამ კულტურათა ნიადაგის მიღება.

მაგრამ, როგორც ყველაფერში, პოეტის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „ფიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები, თამარს უკრეფია, სულ ოქროს ვაშლები, ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ, სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ, ჩაშლილა ხიდი და ჯვარი ჩარღვეულა, იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა“. – დიახ, ამბობენ, არაფერია ამ მზისქვეშეთში მარადიული და ისტორიული მისიის ფუნქცია დამცრობილა. ჯერ ძველი სპარსეთთან ბრძოლაში დაქანცულა ვახტანგ გორგასალი, შემდეგ არაბებს რამდენიმე საუკუნე გადაუბიათ ამიერკავკასიაში და ბოლოს დამდგარა საქართველოში დიდი თურქობა, დიდი ღამე, რომელსაც მესიის მახვილით, დავით აღმაშენებლის ჭკუითა და სიმამაცით მოსპობენ და მას შემდეგ ას წელზე მეტ ხანს იწყება საქართველოს მზის აღმოცისკრება, მაგრამ თამარის მეფობის შემდეგ საქართველოს დაისი დაწყებულა და მსოფლიოს ჭიანჭველასავით, სტიქიური უბედურებასავით მოსდებია მონღოლი რასა. მათაც ამოუწურავთ თავისი თავი სამხედრო ძლიერებაში და ახლა მათი – მონღოლების დამმარცხებლები სლავ ფეოდალთა სახელმწიფოები განფენილან ჰორიზონტალურ სივრცეში და საქართველოს ტრამალის ხალხებთან წინაბრძოლის ფუნქცია ჩამოურთმევიათ და ისეთი ძლიერების ჟამის მქონე ქვეყნებისათვის, როგორიც ბიზანტია, რომი, ფინიკია და სხვები ყოფილან და დღეს პოლიტიკურ რუკაზე აღარ არსებობს. კარლოს დიდმა რომი ჯერ ორად გაყო, აღმოსავლეთში რელიგიური ხელმძღვანელობა დასვა მმართველად – რომის პაპი, დასავლეთში საერო პირი, ჯერ გათიშეს, შემდეგ დაშალეს და დასავლური ნაწილი საერთოდ მოსპეს, შემდეგ ინკვიზიციის ჭია ჭამდა კათოლიკურ ქრისტიანობას. ევროპის ამ ქვეყნების შესახებ იმიტომ ვსაუბრობთ, რომ ერთმორწმუნე სამყაროსთან კომუნიკაციები დაირღვა და საქართველოს იდეოლოგიური ფუნქცია შემცირდა. ციტადელი ირღვევა, პატარა ციხე-სიმაგრეები მიჰყვებიან მის კვალს. ცოტა ხანში ზღვაოსნობის განვითარებამ, აღმოსავლეთთან

სავაჭრო გზები წყლებზე გადაიტანა და ამით ეკონომიკური ფუნქციაც მოიშალა. ერთ მშვენიერ დღეს გაახილა ქართველმა კაცმა თვალი და აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ფუნქციები გაუქმდა და მსოფლიოს ისტორიული მისია აღარ გაგვაჩნია. ერთ დროს უდიდესი საქმეების მკეთებელი, აგრესორი სახელმწიფოების წვრილმანი კინკლაობის საბაბად და ასპარეზად ქცეულა. ბოლოს თეთრ დათვს უკისრია მისი პატრონობა, მაგრამ ისე იხუტებდა გულზე, რომ რამდენჯერმე ლამის მოახრჩო. რუსეთთან შეერთების ორას წელს, თამამად შეიძლება ეწოდოს ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი, რადგან არავის ისე მძაფრად გარეშე მტერთაგან კავკასიისა და საქართველოს დასაუფლებლად არ უბრძოლია, როგორც რუსეთს. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას ამ ორასი წლის მანძილზე, საკმაოდ საღად ესმოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ისტორიული მისიიდან წარმომავლობის აუცილებლობა, მაგრამ ამ წყლულის მოსარჩენად, ქმედითი ხაზები, ანუ ის უებარი მალამო არ ჩანდა.

ამ მასშტაბებში ეს იდეა პირველად ფარნავაზმა, მირიანმა, ბაკურმა და ვახტანგ გორგასალმა განახორციელეს შუა საუკუნების დაწყებამდე. ტრამალის და სტეპის ხალხებთან წინაბრძოლობის ფუნქცია რომ გაუქმდა, მაშინ დავით აღმაშენებელმა და მისმა პოლიტიკოსებმა წამოსწიეს კულტურულ-ხელმძღვანელის როლის ფუნქცია და ამ მიზნის განხორციელების მტკიცე საფუძველია დავითის პოლიტიკა ამიერკავკასიაში, კერძოდ სომხეთის სახელმწიფოსთვის ბრძოლა და მისი შექმნა. ბიზანტიის სახელმწიფოს ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში შეერყა საძირკველი და მეფე – ქალს შორეული, ერთმორწმუნე სახელმწიფოს მეშვეობით უნდოდა ეს სისუსტე იმით შეევსო, რომ მართლმადიდებელ საქართველოს, მაჰმადიანურ სახელმწიფოებში წესრიგის დამყარებაზე ჰქონოდა პრეტენზია. მაგრამ სამყაროში ამოიზარდა საერთაშორისო სამართლის ისეთი გამქელავი, როგორიც თემურ-ლენგი იყო და ყველაფერი მიწასთან გაასწორა; იგი იყო ყველაზე დიდი აგრესორი, რომელიც კი საქართველოს არსებობის მანძილზე ჰყოლია, თვით სპარსეთის შაჰზე-აბას I-ზე მეტიც. ერეკლე II-ის პოლიტიკა თამარის პოლიტიკის გაგრძელება და განმეორება იყო – საყრდენით ჩრდილოეთში, მახვილით – სამხრეთში, მაგრამ ერეკლეს და თამარის სახელმწიფო ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც გოროზი ფეოდალის და მწირი გლეხის კარმიდამო. ქართველებმა კი რუსეთთან მიახლოება ისე მოახდინეს, რომ მფარველობა კი არა ვასალობა უბოძეს. თუმცა ისტორიულ დოკუმენტებში უფლებების გაფორმება, მაინდამაინც დარღვეული არ იყო. სიცოცხლისა და კულტურის შენარჩუნებაც ფუნქციაა, მაგრამ მსოფლიო საჭიროებისთვის უკვე უვარგისი. ბევრი იფიქრებს, ეს ღონის მოკრების ხანაა, რათა ახალი ნახტომი გააკეთოს შესვენებაგამოცხადებულმა და კამარაშეკრულმა, მაგრამ რევოლუციურ რუსეთს ახალი ავი ზრახვა გასჩენია და უფიქრია ხალხთა ხსოვნიდან ღმერთი გამოეძევებინა და ცხოვრება, სიცოცხლის შენარჩუნების პროცესად ქცეულა, ერთ ქართველს მეორე ქართველთან აღარაფერი აღარ ჰქონია ზიარი მიზანი, ამოცანა და საბრძოლი. რამაც შესაბამისი მანკიერი ზნეობაც ჩამოაყალიბა და დღემდე ისე მიმდინარეობს, ვინც ბევრს მოიხვეჭს მეტ ქონებას შეიძენს, ისაა ყველაზე ძლიერი და თან ამ ძლიერებას სახელმწიფოს ბედნიერებისათვის კი არ იყენებს, არამედ ქართველისავე დასაჩაგრად.

სხვა რა გზაა, ერთმორწმუნე რუსეთის საშუალებით ევროპასთან ახლოს მივედით. შეჩერდა უცხოტომელთა თავდასხმები, ლეკიანობა, რომელიც ერთ-ერთი

მძიმე პერიოდია საქართველოს ცხოვრებაში. ერთი მხრივ, მოსახლეობა განთავისუფლდა ერთგვარი ფეოდალური გადასახადებისაგან და გამოცხადდა „დიდი შესვენება“, იმრავლა ქართულმა თესლმა და ჯიშმა, მაგრამ, მეორე მხრივ, ერი დაემსგავსა ნახირს, რომელსაც ყოველდღე სჭირდება საძოვარი და სხვა ამოცანა მის შეგნებაში არ არსებობდა. საბოლოოდ დაიკარგა ის ფუნქციაც, რომელიც ერის ყოფაში ასე თუ ისე მიმქრალი ჩანდა. ჩამოყალიბდა ახალი ზნეობრივი ღირებულებები: კოსმოპოლიტიზმი, ინტერნაციონალიზმი, გლობალიზმი და სხვა ასეთი. დავკარგეთ ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული უძვირფასესი ღირსებები: ინდივიდუალიზმი, მაძიებლობა, და ის მახლობელი კულტურების და ტრადიციების აღორძინება, რომელსაც ეგზომ დიდი ყურადღებით ფილტრავდა წარმართულ მისტერიებში უძველესი ქურუმები და აეროპაგიული საბჭოები, რომელიც შეხამებული უნდა ყოფილიყო ჩვენს ტრადიციასთან, გეოპოლიტიკურ ზონასთან, ფაუნასთან, რელიგიასთან, ენასთან და სხვა.

იშვიათია მსოფლიოში მეორე ისეთი პატარა ქვეყანა, რომელსაც ჰქონდეს შორეული ისტორიის ისეთი სიმდიდრე, როგორც საქართველოს, მაგრამ დღეს ყველაფერი ეკლექტურად, განურჩევლად შემოაქვთ და დებენ ქართულ ხასიათში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ცუდია, მაგრამ, როგორც ყველა ტანსაცმელი უცხოტომელისათვის მოხდენილი არ არის, ასევეა სხვა კულტურა და ადათ-წესი. ამის მერე ჭკნება მარად ყვავილოვანი და თვითგანახლებადი ყვავილობა, რომლის ძალით ეკარგება ქცევას – სიკასკასე, სიხალისე დუნდება, რაინდობა ჩლუნგდება და იწყება სიცოცხლის უმთავრესი ძარღვის იმპულსების მინავლება.

ისტორია და ცივილიზაცია

მსოფლიოს ისტორია მშვენიერებისადმი ლტოლვით, რწმენით და მისი ორი საწყისით: დიონისურით და აპოლონურით ვითარდება.

რა უნდა იყოს კულტურის მიზანი? ის, რომ ბარბაროსული, ველური ვნებები და ინსტინქტები არ ჩაიძიროს ფსიქიკის შიდა, მთვლემარე შრეებში. ამიტომ, წარმართულ ხანაში კულტურა ვითარდებოდა მითების სახით, სადაც ჩაშიფრული და პროექცირებულია კულტურის ელემენტების პირველადობა, რათა არ აღზევდეს ველურ ძალთა ვნება და არ დაშრიტოს პროგრესული ცივილიზაციის ნაზი ქსოვილი, რადგან არსებობს ხიფათი, რომ დროდადრო არაცნობიერში მომწყვდეული ძალები ამოხეთქავენ და ადამიანში იღვიძებს ველური, ბარბაროსი.

ყველა მითი განსაზღვრულ ეპოქას არის მორგებული და წარმოადგენს საზოგადოების განვითარების საფეხურს.

სიყვარულის გრძნობა ერთადერთია, რომლის საშუალებით ხდება მიახლება-ევქარისტია მშვენიერთან. სიყვარულის შეგრძნების ორი გზა არსებობს: დიონისური – ორგიაიზმით, სექსით და ალკოჰოლით, რაც წარმართული გზაა, და აპოლონური,

რომელიც მშვენიერის შეგრძნებით უახლოვდება სასურველს. ეს უკანასკნელი კი უახლოვდება საბოლოოდ სრულყოფილს ანუ ქრისტიანულს. ერის შექმნისთვის ერთ-ერთი მთავარი სექსუალური კულტურის სრულყოფაა. როგორც ზევით ვთქვით, სექსთან მიმართებაში ორი სტიქია დომინირებს დიონისური – მძვინვარე, აგრესიული, მოხეტიალე, ველური, და აპოლონური – ნატიფი, მოწესრიგებული, მაგრამ ნაყოფიერი სულიერი ამაღლების მიზნით, ისევე, როგორც მთვარის შუქი და კულტი.

მაგრამ წარსულში, ლექსის წერის დროს, პოეტები ცდილობდნენ აემაღლებინათ აზრი ცისარტყელაში კალმის ამოვლებით, საზეიმო და სამგლოვიარო ჰანგებში ჩაწნით. ამის ნათელი მაგალითია გალაკტიონის ლექსი „თოვლი“:

„ძვირფასო, სული მევსება თოვლით,
დღეები რბიან და მე ვბერდები,
ჩემს ცხოვრებაში მე მოვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები“.

გალაკტიონის პოეზია არ უნდა ჩავთვალოთ, როგორც დაბრუნება უკან, ქრისტიანობიდან აპოლონურისკენ. ის უბრალოდ ფორმას, ჟესტს იყენებს პოეტური ქსოვილის შესაქმნელად. გალაკტიონმა რომანტიკული სამოსელი შემოახვია თავის განცდებს, გადააქსოვა თავის მწუხარება და ასე შექმნა დაკარგული სატრფოს მითი, ისევე, როგორც მან გენიალურად შექმნა და გამოიგონა მისთვის არარსებული, მაგრამ იმდროისთვის საყოველთაოდ ცნობილი უმშვენიერესი მერი შერვაშიძე.

ანტიკურ ტრაგედიაში სიკვდილი განხილულია როგორც ესთეტიკა, ხოლო დაცემა – ამაღლებად. ქრისტიანულში ადამიანის სული უფრო სრულყოფილია და იგი განაგრძობს არსებობას სამოთხეში უცოდველობის დროს.

მელანქოლია, სევდა, მწუხარე მზერა – საწუთროს ამაოებას გვამცნობს და განწმენდის, კათარზისის საშუალებაა წარმართულში და ანტიკურში, ხოლო ქრისტიანულში სინანულის, რომლის საშუალებით უნდა სრულყოს გონება და სხეული ადამიანმა.

ველური ინსტინქტები ემხობა მაღალ იდეალთა წინაშე და ადამიანი უპირველესად აწარმოებს ამ ბრძოლას უკეთესის შექმნისათვის. ამიტომ შემოაქვს პოეტს შთაგონების წიაღში ანგელოზი, როგორც ზეციური სიწმინდის ნიშანი და აპოკალიფსური ქარიშხლის – სიმბოლოც, სადაც ეს უკანასკნელი სიახლის და რეფორმის ქვეტექსტი უნდა იყოს.

ველურიდან კი ადამიანმა მითით გამოაღწია და მითმა ატარა მსოფლიო საზოგადოება რამდენიმე ათასეული წელი. მითით იკვალავდა გზას კაცობრიობა. შემდეგ ნიცშემ შექმნა ზეკაცის მითი, რომელიც ძალაუფლების ნებაში განხორციელდა და ქრისტეს დაუპირისპირა. ზიგმუნდ ფროიდმა ახალი მითი სექსში დაინახა, მარქსმა – კლასთა ბრძოლაში, აინშტაინმა – ოთხგანზომილებიან სამყაროში, ვაგნერმა – ნიბელუნგებში. კულტურის განვითარების პროცესს ტოტემური, ანიმისტური, პანთეისტური და სხვა კულტები და რიტუალები ფარავენ. ეგვიპტური და შუამდინარული მითები ხელოვანის ფანტაზიას წარმართავდა შორეული ძირებისაკენ, კაცობრიობის ბავშვობისაკენ, რომელსაც დავიწყების ნისლი ჰფარავს. მაგრამ შემოქმედი ატავისტურად ცოცხლობს მითოსში და ის ახდენს არამარტო რესტავრაციას ან აღდგენას, არამედ ფანტაზიას, თხზვას და გამოგონებას. რაც დრო გადის, ადამიანი ხვდება თავისი

ბიოლოგიის უნივერსალობას და მის განვითარებას შინაგანი ნების წარმართვას რეალობისაკენ და დაუოკებელი სწრაფვა ყველაფერი სტიქიის თუ სხვა რაიმის დამორჩილება — დათრგუნვაა. ადრეულ პერიოდში ადამიანი ცხოვრობდა სამყაროში, როგორც საკუთარ სახლში, ახლა თავის მიკროსამყაროში შეუძლია მოძებნოს და დაიტიოს მთელი სამყარო. თუ განვითარების პირველ ხანებში საზოგადოებრივ სიმრავლეს და ერთობას ესწრაფვოდა, შემდეგ განდგომას ცდილობს და ამით საკუთარი ინდივიდუალობის პრიმატს ქმნის, რომელიც პერსონალური თვითდამკვიდრების და დამოუკიდებლობის საშუალებაა. შემოქმედება ამ თავისთავადობის ერთ-ერთი ძირითადი ბაზაა.

ადამიანში კი რაც უნივერსალური და თავისთავადია, ბუნების ნაბოძებია, ხოლო რაც ნორმისმიერი — კულტურის მხრიდან შეძენილი. ხელოვნება ეს არის მარადიული საბადოს ძებნა, რომლის საშუალებით ქმნის კულტურის პროდუქტებს. ყველა გენია თუ ტალანტი არის კერძო და სახელობითი პროგრამა, რომელსაც გაოცების წყალობით შრეებად ამოაფენს თავისი გონების საბადოდან. ეს საბადო ყველას აქვს, მხოლოდ რჩეულნი და საგანგებონი აგნებენ მათ. მის მისაგნებად საჭიროა არა იაფი ან ძალდატანებით ორიგინალობა, არამედ თავისთავადობის და ინდივიდუალობის ბუნებრივი წარმოჩენა, ყოველივე ამას ფრთხილად გაშიშვლება და დამორჩილება უნდა. ამ დროს ბიოლოგიური ენერგია გარდაიქმნება სადა, ნათელ, უნივერსალურად მარტივ და ყველასათვის ხელმისაწვდომ ხელოვნებად, რომელიც აღიზიანებს ესთეტიკისადმი მგრძნობიარე რეცეპტორებს და რეფლექსებს და ტვინში შმაგი ემოციით დარბიან აღმგზნები განცდები. ამ დროს სიგიჟის ატომებითაა დამუხტული გონება და ეს შეშლილობა და ველურ ძალთა თარეშია, პირველყოფილის მსგავსად. მსგავსი აურა ჩემს არსებას მუდმივად მოიცავს ქართული ხალხური სიმღერების მოსმენისას.

გეოლოგიური ფენების მსგავსად, ახალი ინფორმაციები ეფინება გონებას და ეს ჭეშმარიტების პოვნაა, სიტყვათა გაუცხადებელი მიგნება და გამხელა. ამ დროს ხელოვანი არის სიტყვად ქცეული მედიუმი, რომელიც გონების შუქს ისე გამოსცემს, რომ ზუსტად არც იცის როგორ და რანაირად იცის ზოგი რამ, მაგალითად, წინაპართა ძახილი და გამოცდილებაა მისი ნიჭიერება, ასევე უკვე ნასწავლი ტექნიკა და ოსტატობა. ამ დროს ხორციელდება სულის ზრდა და იგი სამყაროს ცენტრად წარმოისახავს თავს. ხელოვნების წიაღი კი მოცული აქვს ყოველივე არსებულს და ეფემერულს, გაჟღენთილია ყოფიერისა და ცნობიერის შუქ-ჩრდილებით, როგორც შეცნობილის და შეუცნობ იდუმალ ძალთა დაბოლოება.

ზევით აღწერილი არის მიახლებითი ლაბორატორია, რომლითაც ხორციელდება მსოფლიო ისტორია და როცა ერი კარგავს პოლიტიკურ თავისუფლებას, უნდა გაამაგროს ეროვნული კულტურის ბაზა, ეს მან უნდა იკისროს თვითშენახვის კოდის მისია — ჩაშიფრვით, შეპარვითი და შემოვლითი გზებით.

ამ დროს ერის პატრიოტი შვილები, პოლიტიკურად დაწნეხილ სულს პოეზიის და ხელოვნების ჩეროში იბრუნებენ. 1923 წლის 1 იანვარს პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „პოეტები ბრუნდებიან ხელოვნების ელისეის მინდვრებიდან, ბრუნდებიან პოეზიის ელიზიუმიდან და როგორც ელიაზირი, ითბობენ თავის გაყინულ სხეულს სინამდვილის მზეზე. სიმაღლეების სუსხიანი ქარის შემდეგ, მომხიბლავია ბარის თბილი ნიავი. ეს არის დაბრუნება მიწასთან“.

ამ დროს იგივეა, ანალოგიად მივიჩნიოთ, რომ აპოლონური ნათელიდან დავბრუნდეთ უკუნ დიონისურ ღამეში. ასევე იცვლება ბრძოლის ხერხები და ახალ დროში – გმირს ბრძენი და მოხერხებული ცვლის, მკლავს – ჭკუა, მახვილს – წიგნი, ბრძოლის ველს – დარბაზი, არისტოკრატს – ინტელიგენტი.

ცივილიზაცია და დუმილი

ესწრაფეთ მშვენიერებას და თუ თქვენ აღმოაჩენთ სილამაზის კანონებს, მიხვდებით, რომ ეს მიგიყვანთ მარად იდუმალის კარებთან.

ეპიგრამად მოყვანილი ცნების გამზიარებელთა წარმომადგენლების და საზოგადოების წევრები ამ ცნების ქვეშ გულისხმობენ ხალხს, რომლებიც მაღალი კულტურისნის ნიშნით არიან აღბეჭდილი. არცთუ იშვიათად ამბობენ დამატებით – როცა სურთ რაიმე სრულყოფილად გამოვიდეს, ზნეობის ნორმის ფარგლებში უნდა გადაწყვიტონ საკითხი და კიდევ ამბობენ, რომ ამ საკითხს ჩვენ გადავწყვეტთ ცივილიზებულად და ა. შ.

მიუხედავად ყველაფრისა, არაერთხელ გამოუთქვამს ცივილიზებულ ადამიანთა მთელ წყებას მკაცრი საყვედური ცივილიზაციის მიმართ: ცივილიზაცია ბუნებაზე მოპოვებული გამარჯვებაა, რომელიც ავიწროებს და კლავს ბუნებას; ცივილიზაცია თავისთავად კულტურა არ არის, იგი მხოლოდ იარაღია კულტურის; ყველაზე დიდი უბედურება ცივილიზაციისა ის არის, რომ მისი ნაყოფია სწავლული ბრიყვი.

ყველაფერ ამას კი აკეთებს ადამიანი, რომელიც უფრო ცივი, რაციონალური და ანგარიშიანი გახდა. დღეს უკვე აღარ არიან სენტიმენტალური თუ რომანტიკული პიროვნებები, ისინი ამის მაგივრად ჩაიძირნენ მარტოობის და ფილოსოფიის გარემომცველობაში და აქედან ეძებს ახალი სიმაღლეების გზას. ერთი სიტყვით, კაცობრიობა მიდის უფრო პროზისკენ ვიდრე პოეზიისკენ, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვთქვათ, რომ უგემოვნობის გამო ხდება ეს. მე ვფიქრობ, კაცობრიობამ ამოწურა რომანტიზმის და სევდის ის მარაგი, რაც მას აქამდე ჰქონდა დაგროვილი. გამოცხადებულია წუთშესვენება, რომელიც რამდენიმე ათეულ წელიწადს გაგრძელდება და შემდეგ შეიქმნება ახალი ჰამლეტი, ვერთერი, ლოტე, მანფრედი და სხვები.

ერთი კი ცხადია, ადამიანი ხდება უფრო დამოუკიდებელი, მეტად მტკიცედ დგას ფეხებზე, ვიდრე წინათ და მასთან ერთად მოდის უფრო მეტი შინაგანი თავისუფლება. უბრალოდ დღევანდელი ადამიანების გრძნობის სიმს იოლად ვერ შეარხევ და ეს. მისი განვითარების შედეგია. ძველი რომანტიკა კი ცოტაზე მეტად მობერდა. ამასთანავე აღარ ჩანს ლიდერი, ახლა უფრო ინტეგრირებული საზოგადოებებია მოდაში.

შევთანხმდეთ, არიან მარტოსულებიც და მცირერიცხოვანი საზოგადოებებიც, ოღონდ ნუ ვიტყვით, რომ ემოციებისგან დავიცალეთ, სხვა დოზის და სხვა ხარისხის ემოციები და გემოვნებებია საჭირო.

როდესაც ვსაუბრობ ადამიანის ცვლილებაზე ახალ ცივილიზაციის გარსში,

ერთს აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი, მაღალი კულტურის ხარისხში მიღებული არ არის ბევრი ლაპარაკი. ლაპარაკობენ იმდენს, რამდენიც საჭიროა ან აუცილებელი. ძალიან ბევრი გადმოიცემა დუმილით, თვალების და, საერთოდ, პლასტიკის მეშვეობით.

სიჩუმემ ალბათ ყველაზე მეტად იცვალა ფერი და მიიღო ოქროს ხარისხი. დღეს გაცხადდა ყოფითად, რომ ამბობენ – დუმილი ოქროა, ლაპარაკი ვერცხლი. ფიქრს ცხოვრებასა და ფილოსოფიაზე სიჩუმე აძლევს ადამიანს ემოციის მუხტს და იშვიათად განმუხტვის. შინაგან სიმშვიდეს მიყავს ადამიანი ფსიქოლოგიურ რელაქსაციამდე, რომელიც თავის მხრივ უდიდეს ზემოქმედებას ახდენს სხეულის ფიზიკურ სიჯანსაღეზე.

ზოგადად ცნობილი, რომ იქ, სადაც ვერ ერკვევი, დუმილი უფრო საჭიროა თუ ლაპარაკი, ე. ი. როცა ორივე სასწორზე დევს, სიჩუმე სჯობია.

დუმილით იხსნიან სტრესს და დაძაბულობას. იმათ, ვისაც ხშირად აქვთ კონფლიქტი, უნდა გადავიდნენ სიჩუმის აღქმის ტექნიკაზე. ისინი, ვინც გადადიან ამ მეთოდზე, გარკვეულ პერიოდში ადამიანებთან და შინაგან სამყაროსთან ამყარებენ სრულ ჰარმონიას. სიჩუმის ფუნქცია ძალზე გაფართოვდა კინო და სასცენო ხელოვნებაში და, საერთოდ, უნდა ითქვას, დუმილის ასეთი ტენდენცია თანამედროვე უახლესი ისტორიის და ცივილიზაციის ერთ-ერთი დიდი ელემენტია.

ცივილიზაციის შექმნა

ცივილიზაციის ქმნადობა თავისთავად ყოველთვის არ არის კულტურის გამარჯვება თუ მასში მარადიული თვითგანახლების კვირტები არ აღმოცენდება.

ადამიანთა შეგნების და გენეტიკური კოდის განვითარებამ გამოიწვია, რომ ადამიანის სულიერი სამყარო და სახელმწიფოებრივი მოწყობა ყოფილიყო უფრო უნივერსალური და სრულყოფილი, ვიდრე ის იყო იქამდე, როდესაც კაცობრიობამ ამ სფეროებში დიდი ნახტომი გააკეთა. ეს პერიოდი ანტიკურ ხანად (ძვ. წ. X-I სს) იყო სახელდებული, რადგან პირველი განაცხადი მაღალ სულიერებასა და სახელმწიფოებრივ წყობაზე ამ დროს ჩნდება.

ეს პროცესი ბუნებრივად ბადებს მისთვის საჭირო სიტყვებს და ტერმინებს. ასე შეიქმნა ლათინურ ენაში ცივის – მოქალაქე, ცივილის – სამოქალაქო; ბერძნულში პოლის – ქალაქი, საზოგადოება, სახელმწიფო, პოლიტის – მოქალაქე, პოლიტეია – სამოქალაქო. ტერმინი „კულტურა“ წარმოსდგება ლათინური cultura-დან, რომელიც თავდაპირველად სიტყვასიტყვით ნიშნავდა გამოყვანას, გაზრდას, კულტივირებას სოფლის მეურნეობაში. და როგორც მიწა ითხოვს გლეხისგან მის დამუშავებას, ასევე ფილოსოფიაა სულის კულტურა და ყოველი ადამიანისგან საჭიროა სულისა და გონების მუდმივი წვრთნა და ვარჯიში, – ამბობდა ციცერონი.

კულტურას და ცივილიზაციას რჩეული პიროვნებები და საზოგადოებები ქმნიან

და ისინი აზროვნების პრაგმატული ფორმებიდან, საწყისი ეტაპებიდან გადადიან პოეტურ-მხატვრულ მაღალ ეტაპზე. ამ ციკლის მუდმივი მონაცვლეობა არის საფუძველი საზოგადოების ცივილიზებული და კულტურული ფორმების განვითარების.

მიუხედავად ამისა, ცივილიზაცია და კულტურა ძალზე ახლო მდებარე მცნებებია ყველანაირი მიმართულებით, მისი სრული დეფინიცია – გახსნა ჯერ კიდევ არ არის თანამედროვე ისტორიაში მოხდენილი, რადგან ერთნი მიაწერენ კულტურას უფრო, შედარებით ნაკლებ დიაპაზონს ვიდრე ცივილიზაციას, მაგრამ უმთავრესად ორივე მცნება იდენტურ მნიშვნელობად არის ნახმარი ისტორიის სამეცნიერო ბრუნვაში. თუმცა პირადად მივიჩნევ, რომ უმეტეს შემთხვევაში კულტურა თავის ბუნებით, უფრო ფართო მომცველობის და მაღალი კოსმოპოლიტიზმის თვისების მატარებელია და იგი ემყარება მონათესავე ეთნოსების სინთეზს, როდესაც ცივილიზაცია თავის არსში მოიცავს და აერთიანებს თვით უმნიშვნელოდ მონათესავე ეთნოსებსა და ენობრივ ოჯახებს და განსაზღვრულ პერიოდს.

არც ერთი ცივილიზაცია და კულტურა არ განვითარებულა ეროვნული იდეის გარეშე და არ ჰქონია ადგილი მსოფლიოს ისტორიულ პროცესში ისე, თუ ამ ორი დიდი მოვლენის წიაღში არ არის სრული თანახმობა და ჰარმონია, სახეზეა დიდი ეროვნული წარმატება და მისი ევოლუციური განვითარება, თვითონ იმუშავებს ახალ კვირტებს და ჟანგბადს ახალი სიცოცხლისათვის. ერთი სიტყვით, იგი არ ბერდება და ფენიქსივით თავისივე ფრთების ხანძარში წარმოშობს ახალ იმპულსებს, ახალი ციკლური პერიოდისათვის, მაგრამ თუ მან დაკარგა ორიენტიერი, იწყება მისი გამოფიტვის პროცესი, რაც არცთუ იშვიათად თავდება სრული კრახით და განადგურებით.

მოვლენათა მუდმივი დიალექტიკა და განახლება არის საფუძველი კულტურის და ცივილიზაციის განვითარების. საბედნიეროდ, ისეა სამყარო მოწყობილი, რომ სანამ არ ამოიწურება ძველი, მანამ ახლის ასაშენებლად არ დატოვებს ძირებს და კვირტებს ახლის დასაბადებლად. ამგვარად, ეს არის მარად ცოცხალი დინამიკური და მოძრავი კატეგორია. ამ პროცესში აქტიურად დიდი სექტორების სახით წარმოდგენილი არიან სახელმწიფო იდეოლოგია, ენა – მწერლობა და ხელოვნება, სოციალური ფენები, რელიგია, როგორც ქვაკუთხედი, და სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორც მართლმსაჯულების და ზომიერების განმსაზღვრელები. საზოგადოება კი იქმნება დიალექტიკაში ჩადებული პოლარულ ტენდენციათა ურთიერთდამოკიდებულებაში და თუ ერთ-ერთი ტენდენცია არის მიმართული ორგანიზაციულობისაკენ, სტაბილიზაციისკენ და თვითწარმოებისაკენ – რაც ქმნის კონსტრუქციულ მოდელს, მისი პოლარული ფორმა კი იწვევს მის კრიტიკას, მსხვრევას, ცვლილებასა და თვითგანახლებას. ერთი სიტყვით, კამათია ზომიერი კონფლიქტების დონეზე და იწყება იდეების და აზრების წრთობა. ტყუილად არ უწოდებდნენ ინგლისში ოპოზიციას ერის სინდისს. აშშ-ის შექმნის საწყის ეტაპზე უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა ჯეფერსონის და ჰამილტონის მუდმივ „დუელს" სახელმწიფო მოწყობის საკითხზე, ისინი ორივე მართლები იყვნენ და საბოლოოდ ისე გაჯერდა მათი სახელმწიფო წყობილება და მექანიზმები, რომ დღეს მათი თანაბარზომიერი ბალანსი, მხედველობაშია მართვის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები, არის იმ კულტურის თვითგანახლებადი იმპულსების მატარებელი, რაც მათი მართვისა და პოლიტიკის სფეროში ჩაიდო.

ძველი ცივილიზაციებიდან სპარტამ, ეგვიპტემ, სხვა ბერძნულმა პოლისებმა,

კერძოდ ათენმა, ვერ შეძლეს განვითარების გზების მოძებნა და ისინი გაყინული ცივილიზაციების სახით დაკონსერვდნენ. ვერ გადაადგილდნენ დროში იმის გამო, რომ მათი განვითარების კალაპოტში არ მონაწილეობდა ერთ-ერთი მთავარი კომოპონენტი ან ძლიერი, ჭარბი დოზით მონაწილეობდა რომელიმე ელემენტი. მაგალითად, ძველი ათენი დაადგა კოლონიზაციის გზას ხმელთაშუა ზღვის აუზში, სპარტა ჩაიკეტა საშინაო პოლიტიკაში და უცხო გარემოსთან კავშირი გაწყვიტა, ძველი რომი ცალსახად კორუფციამ და პლუტოკრატიამ დაანგრია. ჩვენ ზევით ვახსენეთ, რომ კულტურის და ცივილიზაციის განვითარება მოითხოვს სრულ ჰარმონიას და თანახმიერებას, მაგრამ, გარდა ამისა, თუ ამ ფარმაკოლოგიური პრეპარატის შექმნისას, დაცული არ იქნება შიგ შემავალი ვიტამინების დოზირება, ის უეფექტო იქნება. უტყუარია, რომ ბუნებრივი და ველური მდგომარეობიდან ადამიანი გამოვიდა გრძნობადი გემოვნების არეალით – მას მოეწონა სითბო, ბგერა, სახელმწიფოებრივი წესრიგი და მან იწყო თანდათანობითი ლტოლვა ტკბობადი საგნებისაკენ და ამ შემოქმედების აქტში, იგი ანალოგიებს აკეთებდა და ბაძავდა ბუნებას. აქ ორი ასპექტი მუშაობდა – რაციონალური ანუ პრაგმატული და ირაციონალური – სულიერი. საზოგადოება კი დაახლოებით ასეთი სქემით უნდა შექმნილიყო, პირველად იქნებოდა – ბუნებითი ადამიანი, შემდეგ ველური – ბარბაროსი, ძველი შუმერის და ქალდეას ადამიანი – როდესაც პირველად ვითარდება ხელოვნება და მეცნიერება, ძველი ანტიკური ხანა (ძვ. წ. X-ი ს) თავის ელინიზმით (ძვ. III-I ს), საბერძნეთის მოქალაქე – რომელიც ატარებს საზოგადოების არსებობის ყველა კლასიკურ ელემენტს, ძველი რომი და აქამდე ყველაფერი მიმდინარეობდა წარმართული რელიგიის და მითოლოგიის ბაზაზე, შემდეგ ადრექრისტიანული ხანა და ნეოპლატონიზმი, რომელშიც მოხდა სინთეზი წარმართულის და ქრისტიანულის, შუა საუკუნების ხანა (XV-XIX ს.ს.) და რენესანსი (XII-XVII ს.ს.).

სავარაუდოა, რომ ადამიანს ადრეული ბარბაროსის ხანაში ექნებოდა ტკბობის განცდა, მაგრამ ცივილიზაციის სიღრმეში ჯერ კიდევ არ მოიწევდა ესთეტიზმით, არამედ ის ჯერ კიდევ ბუნების მისტიურობის ტყვეობაში იყო. აქ იდგა მისი განათლება, მაგრამ სულის მაღაროში ჯერ კიდევ ბეჯითად ამტვრევდა ცნობიერებას ძვირფას მარგალიტებს. მხოლოდ ანტიკურ ხანაში შებედა ადამიანმა ღმერთებს სიახლოვე და თვით მითოლოგიურ სიუჟეტებშიც მოჩანს, თუ როგორ ებრძვის მოკვდავი ადამიანი ღმერთებს, თუნდაც ქართველების ამირანი (ჰერაკლე, ჰერკულესი), რომელიც ძვ. წ. აღ-ის XV საუკუნეს აკუთვნებენ და ძველი შუმერული გილგამეშიანის გაგრძელება უნდა იყოს. შემოქმედებითი პროდუქტი ორი ძირითადი ხაზით განისაზღვრება – სულიერი პლასტი, რომლის ნიმუშის არსი, იდეა და ფორმა – სულიერი არსის გამოხატვის საშუალებაა და მეორე – ასტრალური (ემოციები, გრძნობები). დავაკვირდეთ სულიერების განვითარებას. ის ყოველთვის ბუნებრივად იწვევდა ხელოვნების ანუ ესთეტიზმის და გემოვნების წინსვლას.

ამგვარად, სულიერ პლასტს მოსამზადებელ ბაზას უმზადებს მხატვრული ფორმები ანუ ხელოვნებაში დანთქმული გემოვნება. ამ უკანასკნელის გაძლიერების შემდეგ შეიქმნება აზროვნების ახალი დარგი ესთეტიკა.

ასეთი მასშტაბური რეფორმების დროს წინამძღოლად გამორჩეული მამაცი ადამიანები გამოდიან, და შემდეგ მასები. ხშირად მამაცი გმირები იღუპებიან, მაგრამ

მათი მიმდევრები და საქმე რჩება და ისტორიის ბორბალს ვერაფერი გააჩერებს.

ცივილიზაციის და კულტურის მდინარებისას ყველაზე დიდი მნიშვნელობა გააჩნია ენისა და რელიგიის ძლიერებას. ამიტომ, პატრიოტი ადამიანი მუდამ უნდა იდგეს ამ სფეროთა სადარაჯოზე.

ამგვარად, ცივილიზაცია არის მუდმივად მოძრავი დინამიკური და ელასტიური ფორმა, რაც მეტადაა ეს ელემენტები განვითარებული, მით მეტია წარმატების შანსი მათი სიცოცხლისათვის. ეთნოკულტურა არის მცირე ფორმის ცივილიზაცია, რომლის მიზანი უნდა იყოს, რომ შექმნას ბაზა დიდი ცივილიზაციის შექმნისათვის. არსებობს მაღალი კულტურები, რომლებიც თავის მომხიბვლელობით კარნახობენ ღირებულებათა მოდას მატერიკებს და მთლიანად პლანეტას ათასწლეულების მანძილზე და არის მცირე, ლოკალური ეთნოკულტურებიც, რომლებიც ვიწრო და მახლობელია მხოლოდ მცირე ჯგუფებისათვის და ცალკე ქმნიან ერთ საერთო, დიდ ოჯახებს. ასეთ სურათს იძლევა საქართველოს კულტურის განფენა, რადგან გუდამაყარს აქვს განსხვავებულიც და საერთო ზიარი კულტურაც მეზობელ ეთნოსთან, ერთმანეთთან და იქვე ახლო მდებარე სხვა კუთხესთან. საფიქრალია, რომ ეს კულტურის შექმნის საწყის ეტაპზე იქნებოდა ჩადებული – მსგავსი და განსხვავებული იმის გამო, რომ ახალი შექმნილიყო და ძველის იმ მიზეზით, რომ, ის უნდა ყოფილიყო ხერხემალი და გადაბმის ხაზები.

იქნებ ვინმეს შემთხვევითი ჰგონია, რომ მონოთეისტური რელიგია შეიქმნა სწორედ ეგვიპტელი ხალხის წიაღში, მრავალღმერთიანობა – საბერძნეთში, ცივილიზებული სამყაროს დასაბამში, ხოლო აზროვნების და ტექნიკური განვითარების ფუნქციას იღებენ ქართველთა წინარე ტომები – შუმერები, ქალდეველები, კოლხები, ლაზები და სხვები. ეს ყველაფერი ისევეა, როგორც ქრისტეს დაბადებამდე 700 წლით ადრე, როდესაც მოგვები, წმინდანები და წინასწარმეტყველები უკვე საუბრობდნენ ქრისტეს მოვლინებაზე ამ ქვეყანაზე. ჩემი ღრმა რწმენით, სამყაროს არსებობის კოდში ეს იყო ჩადებული და ჩაშიფრული, რადგან ეპოქები იძლევიან ისეთ სურათხატებს, რაც საკმარისია მომავლის პროგნოზირების საქმეში.



აკვანება. VI ს.

ვერიდოთ ბრბოდ გადაქცევას

„არს ჟამი შეტევისა“ და „არს ჟამი სილტოლვისა“
„ქართლის ცხოვრება“

ანუ ადამიანმა უნდა იმოქმედოს დროის აუცილებლობის კანონით. ისტორია კი ბუნებრივ, არაძალდატანებით ვითარებაში კანონიერად არსებული ორსული ქალის ნაყოფთა გადაბმული ჯაჭვია, თუმცა არცთუ იშვიათად გამოერევა ამ კანონიერებაში მეძავი ქალი, რომლის ნაყოფი, თუ საშიშროების შემცველია ბევრად ფრთხილად უნდა მოაშორო, ვიდრე კანონიერი. რადგან, ისტორიის თვისობრივი განახლებისას, ხშირად რევოლუციური წიაღსვლებია მისთვის თანამდევი, რომლის პირველი ბიძგები ჯერ ბრმა ბუნტარიზმში გადადის და შემდეგ სრულ ქაოსში. როგორც ყოველთვის ასეთი მდგომარეობები აღმოცენდება არსებულის უარყოფის ბაზაზე და წარსულით გადაღლილები ყველაფერზე მიდიან მის შესაცვლელად. ყოველივე ამას მასების აღტყინება ასაზრდოებს და იმდენად საამოა ვნებების ეს ქავილი, რომ არაერთი მტკიცე და დესპოტური სახელმწიფო შექმნილა და გაუსწორებიათ მიწასთან. ყოველივე ეს კი ეროვნულის, სოციალურის და თავისუფლების იდეის სახელით ხდება, სადაც უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული იდეა მარადიულია, სოციალური ხანმოკლე და ფეთქებადი, ეროვნული იდეა რაინდულია, მას მახვილი უჭირავს, სოციალური პლებეურია, ნაჯახი უკავია. პირველზე ბევრს ლაპარაკობენ, მეორეს ეტრფიან, რადგან აქ ფუფუნებაა და პირველს ეს უკანასკნელი სჯობნის ხალხის თვალში. ეროვნული იდეა საყოველთაო რომ გახდეს, სოციალური უნდა გაიაროს. ეს ხშირად სახიფათო გზაა და მათი შეჯვარებით არცთუ იშვიათად მიუღია ფაშიზმის მაგვარი. შემდეგ კი ამოქმედდება ფრიდრიხ II-ის სენტენცია, „თუ სხვისი მიწა მოგწონთ დაიკავეთ, იურისტები კი ყოველთვის გამოჩნდებიან, რომ თქვენი მოქმედება გაამართლონ, — ტირანიაც და ამორალიზმიც, ისეთი ანტიმენციერებაა, რომელიც ყველაფერს გაამართლებს და ახსნის ლოგიკურ ჯაჭვში. ეს ტირანიული სახელმწიფოს კრიტიკა, თავნება ისტორიის ლოგიკის ფენომენია, სადაც აბსურდი ნორმაში ზის და ნორმა აბსურდში.

ლევარდ ტუხაშვილი

სიტყვა ბრბოს ნიშანთვისებათა ერთობლიობა მიღებულია ამგვარი განმარტებით: ინდივიდთა და პერსონათა გაერთიანება ნებისმიერი საბაბით, რომელზეც მთავარ წამყვან ძალას და ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ეგზალტაცია და ემოცია და მანკიერ და ნარკოტიკულ ვნებას აღძრავს ადამიანის ბუნებაში. ხშირად ადამიანები ურთიერთკამათის ნიადაგზე, საკუთრივ პერსონალურად გადაიქცევიან ბრბოს ფსიქოლოგიის მატარებლად და ახდენენ მკვლელობას, კატასტროფებს, მაგრამ ის ამ დროს არ არის ბრბოს წევრი, მაგრამ მოქმედებს ბრბოს წევრისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. ბრბოს წევრად ქცეული ადამიანი კი კარგავს პერსონიფიცირების და ინდივიდის ფუნქციას, ქრება როგორც პიროვნება და მისი წარმართველი ძალა

ხდება ნებისმიერის მიერ სულიდან ამოძახალი ემოციური განწყობა. ბრბო ყოველთვის ნიშნავდა და ნიშნავს ადამიანთა სიმრავლეს, მაგრამ ერთი ადამიანი როდესაც იძენს ბრბოსთვის დამახასიათებელი აგრესიის განურჩევლობას, ამ მხრივ ის ყოველთვის ენათესავება ბრბოს.

ბრბოს ნაწილი, გარკვეულ სოციალურ გარემოში შეიძლება იყოს მშვიდი ჩინოვნიკი ან სახელმწიფო მოხელე, ხოლო სათანადო გარემოს შექმნისას, ისინი ემსგავსებიან ისეთ აგრესიულ ქარიშხალს, რომელთა შემხედვარე წყნარ მდგომარეობაში, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენ ასეთს, მაგრამ სოციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი გუსტავ ლებონი აღწერს, რომ: „კონვენტის ყველაზე სასტიკ წევრთა შორის იყვნენ გულმოწყალე ბურჟუები, რომლებიც ნორმალურ ვითარებაში უწყინარ ნოტარიუსებად ან საპატიო მშვიდობიანი თანამდებობის პირებად მოგვევლინებოდნენ. ქარიშხლის შემდეგ ისინი დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას და სწორედ მათ შორის ნაპოლეონმა ჰპოვა თავისი უერთგულესნი მსახურნი“. რა მოხდა ნეტავ? ნუთუ დაიღალნენ აგრესიის და სისასტიკის ერთფეროვნებით, ან იქნებ ღმერთმა დაივანა მათში და ღვთის მოშიში გახდნენ? ადამიანი ველურიდან სანამ გამოაღწევდა და მივიდოდა ჰომო საპიენსის ხარისხამდე, ცხოვრობდა ბრბოს ფსიქოლოგიით. ამგვარად, მასში ძინავს გონების ამ უჯრედებს და დროდადრო იღვიძებს, შემდეგ კი კვლავ ციკლური მონაცვლეობით მეორდება. ცივილიზებული და კულტურული ადამიანი არ ემორჩილება ბრბოს კანონებს და თუ დამორჩილდა ძალზე ძნელად, ე. ი. მისი პირიქითი სურვილის წისქვილზე უნდა დაასხას წყალი. ამგვარად, ის ამ ბრბოში ჩართული არ არის მხოლოდ ემოციით, არამედ უკვე რაღაცის მიღწევის სურვილით. სახეზე გვაქვს ბრბოს ინდივიდი და ბრბოს ნაწილის მსგავსი მარტოხელა ანუ იზოლირებული ინდივიდი თავის განსხვავებებით, მაგრამ რა მიზეზები წარმოქმნის ამ განსხვავებებს?

არა მარტო ორგანულ სიცოცხლეში, არამედ ინტელექტუალურ ფუნქციებშიც არაცნობიერი ანუ ჯერ კიდევ შეუცნობელი, უფრო სწორად, არის თვისებები, რომლებსაც წლების განმავლობაში ვხედებით, ვიგებთ, – მოკლედ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. ფროიდის მიხედვით კი, ცნობიერი ნაწილი ანუ შეგნებითი ხასიათი უფრო ცოტაა, ვიდრე არაცნობიერი. ყველაზე სწორი შეფასება, ყველაზე მძაფრ დაკვირვებას – სულიერი ცხოვრების გაცნობიერებული მოტივების მხოლოდ მცირე ოდენობას შეუძლია. ჩვენი გაცნობიერებული ცნობები უმეტესად მემკვიდრეობით მიღებული სუბსტრაქტიდან მოდის, მაგრამ ძალზე სუსტად გამოვიყურებით შეძენილში. ამ სუბსტრაქტში მოთავსებულია წინაპრის ნაკვალევი, რასის სული. შეძენილი თვისებები კი უმეტესად ხასიათდება ღრმა იდუმალებით და ჩვენი ყოველდღიური ქცევების უმრავლესობა, მხოლოდ ფარული, ჩვენგან შეუცნობლად განსხლტომილი მოტივების შედეგია.

ეს იდუმალი ელემენტები უდევს საფუძვლად რასობრივ სულს და ყალიბდება ერი, ტომი, ეთნიკური ჯგუფი, როგორც ისტორიული კატეგორია. იშვიათად, რომ გენიალური ადამიანები ამაღლებული უბრალოებით ეშვებოდნენ ჩვეულებრივ ადამიანებთან, იმიტომ, რომ მათ შორის ინტელექტუალური უფსკრულია, მაგრამ ხასიათის მიმართებებით საზოგადოებასთან შეიძლება უმნიშვნელოდ ან სრულიად არ განსხვავ-დებოდნენ ერთმანეთთან. წერილის დასაწყისში ვახსენეთ, რომ ბრბო ორი ეგზალ-ტირებული გაერთიანებაა, რომელიც მთელ რიგ უმართავ და აგრესიულ თვისებებს

იძენს მისთვის საჭირო წიაღში და გარემოებაში და ისინი ქმნიან შეერთებისას ახალ სხეულს ისევე, როგორც ფუძეები და მჟავები ქიმიური შეერთებით.

არანაკლებ საინტერესოა, რა პირობებში იწრთობა და ყალიბდება ეს მანკიერება? პირველი ის მიზეზია, რომ პირი უამრავი პაწაწა ფაქტის მეოხებით იმსჭვალება უძლეველობის შეგნებით, რაც საშუალებას აძლევს აჰყვეს ისეთ ლტოლვებს, რომლებსაც მარტოობაში და ადრეულ პერიოდში თრგუნავდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს შურისძიებაა გარკვეულ და წარსულ დროზე, რომელსაც ამდენი ხანი ინახავდა ჩუმად. აი, დადგა მისი ამოღვრის და მისგან დაცლის დრო და არ არსებობს რომ დააყოვნოს. ამასთანავე ბრბოს გააჩნია ანონიმურობის ეტიკეტი და ეძლევა საშუალება ჩადენილ ქმედებაზე პასუხი არ აგოს.

შემდეგი მიზეზია ბრბოს ფეთქებადი მყისიერება,იგი ჰიპნოზური ხასიათისაა და ძალზედ გადამდებია. ადამიანს ენატრება ვნებების ეს ქავილი და არცთუ იშვიათად მზადაა ჩაიდინოს ბრბოს ვნების დასაკმაყოფილებლად თვითშეწირვა და საკუთარი მსხვერპლი გაიღოს.

მესამე და ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზი განაპირობებს ბრბოში გაერთიანებული ინდივიდების ისეთ თვისებებს, რომლებიც უპირისპირდება იზოლირებული ინდივიდების თვისებებს. მასში ვგულისხმობ ჩაგონებისადმი მიდრეკილებას, რომლის შედეგიც, სხვათა შორის, შეიძლება იყოს მეორე მიზეზად სახელდებული.

როგორც დაკვირვება ცხადყოფს, გარკვეული დროის მანძილზე ბრბოს წევრი, მისგან გამომდინარე მუხტით ან სხვა უცნობი მიზეზით, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რითაც ძალიან ჰგავს ჰიპნოზირებულ სუბიექტს. ასეთ პირს თავის ტვინი პარალიზებული აქვს, იგი იქცევა ზურგის ტვინის ყველა არაცნობიერი ფუნქციის მონად,რომელსაც ჰიპნოზის ძალა თავის ნება-სურვილით დააფარფატებს ქარიშხლიან ზღვაში, სავსებით ქრება პიროვნება და მასთან ერთად ნებელობა და განსჯა.

ბრბოში ეს სწრაფვები უფრო ჩქარია, ვიდრე ჩაგონებით მიღებულ და ჰიპნოზირებულ ადამიანში. არსებობს ასევე ხატოვანი და მოსწრებული სიტყვის ძალაც, რომელსაც ბრბო უფრო გაუღიზიანება და სრულ ეგზალტაციაში გადასულა და პირიქით, განურიდებია ავისმომასწავებელი სისხლისღვრისგან.

ბრბოში მოქცეული ინდივიდის ნიშან-თვისებებია: შეგნებული პიროვნების გაქრობა, არაცნობიერი პიროვნების მოჭარბება, ჩაგონების და წყენის მეოხებით გრძნობებისა და აზროვნების ერთნაირი მიმართულება, სწრაფვა, რომ განახორციელოს ჩაგონებული იდეები. პიროვნება კარგავს თავისთავადობას და იგი უნებისყოფო ავტომატად იქცევა.

ადამიანი გარდაიქმნება ორგანიზებული ბრბოს ნაწილაკად და იმ წუთებში ეშვება ცივილიზაციის დაბალი საფეხურებისაკენ. იზოლირებულ მდგომარეობაში შესაძლოა ყოფილიყო კულტურული ადამიანი, ბრბოში კი ხდება ბარბაროსი. იძენს მიდრეკილებას იმპულსებისადმი, შფოთისა და სისატიკისადმი და უახლოვდება პირველყოფილ ადამიანს და ისეთ ძველ საწყისებს, როდესაც ის მუდმივად იყო ბრბოს ნაწილი. ერთი სიტყვით, ადამიანი ემსგავსება ქვიშის მარცვალს, რომელსაც ბრბოს ქარიშხალი იქით მიერეკება, სადაც სურს.

ნათელია, რომ ასეთი მსჯელობიდან გამომდინარე, ყველა ასეთი ინდივიდი

უფრო სამწუხარო თანაგრძნობას იმსახურებს, ვიდრე სასჯელს.

და ბოლოს უნდა ითქვას, ბრბოს ნაწილი ანუ პირი უფრო ველურია, ვიდრე იზოლირებულად მოქმედი აგრესიული ადამიანი და არც ისე საშიშია, როგორც ბრბო.

მიუხედავად კაცობრიობის გაკულტუროსნობის და წინსვლისა, ცოტაა კაცობრიობის ისტორიაში ისეთი ფაქტები, რომლებსაც საზოგადოება აკეთებდა ცივი გონებით და იმ დროისთვის დადგენილი კანონებით. სამყარო მიიწევდა წინ ძირითადად ომებით, ძალდატანებით, სტიქიურად და სხვა ისეთით, რომელიც ბრბოს ბუნებისთვისაა დამახასიათებელი.

და მაინც, უნდა ვერიდოთ ბრბოდ გადაქცევას, რაც ნაკლები იქნება ხალხის ცნობიერება ბრბოს ფუნქციით, მით მეტი იქნება ჰუმანიზმი და კულტურა.

საზოგადოება, მასა, ბრბო

„გათიშე და იბატონე“
რომაული სენტენცია

საზოგადოების მრავალი განმარტება არსებობს: საზოგადოება ყოველთვის წარმოადგენს ორი ფაქტორის, ელიტისა და ჩვეულებრივი მასების სინთეზს; საზოგადოება არის კაცობრიობა სამსახურის დამთავრებასა და დაძინებას შორის; საზოგადოება არის დახვეწილი ურდო, რომელიც ორი მძლავრი ტომისაგან შედგება: მოწყენილთაგან და თავის მომაბეზრებელთაგან. ჩვენ ამ უკანასკნელით გავხსნით ჭრილს.

საზოგადოება ჰაერსა ჰგავს, რომელიც იძლევა სასიცოცხლო ჟანგბადს, მაგრამ არასოდეს არ არის იგი საზოგადოებისათვის საკმარისი ისევე, როგორც ჩვენი მსოფლიო დემოკრატია, საკმარისი არ არის იმ ჰუმანური იდეებით — კეთილმოწყობისათვის, იქნებ იმიტომ, რომ საზოგადოება თავისი სულიერი მოთხოვნებით და ინტუიტური შეგრძნებებით წინ უსწრებს არსებულ კულტურულ ბაზას და ფასეულობებს.

არც ერთი ხალხი არ არის აბსოლიტურად სრულყოფილი და ბრძენი. არის მხოლოდ ამ ცნებებთან მიახლოებული სიმაღლეები, რადგან ისინი მარად ცოცხალი, განახლებადი და დინამიკური სივრცეებია. სრულყოფილება და სიბრძნე თავისივე მოძრაობის პროცესში უნდა ბადებდნენ განვითარების ახალ იმპულსებს, სადაც ხანდაზმულ და მომაკვდავ ტოტებს, ბუნებრივად უნდა ენაცვლებოდეს ახალი კვირტები. ეს უნდა იყოს ერის გენეტიკური კოდი (ДНК), რომლის მაღალი რასიულობა უნდა იხატებოდეს ჟამთასვლის მოცემულობაში, მის შედეგებში. ყველა ერის განვითარების სიმაღლე განზომილებადია, მხოლოდ დროის გარკვეულ ფრაგმენტებში. მაგალითად, ძველი რომის რესპუბლიკა მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენ მსოფლიოზე, მაგრამ იქ ძალზე სუსტად იყო განვითარებული სისხლის სამართლის დარგი, ამავე დროს სამოქალაქო სამართალი თითქმის კულმინაციურ წერტილამდე ადის. რამდენადმე ჩამორჩებოდა მის წინამორბედ ბერძნულ ცივილიზაციას ფილოსოფიაში. რა თამაშობდა მთავარ როლს ამ ხაზების და თვისებების განვითარებაზე: ერის ბუნების იმპერიული

ხასიათი, სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული კუთხით წამახვილება, მიდრეკილება პლუტოკრატიისადმი. რამდენადაც მეტი იყო საბერძნეთში ფილოსოფიური აზროვნება, იმდენად რომში უპირატესობით სარგებლობდა სამოქალაქო მოწყობა, იურისპრუდენცია და სამყაროს პრაგმატული შეგრძნება.

ფაქტობივად, ასეთია ანტიკური სამყაროს ეს ორი კულტურა, რომელიც ერთმანეთზე გადაბმული ვითარდებოდა ამგვარად. საბერძნეთი იყო ის წიაღი, სადაც მწიფდებოდა სხვადასხვა დარგის ემბრიონები თეორიული შეგრძნებით, ნაყოფით კი პირს საბოლოოდ რომი იტკბარუნებდა. თუმცა არცერთ ქვეყანას არ აკლდა დარგების დაბადება-განვითარება. საუბარია მხოლოდ მეტ-ნაკლებ განვითარებაზე.

თემისა და საკითხის უკეთ გარკვევისათვის, სასურველია მოვახდინოთ ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინების და მცნებების განსაზღვრება, რათა გავერკვეთ მათ სამოქალაქო და ისტორიულ ფუნქციებში.

ხალხი ისტორიული ერთობაა, რომელსაც ახასიათებს ერთი ან მონათესავე ტრადიცია, ხასიათი, თვისებები და სხვა. ხალხი შეიძლება იყოს როგორც ერთი რელიგიის, ასევე მონათესავე ან განსხვავებული წარმოშობის და რელიგიის მქონენი. მაგრამ, მათ აუცილებლად უნდა ახასიათებდეთ ათეული ან მრავალწლიანი საზოგადოებრივი ერთობა, რაც გამოიხატება ერთ ქალაქში ან სახელმწიფოში ცხოვრებით.

ბრბო სოციალური ჯგუფია, რომელიც უეცრად და მყისიერად წარმოიშვება – ემოციური მუხტის ხარჯზე, სადაც მკაცრად განზოგადებული იდეოლოგია არასოდეს არ არსებობს. იგი ყოველთვის საშიში მასაა და მისგან მოსალოდნელია ლინჩის კანონის მოქმედებაში მოყვანა, ფსიქოზული აღტყინების ქვეშ მოქმედი ვნებების სიმძაფრით ადამიანების გადათელვა და სხვა. იგი ყოველთვის არაორგანიზებულია და ეს იწვევს მისგან საფრთხეს.

ეთნიკური ჯგუფი ან ტომი ერთ ტრადიციაზე ან რიტუალზე აგებული ხალხის ან ერის კონკრეტული ერთობლიობაა, რომელსაც ახასიათებს შორეული წარმოშობა, საზოგადოებრივი სიმცირე და ძველის ან შორეული გადმონაშთის ერთგულება. ისინი ხშირად გარკვეულ კონკრეტულ მხარეში, ხეობაში ან მთის ნაწილში ცხოვრობენ და ინარჩუნებენ თავისი შორეული წინაპარი ტომის ერთგულებას და კონსერვატულ შეგნებაში აქვთ გადასული ძველის პატივისცემა.

ერი განსაკუთრებული და ცივილიზებული ქვეყნისთვის დამახასიათებელი თვისებებით ხასიათდება, რომლის შექმნას რამდენიმე ასეული ან ათასეული წელიწადი სჭირდება. ერის ჩამოყალიბება უფრო განვითარებადი ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი და უნდა გაიაროს ქალაქური და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების ყველა ეტაპი.

რასა ისტორიულად და გენეტიკურად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობლიობაა, რომელთა დასაბამი იწყება კაცობრიობის ცივილიზაციის საწყისებით.

მასობრივი ფსიქოზი და მასის ცნობიერება, ხშირად თავისი სიმრავლის უპირატესობით თრგუნავს პერსონალურ და ინდივიდუალურ გენიალურობას და უმთავრესად გენიოსები მიწიერ სამყაროს დამცირებულ მდგომარეობაში ტოვებენ, ხოლო უმეტესად, ყველანაირი გემოვნების კანონმდებლებად საშუალო ან დაბალი გემოვნების პერსონები არიან. არის მათი უიღბლობის სხვა მხარეც, გენიოსი წინ უსწრებს მოვლენებს და ფართო მასებისათვის ისინი მიუწვდომელი არიან, ამასთან ერთად ისტორიული

ჟამთასვლის სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ძლიერს და გენიოსს შური და ბოროტება მალე შეესევა, ვიდრე დაბალს და საშუალოს, რადგან ძლიერის დამარცხება ყველას სწყურია.

დღევანდელი მსოფლიო აშკარად მიისწრაფვის სახელმწიფოების ისეთი მოწყობისკენ, სადაც სხვადასხვა რელიგიის და რასობრივი წარმოშობის ხალხები ერთი თანამედროვე კულტურით და სამშობლოთი იქნებიან გაერთიანებული. თუ ტომის, ერის, ეთნოსის და რასების წარმოშობას ერთ ფესვიდან წამოსული სისხლისმიერი ბიოლოგიური წარმოშობა ხშირად აუცილებლად აერთიანებთ, ხალხისთვის აუცილებლობას ერთი ქვეყნის ქვეშევრდომობა აერთიანებთ და წარმოქმნის.

ხშირად არის დავა იმის შესახებ თუ ვინ იღებს აქტიურ მონაწილეობას ისტორიის შექმნაში? პერსონები თუ ხალხი, აქ იმდენად რთულია უპირატესობას გამოკვეთა, რომ აშკარად, თავის სირთულის გამო ფრე უნდა ვაღიაროთ, მაგრამ არსებობს ორი ფუნქცია, რომელიც მათ აუცილებლად ახასიათებთ.

ლიდერი და გენიოსი იჩენს შთაგონებითი მუხტით შეპყრობილ სითამამეს, იგი ვერ იტევს შინაგან ემოციურ ზეწოლას და ბადებს შვილის სახით შთაგონებით მოსულ იდეას, ამის შემდეგ ის ხალხის ქურაში უნდა გამოიბრძმედოს, თუ ხალხმა არ მიიღო, შრომა ფუჭად და ამაოდ ჩაივლის. არის ერთი ფაქტორიც, ლიდერი გარკვეულ საუკუნეებში გამოირჩევა მეტი სითამამით და შემდეგში საზოგადოების ინიციატივა მიდის წინ. დღევანდელი ეპოქა უფრო საზოგადოებრივი ინიციატივების ხანაა.

ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, თუ უმეტესწილად როგორი ინიციატივების მატარებელია ესა თუ ის ხალხები, ერები და სხვა. თუ რუსი ხალხი კარგად ემორჩილება კოლექტიურ აზროვნებას და ხელმძღვანელობას და ასევე უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ასეთი ერები იქცევიან მრავალრიცხოვან დიდ სახელმწიფოებად, ქართველები უკიდურესად ინდივიდუალური და მაძიებლური გონების ხალხია. ამ უკანასკნელებს გააჩნია დიდი ფანტაზია და მისი წყალობით უდიდესი წარმატების შემოქმედნი არიან, მაგრამ ასევე მათში იოლია მოახდინო და განავითარო ფორმულა — „გათიშე და იბატონე", დაბადო შური, ეგოიზმი და სხვა.

ვფიქრობ ქართველების და რუსეთის ისტორია ბრწყინვალედ ითავსებს ამ მოსაზრებებს. ერად ჩამოყალიბების ისტორიულ ჟამთასვლაში ხდება მისი ემპირიულობა, რომლის განვითარების ასპექტებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ხაზები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციოლოგია, გენეტიკა, ლინგვისტიკა, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია, რელიგია, გეოგრაფიული მდებარეობა, ენა და კიდევ ბევრი სხვა ხაზი.



ბოლნისი. 478-493

ავტორიტარიზმი და ძალაუფლება

ავტორიტარული პერსონა, მოქმედებს მაკიაველისეული პრინციპით, მიზანი ამართლებს საშუალებას, ანუ მიზნის მისაღწევად შეიძლება დაიგმოს ყოველგვარი მორალი. მას ახასიათებს ამბივალენტურობა და უდიდესი ანგარიშგაწევა კონიუნქტურული მოვლენებისადმი და განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოს კადრების შერჩევაში, კონტინგენტის დაკომპლექტებაში და ამ უკანასკნელთაგან ითხოვენ უსიტყვო მორჩილებას და მონურ ერთგულებას.

მსოფლიო ისტორია თავის მაგალითებით გვასწავლის, რომ არცერთი ძალაუფლებისაკენ მსწრაფველი ჯგუფის ან პირის დასასრული არ ყოფილა ბედნიერი და ბუნებრივი... მათ ან კლავდნენ, ან საოცარი ფატალური ბედით სრულდებოდა ყველაფერი. ძალაუფლებას უნდა გთავაზობდნენ, მაშინ არის იგი ბუნებრივი და ჰუმანური ფორმის და შინაარსის.

ყოველდღიური ტრადიციული დაკვირვება საჩინო ხდება იმისათვის, რომ თუ გინდა ძალაუფლებას ფლობდე თანამედროვე ხანაში, თქვენ ხელი უნდა მიგიწვდებოდეთ იმაზე, რაც მეორე ადამიანს დამოკიდებულს და მიჯაჭვულს გახდის თქვენზე და აიძულებს მეორის ქცევას თქვენს მიმართ ისეთს, როგორიც პირველს ნებავს. ეს დამოკიდებულება დღეს ანგარების, პრივილეგიების მინიჭების და სოციალური პრობლემების გზაზე გადის. არსებობს ძალაუფლების კიდევ სხვა განზოგადებებიც: ა) ძალაუფლება, რომელიც ემყარება იძულებას და დასჯის მეთოდს; ბ) ძალაუფლება, რომელიც ეფუძნება დაჯილდოებას ან ისეთი მოთხოვნის შესრულებას, რაც ან ვინც ავტორიტეტს პოზიციას უმაგრებს, ამ ნების საზოგადო განმხორციელებელს, ბოროტ და მანკიერ ვნებას. გ) ექსპერტის ძალაუფლება, რომელიც ფლობს ისეთ ცოდნას და ხერხებს, რაც სხვისთვის საჭიროა და იძულებულს ხდის დამორჩილდეს სუსტი ქვეყანა ძლიერს, ან პიროვნება სხვა პირს. დ) ეტალონის ძალაუფლება, როდესაც ძალაუფლება მტკიცდება, სხვისი მაგალითის წაბაძვით ან ანალოგიით. მაგალითად, აი, ხედავ ის რა კარგად იქცევა, შენ რა მოგდის და ე) კანონის ძალაუფლება, რომლის ქვეშ ადამიანი თავს გრძნობს სულშეხუთულად და თავისუფლება მას პირდაპირ, კანონით აქვს აკრძალული. ამ ტიპის სახელმწიფოს კლასიკური წარმომადგენელი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი.

ამ ნიშან-თვისებათა განზოგადება-დეტალიზაცია კიდევ მეტად შეიძლება, მაგრამ მთელ ამ სურათს, თითქმის მთლიანად მოიცავს ავტორიტარი-სუბიექტი, რომელიც ტრადიციული გაგებით ფანატიკოსი პერსონაა, რომელსაც ძალაუფლებით ტკბობადი მდგომარეობა გადაულახავ პროცესად მიაჩნია და მისთვის უმაღლესი ზეობა სხვათა მორჩილება და ზემდგომი პოზიციაა, რომელსაც იდეა-ფიქსივით აქვს აკვიატებული ყოველივე და ეს რამდენადმე განისაზღვრება, როგორც სულით ავადმყოფი ადამიანის ახირება.

ინტელიგენცია

„სამყაროს განაგებს დროის აუცილებელი კანონი.“
ლათინური სენტენცია

ტერმინი ინტელიგენცია მე-19 საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა და მიაწერენ მწერალ პ. ბობორკინს, რომელიც მან იხმარა ერთ-ერთ თავის სტადიაში. რას იზამთ, ასეთია პირველადი მოწონების ხიბლი. აი, სწორედ ამას ჰქვია, ბედი მომეცი და თუ გინდა სანეხვეზე გადამაგდეო. სიტყვა თვითონ ლათინური წარმოშობისაა და იხმარებოდა ინტელექტის მონათესავე რაკურსში. ოქსფორდის ლექსიკონში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ამ მოუთვინიერებელ ტერმინს, ასეთი განმარტება აქვს: „ერის ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი აზროვნებისკენ ისწრაფვის“, ე. ი. ყოველი ახალის დამწყები, რეფორმატორი და ძველის დამმსხვრევი, მოუთვინიერებელი. იმიტომ რომ ბევრჯერ იყო ამ ტერმინის ირგვლივ დავა ჩემი ცხოვრების მანძილზე. ბევრს მოწონს, ბევრს არა და მიუხედავად ხშირი ხმარებისა, მაინც დღემდე გაურკვეველ ვითარებაშია. ამ შემთხვევაში კი საინტერესოა მასში ჩადებული აზრი: ცივილიზებულ ადამიანთა საზოგადოება, რომელიც ერის გონის წარმმართველი ძალა ან სოციალური ფენაა, რომელიც პროფესიულად დასაქმებულია გონებრივი შრომით, ოღონდ მაღალკვალიფიციურზე იტყვიან, ნამდვილი ინტელიგენტიაო. არც ისაა გამორიცხული, როდესაც კულტურული მანერების ადამიანზე ხმარობენ ამ სიტყვას და არის თანამედროვე ქცევის ფორმების მატარებელი.

თითქმის ისტორიული კანონზომიერებაა დაპირისპირებულობა ინტელიგენციასა და ხელისუფლებას შორის. ინტელიგენტები საბოლოოდ იმ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ პოზიციას იკავებენ საზოგადოებაში, თუ ვის ინტერესებს და რას ემსახურება მათი ინტელექტუალური პოტენციალი. ამასთანავე, არის კლასიკური გაგება ინტელიგენციის და ისინი დისიდენტები არიან, მაგრამ ეს ძალზე მკრთალად გაისმის.

ინტელიგენტები და ინტელექტუალები იმით განსხვავდებიან, რომ ინტელექტუალებში წამახვილებულია აზროვნებითი სამყარო და ინტელიგენტებში უბრალო თანამედროვეობა. ინტელექტუალად გახდომა არასოდეს ნიშნავდა თავისი კლასობრივი შეგნების ან რომელიმე კლასის მიკუთვნებას. ის დაუზოგავად მიისწრაფვის მართალი სიზუსტისკენ, როცა ინტელიგენტურობა გაჩნდა თავიდანვე როგორც სოციალური ფენა. ინტელექტუალი ყველაზე მაღლა სწორ აზროვნებას აყენებს და არსად არ ჩანს, რომელი უფრო ძლიერ მაღლა აყენებს სამშობლოს, ან რა უფრო მეტია სამშობლო თუ ჭეშმარიტება. ოდესღაც ეს თეზისი „აუგორეს“ სამშობლოსათვის ბედდამწვარ ზვიად გამსახურდიას და ფილოსოფიის ამ ჭრილში, ბევრს მოუხდა ხეტიალი იმ დროის პოლიტიკოსებში. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ ზვიადი იყო მართალი. ის სამშობლოს აყენებდა ყველაფერზე მაღალა და ალბათ იმიტომ, რომ, როდესაც ორ ძალიან დიდს უჭირს, რომელსაც უფრო ძალიან ესაჭიროება, ის უნდა დააყენო წინ. იმ დროს კი სამშობლოს უჭირდა. ვიცი, რომ დღესაც წამოყოფენ თავს ოპოზიციონერები, მაგრამ მათთვის ასეთი პასუხი მაქვს. როდესაც ძალიან კარგად არ ვიცით რაიმე, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას და ისტორიის გამოცდილებას უნდა მიაქციონ ყურადღება. თუ მაინც არ სჯერათ, მაშინ კიდევ ერთხელ ვურჩევ ჩახედონ

ისტორიას. იქ კი შავით თეთრზე წერია, სამყაროს განაგებს დროის აუცილებლობის კანონი. დროის აუცილებლობის კანონი კი სამშობლოს წინ დაყენებას თხოულობს.

ორივე კატეგორიისთვის კი დამახასიათებელია მარადი „კრიტიკული სული", რომელიც მუდმივად ეძებს ჭეშმარიტს, უკეთესს და ამაღლებულს. ისინი, და განსაკუთრებით ინტელექტუალი, ყველაზე მალე გრძნობს ძველს და დრომოჭმულს და იწყება გაუცხოება-დაცილება ხავსმოკიდებულის მიმართ ან ის ძველი სიამოვნებით გადააქვს სამუზეუმო ექსპონატებში.

ზოგადად კი ეს წერილი ასე გვსურს დავასრულოთ, ორივე შრე მუდმივად უნდა ცდილობდეს მოძებნოს ერის სასუნთქი გზები და საითაც ითხოვს დახმარებას, მისი არსებობის შენარჩუნება იქით უნდა წავიდეს: ერი, მამული, ენა, ჭეშმარიტება, რელიგია და სხვა, რადგან ყოველთვის უნდა განაგებდეს ყველაფერს დროის აუცილებლობა და მისგან გამომდინარე კანონი.

ადამიანი

მხოლოდ უხეშ ძალაზე აგებულ ერებს ძალუძთ წარსული ისტორიის ფურცლების ამოხევა და ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბება, მაგრამ ისტორიას და დროს ახასიათებს იმგვარი სიჯიუტე, რომელსაც ვერავითარი ფალსიფიცირებით და ძალმომრეობით ვერ მოერევი, რადგან ძველი ქართველი, კოლხი, შუმერი, ლაზი და ქალდეველი ქურუმები ახდენდნენ ყველა სიბრძნის ჩაშიფრვას და კოდირებას ხალხურ ანბანში, ფოლკლორში და ყოველდღიურობაში.

(წერილი 1)

ადამიანში ორი დიდი მე არსებობს, საკუთარი თავი და სამშობლო, რომელზეც იგი უნდა ზრუნავდეს და პასუხს აგებდეს. ამ ორივეში მოისაზრება მისი ოჯახიც და მთელი ქვეყანაც. ეს განცდა პირველ გონიერ არსებაში ჰომო საპიენსშიც იქნებოდა, რადგან თვით ცხოველებშიც არის ტერიტორიის შემოსაზღვრის ინსტინქტი, რომელსაც ის ასტრალური სამყაროს ბუნებით შეიმეცნებს.

ყველა დროის ადამიანი თავის განვითარებით არის პროდუქტი, საკაცობრიო ისტორიის იმ პერიოდის, რომელშიც ის მოღვაწეობდა. ამ თეზისით, დავუშვათ შუა საუკუნეების (V-XVIII ს.ს.) ადამიანი შეიძლება იყოს უფრო პატრიოტული და თავის საქმის ან პროფესიის ოსტატი და დღევანდელი უფრო ინტელექტუალური, მრავალპლანიანი მსოფლმხედველობის პატრონი და ა. შ. ამგვარად ეს პარამეტრები დროის ბატონობის მიხედვით იზრდება, ფართოვდება, ვიწროვდება და სხვა. ისტორია ერთადერთი აღმზრდელია ადამიანის ტიპისა, იგი ლესავს და სჭედს ადამიანის ძალებს.

ამგვარად, ადამიანი შემნივთებელია ყოვლადისთან და ზღვარდაუსმელ შინაარსთან,

რომლისთვისაც ერთადერთი არის, როგორც ადამიანი და არაერთადერთიც, როგორც ყველა მსგავსი დროისა და სივრცის ფარგლებში. ამ ერთადერთობაში და პირიქით, იგულისხმება ის, რომ რაც დრო და სივრცემ მისცა და კიდევ ის, რაც მისთვის არის დამახასიათებელი და ამ მხრივ არის სწორედ მისი ერთადერთობის უპირატესობა. ადამიანის ცნობიერება საოცარი გარემოა, რომლის ზღუდეთა გალავანი უკიდეგანო ელასტიურობით ხასიათდება. თუ გინდა, რომ მისგან მაღალი სახეობის პროდუქტი მიიღო ის იდეალურად უნდა იყოს თავისუფალი, თუნდაც ის რეალურად იყოს შებოჭილი. ეს პრაქტიკულად ასე გამოიყურება, კოლონიზაციის წნეხის ქვეშ მცხოვრებმა ადამიანმა, თუ შინაგანად თავისუფლების გრძნობა არ ატარა, ის მალე მოექცევა ასიმილაცია-გაწყალების ქვეშ. თავისუფლების შეგრძნება არის ის სხივი, რომელსაც მთელ ორგანიზმში შემოაქვს ამაღლების განცდა. ასე იწყება ბრძოლა ნივთიერსა და სულიერს შორის, სადაც, როგორც ყოველთვის, სული იმარჯვებს და მიდის გარდაქმნა არსებულისა. ეს არის ადამიანის ბუნებრივი შემოქმედება, რომელიც მის გზაზე ყოველივეს ანგრევს და თელავს, რაც დრომოჭმულია და მოსაწყენი.

ძარღვი ისტორიისა, მისი ქმნადობა – გარდაქმნაშია და მისი ძარღვი გამოდის იქიდან, რომ მისი სიცოცხლე ქმნადობა-გარდაქმნაში ყოფილა და მისი მაცოცხლებელი პრინციპია. სხვა მხრივ ეს არის ადამიანის ნება და საყრდენი ბერკეტი, რომელიც ამოძრავებს ცივილიზაციას და არის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ადამიანის ფსიქიკისა.

ყოველივე ზემოთქმულს ისეთივე ყურადღება სჭირდება, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძეს. კაცობრიობის ისტორიაში მოცემულ პროცესებში ავანსცენაზე გამოდის რიგრიგობით ხალხი, გმირები, ბელადები და ბრბოები, ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან ძალების ამოწურვის პროცესში. მხედველობაშია მათი ოდენობითი უპირატესობა და სოლისტის ფუნქციები.

ცოცხალ არსებათა შორის ადამიანი ერთადერთია, რომელსაც გააჩნია უნარი გააკეთოს თავისუფალი არჩევანი. უფრო მეტიც, ეს პროცესი რომ მექანიკურ მოძრაობას არ დაემგვანოს, მასში წამყვანი უნდა იყოს თავისუფალი ნება. დღევანდელი ფსიქოლოგიის უკვდავი ფორმულაა, რაც მეტია ადამიანში სტერეოტიპების რღვევის სურვილი, მით მეტია თავისუფლება, მაგრამ ასევე ყურადსაღებია, რომ ზედმეტ ნავარდს ყოველთვის საბედისწერო ხიფათი მოსდევს. აი, ამ ზღვრებზე და სამანებზე უნდა ვიფიქროთ სულ, რათა არ დაირღვს ბალანსი ძველსა და ახალს შორის. გერცენს, ტოლსტოის და რუსეთის მოაზროვნეებს უყვარდათ თქმა ასეთი სიტყვებისა, რომლებსაც მე დღემდე უდიდეს პატივს ვსცემ, რადგან ამ დოზის დარღვევა იწვევდა უზარმაზარ კატასტროფას. „ადამიანს არ უნდა მისცე იმაზე მეტი გარეგანი თავისუფლება, ვიდრე მას აქვს შინაგანი“. ეს იგივეა, თვითმფრინავს ჩაუდგათ ისეთი ძრავა, რომლისგან გამოწვეული სისწრაფეს და ხახუნის ძალას მისი ლითონი ვერ გაუძლებდა. ეს სიტყვები ყველას მთავარ სამოქმედო პრინციპად უნდა იქცეს და ჩვენს თვალწინ გარბენილი რევოლუ-ციური დრო გვიჩვენებს შედეგებს. თანამედროვე დრომ მაჩვენა, რომ ბევრი დემოკრატია ისევე მომაკვდინებელია, როგორც ტირანია და დიქტატურა. ყველაფერს თანდათანობით შეჩვევა და წინასწარ მომზადება სჭირდება, ჩვენ კი ყოველთვის ვჩქარობთ, რადგან ეს ჩვენი გენეტიკური კოდია. ძველი რომაელები კი ამბობენ „იჩქარე აუჩქარებლად“ ანუ იჩქარე ისე, რომ შენმა სისწრაფემ არ ავნოს საქმეს.

ადამიანმა თავისუფლებისაკენ ლტოლვით გაიუმჯობესა ცივილიზაცია, რადგან

ის, როგორც გოეთეს სიკვდილისწინა სიტყვები – „მეტი სინათლე, მეტი სინათლე“, სულ მიელტვოდა თავისუფლებას.

მთელი კოსმიური და ისტორიული ყოფიერების საზრისი ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიაში უკავშირდება თეოზისის პრობლემას, ადამიანისა და სამყაროს გაღმერთებას, ყოვლისერთიანობის საბოლოო დამკვიდრებას ყოფიერებაში. ეს რთული კოსმოგენური და ისტორიული ეტაპებია. ყოვლისერთიანობის სამყაროში დამკვიდრების ეტაპი ხასიათდება თვითაქტივობის ინტენსივობის ზრდით. ეს ზეაღმავალი პროცესი იწყება კოსმოსის მექანიკური ერთიანობით და გაივლის დინამიური და ორგანული ერთიანობის საფეხურებს და სრულდება სამყაროში ადამიანის დამკვიდრებით. ამ დროს ადამიანი ხდება უაღრესად ჰარმონიული და ეს უზენაესი წესრიგი გადადის შინაგან, გარეგან და ცნობიერ განზომილებაში. ესაა ღმერთში ჩასახლებული კაცობრიობა, მარადიული ფეხმძიმობა სამყაროში ღვთაებრივი სიბრძნისა ან, როგორც დიდი გოეთე იტყოდა, „მარადიული ქალურობის“ ნათელხილვის მისტიკაა, რომელიც ყოფიერების კოსმიური სიხარულის განცდას უკავშირდება.

ადამიანი

ადამიანი არის არა ის როგორადაც გამოიყურება, არამედ ის, რასაც აკეთებს, ქმნის, ანვითარებს...

(წერილი 2)

ერთარსებამ სამებისა მამა ღმერთით დაიწყო ადამიანის შექმნა, ძე ღმერთით სრულჰყო იგი და სულიწმიდით განასრულა. ასეთივე პარალელურ გზას გადის ადამიანი ცხოვრების გზაზე და მისთვის უცხო არ უნდა იყოს არავითარი დაბრკოლება, სიცოცხლის საზრისიც სიძნელეებში შეიგრძნობა. სულიწმიდის მოქმედება პირდაპირ აყალიბებს პიროვნებას, აზიარებს კოსმიურ ცნობიერებას და აღავსებს შთაგონებით. იქცევა ღვთის მონად, ღვთის ძმად, იგი ხდება სავანე საუფლო აზროვნების, მარადიული ევოლუციის და ახორციელებს მსოფლიო სულიერების ისტორიულ ფუნქციას, რაც საბოლოო ჯამში არის ისტორიის მარადი პროგრესი. ამიტომ ამბობს მაცხოვარი: ძის გმობა მიეტევებაო ადამიანს, მაგრამ სულიწმიდის არა. თვითმკვლელობა ქრისტიანულად არის სწორედ სულიწმინდის გმობა და ამიტომ ეკრძალება ადამიანს ეს ქმედება.

ხის ცნობადის ვაშლის ჭამა და საკუთარი სიშიშვლის და უმწეობის შეგრძნება, მაგისტრალური ხაზით, სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ, იგი – ადამიანი დასცილდა ადრეულ რელიგიას (ღმერთებს) სხვა მის მსგავსთა ღმერთებს და იწყებდა კაცობრიობა ბუნებასთან უკვე სხვაგვარ ბრძოლას, ასევე ჩვენი ამირანის და იგივე პრომეთეს მითიც, ღმერთებთან შერკინებაა, რის შემდეგ ადამიანი ვულკანით მიღებულ ცეცხლს, როგორც ოდესღაც შორეულ წარსულში, გამოიყენებდა ფოლადის და სხვა მეტალის სადნობად. ჩვენი დღევანდელობა ამტკიცებს, რომ ბუნების შემსწავლელ მეცნიერებას

და ფილოსოფიის მარადიულ საკითხებში უმაღლეს დონეზე ჩაღრმავებას მიჰყავს ადამიანი სამყაროს დიდი გამააზრებლის აღიარებამდე, ისე ვით ხელოვნებასა და ფორმადმქმნელ ძალთა საიდუმლოებაში წიაღსვლას – სამყაროს შემოქმედისკენ, ხოლო ჭეშმარიტი სიყვარულით განმტკიცებულ რელიგიურ განცდასა და მის საკითხებში ჩაღრმავებას – სამყაროს შემოქმედის მამად-აღიარებამდე.

ადამიანი

იმისათვის, რომ აღზრდამ შეძლოს ადამიანის უკეთესი ბუნების შექმნა, აუცილებელია აღზრდის იდეები აღსაზრდელთა რწმენად იქცეს, ხოლო რწმენა – ჩვეულებად.

კ. უშინსკი

(წერილი 3)

როგორც ყველა მოძრავ და ჩანასახობრივ მოვლენას, ასევე ყოველი ახალი ეტაპის ადამიანს განახლებული აზროვნება, გრძნობელობა და ნებელობა განაგებს. აქედან გამომდინარე, ეს სამი საწყისი უნდა იყოს ჰარმონიული და თანაბრად განვითარებული, რაც გრძნობას სენტიმენტალობისაგან დაიფარავს, აზროვნებას – ცბიერებასა და სიმშრალისაგან, ხოლო ნებელობას – დესპოტურობისა და მექანიკურობისაგან. ამ საწყისების მთლიანობა განავითარებს და წარმოაჩენს სულიერ, მშვინვიერ და ფიზიკურ ადამიანს. სამივე ეს ელემენტი კი იძლევა ზეაღსვლას აზროვნების სიბრძნემდე, მგრძნობელობის უანგარო სიყვარულამდე და ნებელობის თავდადების აღზევებამდე.

ადამიანის ინტელექტი გარკვეული ცხოვრების ან მოვლენების ანალიზის ფონზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ რაც შეიძლება მეტი სიმძაფრით შეიწოვოს სამყარო თავის მცირე დეტალებით და ელემენტებით, ამიტომ იყო, რომ ფენობრივი და წოდებრივი კლასიფიკაციით გრაფმა თუ უდიდესმა ინტელექტმა და მხატვრულმა მოაზროვნემ (ლ. ნ. ტოლსტოი) გადაწყვიტა სიცოცხლის ბოლოს თავის ხელით შეეკერა ტანსაცმელი, დაემუშავებინა მიწა და სხვა ამგვარი. ბუნებრივია, იგი ამ დროს უდიდეს ესთეტიზმს განიცდიდა და ერთგვარი ქმედითი აღსარება და მონანიება იყო ღმერთის წინაშე, რაც საბოლოოდ იმით დააგვირგვინა, რომ სახლიდან გაიქცა ოთხმოც წელს გადაცილებული კაცი, რათა სიკვდილს მარტო შეხვედროდა და ზენაარისთვის დაემტკიცებინა თავისი გვემა და სიმამაცე. ასეთი ცხოვრებით ყოველ ნაბიჯზე ამტკიცებდა, რომ აღარ სურდა სარგებლობა წოდებრივი და ქონებრივი პრივილეგიებით და მძაფრ ოჯახურ წინააღმდეგობას რომ არ წაწყდომოდა, მასაც სურდა ნებლუდოვივით მთელი მიწები გლეხებისთვის დაერიგებინა, რაც მან რაღაც ნაწილით მაინც განახორციელა.

ინტელიგენტი გახლდათ მინისტრის და პოეტის სინთეზი ვაიმარელი გოეთე, ბერი სულხან-საბა, უბინაო და მშიერი პოეტი ტერენტი გრანელი, კუზიანი მეიგავარაკე ეზოპე, რუსთველოლოგი – მილიონერი დავით სარაჯიშვილი, ტყვეობიდან გამოსყიდული ფილოსოფოსი პლატონი, თავადი ილია ჭავჭავაძე. ეს ჩამონათვალი იმისთვის გავაკეთეთ,

რომ თუ წინათ წოდებრივი წარმომავლობა სჭირდებოდა კატალიზატორად, დღეს აქ ეს ქარივით დაქრის და თვით უმდაბლესი და უღარიბესი წარმომავლობის ოჯახიდან შეიძლება მოიჭრას ისეთი პროდუქცია, როგორიც სტალინია. ამიტომ სურდათ უკვე საზოგადოებებს, რომ ის რაც ადრე ქვევიდან ანუ მიწიერი, უხეში და ძალმომრე ფორმით სრულდებოდა ზევიდან ღმერთისა და სულიერების სიმაღლით მომხდარიყო. უკვე დაწყებულიყო ის პროცესი, რომ საფრანგეთის მეფეს აფრთხილებდა სენ-ჟერმენი, ტოლსტოი თვითმპყრობელობას, ილია ჭავჭავაძე გაზულუქებულ თავადაზნაურობას, რომ გვაროვნულ-წოდებრივი სხვაობა ადამიანთა მომაბეზრებელ სულის ნიღაბს წარმოადგენდა და წარმოადგენს ფუქსავატი და უმიზნო სულის თავშესაფარს.

ადამიანთა განუწყვეტელი სასიცოცხლო ჯაჭვი, ბუნებრივად გვეუბნება იმას, რომ კაცობრიობის არსებობა, მუდმივად განახლებადია, სხვა შემთხვევაში სიცოცხლეს ელის მოწყენა, აპათია, მოდუნება, რაც საბოლოო ჯამში ემოციების თვითმკვლელობით თავდება. ამისთვის შეიქმნა ადამიანი შემოქმედებისაკენ მსწრაფველი და თვითგანახლებადი.

თანამედროვე ეპოქა დაჟინებით იძლევა იმის მოწმობებს, რომ კაცობრიობის სული და სხეული მუდამ უნდა იყოს აქტიური და ჰარმონიული ბუნებასთან ერთად, რათა პიროვნება და საზოგადოება ადგილზე დგომას და მოწყენას გადაარჩინოს, რაც შემდეგ ხდება იმის რეზულტატი, რომ ადამიანი ახალ, საინტერესო და საძიებო სიმაღლეზეა აყვანილი.

დღევანდელი მსოფლიოს განვითარების ახალი რეჟიმი მკაცრია და დაუნდობელი, იგი ანადგურებს ყოველივე ეროვნულს და ტრადიციულს და ხელში გაჩეჩებს ახალს, რომელიც გლობალური თეორიებით არის იდეოლოგიურად ნაკვები (მხედველობაშია მოუზომავი გლობალიზმი) და ფულის მეშვეობით არის აღზევებული და არა სულის. არის ისეთი ფაქტორებიც, ქალური საწყისის წინ წამოწევა, რომელიც უკვე კი არ დააკნინებს, არამედ პირიქით, ხელს შეუწყობს ეროვნულის და ტრადიციულის აღზევება-განვითარებას. საყოველთაოდ მიღებულია ცნება, რომ უკვე საუკუნეებია მიძინებული, ჭეშმარიტად მამაკაცურზე უფრო ძლიერი მდედრის ინტუიცია, ალღო, ენერგია, დედური აღზრდის ის ელემენტები, რომელიც ჯერ კიდევ უნებლიე საიდუმლო საგანს წარმოადგენს, მაგალითად, დედამ ემბრიონის ჩასახვიდან უნდა ელაპარაკოს თავის ნაყოფს და დაამკვიდროს მასში მაღალი ღირებულებების და ტრადიცია-ძირების თაყვანი, რამაც საბოლოო ჯამში, უნდა წამოსწიოს წინ პიროვნების და საზოგადოების როლი, ფესვებზე დაყრდნობით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მე-10 ს-ის რუსული იმპერიის ნარჩენებმა უფსკრულის თავზე იწყეს ქანაობა, ბნელმა ძალებმა გამალებით იწყეს უნდობლობის და მტრობის დათესვა, სხვადასხვა ეთნიკურ კულტურათა შორის. გარკვეულ ადამიანთა ჯგუფები უცდიან ბრძანების მიცემას, ომის დაწყების შესახებ და სიხარულით აალარუნებენ იარაღს სისხლისღვრით გამდიდრების მოლოდინში. იწყება გრანდიოზული შეთქმულებები სხვადასხვა ერების წინაშე.

ცხოვრების აწყობილი ნორმები დაიშალა და ტრადიციულ ღირსებათა არე ისე დაცარიელდა, როგორც ლამანჩელი რაინდი სიერა-მორენას ხეობაში თავისი დამტვრეული ფარ-ხმლით. ადამიანი კი დარჩა უსაზღვრო მარტოობაში ღვთის ამარა და მას შველას სთხოვს. მაგრამ ღმერთი გვასწავლის მხოლოდ ცხოვრების რიგს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია მას დახმარება.

ადამიანი

ის, რასაც ადამიანები არსებობისათვის ბრძოლას უწოდებენ, აღმატებისათვის ბრძოლაა და ამ ბრძოლაში მუდმივად ანადგურებენ ჰუმანიზმის ნაზ და სიკეთისმომსხმელ კვირტებს.

(წერილი 4)

რწმენა გულისხმობს ცოდნას, აზროვნებას და მრწამსს იმ დოზით, რამდენადაც ისინი შენ გწამს. ამდენად ისინი მონათესავე მცნებებია. ყველაფერი ეს, მთელი მორალი ადამიანებმა შექმნეს ნაბიჯ-ნაბიჯ, უფრო სწორად კი მათმა გონებამ, როცა გენეტიკურმა კოდმა მიაღწია გარკვეულ საფეხურებს. განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე სული და აზროვნება უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ეს უფრო გასაგებია ასეთ მდგომარეობაში, თუ სული აღზევებულია და არსი წარმოჩენილი, ხოლო სხეული და საზოგადოებრივი მოვლენა შეკვეცილი, სულიც იტანჯება, რადგან მათი თანხვდომი არ არის, მხოლოდ საარსებო პირობები. დაკარგულია ჰარმონია სულის საკვებ გარემო პირობებთან. სავარაუდოა, არისტოტელე ამიტომ იყო, რომ მონებს აუცილებელ მოვლენად თვლიდა საზოგადოებისთვის, რადგან მას თავისი დრო ჰქონდა მხედველობაში.

ფილოსოფოსი ძველ საბერძნეთში სიბრძნის მოყვარულად იყო მიჩნეული და აბსოლუტურ სრულყოფილებად ღმერთის განზომილებაში განიხილებოდა, თავად სიბრძნეში კი მთელი სამყაროს კანონზომიერებათა რგოლებს ხედავდნენ. სოკრატე პირველი იყო, ვინც თავისი უკვდავი დიალექტიკური აზროვნებით, ფიქრი ადამიანისაკენ შემოაბრუნა. მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ და ფილოსოფია ონტოლოგიის და ხან გნოსეოლოგიის სინთეზად შეიმეცნებოდა, ხან მეცნიერებათა და ცოდნათა საკრებულოდ. შემდეგ კირკეგორმა კვლავ გაახსენა ფილოსოფიას ადამიანი და აქედან დაიწყო კიდევაც ათვლა ეგზისტენციალიზმთან და ყოფიერებასთან. ყველაფერი კი ხდებოდა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ადამიანის გენეტიკური კოდის ამაღლებით, მისი გონების და სულის ზრდით, რაც გამოიხატებოდა, მისი მორალის ამაღლებაში, უფრო კონკრეტულად კი, სიწითლე-სირცხვილის რეაგირებაში, ემოციების წინსვლაში, აზროვნებაში და გრძნობებში.

სხეულის სფერო მექანიკაა, სულისა ფსიქოლოგია. ადამიანი გარკვეული მიმართებით მანქანას ჰგავს და გარეშე ძალების ზეგავლენით მოქმედებს. სულს კი თავისი უხილავი, ინტიმური კანონები აქვს, რომელიც ხილულზე მეტად მოქმედებს. ადამიანები გარეშე გავლენების იმიტაციას ახდენენ და ამ მიბაძვით ისინი ქვეშეცნეულად არის დამორჩილებული იმას, რასაც სილამაზის და მოდის კანონები გვკარნახობს. გურჯიევის თქმით, გონების შვიდი ძირითადი ცენტრიდან აქტიურად მოქმედებს ხუთი: ინტელექტის, ემოციის, სქესის, ინსტინქტის და მოძრაობის ანუ ენერგიის, დანარჩენი ორი კი უმაღლესი: „ინტელექტისა და ემოციისა — ჩაბნელებულია, უმოქმედოა. საჭიროა გონების ცენტრების სისტემატური ვარჯიშითა და ენერგიის გააქტიურებით გავანათოთ და ავამოქმედოთ უმაღლესი ინტელექტისა და ემოციის ცენტრები, რომ ადამიანმა მიაღწიოს თავისივე შინაგანი მონაცემების შესაძლებელ სიმაღლესო".

ინტელექტუალური გონება ქმნის თეორიებს და ერთმანეთს ადარებს საგნებს, ემოციური გონება უფრო გრძნობებს ეხება, ვიდრე იდეებს, ინსტინქტები კი განაგებენ

გონების ფსიქიკურ ფუნქციებს.

გურჯიევის აზრით, ყველა ადამიანს შეუძლია საკუთარი მეობის შინაგანი განვითარებით მიაღწიოს უმაღლესი ინტელექტუალური და ემოციური ცენტრების ამოქმედებას ისე, როგორც თვითონ აღწევდა ამას და უჩვენებდა კიდეც გაოცებულსა და ზოგჯერ გაოგნებულ საზოგადოებას. 1964 წელს დიტრიჰ ბონდერი წერდა: „გურჯიევი დარწმუნებული იყო, რომ ფლობდა ისეთ ცოდნასა და ძალას, რისი გაგონებაც არ სურს ჩვენს ცივილიზაციას". იგი თეატრალურ ფორმებში უჩვენებდა თავბრუდამხვევ რიტმს და როკვის, ცეკვის პროცესის შემდეგ ისინი მთელი ძალით ასკდებოდნენ პარტერსა და იატაკს და სრულიად უვნებელი დგებოდნენ გაღიმებული. ეს არ იყო უბრალო ტრიუკი ეფექტის გულისთვის, ეს იყო ჯერ უცნობი ადამიანური შესაძლებლობა, რომლის ფონზე იზრდებოდა წარმოდგენა ადამიანურ ძალაზე და ნებისყოფაზე. ეს ვარჯიშები და წვრთნა იყო სასწაულმოქმედი აბები, რომელიც ძალზე ახლოს მიდიოდა ადამიანის ჯერ კიდევ გამოუყენებელი ძალების უახლოეს კავშირზე და ჰარმონიაზე.

ადამიანის განვითარების ჰარმონიაზე ჰიტლერი და ჰებელსი ასე სჯიდა, როდესაც ჰებელსი ასეთ ადგილებს უკითხავდა მას პლატონის „თიმეოსიდან": – „წონასწორობის მქონე სულს არ შეუძლია იყოს ჭეშმარიტად შთაგონებული. შთაგონება მაშინ წარმოიშობა, როცა პიროვნების უნარი შებოჭილია ძალით, ავადმყოფობით ან როგორც ყველა მოძრავ და ჩანასახობრივ მოვლენას, ასევე რაიმე ღვთაებრივი გაცოფებით". ასეთი გაცოფება ხშირი ჰქონდა ჰიტლერს და ამართლებდა ამგვარი სიტყვებით: – „ვინ მოგახსენათ, რომ სიშმაგე ბოროტებაა! პირიქით, ღმერთების მიერ შთაგონებული სიგიჟის მეოხებით გვენიჭება ჩვენ უდიდესი მადლი".

ასევე ცნობილია, რომ ძველი რომის აღზევების პერიოდში, ბევრი იყო შეშლილი, გონებაუკმარი და სიშლეგით დორბლმორეული. XX საუკუნის ზოგი შეშლილი დამპყრობელი ძველ დიდ რომაელ ორატორს, ციცერონსაც ბაძავდა და იცოდა მისი სიტყვები ადამიანის შესახებ და ხშირად იმეორებდა: „ადამიანში არის ღვთის მიერ მონიჭებული უნარი წინათგრძნობისა, რაც დამოუკიდებელია სხეულისაგან. როცა მათ შორის კონფლიქტი მწვავდება, თითქოს სული წყდება სხეულს და ირყევა საშინელ ექსტაზში, რასაც ეწოდება სიშმაგე".

ყველა ადამიანი ამ ორ პოლუსს შორის ირწევა საქანელასავით და ბოლოს ჩერდება იქ, სადაც სული საბოლოოდ გადაიხრება. ადამიანი დირიჟორი და მეეტლეა, ემოციების და გრძნობების უხშირესი არსებების, მთავარია ვინ როგორ გარეკავს სივრცეში ამ ბედაურებს.

ბოლნისი. 478-493

ადამიანის აღზრდა ძველ საქართველოში

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“ აღნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლე ძველ საქართველოში ორ ნაწილად იყოფოდა: ყრმობა და ჰასაკი. ყრმობა ბავშვობის ხანაა და ჰასაკი იწყებოდა სქესობრივი სიმწიფიდან. ჰასაკი სამ ნაწილად იყო გაყოფილი და პირველ ხანაში შედიოდა ჭაბუკობის ხანა, მეორეში შუაკაცობის და მესამეში მამაკაცი იყო ბერი ანუ ბერიკაცი. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ქალის ჰასაკი იწყებოდა 12-13 წლიდან, ვაჟის 16 და იოანე საბანისძის დამოწმებით ამბობს, რომ 17-18 წლის ყმაწვილი მამაკაცი ჭაბუკად იწოდებოდა. ასევე დაყოფილი იყო ადამიანის ცხოვრების სამი პერიოდი სამ ასპექტად: სამოქალაქო, პოლიტიკურ და სამხედრო ხანად.

ადამიანში – იდეა, სული, მთელი და ცალკეული

უმეტესობა სათნოებად მიიჩნევს შეცდომების მონანიებას და არა მათ არიდებას, არადა სათნოება სულის სიჯანმრთელეა, მამულისთვის უანგარო თავის დადებაა, ვნებათა უქონლობა და მათზე ბატონობაა. ეს რომ მიაღწიო სამართლიანი უნდა იყო, რაც ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე იყო კეთილი, რადგან ჩვენ ბევრი გვინახავს კეთილი და ხელგაშლილი და არასამართლიანი.

პლატონი თვლიდა, რომ თავდაპირველად სული, იდეათა სამყაროში სუფევდა და აქედან გამომდინარე, იგი – იდეები უნდა ყოფილიყო ყოველგვარი მატერიალურის და არამატერიალურის პირველწყარო, ჰარმონია და ღვთაებრივი სუფევა-დასაბამი. არსი რომელიც არ სხივოსნდება მისი ნათელით სიმდაბლე და მომაკვდინებელი უაზრობაა. ამდენად, ცხოვრების ხე იდეით ხდება მაღალი და ღირებული. სამყაროს ყველა მცირე დეტალს გააჩნია თავისი სული, იდეა, ფუნქცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი დაიშლება, როგორც გამხმარი ხის ფოთოლი და შეიქნება გამოუყენებელ უბადრუკობად.

ყველა ადამიანი უნდა გრძნობდეს თავს სამყაროს უმცირეს ნაწილად და იგი მხოლოდ იდეის საშუალებით ხდება სამყაროს, მთელის ნაწილი. ამიტომ არის ყველა სულიერი ფუნქციის და იდეის საუფლოს მხარის მსწრაფველი. ეს მღელვარება აიძულებს ადამიანებს გადალახონ ცალკერძოობა და მარტოსულის განდეგილობა, რითაც ხდება კიდევაც სულის თანაზიარი და თანაარსი. უსაგნო, უმიზნო მარტოსულობით ადამიანი კარგავს მთლიანობის შეგრძნებას, ჩრდილავს ნათელს სულისას და ეგოისტურ ვიწრო არსებად იქცევა, ყოველივე ამის გამო ადამიანებმა უნდა აღკვეთონ თავკერძა პირადული ნებელობა.

მგვარად, ადამიანი მუდმივად უნდა იბრძოდეს საკუთარი თავის მხოლოდ ცალკეულ

ნაწილში და უნდა მისდიოს იდეის ხმას, რათა თავი შეიგრძნოს მთელში და ღვთაებრივში. ის, რაც სულისაა, იდეისმიერია, უკვდავია და სხივიანი ნათელითაა მოცული. ასეთი ადამიანები მუდმივად ჩართული არიან სამყაროს ჯაჭვში და მოქმედებენ ღვთაებას კარნახით.

შტაინერი გამოყოფს სულის მსახურების ოთხ პირობას: შემეცნება, ხელოვნება, რელიგია და სიყვარული, რომლის მიხედვით, შემეცნება არის გზა, როცა სამყაროს ეძლევი აზრებით, ხელოვნებას ჭვრეტით, რელიგიას – სულით და გულით, სიყვარული კი, რომელიც ავსილია სულისმიერი ძალით, არის ის გზა, როცა სამყაროში თავს ვევლებით ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს. შემეცნება ყველაზე სულიერი გზა გახლავთ, სიყვარული კი, ძღვნად მიცემის ყველაზე მშვენიერი, უანგარო ფორმა, რადგან წუთისოფელში სიყვარული ყველაზე დიდი, ციდან მოვლენილი ნათელია და მადლია. სწორედ ამ მადლით და ნათელით აღვსილი სულიერი სიყვარული აკეთილშობილებს ჩვენი ყოფიერების შინაგან სიღრმეს. ამით მაღლდება სიცოცხლე და ცხოვრება, რაც საბოლოო ჯამში ქმნის მაღალ შემოქმედებით ფასეულობებს.

ამ დროს ადამიანში იწყება ყველა მოვლენის და აზრის მიმართ მოწიწება, რაც გარდაქმნის ადამიანის სამშვინველს მაღალი იდეების მხარეს და ანათესავებს სულის სიდიადესთან. ასეთი მოქმედებით შესაძლებელია შური და ეგოიზმი შეიცვალოს ღვთაებრივით, ამის შემდეგ ადამიანში ივანებს სიყვარული და ხდება რწევითი გადასვლა სათნოებაში.

ამგვარი სურვილით აღძრული ადამიანი მაღლდება ყოველგვარ მანკიერებაზე და იწყება ცხოვრება ღვთაების ნებით აღბეჭდილი, გრძნობს თავს უზენაეს თავისუფლებაში და ჭეშმარიტი ნათელით აღვსილი პოულობს თავს მსოფლიო სულის გარემოცვაში.

ყველაფერი კი იწყება იდეისთან კავშირით.

ქართველი პირველი ევროპელია?

ყოველგვარი წარსული სევდიანი ჩრდილია მეხსიერებისა, რომელიც სულ თან დაგდევს და გენატრება.

თუ ადრე მეცნიერებს ძველი კონტინენტის პირველ მოსახლედ ფრანგი მიაჩნდათ, შემდეგ გერმანელი, ესპანელი და იტალიელი, დღეს პირველობა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ქართველს მიაკუთვნეს. ამისი დამამტკიცებელი ფაქტი დმანისში ნაპოვნი ორი თავის ქალა გახლავთ. ისინი 1,7 მლნ წლის არიან, – ასკვნიან საფრანგეთის ქალაქ ტოტაველში ჩატარებული საერთაშორისო კოლოკვიუმის („ევროპის პირველი მოსახლენი – უკანასკნელი აღმოჩენები") წევრები. აღმოჩენის სენსაციურობა ისიც იყო, რომ მანამდე პირველი ევროპელი სულ დიდი 800 ათასი წლის იყო. საქართველოში მცხოვრები პირველი ევროპელის სიმაღლე 1,5 მეტრი იყო, მისი ტვინი კი 800გ-ს იწონიდა. ექსპერტების აზრით, იგი უახლოვდება იმ სახეობას, რომელიც დროთა

განმავლობაში homo rectus-ად ანუ სწორად მოსიარულე ადამიანად იქცა (ანალოგიური თავის ქალები ნაპოვნია კენიის ტბის, ტურკანის დასავლეთით). ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ homo rectus-მა დატოვა მშობლიური აფრიკა და ლევანტის დერეფნით, ახლო აღმოსავლეთის გავლით გაუდგა გზას ევროპისკენ, – აცხადებს საქართველოს პალეონტოლოგიის მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, რომელიც ტოტაველის კოლოკვიუმის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად იქცა. სწორედ იგი ხელმძღვანელობდა გათხრებს, რომელშიც ქართველების გარდა მონაწილეობდნენ გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და აშშ-ის მეცნიერები. დმანისში, როგორც დ. ლორთქიფანიძე ვარაუდობდა, უკვე ნაპოვნია დაახლოებით ათასამდე პირველყოფილი ქვის იარაღი, მამონტის, მარტორქის, ვეფხვის, ჟირაფის, სირაქლემის, მღრღნელების და სხვა აფრიკული წარმოშობის ცხოველთა ძვლები. იმ დროს საქართველო, დარწმუნებულია ლორთქიფანიძე, მთავარი სამიგრაციო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. როგორც საფრანგეთის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი მარია-ანტუანეტა აცხადებს, უტყუარია ის ფაქტი, რომ საქართველოში აღმოჩენილმა ორმა „ქართველმა" უკან მოიტოვა მანამდე არსებული ლიდერები: „იტალიელი" ჩეპრანოდან და ექვსი „ესპანელი", რომლებიც აღმოჩენილნი არიან ქალაქ ბურგოსის მახლობლად. მათი ასაკი, სპეციალისტების აზრით, 800-780 ათასი წელია.

პალეონტოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ამიერიდან შესაძლებელია უკეთ გავეცნოთ ჩვენი შორეული წინაპრების ისტორიას და მათგან პირველის გაჩენა 800 ათასი წლით უკან დავწიოთ. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი მეცნიერთა აზრით ის არის, რომ პირველი ავსტრალოპითეკი – ორ ფეხზე მოსიარულე ადამიანის მსგავსი პრიმატი, – რომელიც აფრიკაში დაახლოებით 3 მილიონი წლის წინ გაჩნდა, სწორედ ევროპისკენ დაიძრა. იქ კი თავისი არჩევანი მზიურ საქართველოზე შეაჩერა. მაგრამ, არც ის არის გამორიცხული, რომ კერძოდ საქართველოდან დაიძრა აფრიკაში პირველი პრიმატი.

ენა და ენის ზოგადი მიმართებები

„პირველთაგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იყო ღმრთისა თანა და იყო ღმერთი."

(ᲬᲔᲠᲘᲚᲘ 1)

იოვანეს სახარების ეს სიტყვები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღმერთსა და ადამიანს შორის პირველი შუამავალი იყო სიტყვა და თქვა ღმერთმა „იქმენ ნათელი".

არარა სხვა ძალისგან არ შეიცნობა ერის რაობა ისე კარგად, როგორც ენისაგან და ადამიანმა მიიღო სულდგმულთა შორის ერთადერთმა ზეწოდება „ჰომო საპიენსი" (მოაზროვნე ადამიანი), საფუძველთა საფუძვლად კი უნდა წარმოვიდგინოთ ენისა და მეტყველების ჩამოყალიბება. ანუ, ენა არის ის, რაც ქმნის ადამიანს ადამიანად.

ენისადმი კლასიკური გაგებით, გამოყოფენ ოთხ ძირითად ფუნქციას:

ა) საკომუნიკაციოს – ადამიანთა ურთიერთობის საშუალება და, ამდენად, საზოგადოების ჩამოყალიბებისა და არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა;

ბ) ექსპრესიულს, რითაც გამოიხატება ადამიანთა სულიერი სამყარო ანუ ვნებები, ემოციები, ესთეტიზმი და სხვა;

გ) მაკონსტრუირებელს – ენა არის აზრის ფორმირების, ხორცშესხმის საშუალება;

დ) მააკუმულირებელს – ენაშია დაუნჯებული ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის მიერ შექმნილ ცივილიზაციათა ყველა მონაპოვარი;

ბიოლოგიური სამყაროს სხვა პერსონალიებთან ერთად ადამიანს აერთიანებს თანდაყოლილი რეფლექსები და ინტუიცია არსებობისათვის ბრძოლაში და იქ მიღებული უპირატესობის რეალიზაციაში, არაფერი ისე არ ეხმარება, როგორც ენა და მეტყველება. ენის საშუალებით ახერხებს ადამიანი, რომ გამოიყენოს წარსულის გამოცდილება და ამით განაპირობებს კაცობრიობის განვითარების უწყვეტობას. გარდა ცოდნისა და გამოცდილებისა, ადამიანს ახასიათებს რწმენა, რაც არის მისი სულიერი მისწრაფება. იგი ამ დროს ინტუიციურად შეიმეცნებს ყოველივე იმას, რასაც აზროვნებით ვერ ახერხებს და ამ ღრმად შინაგანი, ცნობიერისა და ქვეცნობიერის ზღვარზე არსებული სწრაფვის გაცხადება ხდება ენისა და მეტყველების საშუალებით.

დიდი გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ ჰუმბოლდტი ენის ძირითად დებულებებს ამგვარი მიდგომით აყალიბებდა:

ა) ენა არის მსოფლხედვა;

ბ) ენა არის ერის სულის უშუალო გამოხატულება;

გ) ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლხედვის შეძენაა.

ამ კონცეფციით ენის რაობა სრულად მოიცავს ადამიანის და ერის ცნობიერებას, კულტურას და აზროვნების ყველა მიმართულებას. რაც მაღალია ენისა და მეტყველების ხარისხი, მით მაღალია ადამიანისა და ერის კულტურა. ენის საშუალებით ადამიანს გამოაქვს თავისი განცდების და ემოციების წიაღიდან, ჯერ კიდევ უთქმელი და უხილავი აზრები, რამეთუ ენა უნდა დაგეხმაროს შესაბამის მხატვრულ ყალიბში ჩამოასხას აზროვნება და შემდეგ წინადადება.

ამერიკაში არსებობს ამგვარი დარგი სოციოლინგვისტიკა, რომლის საშუალებით განიხილება ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება.

ენის საშუალებით ხდება, რომ სამყარო ერთ მთელში და დანაწევრებულში წარმოვისახოთ და შემდეგ შექმნილი მსოფლმხედველობა ანვითარებს სიცოცხლის უწყვეტ ჯაჭვს, ანუ ენა და მეტყველება არის სამყაროს შეცნობის და ანალიზის საშუალება.



ბოლნისი. 478-493

ენა და მისი ზემოქმედება ასტრალურ გარემოზე

ენა გარეთ გამოტანილი აზროვნებაა მრავლისშემძლე გონებისა. თუ დაბალია გონება, შესაბამისად, დაბალი იქნება აზრიც.

(ფერილი 2)

ერის რაობა არსად ისე მკვეთრად არ ჩანს, როგორც ენაში და მის დამწერლობაში, რადგან იგი ცოცხალი და მარადმოქმედი სალაროა, იდეათა და ემოციათა გამოსავლენად. ენის ტემპერამენტი და მისი სიღრმე, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, თუ რა ხარისხში შეიძლება მხატვრული ქსოვილის ან განცდის გადმოცემა, არის იმის ნიშანი, რომ შეფასდეს რამდენად სიტყვაკაზმულია და მგრძნობიარე ადამიანთა იდუმალი და ყველაზე ძნელად გამოსათქმელი ფიქრები.

ენა და აზროვნება ორი სხვადასხვა მიმდინარეობაა ერთი პროცესისა, ისინი შეიძლება ხარისხობრივად ერთმანეთს ემთხვეოდნენ, ან ჩამორჩენილს მეორე გაითანასწორებს. ეს იმდენად ბუნებრივი მთლიანობაა, რომ მათი დაცილება ყოვლად შეუძლებელია ამ ფუნქციით. ჩვენ არ შევჩერდებით იმ მიზეზებზე, თუ რა დროს შეიძლება ჩამორჩებოდეს ერთი მეორეს, რადგან ეს განსჯის ერთი დიდი თემაა, ვიტყვით მხოლოდ იმას, რაც ისტორიულად ხდება ხოლმე, რომ მოვლენები ნახტომისებურად ვითარდებიან და კარგავენ სტაბილური რიტმის განვითარების პულსაციას, მაგრამ, შემდგომ ხდება მათი უცილო გათანასწორება. კულტუროსანი ენის რიტმი და მორჭმულობა მუდმივად მიიწევს საგანთა შეცნობის ბნელ საუფლოში, ააშკარავებს მათ და საქვეყნოს ხდის, მზერის ზედაპირზე ამოაქვს ის აჩრდილები, რომელსაც ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინ მკრთალ შეგრძნებას და ინტუიციურ წარმოდგენებს შეიცავდა.

ენის ლექსიკონი ვითარდება და იწმინდება ენის აქტივობით და დღეს მიღებული ტერმინით — ენერგიული ერები, ევროპის წამყვანი ქვეყნები განვითარდნენ, სამყაროს ერთ-ერთი დიდი ბერკეტის ენის მეშვეობით. ამ დროს ენა უფრო ბასრად იბრძვის სახელმწიფოს დასაცავად ვიდრე ზარბაზანი. ქართველმა ერმა რამდენიმე საუკუნეა დაკარგა ენერგიული სიმბოლოს მქონე ერის ტიტული. მათში ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული ქვეყნის ფსიქოლოგია, მაგრამ ყველაფერმა გავლილმა მაინც განაპირობა სწორედ ის გულგრილობა და უნდობლობა საკუთარი ძალების მიმართ, რაც ასე დამთრგუნველად მოქმედებს ერის ფსიქიკაზე და ემოციაზე. მთელი ეს დინამიკა აბსოლუტური სისრულით ისახება ენის ეკრანზე. დაიმცრო ის გეოგრაფიული არეალიც, სადაც ვრცელდებოდა ქართული ენის ფერადოვნება, რამაც გარკვეული ზიანი მიაყენა კიდევაც.

თავისი ღირებულებებით დიდია მწიგნობართა ენის მნიშვნელობა ენის შენახვაში, მაგრამ ყველა ვითარებაში განუზომლად დიდია ხალხური ენის მნიშვნელობა, რომელიც გულდაგულ დაატარებს ბაგიდან ბაგეზე ენის უკვდავებას და მოსმენისა და მეხსიერების საშუალებებით ასაწყობებს. ამიტომ სჭირდება ქართულ ენას განვრცობა, გაჟღენთვა ყველა კუთხე-კუნჭულის, რისთვისაც უნდა შეიქმნას ეროვნული ენის პალატები და დაწესებულებები. შემოწმდეს უპირველესად სასკოლო პროგრამები, სახელმძღვანელოები

და მასწავლებელთა მომზადების დონე და აქცენტი უნდა გაკეთდეს ენის სიწმინდის კუთხით. ენისათვის საჭიროა ფართო სოციალური საფუძვლის შექმნა და ასევე აუცილებელია სამოხელეო აპარატის მუშაკთა დოკუმენტაციის გაწმენდა უცხო ენის კალკათა ბარბარიზმისაგან.

ენას ამგვარი ფორმულირება შეიძლება მიეცეს და თუ შეინახავ მას წმინდად, შეგინახავს შენ და სახელმწიფოებრივ ძლიერებას. ენა, ენის შენახვის ხალხურობით და ეთნოგრაფიულობის ტიპით ქმნის ადამიანში იმ კულტურულ გარემოს და მუდამ თანამდევია და შენარჩუნებულია მთლიანი ხედვა. ჩვენ არ უნდა გამოვაშროთ გონება განყენებული თეორიების აგებით, რაც ბადებს მკვდარ წესებს და პასიურ შინაარსებს, არამედ მთელი ქართული სამყარო უნდა იყოს ჩართული ენასთან ცოცხალ ურთიერთობაში.

ეს ყველაფერი არის საფუძველი იმისა, რომ არ დაიკარგოს კავშირი ენასა და ამ ენით მოსაუბრე გენოტიპს შორის, რომლის საშუალებით ვითარდება ამ ენის ფონემის საარტიკულაციო აპარატი. აგრეთვე მნიშვნელოვანია მსგავსება გენეტიკურ და ლინგვისტურ ევოლუციებს შორის. ამ სფეროში ჩატარებული კვლევები მიუთითებენ, რომ გონებრივ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაცია ყველა ეროვნების ადამიანისთვის მიმდინარეობს მშობლიურ ენაზე. საგულისხმო ცდებია ჩატარებული ტყუპებზე, რომლებიც ასევე ცხადყოფენ მემკვიდრეობითობის დიდ გავლენას. ასევე საინტერესო ტ. რიბოს გამოკვლევა, რომლის მიხედვით „... დავუშვათ ადამიანთა სხვადასხვა გონებრივი ხარისხი დალაგებულია ერთ გრძელ მწკრივად, დაწყებული იდიოტიზმიდან, დამთავრებული გენიოსობით... თუ ამ მწკრივის ორივე ბოლოში აღზრდის გავლენა მინიმალურია, იდიოტზე აღზრდა თითქმის არ მოახდენს არავითარ გავლენას... საშუალო ხარისხებთან მიახლოებისას აღზრდა მიაღწევს თავის მაქსიმუმს... შემდგომში გონების ზედა ფორმასთან, გენიოსთან მიახლოებისას, აღზრდის მნიშვნელობა კვლავ დაიწყებს შემცირებას“.

ამგვარად ეს არის თეორიების და ცდების მთელი კომპლექსი.

ქართული ენის მანიფესტი

ენა არის ერთ-ერთი შენაკადი სულისა, რომელიც სხვა შენაკადებთან ერთად მდინარებს და კრავს მათ ერთად.

ყველა ადამიანი მხოლოდ მშობელი ენის წიაღში გრძნობს მშობლიურობას. მის მეტაფორებში ბერის ლოცვის მსგავსი ჩურჩული მოისმის, სადაც გეუბნება, რომ შენ ჩემი ხარ, მე კი შენი. მშობლიურ სიტყვათა ლირიკა, მხოლოდ ქართულში გხვევს იდუმალების უძიროებაში და გულს კვებავს მარად განახლებული სისხლით.

ეს ის სიტყვათა ნაკადია, რომლისგან მოგვრილმა ემოციამაც უნდა გამოკვეთოს შენს სახეზე ენების ის სიმძაფრე და პლასტიკა, რომელიც ანდამატივით მიიზიდავს შენს მნახველს და მსმენელს.

ქართულის მეტაფორა ის ძალაა, რომელიც ახალ სივრცეში გახედებს, წამიერად ერთ წერტილში გაშტერებულს. მეტაფორის საშუალებით გადადიხარ კიბიდან კიბეზე, მთიდან მთაზე და ხარ მარად ამ ამოუცნობი და ამოუწურავი ვნების ტყვეობაში.

ქართული სიტყვა, სისხლის მიმოქცევაში ჩართული მუდმივი გენერატორია, სადაც ყოველი ახალი ბუნებრივად ბადებს კიდევ სხვა ახალს, რომელსაც როგორც ქსოვილის ძაფს ეწევი და გამოდის, არ იცი კი საიდან.

ქართული ენა ჯადოსნური ჭაა, საიდანაც ხაპავ მარგალიტებს და ის ისევ ჩვეულებრივად სავსეა. აქ სიტყვა მოულოდნელად მზის სხივივით გადატყდება გონების თვალზე და გრძნობ სულის რწევას ისევე, როგორც სვეტზე დაყუდებული ბერი.

ქართულ პოეზიაში არის მაგნიტური ველი, რომელიც თავის სამყაროდან ისვრის გენიოს მესიტყვეებს. თუ ადამიანის გენიას საყრდენად არ დახვდა ისეთი ენა, როგორიც ქართულია, მასზე ვერ იმღერებ შოთას, ვაჟას და გალაკტიონის პოეზიას.

ქართული პოეზია, ენის წყალობით ალმასის ბუნებისაა, რომელიც იმტვრევა ნამსხვრევებად და მისგან მოგვრილი ათინათით ეშვები წარმართული ღმერთების ოლიმპოზე.

ქართული სიტყვები ქმნიან ფრაზებს, როგორც ვაზის აკიდოში აკინძული მტევნები, სადაც სიტყვები ისევე მისდევენ ერთმანეთს, როგორც ფერხულში გადევნებული მოცეკვავეები.

ქართული სიტყვა, ზეცის პლანეტათა პერანგში იყო შეხვეული ისევე, როგორც იესო ქრისტე სელის კვართში. ამიტომ არიან ისინი კოსმოსური ხმაურის და მდუმარების.

ქართული ენა, ლაზარეს ენაა, რომელიც ქალდეველ და ლაზ ქურუმთა არეოპაგებში აღიბეჭდა უძველეს ქართველთა გონებაზე. ისინი ღვთის რჩეული ხალხის ბეჭდით იყვნენ დაღდასმული, რომლებიც ყველაფერს უთანხმებდნენ პლანეტათა მოძრაობას.

ქართული სიტყვით, ჩვენმა გენეტიკამ გააღო ჩვენი გენეტიკური კოდი ცნობიერების უზენაეს ხარისხში. ქართული სიტყვა დაიფარა ორი ათასი წლით გამოქვაბულში და დაიფლა ქალდეური, ლაზური, იბერიული ენა-ანბანი.

ქართული სიტყვის გონით აიხსნება ძველი მისტერიების ეპოქა და ცის სარკმელიდან გადმოიღვრება უამრავი წყაროს თვალნი, ლალნი და მარგალიტნი.

ქართული ლექსი, სულის ბორანია, რომელიც ქირონის სიბრძნით დაატარებს მაშვრალ და სასოწარკვეთილ ხალხის ზნეობის ჩასაბერად.

ქართული ენა ის ენაა, რომელსაც არასოდეს არავისთვის არ უღალატნია და მისგან მოგვრილი იმედი ველის ყაყაჩოსავით ელავს დედამიწის ზედაპირზე. ქართული ენის მიძინება დასრულდა და იწყება მისი ციმციმი სულიერების ხატის გამოსავლენად, რომელიც უნდა იქცეს ისეთი, როგორც პლანეტა ვენერას ათინათი, რათა სულის ენერგიით აღჭურვოს ქართველი და მისი მოძმე – მონათესავე ხალხი.

ქართული სიტყვა ორი ათასი წელია გარინდებული, რომლის სიმთა რხევამ, ბგერათა მწყობრი აკორდი უნდა მიაწოდოს სფეროს ბრუნვას, მის მუსიკას. ამ დროს მე გავდივარ სხეულის გარსიდან და ჩემი ხმა მინდა შევუერთო ამ უწონო, გამჭვირვალე მსოფლიო ორკესტრს.

ენის ბიოლოგიური და სოციალური არსი

ენა არის ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელიც ავტომატურად იწერს ერის მქუხარე და ბედნიერ დღეთა იდუმალ თვისებებს.

ახალდაბადებული ბავშვი ლინგვისტური თვალსაზრისით, სუფთა დაფაა (ტაბულა რასა), რომელშიც შემდეგ უნდა აისახოს ნორმალური განათლების პირობებში, მთელი ენობრივი შესაძლებლობები. მშობელი ერისთვის არაფერს ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც პიროვნების იმ ენაზე აღზრდას, რომლის შვილადაც ის დაიბადა. მშობელ ენაზე საუბარი, ეს უკვე ბუნებრივი პატრონობაა თავისი ქვეყნისა.

მეცნიერთათვის დიდხანს სადავო იყო, რომ ენა ბიოლოგიური თუ სოციალური მოვლენაა, მაგრამ მკვლევარები შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ენა და მისი სტრუქტურა, ორივე ამ ფაქტორს მოიცავს. ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ რუსი და ქართველი ბავშვი სხვადასხვა ბგერებით და ინტონაციით ტირიან და გამოსცემენ ხმას.

ენათმეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისით, ენას გააჩნია საარტიკულაციო აპარატი, ბგერათა წარმოთქმის მანერის ერთობლიობა, რომელიც იცვლება ენიდან ენაში გადასვლისას და დღეს ეს დიდ სიახლეს არ წარმოადგენს. ის, რაც ქართველისთვის ძნელია, რუსულში რბილი თანხმოვნების წარმოთქმა, რუსისთვის ჩვეულებრივია და პირიქით. ბევრი ამას საარტიკულაციო აპარატს მიაწერს და არა ფიზიოლოგიურს, ამ დასკვნის შედეგად, ამბობენ: ბაზა ანუ აპარატი ორივეს ერთი აქვს, მაგრამ გამოყენებულია სხვადასხვაგვარად. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ ეს არის უდიდესი დოზით – ფიზიოლოგიური, რადგან მათში არსებული სხვაობები, ეს უკვე მიუთითებს განსხვავებულ საარტიკულაციო ჩამოყალიბებაზე. განსხვავებული საარტიკულაციო ორგანოები, ბუნებრივად ქმნიან არაერთგვაროვან ფონეტიკურ სისტემებს.

ენა სოციალური მოვლენაა იმდენად, რამდენადაც მას გააჩნია მიჩვევითი და ათვისებითი პოტენციალი, რა თქმა უნდა, მეტნაკლები წარმატებით, ისევე როგორც ეს ჩვენს ცხოვრებაში ხდება, ყველა არაერთგვაროვან დონეზე ფლობს სხვადასხვა ენას. ამას ხელს უწყობს როგორც გარემო, ასევე ტვინის სტრუქტურული პირობები. ამბობენ, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტვინის ნახევარსფეროები ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდნენ ფიზიოლოგიურადაც.

ამას ფიზიოლოგები ხელაღებით უარყოფენ, მაგრამ გენეტიკოსები და ენათმეცნიერები ასევე ერთსულოვნად ამტკიცებენ საპირისპიროს. მოკლედ რომ ვთქვათ, ენაში არის ბიოლოგიური – თანდაყოლილი და შეძენილიც – სოციალურიც.

გენეტიკური პროგრამების სახით ერთი თაობიდან მეორეში შეიძლება გადადიოდეს მხოლოდ ბიოლოგიური მოვლენები და ამიტომ თუ ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რომ ენა გენეტიკური პროგრამის სახით გადადის ერთი გენერაციიდან მეორეში, მაშინ გამოდის რომ ბიოლოგიურიცაა.

საყურადღებოა ისიც, რომ ყველა ენას გააჩნია რბილი და მკვეთრად წარმოსათქმელი ბგერები, რომელიც ჩვილს ემბრიონობის პერიოდშიც უნდა ჰქონდეს და ეს, რა თქმა უნდა, უახლოესი წინაპრის დახმარებით აქვს მიღებული. ეს ერთგვარი კოდია, რომელი

მახასიათებლებიც არსებობს ყველა ენაში.

მშობლიური ენა, ეს არის ბიოლოგიური და სოციალური მომენტების ზედმიწევნითი ფაქტორი და მათი შერწყმა.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ენაში – შინაარსის სტრუქტურა, ე. ი. ენისა და აზროვნების ურთიერთობა. ამ დარგის ერთერთი უპირველესი თეორეტიკოსი, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი, რომელიც ქართველებს ევროპული რასების პირველ-დამწყებად მიიჩნევდა, თვლიდა, რომ ენა იმდენად ინდივიდუალური მოვლენაა ფენომენალურობის მიხედვით, რამდენიც ენაა სამყაროში, იმდენი აზროვნების მოდელი და წესია. მათ ერთმანეთთან საერთოც აქვთ და განსხვავებებიც. „ყოველ ენაში, – ამბობდა ის, – ჩადებულია თავისებური მსოფლმხედველობა, თუ ბგერა დგას საგანსა და ადამიანს შორის, ენა მთლიანად იმყოფება ადამიანსა და მასზე შინაგანად და გარეგანად მოქმედ ბუნებას შორის, ადამიანი თავის გარშემო იხვევს ბგერათა სამყაროს, რათა აღიქვას და აითვისოს საგანთა სამყარო“.

ეროვნულობა, არაფერზე ისე არ არის დამოკიდებული, როგორც ენობრივ აღზრდაზე. ამიტომ, კი არ უნდა ვეცადოთ, არამედ აუცილებლად ბავშვი უნდა აღიზარდოს მშობლიურ ენაზე.

და ბოლოს, მინდა ერთ ფაქტზე გავამახვილო ყურადღება. სტალინის გენიის ერთ-ერთ უნიჭიერეს მხარედ, ყოველთვის წარმოაჩენენ მის გენიალურ რუსული ცოდნის სწავლულებას, თუმცა ლაპარაკობდა მძაფრი კავკასიური აქცენტით.

ბევრს ჰგონია, რომ მან ეს ცოდნა შეიძინა გადასახლებებით და რუსეთში ცხოვრებით, სადაც მას 1915 წლამდე არავითარი შეხება არ ჰქონდა კარგ რუსულზე მოლაპარაკე ელიტარულ მასასთან.

ერთხელ მე შემთხვევით წავაწყდი გორის ცხოვრების იმ პერიოდს, როცა ცოტა ხანს ვაჟა-ფშაველა და შემდეგ სტალინი მოსწავლის რანგში მოღვაწეობდნენ გორის სასულიერო სემინარიაში. სტრიქონებიდან მოისმოდა უდიდესი ქება იქ არსებული რუსული პედკოლექტივისა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ სტალინმა ეს ცოდნა, გორიდან, ბავშვობიდან წაიღო და არ არის მხოლოდ შემდეგ შეძენილი. ის, რა თქმა უნდა, ამას აღრმავებდა და მის ცხოვრებაში არის ფაქტები, როდესაც ის გააჩერებდა რომელიმე სწავლული რუსული გენერლის კალამს და როგორც ბავშვს ისე შეუსწორებდა.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას, მასზე იპოლიტე ვართაგავა იგონებს,რომ ერთხელ ფშავში დაუპატიჟებია რუსულად განსწავლული იპოლიტე. იმ პერიოდში ცნობილ კრიტიკოსს ქართული ცუდად ცოდნია, ვაჟა კი ისეთი რუსულით ესაუბრებოდა, რომ მთელი გზა იმას ეუბნებოდა, შენ შემოქმედებაზე მეტად ის მიკვირს, რომ ამ მთებში ასე კარგად როგორ შეინახე რუსულიო. რა თქმა უნდა, ისიც მძიმე ქართული აქცენტით, მაგრამ არც ერთი მახვილის გამოტოვებით. საოცარია, ასეთნი იყვნენ ისინი, პირველი – კოსმოპოლიტი და დიქტატორი, მეორე – თავის უბედურ სამშობლოზე უგონოდ შეყვარებული ლიტერატურული გენია და ორივე ნამდვილი ზეადამიანური შესაძლებლობების მქონე დიდოსტატი, რომელთაც თავის საქმეში ერთ ზადს ვერ უპოვი.

ენა, ხალხურობა და ლიტერატურა

ენა, ხალხი და ლიტერატურა არის სამი ტყუპი და, რომელთა შორის ერთ-ერთის არარსებობა გამოიწვევს დანარჩენის სიკვდილსაც.

ენის უმთავრესი შემნახავი და გამავრცელებელი, ანუ ის, რაც ენას ანიჭებს ფუნქციას და სიცოცხლისუნარიანობას, არის ორი პოზიცია – ხალხის მიერ მათი აქტიური მოხმარება და ლიტერატურა.

ისეთი ცოცხალი და მოქმედი ენისათვის, როგორიც ქართული ენაა, უდავოა, რომ ახასიათებს ცვალებადობა, მაგრამ არის მისი ამპლიტუდის რხევის ზღვრები, რომელიც მას ან ზღუდავს ან ავრცელებს და ხელს უწყობს, რომელიც სახავს ენის განვითარების შინაგან კანონებს.

ენის ხალხურობა მრავალწახნაგოვანი ქურაა, უმწერლობო, მაგრამ ყველაზე დიდი, ანგარიშგასაწევი სამჭედლო, ასევე ძალზე მნიშვნელოვანია და მას მუდმივი შემნახავი ჰყავს ლიტერატურის სახით. ხშირად მინახავს ე. წ. დაუთმობელი პოლემიკა, თვით აზრის ტიტანებს შორის, სადაც ცდილობენ წამყვანი როლის დაკისრება-აღებას ამ ორ ვეშაპზე და, შეიძლება ითქვას, იმდენად დიდია ორივეს როლი, რომ ძალზე ჭირს მათ შორის პირველი ხარისხის მინიჭება რომელიმესთვის. ფაქტი კი ერთია – შეიძლება მწერალმა თავის ენობრივ სტრუქტურით, ქსოვილით ან ტერმინთა ჩაწვნით უდიდესი აღიარება ჰპოვოს, მაგრამ გამარჯვების პიკი არ დგება მანამ, სანამ ხალხი არ აიტაცებს და გაითავისებს ამ ენობრივ ქსოვილს და ტერმინს.

ამჯერად უნდა ავხსნათ, რამდენად არის უმწერლებო ენა, ლიტერატურული და როგორ ავითარებს ენის სხეულს, მის დინამიკას. ამის დასამტკიცებლად ავიღოთ სვანური ენა და მოვიშველიოთ ნიკო მარის განმარტება სვანურ დიალექტთან დაკავშირებით: „სვანური ენა სუფევს სვანური ზეპირი ლიტერატურის წყალობით, ეს სალიტერატურო ენა სვანს აერთებს არათუ სხვადასხვა ადგილის სვანთან, არამედ იგი მას აახლოვებს ძველ სვანეთს, უნახავს ძველ ტრადიციებს. ერთი სიტყვით, უმწიგნობროდაც სუფევს სვანური სალიტერატურო ენა“. ეს კონცეფცია მხოლოდ სვანურს არ ეხება, იგი ზოგადად ამბობს, რომ ზეპირი სალიტერატურო ენა, გსურს თუ არ გსურს, მაინც მონაწილეობს დამწერლობით ლიტერატურაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, საუბარია ფოლკლორზე, რომლის გარკვეული ნაწილი, მხედველობაშია სიტყვები, სენტენციები, ფრაზები ან აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე ცოცხალ ენაში, ან სამუზეუმო ექსპონატის ან იშვიათი მოხმარების ფუნქცია გააჩნია. რა აძლევს სიტყვებს და ფრაზებს აქტიურობის და პასიურობის თვისებას? რა თქმა უნდა, გამოყენებითობა, რომელიც ხშირად კანონზომიერი საჭიროებით არის აღჭურვილი, ემოციურობა, სილამაზე და, თუ გნებავთ ვიტყვი, რომ წარმოსახვით გრძნობებში გააჩნიათ თავისი ვნება, სუნი, ფერი, გრძნობა-განცდა და სხვა. თუ ეს უკანასკნელი გამოსახულებები ძლიერი აქვს ენას, ის ბევრად სწრაფად, ძლიერად და სიღრმისეულად ზრდის პიროვნებას, სწრაფად აქართველებს უცხოტომელს, ბუნებრივია, მისგან იქმნება მაღალი აზროვნებითი ველი, რაც თავისთავად ცხადია, დომინირებს ხალხის მასაზე და ამღერებს გენეტიკურ კოდს და საბოლოო ჯამში, მხოლოდ მისი

მეოხებით იქმნება, ყოვლისმომცველი ანუ მხედველობაშია ამ ენაზე მეტყველი ერცელი სამეტყველო სისტემა, რომელიც ქუდივით ახურავს ერს და ადრე თუ გვიან ყველას თავის ჭკუაზე მოაქცევს, ოღონდ კეთილად, თბილად, ალერსით და არა ძალდატანებით.

ისეთმა ხალხურმა ანდაზებმა და სენტენციებმა, როგორიცაა, ვთქვათ, „ვინც ძაღლს მოკლავს, იმასვე გადაათრევინებენო", „ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო", „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო", „სიცილს კვალი-კვალ ტირილი მოსდევსო" – საერთონი არიან ყველა ქართული დიალექტისათვის. მათი სიცოცხლისუნარიანობა ისეთი გრძელჟამიერია, რომ თვით წარმართულ ხანაშიც კი, უკვე საკმაოდ ხანდაზმულია. ასევე სვანური დიალექტის „შვილები" – ზიარია მთელი საქართველოსთვის, რომლებიც ასე გამოითქმებიან: „ქორთე ლაზა ჯიშხ ესერ ლუმთქვე ლი" (შინ მოსვლას ფეხი მიჩვეულიაო); „ლასლამალშვ ლეჩემ დემ ესერ იჩვმინი" (მოფერებით საქმე არ გაკეთდებაო); ისევე მეგრული დიალექტისათვის: „პიჯით ჯუდაშა გურით ჯუდა მისხუნუნია" (პირით კოცნას გულით კოცნა მირჩევნიაო); ცქვაფა ნალიმას ოკონია" (ქება ბრძოლის შემდეგ უნდაო) და ა. შ. ახლა კი ცოტა რამ კვლავ ქართული ენის ჯიშიან წარმოშობაზე.

ჯერ კიდევ, როცა ევროპა ველურ მდგომარეობაში იყო, ქართული ენა თავის მწიგნობრული და ზეპირმეტყველი ენით არის სრულყოფილი და შემკული ისე, რომ ამ ენით მომინანქრება შეიძლება ყველაზე რთული ორნამენტების და ძნელად გადმოსაცემ გრძნობათა მდგომარეობების. უნდა ითქვას, რომ ამ ქება-დიდებას ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში იმსახურებდა და ქრისტიანული რელიგია მას, სულიწმიდის მადლივით მოეფინა.

ენის განვითარება არის იმდენად იდუმალი და საინტერესო, რომ იქ არის უბნები, რომლებიც ბუნებრივად უწყობენ ერთმანეთის სიცოცხლეს ხელს. იზრდება ერთი მხარე და ის აუცილებლად წამოსწევს ან, ასე ვთქვათ, მოათრევს დაბლა მდგომს. უნდა ვიცოდეთ ასევე, რომ ენა არ იქმნება ას და ორას წელიწადში, ამიტომ ფარნავაზ მეფემდე ენა შექმნილია რამდენიმე საუკუნით ადრე, ოღონდ შესაძლებელია, რომ ფარნავაზის პერიოდში ხდება რეფორმა, რასაც ენა გარკვეულ პერიოდში საჭიროებს კიდევაც. ენას სჭირდება ისეთი თვალყური, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძეს და ხშირი გამარგვლა.

ხალხის ენას გააჩნია თავის მიმოხვრანი, მოქნილობა, ელასტიურობა, რომლის საშუალებით ხდება საყოველთაო და ხალხური გაქვეყნება, რომლის ფონზე მიდის ნამდვილი კონკურსი – შეჯიბრება ტერმინებსა და ფრაზებს შორის. იმარჯვებს ის, რომელსაც გააჩნია მეტი სიცხადე, გამომსახველობა, ესთეტიზმი, მხატვრულობა, ემოცია, ლაკონიურობა და სხვა. აქედან გამომდინარე ბევრ და უხვსიტყვათა მოყვარულებმა უნდა იცოდნენ, რომ ის ვინც ჭარბ მრავალსიტყვაობაში გადადის, როგორც არ უნდა ეცადოს, ის მაინც შევა უაზრობასა და მოწყენაში.

ხალხური ენა, ენის განვითარების დედაძარღვი, შეიძლება მზესაც შეადარო, თუ მას მიახლოებით იყენებ ზუსტად და თავის მნიშვნელობით ის იძენს მსოფლიობრიობას და არის მარადიული, თვითმყოფადი, სამარადჟამო პოეტი.

დედაენა და უცხო ენის ურთიერთკავშირი

არ არსებობს დედაენა, რომელიც არ განიცდის უცხო ენის ზეგავლენას, ამიტომ მას ისე უნდა ეკარებოდე, როგორც ელეკტრომონტიორი ძაბვას.

ნათქვამია, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. ამ უბრალოდ, მაგრამ გონივრულად ნათქვამ სიტყვებში სრული ჭეშმარიტებაა, ოღონდ მათ შორის უნდა დავიცვათ დოზირების და რიგობის, ან უკეთ, რომ ვთქვათ პირველადობის ხარისხი და, რა თქმა უნდა, რომელ ენაზეც საუბრობ, შენ იმ ენას უწევ სამსახურს და პროპაგანდას.

ახლად ენაადგმული ბავშვის ტიტინი ნამდვილი ზეიმია ოჯახში. მოკლედ, ბავშვის ყოველწუთს მზარდი ტვინი, საოცარი სისწრაფით ისვრის გონების ძალიდან ახალ-ახალ სიტყვებს. ამ ეტაპზე სასურველია, რომ ბავშვს ვასწავლოთ სიტყვების და ბგერების სწორად გამოთქმა. ამ დროს იგი ყალიბდება ეროვნული სოციუმის წევრად. ბავშვს თავდაპირველად უნდა მიეწოდოს ეროვნული კულტურის პროდუქტი და სასურველია ერის წარსულის სიღრმიდან. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ის უნდა უახლოვდებოდეს თანადროულობას.

იშვიათია დედაენის ისეთი გამარტივებული და საინტერესო სქემა არსებობდეს ბავშვის სწავლულების, როგორც ჩვენი დედაენა. იქ თითეული ბგერა, მარცვალი, მოცემულია დანაწევრებულად, ერთად, მთელ ფორმაში და ყველა ვარიანტში, რათა ბავშვს, რაც შეიძლება ხშირად მოუხდეს შეხება გამოთქმის სირთულეებთან. აქ მოცემულია ყველაფერი ეს, საფეხურების სახით, მარტივიდან რთულამდე. ამით ის ბუნებრივად უახლოვდება დედაენის წიაღში არსებულ სიღრმეებს, ისე რომ, მასზე არ მოხდეს ძალდატანება.

დედაენის ამგვარი შეთვისება-განცდით ხდება ბავშვის ბუნებრივი შერწყმა მშობლიურ წიაღთან. სასურველია, რომ მასალა იყოს ფოლკლორული ხასიათის, რადგან იქ ყველაფერი აგებულია ეროვნულობის საერთო თარგზე, ზოგადად დამახასიათებელ შტრიხებზე იმ ხალხისა, რომელზეც მეტყველებს ბავშვი.

ენის სწავლებისას უნდა ვამჩნევდეთ მის მისწრაფებებს, თუ საით ან რაზე ამახვილებს ყურადღებას, საითკენაც უნდა დავიწყოთ ჩვენც მოძრაობა, რომ მისი ნიჭის მახვილებს მიეცეს გაგრძელება.

დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში დანერგეს ერთი მეტად უცნაური ფორმა, რომ რაც შეიძლება პატარა ასაკში ასწავლონ ბავშვს უცხო ენა. ჯერ არ ყოფილა, ერთ სულიერს, ერთ ინდივიდს ერთდროულად ერთი შინაარსის სხვადასხვა ენის საგანი ერთ დონეზე ესწავლოს, ამიტომ სასურველია, რომ პირველად, სრულვყოთ მშობლიური და მხოლოდ შემდეგ მივადგეთ ახალ ციხე-სიმაგრეს. თუ ჩვენ ამას ასე არ გავაკეთებთ, შეიძლება ბავშვის გონებას ეროვნული ბეჭდის საძირკველი გამოვაცალოთ.

ხდება ისეც, რომ ენა აუდგიათ ქართულ ენაზე, მაგრამ სამშობლოსგან მოწყვეტის გამო, ყრმობის ასაკი სხვა ენის ზეგავლენით გაუვლია მაგალითად, ექვთიმე ათონელი, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა. ექვთიმეს მამა, იოანე ამბობს: „ძნიად უბნობდა ქართულად“. იოანეს კი სურს ბიზანტიაში მძევლად ნამყოფი შვილი თავისი ქვეყნის მოღვაწედ აღზარდოს და ათონის მთაზე იმოღვაწეოს. „ამის პირისათვის ფრიად

მწუხარე ვიყავი". ექვთიმეს ავადმყოფობის ჟამს ღვთისმშობელი გამოეცხადება და ისე აეხსნება გონება ქართულად სალაპარაკოდ. ასევე მიხეილ ჯავახიშვილი, როდესაც ჩამოდის თბილისში, მის ჩიქორთულ ქართულზე ილია და აკაკი იცინიან, ისე ლამაზად თუ მიმზიდველად ტეხავს მშობლიურ ენას, მაგრამ ყველასათვის ცნობილია შემდგომ, რომ მიხეილ ჯავახიშვილის პროზა, ერთ-ერთი ძვირფასი ქართულითაა დაწერილი.

ეს მაგალითები იმიტომ არ მოგვყავს, რომ მკითხველს ვუთხრათ, არაფერი დაშავდება, თუ სხვაც ასევე ბავშვობიდანვე უცხო ენას გაუშინაურდება და საკუთარს დაივიწყებსო. ეს უიშვიათესი გამონაკლისებია და ხანდახან ღვთაების ჩარევაც კი საჭირო ხდება, რომ უცხო ენის შემდგომ ეროვნულს დავუბრუნდეთ.

ჩვილის მშობლიურ ენაზე ენის ადგმა არის ის, რომ მისი გონება ირწევა ეროვნულ საცხოვრისში, რომელმაც საბოლოო ჯამში უნდა განსაზღვროს, მისი აზროვნებითი სიმწიფე და ხარისხი, ერის შეცნობის თვალსაზრისით.

ბავშვის სამეტყველო აპარატი და მისი არტიკულაცია ყრმობაში იმდენად მოქნილია, რომ გამორციხული არ არის, მან უფრო უკეთ აუღოს ალღო უცხოურს, ვიდრე მშობლიურს, ამიტომ ყველა ასეთი შემთხვევა რისკის ფაქტორს ატარებს.

ნევროზული დაავადების ზოგიერთმა მკვლევარმა გაბედულად აღიარა, რომ, ხშირად ბავშვზე უცხო ენის ძალდატანება იწვევს ნერვულ სტრესებს ბავშვის ცხოვრებაში. ყველაფერი უცხო ენასთან დაკავშირებული უნდა ხდებოდეს თავის დროზე, ფრთხილად და ძალდაუტანებლად.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში უცხო ენის სწავლებას იწყებენ 10-12 წლის ასაკიდან. ამ დარგის სპეციალისტი და მკვლევარი პროფესორი გურამ რამიშვილი ამბობს, რომ უცხოეთში ორენოვანი საბავშვო ბაღები არ არსებობს და თუ ვინიცობაა არსებობს, ისიც ძალზე იშვიათად არის და მას სახელმწიფო არ აფინანსებს.

ევროპაში არსებობს თითქმის ყველა ფორმის და შინაარსის გამოკვლევები და მათ შორის ისეთიც, თუ რომელი მოზარდები უფრო აღწევენ გონებრივ და ფსიქოლოგიურ სიმწიფეს ერთი თუ ორენოვანი. ორენოვან მოზარდებში ბევრად მეტი იყო ეჭვიანობა, გაუბედაობა, რეაქციათა შენელება და ზოგადი არასრულფასოვნება.

ორენოვნების დაგვიანებულ აზროვნებას ხსნიდნენ სხვადასხვა ენათა ბუნების დაპირისპირებით, რაც მათ გადაზრდილი ჰქონდათ მოვლენათა დაპირისპირებასა და გაურკვევლობაში.

1965 წელს ბონში გამოიცა ლეო ვაისბერგერის სტატია – „ორენოვნების უპირატესობანი და საშიშროებანი", სადაც მოცემული იყო ხარვეზების მთელი წყება, რაც იწვევს ორენოვნების ბუნება.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა", გონების გახსნის საუკეთესო საშუალებაა და თუ გავიაზრებთ იმას, რომ დედაენაში შეზრდით ბავშვი ეზიარება იმ გარემოს, რაც მას გენეტიკურად მიეცა, შეიძლება ამგვარი სქემა ჩამოყალიბდეს: 1) მშობლიურ ენაში ბავშვი ინტუიციურად გრძნობს აზრის იმ სიღრმეებს, რომელზეც ჯერ კიდევ არ გისაუბრია მასთან, რადგან ის ენა მისთვის მშობლიურია. 2) დედაენა უნდა იყოს ის სამეტყველო ბაზა, სადაც უნდა ააგოს მან აზრი და მისცეს ფუნქცია. 3) ბავშვი დედა ენის გარემოში მალე ხდება კულტურის ზიარი და ამის შემდეგ მას არ უჭირს გაეცნოს სხვა კულტურას. 4) ბავშვი მშობლიურ ენასთან ერთად ეცნობა ერის წარსულს, რომელიც მის სულს და გონებას ქარგავს ათასგვარი ოცნებით. 5) მთელი

ამ პროცესის მიმდინარეობა უნდა ხდებოდეს ბუნებრივად და არა ჭარბი დოზით, რათა არ იგრძნოს მან თავი მომაბეზრებლად. 6) საბოლოო ჯამში ყალიბდება მისი მსოფლხატი და სხვის კულტურაში პიროვნება თავისი კულტურის გავლით უნდა შეავიდეს. ბავშვის აღზრდა დედა ენის გარემოცვით, ბევრად დიდი თემაა და აქ მხოლოდ ამ თემის კონტურებია მოცემული.

ანბანები

ენახი და ანბანი ორი ერთნაირად ფუნქციური მცნებებია, ანბანსაც სჭირდება გასხვლა, გაფურჩქვნა, მოსავლის აღება... აქაც მისი მთავარი პატრონი იყო ქართველი გლეხკაცი.

დღეს მსოფლიოში დაახლოებით 6000-მდე ენას ითვლიან. გერმანიაში გამოსული ლინგვისტური ცნობარის მიხედვით მსოფლიოს გააჩნდა და გააჩნია 5651 ენა, აქედან 4000-ზე მეტი მოქმედია.

ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მსოფლიოში 14 ანბანური სისტემაა: 1) ლათინური; 2) სლავურ-კირილური; 3) არაბული; 4) ინდური მარცვლოვანი დამწერლობა; 5) ჩინეთის ლოგოგრაფიული (იდეოგრაფიული) დამწერლობა; 6) იაპონური იდეოგრაფიული დამწერლობა; 7) კორეული ბგერობრივი დამწერლობა; 8) ეთიოპური მარცვლოვანი დამწერლობა; 9) ბერძნული; 10) ქართული; 11) სომხური; 12) ებრაული; 13) სირიული; 14) მონღოლური (ჩინეთის მონღოლეთში).

ზოგი წყარო 12 ანბანს იზიარებს ინდურისა და ეთიოპურის გამოკლებით.

ანბანური სისტემების შემქმნელად მიჩნეულია – ჩრდილო სემიანები, ფინიკიელები ძვ. წ. XV-XVI საუკუნეებში. ეს ანბანი შედგებოდა 22 თანხმოვნისაგან, რომლებიც გადმოსცემდა 27 კონსონანტურ ბგერას, ე. ი. თანხმოვანს, იწერებოდა და იკითხებოდა მარჯვნიდან მარცხნივ.

ფინიკიურ ანბანს ებრაულის წინაპრად თვლიან და მის შემქმნელად ითვლება ვინმე პალამიდე. ფინიკიურმა ანბანმა ახალი წელთაღრიცხვის დამდეგამდე იარსება. ფინიკიურიდან გამომდინარეობს: დასავლეთში – არქაული ბერძნული და აღმოსავლეთში – სემურ-არამეული. ორივე ეს ანბანი შექმნილი უნდა იყოს დაახლოებით ძვ. წ. X-IX საუკუნეებში.

უფრო მოგვიანებით, ძვ. წ. 403 წელს, არქაული ბერძნული ანბანის საფუძველზე შეიქმნა კლასიკური ბერძნული დამწერლობა. ბერძნებმა დაუმატეს ხმოვნები, რითაც ფინიკიურისაგან მომდინარე მხოლოდ თანხმოვნებიანი ანბანი ვოკალიზებული გახადეს. სწორედ ეს ანბანი გახდა ლათინურის ბაზა, საიდანაც ამოიზარდა ევროპული ანბანები.

მეორე მხრივ, არამეული ანბანი დაედო საფუძვლად აღმოსავლურ ანბანებს – არაბულს, ებრაულს, სირიულს. დღესაც ამ ანბანებში წერის და კითხვის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ მიმდინარეობს.

გამოყენების თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებულია ლათინური ანბანი. იგი გამოიყენება ავსტრალიასა და ამერიკის ქვეყნებში, აფრიკის უმრავლეს ქვეყანაში, აზიის ზოგიერთ ქვეყანაში – თურქეთში, ინდონეზიაში და, რა თქმა უნდა, მთელ ევროპაში.

ლათინურის შემდეგ მოდის არაბული, რომლის საფუძველზე შექმნილი ანბანები გამოიყენება,როგორც არაბეთის (ეგვიპტე,სირია,ლიბანი, იორდანია,მაროკო,ტუნისი, ერაყი), ასევე ირანის, ავღანისტანის ქვეყნებში და ჩინეთის ნაწილში. 1940 წელს მცხეთა-არმაზში ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა არმაზის ბილინგვა – საფლავის ქვის ეპიტაფია. ენათმეცნიერმა გიორგი წერეთელმა დაადგინა, რომ არმაზულ და ქართულ ანბანებს აქვთ საერთო ძირი, მაგრამ ქართული ასო-ბგერა ამჟღავნებს უფრო მეტ სიძველეს და ორივე ერთად კიდევ უფრო ენათესავება არამეულს (ასევე ვარაუდობდა ივანე ჯავახიშვილიც). გ. წერეთელი არმაზის წარწერების აღმოჩენამდეც სემური თეორიის მომხრე იყო და მისი ვარაუდით ელინისტურ ეპოქაში სემურ საფუძველზე წარმოშობილ ქართულ დამწერლობას ქრისტიანულ ხანაში რამდენჯერმე განუცდია რეფორმა ბერძნული დამწერლობის ზეგავლენით. არმაზის ბილინგვის მეცნიერულმა კვლევამ გ. წერეთელი კვლავ დაარწმუნა, რომ ქართული ანბანი გენეტიკურად უკავშირდება ფინიკიურ-სემურ ანბანს.

რ. პატარიძეს აზრით კი ენათესავება ფინიკიურ-სემურს, მკვეთრად განსხვავდება ბერძნულისაგან და ძალზე ახლოსაა სემურ-ქალდეურ-ბაბილონურთან, რასაც ადასტურებს ანტონ II კათალიკოსის წიგნი „მატიანე შემეცნებათა“, რომელსაც ამოუწერია თეიმურაზ ბაგრატიონის შრომებიდან: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე. წერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა, ესე იგი ქურუმთა მიერ, რომელთაც უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერპთა მოღვდელონი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი“.

ამ საკითხზე საერთო ზოგადი ფონი კი ასეთია, რაც უფრო მეტი დრო გადის ქართული ენის, ანბანის და დამწერლობის საკითხში კვლევისა, მით უფრო მეტად მტკიცდება აზრი, რომ ქართული ანბანი და დამწერლობა უძველესი ქალდეველი ქურუმების მიერ არის შექმნილი და თავისი შესაძლებლობებით აღემატება ყველა ანბანს.



პარხალი. X ს.

ქართულ ანბანზე გამოთქმული მოსაზრებები

კორნელი კეკელიძე მიუთითებდა, რომ ქართული ანბანი უნდა შექმნილიყო მეოთხე საუკუნის დამდეგს, 420-422 წლებში და ეს უნდა ყოფილიყო გამოწვეული ქრისტიანული ეკლესიის ინიციატივით.

ივ. ჯავახიშვილი ბოლნისის წარწერებიდან (ძვ. წ. 493-492) გამომდინარე ვარაუდობდა, რომ ქართული ანბანი, თავისი დახვეწილი და უნაკლო ფორმის გამო უნდა შექმნილიყო არა უგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა.

პავლე ინგოროყვას აზრით, „ქართული ანბანი გამომუშავებულია მცირე აზიაში არქაული და ბერძნული ალფაბეტის საფუძველზე VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე ჩვენს ერამდე".

პალესტინის წარწერებს, იმხანად იტალიაში მცხოვრები ქართველი მეცნიერი მ. თარხნიშვილი (1897-1958) VI საუკუნით ათარიღებდა.

რ. პატარიძე ქართულ ასომთავრულს ძვ. წ. 403-284 წლებში შექმნილად ვარაუდობდა, რადგან ქართულ ანბანში შენიშნავდა ბერძნული მონუმენტური დამწერლობის პრინციპებს.

სხვა მხრივ ირკვევა, რომ ქართული ასომთავრული შემოღებულია ძვ. წ. 284 წელს, მეფე ფარნავაზის მიერ.

ზ. სარჯველაძე უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს კორნელი კეკელიძის აზრს, რომ ქართული ანბანი უნდა ყოფილიყო შექმნილი IV საუკუნის II ნახევარში ან V საუკუნის დამდეგს.

რ. პატარიძე ქართული ანბანის ბოლო კვლევებით ძვ. წ. 415 წელი დაადგინა ქართული ანბანის შექმნის თარიღად.

1987 წელს თამაზ გამყრელიძე წერილში „მწიგნობრობა ქართული" მიუთითებდა, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა უნდა იყოს IV საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში შექმნილი, ქართლის მონათვლისა და გაქრისტიანების შემდეგ.

ყველა აზრი მისაღებია, ოღონდ, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ქართული ანბანის რეფორმის და განახლების თარიღები. ისიც უდავოა, რომ ქრისტიანობა გამოიწვევდა ქართული დამწერლობის სხვა უფრო რთულ და მრავალპლანიან მიდგომებს, რაც ქმნიდა იმის აუცილებლობას, რომ ანბანი და დამწერლობა განახლებულიყო. საკუთრივ ანბანის ძირი, ფუძე და ბაზა კი უნდა მოდიოდეს ძველი ქალდეველი ქურუმებისაგან.

მეცნიერებაში უფრო მიღებულია აზრი, რომ 330-იან წლებშია დაწერილი თხზულება „ცხოვრება მირიანისა". მისი შინაარსი ემთხვევა ქვაჯვარზე 367 წელს გამოქანდაკებულ სცენას, სადაც გამოსახულია ქართული მწიგნობრობის შემოღება ფარნავაზ მეფის მიერ ძვ. წ. 284 წელს და ქართული სახელმწიფო მწიგნობრობის აღორძინება მირიან მეფის მიერ ახ. წ. 311 წელს.

ქართული მწიგნობრობის აღორძინებას გვამცნობს აგრეთვე „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ". „ქებაჲ"-ს მიხედვით ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა გაიგივებულია ქრისტეს მეგობრის, ლაზი ლაზარეს მკვდრეთით აღდგომასთან და

მისი მკვლევარები ქართული მწიგნობრობის ძირითად თარიღებად თვლიან:

1. დაახლოებით ძვ. წ. 415 წელს შეიქმნა ქართული ანბანი.

2. ძვ. წ. 412 წელს ქართულმა ანბანმა დაიწყო მზის კალენდარული ეპოქა.

3. ძვ. წ. 284 წელს შემოღებული იქნა სრულიად სახელმწიფო ქართული მწიგნობრობა და ეროვნული წელთაღრიცხვა. ქართული ანბანი გამოცხადდა სახელმწიფო დამწერლობად.

4. ახ. წ. 311 წელი ქართული მწიგნობრობის აღორძინების თარიღია.

ქართული დამწერლობის ოთხი ძირითადი სახეობაა:

1) მრგვლოვანი ასომთავრული, 2) კუთხოვანი, 3) ნუსხური, 4) მხედრული.

როგორც ცნობილია, მხედრული დამწერლობა საერთო დამწერლობად იწოდება, ხოლო მრგვლოვანი, კუთხოვანი და ნუსხური, ერთი საერთო სახელწოდებით „ხუცურით" ერთიანდება, ე. ი. „ხუცური" დამწერლობის სამი გრაფიკული სახეობა არსებობს. (რ. პატარიძე. „ქართული მწიგნობრობა").

სხვადასხვა დარგების ლინგვისტური ანალიზის, არქეოლოგიური გათხრების და ეთნონიმიკის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ქართველთა ფუძე ენის დანაწევრება, დიფერენციაცია უნდა დაწყებულიყო ძვ. წ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე, კერძოდ სვანურის გამოყოფა საგულვებელია ძვ. წ. XVIII-XVII საუკუნეებში, ზანურ-ქართული ერთობის დაშლა კი – ძვ. წ. VIII საუკუნეში (გ. მელიქიშვილი). თ. გამყრელიძის და გ. მაჭავარიანის გამოთვლით, სვანურის გამოყოფა უნდა მომხდარიყო ძვ. წ. X საუკუნეში, ქართულ-ზანურის დიფერენცირება კი – ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

ა. შანიძის აზრით, ძველი ქართული მოიცავს V-XI საუკუნეებს, საშუალო – XII-XVIII საუკუნეების, ახალი – XIX-XX საუკუნეებს. XX საუკუნის ქართულს სალიტერატურო ქართულსაც უწოდებენ.

სავარაუდოა, რომ ენათმეცნიერ თ. გამყრელიძის ამოსავალი დებულება ენათა წარმომავლობაში გახდა ის, რომ კაცობრიობის პირველი საცხოვრისი იყო წინა აზია, თავის მიმდებარე ტერიტორიებით, სადაც ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ პრექართველები, პრეინდოევროპელები და პრესემიტები.

V-IV ათასწლეულში წინა აზია მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილებია: დასავლეთ ირანში ცხოვრობდნენ ელამურ ენაზე მოლაპარაკე ხალხები, ჩრდილოეთით ხეთები, მესოპოტამიაში – ჩვენი შორეული წინაპრები შუმერები ანუ ქალდეველები, სემიტები, ისტორიული ამიერკავკასიაში უკვე, ასევე, უფრო ახლობელ ჩვენ წინაპრებად ქცეული ჰენიოხები, მაკრონები, მუშქები, ტიბერენები და სხვები.

ძვ. წ. III ათასწლეულში პრეინდოევროპელების ნაწილი ინდოეთში შევიდა და მათ თანდათან შეავიწროვეს ადგილობრივი მკვიდრნი – დრავიდები, დანარჩენები კი ბალკანეთის გავლით განსახლდნენ სხვადასხვა დროს დიდ ტერიტორიაზე, როგორც აღმოსავლეთით ისე დასავლეთით.

„გლოტალური თეორიის" მიხედვით დასტურდება, რომ, რაკი ბერძნებიც აქედან არიან წასულები, წინა აზია არის არა მარტო ფუძე ენების სამშობლო, არამედ საერთოდ თანამედროვე ცივილიზაციის აკვანი.

პრეინდოევროპელები ძვ. წ. V-IV ათასწლეულში მოსახლეობდნენ ცენტრალური

მესოპოტამიის ჩრდილოეთსა და ამიერკავკასიის სამხრეთს შორის არსებულ ტერიტორიაზე. მათ მეზობლად ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ პრექართველები, სამხრეთ აღმოსავლეთით – პრესემიტები. შესაბამისად უნდა არსებულიყო: 1) ინდოევროპული ფუძეენა ბალკანეთიდან მახლობელი აღმოსავლეთის ჩრდილო ნაწილში, 2) მის ჩრდილოეთით – ქართველური ფუძეენა, 3) მის სამხრეთით – სემიტური ენა.

ქართული ანბანის აგების ფორმები და ხასიათი

ენა არის ფერწერა და მუსიკა თვალისა და ყურისათვის. ამ მუსიკის და ფერწერის ხარისხით იზომება ერის რაობა.

თანამედროვე მეცნიერთა ანალიზით, ქართული ანბანი არის ძველი ქართველი წინარე ტომების ქალდეევურ-ბაბილონური ტომების და ფინიკიელების რეფორმისტული ხაზის გაგრძელება-ანვითარება.

ასომთავრულ ანბანს, სხვა ანბანებთან შედარების საფუძველზე, ყველაზე ახლო ნათესაური კავშირები გააჩნია სემურ-ებრაულ და ბაბილონურ-ქალდეევურ დამწერლობასთან. ზოგი წყაროს მიხედვით, ქართული ანბანი შექმნილია დამოუკიდებლად და არაპირდაპირი გადმოღების მიხედვით ფინიკიელებისაგან.

ანბანურ დამწერლობაში ასოს აქვს ბგერისა და რიცხვის მნიშვნელობა და მას კალენდრის მნიშვნელობითაც იყენებდნენ.

უძველეს ანბანებში პირველი ასო-ნიშანი რელიგიურ სიმბოლოს წარმოადგენდა. მაგალითად,სემურში პირველი ნიშანი განასახიერებდა მთვარის ღმერთს. ეგვიპტური დამწერლობის პირველი იეროგლიფი იყო წმინდა ცხოველი ჰიბსი,რომელიც ეგვიპტის მთვარის ღმერთის სიმბოლოა. ბაბილონურშიც პირველი ლურსმული ნიშანი იყო მთვარის ღმერთის სიმბოლო. მას ერქვა სემურში პირველი ასოს სახელი ალფა („ალეფ" გრაფემა ხარის იდეოგრამას წარმოადგენდა, როგორც მთვარის ღვთაების ემბლემა), მისი რიცხვითი მნიშვნელობა ერთია, სემური ანბანი გამოხატავდა მთვარის პირველ დაბადებას. მთვარის მოძრაობა 27/28 დღით განისაზღვრება და შესაბამისად, განლაგებული ასოები აღნიშნავდნენ მთვარის მოძრაობის დღეებს. სულხან-საბას მიხედვით, ორშაბათი არის სახელი მთოვარისა, სამშაბათი – არიასი, ოთხშაბათი ერმისა, ხუთშაბათი – აფროდიტისა, პარასკევი – დიოსისა, შაბათი – კრონოსისა, კვირა მზისა, ხოლო,ზოგ შემთხვევაში შვიდეულის დღეები იწყება შაბათით.

ბაბილონელებს ჰქონდათ ხუთდღიანი კვირა, ებრაელებს, სპარსელებს, ინდოელებს, ჩინელებს, მონღოლებს, ბერძნებს – შვიდი, რომაელებს – რვა, სპარსელებს – ცხრა, ეგვიპტელებს – ათი.

ქართულ ანბანში, ასო-ნიშანი გამოხატავს ბგერას, რიცხვით მნიშვნელობას და გააჩნია ასტორონომიული და კალენდარული მნიშვნელობაც.

ქართული ანბანის პირველი ასომთავრული Ⴑ ნიშანია, რომლის რკალს ზედა ჰორიზონტალური ხაზი აღნიშნავს მთვარის გამოჩენას ცაზე და როცა კულმინაციურ უმაღლეს წერტილს მიაღწევს, შუაღამეა. გამომდინარე აქედან, პირველი ასო-ნიშანი Ⴑ (ანი)-ის ასტრონომიული ნიშანია – დღე – ღამის დასაწყისი; მთვარის კულმინაციური დგომა – შუაღამეა. ასევეა,ბაბილონურსა და ეგვიპტურში,სემურში განსხვავებულია, რაზეც უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოქმედებას ახდენდა მათი რელიგია – განათლება.

ქართული ანბანი მზის კალენდარიცაა, მაგრამ მთვარის აღნიშვნით იწყება, რადგან ძველად დღე-ღამის საწყისი იყო ღამე, მთვარის საშუალებით. მთვარის მოძრაობა, მისი ხილვადობა, როგორც უკვე ვთქვით, 28 დღეა და მხოლოდ 2 დღე არ ჩანს. აქედან ჩანს რომ, ყველაფერი დაიწყო ასტროლოგიით და იმ ინფორმაციით, რაც ეწერა ცის კაბადონზე.

ქართულ ანბანში მოცემულია დღე-ღამის საათობრივი განმარტება და 24-ე ასო-ნიშანი ქ(ქან) განსაზღვრავს ქვეყნის სიმბოლოს, ქვეყნის ოთხ მხარეს. ე. ი. ქვეყნის არსი 24 საათია და Ⴑ (ანი) საწყისია დღე-ღამის, ქან-ი კი დასასრული. ასე გამოიყვანება, რომ ანი და ქანი ასტონომიული სიმბოლოების მატარებელია.

ვარაუდობენ, რომ ეს მოხდა ძვ. წ. აღ. 415 წელს, როდესაც ქართველმა ქურუმებმა შექმნეს მთვარის კალენდრული ანბანი, რომელიც ძვ. წ. 412 წელს მიუსადაგეს მზის კალენდრულ სისტემას და შესაბამისად დაიწყო მზის ეპოქა.

შუა საუკუნეებში, ერთი პერიოდი ქართული ანბანი შედგებოდა 35 ასო-ნიშანისაგან. აქაც პირველი ასო Ⴑ (ანი) იყო და ქალდეკურ-ბაბილონური მთვარის ღვთაების სიმბოლო ნიშნავდა დღე-ღამის დასაწყისს. ამ შემთხვევაშიც 24-ეა ქანი (დღე-ღამის დასასრული) და 34-ე – ფ (ხარის იდეოგრამა, ხარის ღვთაება ანუ მთვარის ღვთაების შვილი), სულ ბოლო ასო ჯან არის ჯვარის იდეოგრამა ანუ ახალი ქრისტიანული რელიგია.

ჰ თანხმოვანი – ბგერა ფინიკიურ – ბაბილონური ანბანების მიხედვით, ქართულში მერვე ადგილზე იყო Ⴓ ნიშნით გამოხატული. დროთა ვითარებაში ამ ნიშანმა შეიძინა ხმოვანი ბგერის მნიშვნელობა და იქცა ხმოვნად. ამიტომ ჰ ბგერის აღსანიშნავად საჭირო გახდა ახალი გრაფიკული ნიშნის შემოღება. დღევანდელი ჰ-ნიშანი, რომელიც ანბანის ბოლოშია, უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა ჯ-მ დაკარგა (მხედველობაშია შეფარდებითი დაკარგვა) თავისი პირვანდელი მნიშვნელობა – სასრულობა და ჯვრის შინაარსი.



პოლტავსკოე. X-XI ს.ს.

უძველესი ქართული ეპიგრაფიკული წარწერები და სხვა ნაწერები

ბოლნისის წარწერები. XX საუკუნის 50-იან წლებამდე პირველ ქართულ უძველეს წარწერად ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერა იყო მიჩნეული, 492-493 წლებით დათარიღებული.

ოთხი წარწერიდან სამი ჩათვლილია უძველესად, ესენია:

I. „შეწევნით ქრისტესითა მე ფარნავაზ და აზარუხტ შეხუაბო ესე კარი სალოცველად სულთა ჩვენთათჳს".

II. „ქრისტე დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თაყვანს-მცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შეხენწიე ი~ი".

III. შეწევნითა წ~დ ისა სამებისაჲთა ოც წლის (სა) პეროზ მეფე (სა ზეობასა და ზიდვა საფუძველი) ამის ეკლესიაჲსა და ათხუმეტ წელი [სა შემდგომად].

(განხეშორა ვი) ნ აქა შინა თაყვანისხცეს ღ~ნ შეიწყალენ და ვინ ა (მის ეკლესია სა) მაშჩნებელსა და~თე) ეპისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღ~ნ შეიწყალენ.

ზემოთ მოცემული წარწერები დაზიანებული იყო და შემდეგ, ასეთი სახით აღადგინეს.

და ბოლოს, შედარებით მცირე ასაკოვანი წარწერა:

IV. „ჩორან, ქრისტე, შეიწყალენ ცოლ-შვილითურთ".

ამ წარწერებს კიდევ სხვადასხვა წლებით ათარიღებენ და ესენია 478-493 (ე. მაჭავარიანი, მ. მღებრიშვილი), ზოგი ერთ-ერთი მათგანს 357-ისა და მეორეს 392 წლებისად მიიჩნევენ. (რ. პატარიძე).

პალესტინის წარწერები. 1950-1952 წლებში იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოჩნდა ქართული მონასტრის ნანგრევები სამი ქართული წარწერებით (ერთი წარწერა სრულად, ორი კი, ფრაგმენტების სახით და დაზიანებულად):

I. „შეწევნითა ქ"სითა და მ-ეოხებითა წმიდისა თ ე სითა შ"ნ ანტონი აბა და იოსია მომსხმელი ამის სეფისა და მამა-დედაი იოსია სი ამენ".

II. წმიდაო თეოდორ-ე მარ (უა) ნ და ბურზ (ე) ნ შეიწყალენ ამე(ნ)".

III. „და ძუძუელნი მ-ათნი ბა-კურ და გრი-ორმ-იზდ და ნ-ამშობნი მათნი ქ~ე შეიწყალენ, ამენ".

ვარაუდობენ, რომ პირველი ორი თარიღდება 532 წლით, მესამე კი გაცილებით ადრინდელია და შესრულებულია V ს-ის I ნახევარში, დაახლოებით 440-იანი წლების ახლოს. ე. მაჭავარიანის მიხედვით 433 წელს.

დავათის ქვაჯვარი. 1984 წელს დუშეთის რაიონის სოფელ დავათში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. ღვთისმშობლის ეკლესიის ჩაშენებულ ქვა-სტელაში მიკვლეული იქნა ასევე უძველესი ქართული წარწერები. თავად ეკლესიას ვარაუდობენ არა უგვიანეს 419 წელს აშენებულად.

სტელა შედგება ორი მონაკვეთისაგან: პირველზე (ზედა ნაწილზე) გამოსახულია

ორი მთავარანგელოზი: მიქაელი (ქარაგმული წარწერით) და გაბრიელი. მთავარანგელოზებს ხელთ უპყრიათ გრაგნილი, რომელზეც ამოკაწრული თუ ამოტვიფრულია ქართული ასომთავრული ანბანი. ასოები განლაგებულია ექვს სტრიქონად.

ქვედა მონაკვეთზე წარმოდგენილია ორი ხელისუფალი. მთავარანგელოზების დაშვებული ფრთებით იუწყებიან ღვთის ნებას.

დავათის სტელაზე ძირითადად ფიქსირდება ორი თარიღი 284 და 311 წლები, (ძველი წელთაღრიცხვის). პირველი უტყუარად მიუთითებს ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების ან განახლება-რეფორმის დასრულების თარიღს (284). მეორე თარიღი, ახ. წ. აღ. 311 წელი, უნდა იყოს დამწერლობის აღორძინება – დაწყების ზღვარი.

დავათის სტელაზე ქართული ასომთავრული ანბანის სრულყოფილ კორპუსთან ერთად, გამოქანდაკებულია ქართული მწიგნობრობის, დამწერლობის ხოტბა-საგალობელი, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც რელიგიის უდიდეს რიტუალს, რომლის მიზანია ქართული დამწერლობის თაყვანისცემით, შერაცხონ წმინდანის ძალით, რითაც შემდეგ მისით უნდა ამაღლდეს მასზე დაფუძნებული ხალხი.

რ. პატარაძის აზრით, დავათის ქვაჯვარის ხატი და „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" იგივეობრივი შინაარსის ძეგლებია.

დავათის სტელაზე ასახული ქართული ანბანის ამაღლება-განდიდების სცენა, თემატიკურად უკავშირდება ბრდაძორის სტელას (VI ს.), რომელზედაც გამოსახულია იკონოგრაფიულ პრაქტიკაში ტრადიციად ქცეული თემა: ამაღლება-განდიდება სუდარაში გახვეული ლაზარესი, რომელსაც ქრისტე აცოცხლებს ანუ ქართული ენა ქრისტეს ენაა. ამ სტელაზე მიქაელ მთავარანგელოზი საყვირით ამცნობს კაცობრიობას.

საქართველო ბევრ მსგავს სიამაყეს მოიცავს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სინური მრავალთავი და ადიშის ოთხთავი.

სინური მრავალთავი არის პირველი თარიღოვანი ტექსტი, გადაწერილი 864 წელს იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრაში. ხელნაწერი შემდეგ შეუწირავთ სინის მთის მონასტრისათვის და დღესაც იქ არის დაცული. სინური მრავალთავის გადამწერია გრ. ხანძთელის მოწაფე მაკარი ლეთეთელი.

მრავალთავი დიდი მოცულობის წიგნია და შეიცავს 275 ფურცელს, მასში შესულია 18 ავტორის 50 ნაწარმოები, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ენიდან ნათარგმნი.

დაწერილია ნატიფი მრგვლოვანით, მარტო ანდერძის ნაწილია ნუსხურით შესრულებული და ეს არის ნუსხური ანბანის პირველი და უძველესი ნიმუში.

ადიშის ოთხთავი – ხელნაწერი შექმნილია 897 წელს, გამოჩენილი შატბერდელი მოღვაწის სოფრონის შეკვეთით, გადამწერია მიქაელი.

ადიშის ოთხთავი XI საუკუნემდე, ზოგი ცნობით, XVI საუკუნემდე, შატბერდში ინახებოდა. შემდეგ იგი სხვა ხელნაწერებთან ერთად სვანეთში აუტანიათ და თითქმის 400 წელი დაცული იყო მესტიის რაიონის სოფელ ადიშში, ბოლოს კი დამკვიდრდა მესტიის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

აკაურთა. V-VI ს.ს.

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ – იოანე ზოსიმე

„ღრმა უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისეთივე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო, გაზაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლადმოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია ამისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი, სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია როგორც სვეტიცხოველი და ნაზი ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.“

1. დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მის საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

2. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან.

3. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესენე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

4. და მეგობრობა ამისათვის თქვა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს.

5. და ოთხისა დღისა მკვდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ წელი ათასი ვითარცა ერთი დღე; და სახარებასა შინა ქართულსა თავსა მათესსა წერილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხია თასსა მარაგსა და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისათვის მის თანავე დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისათა.

6. და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

7. და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

8. და ესე ყოველი, რომელი წერილი არს, მოწამედ წარმოგითხრას ესე წილი ანბანისაი.

დღემდე არ არსებობს უფრო საიდუმლო ანდერძი, ვიდრე ეს ძეგლი, რომელიც ბრძენმა წინაპარმა, საბაწმინდელ-სინელმა ბერმა იოანე ზოსიმემ (მჩხრეკელი) დაგვიტოვა. ქართული ანბანის ქების ტექსტს იგი ოთხჯერ გადაწერს 962, 964, 979 და 982 წლებში და მის მიერვე შემოსილ ხელნაწერ მრავალთავში შეიტანს.

იოანე ზოსიმე პირდაპირ წმინდა წერილში იძლევა მითითებას, რომ მხოლოდ მოწამეს ძალუძს წაიკითხოს წერილი, რადგან სახარებისეული იდუმალთხრობით შენიღბულ წერილს მხოლოდ წმინდანის გონებას შეუძლია მიაგნოს და გახსნას ტექსტში ჩაშიფრული იდუმალი სიბრძნე. ავტორი მატიანის საიდუმლო წელთაღრიცხვას

გვაუწყებს და გვაყენებს გზაზე, რომ მისი საიდუმლოების ცოდნა ააშკარავებს ქართული ენის აშკარა უპირატესობას სხვა ენებთან შედარებით. „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მის საწამებლად...“ ჯერ უნდა ვთქვათ, რომ ენა ძველად ნიშნავდა ხალხს, მოდგმას, ერს და, მაშასადამე, ქართველი ხალხი ელის იმ დღეს, დროსა და გარემოს როცა ეს ხალხი, გენით და ქრისტიანობით გასხივოსნებული საგულდაგულოდ ჩაიხედავს ამ ენაში და შეიმეცნებს ქართული გენის ფენომენს, როგორც საკაცობრიო სიბრძნის დედაძარღვს და გაბრწყინდება ღვთის ნება, ქართველი ხალხი დაიბრუნებს მწყემსის ადგილს დედამიწაზე ანუ თავის თავზე აიღებს სასულიერო-საგანმანათლებლო მისიას მსოფლიოს წინაშე. ჰეგელმა უამრავი აზრი გამოთქვა ქართველებსა და კავკასიელებზე ისეთი, რაც მსოფლიო რასათა ანსამბლში ჩვენს ერს უპირველესს ადგილს აკუთვნებს და ერთს ასეთსაც ამბობს, „მხოლოდ კავკასოიდს ძალუძს ღმერთთან მისვლა“.

თეოლოგიურ ლიტერატურას და ენათმეცნიერებას, ენების წარმოშობასთან დაკავშირებით აქვთ მოსაზრება, რომ ყველა ენა ერთი ენისგან წარმოიშვა და ამისი დამადასტურებელი მასალები უფრო მეგრულ და სვანურ განშტოებებშია, ვიდრე ახალ ენაში. „და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“. სახარებისეული ლაზარე ქრისტეს მეგობარია, რაც მოწმობს იმას, რომ ლაზარეს გაცოცხლება ქრისტეს მიერ ენის და ერის გაცოცხლებაა. „ლაზარემ არა მხოლოდ იცის ქრისტეს აღდგომის საიდუმლო, არამედ განცდილი აქვს საკუთარ თავზე, არათუ სწავლებით, არათუ გამოცხადებით აქვს მიღებული, არამედ საკუთარი სისხლითა და ხორცით აქვს განცდილი თავად მაცხოვრის აღდგომამდე“ (ზ. კიკნაძე). „და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესენე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“. წმინდა ნინო და ჰელენე დედოფალი შედარებულია ლაზარეს დებთან მარიამთან და მართასთან. ჰელენე დედოფალი 255-330 წლებში, პირველი ქრისტიანი მეფის კონსტანტინე იმერატორის დედა, ქრისტეს ჯვარის აღმომჩენელია იერუსალიმში. ქართლის დედოფალს ნინოს ჰელენე დედოფალი უგზავნის წერილს, მაცხოვრის ხატს და ჯვარის ნაწილს („ძველი ცხოველი“), ჰელენე დედოფალი წმინდა ნინოს უწოდებს დედოფალს, მოციქულს და მახარებელს. მართას მონაწილეობა მისტერიაში გარეგანია და მჭვრეტელია ხილულისა, იმდენადვე მარიამი შინაგანის და უხილავი სულიერების მგრძნობელია, „რამეთუ არა ვხედავთ ჩუენ ხილულსა ამას, არამედ უხილავსა მას; რამეთუ ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არა ხილული საუკუნო“ (კორინთელთა 4. 18).

იოანე ოქროპირი მარიამს ადარებს ახალი აღთქმის ეკლესიასთან, მართას კი ძველი აღთქმის ეკლესიასთან. ასევეა სახარებაში, მარიამი მუდამ მაცხოვრის მსმენელი იყო, ხოლო მართა ნიადაგ საოჯახო საქმის მკეთებელი. ამის გამო წმინდა ნინო, მისტიკოსი, ნათელმხილველი, შედარებულია მარიამთან, ხოლო ჰელენე დედოფალი მართასთან, პირველი ორი მისტიური ცოდნით არიან გაჯერებული, მეორე ორი კი – ქველმოქმედებით და სამართლიანობით სოციალურ სფეროში.

„და ახალმან დედოფალმან მოაქცია ნინო და ჰელენე“, მაშასადამე, ნინო და ჰელენე მოაქცია ახალმა დედოფალმა და ის ახალი დედოფალი იყო, იბერიის დედოფალი ნანა – მირიან მეფის თანამეცხედრე მეორე ქორწინებიდან. ამიტომ „ქებაის“ ავტორი მას უწოდებს ახალ დედოფალს.

ქართული ფენომენი, რომელიც მუდამ იყო სულიერების მისიის და ცოდნის მატარებელი, იქიდან ჩანს, რომ წმინდა ნინო საქართველოში მოდის ფეხშიშველა და ეს მხოლოდ იქ ხდებოდა, სადაც წმინდა მიწა იყო და ოთხი წელი იმიტომ ცხოვრობდა ეკალბარდებში, რომ მარხვით და გვემით მიეღო სულიერების ის სიმაღლე, რაც ამ მიწას გააჩნდა.

„და ესე ენაი შემკული და კურთხეულია სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა", ე. ი. თუ ეს ენა შემკულია და კურთხეული, თავად ეს ხალხი ანუ ენა ყოფილა უფლის ნიშნის და კოდის მატარებელი და თვითონ ეს ენაა უფალი. ქართული სიტყვა „ანბანი" ეგვიპტურად ღმერთების „ენას ნიშნავს" (ნიკოლოზ გამრეკელი, „საქართველოს სიძველენი", ქ. თბილისი, 1885 წ.) და ეს ფენომენი – ენა, თავად გადმოსცემს სამყაროს კანონზომიერებას, რომ ეს ხალხმაც – იგივე ენამ, ჯერ კიდევ კაცობრიობის საწყის ფაზაში შეიცნო კოსმოსი და მიიღო აბსოლიტური ინფორმაცია და ამით შეიქმნა დედამიწაზე იმ უფლების მატარებელი, რასაც მირონცხებული მწყემსი ეწოდება. კოსმოსი არის აბსოლუტური ინფორმაციის შემცველი და მას მიიღებს ის ერი-ენა, რომელიც მართალი და უცდომელი მრწამსის მატარებელია, ანუ ნათელში მყოფი ადამიანია. ქართველი და მისი წინარე სახეები (ტომები) იყვნენ პირველი შემგრძნები ღვთაებრივი კოდის და მინიშნებით, კოსმიური ნებით, იგი შეიქმნა სამყაროს უზენაესი ქურუმი და მწყემსის წოდების მატარებელი.

„ამისათვის მის თანავე დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისათა", ზოსიმე – ბერი ამ სიტყვებით ამხელს, რომ ნათლისღება ჭეშმარიტი ზიარებაა და ამბობს, რომ ლაზარე (ანუ ქართული ენა) დამარხულ არს თავისივე ნათლისღებისათვის, ანუ სამყაროს ჭეშმარიტი ზიარებისათვის". ეს ნიშნავს, რომ ნათლისღებით შემკული და კურთხეულია სახელითა უფლისაითა. საერთოდ, ნათლისღება ჭეშმარიტებასთან ზიარებას ნიშნავს და ის არის შემკული უფლის სახელით, რაც დაფარულია და გაუთვითცნობიერებელია ყველა მორწმუნისათვის. არის მოსაზრება, რომ ჭადრაკის დაფაზე ლაზიერი, იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ლაზი ერი ანუ ქართული არეალი და ფენომენი. მცნება „მიყურებდეთ და ვერ მხედავდეთ და მისმენდეთ და არ გესმოდეთ" ამგვარადაა ნათქვამი და დაშიფრული მოვლენაზე, მათ შორის ქართული ენაზე.

„მდაბალი და დაწუნებული" – არის მისტიკური ხედვა ენის გარეგანი მხარისა და მისი მდგომარეობისა წუთისოფელში, რაზეც ამბობს კიდევაც მათე მახარობელი, რომ: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდნენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაი ბოროტი თქუენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის" (მათე 5.11). იოანე ზოსიმეს ქარაგმით და დაშიფრვით ქართული ენა ოთხი დღის, ანუ ოთხი ათასი წლის მკვდარია, ეს სიკვდილი, დამარხვა-შენახვა, დადაბლება, დაწუნება 4 ათას წელს გრძელდება. გამომდინარე იქიდან, რომ „ქებაჲ" წარმოადგენს X საუკუნის ძეგლს, საგულისხმოა, რომ იოანე-ზოსიმემ თავის ახ. წ. X საუკუნით დაასრულა 4 ათასი წელი, რადგან ძვ. წ. აღ. 3 ათასს წელს ემატება, ახ. წ. 1000 წელი და ახ. წ. X საუკუნიდან იწყება ქართული ენის ანუ ხალხის და საერთოდ ქართული სახელმწიფოებრივი კულტურის აღდგომა-აღორძინება, რაც ქარაგმულად ასე ითქმება, მეორედ მოსვლა. თეოსოფიური ტრადიციით ამ დადაბლება-დაწუნების პერიოდს ეწოდება კალი-იუგას ხანა და იგი ევროპაში იწყება ინდოევროპელთა ექსპანსია-გაბატონებით

და ეს დრო ბერძნულ მითოლოგიაში სიმბოლიზებულია იაპეტის ძის ტიტან პრომეთეს (წინასწარმეტყველური აზრის) კავკასიონზე მიჯაჭვით და დედამიწაზე ზევსისა და მისი პანთეონის გაბატონებით. პრომეთე იაფეტური ხალხის ქართული მოდგმის მისტერიაა, ზევსი — ინდოევროპული. აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის მიხედვით ზევსი იმ ბერძნების ღმერთია, რომელნიც კულტურის სხვა, შესაძლოა დაბალ საფეხურზე იდგნენ და დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის არქიპელაგზე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე.

და თუ ადრე მაღალი კულტურის მქონე პროტოქართული მოსახლეობა თავისი მისტერიული კულტურით აღავსებდა ინდოეთს, ხმელეთშუაზღვის აუზს, ჩრდილო და სამხრეთ ევროპას, პირინეებს, ეგეოსის არქიპელაგს და მცირე აზიას, ამჯერად ის შევიწროებულია და ლოკალიზებულია კავკასიაში. ამ ხალხს შუა საუკუნეების მეცნიერები უწოდებენ ლაგურ-იბერიულ, ანუ ეუსკარო-ალაროდიულ მოდგმას, ჩვენი მეცნიერება — იაფეტურს ან იბერიულ-კავკასიურს. ინდოევროპელები კი, თუ ძვ. წ. IV ათასწლეულში ეკავათ ტერიტორია შუა ევროპიდან ურალსა და არალის ზღვამდე, III ათასწლეულიდან იწყებენ მცოცავ აგრესიულ ექსპანსიას სამხრეთისაკენ, კერძოდ, ხეთურ-ლუვიური ტომები იპყრობენ III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ხოლო II ათასწლეულის დასაწყისში აღმოსავლეთიდან მოდის ინდოევროპელების დიდი ტალღა არიელების სახით, რასაც საბოლოო დაშლამდე მიჰყავს პროტოქართველების ხმელთაშუაზღვის და ეგეოსური კულტურა და, როგორც ზევით ვთქვით, კავკასიაში უკეთებენ ლოკალიზაციას. სიტყვა ოდნავ გაიქცა თემიდან, მაგრამ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რატომ მოხდა ქართული ენის დადაბლება, დაწუნება, დამარხვა-შენახვა. ახლა კვლავ დავუბრუნდეთ იოანე ზოსიმეს „ქებაჲს“.

ლაზარე. ანბანთქების ძეგლის ცენტრალური ფიგურაა ლაზარე, რომელსაც მთლიანად აქვს ქართველთა სულიერი მისია დაკისრებული. ლაზარე კი ქართველთა წინარე ტომი — ლაზები არიან. ლაზი ძველი ელინებისათვის დასავლეთელ ქართველს ნიშნავდა, ლაზარე კი ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში წყლის ღვთაების სიმბოლოდ იყო წარმოდგენილი. უდავოდ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო შიფრი-ქარაგმა, როგორც არ უნდა ყოფილიყო მოწოდებული ჩვენთვის. ამ შემთხვევაში წყალი ყოველთვის დაბადების სტრუქტურა იყო, სადაც მოხდა ყოველგვარი სიცოცხლის ჩასახვა, ამგვარად ლაზარე არის წყლის სიმბოლო და აქედან გამომდინარე დაბადება სიცოცხლის ნიშანია, ანუ დამარხულია სიცოცხლე, ანუ — წყალი. არსებობდა, ასევე ძველი ქართული ტომი ტიბარენები, რომლებიც მისტერიულად იყვნენ „ტაბას“ — „ტაბუს“ დადების სპეციალისტები — ქურუმები. ეს უკანასკნელნი იყვნენ ისინი, ვისაც უნდა შეენახათ უკვე არსებული ცოდნა და შესაძლებელია სწორედ ისინი იყვნენ ამ საქმის კეთების, ანუ ტაბუს დადების პროფესიონალები. ძირი Lak ძველ ბერძნულშიც წყლის აღმნიშვნელია და მითოლოგიური ხაზით დასაბამის მომცემია. ასევე წყალს უნდა უკავშირდებოდეს „ქებაჲ“-ში წილ ასო-მარცვალი, რომელსაც ასევე 4000 რიცხვი შეესაბამება და არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან დასკვნით ნაწილში ავტორი კვლავ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას „წილ“ ასო-მარცვალზე და წილ-ით იწყება სიტყვა წყალი. „ქებაჲ“ წყალზე მიგვანიშნებს, როგორც დაშიფრული კოდის გასაღებზე და ასევეა მაშინაც, როცა ავტორი მიგვითითებს „წიგნზე“, რომლითაც იწყება მათეს სახარება. „წიგნი“ ლიტერატურულ ცხოვრებაში ხშირად იცვლება

სიტყვა „წყاროთი“. ახლა ჩვენ დროებით წავყვებით წყლის არსზე საუბარს წარმართული პანთეონების მიხედვით და მივიღებთ ასეთ სურათს: ძველ ბერძენ შვიდთაგანი ბრძენი თალესი თვლიდა, რომ წყალია სათავე ყველა ნივთთა და არსებათა და საერთოდ ყველაფერთა.

დოგონური მითოლოგიის მიხედვით, სწორედ წყლის ღვთაებამ ნომომ მიანიჭა დედამიწას მეტყველების უნარი, შეუქმნა სამყაროს პირველი ენა, ხოლო მისი შთამომავალი ლებე სიტყვის წარმომადგენლად მოევლინა ქვეყანას.

ძველ შუმერებში ნამუს სამყაროს შემქმნელად და ყოველი ღმერთის დედად მიიჩნევდნენ, რომელმაც შექმნა ცა და მიწა. თვლიან, რომ ნამუ მიწისქვეშა წყლების გამოხატულებასაც წარმოადგენდა.

ძველ შუმერში ცა და მიწა პირველქმნილ ოკეანეში ჩაისახა, იგივე წარმოდგენები არსებობდა ძველ ბაბილონშიც. აქადური მითოლოგიური პოემა „ენუმა ელიშ“-ის მიხედვით, პირველი სტიქია თიამათი ზღვას წარმოადგენდა. ასევე წყალთან კავშირდება პირველქმნილი ქაოსი ძველ ჩინეთში. შეიძლება ცოტა გაგვიგრძელდა ძველი მსოფლიოს წარმართულ პანთეონებში წყლის როლზე ლაპარაკი, მაგრამ შეგნება, რომ წყალი – სიცოცხლე – დასაბამი სინონიმებია, ამ თემაზე აზროვნებისას უნდა განმტკიცდეს.

ძველ ინდურ მითოლოგიაში მთავარ ქალღმერთებს ინდრასთან ერთად ვარუნა წარმოადგენდა და იგი იყო კოსმიური წყლების და ჭეშმარიტი სიტყვის სიმბოლო. საერთოდ, ხშირად გვხვდება სხვადასხვა პანთეონებში და განსაკუთრებით ინდურში წყლის ღვთაება, სიტყვის სიმბოლოც იყო. სავარაუდოა, რომ წყალი, დაბადება, დასაბამი, სიცოცხლე – ეს სიტყვა იყო სინთეზი და სინონიმები ერთმანეთის.

ლეგენდათა შორის უმთავრესია ბიბლიური ქაოსი, სადაც ასევე წყალზე მახვილდება აქცენტი, როგორც საწყისზე. ამგვარად, პირველი მატერია ეს იყო წყალი და შემდეგ მოდის ბიბლიაში: „და თქუა სიტყვაი პირველთაგან და სიტყუა იგი იყო ღმერთის თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი“.

ფიზიკის განზომილებებით წყალი უახლესი მეცნიერების თვალთახედვით იძენს ახალ აღმოჩენებს და თვისებებს, რის თანახმადაც, წყალი უსასრულო რიცხვების განზავების შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს „მეხსიერების“ უნარს, ე. ი. კვალი რაიმესი არ კვდება და ჰაერზე და მიწაზე უფრო გამძლეა. ამჯერად ფიზიკოსები იწყებენ მისი ბიოდამუხტვის მოვლენის შესწავლას.

შვიდი ქრისტიანული საიდუმლოებიდან პირველია ნათლისღება, იგივე წყალკურთხევა და თეოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ ბიბლიურ ციტატაში „დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“, – სიტყვაში დაქარაგმებულია წყალი.

როდესაც ადამიანებმა პირველად გაინათეს გონება მისტერიით, ამ პერიოდში უმაღლეს რელიგიურ ხოტბას აღუვლენდნენ წყალს და მუდამ თან დაატარებდნენ, ჯერ კიდევ ცეცხლის პატივისცემის ეპოქამდე. ეს პრომეთეს და ამირანის ცეცხლი არ გეგონოთ, როდესაც მეტალურგია განვითარდა.

ახლა განვიხილოთ როგორ ხდებოდა რაიმე ცოდნის დამალვა, დაშიფრვა, შენახვა, დამარხვა, ქარაგმა და სხვა. საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს მკვლევარი გელა ღვინეფაძე ამასთან დაკავშირებით: „თუკი ბერბერებს აქლემის, ხოლო ესკიმოსებს თოვლის აღმნიშვნელი სინონიმი ასეულობით გააჩნდათ, ცხადია იგივე სიტუაცია

იქნებოდა წყლისთვისაც, თავდაპირველი ენის ჩამოყალიბებისას. მეტიც, თვისობრივად სხვა შინაარსის მქონე ტერმინების დიდი უმრავლესობა, მაინც წყლის მონათესავე მცნებასთან დაკავშირდებოდა, ანუ შვილებს უნდა მოჰყოლოდა შვილიშვილები, შვილთაშვილები და ა. შ. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ადამიანებმა პირველი სიტყვა დავკარგეთ. ალბათ იმის გამო, რომ... საგამომგონებლო თეორიის შესწავლისას დამწყებთათვის რეკომენდირებულია ერთი ასეთი ამოცანა: „სად, როგორ დავმალავდით ოთახში ქვას ისე, რომ მისი მიგნება რაც შეიძლება, გაძნელდეს? პასუხი ასეთია: ქვების გროვაში“. ამგვარად, საგნის ან მოვლენის დამალვა ხდებოდა მისივე მსგავსში და მონათესავეში.

არსებობს მოსაზრება, რომ ბრძენი ბერის სახელი — იოანე ზოსიმე ფსევდონიმია და ალბათ უფრო ასეა სავარაუდო „ქებაჲ“-ში სამი პირი მონაწილეობს ძმა — ლაზარე და ორი და — მართა და მარიამი, რომლებიც სამ ქვეყნად და ეთნოსად უნდა წარმოვიდგინოთ, რომლებიც ერთი ცნობიერების კულტურის მატარებელი არიან. მართა — წარმართია და მასთან ხდება მისტერიის მომზადება, მარიამი — ჭეშმარიტი მზეა და დაკავშირებულია მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან. ორივე ლაზარეს დები არიან, ორივეს ცოდნა ანუ იდეა ლას-ზე-არეშია, რომლის რეალიზაციას შესძლებს ის, ვინც გადალახავს ლას-ის ზღვარს და ზე-არეში ანუ ჭეშმარიტი ქრისტიანული ღმერთის სამანებში შევა.

ლაზარესთვის განსხვავებული ეტიმოლოგიური ვერსიებიც არსებობენ და ამ სახელს „ლაზ“ ძირად და „არ“ სუფიქსად შლიან, ზოგნი მას „ელიაზარის“ სახეცვლილებად მიიჩნევენ (ძვ. ებრ. „ღმერთი დაეხმარა“).

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ქართული ენის სადიდებელი ჰიმნია, რომელიც გვამცნობს მომავალში ქართული ენის აღორძინების ხანას და მისტიკურ ძალამოსილებას. „ქებაჲ“ 100 წლის წინ აღმოაჩინა ალ. ცაგარელმა იმ სინურ ხელნაწერებში, რომელიც გადაწერილია იოანე ზოსიმეს მიერ, ამიტომ ტრადიციულად „ქებაჲს“ ავტორად ასახელებენ იოანე ზოსიმეს.

„ქებაჲ“ პირველად შეისწავლა კორნელი კეკელიძემ და მანაც თხზულების შემქნის თარიღად X საუკუნე მიიჩნია, პავლე ინგოროყვამ კი, ლექსთაწყობის მიხედვით გამოთქვა აზრი, რომ „ქებაჲ“ წარმართული პერიოდისაა, ხოლო იოანე ზოსიმე — გადამწერია („დამჩხრეკია“) და არა ავტორი.

აკაკი ბაქრაძე ამ ნაწარმოებს IV საუკუნის ხანად მიიჩნევს, ხოლო რ. პატარიძემ მისი შექმნის თარიღად 342 წელი დაადგინა.

თხზულებაში იდუმალწერით მოცემულია შემდეგი შინაარსი, რომ ქართული ენა „მდაბალი“ და „დაწუნებული“-ა, რაც ნიშნავს, ერთი მხრივ, დაფარვას, დაშიფრვა ანუ დაწუნება-დადაბლებას, ასეთი ქარაგმები ზოგადად მიღებული იყო თეოლოგიურ დამწერლობაში. იგი (ენა) დამარხული და მძინარეა ისევე, როგორც ძე ღმერთის მეგობარი ლაზარე და, როგორც ვიცით, სახარება გვმოძღვრავს, რომ როდესაც ქრისტეს შეეგებება მართა და ელენე ანუ ძველი ენის სიმბოლოები, სთხოვენ, რომ გააცოცხლოს მათი ძმა წარმართი ლაზარე, რაც აღსრულდება კიდეც. ქრისტე გადააგორებს ლოდს, ოთხი დღის დამარხული ლაზარეს საფლავიდან. ამ უკანასკნელმა კი ნათელიღო ქრისტეს რელიგია და მისი სახით ენა ცოცხლდება. ფარნავაზის შემდეგ ქართული ენა კვლავ დაიმცრობა და მხოლოდ მეოთხე საუკუნეში აღორძინდება

კვლავ, მირიან მეფის მიერ, მის აღორძინებაში კი დიდ წვლილ შეიტანს წმინდა ნინო. IV ს-ში არცერთ სხვა ხალხს არა აქვს წმინდა ნინოს ცხოვრება.

„ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს", ნიშნავს, რომ კაცობრიობის საზრისის საიდუმლო დაშიფრულად მოცემულია ქართულ ენაში. ქართული ენის კოდის გამშიფრავთა მონაცემებით ცნობილია, რომ ქართული ანბანი არის კოდირებული და დაბალანსებული 100%, რომლის მეშვეობით აეხსნება ფარდა კაცობრიობის არსებობის ყველანაირ საზრისს, საიდუმლოს და განვითარებებს. ამ კოდური კვლევით მტკიცდება, რომ ქართველები სამყაროს დასაბამიდანვე გვევლინებიან პირველ განმანათლებლებად, რომლებსაც საგანმანათლებლო მისია ეპყრათ ხელთ და ესენი იყვნენ ჯერ ქალდეველი (შუმერის მხარეში) და შემდეგ ლაზი ქურუმები, რომელთაც შემდეგ უხუცესებს და ხევისბერებს უხმობდნენ.

თეიმურაზ ბაგრატიონს ამოუწერია ანტონ II კათალიკოსის კუთნვილი წიგნიდან „მატიანე შემეცნებათაგან" შემდეგი სტრიქონები: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე. წერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი ქურუმთა მიერ, რომელთაც უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერპთა მოღვდელენი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ და წერილი მათი არის წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი".

ივანე ჯავახიშვილი თანამედროვე ქართული ანბანის ძირების შემუშავებას ვარაუდობდა არა უგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა. ასევე გალაკტიონ ტაბიძე; პავლე ინგოროყვა ძვ. წ. აღ. VIII-VII საუკუნის მიჯნებს ორიენტირებდა უმეტესად.

ის აზრი კი ურყევია, რომ უძველესი ქართული წარწერების ანბანური ასოები იმდენად სრულყოფილად მეტყველებს, რომ ქართული ანბანს ასეთ დახვეწილ ფორმებამდე და მიღწევამდე აუცილებლად გავლილი აქვს რამდენიმე საუკუნოვანი გზა.

„ქებაჲ" და კომპიუტერით მიღებული – მესია

ენათმეცნიერმა რამაზ პატარიძემ „ქებაჲს" განხილვისას, ყურადღება მიაქცია ასო-ბგერას „წილ"-ს, რომელსაც ანბანში რიცხვითი ციფრი 4000 შეესაბამება. მანვე მათემატიკოსებთან ნოდარ კანდელაკთან და გურამ ცერცვაძესთან ერთად ჩაატარა ტექსტური ანალიზი და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მზის უძრავი კალენდრული სისტემა და არა მთვარისა, როგორც აქამდე ფიქრობდნენ. მათემატიკოს ეთერ მიქელაძის მიერ შედგენილი იქნა ალგორითმი, კომპიუტერზე დამუშავების წესებით და შესაბამისი პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ჩატარდა ტექსტის სტატისტიკური ანალიზი და დადგინდა, რომ გრაფემათა (ასო-ნიშანთა) საერთო რაოდენობა ტოლია 856-ისა. აგრეთვე ასო-ნიშნები „ინ" და „იოტა" ჩავთვალეთ ერთ ერთეულად, ვინაიდან ქართულ ენაში ხშირია მათი ასიმილაცია. საბოლოოდ მიღებული იქნა, „ქებაჲს" ანალიზის ტექსტი, რომელიც შეიცავს 154

სიტყვას, ყველაზე მეტი სიხშირე და ფარდობითი სიხშირე ჰქონია სამმარცვლიან სიტყვებს – 33%, ორმარცვლიანები 29%, ერთმარცვლიანები 21%, სულ მთელი ტექსტის 82%-ს შეადგენს, რაც ამტკიცებს ერთ, ორ და სამმარცვლიანი სიტყვების როლს სარითმო სტრუქტურაში. ასევე ძალზე საინტერესო გამოდგა ტექსტში ერთნაირ ასოთა განმეორება, რომელიც ასე დაფიქსირდა: ძ –13, ზ და ჰ ორ-ორჯერ; ც – 3; გ, ფ და შ – ოთხ-ოთხჯერ; კ და ტ –5; ყ – 6; ღ და ქ – 10; ბ – 11; წ – 13; ხ – 17; უ – 18; ვ – 26; ნ – 31; ო – 33; თ – 39; ლ – 42; რ – 42; დ – 51; ასოების შემდგომი განლაგება ასეთია: მ – 52; ე – 78; ს – 82; ი – 98; ა – 167. აი, სწორედ ამ ხუთი ასო-ნიშანთა გამეორების (სიხშირის) ზრდის მიხედვის დალაგებით ვიღებთ სიტყვა მესიას.

ამ აპოსტერიულ მოვლენას თვლიან წინასწარგანზრახულად და კანონზომიერად. ცნობილია, რომ სიტყვების სრული შეკვრა-შედგენა ხორციელდება ხმოვანი ბგერებით, სიტყვა მესია კი შეიცავს სამ ხმოვანს ენ, ინ და ან. დანარჩენი ორი ხმოვანი ონ და უნ არასიტყვამწარმოებლურ გარემოცვაშია წარმოდგენილი – „ქბწხუვნოთლრდ", აქ ასოთა არც პირდაპირი და არც პალინდრომული წყობით არავითარი აზრობრივი სიტყვითი ერთეული არ იქმნება. ამგვარად, ერთადერთი სრულყოფილი სიტყვა სტატისტიკური ანალიზით არის სიტყვა მესია (ძველ ებრაულად masiah, იტალიურად messia, ინგლისურად messiah); ამ სიტყვიდან, პალინდრომული წყობით მიღებული სრული ფუძეა „აისი" – სიტყვისა და „აისი" წარმოადგენს, არანაკლებ საინტერესო საანალიზო ერთეულს მესიას გამოჩენის მომენტის დადგომის თვალსაზრისით.

სიტყვა და სიტყვაში ჩადებული აზრი იგივეა, როგორც სხეული და სული. როგორც სული ადამიანის სხეულით იმოსება, ასევე აზრი იმოსება სიტყვიერი ფორმით, ამიტომ როგორ ტანსაცმელს ჩავაცმევთ იდეას, ამას ჩვენი კულტურული დონე განაპირობებს. „ქებაჲს" შესახებ ზვიად გამსახურდია ამბობდა: „იოანე ზოსიმეს „ქებაჲ" ეხება არა მხოლოდ ქართულ ენას, როგორც ასეთს, არამედ ქართველ ერს, ქართულ ეთნოსს, მის კულტურულ მისიას, როგორც ეს ესმოდათ საქართველოს ეზოთერულ წრეებში... ქართული მოდგმაც აღდგება ამ ოთხდღიანი (ოთხიათასწლიანი) ნათლისღების შემდეგ, ხოლო მეორედ მოსვლისას კვლავ დაიბრუნებს უნივერსალური სულიერი ლიდერისა და კაცობრიობის მსაჯულის პოზიციას, როგორიც გააჩნდა მას წარსულში და ყოველივე ამას ქართულ მოდგმას დაუბრუნებს ის, ვინც აღადგინა და განადიდა ლაზარე, ამიტომაც არის ქართული მოდგმა ლაზარესთან შედარებული".

ქართველი ხალხის სულიერ-საგანმანათლებლო მისიის წარმოსადგენად და დასამტკიცებლად, არ არსებობს უფრო დიდი უტყუარი მტკიცება, ვიდრე იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ". არა მგონია ანალოგიური და მსგავსი საბუთი გააჩნდეს სხვა, ნებისმიერ ერს, მაგრამ საჭიროა ამ თხზულების გამოწლვილვით გაანალიზება. მწამს, რომ „ქებაჲ"-ს ახსნა მარტივი და გასაგები ენით არნახულ დიდებას მოუტანს ქართველ ერს, ისევე, როგორც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი".

X საუკუნის – „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" ქართული ენის სადიდებელი ჰიმნია და გვამცნობს ქართული მწიგნობრობის აღორძინების ამბავს IV საუკუნეში. თხზულებას 100 წლის წინათ მიაკვლია ალ. ცაგარელმა სინურ ხელნაწერებში. გადაწერილია 'იოანე ზოსიმეს მიერ, ამიტომ ტრადიციულად „ქებაჲს" ავტორად იოანე

ზოსიმეს ასახელებენ, რომელიც მე-10 საუკუნის მოღვაწეა.

„ქებაჲს“ ძირითადი შინაარსი, სხვა ვერსიით, ასეთია: მეცნიერები ფიქრობენ, რომ ტექსტში „დაწუნებული“ და „მდაბალი“ ნიშნავს ბერძნულ ენასთან შედარებით ნაკლოვანს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს, ქარაგმა, შიფრი, რაღაც საიდუმლოს მიმანიშნებელი, რადგან „დამარხული“ და „მძინარე“ დროებით დაფარული და გასაიდუმლოებულია და ბოლოს „შემკული და კურთხეულია“. არ შეიძლება შემკული და კურთხეული დაბალი და დაწუნებული იყოს. ამიტომ ვფიქრობ, აქ ყველა სიტყვა დაქარაგმებულია და ქვეშეცნეულად უნდა წაიკითხოს ყველამ. ქართული ენა ბერძნულის ისეთივე მეგობარი და თანასწორია, როგორი მეგობრებიც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა უქადაგა სახარება ქართველებს, მეორემ — ბერძნებს. ისინი ისეთივე დები არიან, როგორც ლაზარეს დები მართა და მარიამი. ქართულ ენას მსოფლიოში სხვა ენებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ მეორედ მოსვლის დროს ქრისტე ქვეყანას განიკითხავს ქართულ ენაზე. ავტორი აღორძინებულ ქართულ ენას (მწიგნობრობას) ლაზარეს უწოდებს. ლაზარეს შესახებ მოთხრობილია ასევე იოანეს სახარებაში.

ლაზარე იყო ქრისტეს — იესო ნაზარეველის მეგობარი, ძმა მარიამის და მართასი. წარმართი ლაზარე დასნეულდა და მოკვდა. რადგან დებს ქრისტეს უსაზღვრო რწმენა ჰქონდათ, ამ რწმენისგან გამომდინარე მკვდრეთით აღადგინა ლაზარე. ქრისტე მივიდა საფლავთან, ქვა გადააგორებინა და უბრძანა ადგომა. ოთხი დღის დამარხული ლაზარე გაცოცხლდა.

ლაზარე წარმართი იყო და ნიშნავს, წარმართულ ქართულ ენას, რომელიც ნათელიღებს ქრისტეს მადლს — ახალ რელიგიას, ე. ი. იქმნება ახალი ქართული ენა. ამგვარად, ქართული ენა ლაზარეა. ლაზარესთან გაიგივებით, „ქებაჲ“-ს ავტორი გვაუწყებს, რომ წარმართული ქართული დამწერლობა (მხედველობაშია ფარნავაზის პერიოდის დამწერლობა) მომდევნო ხანაში დასუსტდა და მოკვდა, მაგრამ მირიანის მეფობის დროს იგი ხელახლა აღორძინდა, როდესაც ნათელიღო, ე. ი. როცა მას ეწვია ქრისტიანობის მადლი. ეს გვამცნო დავათის სტელამაც.

ზვიად გამსახურდიას აზრით, „ქებაჲს“ ავტორი ქართული ენაში გულისხმობდა ქართველ ერს და ეთნოსს, რაც, ჩემი აზრით, მეტად სარწმუნოა, რადგან ენა, რელიგია და ერი, წარსულში ყოველთვის იგივეობრივი ცნებები იყო.



უკანგორი. VI ს.

ენა

ერის ბუნების გამოვლენის და მისი თვითშენახვის ერთ-ერთი უპირველესი იარაღია ენა. რა ენა წახდეს ერი დაეცეს, უთქვიათ ჩვენს ძველებს, და ვინც თავის ენას კარგად მოუვლის, მის ეროვნულობას ათასწლიანი კოლონიზაციაც ვერაფერს დააკლებს. ენა გარეთ გამოტანილი აზროვნებაა, აზროვნება კი შინაგანი ენა-ბუნება, მისი სული ყველაზე ნათლად ცხადდება მის უთარგმნელ სიტყვებში, რადგან ზოგიერთი ენა თავისი ბუნებით და შინაარსით ასწრებს გრძნობების სიტყვად გამოხატვის ნიჭით სხვა ენებს. ამიტომ ამბობს ნიკო მარი: „ქართულ ენაზე არამცთუ ყველა გრძნობის და განცდის გამოხატვაა შესაძლებელი, არამედ შეიძლება მისი მხატვრულ ყალიბში ჩამოსხმა. ამდენად, ქართული ენა თავისი თვისებით მსოფლიო ენაა.

„თუ გსურს შეისწავლო რომელიმე ხალხის ზნე-ჩვეულებანი, წინასწარ უნდა ისწავლო მისი ენა“.

პითაგორა

(ფერილი 3)

არსად არ მოიძებნება ხალხის სიბრძნე ისე კარგად, როგორც მის ენაში, ამ ენის შესაძლებლობებში, მის სილრმეში, ენის მხატვრულ ქსოვილსა და ესთეტიკაში. „ყოველი ენა თავის ხალხის მსოფლხედვაა“, – ამბობდა გერმანელი ენათმეცნიერი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი. ზვიად გამსახურდიას განმარტებით, ჰუმბოლდტი იყო ის მეცნიერი, რომელიც ქართულ ენას და მის რასიულობას კაცობრიობის უმაღლეს გამოვლენად და სათავეებთან მდგომად თვლიდა.

სამყაროს პირველი სამოსი ენაა. მის პრიზმაში ტყდება ყოველი არსი, ამიტომ თუ ეს ჭურჭელი მარჯვე და ტევადი არ გამოდგა, ვერ გაუძლებს ისეთ განცდებს და გასიტყვებას, როგორიცაა შემდეგი სიტყვები: „ბინდისფერი სოფელი“, „წუთისოფელი“, „გარდაცვალება“.

ადამიანთა კომუნიკაციის საოცარ წყურვილზე მიუთითებს ის, რომ ბევრჯერ სცადეს შეექმნათ რაღაც საერთო ენა, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ სწრაფ დაახლოებას. ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სხვადასხვა დიალექტსა და ენაზე მოლაპარაკეთა სიმჭრიდროვისა და შერწყმისათვის ძველმა ბერძნებმა, ბერძნულის ბაზაზე შექმნეს საერთო ენა – კოინე. XVII საუკუნეში გაჩნდა საერთაშორისო ენათა შექმნის უამრავი პროექტი, მაგრამ ყველა უდღეური აღმოჩნდა. 1879 წელს კი ვოლაპიუკის მიერ შეიქმნა ენა, რომელზეც ჟურნალ-გაზეთებიც კი გამოდიოდა და 1884-89 წლებში ვოლაპიუკის მომხრეთა სამი საერთაშორისო კონგრესი გაიმართა, მაგრამ ყველაფერმა მაინც ამაოდ ჩაიარა.

1887 წელს პოლონელმა ექიმმა შექმნა ენა, სახელწოდებით ესპერანტო, ყველა წინამორბედთა შეცდომების გათვალისწინებით, რომელთა გაერთიანებები მსოფლიოს

56 ქვეყანაში არსებობდა. 1987 წელს კი იუნესკოს ეგიდით ფართოდ აღინიშნა ესპერანტოს ასწლიანი იუბილე. იგი მთლიანად ინტერნაციონალურ ბაზაზე შეიქმნა, მაგრამ საყურადღებოა, რომ მისი შემოქმედნი ვერ ჩაწვდნენ მისი ბუნებრივი განვითარების ხაზებს და ხელოვნურობამ მას არ მისცა ენისთვის დამახასიათებელი მრავალწლიანი არსებობის უფლება, ისე, როგორც თავიდან იყო გამიზნული.

ფსიქოლოგების მიერ მიღებულია, რომ ურთიერთობა და კომუნიკაციები ადამიანთა შორის 60-დან 80%-მდე არავერბალური, არასიტყვიერი საშუალებით ხორციელდება და ინფორმაციის 20-40% გადაიცემა სიტყვიერად. მათივე განმარტებით, უსიტყვო ჟესტიკულაცია სიტყვიერზე პოპულარულია, მეტად ეწაფებიან და თავსაც იწონებენ. მხოლოდ ძალზედ მცირედნი არ ღალატობენ და ცდილობენ გუნდრუკი უკმიონ კულტურის ფორმებს – ილაპარაკონ სიტყვების ძირეული და სრული ფორმით. ასევე ამტკიცებენ ფსიქოლოგები, რომ ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც არაბუნებრივი ხმით, თვალის ცეცებით და არაორგანული მანერებით მოქმედებს, სიცრუის კასკადების ავტორი შეიძლება შეიქმნას. ჩემი აზრით კი, ეს იყო წინათ, დღეს კი ისე დაიხვეწა ყოველივე ჩვენს ირგვლივ, რომ ვეღარც სიყალბის და სიცრუის დიდოსტატები ფლობენ ამ მანკიერი თვისების მანერას, საერთოდ კი ძველ, დრომოჭმულ ფორმებს, რაც ყველაფერი იყო წარსულში, მარად ელოდეთ ახლებური ფორმით მომავალში.

ენის ფლობა, მასზე ფერება და სიღრმისეული განცდა ხვეწს და სრულყოფილებისაკენ მიაქანებს ადამიანის სულს. თუ ერის გადაშენება გინდა, სარწმუნოებასთან და მამულთან ერთად ენაც უნდა შეურყვნა და შორს აღარაა მათი დაქცევა. ენა ესაა შემოსაზღვრული ტერიტორია, სადაც, თუ კარგი ორატორი და პროფესიონალი ხარ, ყველანაირი წარმატების რეზერვი გაქვს.

არსებობს საკაცობრიო მოვლენებიც კი, რომელთა მიმართ ჟამთასვლაში, ინტერესი კლებულობს, ან იზრდება და სხვა, მაგრამ ამით იმ სამყაროს, იმ არეალის დასასრული არ დაიწყება. მაგრამ სულ სხვაა ენა, მასზე მუდმივი კონტროლი უნდა დაწესდეს და ისევე სჭირდება გათოხვნა, გამარგვლა და სხვა ოპერაციები, როგორც ოჯახის შემნახავ ვენახს. ამიტომ ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, „რა ენა დაეცეს, ერი წაიქცეს“.

ენა ერს სულივით თან ახლავს. სხვისი ენის სწავლა შეიძლება, მაგრამ შენი სისხლისმიერი არაა, შენ შენი უნდა დაგყვეს, ისევე, როგორც გენეტიკაში ჩადებული კოდი. ამიტომ არის, რომ თუ ენა მშობლიურ ენაზე აიდგი, მაშინვე ყალიბდება შესაფერისი საარტიკულაციო აპარატი და ყოველი ახალი ენის სწავლება წარმოშობს მახვილთა და ბგერათა გამოთქმაში სირთულეებს.

ენის სულის წვდომა გონების ცხრაკლიტულის მიგნებაა, რომლის გარეთ გამოტანა სიტყვას ბოლომდე მაინც არ ძალუძს. მხოლოდ იმას თუ მიწვდები, რაც სიტყვაშია გამხელილი, რადგან ენა არის საბადო, რომელსაც რაც უფრო მოიპოვებ, უფრო მეტის პოვნის შესაძლებლობას ბადებს.

ენა ინახავს ერის სულს ისევე წმინდად, როგორც ერი ენას და აბრძოლებს თავისუფლებისათვის. ენა ცოცხალი არსებაა, მაგრამ მარად ახალგაზრდაც და მზარდიც, მცხოვანიც და ბრძენიც, თვინიერიც და მოუხელთებელიც, მთავარია როგორი ბუნებითი კანონებით „მოიტყუებ“ ამ ცხოველმყოფელობას. ჩვენ ძალზე სწრაფ, ცვალებად და კომუნიკაბელურ დროში ენას ასახიჩრებს და გვემს ბარბარიზმები და ზოგიერთი ჟარგონი, რომლის ნაიარევები დიდ ზიანს აყენებს მის მრთელ და კაშკაშა სხეულს.

წმინდა წერილები ხშირად გვაწვდიან მის განმარტებას სიმბოლურ ასპექტებში და იოანეს სახარება კი გვასწავლის, „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი... ყოველივე მის მიერ შეიქმნა“ (იოანე – 1,3).

ილია და ქართული ენა

„ენამ გულისა უნდა თქვას, ფერუმარილი რა საჭიროა.“
ილია

ილიას უამრავი გამონათქვამი ეკუთვნის ქართული ენის შესახებ. რადგან იცოდა, რომ: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომეტებული. მაშ როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენ სიმრუდე არ გვეცოდინება?... სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას“. „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა“, ხოლო „მტრობა ენისა არს მტრობა ქვეყნის“.

ილია მცველი და მფარველი იყო ასევე დიალექტური ენებისაც, რომლთანაც მიმართებას ასე გამოხატავდა: „ამ წერილს თირკმელები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონდეს ქვეყანაში გამოსვლისა. საკვირველი დროა ეს ჩვენი დრო. იტყვი რამეს, მაშინვე პირში მოგვარდებიან, – რათ ამბობო, და არ იტყვი კიდევ, გიკიჟინებენ, რატომ არას ამბობო“.

ცნობილი პედაგოგი უშინსკი კი ასე ამბობდა: „ბავშვი რომ სწავლობს დედა ენას, იგი სწოვს სიცოცხლეს და ღონეს ღვიძლი ენის ღვიძლი ძუძუდანაო, დედა ენა ისე უხსნის ბუნებას ყმაწვილს, როგორც ვერც ერთი ბუნების მცოდნე კაცი. ისე აცოდინებს ხასიათს იმ ხალხისას და საზოგადოებისას, რომელთა შორისაც ბავშვი ცხოვრობს, მათ ისტორიას, თვისებებსა და მიდრეკილებას, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი“.

მიუხედავად მეტროპოლიის საგანგებოდ გაწრთვნილი კადრებისა, იშვიათად ერთი რუს მოხელეს – ბატონ სპასოვიჩს, ასეთი სიტყვაც უთქვამს ილიას დროს 2 თებერვალს, იურიდიულ საზოგადოებაში, რომლის შემდეგ ტაშის კვრა, საკონცერტო ანშლაგის ფორმა გამოუწვევია: „საჭიროა სამართალი იმ ენაზე სწარმოებდეს, რომელზეც თვითონ ერი ლაპარაკობს. ეროვნება, როგორც თვით სარწმუნეობაცა, პირადი გრძნობაა. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონ. უფრო ადვილია ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედაენა და უცხო ენა ისწავლოსო“.

იშვიათია ქვეყნიერების სხვა მიწა-წყალი, ისეთი როგორც კავკასიაა, რომელზეც ამდენი ერი და ეთნოსი სუფევდეს, ჯერ კიდევ პლინიუსი წერდა, აქ ასოცდაათი თარჯიმანიაო საჭირო, ხოლო არაბი გეოგრაფები კავკასიას „ენების მთას“ უწოდებდნენ.

აქ გადადიოდა გზები და ხდებოდა ქორწინება რელიგიების, ეთნოსების, ენების,

ტრადიციების და ადამიანების.

ცნობილია, რომ ილია გააფთრებით ებრძოდა ყველაფერს, რაც საქართველოსთვის საწინააღმდეგო და ცილისმწამებლური იქნებოდა და კარგად იცოდა ქართული ენის ფასი და შესაძლებლობები. ამიტომ, მას არაერთი წერილი და ზეპირი პოლემიკა ჰქონდა საქართველოს ავისმზრახველებთან. ის პოლემიკაში იყო ძალზე სიტყვამჭრელი, სარკასტული და არაფრის არდამთმობი, ამიტომაც სასწრაფად მოიცილეს არაკაცმა ადამიანებმა.

ენის დამცავი მექანიზმები

„ათასზე მეტი ღამეა ვზივარ, ვზივარ და გითხრობ განთიადიდან განთიადამდე, თამაშითა და ბრძოლით ვწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს...

... მესმის თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემივე გმირები ჩემში და განვიცდი უმძიმეს ორსულობას შემოქმედებისას...

ვღელავ და ვძრწი მათ მაგივრად. მათ მაგივრად ვფიქრობ და ვდარდობ და ღამეები მიჰქრიან როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

... ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ.

. გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო-მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი.

როცა მე მეგონა მკლავი შესდგაო, როცა ვფიქრობდი დამეშრიტა გონების ძალი და ფანტაზიას ჩემსას ფრთანი შეეკვეცაო, ენა ქართული, ეს უფსკრული თვალშუდგამი ისევ აზღვავდა, ისევ აღსდგა ამ ჩემს სისხლში და წამოვიდნენ სახეები ტალღების დარად. მერმე აზვავდა სისხლი ჩემი და მოქანცული, მდორე გონება თითქოს უეცრად დასხეპაო ელვის ლეკურმა...

მოვდექ და შევუტიე ამ უფსკერო ზღვას თვალშუდგამს და გახელებულს და კვლავ მომინდა დავსწერო წვრილად მე ქებაი დიდებულისა ქართულის ენისაი...

კონსტანტინე გამსახურდია

ენა რომ დაცული იყოს და არსებობდეს ერის გადარჩენის ფუნქციით, ის უნდა იყოს მუდმივ გამოყენებაში. ამისათვის საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფო დიდი ღონისძიება, მხედველობაშია საპარლამენტო მუშაობა, მთავრობის სხდომები – ტარ-დებოდეს ქართულ ენაზე. სკოლებში ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს, მისი დამცავი

მექანიზმების შესრულების შემოწმება. პირთა დანიშვნა სახელმძღვანელო თანამდებობებზე უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ქართული ენის ცოდნის ნიშნით. ყოველივე ამ პირობების განსახორციელებლად უნდა მოხდეს ენისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭება.

სახელმწიფო ენის სტატუსი პირდაპირ წარმოადგენს ერის ეროვნულობის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, რადგან სახელმწიფო ენის ინსტიტუტი სახელმწიფოს სუვერენიტეტის არსებითი ელემენტია. ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ენა არ შეიძლება გახდეს უპირატესი გამოყენების უფლების მქონე, მაგრამ მათ, ცალკეულ რეგიონულ ეთნოსებს უნდა შეეძლოთ ლოკალურ პირობებში გამოიყენონ სახელმწიფოს ძირითად ენასთან ერთად კულტურული ავტონომიურობის სახით. ძირითადი ენის და სხვა ეთნოსთა ენებისათვის ასეთი სტატუსის მინიჭებისათვის უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ნორმათა ბაზა და გაფორმდეს იურიდიულად კანონის სახით.

სახელმწიფო ენის პირველი აუცილებელი ნიშანი არის ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზე გამოცხადება და გაფორმება.

სახელმწიფო ენის ინსტიტუტის მეორე ნიშანია, რომ სახელმწიფო ენა ფუნქციონირებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

სახელმწიფო ენის მატარებელნი არიან სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მის ფუნქციონირებას.

საერთაშორისო პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოში არსებობს რამდენიმე სახელმწიფო ენა და თითოეული მათგანი არ ფუნქციონირებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შვეიცარიაში ოთხი სახელმწიფო ენაა – გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტო-რომანული და ყოველი მათგანი სახელმწიფო ენის ფუნქციებს ასრულებს ქვეყნის განსაზღვრულ ლინგვისტურ ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ფრანგულენოვან ნაწილში სავალდებულოა ისწავლონ გერმანული ენა. გერმანულ კანტონებში ასწავლიან ფარნგულს, იტალიელები და რეტორომანელები სწავლობენ ფრანგულსაც და გერმანულსაც. თავაზიან ტონად ითვლება ჟენევიდან სენტ-გალენში წერილის გაგზავნა არა ფრანგულ, არამედ იქ მიღებულ გერმანულ ენაზე. გერმანულენოვან კანტონაში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ გერმანულ ენაზე, ხოლო ლოზანასა და ჟენევაში ფრანგულზე.

იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ლინგვისტურ ზონებად არის დაყოფილი, ენისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭების საფუძველი არის არა ერთი რომელიმე ერის ეროვნული სახელმწიფოებრიობა, არამედ ამდენივე ერთენოვანი ჯგუფების კომპაქტურად დასახლებული ხალხი. ამ განსხვავებული საფუძვლის გამოა, რომ სახელმწიფო ენა არ ფუნქციონირებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის საფუძველი არის ერთიანი ქართული ეროვნული სახელმწიფოს არსებობა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება გათვალისწინებული ქართული სახელმწიფოს არსებობის არსებითი რეალიები.

სახელმწიფო ენის მეოთხე ნიშანია, სახელმწიფო ენის გამოყენების გარანტირებულობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომლის დროს სახელმწიფო ორგანოებმა ურთიერთობა უნდა აწარმოონ ერთ ენაზე.

ფინეთში, სადაც ორი სახელმწიფო ენაა, სამსახურში მიღებისას გამოცდას აბარებენ ორივე ენაში. ასევეა ბელგიაში, რომელიც ორი ისტორიული რეგიონის — ვალონიის და ფლანდრიასგან შედგება. აქ სახელმწიფო ენებია ფრანგული და ნიდერლანდური, რომლის ცოდნა, სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც აუცილებელია. თუ სახელმწიფოში მკვიდრ — აბორიგენ ერზე მეტია არააბორიგენი ეთნოსი, მაშინ ორივე ხალხის ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენა უაღრესად სათუთი ინსტრუმენტია სახელმწიფო შენების და ერის სიმკვიდრის საკითხებში, ამიტომ როგორც ზედმეტმა უფლება-დოზირებამ, ასევე ნაკლებობამ, შეიძლება დამანგრეველი ხასიათის ელემენტი შეიტანოს სახელმწიფოს შენების და ერის სიმტკიცის ჩამოყალიბების საქმეში.

ლატვიის და ესტონეთის ენის შესახებ კანონების პრეამბულაში აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი უზრუნველყოფს მათი ენების სამართლებრივ დაცვას ზოგადად, ნათელია, რომ სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება, გულისხმობს, მის მიერ არა იმდენად დამცავი ფუნქციების შესრულებას ამა თუ იმ ეროვნული ენის მიმართ, რამდენადაც მისი ეფექტური გამოყენება ოფიციალურ ურთიერთობაში, შუამავლის სახით არსებობას. ქართული ენა ამგვარ ფუნქციას დასაბამიდან ასრულებდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ენა იძენს ტერიტორიულობის ნიშანს.

ენობრივ და ეროვნულ პრობლემებს მხოლოდ მაშინ აქვს ბუნებრივი ძალმოსილების უფლება, როდესაც მისი გამოყენება და ფუნქციონირება დამოკიდებულია არა ძალაზე, და აგრეთვე მაშინ, როდესაც სხვა ეთნოსზე ხდება ენის მექანიკური თავს მოხვევა, არამედ როდესაც იგი ბუნებრივი ნაწილი ხდება მთელი მოსახლეობის და მას გააჩნია გამოყენების წმინდა პრაგმატული ნიშან-თვისებები.

ენა

„ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა როგორც მეტყველების, ისე დამწერლობის თვალსაზრისით. ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას. არ არსებობს აზრი, რომელიც არათუ გამოთქვა ქართულად, არამედ არ გაამდიდრო და მხატვრულ ყალიბში არ ჩამოასხა. ქართული ენა ძალზე მდიდარია და შინაგანი თვისებებით მსოფლიო ბუნებისაა.“

ნიკო მარი

(წერილი 4)

მხოლოდ ღრმად კულტურული და მრავალჭირგადახდილი ენა ძლევს სულიერების ძნელად გამოსატან და გადმოსაცემ განცდას სიტყვის საშუალებით. მხოლოდ მაღალ სულიერებაში ნაწრთობ ენას ძალუძს სიტყვის წიაღში მოძებნოს ან შექმნას ემოციის შესაბამისი სიტყვა და ჩართოს აზროვნების ლოგიკის ჯაჭვში, რომელიც საბოლოოდ

იმოსება მხატვრული სამოსელით და მსმენელს და მკითხველს ტვირთავს სასიამოვნო ესთეტიკით. გერმანელი ენათმეცნიერი ჰუმბოლდტი, რომელიც ქართველებს ეროპული ხალხების პირველსახედ და დამწყებად მიიჩნევდა, ამბობდა: „ენას ქმნის სწორედ მისი სრულიად შინაგანი და წმინდა ინტელექტუალური ნაწილი". ადამიანის მთელი ესთეტიკური, ეთიკური, გრძნობადი და მთელი მომწესრიგებელი სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ამაღლებულთან, მშვენიერთან, ტრაგიკულთან და სხვა ამგვართან, ენის საშუალებით ფიქსირდება. საბოლოოდ ენა და მისი ბრძნად მეტყველება იძლევა იმ იმპულსებს, რომლის საშუალებით ადამიანის გონება განიცდის ნათებას, ესთეტიკური და ემოციური მღელვარებით, რომელიც ქმნის შთაგონების და აზრობრივი სიღრმის ახალ რეზერვებს, რაც საბოლოოდ ემგვანება უძირო ჭას, რომელსაც ვერცერთი დამაშვრალი მწყურვალი, წყლის ამოღებით ვერაფერს დააკლებს. „ენის ფუნქცია, – ამბობდა ჰერაკლიტე – არ არის ის, რომ სხვას გააგებინოს ნააზრევი, არამედ მისცეს მსმენელს იმპულსი, აღმოაჩინოს საკუთარი ჭეშმარიტება, თავისი განუმეორებლობა".

ენა თავის არსით არის მიწიერ სავანეთა შორის ყველაზე უხილავი და მისი ენერგიის გამოვლენით სხეულდება აზროვნებასა და დამწერლობაში.

მეცნიერთა შორის დავაა, თუ სად რეალიზდება ყველაზე მეტად ენა, კონსტანტინე გამსახურდია ამ მხრივ მიიჩნევდა რომანს, რადგან თვლიდა, რომ ყველაზე თავისუფალია ჩარჩოებისგან, ნ. ბახტინი წერდა: „მხოლოდ პოეზიაში გამოავლენს ენა ყველა თავის შესაძლებლობას, ვინაიდან მისდამი მოთხოვნა აქ მაქსიმალურია: ყველა მისი მხარე, უკიდურესად დაძაბულია და უკანასკნელ ზღვარამდეა მისული. პოეზია თითქოს ყველაფერს წურავს და აქ ენა საკუთარ თავს აღემატება". მე ვთვლი, რომ თუ სირთულეზე და მაღალ სულიერებაზე მიდგება საქმე, აქ ვერაფერი შეედრება ღვთისმეტყველებას და თეოლოგიას.

ენას უნდა გრძნობდე სუნით, ხელის შეხებით, მთლიანობაში გრძნობით და ინტუიციით, რადგან იქ არსებულ სარბიელზე ზუსტად მოძებნო გაცნდის შესატყვისი, ჯერ კიდევ არაღმოჩენილი, ჩაკირული და გამოუვლენელი ახალი ფორმები. ხანდახან ეს ისე უნდა გააკეთო, რომ ენას, ამ დიდ ლოდს მოგლიჯო ან მოტეხო ყველაზე ლამაზი ნატეხი ან მასა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ის უნდა იყოს გამოყენებადიც და ესთეტიკურიც. ამისათვის კი საჭიროა ენის აქტივობა, ანუ მისი დანერგვა ფართოდ, შეწამლვა, გასხვლა და სხვა. ენის ენერგია, ერის საერთო განუსაზღვრელი შესაძლებლობები, საკმარისი რომ არ იყოს, გაჭირდებოდა იმ დონის მხატვრული და სიღრმისეული ტილოების შექმნა, რაც დაუტოვეს ქართველ ერს ვაჟამ, კონსტანტინემ, რუსთაველმა და გალაკტიონმა.

ქართულ აგიოგრაფიაში არსებობს გამოთქმები „ენაი სულისაი" და „ენაი მეცნიერ". სულის რაობა რომ გახსნა, საჭიროა ზეესთეტიკური მგრძნობელობა, რომელიც სულის სიმებს არხევს და უკავშირდება განცდათა მთელ კომპლექსს. „ენაი მეცნიერ" – შეიძლება შევიმეცნოთ როგორც იდეალურთან მიახლოებული, რომელშიც ჩადებულია ლოგოსური ბუნება და ყოფიერების საზრისი. „ენაი მეცნიერში" იობენალ პატრიარქი ქვეყნის ფერის შეცვლას და განახლებას გულისხმობდა, როცა თქვა: „ქრისტე, ექმენ ენაი – მეცნიერ", ხოლო, როდესაც სიტყვის წიაღში სულიწმიდის ძალას გულისხმობდა, ხორციელდებოდა შესაქმის აქტი და ყოფიერებაში რეალიზდებოდა სიბრძნედ და საქმედ. „ნათელი იქმნა ღვთის სიტყვით, „თქმით" ანუ „ლოგოსით" „სიტყუაი ღმრთისაი

საქმე არს და ყოველივე დაბადებული სიტყვათა მისითა დაიბადების“... ყოველთავე არსთა შორის სიტყუაი რაიმე ბრძენი და ხელოვანი დაწესებულ არს“.

ენა თავის ბუნებით რელიგიური ხასიათისაა, რომელშიც დაფარულად ძევს მისტიკური იდუმალება და ასხივებს თვალშეუდგამ ნათელს, რათა შემდგომ სამზეოზე გამოიტანოს მღელვარე სულის მდუმარება. ხშირად დიდი მწუხარებისას მეტყველება არის ის ძალა, რომლითაც დაუხსნია თავი ადამიანს ჭირისგან. მეტყველებისას ხდება პირის მთლიანობის განსაზღვრა და რაც მეტია გრძნობადი და ინტელექტუალური ცნობიერების ნაკადი, მით უფრო მეტია სიტყვათა მორჩილება, ისინი – სიტყვები, ცვილის მასას ემსგავსებიან, რომელთაგანაც რასაც გინდა იმას გამოძერწავ. ამ დროს გრძნობის და ინტელექტის აქტივობა არც უნდა აჭარბებდეს და არც უნდა აკლებდეს ცვილის მასაში დოზირებას.

თვითონ მეტყველება არის გრძნობათა და შინაგანი კულტურის შრეთა განწყობილების დინამიკა, მის წიაღში იქმნება ფსიქოლოგიური ასპექტები, რომლის გამოხატვით ადამიანი აღწევს შინაგანი და გარეგანი სამყაროს ზედმიწევნით ასახვა-გადმოცემას. ენის საშუალებით სულით საცნაური და შემეცნებული ხდება სახალხო.

ენისა და მეტყველების ამ ელემენტებზე საუბარი იმიტომ გვიხდება, რომ წარმოვაჩინოთ ენის ფუნქცია და თვისებები, რაც, საბოლოო ჯამში, თავს იყრის იმაში, რომ მათი უმთავრესი მიზანია სულიერად აამაღლოს ადამიანი და მასში განამტკიცოს ღვთისა და მოყვასის სიყვარული. ამიტომ ამბობს იოანე საბანისძე ასე გულმოდგინებით: „მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ ჩემთა, რამეთუ ქრისტესათვის არიან და სანატრელთა ამისთა მოწამეთათვის. შეიწყნარეთ კარავსა და გუამსა თქვენისასა და სავანე განუმზადეთ“.

აგიოგრაფის ამ სიტყვებში ჩანს, რომ ადამიანმა ენის სულიერებით უნდა კოსმოსის ნაწილად შეიმეცნოს თავი და საკუთარ არსებაში აღმოაჩინოს ღმერთი.

„წმინდანმან და ემბაზმან ქართლისამან“, ნინომ სულიერება უნდა აუმაღლოს ქართველობას და წმიდა ნინოს ტროპარში ვკითხულობთ – სიტყვით იმორჩილებს ბუნებას და მის გვირგვინს ადამიანს. ქართველთა მოქცევა, ახალ რჯულს – ქრისტიანობას გულისხმობს, აქაურნი ანუ ქართველები „იტყოდეს დამბადებლად ქვათა და ძელთა, სპილენძისა და რკინასათა“. სპილენძის და რკინის ხსენება ისე უნდა გავიგოთ, რომ მსოფლიოს პირველი მეტალურგები ქართველები იყვნენ (რაც სარწმუნოა კიდევაც...), ამ შემთხვევაში მხედველობაშია კერპები. „და მაშინ მოვიხსენე სიტყვაი იგი, რომელ მამცნო იოანეან პატრიარქმან“, -- იგონებს წმინდა ნინო. ეს მან, წმინდა ნინომ უნდა დაამხოს კერპთაყვანისცემლობა და ერმა მიიღოს ახალი სულიერება – ერთღმერთიანობა, ქრისტიანობა, „შეიმეცნოს ჭეშმარიტება, სცნოს დამბადებელი თვისი და შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, თავი უნდა დააღწიოს სიბნელეს, მთები აღარ უნდა დაფაროს ნისლმა და ველნი – ცოდვის ალურმა, იბერია ქრისტეს დაკლებულ მხარედ არ უნდა იწოდებოდეს... ამას ყველაფერს სიტყვით აღასრულებს, სიტყვით დაძლევს კაბადოკიელი ქალწული“.

აბიათარ მღვდელი მოგვითხრობს: „მაშინ ნეტარმან მან აღაღო პირი თვისი და აღმოდიოდეს სიტყუანი მისნი, წყარონი წყლისანი და იწყო დინებად წყალსა მას უკვდავებისასა საუკუნითგან... ყოველსავე განმიმარტებდა და ვითარცა მძინარესა

განმაღვიძებდა და ვითარცა შესრულებულსა გონებასა განმინათლებდა და სჯულისა ცვალებასა დამაჯერებდა, ვიდრემდის გულისხმამიყო და რწმენა სიტყუათა მისითა იესუ ქრისტე". აბიათარის ეს სიტყვები ძალზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია იმ ღვთაებრივი მადლისა და ძალის ნათელსაყოფად, რაც წმიდა ნინოს სიტყვას ახლდა". („აგიოგრაფიული სიტყვა და ლოგოსი" – ფირუზ მეტრეველი).

მაგრამ სიტყვას რომ ძალა მიეცეს, საჭიროა სულიწმიდის მადლი გადმოდიოდეს ადამიანზე, რომელიც მიიღწევა მოყვასის სიყვარულით და მარხვით, ხოლო ლოცვით გონებას გააბრწყინებენ.

მხურვალე და მშვიდი, გაწონასწორებული ლოცვით მიიღწევა, ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმწიფე, რომლის დროს იგი ილტვის ღვთისა და ზეციური ძალების წვდომისკენ. გონებაში ირწევა ლოცვის ზემოქმედება და მასში დავანებულია ღმერთი, შუამავლის როლს კი სულიწმიდა ასრულებს.

ენა

„არცარა ენის უტკბესი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოველსა ქვეყნისასაო."

სულხან-საბა ორბელიანი

(წერილი 5)

ენა არა მარტო კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ბევრი სხვა ფუნქციითაც გვევლინება იგი თავის საკუთარი ხალხებისათვის. მას გააჩნია – ემოციური, ესთეტიკური, ბუნებრივი გადასვლა აზრის სიღრმეში, როდესაც ინტუიციურად გიბიძგებს ახალ აზროვნებაში და სხვა. ამასთანავე პერმანენტულად გიუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ტვინში და სხეულის სხვა ორგანოებში. არცთუ იშვიათად გაგვიგია, რომ ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის ერთ-ერთი წყაროა გონებრივი მუშაობა, ის იძლევა ემოციურ მუხტს, რომელიც არ აძლევს უფლებას სისხლში წარმოიქმნას მავნე ბურთულაკები. ენის ფენომენში, ამ ჭურჭელში ისხმება მთელი გონისმიერი ნააზრევი და თუ ის ტიკი (ენა), რომელიც ძვირფას ღვინოს ინახავს, თუ ძვირფასი და ხარისხიანი არ არის, შიგ ჩასხმულ ღვინოსაც გააფუჭებს.

ლიტერატურულ ენაში ჭარბობს ენის ესთეტიკური ფუნქცია, მეცნიერულში – აზრის ლოგიკურობა და სიღრმე, რელიგიურში ორივე მხარე უნდა იყოს წინ წამოწეული, სადაც სულიერების გამჭოლი სხივი მარადიული და თანამდევია ერის ზნეობრივი და სულიერი ამაღლების. თვითონ ენის არსებობა არის მარად ცოცხალი პროცესი, რომელიც ბნელშიც და სინათლეშიც ერის ჩამოყალიბება-შექმნის მთავარ საკვებს წარმოადგენს და მისი შემეცნებით განცდისმიერ მარადიულობასაც გულისხმობს. იშვიათია, ისეთი მდიდარი იყოს ხალხის ფოლკლორი, – მხედველობაშია ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერება, ლექსები და სხვა, როგორც ქართული! ეს იმიტომ, რომ

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კარგ ტიკთან და ღვინოსთან. როგორი ბნელი და დუხჭირი საუკუნეც არ უნდა გაევლო ჩვენს წინაპრებს, ყველა პერიოდში, მრავლად გვყავდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე და შემოქმედებითი ნიჭის ადამიანები, რომლებიც საბოლოო ჯამში ხალხში ათავსებდნენ ენის ლაბორატორიიდან გამოსულ მარგალიტებს. სასულიერო მწერლობა იქმნებოდა ძირითადად იდუმალწერით, ანუ სიმბოლიკით, ქარაგმით და სხვა ასეთით, სადაც სულის საიდუმლო განდობაა, სიყვარულში თავგანწირული სულის ასახვაა, არამატერიალურის გასაგნებაა და ზეცნობიერთან და მშვენიერ-მარადიულ სულთან მიახლებაა. ენის საშუალებით ხდება სულიერებაში წარმოდგენილი კოსმიური ხატის შექმნა. მკითხველმა რომ ეს განიცადოს, საჭიროა ლოცვითი აზროვნება და ტაძრულ სიჩუმეში მისი მოსმენა.

მხატვრულ აზროვნებაში მთავარია სიტყვა ისე მოარგო აზრს და ფიქრს, რომ მასში იყოს დაჯერება, მადლი, ნუგეში, სასოება, სიმაღლე, ესთეტიკა და საბოლოოდ რწმენა. სადაც სიტყვაა, იქაა ქმნადობა და შემოქმედება, ანუ არის ყოვლისმიერი და ყოველწუთიერი სიახლე, რომელიც მუდმივად სჭირდება სამყაროს.

ღვთისმეტყველებაში სულიერება (ღვთის სიტყვა) და მშვენიერების განცდისგან გამოსული ესთეტიკური აზრი, იძლევა მეტი სულიერებისა და განწმენდის იდუმალ ხატებას და ესაა ის ადგილი, რასაც შეიძლება დაეყრდნო, სული მოითქვა და სამყაროს ამაოებაზე კი არ იმწუხარო, არამედ იფიქრო ფილოსოფიით და ღმერთით გამსჭვალულმა. ამ გზაზე ადამიანი იმოსება შემდეგი განცდებით – ინტუიცია, გრძნობა, განცდა, ცოდნის მიღება, სულიერება და რწმენა. მთლიანობაში კი ბადებს ცოდნას, რომელსაც სწავლობ საგანთა შეცნობით და ეს ცოდნა უფრო მეტია მთლიანად, ვიდრე საკუთრივ თავად საგანი.

მოკლედ, სამყაროს ურთიერთობის მთავარი იარაღი არის ენა.

სიტყვა და აზრი ორი ასპექტით განიხილება, გარეგანი და შინაგანი, სულიერი და მიწიერი. შინაგანი და სულიერი სულის კუნჭულებიდან იღებს სათავეს და იგი ადამიანის სუბსტანციურ თვისებად ითვლება და უნდა ემთხვეოდეს გარეგან მიწიერ განცდას, მაშინ ადგილი აქვს კავშირს სულიწმიდის ძალასთან და იგი გატარებულია სულის იდუმალებაში.

„არის სიტყვა (ღმრთისა), არსისმიერ მარადის მამისა თანა მყოფი. არის, აგრეთვე, სიტყვა – ბუნებრივი, მოძრაობა (ქმედება) გონებისა, რომლის შესატყვისადაც იგი აღიძვრის, აზროვნებს, მოძრაობს და მსჯელობს. ასეთი სიტყვა არის გარკვეული ანარეკლი და ბრწყინვალება გონებისა, კვალად არის სიტყვა შინაგანი, გულში წარმოთქმული (გაუხმიანებელი). კიდევ არსებობს სიტყვაც – წარმოთქმული სიტყვაც, გახმიანებული, რომელიც აზრის მაცნეა. ამრიგად, სიტყვა-ღმერთი დამოუკიდებელიცაა და ჰიპოსტასის მქონეც, ხოლო ყველა სხვა სიტყვა (ადამიანის) სულის ძალთა წარმოადგენენ და არ იხილვებიან თავიანთი საკუთარი ჰიპოსტასით. კერძოდ კი, პირველი სახეობა სიტყვისა (სულის ძალთაგანი) არის ბუნებრივი აღმონაცენი გონებისა და არის ბუნებრივი მომდინარეობა გონებისგან, მეორე სახე სიტყვისა იწოდება შინაგანად სიტყვისა, მესამე სახეობად კი – წარმოთქმად, – ამბობს იოანე დამასკელი. მისივე განმარტებით – ადამიანის სულის გონიერი ნაწილი განიყოფა შინაგან (წარმოუთქმელ) და გარეგან (წარმოთქმულ) სიტყვად. შინაგანი სიტყვა წარმოადგენს გონებაში მიმდინარე რაღაც მოძრაობას, რომელიც არანაირად არ

გამოიხატება მეტყველებით. ამიტომ შეგვიძლია მდუმარედ გონებაში წარმოვთქვათ სიტყვები, უხმოდ ვილაპარაკოთ, ან სიზმარში, ძილში ვიბუტბუტოთ. ამ თვისების გამო შინაგანი სიტყვის ძალით ვართ გონიერნი და შესაძლოა ადამიანები დაბადებიდანვე იყვნენ მეტყველებას მოკლებულნი, მაგრამ ისინი იყვნენ თავის გულისთქმით და სიტყვით გონიერნი.

სულხან-საბა ორბელიანი ორგვარ სიტყვას განასხვავებს – „ვიდრემდე ხმა ყოფისა" ანუ გულისთქმა და უკვე გულიდან და გონებიდან გამოტანილს – „განიყოფების სიტყვიერება სულისა შინაგან მდებარისა სიტყუისა და ხმოვანისა მიმართ და არს შინაგანი მდებარე უკვე სიტყვა მოძრაობას სულისა განმსიტყვებლობითასა ძალსა შინა ქმნილი... და პირისა მიერ წარმოჩენილი სიტყუაი, რომლისათვის წარმოჩენილად სახელდების".

მოსე გოგიბერიძე „რუსთაველის ლექსის ენამზეობის" შესახებ ამბობს: „სიტყვა ორი ძირითადი ფორმით უერთდება სამყაროს – როგორც ხმა და როგორც აზრი. ბერძნული „ლოგოსი" ერთსა და იმავე დროს ნიშნავს როგორც აზრს, ისე სიტყვის გამაფორმებელ ხმას, ანუ თვითონ სიტყვას...

სიტყვა არის აზრიც და ღმერთიც. მისი ხმა გამოთქმის ფორმაა, თქმა კი არის თვითონ გამოთქმა აზრისა. ხმა ის ფორმაა, რომლითაც აზრი მეორე აზრის მოსასმენი და მისი ბუნების თანამოზიარე ხდება".

ამდენად, ქართული აგიოგრაფიული მწერლობით და მისი სიტყვით უნდა განიდევნოს სიბნელე წარმართულ საქართველოში, „მთები აღარ უნდა დაფაროს ნისლმა და ველნი ცოდვის ალმურმა", იბერია კი ქრისტეს დაკლებულ მხარედ არ უნდა იწოდებოდეს. ამიტომ ეწოდა წმინდა ნინოს განმანათლებელი და შეამკო ამგვარი დითირამბებით „წმინდამან და ემბაზმან ქართლისამან, ნინომ, ფერი უცვალა ქვეყანას... სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრე და ანდრიას ქადაგებისა წარმართება", – მიმართავს მას ეკლესია. სულიწმიდის ძალით მოსილი სიტყვა კი მიემართება ბუნებისა და ადამიანის უშინაგანეს წიაღში.

ბიბლია ამიტომ გვეუბნება: „იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი" (დაბ. 1,3), „სიტყვა იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუა იგი". „პირველთაგან იყო სიტყუა", – ბრძანებს იოანეს სახარება. „სიტყვა გულის სისავსიდან გამოდის. გული ჩვენი წყაროა, ხოლო სიტყვა – წყალი. როცა სიტყვა იბადება, იგი თავის თავში მშობელი გონების ყველა ძალას ატარებს", – გვმოძღვრავს ბასილი დიდი.

იოანე მოციქული ქრისტეს სიტყვას ლოგოსს უწოდებს, რადგან მასთან სიტყვა ხატია და ნაყოფია ძე – ღმერთის. ამგვარად, სიტყვა არის სინათლე, რომელიც ბნელში ჩანს და მას ბნელი ვერ სძლევს" – „პირველთაგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი".

სიტყვა იყო შუამავალი მიწასა და ცას შორის, ღმერთსა და ადამიანს შორის და მისი საშუალებით ხდებოდა მიახლება (ევქარისტია) ზეგარდმოსთან. ამიტომ ენიჭება მარადიული მნიშვნელობა სამებას – მამული, ენა, სარწმუნოება.

სიტყვამ შეიძლება გაცხოვნოს ან წარგწყმიდოს. ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა სიკვდილის ჟამს მოინდომა ქრისტეს სამსახური მიუხედავად იმისა, რომ მიწიერად კვდებოდა, მიხვდა ძე – ღმერთის ღვთაებრიობას და მოითხოვა სასუფეველში დამკვიდრება. თავად მაცხოვარი კი ამბობს: „სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და

სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მ. 12, 37).

ამგვარად, სიტყვა არის მცირე კოსმოსი, იგივე ღმერთი, გაიაზრება ლოგოსად. სიტყვა არის ასევე სამყაროს სუბსტანცია – საფუძველთა საფუძველი და პირველმიზეზი.

ექვთიმე ათონელის ცხოვრებაში არის ერთი ეპიზოდი, როცა მან მშობლიური ენა დაკარგა, იხილა ღვთისშობელი, „ვინმე დიდებული დედოფალი“, ქართულად ესაუბრებოდა, „არარა არს ვნება შენ თანა. აღდექ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. ღვთისმშობელმა მშობლიური ენა დაუბრუნა და აღადგინა სნეული. „ევანგელური ლაზარეს აღდგინებისგვარად აღწერს ამას აგიოგრაფი... ექვთიმეში დაისადგურა სიტყვამ, რომელსაც მშობლიური ენის წყალობით შეიგრძნობდა იგი... ადამიანში მისი წილხვედრი ლოგოსი არსებობს მშობლიური ენის წყალობით“. თვითონ შესაქმე (დასაბამი) ხორციელდება სიტყვიერი აქტით და ტრიადას, შემოქმედი – სიტყვა – ადამიანი – ბევრი მკვლევარი ათანაბრებს ასე: ღმერთი – შემოქმედი, სიტყვა – შემოქმედი, ადამიანი – შემოქმედი.

სიტყვაში ჩადებულია უზენაესი მისტიკური ძალა და ვინც მას – სიტყვას მოიხელთებს კარგად, მას სულიწმიდის ძალა მოსავს და ფარავს. ამიტომ არის, რომ აგიოგრაფიული მწერლობის უპირველესი საზრისი სულის სამყაროს წვდომაა, სადაც ესთეტიკური, მხატვრული და ღვთაებრივი იმსჭვალებიან ერთურთით და შემოდიან ჩვენი – ადამიანების სულიერი და მიწიერი, გარეგანი და შინაგანი არსის წიაღში.

ამით მართლდება წინაპართა ძახილიც ჩვენს თავზე – მამული, ენა, სარწმუნოება.

ენის ანბანი და დამწერლობა

ენის ერთ-ერთი ღირსებაა ის, რომ მას გააჩნია სიცხადე, მხატვრულ ყალიბში ჩამოსხმის შესაძლებლობა, ლაკონიურობა.

ყველა კულტურის სარკე და უპირველესი საზომია მისი ანბანი, დამწერლობა და ენა. დღეს მსოფლიოში 240-მდე ქვეყანაა, 5000-ზე მეტი მკვდარი და ცოცხალი ენა და მხოლოდ 14 ანბანი – დამწერლობა. ერი კულტურის სრულყოფისკენ ნაბიჯებს ანბანის შექმნით იწყებს.

გარდა ამისა, დამწერლობის სისრულის ნიშანია ისიც, რომ როდესაც ის რთულიდან მარტივისკენ მიისწრაფვის. ჩინეთმა 50 წლის წინ ჩაატარა კულტურული რევოლუცია და ამ ამოცანის შესრულების მთავარი პირობა იყო ენისა და დამწერლობის გამარტივება. ილიას გენიალურმა ინტუიციურმა გონებამ, ქართული ანბანიდან ხუთი ასო განდევნა. ის, რასაც სხვაგან სახელმწიფო ორგანოები წყვეტდნენ დიდი ბჭობის შემდეგ, აქ, ჩვენთან, ამისთვის ერთი ილიას გონება კმაროდა. ასევე წინააღმდეგი იყო მხედრულ ასოებში ხუცურის ჩართვისა.

რუსეთშიც ჩატარდა კულტურული რევოლუცია და დამკვიდრდა ახალი რუსული ორთოგრაფია. ამგვარად, ეს დინამიკა უცვლელი მეგზურია ყველა ცოცხალი და

განვითარებადი ენის. გერმანელებს გოთური ანბანი ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ ევროპელებთან საერთო ასოები არჩიეს, ასევე რუსული ანბანის დედაფუძე სლავური ანბანია.

ქართული ანბანის ღირსებაა, რომ წარმოთქმულ ყოველ ერთ ბგერას ერთი ნიშანი აქვს წერაში და არა ორი, სამი და ოთხი, როგორც ეს აფრიკატული ბგერების გადმოსაცემად სჭირდება ლათინიზირებული ევროპელი ხალხების წერის, ბეჭდვისა და ორთოგრაფიულ სისტემებს. ინგლისელი ისტორიკოსი, ქართველოლოგი უილიამ ალენი წერდა: „ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერის ცალკეული ასონიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება“. ნიკო მარი ყველა სხვა ანბანთა შორის უტოლოდ თვლიდა ქართულს იმ ნიშნითაც, რომ მასში ყოველი ბგერა – ხმა ცალკე ნიშნით გადმოიცემა და არ კომბინირებულად, ორი-სამი ნიშნით.

ქართული ანბანის არსებით უპირატესობად მიჩნეულია, რომ მასში განსხვავებული, სათაური ასოები არ იხმარება და საერთოდ ქართული დამწერლობა იდეალურია. – ამბობდა იგი.

ადრეულ საბჭოთა პერიოდში საბჭოთა კავშირში 10 ენაზე გამოდიოდა ლიტერატურა, პრესა და სხვა. ბოლო პერიოდში ეს რიცხვი 80-მდე გაიზარდა.

საბჭოთა მეტროპოლიის გაძლიერებული ჩაგვრის პერიოდში, მხოლოდ სომხებს და ქართველებს დაუტოვეს ანბანი და ამ ენაზე სახელმწიფო ურთიერთობა და ამის მიზეზად თვლიდნენ იმას, რომ ენის საკითხებში დიდმა ავტორიტეტმა ნიკო მარმა განაცხადა: „რუსული ანბანი არ ყოფნის თუნდაც კავკასიის ენების ბგერათა სიუხვეს. მათ ყველა სხვა ანბანზე უფრო ქართული აკმაყოფილებსო. ის, შეიძლება ითქვას, იდეალურია და მარტივია. მასში სათაური ასოები არ იხმარება და, ვიმეორებ, არც არავინ გრძნობს ამ ნაკლს“. ნიკო მარს მაშინდელი კონიუნქტურა ასეთი სიტყვებით უტევდა: „თქვენ საბჭოთა კავშირში ანბანთა უნიფიკაცია ჩაშალეთ, ქართული და სომხური ანბანების შემოჩეჩებითო!..“

იგი 1933 წლის 15 ოქტომბერს დაბრუნდა ლენინგრადში და ამ თემაზე სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა მოიწვია. იმ დროს, როცა ის ლაპარაკობდა ქართული ანბანის უპირატესობაზე, ტვინში სისხლი ჩაექცა და 15 თვის შემდეგ გარდაიცვალა.

რა ენაზე ლაპარაკობდა მაცხოვარი?

ამ თეზისს – რა ენაზე ლაპარაკობდა მაცხოვარი, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ქართველი ერის სულიერ მისიაში, რადგან მასში განივთებულია სამყაროს მისტიური ჭვრეტა და საიდუმლო კოდი.

წმინდა წერილების მიხედვით, ღვთის ძის სამეტყველო ენა იყო არამეული. ბიბლიის მიხედვით ამ ენაზე ლაპარაკობდნენ სემის მეხუთე შვილისა და ნოეს შვილიშვილის, არამის შთამომავლის სემიტი მომთაბარე ტომები. ზოგიერთი წყაროს

მიხედვით, ამ ენას დღეს მეტყველებაში სირიაში მცხოვრები 10 000-მდე ადამიანი იყენებს. პირველი ათასწლეულის დასაწყისში არმეელები ევფრატის დასავლეთით, სირიასა და მესოპოტამიაში შეიჭრნენ. მეფე დავითის დროს ახლანდელი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიებზე, ისრაელის მახლობლად, რამდენიმე არამეული სახელმწიფო წარმონაქმნი არსებობდა. მიუხედავად მეზობელ სახელმწიფოთა მტრობისა, ისრაელთა მეტყველებაზე დიდი გავლენა მოახდინა არამეულმა ენამ.

დამასკოს ჩრდილო-დასავლეთით, მთებში მოსახლე ოთხ თემს დღესაც მიიჩნევენ ქრისტეს ენაზე მოლაპარაკე ხალხად, თუმცა ორ სოფელში კალდონსა და ჯაბადინში უკვე ისლამს აღიარებენ. მაცხოვრის ენასთან, ანუ არამეულთან კიდევ უფრო ახლოს მიიჩნევენ სოფელ მაალულიისა და ბახაის მკვიდრ ხალხთა ენას, რომლებიც მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიმდევრები არიან. მაალულია დიდი ხანია მომლოცველთა და შემწირველთა საყვარელი ადგილია, სადაც ხალხს მძიმე და დუხჭირი ცხოვრება აქვს, რაც ღმერთის წინასწარ-მოცემულობად უნდა განიმარტოს. აქ დღესაც უჩვენებენ ეკლესიას, რომელშიც ღვთისმშობლის ნაკვალევს მიუთითებენ. უჩვენებენ ასევე უძველეს მონასტერს (I ს.), რომელშიც დღეს მონაზონთაგან არავინ ცხოვრობს. ყოფილმა მასწავლებელმა ჟორჟ რიზკალამ პირველსახით აღადგინა რამდენიმე ტექსტი, რამაც საშუალება მისცა მათ, წირვა ზუსტად ისე გადაეხადათ, როგორც ეს პირველი ქრისტიანების დროს ხდებოდა.

არამეული ენა ნელ-ნელა კვდება, ჟორჟ რიზკალი და მისი მხარდამჭერები ცდილობენ გადაარჩინონ ქრისტეს ენა, რადგან მას სულიერების სამყაროში უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია და, როგორც იტყვიან ხოლმე, ჯერ კიდევ ყველაფერი არც დაკარგულია და არც საიმედოდ ჩანს. საფიქრალია, რომ ყველაფერი ისევ ქრისტეს ჩარევით მოხდება, ასევე სავარაუდოა, მეორედ მოსვლის ჟამს განკითხვა მოხდება ძველი ლაზთა და ქართველთა ენაზე.

ყველაზე გავრცელებული ენები პლანეტაზე და რამდენი ადამიანი ლაპარაკობს ამ ენაზე

მანდარინი (ჩინური ენის ერთ-ერთი დიალექტი) 1 მლრდ-ზე მეტი.
ინგლისური 508 მლნ
ჰინდუ 497 მლნ
ესპანური 392 მლნ
რუსული 277 მლნ
არაბული 246 მლნ
ბენგალიური 211 მლნ
პორტუგალიური 191 მლნ
მალაიზიურ-ინდონეზიური 159 მლნ
ფრანგული 129 მლნ.



პოლტავსკოე. X-XI ს.ს.

პირველი ანბანი დედამიწაზე

ქართულმა დამწერლობამ დიდი გზა გამოიარა, სანამ ჩვენამდე მოვიდოდა ახლანდელი სახით. მან თავისი არსებობის მანძილზე რამდენჯერმე განიცადა სახეცვლილება, მაგრამ დღესდღეობითაც დედამიწაზე არ არსებობს მსგავსი ანბანი, შინაარსით რომ ჩვენსას უტოლდებოდეს. ასოს მოხაზულობის იერსახე რომ გამოხატავდეს იმას, რასაც ნიშნავს და თან, რიცხვითი მნიშვნელიც ასე ჰარმონიულად ემთხვეოდეს. ამგვარ უნიკალურ ანბანთა მაგალითია ასომთავრულის ასონიშნები. ასომთავრულის ასონიშნებში უძველესი ქართული ღვთაებების სახელდებებია გამოსახული. აი, ღვთაებები, რომლებიც მარტო ქართულ ანბანშია:

Ⴓ – ანი – მთვარეა შუმერულად და უძველეს ქართულად. ის ცის ღმერთია.

Ⴔ – დონ – უძველეს ქართულად მზეა. ის დღის ღმერთია.

Ⴕ – თან – თვალს ნიშნავს. იგი სინათლის ღმერთია.

Ⴖ – რაე – მზეთამზეს ნიშნავს. იგი მზის ღმერთია.

Ⴗ – ღან – ღვთის კარს ნიშნავს. იგი დიდი ღმერთია, ქვეყნიერების შემოქმედი, ცისა და ქვეყნის გამგებელი.

Ⴘ – ცან – ცის კარიბჭეს ნიშნავს. იგი ცის დედოფალია, ასული ცის ღმერთისა.

Ⴙ – ხან – დედამიწას ნიშნავს. იგი მთვარის ღვთაებაა.

ასომთავრულში ყველა ასონიშანი თავისი გრაფიკული გამოსახულებით სრულიად ასახავს თავის მნიშვნელს. მოდი, ვცადოთ, ნებისმიერი ასომთავრულის ნიშანი მოვათავსოთ მოცემულ ბიქილაში (ბიქილა უძველესი თამაშია, რომლის გრაფიკული გამოსახულებაც არის ცისიერი ნიშანი მარადიული ბრუნვისა და მოძრაობის). არ არსებობს ქართული ჩუქურთმა, რომლის მოხაზულობაც აქ არ იყოს. დედამიწის ყველა სიმბოლური ნიშანიც აქედანაა ამოღებული.



Ⴓ – ანის მოხაზულობის რიცხვთა ჯამი ბიქილაში 15-ია. სამყაროს დასაბამის (5604 წელი) რიცხვთა ჯამიც 15-ია. (5+6+0+4+15). ეს მიუთითებს, რომ ასომთავრული დასაბამიდან ყოფილა შექმნილი.

Ⴕ – თანის – მოხაზულობის რიცხვთა ჯამი ბიქილაში 25-ია. მზის რიცხვის – 4 მოხაზულობის რიცხვთა ჯამიც ბიქილაში 25-ია.

Ⴒ – ვინ – მთვარის კალენდარია. მისი მოხაზულობის რიცხვთა ჯამი ბიქილაში 35-ია, რაც მიანიშნების სრული წლის 30-დღიან 12 თვეს და პლიუს ამას ხუთი დღე, ე. ი. მოიცავს წლის ყველა 365 დღეს.

Ⴓ – ლას – მეთორმეტე თვეა. ასომთავრულში მას მეთორმეტე ადგილი უკავია

და მისი მოხაზულობის რიცხვთა ჯამიც ბიქილაში 12-ია.

Ⲟ – ონი – დედამიწის გზაა მზის ირგვლივ და თავისი ღერძის გარშემო, რასაც მიუნიშნებს მისი კუდი.

Ⲣ – რაე – მზეთამზეა. მისი მოხაზულობის რიცხვთა ჯამი ბიქილაში 7-ია და ადასტურებს ასომთავრულის ასონიშნების მთელი ხუთი შვიდეულის არსებობას. 7 კი, მზის რიცხვია.

Ⲧ – ქან – ქი შუმერულად მიწაა. თავად ასონიშანი დედამიწის სიმბოლოა. მისი გრაფიკული გამოსახულება ბიქილაში ყველა რიცხვს ეხება. ასომთავრულში 24-ე ადგილი უკავია და 24 საათი თავისი ღერძის გარშემო შემობრუნებაზე მიანიშნებს.

Ⲃ – წილი – ის წრეს, წელიწადს და წილს ნიშნავს. ის ანგარიშობს დედამიწის მიერ მზის ირგვლივ შემოვლილ წრეს (წრეხაზის შეფარდებას თავის დიამეტრთან). Ⲃ-ს ასომთავრულში 31-ე ადგილი უკავია და მისი რიცხვითი მნიშვნელი ასომთავრულში 4000-ია. თუ გავითვალისწინებთ იოანე ზოსიმეს დებულებას – „ათასი ვითარცა ერთი“ (აქედან გამომდინარე 4000=4), მაშინ მივიღებთ რიცხვებს 3,1,4. ეს ის რიცხვებია, რომლებითაც ანგარიშობენ დედამიწის შემოვლილ წრეს მზის ირგვლივ.

Ⲥ – ჭარ – უსასრულობას ნიშნავს. მისი გრაფიკული გამოსახულება ბიქილაში არცერთ რიცხვს არ ეხება.

Ⲩ – ხარ – ასომთავრულში 31 ადგილზეა და მისი რიცხვითი მნიშვნელი 7000-ია. ისევ იოანე ზოსიმეს დებულებას თუ გავითვალისწინებთ – „ათასი ვითარცა ერთი“, 7000=7. რიცხვი – 7 კი მიუთითებს იმას, რომ აქ მთავრდება უძველესი ქართული ღვთაებების შვიდეული.

Ⲭ – ჯან – ასომთავრულში ხუთი შვიდეულის ბოლოს დგას და ანბანის დასასრულია.

საინტერესოა, საიდან იღებს დასაბამს ქართული დამწერლობა, ან ვინ იყო ამ უნიკალური ანბანის შემქმნელი? ისტორიკოსები და ჟამთააღმწერელნი ამას მეფე ფარნავაზს მიაწერენ, მაგრამ მთლად ასეც არ არის. მსოფლიოს მეცნიერებს მოუხმობს ბრძენი ილია და ეძებს ჩვენს ნაკვალევს შუამდინარეთში, კაპადოკიაში და მცირე აზიაში. ასევე, ივანე ჯავახიშვილის თქმით, დედანი არ აქვს ჩვენ ანბანს და შუმერების ნაკვალევზე – მიწაში დამარხულ უძველეს ხელნაწერებზე მიუთითებს, სადაც დღესაც ქართული სახელები შერჩენია მის მთასა და ბარს. დიდი ქართველი შუმეროლოგი მიხაკო წერეთელი ფიქრობდა, რომ ქართველები შუმერების მონათესავე ერია და შეიძლება, ამანაც მისცა დასაბამი ქართულ დამწერლობას!

„ჩვენ, – ქართველებს არავისაგან არაფერი არ გვისწავლია: არც სიმღერა, არც ცეკვა, არც ჩუქურთმებისა და რკინის კულტურა“, – ამბობს ზ. ქაფიანიძე. ასევე, შუმერებს, ამ სამყაროს შუამავლებს, ყოველივე ამასთან ერთად ჩამოჰყვათ თავიანთი ღვთაებრივი ანბანი, მთვარისა და მზის კალენდრით, გეომეტრიულ-მათემატიკური ჰარმონიით. მაგრამ მათ ეს ანბანი არ წარუდგინეს ხალხს. მოიგონეს ლურსმული, სახალხო დამწერლობა. შუმერები ამ ღვთიურ ასონიშნებს ყოველ დღე სახმარად არ იყენებდნენ და გაასაიდუმლოეს. ივანე ჯავახიშვილი ამბობს, რომ ყველა კულტურულ ერს, ჩვეულებრივის გარდა, მრავალი საიდუმლო ანბანი ჰქონდა.

საიდან მოდის ან სად უნდა ვეძიოთ ანბანთა გასაიდუმლოებისა და საჭიროების მომენტი? რა თქმა უნდა, კაცობრიობის პირველ ანბანში, რომელსაც შუმერები არ ქმნიდნენ ყველასათვის ხელმისაწვდომად. მაგრამ ჩვ. წ. აღ-მდე II-III ათასწლეულის ბოლო მეოთხედში, შუმერი თანდათან დაიპყრეს აქადებმა (სემიტები). მათ შუმერებისაგან შეისწავლეს კულტურა და ლიტერატურა, რომელსაც ისინი დიდად აფასებდნენ. თანდათანობით გადმოიღეს დამწერლობა. შუმერებს ფორმულიდან ამოუკრეფიათ და სემიტებისთვის მიუციათ ანბანი. რა თქმა უნდა, ისეთივე სიზუსტითა და გაანგარიშებით არა, როგორც – თავად ჰქონდათ. დაპყრობილმა შუმერებმა თავიანთ დამპყრობლებს ანბანი უკუღმა ამოუწერეს. – აი, რა მიუციათ შუმერებს აქადებისთვის ასონიშნად. შემდეგ „ეს დამწერლობა მათგან მთელმა მსოფლიომ გადაიღო“ (სემიუელ ნოა კრამერი).

მაგრამ არ შეიძლება, ასომთავრული გადმოღებული იყოს ან მერე შექმნილიყოს, რადგან მასში თავიდან ბოლომდე სემიტური ანბანის სახელდებებია. ამერიკელმა შუმეროლოგმა სემიუელ ნოა კრამერმა თავის წიგნში „ისტორია იწყება შუმერიდან“ წარმოშვა ვერსია, რომ ასომთავრული პირველი ანბანია დედამიწაზე, რაზეც მეტყველებს შუმერული, თიხის 5000-წლიანი ფირფიტის რვეულები.

ანბანთქება

გეომეტრიული ამოცანები წიგნიდან „პირამიდიდან სვეტიცხოვლამდე“

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ ჩემო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ კირო ჩვენო ქვათა და კირთა,
შენ ერთი დამრჩი სამარის პირთან!“

ი.აბაშიძე

შეგირდის სამახსოვრო

ჩემო პატარა შეგირდო! ეს წიგნი შენთვისაა დაწერილი. შენ ახლა შეუდგები ჩვენი სათაყვანებელი ქართული ასომთავრულის გაცნობა-შესწავლას. აქ სიტყვა „სათაყვანებელი“ საგანგებოდაა მოხმობილი. აბა ყური დამიგდე: დედამიწის მთელი მოსახლეობა ხომ ერთ ენაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ განა ყველა ენოვნების ხალხს თავისი საკუთარი ანბანი გააჩნია? არა, მსოფლიოში დღემდე არსებულ ანბანთა შორის ერთ-ერთი უძველესი ქართული ანბანია, განა იგი ჩვენთვის სათაყვანებელი არაა? იმისთვის, რომ ქართული ანბანის შესახებ ძალზე ბევრი შეიტყო, გირჩევ შენ თვითონ მოძებნო და წაიკითხო ისტორიული მასალები, რომლებიც ეძღვნება ქართულ

ანბანს. მე მხოლოდ მცირე ცნობებს მოგაწოდებ, რაც ამთავითვე აუცილებელია შენი ცოდნის საფუძვლის გასამდიდრებლად.

უძველესი ქართული ასომთავრულის ანბანური მწკრივი სულ 37 ასო-ნიშანს შეიცავს. ქართულ ანბანს გააჩნია ისეთი თვისება, როგორიცაა თითოეული ასო-ნიშნის გამოთქმისა და დაწერის ეკვივალენტობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ანბანის ასო-ნიშანი, როგორც იწერება ისე წარმოითქმის და პირიქით.

მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად გამოტანილი დასკვნების საფუძველზე, ქართული დამწერლობის შემოღების თარიღად ან რეფორმად ნავარაუდებია ქრისტეს დაბადებამდე 284 წელი. სრულიად სახელმწიფო ქართული მწიგნობრობა, ქართულ ანბანზე დაფუძნებული, შემოიღო საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა.

ქართული ანბანი თავისი ევოლუციური განვითარებით სამი სახისაა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. მოხაზულობის მიხედვით ასომთავრულს მრგლოვანსაც უწოდებენ. რადგან ასომთავრულსა და ნუსხურს იყენებდნენ საეკლესიო ტექსტებში, ფრესკების, ხატების, კედლების და ა. შ. წარწერებისათვის, ამიტომ ასომთავრულსა და ნუსხურ დამწერლობებს, მეორენაირად ხუცურ დამწერლობასაც უწოდებენ.

იმის შემდეგ, რაც ხმარებაში ძირითადად ნუსხური ანბანი დამკვიდრდა, ასომთავრულს იყენებდნენ სათაურებისა და ტექსტის საწყისი ასოების, ანუ „მთავარი ასოების" შესასრულებლად, ამიტომაც მას ეწოდა ასომთავრული.

დღეს საქართველოში მთლიანად იხმარება მხედრული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ანბანი მუდამ იყო ქართული სიტყვის მეხოტბეთა საასპარეზო.

საამაყოა, რომ საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და იქმნება ქართული ანბანის ულამაზესი ასო-ნიშნებით გამოყვანილი მუსიკალური, მეცნიერული, სასულიერო თუ საერო, საბუნებისმეტყველო და სხვა ნაწარმოებები.

იქნებ სადღაც გულის გულში გაგიელვოს და გაიფიქრო, რა საჭიროა ასომთავრულის შესწავლა, დღეს ხომ იგი აღარ გამოიყენება, დღეს ხომ მხედრული ასოებითაც ადვილათ გავდივართ ფონს და ასომთავრული ზედმეტ ბარგად გვეჩვენოს? არა და არა, ჩემო მეგობარო! ასომთავრულის სწავლა იმდენად აუცილებელია, რამდენადაც იგი უცილობელ დახმარებას გაგიწევს სამშობლო ქვეყნის შეცნობაში. ასომთავრული ხომ იგივე შენი ერის, შენი სამშობლოს, საქართველოს ისტორიის ქვაკუთხედია და ამგვარად მისი შესწავლა მიგიყვანს ისტორიის იმ გადასახედთან, საიდანაც ნათლად ჩანს თუ რა გზა გამოიარა ჩვენმა წინაპარმა და, ღრმად ვარ დარწმუნებული, შენ მიხვდები „ვისი გორისა ხარ", და უფლის ნებით, იმ კეთილ გზას დაადგები, რომელიც ქრისტიანულ ტაძართან მიგიყვანს.

მინდა გაგესაუბრო ერთ საინტერესო ისტორიულ ფაქტზე, როგორც უკვე მოგახსენე ქართული დამწერლობა ჯერ კიდევ, საქართველოში ქრისტიანობის გამოცხადებამდე შეიქმნა. დამწერლობა კი, როგორც ქართული ანბანის მკვლევარი ბატონი რამაზ პატარიძე ბრძანებს, „რელიგიის ენაა და მისი განუყრელი თანამგზავრია". აქედან გამომდინარე, ქართული ქრისტიანული რელიგიის გაძლიერებამ დასაბამი მისცა ქართული ენისა და დამწერლობის აღორძინებას.

იქნებ შენ არც იცი, რომ აღორძინებულ ქართულ ენას და დამწერლობას მკვდრეთით აღმდგარ ლაზარესთან აიგივებენ? ამას მოგვითხრობს ადრე ქრისტიანული ქართული თხზულება „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ".

მაინც რატომ გირჩევ ასომთავრულის შესწავლას ასე დაჟინებით? ჯერ ერთი, უნდა შეგახსენო, რომ ჩვენი ეკლესიების, მონასტრების, ტაძრების და უძველესი ფრესკების წარწერები ასომთავრული ანბანითაა შესრულებული. განა საინტერესო არაა ამ ტექსტების ამოკითხვა? ისინი ხომ სიბრძნის უშრეტ წყაროს წარმოადგენენ! იქნებ უფლის ნებამ სულაც საქართველოდან შორს, დედამიწის რომელიმე კუთხეში მოგახვედროს და შემთხვევით სიძველეთა მუზეუმში ან უძველეს ძეგლზე ასომთავრულ წარწერას წააწყდე. აბა წარმოიდგინე, რა აუნაზღაურებელ სამსახურს გაუწევ საქართველოს ამ ინფორმაციის მოპოვებით. უცოდინარი კაცი კი ამას ვერ შეძლებს, ასეთი შემთხვევები კი გამორიცხული არაა. თვალსაჩინო მაგალითად ისიც კმარა, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში ნუსხურ ხუცურით შესრულებული ხელნაწერს მიაგნო, რომელიც არქივის ხელმძღვანელობას სომხურ ხელნაწერად ჰქონდა მიჩნეული.

მეორე მხრივ, ასომთავრულის შესწავლითა და მისი გამოყენებით უძველესი წარწერების ამოსაკითხავად, შენ ხომ საკუთარი ისტორიის ღრმა შესწავლას იწყებ. და თუ შენ, ჩემო ძვირფასო შეგირდო, იცი შენი ისტორია, მაშინ ხელთა გაქვს უმძლავრესი იარაღი, რომელსაც ვერ შევადარებთ თუნდაც თანამედროვე ბირთვულ იარაღს. ბირთვულ იარაღს მხოლოდ კაცობრიობის მოსპობა შეუძლია. ცოდნა კი ისეთი იარაღია, რომელიც კაცობრიობას იხსნის განადგურებისაგან.

წიგნში მოცემულია ასომთავრულის „გეომეტრიული ანბანთქება", რომელიც შენთვის სახალისოს ხდის და საგრძნობლად გაგიმარტივებს ასომთავრული ანბანის შესწავლას. აქ მოყვანილი ამოცანები რითმებითაა გაწყობილი და მათ, რა თქმა უნდა, მაღალ მხატვრულობის პრეტენზია არ აქვთ. ლექსის პირველ კუპლეტში ასო-ნიშნის მოხაზულობაა გადმოცემული, ხოლო მეორეში გეომეტრიული ამოცანაა მოყვანილი. თითოეული ამოცანა მათემატიკური თვალსაზრისით რაც შეიძლება მარტივადაა შედგენილი, რათა იგი ადვილად დაძლიოს ყოველმა მოსწავლემ. ამოცანების ლექსებად გაწყობა განაპირობა ქართულმა უძველესმა ტრადიციებმა, რაც იმთავითვე გამოხატულებას ჰპოვებდა მათემატიკისა და პოეზიის ურთიერთშერწყმა-შეხმატკბილებაში. მოგაგონებ ჩვენი სულმნათი შოთას „ვეფხისტყაოსნიდან" როსტევან მეფის და ავთანდილის ნადირობას:

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია,
მაგრა ავათანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია".

თუ შეეცდებით ამ ამოცანის ამოხსნას, მივიღებთ, რომ როსტევანმა მოინადირა 90 ფრინველ-ცხოველი, ხოლო ავთანდილმა – 90+20=110.

როგორც ხედავთ, მეტად პოეტური ამოცანაა.

ახლა მინდა მოგახსენოთ ასომთავრულის კიდევ ერთ გამოყენებით მხარეზე. საქმე ის გახლავთ, რომ ანბანის თითოეულ ასო-ნიშანს შეესაბამება კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობა. ამიტომ, ძველი ქართული წარწერების შესრულების დროს ჩვენი წინაპრები რიცხვებს წერდნენ ანბანის მეშვეობით. მაგალითად. რიცხვი 70 შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად – „ო". რიცხვი 71 კი – „ოა". ასევე: 1784 „ჩღპდ", 1503 – „ჩფგ", 1600 – „ჩქ", 8000 – „ჯ". დღესაც შევხვდებით საფლავის ქვას, რომელზედაც ამოკვეთილია სხვადასხვა თარიღები. მაგალითად „დაიბადა ჩყჟვ წელსა..." და ა. შ.

ასეთი ჩანაწერები ხასიათდება განსაკუთრებული თავისებურებით. კერძოდ, სხვადასხვა ორნიშნა რიცხვი შეიძლება ჩაიწეროს ერთი ან ორი ასო-ნიშნის დახმარებით. ასევე სხვადასხვა ოთხნიშნა რიცხვის ჩასაწერად შეიძლება გამოვიყენოთ ერთი, ორი, სამი, ან ოთხი ასო-ნიშანი. ამ თავისებურების ამოცნობისათვის საჭიროა თითოეული ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობის შესწავლა. აქ მოცემული ამოცანები, სწორედ ისეთნაირადაა შედგენილი, რომ მათი ამოხსნის შედეგად მიღებული რიცხვები იძლევა ამა თუ იმ ასო-ნიშნის შესაბამის რიცხვით მნიშვნელობას.

და ბოლოს, მინდა დაგაკვალიანო ასომთავრულის თითოეული ასო-ნიშნის მოხაზულობის შესახებ, რათა ალღო აუღო მათი სწორი ჩაწერის წესებს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ასო ერთი სიმაღლისაა, ასომთავრულის გრაფიკული სისტემა გეომეტრიული ელემენტების, წრის, მონაკვეთის (სწორი ხაზი) და რკალის კომბინაციებისაგან არის აგებული. საგულისხმო ფაქტია, რომ ასომთავრულში მხოლოდ „უ“ გამოისახება ორი გრაფიკული ნიშნით.

აქვე გთავაზობთ ცხრილს, რომლის პირველ სვეტში მოთავსებულია ასომთავ-რულის თითოეულის ასო-ნიშნის გრაფიკული სახე, მეორეში – ნუსხურის, მესამეში – მხედრულის, მეოთხეში ასონიშანთა ანბანური სახელწოდებებია მოცემული. მეხუთე სვეტში ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობებია მოთავსებული. ამ სვეტში მოცემული რიცხვითი მნიშვნელობები წიგნში მოტანილ ასონიშანზე მიძღვნილ ამოცანათა ამონახსნების პასუხს წარმოადგენს. ამოცანებში გამოყენებულია ძველი ქართული საზომი ერთეული: გოჯი=4 სმ, ციდა=16 სმ, წყრთა=48 სმ, ადლი=96 სმ.

ᲐᲜᲘ წრეწირს ჰგავს გახსნილს მარჯვნიდან,
შარავანდედად ამშვენებს მხები,
თუკი წრეწირის რადიუსს მოგცემ,
ამ ასო-ნიშნის რიცხვს შენ მიხვდები.



დაუფიქრდი და გამოითვალე
5-გრადუსიან რკალისთვის სიგრძე,
თუ რადიუსი წრეწირის არის
36-ის ფარდობა π-ზე

ᲑᲐᲜᲘ კუთხეს ჰგავს, მართს, შვეულად მდგომს.
შვეული ხაზი რკალთან ქმნის სეგმენტს,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის მოძებნას,
არ მოუნდები შენ ერთ წუთზე მეტს.



მაშ დაუფიქრდი და გამოთვალე,
რისი ტოლია წრეწირის სიგრძე,
თუ დიამეტრი მოცემული წრის,
არის ფარდობა 2-სა π-ზე.

ᲒᲐᲜᲘ მარტივი ტეხილი გახლავთ,
ოთხი მდგენელით შედგენილია,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის მოძებნა,
შემდეგ პირობით შენ შეგიძლია.



მოცემულია მართკუთხედი ისე, რომ იმის,
დიდ გვერდს აქვს სიგრძე
მცირე გვერდზე სულ სამჯერ მეტი.
გამოითვალე მართკუთხედის ფართი რას უდრის
თუ პერიმეტრი მართკუთხედის არის 8 მეტრი.



ᲓᲝᲜᲘ წრისა და ჯვარის არის კომბინაცია,
ჯვარი წრეს დონში ზემო მხრიდან უკავშირდება,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად,
ძალზე მცირედი დრო დაგჭირდება.



გამოითვალე რას უდრის ქორდა,
60 გრადუსის ტოლ რკალს თუ ჭიმავს.
და რადიუსი მოცემული წრის
არის სიგრძეში სულ 4 ციდა.



ᲔᲜᲘ ჰგავს ტეხილს, სამი მდგენელით,
ის ორ მართ კუთხეს ერთად აერთებს,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად,
მე მოგაწოდებ ზომას, მხოლოდ ერთს.



თუ დაფიქრდები სწრაფად მიხვდები,
არ არის ძნელი ამის გამოთვლა.
რას უდრის სიგრძე კვადრატის გვერდის,
თუ პერიმეტრი არის 20 წყრთა?

ᲕᲘᲜᲘ ენსა ჰგავს, განსხვავება არის შემდეგი:
მარჯვენა მხრიდან იგი მართი კუთხით ივსება.
ამ ასო-ნიშნის რიცხვს ვერ იპოვნი,
თუ აღარ გასხოვს მედიანის ერთი თვისება.



მაშ გამოთვალე შენ მართკუთხა
სამკუთხედისთვის,
რას უდრის სიგრძე ჰიპოტენუზის.
თუ მედიანა დიდი გვერდისა
სიგრძეში მხოლოდ სამ ციდას უდრის?



ზენი აერთებს წრეს და მართ კუთხეს.
წრე შვეულს ერთვის მარჯვენა მხრიდან.
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა,
შენ შეგიძლია ძალზე მარტივად.



მოცემულია ტრაპეცია, თანაც ტოლფერდა,
7 ციდას უდრის ფუძეების სიგრძის სხვაობა,
ფერდი ფუძესთან დახრილია 60 გრადუსით –
განსაზღვრე რამდენ ციდას უდრის
ამ ფერდის ზომა?

ე მერვე გახლავთ შემდეგი ფორმის:
შვეულს მარჯვნიდან მცირე რკალი ხაზით დაერთვის
ამ ასო-ნიშნის რიცხვის მოძებნა,
არ უნდა იყოს პრობლემა შენთვის.



მოცემულია ტრაპეცია, თანაც ტოლფერდა,
16 გოჯს უდრის ფუძეების სიგრძის სხვაობა,
მახვილი კუთხე 45 გრადუსს თუ უდრის
რისი ტოლია ტრაპეციის სიმაღლის ზომა?

თანი შვეულით ჩაკეტილი ნახვარწრეა,
ჩამკეტს შუაში ემატება პატარა ხაზი,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის მოძებნას
არც დრო სჭირდება და არც ნახაზი.



წრის რადიუსი 18 ადლს უდრის.
გამოითვალე ფართობი და წრეწირის სიგრძე,
თუ შეაფარდებ ერთმანეთთან მიღებულ რიცხვებს,
სასურველ პასუხს მიიღებ მყისვე.

ინი კუთხეს ჰგავს, მართს, შვეულად მდგომს,
გონიოსავით შემართულია,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გაგება,
მაინცდამაინც არცთუ რთულია.



გაქვს ორი კუთხე, თანაც მოსაზღვრე,
უნდა იპოვნო ამ ორიდან უფრო მცირედი,
თუ დიდი კუთხე საძიებელზე
არის ზომაში 17-ჯერ მეტი.

კანი კვანძია, ანუ მარყუჟი,
აქ წრეწირს ორი მხები თან ახლავს,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გმოთვლა,
ჩემი გაგებით ძნელი არ გახლავთ.



წერტილი არის წრის ცენტრიდან 25 გოჯზე,
გავლებულია ამ წერტილზე წრეწირის მხები,
თუ დიამეტრი 30 გოჯის ტოლია,
მაშინ შენ მხების მონაკვეთის სიგრძეს მიხვდები.

ლასი ზენსა ჰგავს, განსხვავება არის შემდეგი:
მას მართი კუთხე ერთვის მარცხნიდან,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გაგება,
შენ შეგიძლია ძალზე მარტივად.



მოცემულია მართკუთხედი, რომლის გვერდები,
შეეფარდება ერთმანეთთან, როგორც ოთხი სამს.
გამოითვალე უმცირესი გვერდის სიდიდე,
დიაგონალი როცა უდრის 50 წყრთას.

მანი აერთებს წრეს და მართ კუთხეს,
მართ კუთხეს მარჯვნივ ხაზიც დაერთვის,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად
საკმარისია შენ დაკარგო დრო უმცირესი.



რისი ტოლია შუახაზი ტრაპეციისა,
თუ ტრაპეცია არის ტოლფერდა,
დიაგონალის სიგრძე უდრის ორმოცდაათს და
სიმაღლე არის 30 წყრთა.

ნარი შედგება რკალისა და მართი კუთხისგან,
რკალი მართ კუთხეს მარჯვნიდან ერთვის,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა,
არ არის ძნელი მე მგონი შენთვის.



მე ტრაპეციას გაძლევ ტოლფერდას,
შენ კი გამოთვლი მხოლოდ დიდ ფუძეს,
სიმაღლის, ფერდის, შუახაზის ზომები უდრის,
წყრთას ოცს, ოცდახუთს და ოცდათხუთმეტს.

ᲘᲝᲢᲐ თითქმის ნახევარწრეა,
ზემოდან ერთვის პატარა ხაზი.
ამ ასო-ნიშნის რიცხვს გამოითვლი,
თუ შეადგინე სწორი ნახაზი.



30 გრადუსს უდრის კუთხე სამკუთხედისთვის,
რომელიც უცქერს 60 წყრთის ტოლ გვერდს,
რა სიგრძისაა რადიუსი მოცემული წრის,
თუ სამკუთხედის წვეროები ამ წრეწირზე ძევს.

ᲝᲜᲘ სრულ წრეს ჰგავს მთლიანად შეკრულს,
წრეს მცირე რკალი მარჯვნიდან ერთვის,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად,
მე ამოცანის პირობას გეტყვი.



წრეწირის მხები დიამეტრის ერთი ბოლოდან,
36 მეტრით არის დაშორებული,
რა უნდა ჰქონდეს სიგრძე დიამეტრს,
მეორე ბოლოს დაშორება იმავ მხებიდან,
თუ ეტოლება 34 მეტრს.

ᲞᲐᲠᲘ რკალის და ხაზთა გახლავს კომბინაცია,
მარცხენა შვეულს ზემოთ ერთვის ჰორიზონტალი.
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა,
შემდეგ პირობით ძნელი არ არის.



უნდა იპოვნო ტრაპეციის შენ დიდი ფუძე,
თუ შუახაზი 45 დეციმეტრს უდრის,
რაც შეეხება პატარა ფუძეს,
ერთი მერვედი არის დიდ ფუძის.

ᲭᲐᲜᲘᲡ მიღება შეიძლება ასო ინისგან,
ინს აქვს მარცხნიდან ნახევარწრე შეუღლებული,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა,
შენ არ გეგონოს შეუძლებელი.



მოცემული გაქვს ტრაპეცია თანაც ტოლფერდა,
გეკითხებიან სიმაღლის ზომას,
თუ ტრაპეციის ფუძეები და ფერდი უდრის,
სამასს, სამოცს და ასორმოცდაათს.



რაე შეიცავს შვეულ ხაზს და რკალს,
შვეულ ხაზს ორი რკალი დაერთვის,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა,
შენ შეგიძლია მარტივი ხერხით.



მოცემულია სამკუთხედი, თანაც ტოლფერდა,
სიმაღლე უდრის 80 სანტიმეტრს,
გამოითვალე ფერდის სიგრძე სანტიმეტრებში
თუ ფუძე უდრის 12 დეციმეტრს.

სანი რკალსა და შვეულს შეიცავს,
რკალი დაერთვის შვეულს მარჯვნიდან,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად,
ნუ გადაუხვევ ჩვეული გზიდან.



მე ამოცანის პირობას მოგცემ,
შენ კი გამოთვლი შეკითხვის პასუხს.
რისი ტოლია რომბის ფართობი,
თუ გვერდის სიგრძე უდრის 20 ციდას,
მახვილი კუთხე – 30 გრადუსს?

ტარი შედგება რკალისა და მართი კუთხისგან,
მარჯვენიდან ზემოთ რკალი ერთვის
მართი კუთხის გვერდს.
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად,
ნუ გადაუხვევ ჩვეულებრივ წესს.



გაქვს მოცემული სამკუთხედი, თანაც მართკუთხა,
ჰიპოტენუზა 140 დეციმეტრია,
გამოითვალე პერიმეტრი დეციმეტრებში,
თუ ჩახაზულ წრის რადიუსი 1 მეტრია.

ვიე აერთებს შვეულსა და რკალს,
ისე, რომ მათგან დგება სეგმენტი,
ამ ასო-ნიშანს რიცხვი არა აქვს
და ამოცანაც არის ზედმეტი.



უნი აერთებს ორ ასო-ნიშანს,
ჯერ ონი დგას და შემდეგ ვიენი,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად
არ დაგჭირდება ძიება ბევრი.



ფერდის მართობი-დიაგონლი
ტრაპეციაში უდრის 900 წყრთას,
მახვილი კუთხის სინუსისათვის
ოთხს შეუფარდებ ცხრას.
გამოითვალე ტრაპეციის შენ მცირე ფუძე,
თუ ტრაპეცია არის მართკუთხა.

ფარი წრითა და შვეულით დგება,
შვეული ხაზი წრეს შუაზე კვეთს,
ამ ასო-ნიშნის რიცხვს გამოითვლი,
თუ გაიხსენებ შენ წრიულ სეგმენტს.



სეგმენტის ქორდა 400 მეტრს უდრის,
სიმაღლე არის სულ 100 მეტრი,
კარგად დაფიქრდი და გამოთვალე
რისი ტოლია წრის დიამეტრი?

ქანი ურთიერთ მართობული ხაზებით დგება,
და გამოსახავს ჯვარს ქრისტე ღმერთის,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გაგება,
არ არის ძნელი მე მგონი შენთვის.



გამოითვალე მართკუთხედის ტოლდიდ კვადრატის
რას უდრის გვერდი, რამდენ სანტიმეტრს,
თუ მართკუთხედის ერთი გვერდი 2 მეტრია,
მეორე გვერდი უდრის 18 მეტრს.

ღანი შეიცავს რკალს და ორ შვეულს,
რკალი შვეულებს თაღივით აზის,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად,
ამოცანაა შემდეგი აზრის.

მოცემულია სამკუთხედი, რომლის გვერდების
სიგრძეთა ჯამი ეტოლება 1400 მეტრს,

შუაწერტილებს გვერდებისას თუ შეაერთებ,
მაშინ მიიღებ ახალ სამკუთხედს.
საძიებელ რიცხვს კი იპოვნი, თუ გამოუთვლი
ახალ სამკუთხედს გვერდების ჯამს ანუ პერიმეტრს.



ყარი რკალით და შვეულით დგება
იგი ბანსა ჰგავს, ქვემოთ არ აქვს ჰორიზონტალი,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა
შემდეგ პირობით ძნელი არ არის.



მოცემულია ოთხკუთხედი, შესაბამისად
დიაგონალთა სიგრძე უდრის 300, 500 მეტრს.
შუა წერტილებს გვერდებისას თუ შეაერთებ,
მაშინ მიიღებ ახალ ოთხკუთხედს.
საძიებელ რიცხვს გამოიცნობ თუ გამოუთვლი
ახალ ოთხკუთხედს გვერდების ჯამს, ანუ პერიმეტრს.

შინი შეიცავს შვეულს, წრეს და რკალს,
შვეულ ხაზს ორთავ მარცხნიდან ახლავს,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად,
ეს ამოცანის პირობა გახლავს,



გაქვს წრე და წრეში ჩახაზული არის კვადრატი,
წრის ფართობია 45-ის ნამრავლი π-ზე,
კვადრატის ფართობს 10-ჯერ თუ გაზრდი,
საძიებელ რიცხვს მიიღებ მყისვე.

ჩინი აერთებს შვეულ ხაზს რკალთან,
შვეულს მარჯვნიდან რკალი დაერთვის,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის მოძებნა,
ძალზე ადვილი იქნება შენთვის.



მოცემული გაქვს ტრაპეცია,
შიგ ჩახაზული არის წრეწირი,
ცნობილი არის ტრაპეციის ფუძეთა ჯამი
და იგი უდრის 500 დეციმეტრს.
საძიებელ რიცხვს კი მიიღებ, თუ გამოითვლი,
ამ ტრაპეციის გვერდების ჯამს, ანუ პერიმეტრს.

ცანი წრესა ჰგავს მარჯვნიდან გახსნილს,
არის იოტას სიმეტრიული,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის მოძებნა
არ უნდა იყოს მე მგონი რთული.



მოცემულია კვადრატი რომლის
დიაგონალი უდრის 40 მეტრს,
ახალ კვადრატის დიაგონალი,
სიგრძეში უდრის ამ კვადრატის გვერდს,
გამოითვალე ახალ კვადრატის
რას უდრის გვერდი, რამდენ სანტიმეტრს?

ძილი შეიცავს რკალს და მართ კუთხეს,
შვეული არის მათი ჩამკეტი.
ამ ასო-ნიშნის რიცხვის საპოვნად,
ამოცანას აქვს შემდეგი ტექსტი:



მოცემულია სამკუთხედი, თანაც ტოლფერდა,
შუახაზს, ფუძის პარალელურს გაძლევენ 10 მეტრს.
გამოითვალე ფერდის სიგრძე სანტიმეტრებში,
თუ პერიმეტრი უდრის 80 მეტრს.

წილში შვეულ ხაზს მარჯვენა მხრიდან
ღია და სრული რკალი დაერთვის,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის მოძებნა,
მე მგონი არის ადვილი შენთვის.



რომბის წვეროზე და მის გარეთ გავლებული წრფე,
რომბის ორ გვერდის გაგრძელება სჭრის ორ მანაკვეთს,
გამოითვალე რომბის გვერდის სიგრძის კვადრატი,
თუ ჩამოჭრილი მონაკვეთის სიგრძეთა ზომა,
შესაბამისად უდრის 40 და 100 დეციმეტრს.

ჭარს ღია წრე და ტეხილი გვაძლევს,
ღია წრე ტეხილს ზემოდან იდგამს,
ამ ასო-ნიშნის რიცხვი რომ ნახო,
ფართობს უპოვნი პარალელოგრამს.

ერთი წვეროდან გავლებული სიმაღლეების
ზომები არის 25 და 20 ციდა,
მათ შორის კუთხის სინუსი უდრის,
ერთის ფარდობას ათთან.
ამოსახსნელად ძნელ გზას ნუ ეძებ,
საქმე გაქვს მხოლოდ ერთ ფორმულასთან.



ხანში არა გაქვს არც რკალი, არც წრე.
ორი მართ კუთხით შედგენილია,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა,
მარტივი ხერხით შენ შეგიძლია.



უნდა იპოვნო რომბის ფართობი,
თუ გთავაზობენ შემდეგ პირობას,
ერთ დიაგონალს გაძლევენ 100 წყრთას,
120 წყრთას უდრის მეორის ზომა.

ყარი მარტივად აღიწერება,
ურთიერთმართობ ხაზებით დგება
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლას,
ბევრი წვალება არ დასჭირდება.



გაქვს სამკუთხედი, მართკუთხა და თანაც ტოლფერდა,
გეკითხებიან ფართობის გათვლას,
ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრატი,
თუ ეტოლება 28000.

ჯანი არა ჰგავს სხვა ასო-ნიშანს,
მას ჯვარედინი ფორმა ამშვენებს,
იესო ქრისტეს ინიციალებს,
ინის და ქანის ნიშნებს აერთებს.
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა,
შემდეგ პირობით სწრაფად სრულდება.



წრის ქორდის სიგრძე 78 მეტრის ტოლია,
რადიუსი კი ეტოლება 89 მეტრს,
რამდენ სანტიმეტრს უდრის მართობი,
რომელიც ქორდას წრის ცენტრს აერთებს?



ᲰᲐᲛ ლასსა ჰგავს განსხვავება არის მცირედი,
წრე ზემო მხრიდან არის გახსნილი,
ამ ასო-ნიშნის რიცხვის გამოთვლა
მე მგონი არის ძალზე მარტივი.



რას უდრის რომბის ფართობი, თუკი
სიმაღლე უდრის მეტრს 90-ს,
ცხრა მეათედი უნდა აიღო
რომბის მახვილი კუთხის სინუსად.

ᲰᲝᲛ მცირედით განსხვავდება ასო ძილისგან
და გახლავთ იგი ბოლო წევრი ანბანთ მწკრივიდან.
მისი რიცხვითი მნიშვნელობის გამოსათვლელად,
არ გადიღლები უსასრულო ხანგრძლივ ფიქრითა.



მოცემულია რომბი, რომელშიც
მახვილი კუთხე ბლაგვი კუთხის მეხუთედია,
გამოითვალე რომბის გვერდი მილიმეტრებში,
თუკი სიმაღლე 5 მეტრია.

გურამ ჩაჩანიძე



ანისი. ქართული წარწერა. 1218 წ.

1	2	3	4	5
Ⴀ	ⴀ	ა	ანი	1
Ⴁ	ⴁ	ბ	ბანი	2
Ⴂ	ⴂ	გ	განი	3
Ⴃ	ⴃ	დ	დონი	4
Ⴄ	ⴄ	ე	ენი	5
Ⴅ	ⴅ	ვ	ვინი	6
Ⴆ	ⴆ	ზ	ზენი	7
Ⴇ	ⴇ	ჱ	მერვე	8
Ⴈ	ⴈ	თ	თანი	9
Ⴉ	ⴉ	ი	ინი	10
Ⴊ	ⴊ	კ	კანი	20
Ⴋ	ⴋ	ლ	ლასი	30
Ⴌ	ⴌ	მ	მანი	40
Ⴍ	ⴍ	ნ	ნარი	50
Ⴎ	ⴎ	ჲ	იოტა	60
Ⴏ	ⴏ	ო	ონი	70
Ⴐ	ⴐ	პ	პარი	80
Ⴑ	ⴑ	ჟ	ჟარი	90
Ⴒ	ⴒ	რ	რაე	100
Ⴓ	ⴓ	ს	სანი	200

1	2	3	4	5
Ⴔ	ⴔ	ტ	ტარი	300
Ⴕ	ⴕ	ჳ	ვიე	
Ⴖ	ⴖ	უ	უნი	400
Ⴗ	ⴗ	ფ	ფარი	500
Ⴘ	ⴘ	ქ	ქანი	600
Ⴙ	ⴙ	ღ	ღანი	700
Ⴚ	ⴚ	ყ	ყარი	800
Ⴛ	ⴛ	შ	შინი	900
Ⴜ	ⴜ	ჩ	ჩინი	1000

1	2	3	4	5
Ⴝ	ⴝ	ც	ცანი	2000
Ⴞ	ⴞ	ძ	ძილი	3000
Ⴟ	ⴟ	წ	წილი	4000
Ⴠ	ⴠ	ჭ	ჭარი	5000
Ⴡ	ⴡ	ხ	ხანი	6000
Ⴢ	ⴢ	ჯ	ჯარი	7000
Ⴣ	ⴣ	ჰ	ჰანი	8000
Ⴤ	ⴤ	ჱ	ჰაე	9000
Ⴥ	ⴥ	ჵ	ჰოე	10000

დედაენა

ა – იგო ესე ანბანი
ბ – ულიბულის სგგვენის ხმაზედა,
გ – ოგენა ქვილის კალაძი
დ – ენს დედა-ენის ძთა ზედა.
ე – რძა სახთელი აახთოს,
ვ – ისაგ თავისი ელირისა,
ზ – ეგაძი ლიქრითთან ლაახთოს
თ – ავისუთელება ენისა.
ი – სრავლეთ ენა ქართველი,
კ – ეროვ საღიდებლად ერისა,
ლ – აძა ზად ჩაძიქარგული,
მ – იყვარე თვისი ძგერისა.
ნ – ე დავიგიყებთ ქარსულში
ო – ძებს ქართველი ხძლებისა,
პ – ირეელი ი აარიყინ დებოდენ
ჟ – ამს სიყვარულით ენისა.
რ – ა ნაძებითაგ ეგაძონ,
ს – იგყვა ეთქვათ ჩვენ ქვეყნისა,
ტ – არიელისა ვეთხისა,
უ – კედავი რუსთაველისა.
ფ – არი ავა ზ ძეთე სიძია
ქ – ართველის ბგებილი ბერისა,
ღ – ქერთა აკერთხოს ქისია
ყ – ოელისა ჩვენ ენისა.
შ – ევაესით ლენის სასმისი,
ჩ – აძი ათელელი ხელისა,
ც – ამდის სიძლერით ვადიდით
ძ – ირი ქართველი ენისა.
წ – ამითაგ როძ ეაეჩუმდეს
ჭ – ქა ქართველის ხძებისა,
ხ – ერით ძეიკლათ სიკაკ ბლე
ჯ – ვართან, ძი და ჭერეთისა.

ეროჩა რევაზიშვილი
ნიუ-ჯერსი (აშშ), ქ. ნიუ-ბრუნსვიკი

მწიგნობრობაი ქართული



ანი

ა-ს მოხაზულობა ასომთავრულში ჰორიზონტალისა და გახსნილი წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. ა ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში ერთიანი, მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში ა შუა ორ ხაზში იწერება.





ბანი

ბ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზებისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. VII ს-ში იგი თავგახსნილი იწერებოდა. ბ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი და ქვედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში ბ-ს ქვედა ნაწილი წრეს კრავს და ზედა სამ ხაზში იწერება.





განი

გ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. გ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი. მისი ქვედა ნაწილი რკალური ფორმისაა, ხოლო მხედრულში წრეს წარმოადგენს. ნუსხურსა და მხედრულში გ ქვედა სამ ხაზში იწერება.



დონი

დ-ს მოხაზულობა ასომთავრულში წრისა და ხაზის კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. ადრეულ ძეგლებში ივი ყელის გარეშე გვხვდება. დ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი და ზედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში საყრდენი ფესი აქვს და ქვედა სამ ხაზში იწერება.

ენი

ე-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. ე ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადასრილი. მხედრულში ე-ს ზედა და ქვედა ნაწილები რკალური ფორმისაა. ნუსხურსა და მხედრულში იგი ქვედა სამ ხაზში იწერება.





ვინი

ვ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. იგი ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადასრილი. მხედრულში ვ-ს ზედა და ქვედა ნაწილები რკალური ფორმისაა. ნუსხურსა და მხედრულში იგი ქვედა სამ ხაზში იწერება.



ზენი



ზ-ს მოხაზულობა ასომთავრულში წრისა და ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხურში იგი მარჯვნივაა გადახრილი. მხედრულში მისი ზედა ნაწილიც წრიული ფორმისაა. ზ ნუსხურსა და მხედრულში ზედა სამ ხაზში იწერება.



ე მერვე



Ე-ს მოხაზულობა ასომთავრულში რკალისა და ხაზის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. Ე ნუსხურში ოთხ ხაზში იწერებოდა. მხედრულში მისი მოხაზულობა ზედა სამ ხაზში არის მოთავსებული. ხელნაწერი ტექსტების მოსართავად აღნიშნული ასო ინიციალების სახით არ გვხვდება, რამდენადაც Ე სიტყვას არ იწყებს.

თანი



Თ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ნახევარწრისა და ხაზის ურთიერთკომბინირებაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. იგი ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი. Თ მხედრულში ერთიანი, მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში იგი შუა ორ ხაზში იწერება.



ინი

Ი-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. Ი ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში Ი-ს მარტივი რკალური ფორმა აქვს. ნუსხურსა და მხედრულში იგი შუა ორ ხაზში იწერება.



კანი



კ-ს მოსაზულობა ასომთავრულში ხაზებისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. კ ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. იგი ნუსხურში ოთხ ხაზში, ხოლო მხედრულში ქვედა სამ ხაზში იწერება.



ლასი



ლ-ს მოხაზულობა ასომთავრულში წრისა და ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. იგი ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა, მარჯვნივ გადახრილია და შუა ორ ხაზშია მოთავსებული. ლ-ს მხედრულში საყრდენი ფეხი აქვს და ქვედა სამ ხაზში იწერება.



მანი



ნარი



იოტა



მ-ს მოსაზულობა ასომთავრულში წრისა და ხაზების კომბინაციაა. მ ნუსხურში მარჯვნივ გადახრილია. მხედრულში იგი ერთიან, მომრგვალებულ კონტურს იძენს. ნუსხურსა და მხედრულში იგი ზედა სამ ხაზში იწერება.



ნ-ს მოსაზულობა ასომთავრულში ხაზებისა და რკალის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. იგი ნუსხურში მარჯვნივ გადახრილია. ნ მხედრულში ერთიანი, მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში იგი ზედა სამ ხაზში იწერება.

ი-ს მოხაზულობა ასომთავრულში გასსნილი წრეა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. ი ნუსხურსა და მხედრულში შუა ორ ხაზს შორის იწერება. სელნაწერი ტექსტების მოსართავად აღნიშნული ასო ინიციალების სახით არ გვხვდება, რამდენადაც ი სიტყვას არ იწყებს.



ოანი



პარი

ჟანი



ო-ს მოხაზულობა ასომთავრულში წრისა და რკალის კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. იგი ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა. მხედრულში ო მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში იგი შუა ორ ხაზში იწერება.



პ-ს მოხაზულობა ასომთავრულში რკალისა და ხაზებისაგან შედგება, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. პ ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. იგი შუა ორ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში პ მომრგვალებული კონტურის მქონეა. იგი ზედა სამ ხაზს შორის იწერება.



ჟ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზებისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. VI—VII სს. ჟ თავგახსნილია. ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი. იგი მხედრულში მომრგვალებული ფორმისაა. ნუსხურსა და მხედრულში ჟ ქვედა სამ ხაზში იწერება.



რაე



რ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და რკალების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში იგი მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში რ ზედ: ორ საზში იწერება.

სანი



ს-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და რკალის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. ს ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი. მხედრულში იგი მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში იგი ზედა სამ საზში იწერება.



ტარი



ტ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზებისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში ტ მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში იგი ქვედა სამ ხაზში იწერება.



ვიე



ვ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. VII ს-ში წრიული ნაწილი ზემოთკენ იხსნება. ნუსხურში ვ ოთხ საზში იწერება, მხედრულში კი — ქვედა სამ ხაზში. იგი ხელნაწერებში ინიციალების სახით არ გვხვდება, რამდენადაც ვ იშვიათი ხმარების უცხოურ სიტყვებს იწყებს მსოლოდ.



უნი



უ ასომთავრულში ორი გრაფიკული ნიშნის — ო-სა და ვ-ს შეერთებითაა მიღებული. ნუსხურში მათი მოხაზულობანი შერწყმულია რკალურ ფორმებზე გადასვლის შედეგად. უ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი. მხედრულში იგი მომრგვალებულ ფორმას იღებს. ნუსხურსა და მხედრულში უ ქვედა სამ ხაზში იწერება.



ფარი



ფ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. ფ ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. იგი მხედრულში ერთიანი, მომრგვალებული კონტურის მქონეა. ნუსხურსა და მხედრულში ფ ქვედა სამ ხაზში იწერება.



ჟანი



ჟ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელსაც კვადრატის ნახევარი უკავია. ჟ ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში მისი ასწვრივი ხაზი ქვემოთ მომრგვალებულია. ნუსხურსა და მხედრულში იგი ოთხ ხაზში იწერება.

ღანი



ღ-ს მოხაზულობა ასომთავრულში რკალით დაკავშირებული ხაზების კომბინაციაა, რომელსაც კვადრატის ნახევარი უკავია. ნუსხურში იგი მარჯვნივ გადახრილი და შუა ორ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში ღ მომრგვალებული კონტურის მქონეა. მას საერდენი ფეხი აქვს და ქვედა სამ ხაზში იწერება.

ყარი



ყ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და წრის კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. VIII ს-ში იგი თავგახსნილია. ნუსხურში ყ კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. იგი მხედრულში მომრგვალებული კონტურისაა. ნუსხურში და მხედრულში ყ ქვედა სამ ხაზში იწერება.



შინი



შ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და წრეების კომბინაციაა, რომელსაც კვადრატის ნახევარი უკავია. VI ს-ში რკალური ფორმები აქვს. შ ნუსხურში გეერდზე გადახრილია და ქვედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში იგი ზედა სამ ხაზში იწერება.



ჩინი



ჩ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. იგი ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ იხრება. ჩ-ს მხედრულში მომრგვალებული ფორმები აქვს. იგი ნუსხურში ოთხ ხაზში იწერება, მხედრულში კი — ზედა სამ ხაზში.



ცანი



ც-ს მოხაზულობა ასომთავრულში მარჯვნივ გახსნილი წრეა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. ც ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მას მხედრულში მომრგვალებული ფორმები აქვს. ნუსხურსა და მხედრულში ც ქვედა სამ ხაზში იწერება.



ძილი



ძ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და წრის კომბინაციაა, რომელიც მარჯვენა ჰორიზონტალის მეშვეობით კვადრატულ არეს იკავებს. ძ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი. მხედრულში იგი მომრგვალებული ფორმისაა. ნუსხურსა და მხედრულში ძ ზედა სამ ხაზში იწერება.



წილი

წ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და წრეების კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. იგი VIII ს-ში რკალურ ფორმებს იძენს. წ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი და ქვედა სამ ხაზშია მოთავსებული. იგი მხედრულში მომრგვალებული ფორმისაა და ზედა სამ ხაზში იწერება.



ჭარი



ჭ-ს მოხაზულობა ასომთავრულში წრისა და რკალის კომბინაციაა, რომელსაც კვადრატის ნახევარი უკავია. ჭ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი და ქვედა სამ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში იგი მომრგვალებული ფორმისაა და ოთხ ხაზს შორის იწერება.



ხანი



ხ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატის ნახევარს იკავებს. ხ ნუსხურში მარჯვნივაა გადახრილი და ქვედა სამ ხაზში მოთავსებული. ხ-ს მხედრულში მომრგვალებული ფორმები აქვს და ზედა სამ ხაზში იწერება.



ჯანი

ჯ-ს ასომთავრულში ჯვარედინი ფორმა აქვს. იგი ერთადერთი გამონაკლისია სხვა მთავრულ ასოებს შორის. ჯ ნუსხურში მარჯვნივ არის გადასრილი. მხედრულში მას მომრგვალებული ფორმები აქვს. ნუსხურსა და მხედრულში იგი ქვედა სამ ხაზში იწერება.



კ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. იგი ნუსხურსა და მხედრულში ქვედა სამ ხაზში იწერება.



ჰაე

ჰ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზებისა და რკალის კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. ჰ ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივაა გადახრილი. მას შუა ორი ხაზი უკავია. მხედრულში მომრგვალებული ფორმები აქვს და ზედა სამ ხაზში იწერება.



ჰოე



ჶ-ს მოხაზულობა ასომთავრულში ხაზისა და წრეების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. იგი ხელის რამდენჯერმე აღებით სრულდება.

ჶ საუკუნეების მანძილზე მხოლოდ მთავრული ინიციალების სახით გვხვდება.





ვინ არიან ლაზები და რა კავშირი აქვთ ლაზებს ქართველურ ტომებთან

„ჩვენ ქალებს წიწილაც რომ დაეკარგოთ, მთელი ღამე ჯავრით არ დაეძინებათ, საქართველომ კი სამასი ათასი ქართველი დაკარგა და როგორ ხდება, რომ ისინი აღარც კი ახსენდებათ?!“

ფერეიდნელი ქართველების შემოინათვალი საქართველოში

დაახლოებით 1500 წლის წინათ ჭანები, მეგრელები ანუ კოლხები, იგივე ეგრისელები და ლაზები ერთ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. აკად. ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ლაზების და მეგრელების განსახლების ტერიტორია ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნემდე ბევრად ადრე უნდა ყოფილიყო, თუ, რა თქმა უნდა, ტოპონიმების კუთხით გავზომავთ მათ სამყოფელ-საცხოვრისს. ტოპონიმები კი ასე მეტყველებენ – ჯიხაიში (ჯიხა ანუ ციხე), დიხაშხო (დიხა ანუ თიხა-მიწა), ოჩხამური (სათევზაო – ჩხომი იგივე თევზი), არტანუჯი (არტაანის ყურე – ყუჯი, ყური, ყურე), ჟინვალი (ჟინვალი, იგივე ჟინი ანუ ზემო ვანი), ნემიხი (ნიგოზეთი, ნეძი-ნიგოზი), ჭყვიში (მწყემსი), საზანო (ზან – სვანურადაც და ლაზურად მეგრელს ნიშნავს), წყალტუბო (თბილი წყალი), ოკრიბა (საკრავე). სომხურ ენაშიც უხვად თუ არა, რამდენადმე მოიპოვება ლაზური წარმოშობის სიტყვები: ჭანკი – ბუზი, ძიცა – სიცილი, ორინჯი – საქონელი, ლაკოტი – ლეკვი, გორდი – ბაყაყი და სხვა. სტავროპოლის მხარეში მდებარე ქალაქი გელენჯიკი, ანუ ძველი სახელი. აქედან სავარაუდებელია, რომ ზანების, იგივე დღევანდელი მეგრელების, საცხოვრისი გელენჯიკიდან სამხრეთით მდებარე სამსუნამდე 1500 კილომეტრზე იყო შავი ზღვისპირეთში განფენილი. დღეს კი ლაზეთი სარფიდან რიზემდეა გადაჭიმული, რაც ძველს ოთხჯერ მცირე მანძილით ჩამორჩება. თვითონ თურქებიც კი XX საუკუნემდე შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან ნაწილს ჯანიკას ანუ ჭანეთს უწოდებდნენ.

ისტორიულ მასალებში ტერმინი ლაზი, სხვა ქართული ტომის სახელწოდებისაგან განსხვავებით (კოლხი, იბერი, მაკრონი, ჭანი, მაგრალი, მარგალი ანუ მეგრელი, მესხი და ა. შ) არ გვხვდება და ბიზანტიელი ისტორიკოსები ლაზებს ეგრისის მოსახლეობის სახელით მოიხსენიებენ. მათთვის ქართული ეგრისი იგივე ლაზიკაა. მე-4 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ლაზებს ასე ახასიათებს: „ძლიერს და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სისხლით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავის სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიმტკიცით, ისინი არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთანაც კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონის სახე მიუციათ“.

დღევანდელ მსოფლიოში თურქეთში ყველაზე მეტი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს და მათ შორის უმრავლესობა ლაზებია. მათი რაოდენობის შესახებ ჩვენ

გვაქვს სხვადასხვა. სტატისტიკა და 5 მილიონიდან 12 მილიონამდე მერყეობს. თურქეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოში (მეჯლისი) კი 520 დეპუტატიდან 200-ზე მეტი ქართული ეთნიკური წარმოშობისაა, ასევე განსაკუთრებით ბევრნი არიან თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერთა და ადმირალთა კორპუსში.

ანთროპოლოგიურად უფრო ამსგავსებენ ზღვისპირა მეგრელებსა და გურულებს და უმეტესობა გამოირჩევა ამგვარი აგებულებით: ღია ფერის ხვეული ან ტალღოვანი თმა, ლურჯი ან მომწვანო-მონაცრისფერო თვალები, ტანის ხმელ-ხმელი, ძვალწვრილი აგებულება, მოგრძო კიდურები, ხორბლისფერი კანი და სახის მოგრძო ოვალი. მუსიკალურ ფოლკლორში კი ხშირად ისეთი მსგავსებაა, რომ მეგრელი ამბობს ლაზურზე, ეს მეგრულიაო, და ლაზი მეგრულზე – ეს ჩვენიაო. საკრავ ინსტრუმენტებში თვალსაჩინო ადგილი უკავია ჭიბონსა (გუდა-სტვირი) და ჭიანურს. ეს უკანასკნელი კი საერთოდ ლაზურ-ჭანური წარმოშობის უნდა იყოს და ამიტომ მოდის ამგვარი სახელით ჭიანური ანუ ჭანური.

ისტორიული ჭანეთის თითქმის ორი მესამედი არასდროს ყოფილა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში და პონტოელები, ბიზანტიელები და ოსმალები მათ ლაზებს და ჭანებს უწოდებენ, ხოლო სხვა დანარჩენ ქართველებს – გეორგიანელებსა და გურჯებს. შესაძლებელია, რომ ყოველივე ამან მათ ფსიქიკაში ჩამოაყალიბა ცნობიერება, რომ ისინი ქართველების მხოლოდ მონათესავე ხალხია და არა პირწმინდად ქართველები. ისევე როგორც ჩემი ბიძა, დედის ძმა – აკაკი გრიგოლია (რომელიც სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირიდან იყო წარმოშობით), ხშირად მეტყოდა პირადად მე, – შვილო, ჩვენ ძველად ლაზები ვყოფილვართო. მე კი ამ ფრაზას რაღაც გაოცებით ვუსმენდი და ჩემში რაღაც შეუცნობი იდუმალება იბინადრებდა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ დასავლეთ საქართველოს გენოფონდში, ლაზების გენეტიკური წილი ცოტა არ უნდა იყოს. ზეპირი გადმოცემით, ამჟამად საქართველოში 1000-მდე თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველი სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში და ამბობენ, ბევრად სწრაფად ითვისებენ ქართულ ენას, ვიდრე ნებისმიერი ევროპელი. ამ შემთხვევაშიც ერთი გენეტიკა და საერთო წარმოშობითი ცნობიერება უნდა თამაშობდეს როლს. საერთო ცნობიერება კი ყალიბდება ახლომდებარე ფოლკლორით, ზნით, ჩვეულებით და სხვა ამგვარით.

ლაზონა – ტაო-კლარჯეთის საზღვარზე არის სოფელი ჩხალა და იმერხეველებთან მეზობლობის წყალობით, ძალზე კარგად მეტყველებენ ქართულად, ამ ფაქტზე არ შეიძლება თავის ზეგავლენა არ მოეხდინა 3500-4000 წლის წინათ წინარე ქართული ფუძეენის დაშლასა და მისგან ქართული, მეგრულ-ჭანური (იგივე კოლხურ-ლაზური) და სვანური ენების გამოყოფას. ამბობენ, დღეს ლაზეთში ლაზს რომ უთხრა, ლაზური დიალექტია და არა ენა, სიამაყის გრძნობიდან გამომდინარე ხშირად პროტესტს გამოსთქვამენო. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ნაწილი: ხალიბები, მაკრონები, ტიბარენები, მოსინიკები, დრილები, ჭანები, კოლხები და სხვები, სხვადასხვა დიალექტზე მეტყველებდნენ და ფუძეენად უნდა ჰქონოდათ უძველესი კოლხური ენა. მათ შორის კი მხოლოდ, მეგრელებმა და ლაზებმა შეინარჩუნეს ფესვებთან კავშირი. უცხოურ ისტორიულ წყაროებში ჭანი, ლაზი, კოლხი და ზანი, ხშირად იდენტურ მცნებებს წარმოადგენენ. ბიზანტიელები ამ ტომს „ტმანებს“ უწოდებდნენ, რადგან 24 ასო-ბგერიან ანბანს არა ჰქონდა ჯ, ჭ, ყ, ჟ და მათი

საარტიკულაციო აპარატი ასო ჭ-ს ვერ გამოთქვამდა. სვანები დღესაც ზანებს უწოდებენ მეგრელებს. რაც შეეხება ტერმინს ლაზი – აკადემიკოს ნიკო მარის განმარტებით, იგი „ზანის“ სვანური „ლა“ სუფიქსის დამატებით უნდა გაჩენილიყო, რომელიც ქართული „რა“ სუფიქსის შესატყვისი „ლა-ზანია“, ხოლო ბგერების დაკარგვის შემდეგ, იქცა სიტყვად – „ლაზი“. როგორც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, ლაზეთის დიდი ნაწილი არახშირად ყოფილა საქართველოს შემადგენლობაში და საზღვარს ხოფა წარმოადგენდა და იმის იქით იყო ლაზიკა, რომელიც შუა საუკუნეებში ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა. ბიზანტიის იმპერიის და ტრაპიზონის საკეისროს დაცემის შემდეგ, ვინც არ ისურვა სარწმუნოების გამოცვლა, საქართველოს საზღვრებში გადმოსახლდა და ეტიმოლოგიური და ენის კანონებიდან გამომდინარე, დღეს საყოველთაოდ მიღებული ქართული გვარები: ჯაშები, ტუღუშები, ხალვაშები, მურღულიები, ლაზიშვილები, ჭანიშვილები, ჭანიები, ლაზბები, ბაღაფშები, არაშიძეები, არდაშელიები, (არდაშელია სოფელია ლაზეთში) ლაზური უნდა ყოფილიყო. მარცვალი „იში“ კი იგივე უნდა ყოფილიყო, როგორც მაგ: ბექირიში ანუ ბექირასი – ე. ი. ბექირის ძე, ბექირის შვილი. სამწუხაროდ, დღეს ლაზების დიდი ნაწილის გვარებს ასეთი დაბოლოება აქვს ბექირ-ოღლი და არა ბექირიში და ა. შ., რაც არაბულის ზეგავლენით უნდა ჰქონდეთ მიღებული. თურქეთის ნაკრების ფეხბურთელთა გუნდში, რომელმაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე, გვარით გათურქებული ლაზები სჭარბობენ და თავიანთ თავს ლაზებად მიიჩნევენ. ესენია: ნაკაი, ორგანი, ოკანი, სერგენი, ემრე, ოგიუნი, ოქთაი, თუგაი და სხვები. უთუოდ ლაზური წარმოშობის უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი რამდენიმე ლიპარიტ და რატი ბაღუაშები. დასავლეთ საქართველოში ასევე ბევრი გვხვდება ჭანურისათვის დამახასიათებელი იში – დაბოლოება: გეგეშიძე, დურმიშიძე, ყიფშიძე, სამუშია და სხვა. პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე ჭანურ დაბოლოებად მიიჩნევს, ქართულ გვარებში, თითქოსდა უფუნქციოდ ჩართულ ორ მარცვალს „ბერე“ – გულაბერიძე, ღოღობერიძე, სულაბერიძე, თავბერიძე, გიგიბერია, კაკუბერი და სხვა; ლაზურში „ბერე“ შვილს და ბავშვს ნიშნავს, ასევე შვილს ნიშნავს ლაზური სქირი – სკირიც, რომელიც ბევრ მეგრულ გვარში მოცემულია: წულეისკირი, პაპასკირი, ბულესკირია და სხვა.

ახალი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თურქეთში მცხოვრებ ლაზებს და საერთოდ ეთნიკურ ქართულ მოსახლეობას, ისინი ჩვენი მოსაზღვრე ქვეყნის ბინადარნი არიან და მათ უნდა იცოდნენ იმ ნათესაურ წარმოშობაზე, რაც ჩვენ და მათ გვაკავშირებს. საქართველოს სულიერ მისიაში მათ თავისი შესაბამისი ადგილი ეკუთვნით, ამიტომ ჩავრთეთ ამ წიგნში ეს პატარ მასალა. წერილი გაკეთდა ლაზური კულტურის მკვლევარის ლადო კოკაიას ინტერვიუს მიხედვით, რომელიც მეცნიერმა მისცა ჟურნალისტ თამაზ ჟორჟოლიანს ჟურნალ „გზის“ მე-10 ნომერში (6.05.2004).

ვალე. X ს.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის განმარტება ლაზეთის და ჭანეთის შესახებ

ჭანეთი – მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრეულ ხანაში (III-IVს.ს.). მოიცავდა შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს – აღმოსავლეთ პონტოს მთების ჩრდ. კალთებს, მდ. ჭოროხის ზემო წყლის აუზს (ახლანდელი თურქეთი, ბაიბურთისა და ისპირის ილჩეების მაზრების ტერიტორია). მოგვიანებით მთისა და ბარის ჭანური ტომების პოლიტიკური აქტივობის შედეგად სახელმწიფო „ჭანეთი" გავრცელდა მის მიმდებარე ზღვის სანაპირო ვრცელ ტერიტორიაზე (ახლანდელი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე: ართვინის, რიზესა და ტრაპიზონის ვილაიეთების ტერიტორია); იგივეა, რაც ლაზისტანი (ლაზეთი). ჭანები ბერძნულ წყაროებში მოიხსენიება აგრეთვე თიანიკეს სახელწოდებით. მხარე დასახლებული იყო დასავლურ-ქართულ ტომით – ჭანებით. VI ს. I ნახევარში ჭანეთი ბიზანტიამ დაიპყრო. ამავე პერიოდში აქ გავრცელდა ქრისტიანობა. XIII-XIV სს-ში იგი ტრაპიზონის იმპერიაში შევიდა. XIV ს-ში ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილი სამცხის სამთავროს შემადგენლობაშია. 1461 წელს თურქ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის განადგურების შემდეგ, ჭანეთი მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა; მხოლოდ მისი აღმოსავლეთ ნაწილი დარჩა ქართული პოლიტიკური და კულტურული სივრცის არეალში და ექვემდებარებოდა გურიის სამთავროს. 1547 წელს ოსმალეთმა აღმოსავლეთ ჭანეთიც მიიტაცა. რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ და ბერლინის კონგრესის (1878) გადაწყვეტილებით, თურქეთმა დათმო მხოლოდ აღმოსავლეთ ჭანეთის ნაწილი (ახლანდელი აჭარა, ხელვაჩაურის რაიონი – სოფელ სარფისა და მისი აღმოსავლეთით მდებარე რეგიონი).

ლაზები, ჭანები – ქართველთა ტერიტორიული ჯგუფი, ქართული ტომი. ცხოვრობენ ძირითადად თურქეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, მცირე რაოდენობით აჭარაში, მდ. ჭოროხის აუზში და სამეგრელოში ენგურის შესართავთან, ანაკლიაში. ლაპარაკობენ ქართველური ჯგუფის ზანური ენის ლაზურ (ჭანურ) დიალექტზე. რელიგია – მუსლიმანობა. თურქეთში, მიუხედავად ძალდატანებით გათურქებისა, შეინარჩუნეს თავისი ენა და კულტურა. მისდევენ მიწათმოქმედებას, თევზჭერას, მესაქონლეობას და ძველთაგანვე იყენენ განთქმული ზღვაოსნები.



პოლტავსკოე. X-XI ს.ს.

იოანე მარუშისძის ბედი და თავგანწირვა

ერთგულება არის ქანდაკად ქცეული მორალი, რომელიც წარსულიდან მომავალში მოგზაურობს და აღმზრდელობითი ფუნქცია აკისრია.

იოანე მარუშის ძე ის ფეოდალია, რომელსაც ბედად ერგო თუ განგებამ მიანიჭა ის ნება, რომ ეთამაშა საქართველოს ისტორიაში გამაერთიანებლის როლი და საქართველოს არსებობის რთულ გზაჯვარედინზე შეევსო აქტიური პოლიტიკის დაუმთავრებელი ნაწილი. მან, როგორც აფხაზთა მეფის მოხელემ და ქართლის ერისთავმა, X ს-ის 70-იან წლებში, ან ზუსტად 976 წელს დავით კურაპალატს შესთავაზა ან თვითონ შემოეერთებინა ქართლი ან თავისი შვილობილი ბაგრატ გურგენის ძე დაესვა მის გამგებლად. დავით III კურაპალატმა მიიღო ეს წინადადება და ტახტზე აიყვანა ბაგრატ გურგენის ძე, რომელსაც შემდგომ სამემკვიდრეოდ მოჰყვება მამის ჩრდილოეთ ტაოს სამეფო (ამიერ ტაო – შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი), მამობილის – დავით III კურაპალატის სამეფო – იმიერ ტაო ჩრდილო ბასიანითურთ, პაპის – აფხაზთა მეფის თეოდოსის სამეფო და, ბუნებრივია, ქართლის უზარმაზარი ტერიტორია. ეს უკანასკნელნი – მამობილიც და პაპაც – აფხაზთა მეფე (დედის მხრიდან) უშვილონი იყვნენ და მათი სიკვდილის შემდეგ ეს სამფლობელოები ავტომატურად გადავიდა ერთი მეფის ბაგრატ გურგენის ძის მფლობელობაში.

ისტორია გვაუწყებს, რომ იოანე მარუშისძემ ყოველივე იმიტომ გააკეთა, რომ მას დიდი ბრძოლა ჰქონდა „ქართლის უფლებთან", ტბელებთან და კახეთის ქორეპისკოპოსთან. მეცნიერება არ განმარტავს მათ პირად დავაში რა, ან ვინ იყო მტყუან-მართალი; შესაძლოა, თვით საქართველოს გაერთიანება იყო მიზეზი, ის კი ფაქტია, რომ ისტორიის ეს მონაკვეთი გამოირჩევა განსაცვიფრებელი აღმავლობით საგარეო პოლიტიკაში. სულ მალე ტბელთა უზარმაზარი საერისთავო და კახეთ-ჰერეთი საქართველოს ერთიან გამგებლობაში აღმოჩნდება. იოანე მარუშისძე კი არის ამ პოლიტიკის წამოწყების და განხორციელების ყველაზე მთავარი ინიციატორი. ის, რომ იგი აფხაზეთის მეფის მოხელეა ქართლში, მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთი და ქართული ეთნოსი ერთმანეთის განუყოფელი ნაწილი იყო და საქართველოს გაერთიანება აფხაზეთიდან დაიწყო.

იოანე მარუშისძის ფიგურა ქართველი ერის ცხოვრებაში რამდენადმე მიჩქმალულია, თუნდაც იმით, რომ ის საწყალობლად ფიგურირებს თბილისის ერთ-ერთი ქუჩის მისამართად. სასურველი იქნება, თუ ამ პიროვნების ირგვლივ შეიქმნება მემორიალი და ზოგადად ჩვენს დღევანდელ ყოფაში აისახება იმ მასშტაბში, რისი დამსახურებაც მას ნამდვილად აქვს.

ზოგადად მარუშიანები დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ ფეოდალებს ეკუთვნოდნენ X-XI სს-ში. ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა თვითონ ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე (970-იანი წლები). მათი საგვარეულოდან წარმოქმნილად მიიჩნევენ ორ დიდ ფეოდალურ საგვარეულოთა წარმოშობას, რომელთაც შემდგომ მთავრებად: დადიანებად და ვარდანისძეებად მოიხსენიებენ XII ს-ის 80-იან წლებში და XIII-XIV სს-ში გვხვდება ორი მარუშიან ვარდანის ძე. ამავე პერიოდში ეს სახელი ხშირად დომინირებს აფაქიძეებში და ფალქოზისძეებში.

ფარნავაზი

ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზი ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფე და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელია, რომელმაც ლეგენდის თანახმად, განძის პოვნისას მზე იცხო პირზე და ზეციური ხმით გახდა ღვთაების ნების განმხორციელებელი და იბერიის სამეფო დინასტიის დამწყები. მეფობდა ძვ. წ. IV ს. მიწურულსა და III ს-ის I ნახევარში. ამავე ავტორის მიხედვით, ფარნავაზი ქართული ეთნოსის ტომის ბელადის, მცხეთის მამასახლისის ძმისწული იყო. მან დაამარცხა „არიან-ქართლის" მიხედვით, მეფის ძე აზო (აზონი) და თავისი თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა.

ფარნავაზის მეფობა სელევკიდებმა აღიარეს. მან ჩაატარა სახელმწიფო რეფორმა და ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად (მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და შიდა ქართლის), რომელთაც სათავეში ერისთავები ჩაუყენა. ფარნავაზ I-მა ქართლის მთაზე აღმართა სამეფოს მთავარი ღვთაების არმაზის კერპი. მის დროს ტარდება ასევე დიდი რეფორმები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია დამწერლობა.

ამგვარად, მისი ეპოქა და მეფობა ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში.

ფარნავაზს ამ ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწია ეგრისის მმართველმა – ერისთავმა ქუჯიმ, რომელმაც აღიარა მისი პირველობა ამ რეგიონში. ფარნავაზს და ქუჯის აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდნენ ოსები, ბერძნები და ლეკები. ამის შემდეგ ფარნავაზმა ქუჯის თავისი და მისცა ცოლად და საერისთავოდ დაუმტკიცა ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე (ეგრისი და სვანეთი). ქუჯიმ ააშენა ქალაქი ციხეგოჯი, იგივე არქეოპოლისი.

საქართველოს გაერთიანების ეს თარიღი უცილობლად იმსახურებს, რათა შეიქმნას მემორიალური დღეები ფარნავაზის, ქუჯის და იოანე მარუშისძის პატივისცემის აღსანიშნავად. აღსდგეს და დამკვიდრდეს მათი პოპულარობა ჩვენს სოციალურ ყოფაში, წამოიწიოს მათმა ღვაწლმა ჩვენს თანამედროვე ისტორიაში – დაიდგას ძეგლები, შეიქმნას ქუჩები დამსახურების მიხედვით და განვითარდეს სხვა მათი გმირული ღვაწლის ამსახველი მასალა.

ზევით ნახსენებ იგივე ისტორიას სხვა ისტორიული წყაროები ასე მოგვითხრობენ და ათარიღებენ შემდეგნაირად:

დაახლოებით 2300 წლის წინათ, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა ქართლის ანუ იბერიის სამეფო.

„ქართლის ცხოვრება" ქართლის სამეფოს ნამდვილ დამაარსებლად ფარნავაზს მიიჩნევს. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქართველები – ლეგენდარული ქართლოსის შთამომავლები – ქართლში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ.

მეორე ქართული მატიანეს – „მოქცევაი ქართლისაი"-ს მიხედვით – ქართველები აზოს მიერ ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. აღ. 356-323) შემდგომ არიან და ქართლიდან მოყვანილი ხალხის შთამომავლებად მიაჩნიათ („არიან – ქართლში" როგორც ვარაუდობენ, იგულისხმება პონტოს სამეფოს გავლენის ქვეშ მყოფი რომელიღაც სამხრეთ ქართული გაერთიანება). ამრიგად, ზემოთ დასახელებული ისტორიული

მატიანეს მიხედვით ძვ. წ. აღ. 310-იან წლებში პონტოს მხრიდან ძლიერი ლაშქრით („ასი ათასი რომაელი") მოვიდა სარდალი აზო (იარედოსის ძე) და დაიპყრო მცხეთა და დაანგრია იგი. აზომ ქართლთან ერთად ჰერეთიც დაიკავა და ხარკი დაადო ოსებსა და ლეკებს.

აზომ შეტაკებაში მოკლა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა. მკაცრმა მმართველმა კერპთაყვანისმცემლობა შემოიღო და მცხეთის აკროპოლისზე ორი ვერცხლის კერპი აღმართა – გაცი და გაიმი. მათი მმართველობის ქვეშ მოექცა ვრცელი ტერიტორია მდინარე ბერდეგიდან (დღევანდელი დებედა) ვიდრე „სპერის ზღვამდე" (შავი ზღვა). აზოსაგან მოკლულ მცხეთის მამასახლის სამარას ძმას, სამი წლის ვაჟიშვილი ფარნავაზი დარჩა. ფარნავაზი საისტორიო ტრადიციით, მცხეთოსის შვილის, უფლოსის ჩამომავალი იყო. დედამისი წარმოშობით ისპაჰანელი იყო. შეშინებულმა დედამ თავისი შვილი მოარიდა სისხლისმოყვარულ აზოს და კავკასიის მთებში გაზარდა. როცა ფარნავაზი წამოიზარდა, იგი დედასთან ერთად მცხეთაში, თავის მამულში დაბრუნდა.

ერთხელაც, ნადირობისას ფარნავაზმა მიაგნო განძს, ხუთი დღის განმავლობაში იგი დედასთან და დებთან ერთად ეზიდებოდა ოქრო-ვერცხლს გამოქვაბულიდან და საიმედო ადგილას მალავდა.

მალე ფარნავაზი დაუკავშირდა ეგრისის მაშინდელ ერისთავს ქუჯის და აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა შესთავაზა. ქუჯი სიხარულით დათანხმდა და მალე ფარნავაზი თავისი დედით, დებით, ავლადიდებით ეგრისში გადავიდა და დაიდო სამხედრო კავშირი ფარნავაზის მეთაურობით (ქუჯიმ აღიარა ფარნავაზის პირველობა –„შენ უფალი – მე მონა", თავი და თავი ქართლოსიანთა აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ გმარეთბს უფლობა ჩვენი, როგორც ქართლოსის ჩამომავალსო).

ფარნავაზმა და ქუჯიმ მიიმხრეს ოსნი და ლეკნი, მათ მხარეზე გადავიდა აგრეთვე აზოს ლაშქრიდან ათასი მეომარი („ათასი რომაელი").

„მოქცევაი ქართლისაი"-ს მიხედვით, დაახლოებით ძვ. წ. აღ. 301 წელს ფარნავაზმა აჯანყება დაიწყო. მალე მან აიღო მცხეთა და ქართლის ოთხი ციხე. ამასთან დესპანები გაუგზავნა სირიის მეფეს ანტიოქე I სოტერს. სირიის მეფემ მას გვირგვინი უბოძა და სომხეთის მმართველებს უბრძანა მიშველებოდნენ ფარნავაზს.

შევიწროებული აზო კლარჯეთში გაიქცა.

ძვ. წ. აღ. 300 წლის მახლობლად არტაანთან („ქაჯაეთის ქალაქი") ახლოს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ფარნავაზმა და მისმა მოკავშირეებმა გაიმარჯვეს. აზო ბრძოლაში დაიღუპა და მისი ლაშქრის დიდი ნაწილი განადგურდა. ფარნავაზმა კლარჯეთი უმალ ქართლს შემოუერთა.

ამრიგად, 27 წლის ფარნავაზი ქართველთა პირველი გამაერთიანებელი და ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის შემქმნელია. გადმოცემით, ფარნავაზს ცოლად მოუყვანია დურძუკელთა თემის ქალი, რომელიც ქართლოსის ძმის, კავკასოსის შთამომავალი ყოფილა. ამ ქალისაგან შეეძინა მემკვიდრე საურმაგი. თავისი და ფარნავაზმა ოვსთა მეფეს მიათხოვა და ასევე შეიქმნა მოკავშირე.

65 წელი მეფობდა ფარნავაზი და ამ ხნის მანძილზე უამრავი საგმირო და საშვილიშვილო საქმის გაკეთება შეძლო.

თავისი მოღვაწეობა ადმინისტრაციული რეფორმით დაიწყო. ფარნავაზმა სამეფო

რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ დაყო, რომელსაც სათავეში ერისთავნი ჩაუყენა. მარგვისის (არაგვეთი) საერისთავო, კუხეთის, ხუნანის (გარდაბანი), სამშვილდის, ჯავახეთის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისის საერისთავოები, და შიდა ქართლის სასპასპეტო (მას სპასპეტი განაგებდა).

ფარნავაზმა ხელი მიჰყო დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. მან ქვის კედელი შემოავლო მცხეთას და გაამშვენიერა იგი. მანვე არმაზის მთაზე (რომელსაც ადრე „ქართლი" ერქვა) აღმართა ახალი კერპი არმაზი. ფარნავაზმა აღაშენა შორაპანისა და დიმის ციხე, ხოლო ქუჯიმ (რომელსაც ერთ-ერთი და მიათხოვა ფარნავაზმა) ეგრისის შუაგულში ააშენა ქალაქი ციხე-გოჯი.

საისტორიო ტრადიცია ფარნავაზს მიაწერს აგრეთვე სამხედრო თანამდებობათა დაწესებას, ტახტის მემკვიდრეობის წესის შემოღებას, მიწის მფლობელობის, როგორც კერძო საკუთრების, უფლების დაკანონებას (გადმოცემით, მან თავის ერთგულ ხალხს და აზოს ლაშქრიდან მის მხარეზე გადასულ მეომრებს აზნაურობა მისცა – „ქართლის ცხოვრება". ამ სახელს – აზნაურს ზოგჯერ „აზოს" სახელიდან აწარმოებენ, რაც ნაკლებ სარწმუნოა). საისტორიო ტრადიცია ფარნავაზს მიაწერს უდიდესი კულტურული ღონისძიებების განხორციელებას, „მან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული"...

ასე სიბრძნით განაგებდა ფარნავაზი თავის სამეფოს. გაზაფხულობით და შემოდგომაზე ფარნავაზი მცხეთაში ცხოვრობდა, ზამთარში – გაჩიანში, ხოლო ზაფხულს წუნდაში ატარებდა და ზოგჯერ მოინახულებდა კლარჯეთს და ეგრისს.

დაახლოებით ძვ. წ. აღ. 237 წელს ფარნავაზი 92 წლის ასაკში გარდაცვლილა. დაუკრძალავთ არმაზის აკროპოლისში. ამრიგად, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ფარნავაზი იყო ქართლის (იბერიის) პირველი მეფე ქართლოსის ტომისა (ე. ი. ერთ-ერთი პირველი ქართველთაგანი), თუმცა, ზოგი წყარო ფარნავაზის მამას და განსაკუთრებით დედას სპარსული წარმოშობის ხალხად მიიჩნევს.

ფარნავაზმა საფუძველი ჩაუყარა ქართული სახელმწიფოს ძლიერებას.

ქართული ქრისტიანული რელიგიის სიწმინდეები

„ჩემნი ლალნი და თვალ-მარგალიტნი ხახულისა ღმრთისმშობლისადმი შემიწირავს".

ანდერძი დავით აღმაშენებლისა

საქართველოში სხვადასხვა დროს ინახებოდა უაღრესად მაღალი სიწმინდეები და სასწაულებრივი ძალის შემცველი რელიკვიები, მათ შორის: ქრისტეს კვართი, მაცხოვრის თმები და წვერი (ჯვარცმის დროინდელი). სამსჭუალნი ფეხისანი უფლისა და ფეხთა ფიცარი ქრისტეს ჯვრისა, ძელიცხოვლის ნაწილი, მაცხოვრის ხის თეფში საიდუმლო სერობიდან, შოლტი, რომლითაც მაცხოვარი იგვემა, ბაწარი, რომლითაც იგი იყო გათოკილი, სახვევი, რომელშიც მას ბავშვობაში ღვთისმშობელი ახვევდა,

მაცხოვრის ეკლის გვირგვინის ნაწილი, ღვთისმშობლის კვართი, მისი კბილი, ილია წინასწარმეტყველის ხალენი მცხეთაში, ანდრია პირველწოდებულის ნაწილები, თმა, მოციქულის თავი, იოანე ნათლისმცემლის ხორხი – ოპიზაში, წმინდა მარინეს და წმინდა კვირიკეს მკლავი.

ქალაქ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია სიწმინდეები, რომლებიც შემოსულა ხობის მიძინების ეკლესიიდან 1923-1926 წლებში და სიწმინდეების მსოფლიო მუზეუმების საგანძურთა შორის დიდ იშვიათობას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ღვთისმშობლის კვართი. რომელიც, თავის დროზე, დეკორით ყოფილა შემკობილი, მაგრამ დროთა განმავლობაში საღებავი გადასულა და იგი ამჟამად უფრო ტილოს წააგავს (ზომა 180-150 სმ). აქვეა დაცული წმინდა კვირიკეს ხელი (აკლია ორი თითი: ნეკი და არათითი), წმინდა მარინეს მკლავი უსამკაულოდ (აკლია ცერი და საჩვენებელი თითის სახსარი), იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილები და წმინდა გიორგის ბარძაყის ძვალი.

ზემოჩამოთვლილი წმინდა ნაწილები მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილ პატარა ზომის ლუსკუმაში, რომელიც ლევან II დადიანის (1611-1657) დაკვეთით დაუმზადებიათ, მასზე მხედრული წარწერებია: – ა) „შევამკე და მოვაჭედვინე კვართის კუბო ეს ვერცხლითა ოქროთ დაფერვითა თვალმარგალიტთა ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან მისთვის საოხათ შეგიმკეთ ყოვლად წმინდა ქერუბინთა... შეისმინე ვედრება ჩვენი, დაიხსენ და აცხოვნე და განუსვენე და აკურთხე სული ნესტან დარეჯანისა და დაიკვიდრე სასუფეველსა ამინ. მოიჭედა ყოვლად წმინდა პერანგისა კუბო ეს ქორონიკონსა სამას ოცდა რვასა“ (ქორონიკონი უდრის 1640 წელს). ბ) „ხოფის ღვთისმშობელო, ადიდე ორთავ შინა ცხოვრებათა ამის შემამკობელი გურიელის შვილი მალაქია. ვინც შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან, ამინ“. ეს მალაქია არის გიორგი II გურიელის ძე, მის შესახებ მოგვითხრობენ ცაიშის წარწერები.

„ქართლის ცხოვრება“ ვერაფერს გვეუბნება მათ შესახებ ხელჩასაჭიდს. ვახუშტი ბატონიშვილი კი მხოლოდ ძალზე მოკლედ გვაუწყებს: „ხოფის ეკლესიასა შინა მშუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა სასწაულმოქმედი“.

რუს ელჩებს პაველ ზახარევს და ფედოტ ელჩინს მოუნახულებია სამეგრელოში მაცხოვრის სახელობის ერთ-ერთი მონასტერი, რომელშიც უამრავი სიწმინდე ყოფილა დაცული, ისინი ხატში ყოფილა მოთავსებული და მოოქროვილ-მოვერცხლილ პატარა უჯრებში იდო. ხატზე იმპერატორ კონსტანტინესა და მისი დედის ელენეს წარწერა ყოფილა დატანილი.

ეპისკოპოს ანდრიას ელჩებისთვის მოუხსენებია თუ ვის ეკუთვნოდა ეს წმინდა ნაწილები: კოზმას, დამიანეს, აზარიას და მიხაილს, წმინდა პანტელეიმონს, კირიაკეს, დანიელ მესვეტეს, იოანე დამასკელს, ბარბარე წამებულს, ანასტასიას, წმინდა წამებულ ანას, მარინეს, თეკლეს, ეკატერინეს, დიმიტრი სელუნელს, წმინდა წამებულ ხარლამპის, ანდრია კრიტელს, თეოდოს ტირონს, წმინდა გიორგის, გრიგოლ ღვთისმეტყველს, წმინდა მოციქულ მათეს, წმინდა წამებულ პროკოფის, წმინდა და დიდებულ სასწაულმოქმედ ანტონს, წმინდა კიპრიანეს, წმინდა წამებულ ვლასიას, იაკობ ხპარსს, თეოდორე სტრატილატს, იოანე გულმოწყალეს, ვასილი კესარიელს, წმინდა და სასწაულმოქმედ ნიკოლოზს, წმინდა სპირიდონს, ღვთისმშობლის დედას ანნას, მოციქულ არქიპოს, ანტონ დიდებულს და ღრუბელი, რომლითაც ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს

ძმარი მიაძლიეს". ელჩების კითხვაზე, — თუ საიდან გაჩნდა ანტონ დიდებულის წმინდა ნაწილები აქ, მაშინ, როცა მისი საფლავი ნაპოვნი არ იყო? ეპისკოპოსს უპასუხნია: — ჩვენ არ ვიცით ვინ და როგორ დაასაფლავა დიდებული ანტონი, მაგრამ აქ წერია, რომ ეს წმინდა ნაწილები მას ეკუთვნისო. ამ მონასტერში ასევე დაცული ყოფილა იოანე ნათლისმცემლის ხელი. ელჩისა და ზახარევის კითხვაზე — თუ საიდან ან ვინ მოიტანა აქ ესოდენ მნიშვნელოვანი სიწმინდე? ადგილობრივებს უპასუხნიათ — იერსულიმის პატრიარქმა და იგი 170 წელია აქ ინახება, ზახარევის ცნობით კი 180 წელი. მათ გარდა ელჩების ცნობით აქ ინახებოდა სხვა წმინდა ნაწილებიც, მაგრამ მათ შესახებ წერილობით წყაროებში სახელდება და აღწერილობა არ არსებობს.

ელჩებს მოუნახულებიათ დრანდის მონასტერიც. ზახარევის თქმით, მას აქ ეპისკოპოსმა წმინდა მარინეს ხელი აჩვენა. აქ სხვა სიწმინდეებიც ყოფილა დაცული. ცაიშელი ეპისკოპოსის ანდრიას თქმით, რომელიც ელჩებს სამეგრელოში მეგზურობას უწევდა, ისინი მონასტრის აგების დროს მოუტანიათ, მაგრამ მათ შესახებ არსებული ყველა წერილობითი წყარო თურქებს გაუნადგურებიათ.

დრანდის მონატრის შემდეგ, ელჩებს მოქვის ტაძარიც უნახავთ. მაქსიმე მოქველს ელჩინისა და ზახარევისთვის უჩვენებია: სტეფანე არქიდიაკონის ხელისა და ფეხის ნაწილები, წამებული ირინეს, მარინეს, მელანის, ევგენის, ნიკიტას, მერკურის, ანდრონიკეს, ყოვლადღირსი ილარიონის, ვლასიას, სასწაულთმოქმედი ნიკოლოზის, ლაზარეს, ამბროსი მედიალამელის, ავერკიას და ლუკა მახარებელის წმინდა ნაწილები. მაქსიმე ეპისკოპოსის თქმით, ისინი კონსტანტინოპოლიდან ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინეს გამოუგზავნია. ილორის ტაძარში ელჩებს წმინდა გიორგის მახვილი უნახავთ.

1640 წლის 10 თებერვალს ელჩებმა დაათვალიერეს ბედიის ტაძარიც, სადაც მათ მღვდელმთავარმა უჩვენა, სამღვდელმთავრო კვერთხი, რომლის თავი გადაკრული იყო შავი ხავერდით, მასზე ამოქარგული იყო ჯვარცმა, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემლისა და ქრისტეს ჯვარი, რომელიც ეკავათ მეფე კონსტანტინესა და მის დედას ელენეს. ხავერდის ქვეშ ბედიელის სიტყვით ინახებოდა ეკლის გვირგვინი, ლურსმანი, რომლითაც ქრისტე შემსჭვალეს ჯვარზე და ბაწარი, რომლითაც იგი გათოკეს. ელჩინი კი ამ რელიკვიების გარდა, იხსენიებს მაცხოვრის თმასაც, ხავერდი კვერთხის თავზე მიბეჭდილი იყო სამეგრელოს მთავრის ბეჭდით და ამის გამო მთავრის ნებადაურთველად არავის ანახვებდნენ. ეს რელიკვიები, როგორც რუსეთის დესპანს მოახსენეს, ინახებოდა იმერეთში, მაგრამ ქართლის მეფე სიმონ I-მა იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ წაიღო ქართლში, საიდანაც ის წამოიღო ლევან II დადიანმა, როგორც ნადავლი გამარჯვების ნიშნად.

1672-1673 წლებში სამეგრელოში იმოგზაურა ჟან შარდენმა, რომელიც აღნიშნავს, რომ გარდა ამ რელიკვიებისა აქ ინახებოდა ჯვარი პატიოსნის ნაწილი და ის ტილო, რომელშიც ღვთისმშობელი ახვევდა ჩვილ იესოს. ხობის მონასტერში ღვთისმშობლის კვართის არსებობაზე მიუთითებს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი.

იოანე ნათლისმცემლის ხორხის შესახებ გვაწვდის ცნობას პავლე ალეპოელი, რომლის ირგვლივ „ჟამთააღმწერელი" მოგვითხრობს: „ოპიზა, უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა. ამას შინა არს უპირატესი ყოველთა წინასწარმეტყველთა და მოწამეთა, ყოველთა უაღრესის ნათლისმცემლისა იოანეს ხორხი იგი, რომელი არა დადუმდებოდა ქებად ღმრთისა მოსრულისა, და მამხილებელი ჰეროდეს უსჯულოებისა". როგორც

ჩანს, თავიდან ნათლისმცემლის ხორხი ოპიზის მონასტერში ყოფილა დაცული და სამეგრელოში ალბათ იქიდან წამოიღეს.

ალეპოელის მამას, პატრიარქ მაკარის წალენჯიხის ტაძარში უნახავს რამდენიმე ლურსმანი, რომლითაც მაცხოვარი ჯვარს გააკრეს, აგრეთვე ზემოთ ხსენებული იოანე ნათლისმცემლის ხორხი და წვერის ღერები.

ხობის მონასტერში დაცულ სიწმინდეთა შესახებ შემდეგ ცნობას იძლევა XVII ს. მისიონერი, თეატინელთა მისიის პრეფექტი სამეგრელოში, ჯუზეპე მარია ძამპი: „ამ ხალხს (მხედველობაშია მეგრელები) ბევრი რელიკვია აქვს, რომლებიც მათ, პირველ ყოვლისა, მიიღეს იმ დროს, როცა აქ ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიკვიას უგზავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიკვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან... და ბოლოს, რელიკვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქებისაგან კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაჰმადიანთა ტირანიისგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გაიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში. ამბობენ, მაშინ კოლხიდაში ჩამოვიდა ერთი არქიეპისკოპოსი, თან ჩამოიტანა ერთი მტკაველის ოდენა ნაჭერი ძელი ჭეშმარიტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმზე მეტი) და კვართი, რომელიც ღვთისმშობელს ეკუთვნოდა. ჩვენს პატრებს იგი უნახავთ და ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი ოთხისა, აქვს ერთი მტკაველი მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება აქვე, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ლუსკუმაში. ვნახე აგრეთვე წმინდა კვირიკეს მკლავი და ოქროთი და ვერცხლით შემკული სხვა წმინდა ნაწილები.

კვართი, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, ინახება ვერცხლისგან გაკეთებულ, ყვავილებით მორთულ ებანოზის ყუთში, მასში არის პატარა კოლოფი, რომელშიც დევს მაცხოვრის წვერის რამდენიმე ღერი და შოლტი, რომლითაც იგი იგვემა. ეს ყუთი ბეჭდით არის დაბეჭდილი“. მისიონერის მონათხრობში მოცემულია სავარაუდო გზები და საშუალებები, რომლითაც ქრისტიანული სიწმინდეები აღწევდნენ სამეგრელოში.

ღვთისმშობლის კვართის ხობის მონასტერში მოხვედრის თაობაზე ასევე რუსი ელჩები ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი მოგვითხრობენ, რომ 1650-1652 წლებში ისინი იმყოფებოდნენ იმერეთში. ბერებმა, რომლებიც ათონის მონასტრიდან ყოფილან ჩამოსული გადასახადის ასაკრებად, ელჩებს უამბეს, რომ: „ხობის მონასტერში ღვთისმშობლის მიძინების ნარევი ქვის საყდარიაო, საბერძნეთის მეფის ირაკლის აგებული. იმ საყდარში ძველი დროიდანვე ყოფილა წმინდა ღვთისმშობლის კვართი დაცულიო, ის ღვთისმშობლის კვართი კონსტანტინოპოლიდან არის ერთი წიგნების მცველის მიერ მოტანილი, როცა წმინდა ხატების დევნა მიმდინარეობდა (საბერძნეთში) ფეოფილე მეფის დროსო... ის კვართი მიტკალისაგან ან წმინდა ნარმისაგან უნდა იყოს შეკერილიო... იგი მოხატული იყოო, თვით კვართსო, შაქრის ფერი ჰქონდაო. ის ღვთისმშობლის კვართი ვერცხლის კიდობანშია დაცულიო და იმ საყდრის საკურთხეველშია დადგმულიო.

მე, ალექსიმ, ღვთისმშობლის იმ კვართის შესახებ, ზაქარია მიტროპოლიტს ვკითხე, მას უნახავს თუ არა ის და ნამდვილად ღვთისმშობლის კვართია თუ არა ის

მეთქი. მიტროპოლიტმა მითხრა, რომ ის მრავალჯერ აქვს ნანახი და წიგნების მცველის მიერ არის მოტანილი, როცა წმინდა ხატების დევნა იყო საბერძნეთში. ამ ღვთისმშობლის კვართისგან სნეულის განკურნება ხდებოდა, მაგრამ რადგან დადიანი სარწმუნოებას განუდგა და მაჰმადიანობა მიიღო ძალმოსილებაც შეწყდაო. იმავე საყდარში, წმინდა კვირიკე მოწამის წმინდა ნაწილებია დაცული, მარჯვენა ხელი მაჯამდე, ისე როგორც ცოცხალი ადამიანისა. აქვე ძელი ცხოვრების ნაწილიც და სხვა წმინდანთა ნაწილებია დაცული, მაგრამ ყველა ესენი მივიწყებული და უყურადღებოდ არის დატოვებული, არც სანთლებს უნთებენ და არც გალობაა, ამ წმინდა ნაწილებისგან სნეულთა განკურნება ხდებოდა თუ არა, ამათ ეს არ იციან იმიტომ, რომ მათ იქ ყოფნის დროს ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია".

საყურადღებოა XVIII ს. იტალიელი მისიონერის ქრისტეფორე კასტელის ცნობები ამგვარ საკითხთა ირგვლივ. მისი თქმით: „უფლის დიდი დედა ხოფის მონასტერშია, სადაც ბერძნებმა მოიტანეს, სარკინოზების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ. ეს ჩანს იმ წარწერებიდანაც, რომელნიც შემონახულია იმ საუნჯესთან ერთად", — და მისივე სიტყვით: — „აფხაზეთის ახლო მდებარე მოქვის საეპისკოპოსო ეკლესია ძალიან ლამაზია, შიგ მრავალი ოქროსა და ვერცხლის ხატი და სხვადასხვა წმინდანის რელიკვიაა. აქვეა სახელოვანი სტეფანეს მკლავი". ბედიის მონატრის აღწერისას კი ამბობს: „აქ მნიშვნელოვანი რელიკვიებია, როგორიცაა სისხლით შეღებილი თეთრი ქსოვილი, რომელზედაც ბერძენი პატრიარქის ანტიკური წარწერაა: ქრისტე არის ღვთისშვილი".

საქართველოს მე-20 ს-ის მეჭურჭლეთუხუცესი ექვთიმე თაყაიშვილი, დიდი მოამაგე და მზრუნველი იყო საქართველოს სიძველეების, განსაკუთრებით კი ქრისტიანული სიწმინდეების. მას მიაწერენ, რომ უნახავს ხობში ხატი, რომელიც ხობის ხატად არის ცნობილი და ასე აღწერს: „ხატის შუაში მოთავსებულია გრძელი ჯვარი ძელი ჭეშმარიტისა, სიგრძით ექვსი გოჯი, ვერცხლით შეჭედილი". აგრეთვე თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელსაც ვარაუდობენ, რომ აქ ბედან დადიანის საშუალებით უნდა მოხვედრილიყო, რადგან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა დავით VI ბაგრატიონთან, რუსუდანის ძესთან. „შიგ ჯვარში, როგორც სჩანს ჩატანებული უნდა იყოს ძელი ჭეშმარიტისა", რისი თქმის საფუძველსაც იძლევა წარწერა ჯვარზე: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინ (წარ)ძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს".

ქართლის ცხოვრების მიხედვით: კონსტანტინე კეისარმა გაქრისტიანებულ მირიან მეფეს „სიხარულით მიანიჭა ნაწილი ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელსა ზედა ფერხნი დაუმსჭუალნეს უფალსა, და სამსჭუალნი ხელთანი", ეს ჯვარი 614 წელს სპარსელებმა ხოსრო ანუ „ქასრე" მეფის დროს იერუსალიმიდან წაიღეს, როგორც ნადავლი, ხოლო 628 წელს ჰერაკლე კეისარმა ჯვარი ტყვეობიდან დაიხსნა. ბერძნული წყაროების მიხედვით, ჯვარი კეისარმა თვითონ იტვირთა ზურგზე, იგი ჯერ იერუსალიმის პატრიარქ მოდესტოს აჩვენა და შემდეგ კონსტანტინოპოლში მოიტანა. ქართლის ცხოვრების ცნობით კი, ჰერაკლე კეისარმა ძელიცხოვლის გამოხსნასთან ერთად საქართველოდან კონსტანტინეს მიერ ნაჩუქარი რელიკვიებიც: „ფეხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა იესო ქრისტესნი" წაიღო. 1109 წელს საფრანგეთში დიდი პატივით ჩაიტანეს პალესტინიდან გამოგზავნილი ძელი ცხოვრებიდან

ამოღებული ჯვარი და 1 აგვისტოს მოს და სანლისის ეპისკოპოსთა და ურიცხვ ქრისტიანთა თანდასწრებით ზეიმით დაასვენეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. ეს ძვირფასი სიწმინდე, რომ საქართველოს სახელთანაა დაკავშირებული ადასტურებს, წმინდა საფლავის კანტორის, ანსელის, 1108 წლით დათარიღებული წერილის ფრაგმენტი: „როგორც ბერძენთა და ასურთა ნაწერები გვასწავლიან, ქრისტეს ჯვარი ოთხ ძელთაგან ყოფილა შემდგარი. მათში ერთი ის იყო, რომელზეც პილატემ ზედწერილი დაწერა, მეორე – სად იესო ქრისტეს გაშლილი მკლავნი და ხელები მიმაგრებული იყო; მესამე, რომელზეც მისი ტანი ეკიდა, და მეოთხე – რომელშიც თვით ჯვარი გამაგრებული იყო და რომელიც გვერდის და ფერხთა სისხლის დაღვრით გავლილია და კურთხეული.

ხოლო ის ჯვარი, თქვენ რომ გამოგიგზავნეთ, ორი ძელითაგან არის გაკეთებული. იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული. ჩადებული იმ ძელისა არის, რომელზედ ეკიდა, სადაც ჩართულია იმ ძელისა, ფეხთა ქვეშ რომ იყო და ჯვარს რომ ამაგრებდა, ორივე პატიოსანი, ორივე წმინდა.

ამ ჯვარს დავით მეფე ქართველთა, სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. ის დავით, რომელს მისი წინაპრებივით, კასპიის კარი გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მიდიელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა მეუღლემ მისმა, უფრო სიწმიდისა, ვიდრე გვარისშვილობისათვის სათაყვანომ, წესი მონაზნობისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენ (მხლებელით) იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარის და ბევრი ოქროს წამოღებით და იყო მისი წადილი და არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

განსაკუთრებით ქრისტიანული სიწმინდეების შესახებ მდიდარ მასალას იძლევა ექვთიმე თაყაიშვილის შრომა „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“, სადაც ავტორი აღწერს ღვთისმშობლის ხატს, რომელშიც ვერცხლის ბუდეებით ქრისტეს საფლავის ქვის ნატეხებია ჩასმული. იქვე წარწერაა: „ლოდი ქრისტეს საფლავისა. ხატის ამის შემამკობელი დადიანის ბეჟანის ძე ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გაბრიელ მოიხსენიოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა ამინ“.

ექვთიმე თაყაიშვილს მარტვილშივე უნახავს ოქროს ჯვარში ჩადებული ძელი ჭეშმარიტის ჯვარი, რომელშიც წინათ იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები ყოფილა ჩატანებული, ჯვარზე წარწერაა: „წმინდაო იოანე ნათლისმცემელო, მეოხ ეყავ ხოსრონუშ დედოფალსა, ბაგრატსა და დავითს“.

მკვლევარ კონდაკოვის მიხედვით, მარტვილის მონასტერში დაცული ყოფილა პატარა სკივრი, რომელშიც სხვა სიწმინდეებთან ერთად ინახებოდა ჯვარსაცავი, რომელშიც ოქროს ძაფებით დამშვენებული ძელიცხოვლის ნაწილი იდო. აღნიშნული სკივრი ბევრჯერ გაუძარცვავთ და საბოლოოდ კი დაუბრუნებიათ და შეუწირავთ მონასტრისათვის ბეჟან დადიანსა და დედოფალს თამარს. ქრისტიანული სიწმინდეების ისტორიაში ბევრია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე სიწმინდე რამდენიმე ქვეყანაში ფიქსირდება, ამიტომ მაცხოვრის ლურსმნების რაოდენობამ (სამსჭუალმა) რამდენიმე ათეულს გადააჭარბა. ღვთისმშობლის კვართი მფარველობის ნიშნად

დატოვებული ჰქონდა ბერძნულ ეკლესიას, მაგრამ მას ბევრი სხვა ეკლესიაც მიიჩნევს თავისად.

1207 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ბევრი სიწმინდე-რელიკვია დაიკარგა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ღვთისმშობლის კვართი და სარტყელი ავაზაკებს გადაურჩა, რადგან ვლაქერნის ტაძრიდან წამოღებულ ღვთისმშობლის სიწმინდეთა შორის მხოლოდ მისი თავსაბური მოიხსენიება, რომელიც გენრიხ დე ულმენმა ტრირის მონასტერს გადასცა. მისი ნაწილი ინახება რომში ლათერანის ეკლესიაში. პალესტინიდან კი კონსტანტინოპოლში მარიამ ღვთისმშობლის კვართის გადმოსვენების დღედ ქრისტიანულმა ეკლესიამ 2 ივლისი მიიჩნია. ამ ფაქტთან დაკავშირებით შეიქმნა ამ ფაქტის ამსახველი სხვა ხატებიც. მათგან ცნობილია XVI ს. შუა ხანებში შესრულებული ნოვგოროდის სკოლის ხატი (41,44) და კრემლში დაცული რუსული ხატი (45, 187).

626 წლის გაზაფხულზე სპარსელების და ხაზარების უზარმაზარი არმია შახრვარაზის მთავარსარდლობით ბოსფორს მოადგა და კონსტანტინოპოლისაკენ. დაიძრა. თვითონ ბიზანტიის იმპერატორი ირაკლი (610-641 წ) ლაზიკაში იყო და სპარსელებზე თავდასასხმელად ემზადებოდა. ქალაქის მმართველობა პატრიარქ სერგის (610-638) ებარა. მტერმა შტურმი 7 აგვისტოს დაიწყო, მაშინ „პატრიარქმან და ყოველმან ერმან სამეუფოისა მის დედაქალაქისამან აღიღეს ხელით უქმნელი ხატი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სამოსელი იგი წმინდაი ყოვლად უბიწოისა ღვთისმშობლის და საუფლოი ცხოველსმყოფელი ძელი ჯვრისაი, და ზე აქუნდეს იგი ხელითა მათითა, და მოჰვლიდეს იგი გარემოს ქალაქსა და შესასვლელს ქალაქისა, და იტყოდეს ცრემლითა მხურვალითა: „აღდეგ ღმერთი და განაბნიენ ყოველნი მტერნი შენნი, და ვითარც რაი კუამლი მოაკლდენ იგინი, და დადნენ და განქარდნენ იგინი, ვითარცა რაი ცვილი წ~ე პირსა ცეცხლისასა, და ეგრეთ წარწყმდნენ ღმერთის მოძულენი იგი პირსაგან შენისა, ხოლო მონანი შენნი მხიარულებით გაკურთხევდნენ და გიგალობდნენ შენ“.

ამ ბრძოლაში ხატის სასწაულმოქმედი და სამოსელი სიწმინდის ძალით ბიზანტიელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს და ამის უკვდავსაყოფად შეიქმნა ღვთისმშობლის აკაფისტო, იგი შედგება 25 გალობისაგან, 13 კონდაკის და 12 იკოსისაგან, განლაგებულია ბერძნული ანბანის მიხედვით და ყოველი მათგანი მთავრდება სიტყვით – „გიხაროდენ“. მის ავტორად პატრიარქი სერგი (610-638) ითვლება.

ღვთისმშობლის კვართმა კონსტანტინოპოლი ეგვიპტელი სარაცინების შემოსევისაგან დაიფარა 672 წელს. იგივე შემოტევას ადგილი ჰქონდა 716 წელსაც, მაგრამ ბიზანტიელებმა სარაცინების ფლოტი ზღვაში ჩაძირეს და ამ გამარჯვებას ისტორია სიწმინდეების ძალას მიაწერს.

866 წელს, რუსი წარმართი რაინდები ასკოლდი და დირი 200 შეიარაღებული ხომალდის თანხლებით ბოსფორში შევიდნენ და კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყეს. ბიზანტიის იმპერატორი მიხაილ III ლოთი (842-867) შავი მდინარის ნაპირებთან ებრძოდა აგარიანებს. პატრიარქ ფოტისაგან მიღებული ცნობის თანახმად, ისინი დედაქალაქის დასაცავად დაიძრნენ, მაგრამ რუსებისათვის წინააღმდეგობის გაწევა თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ხალხი ლოცულობდა, ხოლო პატრიარქმა ფოტიმ ვლაქერნის ტაძრიდან კვართი გამოასვენა და მისი კიდე ზღვას შეახო. ისტორიის

თანახმად, უცებ საშინელი ქარბორბალა ამოვარდა, ზღვა აღელდა და რუსების ხომალდები ჩაიძირა. გადარჩენილმა ასკოლდმა და დირმა წარმართობაზე უარი თქვეს და ქრისტე ირწმუნეს.

მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ ის სიწმინდეები, რომლებიც XI ს-ში კონსტანტინოპოლში იყო დაცული, მოგვიანებით საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელოში ფიქსირდება. მაგალითად: ქრისტეს ეკლის გვირგვინი, ლურსმნები, რომლითაც მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს, ღვთისმშობლის დედის წმინდა ანას, წმინდა ნიკოლოზის, იოანე ნათლისმცემლის, ლაზარეს, ლუკა მახარებლისა და სხვა წმინდანთა ნაწილები. მარიამ ღვთისმშობლის სიწმინდეების შესახებ კი ნათქვამია: „დიდ სასახლეში, მარიამ ღვთისმშობლის ტაძარში ინახება ღვთისმშობლის ტანსაცმელი". აქვე სხვა ტაძრის აღწერისას აღნიშნულია: „წმინდა ვლაქერნის ღვთისმშობლის მახლობლად, მეორე ტაძარში საკურთხეველში არის ვერცხლის სკივრი, რომელშიც შიგნით დევს წმინდა ღვთისმშობლის სარტყელი". ტერმინ – ტანსაცმელის ხსენებისას საკვარაულოა, რომ ღვთისმშობლის კვართი იგულისხმებოდეს და იგი ადრე უნდა ყოფილიყო ვლაქერნის ტაძარში და ხოლო შემდეგ უნდა ჩამოესვენებინათ საქართველოში. ღვთისმშობლის კვართთან ერთ ასეთ სასწაულს მოგვითხრობს მღვდელ-მონაზონი კალისტრატე – „1891 წელს ხობის მონასტერი გატეხეს და გაიტანეს ეს სიწმინდე თავის კუბოიანად. ავაზაკი არ შეეხო ძვირფას ხატ-ჯვარს, არამედ მხოლოდ ეს სიწმინდე გაიტანა... ეს ამბავი გაიგო ხალხმა თუ არა, ზარის ხმასთან იგრიალა და შემოერტყა ტაძარს. კაცი და ქალი, დიდი და პატარა, გამოუთქმელის მწუხარებით აღვსილნი გაიძახოდნენ: „სად იყვნენ ბერები! ნურც ბერი და ნურც ერი ნულარ ვიქმნებით ცოცხალნი, თუ ეს სიწმინდე დაგვეკარგაო, განსაკუთრებით დედათა სქესისაგან მხურვალე ცრემლი ბევრი დაიღვარა, აღელდა ხალხი, გაცხარდა ადმინისტრაცია! არ გაუვლია სამი დღე-ღამეს, რომ ეს კვართის კუბო ვიღაცას ხელუხლებლად მონასტრის მახლობელ ადგილზე ბუჩქზე დაუსვენებია, სადაც ღამის წყვდიადში ზეციდამ თითქო ცეცხლის ნაპრწკლები გადმოდისო, ისეთ გამოსახულებას იძლეოდა, ეს შენიშნეს ღამის მოგზაურთ და სოფლის მცხოვრებთ,სადაც მივიდნენ და იპოვნეს ეს კუბო,წინ სანთლით. ამ სასწაულებრივმა მოქმედებამ ხალხს გაუორკეცა უმეტესი სასოება და სიყვარული ყოვლად წმიდის ქალწულის მარიამისადმი, სამადლობელო პარაკალისის შემდეგ, ხალხმა დაადგინა განაჩენი, რათა ხობში მუდამ იყვნენ სამ-სამი კაცი ღამის ყარაულებად ხალხის ანგარიშზე, ასეც არის დღეს".

ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით მარიამმა მიძინებისას წმინდა სარტყელი მოციქულ თომას გადასცა. იმპერატორ არკადის ზეობის დროს (395-408), იგი კონსტანტინოპოლში გადაუტანია მის ქალიშვილს წმინდა პულხერიას, რომელიც მის მიერ აშენებულ ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში დაუსვენებიათ. ამ დღეს ქრისტიანული ეკლესია ზეიმობს 31 აგვისტოს. XVI ს-ში შეიქმნა სარტყლის დასვენების რუსული ხატი, XI ს-ში იოსეფ სტუდიტმა სარტყლის დასვენების საზეიმოდ დაწერა საგალობელი – კანონი.

VI ს. ბიზანტიაში დაწყებულა არეულობა და სარტყელი კაბადოკიის ქალაქ ზილაში გაუხიზნავთ, საიდანაც ის იუსტინიანე II (685-694) დროს უკან დაუბრუნებიათ. ბიზანტიური წყაროების თანახმად, X საუკუნეში იმპერატორ ლევ VI ბრძენის (886-912) მეუღლე დედოფალი ზოია ავად გამხდარა. ავადმყოფობისგან სასოწარკვეთილ

დედოფალს ძილში უხილავს გამოცხადება, რომ გადარჩებოდა იმ შემთხვევაში, თუ მასზე წმინდა სარტყელს დაასვენებდნენ. მართლაც, ის განიკურნება სარტყლის მეშვეობით.

ბიზანტიური წყაროების თანახმად სარტყელი თან დაჰქონდათ ბიზანტიელ იმპერატორებს ლაშქრობისას. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობისას ალექსანდრე I კომნენოსს (1081-1118) იგი ბულგარეთის მეფე კოლომანემ (1095-1114) წაართვა და 1151 წელს სერბეთის მთავარმა ლაზარემ საჩუქრად გადასცა ათონის მთაზე მდებარე ვატოპედის მონასტერს. სარტყელი უნახავს პლატონ იოსელიანს: „მონასტერსა მას შინა არს დაცული ძვირფას საუნჯედ ნაწილი სარტყლისა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა. იგი ჰძევს ოქროს მშვენიერად ნაკეთს ყუთში ხავერდით შიგნიდან მოვლებულში. სიგრძე სარტყლისა არს ორი მტკაველი, სიგანე მისი სამი გოჯი“.

მარიამ ღვთისმშობლის სარტყლის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში მოუტანიათ XI ს. დასაწყისში საბერძნეთიდან, ბიზანტიის იმპერატორის რომან III არგირის (1028-1034) ქალიშვილს და საქართველოს მეფის ბაგრატ IV (1027-1072) მეუღლეს ელენეს, რომელსაც განკურნება მიუღია ამ სარტყელიდან და მამას საქართველოში გამომგზავრების წინ სთხოვა სასწაულმოქმედი სარტყლის ნახევრის მზითვად გატანება.

იგი ჯერ ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ბედიის ტაძარში დაუსვენებიათ, შემდეგ, მაჰმადიანების მოძალებამ შავი ზღვის სანაპიროზე, მეგრელები იძულებული გახადა, დახეულიყვნენ მდინარე კოდორამდის და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი სარტყელთან ერთად გადაუტანიათ მარტვილში. ხატი სარტყელთან ერთად უნახავს მურავიოვს და ასე აღწერს: „ხატზე მიმაგრებული სარტყელი ძალზე წააგავს სამ-თავარდიაკონო გინგილას და დაკეცილია ოლარივით, ქვედა ნაწილი სარტყლისა მეტად დაძველებულია, სარტყლის ოქრო მკერდის ნიადაგი მოფენილია მარგალიტებით და ზურმუხტ იაგუნდის ქვებით. ეს რასაკვირველია, ერთი უძველესია, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია ქრისტიანობის პირველდროიდანო“.

ქართლის ცხოვრებაში ამ სიწმინდეზე ასეთი შინაარსის სიტყვებია ნახმარი: „კეისარმან მისცა ელენე ასული თვისი ცოლად ბაგრატს, სამსჭუალნი უფლისა და ხატი ოქონისა და საუნჯე მრავალი ზითვად“. საქართველოში ღვთისმშობლის სარტყელთან დაკავშირებით სხვა ვერსიაც არსებობს. პლატონ იოსელიანის მიხედვით: „იგი ქართველებს ჰერაკლე კეისარმა (610-641) ძელიცხოვლის ნაწილთან ერთად გადასცა საჩუქრად, ირანელთა წინააღმდეგ მოკავშირეობის და ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის“. ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება რომ, ჰერაკლე კეისარმა და ჯიბღუ ჯაკანმა 628 წელს თბილისი სასტიკად გაძარცვეს და ბიზანტიელმა „მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესნი, რომელნი მიცემულ იყვნეს კონსტანტინესგან მირიანის და შეწუხდა ადარნასე, ქართლისა მთავარი და ევედრებოდა კეისარსა, რათა არ წარიხუნეს ნიჭნი იგი ღმრთისამიერნი, არა ისმინა კეისარმან ვედრება მისი და წარიხუნა“.

ერთ-ერთი უცხოელი პილიგრიმი ფელისქ ფაბრი 1480-1483 შედგენილ დოკუმენ-ტში ქართველებს სარტყლის ქრისტიანებს უწოდებს, ამგვარად: „ქართველები, რომელთაც აგრეთვე ნუბიელებს ეძახიან, ხოლო უფრო ხშირად იცნობენ, როგორც სარტყლის

ქრისტიანებს, წმინდა მიწაზე ძალზედ დაშორებული მხარეებიდან მოდიან“.

1788-1804 წლებში გრიგოლ დადიანმა ხატის შენახვა სიმამრს გიორგი XII-ს (1798-1800) მიანდო, რომლის სიკვდილის შემდეგ ხატი დაისაკუთრა დავით ბატონიშვილმა და მან იგი რუსეთში გადასახლებისას თან წაიღო. გრიგოლ დადიანის ქვრივს ნინოს (1804-1847) მის დაბრუნებაზე ბევრი უზრუნია, მაგრამ ვერაფერს გამხდარა, რის შემდგომ რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისთვის უთხოვიათ შუამდგომლობა მის დაბრუნებაზე. ბატონიშვილს საბოლოოდ გადაუცია ხელმწიფე-იმპერატორის დეპუტაციისთვის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი. საერთოდ უნდა ითქვას, ტერმინი ვლაქერნი ბერძნულია და ქალაქ კონსტანტინოპოლის დასავლეთ ნაწილს ერქვა. ფეოდოს მცირის (408-450) დროს, ყურის ნაპირას პავლინ მაგისტრის მიერ აქ მონასტერი აშენდა, რომელიც 1434 წელს დაიწვა. ქრისტიანული გადმოცემის თანახმად, ამ ტაძარში იყო მარიამ ღვთისმშობლის ხატი, რომელიც წმინდა ანდრიას გამოეცხადა. ეს ხატი XIV ს-ში უნახავს რუს დიაკონს ალექსანდრეს. ამავე ტაძარში ინახებოდა მეორე სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატი, რომელიც თან ახლდა ჰერაკლე კეისარს ირანელებთან ლაშქრობის დროს. VIII ს-ის ბიზანტიაში დაწყებულა ხატთმებრძოლობა და იგი პანტოკრატოვის სავანეში გადაიტანეს და იქ მის კედლებში ჩაატანეს, სადაც 100 წელი ინახებოდა.

რაც შეეხება ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატს, ამის შესახებ ხელმწიფე იმპერატორი რესკრიპტში წერდა: „ვიცი რა, რომ მეგრელებს ძველთაგანვე აქვთ სასოება და რწმენა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატისადმი, მე ვუბრუნებ საჩუქრად თქვენს ოჯახს და მთელ სამეგრელოს“. მანამდე კი იგი 1812 წელს ნაპოლეონის შემოსევის დროს ინახებოდა კრემლის მიძინების ტაძარში.

ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ჭეშმარიტებაზე ეჭვი ჰქონია რუსეთის მეფეს ალექსანდრე მიხეილის ძეს (1654-1676) და მისი შემოწმება იერუსალიმის პატრიარქისთვის გაბრიელისთვის უთხოვია, ამ უკანასკნელს კი შემდეგი შინაარსის წერილი გამოუგზავნია: „თქვენს მიერ ბერძენი კოსტინარის ხელით გაგზავნილი სასწაულთმოქმედი ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი სწორედ ის გახლავთ, რომელიც ოდესღაც იფარავდა კონსტანტინოპოლსა და ბიზანტიელ იმპერატორებს და რომელიც თან ჰქონდა სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობისას ჰერაკლე კეისარს“.

დიდი ქართველი თეოლოგი ამბროსი ხელაია ეჭვქვეშ აყენებდა რუსეთში არსებულ ვლაქერნის ხატის ნამდვილობას, რადგან ბერძნები ხშირად ყალბ რელიკვიებსაც აგზავნიდნენ და ჭეშმარიტად მიიჩნევდა ელენე დედოფლის მიერ საქართველოში ჩამოტანილ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატს, რომელზეც ზევით აღვნიშნეთ „სამსჭუალნი უფლისა და ხატი ოქონისა“, რომელიც XVI საუკუნეში გიორგი გურიელმა, იმერეთის მეფე ალექსანდრესთან საბრძოლველად წამოსულმა „განძარცვა და ჰყო სამკაულად თვისად“.

XVII საუკუნის 60-იან წლებში ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) დასავლეთ საქართველოში ილაშქრა და ვამიყ III დადიანი (1658-1660) სამეგრელოდან გააძევა, აიღო ჭაქვინჯის ციხე-სიმაგრე, დაატყვევა დადიანის ცოლშვილი და აქვე ჰპოვა „ხატი ოქონისა“, რომელიც დარჩა მეფე სვიმონს. ამიტომ მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ ამის შემდეგ ამ ხატს დროებით ინახავდნენ შემოქმედის მონასტერში და 1737 წ-ს მიჩნეულია ეს ადგილი იმერეთის სამეფოდ, მოგვიანებით

კი კვლავ სამეგრელოში დააბრუნეს.

ამჟამად ხატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდშია დაცული. მასში XIX საუკუნის ხელოვნების სტილი ჭარბობს, რისი მიზეზიც რუსეთის საიმპერატორო კარზე გავლილი ფაბრიკაცია-განახლება უნდა იყოს.

ხატი წარმოადგენს დიდი ზომის მოოქროვილი ვერცხლის ორკარიან ლუსკუმას, თავზე დამაგრებულია ნახევრადწრიული ფორმის ჯვარი, რომელიც ვარდის კვირტებისა და მისი ღერების გამჭოლ რელიეფურ ფორმას გვაძლევს ფასადის მხრიდან. ეს ზედა ნაწილი ამჟამად მომძვრალია ლუსკუმის კორპუსიდან და ცალკეა. ჯვარზე გამოსახულია ჯვარცმული მაცხოვრის რელიეფური ფიგურა. ზედა მონაკვეთში გრაგნილზე წარწერაა ასოებით „ιηµι", გამჭოლი დეკორატიული მოტივის ცენტრში, ოვალური დაფაა, რომლის კიდეები მსხვილი რელიეფური წერტილებითაა დაფარული, დაფის მთელ არეზე ექვსფიგურიანი რთული კომპოზიციაა რელიეფურად გამოსახული, ფერწერული მინანქრის სახეებით და ხელებით. კომპოზიციას ახლავს რუსული და ქართული ასომთავრული განმარტებითი წარწერები: „ხატი დადებისა პატიოსნისა სარტყლისა ყდ წისა ღთს მშობლისა".

ოქროს ფონდი

თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდში დაცული საგანძური, იმდენად მაღალია თავის მნიშვნელობით, რომ ექსპერტები მისი შეფასებისგან თავს იკავებენ. ეს სწორედ ის ნივთებია, რომლის საგამოფენო ექსპონატებად გატანაზე ასე თავს იკლავდა ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი და მეორე, კიდევ უფრო მეტი გამძაფრებით უწევდა წინააღმდეგობას. ასევე ის ნივთებია, რომლის შენახვა, მოვლა-პატრონობას თითქმის მთელი თავის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეალია უსაჩინოესმა მამულიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილმა.

ამჟამად ხელოვნებას მუზეუმის მცველის, ქალბატონ ელენე კავლელაშვილის განმარტებით, იქ 500-მდე ექსპონატია.

საგანძურის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნივთია ბრინჯაოს დიადემა, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინეს მდინარე ტეხურაში და ძვ. წ. 8-7 ს.ს-ით თარიღდება და ფორმით ძალიან ჰგავს კოლხურ დიადემებს. ქრონოლოგიურად შემდეგ მოდის საირხის გათხრების ექსპონატები: ქალისა და მამაკაცის სამკაულები, ცხენის აღკაზმულობა პატარა ოქროს არწივებით, ეშვების გამოსახულებები – რომლებითაც ცხენის აღვირებს რთავდნენ, ხარისთავიანი მედალიონი, სადაც ხარს შუბლთან სამკუთხედი აქვს გამოსახული – როგორც წარმართული ღვთაების სიმბოლო. ასეთივე გამოსახულება აღმოჩენილია სვეტიცხოვლის კედელზე, ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს. საერთოდ, ხარის კულტი წინა აზიასა და საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. მუზეუმში ინახება არგვეთის გათხრების შედეგად ნაპოვნი ვერცხლის თასი, რომელიც II საუკუნის სპარსული ნივთია. მასზე გამოხატულია ირანის შაჰი ვარაჰან II მეუღლითა და ვაჟით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, წინაქრისტიანულ ხანაში მზადდებოდა

მაღალი ხარისხის ბაჯაღლო ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები.

ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენს მე-10 და მე-5 საუკუნეების საცეცხლურები. რელიეფურ ქანდაკებებს ისეთი სტილისტური ნიშნები ახასიათებს, რაც მაშინდელი ლითონქანდაკებისათვის არის დამახასიათებელი.

ლენტეხის რაიონის სოფელ ხოფურის მცხოვრები ეთერ ქურასბედიანი ნაეკლესარ ადგილს ასუფთავებდა და სირიული ტიპის ბრინჯაოს სანაწილე ჯვარი იპოვა, რომლის ერთ მხარეს ჯვარცმული მაცხოვარია გამოსახული და მეორე მხარეს – ღვთისმშობელი. ასეთი ჯვრები სირიის სამხატვრო კერებში იქმნებოდა და მე-9 საუკუნეს განეკუთვნება.

846 წლით თარიღდება ერთ-ერთი ცნობილი ჭედური ძეგლი, ზარზმის ფერისცვალების ხატი, რომელიც ზარზმის მესამე წინამძღვარმა პავლემ მოაჭედვინა. ეს ხატი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშია მოხსენიებული. წმინდა სერაპიონმა თავისი მოძღვრისა და მასწავლებლისაგან, მიქაელ პარეხელისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო მონასტრის აგებაზე. სამხრეთ საქართველოდან მას ფერისცვალების ხატი მიჰქონდა. სერაპიონი მივიდა ზარზმის ტაძრის ადგილზე, აღმართა ხატი და შენება დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა. მის მიერ დაწყებული საქმე მესამე წინამძღვარმა – პავლემ მიიყვანა ბოლომდე 886 წელს. იქვე აღმართა და შეამკო ხატი ფერისცვალებისა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ხსენებული ხატი თავდაპირველად ფერწერული იყო, პავლემ კი ამ პერიოდში მოაჭედინა იგი. გადმოცემის მიხედვით, ხატი სასწაულებს ახდენდა და ის ხალხი, ვინც ზარზმის მონასტრის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდა მისი ძალით დაემხო და ტაძარი ისე აშენდა. ხატი ზარზმის მონასტერში არსებობდა მე-16 საუკუნემდე.

1924 წელს ზარზმის ფერისცვალების ხატი გურიაში იმყოფება. მას ჰქონდა ძვირფასი ჩარჩო, რომელიც დღეს ერმიტაჟშია დაცული. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მხოლოდ მისი ფრაგმენტია შემონახული.

ფონდის ღირსებას წარმოადგენს წილკნის ღვთისმშობლის ხატი. მასზე გამოსახული სახეები, ხელები, ყრმის ტერფები მე-9 საუკუნიისა და ელინისტური ტრადიციის ენკაუსის საღებავითაა შესრულებული. ჭედურობის დაზიანების შემდეგ, ხატი ფერწერით იქნა დაფარული. წილკნის საეპისკოპოსო ერთ-ერთ ყველაზე მდიდარი იყო მსგავსი ნიმუშებით შუა საუკუნეებში, საიდანაც ერთ-ერთი ეს ხატია გადარჩენილი. ხატი 1924 წელს გადმოიტანეს მუზეუმში. ცნობილია, რომ წილკნის ღვთისმშობლის ხატი ავადმყოფებს კურნავდა.

გელათის საწინამძღვრო ჯვარს მე-12 საუკუნეში დავით აღმაშენებელი ატარებდა. ჯვარი მე-10 საუკუნისა და ბაგრატ III-ის დროისაა. იგი 1898 წელს სოფელ ბრილში, ერთ-ერთი სახლის მარნის კედელში შემთხვევით აღმოაჩინეს. ჯვარზე დავით კურაპალატის წარწერაა, საიდანაც ჩანს, ხსენებული სამივე მეფე და ალბათ სხვებიც ლაშქრობისას თან ატარებდნენ. მარტვილის საწინამძღვრო ჯვრის შემკვეთი არის საქართველოს მეფე ბაგრატ IV. ბოლშევიკები შეეცადნენ ჯვრის დამტვრევას და ამიტომ იგი დღეს დაზიანებულია და დაფაზეა აწყობილი.

მუზეუმის და მთელი საქართველოს მშვენებას წარმოადგენს *ხახულის ღვთისმშობლის კარელი ხატი*. სრული ფორმიდან ხატის მხოლოდ სახე და ხელები შემორჩა. იგი მე-10 საუკუნეშია დამზადებული ტიხრული მინანქრისგან.

ვარაუდობენ, რომ ცენტრალური სახე მე-10 საუკუნეშიც იყო კარედში. კარედის კარების უკანა მხარეს, ვერცხლის ჯვრები და სამოთხის ხეები იყო. მოჭედილობა მე-10 საუკუნისაა და იმავე ზომისაა რა ზომისაც ახლა კარედია. ხატი დავით აღმაშენებელმა მე-12 საუკუნეში გელათის მონასტერში გადაასვენა. დავითის სურვილი იყო, რომ, ხატი შესაფერისად გაებრწყინებინა და თავის მემკვიდრეს დაუბარა ლალსა და მარგალიტს, რომელიც ატენის საჭურჭლეში მაქვს ხახულის ღვთისმშობელს ვწირავო. ხატის მარჯვენა ნაპირზე წარწერაა, რომელშიც დემეტრე შედარებულია ბიბლიურ სოლომონს, რაც მექანიკურად ნიშნავს დავით აღმაშენებლის დავით წინასწარმეტყველთან შედარებას. იქვე წერია, რომ მან მზესავით გააბრწყინა ხატი. აქედან ჩანს, რომ დემეტრე პირველის დროს გელათის საოქრომჭედლოში შესრულდა ხატის მოჭედვა, რომლის ცენტრალური ნაწილი ბაჯაღლო ოქროა. კარედი მოოქროვილი ვერცხლია. ხატი შემკულია ტიხრული მინანქრით და უამრავი პატიოსანი თვლით. მასზე ძირითადად ბიბლიური და სახარებისეული სცენებია გამოსახული. არის საერო სცენებიც. ცენტრალური ნაწილის შუბლზე გაკრულია ბიზანტიის საიმპერატორო სამოსში გამოწყობილი მიხეილ დუკა და მისი მეუღლე მარიამის გამოსახულებები. ფირფიტაზე აღბეჭდილია მეფე-დედოფლის კორონაცია, რომელსაც ზეცაში მაცხოვარი ადგამს გვირგვინს. ხატზე მიმაგრებული ყოფილა გიორგი III-ის ოქროს ბეჭედი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიკარგა და საერთოდ ხატი ბევრჯერ გაიძარცვა.

1859 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, გრაფმა ლევაშოვმა, გელათის მონასტერს შესწირა, მოსკოვის საზიპოვის საამქროში დამზადებული ხატი, რომელზეც ღვთისმშობელი ვედრების პოზაშია გამოსახული. მისი სახე და ხელები მოოქროვილი ვერცხლისაა და შემკულია დიდი ზომის თვალებით. ეს ხატი აღმოჩნდა ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის ცენტრში, ხახულის ხატის ნაცვლად, ხოლო ორიგინალი დაიკარგა. XIX ს-ის ბოლოს ბოტკინის კოლექციაში იპოვეს ხახულის ხატის მხოლოდ სახე და ხელები. საბოლოოდ შალვა ამირანაშვილმა სტალინის დახმარებით შეძლო ხატის ფრაგმენტები სხვა სიძველეებთან ერთად საქართველოში დაებრუნებინა. 1952 წლიდან ხატი ხელოვნების მუზეუმშია.

აწყურის ხატი. აწყურის ღთვისმშობლის ხატი 1952 წლიდან მუზეუმშია. თავდაპირველად აწყურის საკათედრო ტაძარში იყო დასვენებული, რომელიც ბორჯომიდან 30 კმ-ით არის დაშორებული. მე-11 საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, როცა მაცხოვარი ამაღლდა და მოციქულებმა წილი ყარეს, ქრისტიანობის გავრცელება ყოვლაწმიდა ღვთისმშობელს ხვდა წილად, მაგრამ „მოსული იყო ჟამი მისი მიძინებისა“, ამიტომ მაცხოვარი გამოეცხადა და ურჩია, თავის ნაცვლად ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა და თან ღვთისმშობლის ხატი გაეტანებინა. ღვთისმშობელმა დაიბანა პირი, მიიდო სახეზე ფიცარი და თავისი გამოსახულება აღბეჭდა მასზე. ხატზე წმინდა მარიამს ყრმა იესო ჰყავდა ხელში. ამ ხატით ანდრია პირველად დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე შემოვიდა და სადაც ის დაასვენა, წყარომ ამოხეთქა. სასწაულით აღფრთოვანებული წარმართები სიხარულით ინათლებოდნენ და სთხოვეს, რომ ხატი აქ დაეტოვებინათ. მან ხატს მეორე ფიცარი დაადო და მასზე ღვთისმშობლის გამოსახულება აღიბეჭდა და იქაც ეკლესია ააგეს.

პირველი ხატი მცხეთისკენ წამოიღო და ზადენგორთან ღვთისმშობლის ხატით დაამხო კერპები და მოაღწია აწყურამდე. ანდრიამ ბინა დიდ გალავანთან ტაძარში გაიჩინა, რომელიც აგებული იყო არტემიდას და აპოლონის სახელზე. აწყურის თავადის ქვრივს სამძივარს, ერთადერთი შვილი მოკვდომოდა და საყოველთაო გლოვა იყო გამოცხადებული. ხალხმა ღამით ტაძრიდან სინათლის სხივი ნახა ამოსული და როდესაც ახლოს მივიდნენ, დაინახეს, რომ სხივს ხატი გამოსცემდა, რაც დაუყოვნებლივ ეცნობა ქვრივ ქალბატონ სამძივარს. მწუხარე ქალბატონმა უმალ შესთხოვა შვილის გაცოცხლება და ანდრიამ გარდაცვლილის ოთახში მხოლოდ დედა დატოვა. ხატი მიცვალებულის გულზე დაასვენა და ილოცა. შემდეგ მოკიდა ხელი და ფეხზე წამოაყენა. ქალბატონიც, მისი შვილიც და ხალხიც ამ სასწაულის შემდეგ სასწრაფოდ მოინათლნენ, მაგრამ წარმართებმა მაინც სცადეს მისი გაძევება ამ ადგილიდან. ანდრიამ მოითხოვა ღვთისმშობლის ხატი იქ შეესვენებინათ, სადაც კერპები იდგა, კარი დაეკეტათ, მცველები მიეჩინათ და ენახათ რომელი ღმერთი იყო ძლიერი და უპირველესი. როცა დილით კარები გახსნეს ხატი მზესავით ბრწყინავდა, კერპები კი მტვრად იყო ქცეული. ამის შემდეგ ხატი ანდრიამ აწყურში დატოვა და იქ ტაძარი აშენდა, თვითონ კი საქართველოს სხვა ტერიტორიების გასაქრისტიანებლად წავიდა. 1282 წელს მომხდარი დიდი მიწისძვრის დროს ბევრი მონასტერი დაინგრა, განადგურდა აწყურის ტაძარიც. ღვთისმშობლის ხატი ამ დროს ლიტანიობისათვის ტაძრის ცენტრალურ გუმბათზე იყო დასვენებული. გუმბათი მიწისძვრის შედეგად ჩამოვარდა, ქუდივით დაეფარა ხატს და გადაარჩინა. 1478 წელს უზუნ-ჰასანმა ხატი დაატყვევა და სპარსეთში წაიღო. შვიდი წელი მას ჰქონდა და, როგორც მემატიანე აღწერს, იქ არაფერი არ მრავლდებოდა, ხეები ნაყოფს არ იძლეოდნენ, ცხოველები არ მრავლდებოდნენ და ადამიანები არ მშობიარობდნენ. როცა ამის მიზეზი გაიგეს გვიან იყო, მაგრამ მოძებნეს ფიცარი, დააკრეს სახედარზე და მარტო გაუშვეს. ხატი წამოვიდა სწორი გზით და სამცხეში მივიდა.

იაკობ ყაენის დროს აწყურის ღვთისმშობლის ხატი ცეცხლში ჩააგდეს, მაგრამ იგი ერთმა არაქრისტიანმა კაცმა ცეცხლიდან ამოიღო და როცა ყაენმა ხატი სპარსეთში წაიღო, ისიც თან გაჰყვა. ღამე კაცმა სიზმრისეულ ჩვენებაში ნახა ხატი, რომელმაც უთხრა, ჩემს ქვეყანაში თუ არ დამაბრუნებ, უბედურებას შეგამთხვევო. მან ეს ამბავი სამცხის ათაბაგს შეატყობინა და მანუჩარ ათაბაგმა დიდძალი ვერცხლის საფასურად გამოისყიდა. მას ურჯულოების გარდა ქართველებიც იტაცებდნენ. ხატი ბაგრატ IV-მაც დაატყვევა და ციხე-ჯვარში გადაიტანა. მისმა ვაჟმა, გიორგი II-ემ კი გელათში წამოასვენა, ბოლოს კი გიორგი III და ყვარყვარე ათაბაგი დაზავდნენ და ხატი აწყურში დააბრუნეს. როგორც ჩანს, ხატი სწორედ მაშინ განაახლეს, რის შემდეგაც ხატმა სტილი შეიცვალა. აწყურის ხატი გელათში როგორ მოხვდა ცნობილი არაა.

მუზეუმში 170-მდე ხატია დასვენებული, აქედან უმეტესობა ღვთისმშობლისაა, მაგრამ არის მაცხოვრის, წმინდა გიორგის, მთავარანგელოზის გამოსახულებიანი ხატებიც. საკმაოდ საინტერესოა მე-17 ს-ში ალავერდელის გვირგვინი, რომლის შემკვეთია ერეკლე I-ის დედა, დედოფალი ელენე, მეფე ერეკლემ იგი ისპაჰანში ყოფნისას თავის ოქრომჭედლებს დაამზადებინა. გვირგვინს 2 კილოგრამამდე ოქრო და ძვირფასი ქვები – ამეთვისტოები, ზურმუხტები, ბრილიანტები, საფირონები,

მარგალიტები დედოფალმა შესწირა. კახეთის სასულიერო საჭეთმპყრობელი ამ დროს ალავერდელი იყო და გვირგვინი მას გაუგზავნეს. როცა ერეკლე II-მ ქართლ-კახეთი გააერთიანა, ეს სამღვდელმთავრო მიტრა (მითრა) თბილისის სიონის ტაძარში მიიტანეს. მუზეუმში იგი 1921 წელს შეიტანეს.

ბედიის ტაძარი. აფხაზეთში 200-მდე ქართული ეკლესია-მონასტერი და 6 დიდი საეპისკოპოსო ცენტრი იყო. 325 წელს ნიკეაში პირველ საეკლესიო კრებას ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილეც ესწრებოდა. აფხაზეთში შეიქმნა და ინახებოდა მოქვის ცნობილი ქართული ოთხთავი, მე-16 ს-ის ბედიის გულანი, სასწაულთმოქმედი ხატები და სხვა. მათ შორის თავის მნიშვნელობით უდიდესია დასავლეთ საქართველოს ქართველ მეფეთა საძვალე – ბედია, ყოფილი ეგრიო.

ბედიის გუმბათოვანი მონასტერი 999 წელს საქართველოს მეფე ბაგრატ III ააშენებინა და შეამკობინა, რომელიც შემდეგ ფანასკერტში გარდაცვლილა და ზვიად ერისთავმა ანდერძის თანახმად ბედიაში წაასვენა. XIX ს-ში ოსმალებმა ბედია-ჩუკი დაარქვეს. ცნობილი მეცნიერი გიორგი ჩუბინიშვილი თვლის, რომ ბაგრატის ტაძრის შემდეგ ბედია უდიდესია დასავლეთ საქართველოში თავისი ღირსებით.

ქრისტეფორე კასტელის ცნობით, რომელიც ბედიის დაარსებაზე ლეგენდას გვიყვება, მოგვითხრობს, რომ: საქართველოს მეფეს მთებში ნადირობისას თავსაბურავი დავარდნია და შემდეგ მის ქვეშ ჯვარი უნახავს. მეფეს ეს ბედად ჩაუთვლია და აქ ეკლესიის მშენებლობა და შემკობა უბრძანებია. არსებობს მეორე ლეგენდაც, რომლის თანახმად ლეგენდარულ თარგამოსს, თავის შვილისთვის ეგროსისათვის დასავლეთ საქართველო მიუცია სამართავად და მასაც იქ თავის სახელზე ეგრიო აუშენებია, იგივე დღევანდელი ბედია. ბედიის შესახებ სხვა თქმულებაც არსებობს. მწირები ბედიის მთა-გორიან ადგილებში მოგზაურობდნენ და უცბად გამოქვაბული უნახავთ და აღტაცებით უთქვამთ, – ბედი გვქონიაო. დავით აღმაშენებელს აქ დაუარსებია ბედიელ-ალავერდელის საეპისკოპოსო.

1640 წელს რუსეთის ელჩებს ბედიის ტაძარში შავი ხავერდგადაკრული სამღდელმთავრო კვერთხი უჩვენებიათ. მის თავზე ამოქარგული იყო ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი და ჯვარი, რომელიც მეფე კონსტანტინე დიდს და დედამისს, ელენეს ეკავათ. ელჩების მოთხრობით, ხავერდის ქვეშ ინახებოდა ეკლის გვირგვინი, რომელიც ქრისტეს ედგა თავზე ჯვარცმის დროს, ლურსმანი (სამსჭვალი) რომლითაც დაჭედეს და ბაწარი, რომლითაც შეკრეს. სხვა შუა საუკუნეების მოგზაურთა გადმოცემით, აქ ინახებოდა ჯვარი პატიოსნის ნაწილი, რომელზეც გააკრეს ჯვარცმული და ტილო, რომელშიც ახვევდნენ ჩვილ იესოს. დღეს ამ სიწმინდეებიდან მხოლოდ სამსჭვალი გვაქვს შენახული, დანარჩენი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება. ვარაუდობენ, რომ უფრო რუსეთშია გატანილი.

მოქვის ტაძარი. ოჩამჩირიდან 15-20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს დიდებული მოქვის ტაძარი, რომელიც მეფე ლეონმა ააშენა 957 წელს. მას თავის გარეგნობით ამსგავსებენ ბულგარეთის სოფიის ტაძარს. თითქმის ყველა ტაძრის აშენება ლეგენდის სამოსელშია გახვეული და ამჯერადაც მოგვითხრობენ, რომ: მეფე ლეონს მდინარე დვაბისა და მოქვის შესართავთან ტაძრის აგება გადაუწყვეტია.

ცნობილი ხუროთმოძღვრები მოუწვევია და უთქვამს: ტაძარი ათას მტკაველზე მაღალი და ზომიერად განიერი ყოფილიყო და ტაძრის ოქროს გუმბათიდან მთელი აფხაზეთი უნდა ჩანდესო, ხოლო ვინც მის მშენებლობას დაიწყებს და ვერ დაამთავრებს, სიკვდილით დავსჯიო, შემსრულებელს კი ოქრო-ვერცხლით ავავსებო. საბედისწერო მოთხოვნა ლაზ ხუროთმოძღვარს შეუსრულებია, ხოლო მეფეს, რომელსაც არ სდომებია ოქრო-ვერცხლის მიცემა, მიზეზად დაუსახელებია, რომ მისი ოქროს გუმბათიდან მთელი აფხაზეთი არ ჩანსო. ლაზ ხუროთმოძღვარს, მეფე რომ დაერწმუნებინა, თვითონ ასულა გუმბათზე, მეფეს კი მისთვის კიბეების გამოცლა უბრძანებია და ასე დარჩენილა გუმბათზე. ლაზს შეყვარებული ჰყოლია, რომელსაც მასთან მოჰქონდა საჭმელი, მაგრამ იმდენად მაღალი ყოფილა, რომ ვერ უწვდენდა. ერთ დღესაც შეყვარებულ გოგონას ველარ უნახავს ლაზი ხუროთმოძღვარი და ქარაფიდან გადაჩეხილა. ლაზური წარმოშობის მოქველი დიდოსტატის სხეული კი ქარს გაუფანტავს, იქ იები ამოსულა, ხოლო ქალის თვითმკვლელობის ადგილას – ვარდები. დღესაც ამ ადგილებში, უამრავი ია და ვარდი ხარობსო, ამბობენ მოგზაურები.

მოქვის ეკლესიაში ინახებოდა ღვთისმშობლის ოქროს ხატი (XVII ს.), რომელიც მოქველმა ეპისკოპოსმა, ექვთიმე საყვარელიძემ დაამზადებინა. ხატზე გამოსახულია თვითონ ეპისკოპოსიც, რომელიც ღვთისმშობლის წინაშეა მუხლმოყრილი.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, იმის გამო, რომ აფხაზთა და ადიღეველთა თავდასხმები სამეგრელოს საზღვართან გახშირდა, ხატი იქიდან წამოიღო.

რაც შეეხება მოქვის ოთხთავს, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, ერთ-ერთ უნიკალურ ქმნილებას წარმოადგენს. მის მინიატიურებში საღებავად გამოყენებულია სანთლისა და ოქროს ნაზავი.

ლიხნის ტაძარი. აფხაზეთში ერთ-ერთი უძველესი და დიდი მნიშვნელობისაა ლიხნის ტაძარი, რომელსაც თაფლის ტაძარსაც უწოდებენ. იგი ჯვარგუმბათოვანია. შუა საუკუნეებში აშენდა და შიგნით უამრავი ფრესკა და ქართული წარწერაა. XIX ს-ში რუს მოგზაურ რეისნერს დაუნახავს, რომ გუმბათს და კედლებს თაფლი სდიოდა. ეკლესიის ტერიტორიაზე ფუტკრები დასახლებულან და გაზაფხულზე ისინი იძლეოდნენ თაფლს მადლის სახით.

მარტვილის ანუ ჭყონდიდის საეპისკოპოსოში, როდესაც ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში იმოგზაურა, ჭყონდიდში ნახა მუხა, რომელსაც მოსახლეობა ჩვილ ბავშვს წირავდა და მეგრულად კიოდნენ: „მა რყვილი" („მე მოგკალი"). ხე ანდრიას მოუჭრია და დაუძახია, მე მოგკალიო და დაერქვა მარტვილი. მარტვილი ასევე მოწამეს ნიშნავს და მარტვილის მონასტერი მე-10 საუკუნეშია აშენებული.

წალენჯიხის ტაძარი. ტაძარი თამარ მეფეს უკავშირდება ლეგენდის ხაზით. თამარს წალენჯიხაში ამალის წევრად დიაკონი თვალავაძე ჰყოლია. როცა დედოფალი წასასვლელად მომზადებულა, დიაკონის ჯორი ვერ უპოვიათ. მეფე წასვლას ჩქარობდა, მაგრამ ჯორის დაკარგვა ღვთის რისხვას მიაწერა და შეჩერდა. ამ დროს მისულა მათხოვარი, რომელსაც ჯორის ადგილსამყოფელი მიუთითებია და უთქვამს – ეძებეთ დიხა (მიწა) და ჭე წყარო (წყალი) რომ არის, იქ ძოვს ბალახს, მინდოდა მომეყვანა, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძარიო. თამარმა გააგზავნა სხვები მის მოსაყვანად,

მაგრამ ვერც ისინი გახდნენ ვერაფერს.

თამარმა ეს ამბავი მინიშნებად მიიჩნია და დიაკონს უთხრა, – აქ დარჩი და მშენებლებს გამოგიგზავნიო. ამის შემდეგ იქ ეკლესია ააშენა, მღვდლად დიაკონი თვალავაძე აკურთხა და გაამწესა, რადგან ეკლესიის გალავანი ძველებურ ციხეს ჰგავდა, და მეგრულად „ჯიხა“ ჰქვია, მათხოვრის ნათქვამი „ჭე-დიხას“ (მიწას), მათ „ჭე-ჯიხად“ გადააკეთეს. ტაძარი გადაჰყურებს ჭალებს, სადაც იშლება მდინარე – „ჭე-წყარო“. ამით აიხსნება, რომ თანდათან „ჭე-ჯიხას“ ნაცვლად სოფელს დაერქვა „წალენჯიხა“ (ჭალები და ციხე). ამ ჭალებს კი ზევიდან გადაჰყურებს ძველი ციხე-ტაძარი ანუ მეგრული ჯიხა.

ანდრია პირველწოდებული. 2002 წელს თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში ორი საათი მაინც მოუწევდა მოკვდავს რიგში დგომა, რათა ხელი შეეხო და ამბორი ეყო ვერცხლის ლუსკუმასათვის, სადაც ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილი – თავის ქალა ესვენა, რომელმაც ოთხი დღე დაჰყო საქართველოში.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ივერიაში ქრისტიანობის ქადაგება ხვდა წილად, მაგრამ მისი მიძინების ჟამი მოახლოებული იყო და ძე ღვთისას მოწოდებით მარიამი იერუსალიმში დარჩა და ანდრია პირველწოდებული გამოემართა საქართველოში თავისი ხელთუქმნელი ხატით. ყოვლადწმინდამ ღვთის ნება აუწყა ანდრიას, შემდეგ პირი დაიბანა და ფიცარი პირზე მიიდო, რომელზეც ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ხატი აკურთხა ზეციურმა მარიამმა და შემდეგ ამ ხატით მოიარა წმინდა ანდრიამ ის ტერიტორია, რომელიც ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ანდრია პირველწოდებული ივერიაში ქადაგების შემდეგ საბერძნეთის პატარა ქალაქში გაჩერდა, სადაც ქალაქის თავის ეგაეტის ბრძანებით ჯვარს აცვეს. აღსრულებამდე ქალაქის მაცხოვრებლებმა მისი ჩამოხსნა მოინდომეს და ქალაქის თავიც დაითანხმეს, მაგრამ მან, იმის გამო, რომ მისი შებრძანება სასუფეველში ყოფილიყო მოწამეობრივი, არ ჩამოახსნევინა და აიძულა თავდაყირა დაეკიდათ. ანდრია ასე აღესრულა და რამდენიმე საუკუნის შემდეგ წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის უხრწნელი ნაწილები, კონსტანტინე დიდის ზეობისას დიდი პატივით დაასვენეს კონსტანტინოპოლში. 2002 წლის 5-9 სექტემბერს საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურმა, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსმა, უნეტარესმა ქრისტოპულოსმა თბილისში ჩამოასვენა პეტრე მოციქულის უფროსი ძმის ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა.

მოკვდავის ხარისხში ანდრია მოციქული საქართველოში 2-ჯერ არის ნამყოფი და მისტიკურ განზომილებაში ეს მესამე რიგობაა.

სიონის საკათედრო ტაძარში ინახება თომა მოციქულის თავის ქალაც და მისი ხსენების დღეს გამოასვენებენ ძვირფას ქსოვილში გახვეულს.

თუ ინდუიზმის, ბუდიზმის და ანტიკური პერიოდის ფილოსოფია სხეულს განიხილავს სულის სამოსად ან ბოროტების წყაროდ და როგორც მატერიას, მართლმადიდებლურ ქრისტიანულ მოძღვრებაში სხეული ისევე ღირებულია, როგორც სული. სხეული მხოლოდ იერარქიული საფეხურით დგას დაბლა და მიჩნეულია ტაძრად და ჭურჭელად უკვდავის სულისა.

როდესაც ქრისტეს ჯვარცმა მოხდა, ამ მისტერიის აღსრულების ერთ-ერთი

პირობა სიკვდილის დათრგუნვასთან და კაცობრიობის ცოდვის გამოსყიდვასთან ერთად იყო ადამის პირველქმნილი ცოდვის გამოსყიდვა, ამიტომ ქრისტეს ერთი სისხლის წვეთი ჩავიდა მიწაში, მიეხალა ადამის თავის ქალას, ხოლო როდესაც უფლის მიერ იესოს ჯვრის მოძიება მოხდა, მაშინ ამოიღეს ადამის თავის ქალა, წმინდა ნაწილად აღიარეს და მისდამი თაყვანისცემა დაიწყეს.

იოანე ოქროპირი საქართველოში აღესრულა და მისი წმინდა სხეული კომანში (აფხაზეთი) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ესვენა და კონსტანტინოპოლში სურდათ წასვენება, მაგრამ უხრწნელმა სხეულმა არ ინება წაბრძანება და წასვლა. სამი წლის შემდეგ, უკვე გარდაცვლილი იმპერატორის ვაჟმა, წერილი გამოუგზავნა წმინდანის გვამს, რათა დაეცხრო მრისხანება მის გარდაცვლილ მამაზე და მისი წასვენების ნებას დაჰყოლოდა. წერილი ხელში ჩაუდეს და წმინდანის სხეული დაჰყვა წასვენების ნებას და იძრა ადგილიდან. იოანე ოქროპირის სარკოფაგი დღესაც კომანშია.

უხრწნელობა ღვთის ნებით ხდება და ყველა ასეთი გვამი უხრწნელი არ არის. წმინდანობა კი სინოდმა უნდა გადაწყვიტოს.

ის საგანი, სადაც წმინდანის ნაწილი ესვენა კურთხეულია და ის არემარეც, სადაც ეს ხდება. ყველა ასეთი მცირე ნაწილიც კი უდიდესი მადლია ამ ქვეყნისათვის.

მხოლოდ წმინდანის სხეულის ნაწილი არ არის უდიდესი მისტიურობის შემცველი, არამედ სამსჭვალი უფლისა, რომლითაც მაცხოვარი იყო დაჭედილი ჯვარზე, მაგრამ უდიდესი სიწმინდის შემცველია ქრისტეს კვართი, ყოვლადწმინდას კვართი, იოანე ნათლისმცემლის თავის ქალა.

წმინდანთა ნაწილებში თავის ქალის გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე, მუხლის თავს, ხელის მტევანს, ფეხის ტერფს და მხარს. წმინდა გიორგის მუხლის თავი საქართველოში ინახება და ყოფილა შემთხვევა, რომ სიონის ტრაპეზზე ასვენია. როცა სასულიერო პირის კურთხევა ხდება, კათალიკოს-პატრიარქი დაბრძანებულია სკამზე და ვინც უნდა ეკურთხოს, მიდის და, როგორც უფალს მუხლზე ემთხვევა, რადგან ამ დროს უფალს განასახიერებს პატრიარქი, მუხლი კი ერთ-ერთი განსაკუთრებული ძალის სიწმინდის შემცველია, თავი სამოსელი და სულის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ არის, რომ სასულიერო პირები ჯერ ხელზე და შემდეგ მარცხენა მხარზე ემთხვევიან.

პოლტავსკოე. X-XI ს.ს.

კოლხთა ლეგენდარული მეფის აიეტის ნიღაბი

„მაშ, ეს არის კოლხიდა! მაშ, აქ მოვიდა იაზონი ოქროს მატყლოსანი ვერძისთვის და გზად მოიტაცა მედეა, რადგან ოქრო და ლამაზი ქალი ორივ ერთად კარგია. ეს მოგზაურობა არგონავტებისა, როგორცა ჩანს, ზღაპარი ყოფილა და თვით იაზონი უსათუოდ ვაჭარი იყო და აქ მოსულა მხოლოდ სავაჭროდ, ხოლო როცა შეიძინა ოქრო და ლამაზი ქალი, საჩქაროდ გაიქცა და, ვინ იცის, იქნებ, სასტუმროს დანახარჯიც არ მიუცია. ქართველები ამბობენ, რომ მაგისთანა იაზონები დღესაც ბევრნი მოდიან ევროპიდამაო...

ბათუმიდანვე იწყება მთები და ხშირი ტყეებში, მთებს შუა ვრცელი ჭაობებია, მოფენილი მცენარეებით. მატარებელი დიდხანს მიჰქრის ზედ ზღვის ნაპირას... სასიამოვნოა ცქერა ამ დიდებული მთებისა, ამ ხშირი ტყეებისა, დიდროვანის კლდეებისა და მის ძირში აქაფებულის რიონის ზვირთებისა; საერთოდ, ამ სანახაობას აზის ბეჭედი ერთის ღიმილისა, ერთის დიდებულის მზის ბრწყინვალებისა და, ვგონებ, რომ თვით სტვენა ბულბულებისა, რომელიც ჩვენ გვესმის შორიდამ, თავის სხვადასხვაგვარ ხმის მიმოხვრით, მხოლოდ ერთს სიტყვასა ღაღადებს: სამოთხე! სამოთხეო!

ვისაც თვალი აქვს, უყუროს ახლა, ვისაც გული აქვს, იგრძნოს, რადგან მის წინ იშლება სიზმარშიაც კი უნახავი, ყოველ ოცნებათა უმშვენიერესი წალკოტი თვით შემოქმედისა, ყოველის სისრულითურთ. გარშემო ისმის ღაღადება: რა სასწაულია, რა მთებია, კლდენი, მინდორველნი, ტყე, ჭალაკები, ყვავილი, ანკარა წყარონი, რა მზეა, რა ბრწყინვალებაა, რა შუქიაო!“

ფრიდრიხ ბოდენშტედტი,
გერმანელი მწერალი (1819-1892)

ამჯერად რაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რელიკვიაა, ქრისტიანული გაგებით სიწმინდეებში არ შედის, მაგრამ მას ნამდვილად აქვს ღრმა ისტორიული და უცილოდ მისტერიული დანიშნულებაც. ეს ვერსია ჰიპოთეზის დონეზეა, მაგრამ არსებობს მოსაზრება და მას მეტი გაქვეყნება სჭირდება. ეს კოლხეთის მითიური მეფის აიეტის ნიღაბია.

ნიღბების მაგიურ მნიშვნელობაზე და მისტერიულ დანიშნულებაზე ოდითგან არსებობდა მოსაზრებები ისტორიაში.

ზუგდიდის დადიანების სასახლეში ნაპოლეონის იმ ნიღაბთან ერთად, რომელიც ფრანგ იმპერატორს სახეზე აუღეს და წარმოადგენს ორიგინალს სამთაგანს შორის, ავტორია დოქტორი ვ. ანტომარკი და ბრინჯაოს ჩამომსხმელები არიან ლ. რიშარი და კენელი, არსებობს მეორე პატარა ნიღაბიც, რომლითაც საქართველო თავის მითიურ წარმოშობას და უძველესობას თავის კულტურით და წარსულით დაამტკიცებს. როგორც უკვე ვთქვით, ნაპოლეონის ნიღაბზე პატარა და მასზე გამოსახული საშუ-

ალო ასაკის კაცს თავზე გვირგვინი ადგას. ულვაშები და ხშირი წვერი აქვს. გრძელი თმები ორივე მხარეს კულულებად აქვს ჩამოყრილი. ჯერჯერობით დაზუსტებით ვერავინ ამბობს, ვინ არის გამოსახული ნიღაბზე ან როგორ მოხვდა იგი დადიანების სასახლეში.

ნიღაბი გაბერვის მეთოდითაა დამზადებული ოქროს ერთიან ფურცელზე. სიგრძით 7სმ-ია, სიგანე 7,9 სმ აქვს და 129,49 გრამს იწონის. დეტალებს დამუშავების კვალი ატყვია და ცოტა დაზიანებულიც არის. მუზეუმის საინვენტარო წიგნში არ არის მოცემული, საიდან მოხვდა აქ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი 1930-იან წლებში გამოჩნდა. ამ დროს სამეგრელოში არქეოლოგიურ გათხრებს ცნობილი საზოგადო მოღვაწე აკაკი ჭანტურია აწარმოებდა, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, თავის აღმოჩენებზე, აკეთებდა ყველა აუცილებელ კომეტარს და არსებობს მოსაზრება, რომ ნიღაბი მუზეუმის იმ დავთრებში მოიხსენიებოდა, რომლებიც განადგურდა. დაზუსტებით ამბობენ მხოლოდ იმას, რომ ეს აიეტის ნიღაბია. ამ საეჭვო და სავარაუდო ნიღაბზე ანტიკური ეპოქის ადამიანია გამოსახული.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულში, საკულტო რიტუალების შესრულების დროს, ცდილობდნენ ადამიანები ღვთაებას დამსგავსებოდნენ და ამით შეესხათ ხოტბა მისთვის. ამისთვის იკეთებდნენ ნიღბებს ცხოველებისა და ღვთაებების გამოსახულებით. ნიღბებით მიცვალებულებსაც უფარავდნენ სახეს. მათი წარმოდგენით, ის გარდაცვლილის სულს ძალას მატებდა იმქვეყნად. ნიღბებს ამზადებდნენ თიხისგან, ხისგან, თაბაშირისგან; სამეფო, უზენაესი პირები და ქურუმები – ოქრო-ვერცხლისაგან. საყოველთაოდ ცნობილია ტუტანხამონის ოქროს ნიღაბი. ნიღბებით კულტის, მისტერიის და რიტუალის შესრულებას ფართოდ იზიარებდა მიკენური სამყაროც. ლეგენდარულმა შლიმანმა აღმოაჩინა გათხრებში უამრავი ნიღაბი და მათ შორის აგამემნონის. მიცვალებულთა ნიღბები აღმოჩენილია კამბოჯის, გვატემალის, სიამის, ჩინეთისა და ინკების გარდაცვლილ მეფეთა სახეებზეც. ნიღბებს მოძრავი დეტალებითაც აკეთებდნენ. ამერიკაში, მთვარის პირამიდაში აღმოჩენილია ნიღაბი, რომელიც თვალებს ახამხამებდა. ნიღბის რიტუალური კულტი ევროპაში მე-18 საუკუნეშიც არსებობდა მიცვალებულებთან კავშირში. ჩინეთსა და მაკედონიაში გარდაცვლილთა მომცრო ნიღბებს ამზადებდნენ და კუბოზე ან მუმიის სუდარაზე ამაგრებდნენ, მათ მაგიური დანიშნულება ჰქონდა და ძალზე წააგავს აიეტის ნიღაბს, – განმარტავს თავის ინტერვიუში ისტორიკოსი გიორგი კალანდია.

არგონავტების კოლხეთში ლაშქრობას ბერძნები ტროას ომის წინა პერიოდს უკავშირდება (ძვ. წ. XII ს.), ის ადამიანები კი, რომლებსაც მიკენური ოქროს ნიღბები ეკუთვნოდათ, ტროას ომამდე 400 წლით ადრე ცხოვრობდნენ. ნიღაბზე გამოსახული ადამიანი კი არგონავტების ლაშქრობას უნდა უკავშირდებოდეს და ეს ნიღაბი კოლხეთის მითიური მეფის აიეტის სახე უნდა იყოს. – ვარაუდობს ისტორიკოსი გიორგი კალანდია. ნიღაბზე გამოსახული ადამიანი კი თავისი ანთროპოლოგიური მონაცემებით კოლხური წარმოშობის უნდა იყოს, მხედველობაშია კოლხებისათვის დამახასიათებელი ფართო შუბლი, კეხიანი ცხვირი, ნუშისმაგვარი თვალები და ხშირი ხუჭუჭა თმა. ჰეროდოტე ამბობს: „კოლხები, ეგვიპტელების მსგავსად, შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები არიან“. ჩვენი აზრით, მართლაც შეიძლება ნიღაბი კოლხეთის მითიურ მეფეს აიეტს ეკუთვნოდეს, რადგან თავზე გვირგვინი აქვს გამოსახული, მაგრამ

შესასწავლია მისი ასაკი და სხვა ფაქტორები.

ნიღაბთან დაკავშირებით კი იმ დროს არსებობდა ამგვარი შეხედულება, რომ ვინც მიცვალებულის ან ღვთაების ნიღაბს სახეზე აიფარებდა, მისი ცოდნა და ძალა გადაეცემოდა, რადგან ყოველივე ეს რჩებოდა მის ნიღაბში.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ რიტუალის და მისტერიის შესრულებისას, თანხმობის გარეშე აკრძალული იყო ნიღაბთან შეხება, ისევე როგორც სამარხის გათხრა, ამიტომ ხშირად ეწერათ ამ ეპოქაში გარდაცვლილის საფლავზე ეპიტაფია – წყევლა, სადაც კრულავდნენ იმას, ვინც ხელით შეეხებოდა მათ საფლავს, ცნობილია, რომ მეფეთა ველზე ეგვიპტეში გათხრების წარმოებისას დაფიქსირდა დიდი სიკვდილიანობა იმ ადამიანებს შორის, ვინც გათხრებში იღებდა მონაწილეობას. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეს გამოიწვია იმან, რომ მიცვალებულებს მოხადეს ნიღბები. ზოგი ამბობდა, რომ ამ დროს გაზები გამოიყოფა და ის იწვევს სიკვდილს, ზოგი ნიღაბში ჩადებულ წყევლას მიაწერდა.

ასევე თემურ-ლენგის საფლავის გახსნა თეოლოგებმა დიდ უბედურებად მიიჩნიეს და, მართლაც, მეორე დღეს (1941 წ. 22 ივნისი) გერმანიამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი დაიწყო, ხოლო როდესაც დახურეს, საბჭოთა კავშირმა სტალინგრადის ფრონტზე პირველი დიდი წარმატება მიაღწია.

ამგვარად, ეს ნიღაბი საქართველოს დიდების და მისი სიმაღლის ხარისხის უტყუარი წარსულია და მის მკვლევარებთან ერთად, ამ სტრიქონების ავტორიც ფიქრობს, რომ დიდი პროცენტით სავარაუდოა, რომ ეს ნიღაბი მართლაც ლეგენდარული აიეტის ნიღაბია.

ქრისტიანული სიწმინდეები, მათი სასწაულები და მომლოცველობა

პალესტინასა და განსაკუთრებით იერუსალიმში ყველა ერისთვის ქრისტიანობის მიღებასთან ერთად იწყება სასწაულობა და მომლოცველობა. ქრისტიანული წესის თანახმად, წმინდანები და ლოცვა მლოცველებს და მორწმუნეებს ღმერთებთან აახლოვებდა. წმინდა ნაწილები და ლოცვა მათ მადლს მიაგებდა. ერთ-ერთი უპირველესი, რაც ქართველებს უნდა დაეცვათ, იერუსალიმი იყო, რაც მიწიერ სამოთხედ იყო აღიარებული და ბიზანტიელი ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი ქართველების პირველ საცხოვრისად იერუსალიმს ასახელებს.

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ქართველებს იერუსალიმთან, მცხეთელ ებრაელებთან უწყვეტი ურთიერთობა აკავშირებდა. მცხეთელი ებრაელი ელიოზი იყო, ვინც შეისყიდა ქრისტეს უკერი კვართი და ელია წინასწარმეტყველის ხალენი (მოსასხამი), რომლებიც სვეტიცხოვლის საკურთხეველშია ჩამარხული და წარმოადგენს ქართული საქრისტიანოს ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრს, საიდანაც მზის სხივებივით

იშლება უფლის მადლი. ელიოზის დამ სიდონიამ, ნახა რა მაცხოვრის კვართი, გახარებულმა გულში ჩაიკრა და იქვე სული განუტევა. რის შემდეგ სიდონია კვართთან ერთად დაკრძალეს იქ, სადაც დღეს სვეტიცხოვლის საკურთხეველია.

წმინდა ნინომ კი, როდესაც შეიტყო კვართის ისტორია, საქართველოსკენ გამოეშურა.

არსებობს გადმოცემა, რომ იერუსალიმში პირველად მიწის ნაკვეთი მირიან მეფემ შეიძინა. ვახტანგ გორგასალმა იერუსალიმის და ქართული სავანეების დასაცავად შეიძინა სოფელი მალხა და იქ ქართველი მხედრები დაასახლა სამონასტრო კომპლექსების და წმინდა მიწის საპატრონოდ. დღემდე მათ ყველა არაბებად მიიჩნევს, თვითონ კი თავს გურჯებად თვლიან. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი ერთ-ერთ წერილში მადლობას უხდის ქართველებს, რადგან საუკუნეების განმავლობაში ისინი იცავდნენ იერუსალიმის წმინდა მიწას და მუდმივად უგზავნიდნენ შესაწირს. ისტორიკოს გეორგ ფინლეის ცნობით, 614 წელს სპარსელებმა დაიპყრეს ქალაქი და დაანგრიეს ყველა წმინდა სალოცავი... შემდეგ ჰერაკლე იმპერატორმა კვლავ დაიბრუნა იერუსალიმი და ქრისტეს საფლავის ტაძრის პოვნას მხოლოდ ქართველებს უმადლოდა. ეს ადგილი ისე იყო ნაგრევებში ჩაფლული, რომ მათ დაუხმარებლად ვერავინ მიაგნებდა.

მეოთხე საუკუნედან ქართველებს სახარება ჰქონდათ ნათარგმნი და თავიანთი მონასტერი ჰქონდათ ხარიტონის ლავრაში, რომელსაც ლაზთა მონასტერი ერქვა. ამავე საუკუნეში იყო აგებული ელენე დედოფლის მიერ წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი მდინარე იორდანესთან. იქ ისტორიკოსმა ალ. ცაგარელმა სამი ქართული წარწერა და ერთი ქვა ნახა დაზიანებული ქართული და სირიული წარწერებით. ქართველებს ეკუთვნოდათ მონასტრები ბეთლემთან, მდინარე იორდანეს პირას, პეტრე იბერის მიერ აგებული მონასტერი, იერუსალიმის უდაბნოში ჯვარი პატიოსანის სახელზე აშენებული მონასტერი და ეკლესია, სიონის მთაზე პრეტორიუმის ადგილას აგებული ეკლესია და სასტუმრო სახლები. თეოდოსის და საბას ლავრებში ქართველები თითო ეკლესიას ფლობდნენ. მე-6 საუკუნის მე-2 ნახევარში კი საბას ლავრაში არსებულა ეკლესია, მე-6 საუკუნის 30-იან წლებამდე თავიანთი მონასტერი ჰქონდათ დავითის კოშკში და ამის გამო იქაური ტრადიციით აღდგომის ეკლესიის მსახურებად ითვლებოდნენ. სომეხი პილიგრიმის ცნობით, აღდგომის კარიბჭის მახლობლად წმინდა იოანეს მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდათ. ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით კი, ნაზარეთში ვახტანგ გორგასლის ხელშეწყობით ოთხი ქართული ეკლესია აიგო, სადაც დიდძალი მრევლი და ეპისკოპოსი ჰყავდათ.

637 წელს, არაბების მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ქართველთა მდგომარეობა წმინდა მიწაზე არ შეცვლილა და არაბთა ხალიფა იბნ ალ-ხატაბს ეკუთვნის პირველი დოკუმენტი, რითაც აღიარებს ქართველთა მფლობელობას ამ მიწაზე. ქართველები, იქ მაცხოვრებელი მაღალი სამეფო და ფეოდალური გვარის აბასიანელების მსგავსად, იქ მყოფებად და პატრონებად მოიხსენიებიან. მათ დაცვას არაბთა ხელისუფლება თავის თავზე იღებდა და განთავისუფლებული იყვნენ გადასახადისაგან. წმინდა საფლავის ტაძარში ქართველები პატრიარქის თანმხლებად და საერთოდ წინ მავალებად ითვლებოდნენ. ეს პრივილეგიები მე-17 საუკუნემდე იყო მზარდი და უფრო განმტკიცებადი, მე-17 საუკუნეში კი დაუქვემდებარეს ბერძნებს. წმინდა საფლავის ეკლესიაში და წმინდა ცეცხლის ზეგარდმოფენის პროცესზე ეს

ხალხი იკავებდა უპირატეს ადგილებს. დავით აღმაშენებლიდან, დამთავრებული ლაშა-გიორგის მეფობით, მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ შესულიყვნენ ქალაქში იარაღასხმულთ, გაშლილი დროშებით და ცხენებზე ამხედრებულთ. ერთი წყაროს მიხედვით, ერთი მუსლიმანი მხედართმთავარი მიადგა იერუსალიმის კედლებს, რის გამოც ლაშა-გიორგიმ წერილი მისწერა, როგორ გაბედე, ქართველთა უკითხავად წმინდა ადგილის გალავანთან მიახლოვებაო.

არსებობს ცნობა, რომ დავით გარეჯელმა იმოგზაურა იერუსალიმში, მაგრამ ვერ გაბედა შიგნით შესვლა, რადგან თავს ქრისტეს ნაფეხურების ხილვის ღირსად არ თვლიდა. მან იერუსალიმის კედლიდან სამი ქვა წამოიღო. ამ დროს იერუსალიმის პატრიარქს გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა, იერუსალიმის მადლი ერთ-ერთ ბერს თავის ქვეყანაში მიაქვსო. ურჩიეს ამ კაცისთვის ჩამოერთმიათ ორი ქვა, ერთი კი გაეტანებინათ. იერუსალიმის ერთი მესამედი ამ ქვის სახით საქართველოშია და იგი ამჯერადაც დავით გარეჯის მონასტერში ინახება. ამიტომ დავით გარეჯის სამჯერ მონახულება იერუსალიმის მონახულების ტოლფასია.

საქართველოში დაცულია აგრეთვე, გოლგოთის ქრისტეს ჯვრის ნაწილი. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, მირიან მეფემ ქრისტიანობა მიიღო და გაანათლა ქართველი ერი, ამიტომ მას იერუსალიმიდან საჩუქრად გამოუგზავნეს წმინდა ჯვრის ნაწილი და სამსჭვალი ანუ ის ლურსმანი, რომლითაც ქრისტე იყო მიმაგრებული ჯვარზე. ევროპის ისტორიულ წყაროებში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელმა ეს ჯვარი გადასცა თავის მეუღლეს, რომელიც შემდეგ იერუსალიმის დედათა მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა.

ბაგრატ მეოთხის დედამ და მეუღლემ ჯვრის მონასტრის ბაღებში დედათა მონასტერი ააგეს. უკვე მეხუთე საუკუნიდან იყო აქ წასვლა, მომლოცველობა, ბერობა და მონაზვნობა ქართველების მხრიდან. პეტრე იბერი თავისი ცხოვრებით წმინდანს უტოლდება. იქ, სადაც მონასტერი ააშენა, მან სიზმარში ნახა ეკლესიის დასრულებული სახე, სადაც მამაკაცები გალობდნენ. ამის შემდეგ იქ დააწესა მამაკაცთა მწყობრი გალობა. ვარაუდობენ, რომ ეს ეკლესია ჯვრის მონასტერია. ისევე როგორც იერუსალიმში, მცხეთაშიც, ქართველების თქმით — მეორე იერუსალიმშიც, არსებობდა თაბორის მთა, გეთსიმანიის ბაღები, გოლგოთის მთა და სხვა ქრისტიანული დასახელების ადგილები. მირიან მეფის დროს აშენდა პირველი ეკლესია, რომელსაც „წმიდათაწმიდა" ერქვა, რადგან ასეთი სახელწოდების ეკლესია იერუსალიმში იყო. მეათე-მეთერთმეტე საუკუნემდე ოფიციალურად ქართული ეკლესია ბერძნულ ეკლესიას ემორჩილებოდა, მაგრამ, რადგან ის წარმოშობით იერუსალიმური იყო და არა კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის პატრიარქის ქვეშევრდომებად მიიჩნევდნენ თავს. ქართველები ქრისტეს საფლავსა და ჯვრის მონასტერს გვარებს სწირავდნენ. რევოლუციამდე ქრისტეს საფლავსა და ათონის მონასტრებს საქართველოში 12 ეკლესია ეკუთვნოდა და მათი შემოსავალი იერუსალიმში იგზავნებოდა.

იმერეთის მეფის სილომონ პირველის და დედოფალ მარიამის ხელმოწერით, 1760 წლით დათარიღებული სიგელით, სოფელ ღოდორში მცხოვრები სამი გლეხი გვარად სტეფნაძეები და ფარცხანაყანებიდან ასევე სამი გლეხი, თევდორაძეები, ქრისტეს საფლავისათვის შეწირულებად ითვლებოდნენ. ამ გვარის გლეხები თავისუფლდებოდნენ თავადის ყმობისა და ყოველგვარი გადასახადისგან და აგზავნიდნენ ფულს ქრისტეს

საფლავისათვის. შუა საუკუნეებში იერუსალიმის სამსახური ქრისტეს სამსახურად იყო მიჩნეული. ამ პერიოდში ქართველი მეფეები ცდილობდნენ იქაური მუსლიმანი ფეოდალებისათვის საჩუქრები გაეგზავნათ და ამით შეენარჩუნებინათ კავშირი წმინდა მიწასთან. ქრისტეს საფლავზე ეკიდა ლამპრები, რომელი ქვეყანაც ძლიერი იყო, მათი ლამპარები ჭარბობდა. 1634 წლის ხელნაწერებში მინიშნებულია, რომ ქართველებს ქრისტეს საფლავზე არც ერთი ლამპარი არ ეკუთვნოდათ. 1844 წელს რუსეთის ელჩს, ტიტოვს, სტამბოლში მყოფმა არქიმანდრიტმა პორფირემ სიგელი გადასცა, რომელშიც ნათქვამია, რომ, როდესაც სალადინმა ჯვაროსნები განდევნა, წმინდა ადგილები კვლავ მართლმადიდებელ პატრიარქებს გადაეცათ. მშვიდობა დაირღვა მე-16 საუკუნეში, თურქების მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ. ამ დროს აქ დასახლდნენ ფრანცისკანელები და სომხები. ქართველებმა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია მიაქირავეს ფრანცისკანელთა ორდენს, რომლებმაც შემდეგ ეკლესია ჩვენი უძალობის გამო დაისაკუთრეს. ასევე მოუხდათ ქართველებს წმინდა იაკობის მონასტრის სომხებზე მიქირავებას. იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა ვალების გამო ჩამორთმეული სიწმინდეები მთელ საქრისტიანოში აკრეფილი გადასახადებით გამოისყიდა, მათ შორისაა ჯვრის მონასტერიც. ბერძნები, იმაზე დაყრდნობით, რომ დოსითეოსი ბერძენია, არ ცნობენ საქართველოს უფლებას ამ მონასტრებზე.

1899-1900 წლებში პეტრე კონჯოშვილს ათონის მთაზე უნახავს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არქივიდან გადმოცემული საბუთის ასლი, რომლიდანაც ჩანს, რომ დოსითეოსს ვალი – 90 ათასი პიასტრი, საქართველოს მეფის, პატრიარქისა და ქართველი ერისაგან მიღებული შეწირულობით გადაუხდია. ამ საბუთით ბერძენთა მტკიცებებს და პრეტენზიებს ჯვრის მონასტერზე საფუძველი ეცლება. რამდენიმე ხნის წინ ვაჟა ლორთქიფანიძემ კერძო კოლექციებში იპოვა და ჩამოიტანა ჯვრის მონასტრიდან წამოღებული ფრესკა. ქართველმა ხალხმა ყველაფერი უნდა გააკეთოს წმინდა ადგილების და წმინდა მიწაზე უფლებების დასაბრუნებლად, იერესალიმიდან, სადაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი, ქართველებს ახლაც ჩამოაქვთ სიწმინდეები – სანთელი, ზეთი, მიწა და ნაკურთხი წყალი, რომელთაც, ზოგადად განსაკუთრებული მადლი აქვთ. ერთ-ერთი სასწაული ახლაც მოხდა. ახალგაზრდა ბიჭს ხერხემალი დაუზიანდა და სხეულის დამბლა განუვითარდა. ექიმებმა განკურნების იმედი დაკარგეს, მშობლები კი ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რომ შვილი ეხსნათ ავადმყოფობისაგან. ბიჭს ქრისტეს წმინდა საფლავიდან ჩამოტანილი ზეთი სცხეს და მოხდა სასწაული, ბიჭი, რომლის გადარჩენის იმედი არავის ჰქონდა, სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მართა მონაზონმა მთელ საქართველოს მიმართა, ამისთანა რა გასაჭირი გადგათ, აქაურობა რომ დაკარგეთ, თუ იერუსალიმში ეს მონასტრები აღარ გექნებათ, რას მოგიტანთ მარტო პირჯვრისწერაო. ასეთი დიდი იყო მადლი და მფარველობა წმინდა მიწისა.

ვალე. X ს.

რატომ გვემალება ღვთისმშობლის კვართზე დაფიქსირებული ქრისტე

(ინტერვიუს ფრაგმენტები ჟურნალ „სარკედან“)

(წმინდანთა ნეშტი არ იხრწნება... რაც რელიგიაშიც და ბიოლოგიაშიც მარადიული ჭეშმარიტებაა)

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული მარიამ ღვთისმშობლის კვართის ისტორიისა და მასზე კინოობიექტივით ქრისტეს რამდენიმე პორტრეტის აღმოჩენის შესახებ გეუწყათ, რომ კვართს სასწაულთმოქმედი თვისებები აქვს და, როგორც გვითხრეს, ამას ისტორიაც ადასტურებს. საგანძურს ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ლილი ბერაია მას თვალისჩინივით უფრთხილდება და საგანგებო, უსაფრთხო ადგილზე ინახავს. კვართის ვიდეოკამერით და ფოტოაპარატით გადაღების სურვილი ბევრს გაუჩნდა, მაგრამ უშედეგოდ. იგი პირველად კინოფირზე სტუდია „მემატიანის“ ოპერატორებმა გურამ როგავამ და დათო ასათიანმა აღბეჭდეს. სწორედ მათ მიერ იქნა დაფიქსირებული კვართზე ქრისტეს სახე და ჯორზე მჯდომი ქრისტე. ოპერატორი გურამ როგავა 36 წელია ამ საქმეს ემსახურება და 80 დოკუმენტურ ფილმზე მეტი აქვს გადაღებული, მაგრამ, როგორც თვითონ გვითხრა, ისეთი სასწაული, რაც კვართის გადაღებისას შეემთხვა, არასოდეს უხილავს.

– წარმოშობით ზუგდიდიდან ვარ. შარშან, როცა ღვთისმშობლის კვართის იქ ყოფნის ამბავი შევიტყვე, გადამღებ ჯგუფთან ერთად ჩავედი. კინოფირი საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ ჩვენი სახსრებით მაინც შევიძინეთ.

– *კვართის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღება გადაწყვიტეთ?*

– არა, ზუგდიდი აფხაზეთთან ახლოსაა. ჭორის სახით ისიც შევიტყვე, რომ ერთ-ერთ შეიარაღებულ არაფორმალურ დაჯგუფებას მისი გატაცება უნდოდა, მაგრამ მუზეუმის მესვეურებმა ადგილსამყოფელი არ გაუმხილეს. ავ კაცს რა გამოლევს და ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა, მისი ზუგდიდში არსებობა ფირზე აღმებეჭდა და ოფიციალური მამტკიცებელი მასალა გვქონოდა დაკარგვის შემთხვევაში, მაგრამ იქ ჩასულს მითხრეს, კვართი არ გადაგელებინებაო. მიუხედავად წინააღმდეგობისა, მუზეუმის თანამშრომლები დავითანხმე, რომ მისი გადაღება მეცადა.

მათი ნათქვამი გამართლდა!

კვართს სარდაფში ინახავენ და, ჩემი თხოვნით, სახლის პირველ სართულზე ამოიტანეს. იგი ძვირფასი თვლებით მოჭედილ ვერცხლის სკივრში ასვენია; მასთან ერთად წმინდანთა სხეულის ნაწილები – წმინდა იოანე ნათლისმცემლის ძვალი, დიდმოწამე წმინდა გიორგის ბარძაყის ძვალი, წმინდა ქალწულ მოწამე მარინეს ხელის მტევანი და წმინდა მოწამე კვირიკეს ხელის მტევანი – არის მოთავსებული. გადაღებისთვის ძლიერი შუქი იყო საჭირო და, სანამ საქმეს შევუდგებოდით, რაიონის მესვეურები გავაფრთხილეთ, ელექტროენერგია არ შეეწყვიტათ, მაგრამ დავიწყეთ თუ არა გადაღება, შუქი ჩაქრა და კარგა ხანს აღარც ანთებულა. გადავწყვიტეთ, დღის შუქზე გადაგვეღო. სიმართლე გითხრათ, არ მიფიქრია, კვართის შიგნით სასწაულები

მეძებნა. ვფიქრობდი, გადავიღებდი კვართს და მუზეუმის თანამშრომელს მის ისტორიას მოვათხრობინებდი. დავიწყეთ დეტალების გადაღება და ერთ ადგილზე დავინახე, რომ სახე გამოჩნდა – ეს ქრისტეს სახე იყო. როცა მეცნიერ-მუშაკს კინოაპარატში ვაჩვენე, განცვიფრდა. როგორც მითხრა, კვართზე ასეთი რამ აქამდე არ ენახათ.

– რამდენი სურათი დააფიქსირა კინოაპარატმა კვართზე?

– ორი ქრისტეს სახე და ჯორზე მჯდომი ქრისტე. კვართი კიდევ არაერთ საიდუმლოს მალავს, მაგრამ საჭირო კინომასალის უქონლობის გამო გადაღება ვერ გავაგრძელეთ.

– ამბობენ, რომ კვართს სასწაულების მოხდენა შეუძლია, მართალია?

– მუზეუმის თანამშრომლები მომიყვნენ, რომ ერთხელ კიბოთი დაავადებული კაცი ჩამოსულა როსტოვიდან. კვართზე ორჯერ ხელის დადების შემდეგ კი განკურნებული უკან დაბრუნებულა. ასეთი ამბები თურმე ხშირად ხდება. სწორედ მის სასწაულებრივ ძალას მივაწერ გადაღების დროს შუქის ჩაქრობასაც. იმასაც მეუბნებიან, რომ ახლა კვართის იგივე ადგილები ხელახლა რომ გადავიღოთ, ქრისტეს გამოსახულებები ასეთი ფორმით, შესაძლოა, აღარ გამოჩნდეს ან სხვა სურათები ვიხილოთ მის ნაცვლადო. ამ საქმის ბოლომდე მიყვანას დიდი მუშაობა და პირობები სჭირდება, რაც დღეისათვის არ გვაქვს.

* * *

მარიამ ღვთისმშობლის კვართი ერთადერთია დედამიწაზე და იგი მაცხოვრის დედას იესოზე მშობიარობის დროს ემოსა. აქედან გამომდინარე, კვართს ორი ათასი წლის ისტორია უნდა ჰქონდეს. ზუგდიდში მისი არსებობის შეტყობის შემდეგ ჩვენც გაგვიჩნდა ეჭვი მისი ორიგინალურობის შესახებ. როგორც გვითხრეს, იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ნამდვილად ის კვართია, რომელიც შობის ღამეს ღვთისმშობელს ემოსა, მრავალი ისტორიული ფაქტი არსებობს, თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ მას გამოკვლევა ჩაუტარდეს და სინამდვილე კიდევ ერთხელ დაზუსტდეს. კვართზე ქრისტეს სახის აღმოჩენასა და მის სასწაულებზე სასაუბროდ კვართის ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევარ გიორგი კალანდიას დავუკავშირდით.

– ისტორიულ წყაროებში ნათქვამია, რომ ღვთისმშობლის კვართზე არ იყო ნახატები. კაბას დეკოლი ბოლო ნაწილზე და სახელოებზე აქვს, ზემოთ კი მოჩითულია. სადაც ქრისტეს გამოსახულებები გაჩნდა, იქ მსგავსი რამ არასოდეს უნახავთ. გარეგნულად კვართს ახლაც არაფერი ეტყობა და მასზე ქრისტეს სახეს ვერც ვიდეო და ვერც ფოტოკამერა ვერ აფიქსირებს.

– თუ ასეა, საიდან გაჩნდა კვართზე ქრისტეს გამოსახულებები?

– ამ მოვლენის ახსნა ჯერჯერობით არ შეგვიძლია. იგი შეიძლება ტურინის სახელგანთქმული მოსასხამის ისტორიას შევადაროთ. ტურინის მოსასხამი ქრისტიანული სამყაროს ყველაზე დიდი სიწმინდეა. ეს არის ნაჭერი, რომელშიც იესო ქრისტე მენელსაცხებლე დედებმა მიცვალების შემდეგ შეახვიეს. იგი ქალაქ ტურინშია დაცული და 10 წელში ერთხელ აჩვენებენ ხალხს. 1983 წელს, ქრისტიანული სიწმინდეების გამოფენის დროს, გამოიტანეს და ერთ-ერთი ფოტოგრაფის პოზიტივზე

ქრისტეს გამოსახულება გამოჩნდა. ზუგდიდში ღვთისმშობლის კვართზე ქრისტეს გამოჩენაც კინოფირის პოზიტივზე მოხდა. გამოდის, რომ იგი ნეგატივზე არ ფიქსირდება.

– თქვენი აზრით, სასწაულთან გვაქვს საქმე?

– გამოსახულება, ისევე როგორც ტურინში, ზუგდიდშიც მკვეთრია და ორივე ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ზუგდიდში – ოქროსფერ-მოყავისფროა, ტურინშიც იგივე ფერები მეორდება, მაგრამ ასევე შეიმჩნევა წითელი სისხლის ფერიც. ცხადია, ეს ქრისტეს სისხლია, რომელიც წამების დროს გადმოუვიდა. როცა ტურინის გამოსახულების კვლევა დაიწყეს, ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ ვერ აიხსნა, საიდან გაჩნდა ნაჭერზე გამოსახულება. საქმე ისაა, რომ გამოსახულებაზე ვერ შენიშნეს საღებავის ან მისი აორთქლებისგან დარჩენილი კვალი. როცა სისხლის ლაქებს ანალიზი გაუკეთეს, იქ სისხლის ჩვეულებრივი შემადგენლობა არ იყო და სხვა ნივთიერებით გაჟღენთილიც არ ყოფილა. საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ტურინის გამოსახულება არასამყაროსეული წარმოშობისაა და ხელთუქმნელია. იგი თანამედროვე ფიზიკის, მეტაფიზიკისა და მეცნიერებისთვის აუხსნელი მოვლენაა. იგივე შეიძლება ითქვას ზუგდიდში არსებულ ღვთისმშობლის კვართზეც. მასზე ქრისტეს გამოსახულების ფოტო-ლაბორატორიული დამუშავებით გაირკვა, რომ ტურინის გამოსახულების იდენტურია. გამოსახულებასა და ქსოვილს შორის განკვეთილობის ხაზი მკვეთრია, რაც ეჭვს ბადებს, რომ ესეც არ არის ადამიანის ხელით შექმნილი. ფოტოზე შეიმჩნევა სისხლისფერი ლაქები. არის ეჭვი, რომ ეს იმ სითხის კვალია, რომელიც ღვთისმშობელმა ქრისტეს დაბადების დროს დაღვარა. გარდა ამისა, ქრისტეს სურათის გარშემო შეიმჩნევა რკალი. რასთან გვაქვს აქ საქმე, ამის ახსნაც არ შემიძლია.

– შესაძლოა ეს შარავანდი იყოს?

– ვინც ნახა, ყველამ გამოთქვა აზრი, რომ ეს შარავანდია, მაგრამ სინამდვილეს გამოკვლევები ახსნის.

– ქრისტეს პორტრეტი გამოჩნდა მარიამის იმ კვართზე, რომელიც მას მშობიარობისას ეცვა, მაგრამ ფოტოზე ქრისტე მოწიფულ ასაკშია. ამგვარ შეუსაბამობას როგორ ახსნით?

– იესოს სამი ხელთუქმნელი გამოსახულება გვაქვს. ერთი – როცა პირსახოცის დაფარების დროს მასზე დარჩა მისი გამოსახულება, მეორე – ტურინში მოთავსებულ მოსასხამზე აღბეჭდილი სახე და მესამე – ზუგდიდის კვართზე აღბეჭდილი სურათი. ერთ-ერთი ისტორიული წყაროს ცნობით, კვართი იყო წიგნი, რომელზეც იესოს ცხოვრება წინასწარ აისახა. ღვთისმშობლის კვართზე მისი სახის გარდა, არსებობს მეორე, ჯორზე მჯდომი იესოს გამოსახულებაც, რომლის გამოკვლევაც ჯერ არ ჩაგვიტარებია. ქრისტე ამ შემთხვევაში პროფილში მოჩანს. ეს სწორედ ის ბიბლიური სცენაა, როცა ის იერუსალიმში შევიდა. ეს სურათი კვართის ბოლოდან ნახევარი მეტრის მოშორებით აღმოჩნდა. ქრისტეს სახე კი სამოსზე მუცლის ადგილზეა აღბეჭდილი.

– ე. ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ კვართი ადამიანის მიერ არ არის შექმნილი?

– ისტორიული წყაროს მიხედვით, კვართი სამეგრელოში XVII საუკუნეში ლევან დადიანის სასახლეში მოხვდა. მისი ზომები 180/130 სმ-ია და სელისგანაა ნაქსოვი (ასევეა ტურინის მოსასხამიც). ეს ნაჭერი ყველაზე კარგად ინახება და

მუზეუმებში დღესაც არსებობს 2000-წლოვანი სელის ნაკეთობები. ცხადია, ის ჩვეულებრივმა ადამიანმა შეკერა, რადგან ძალიან ჰგავს იმ დროს პალესტინაში სელისგან დამზადებულ ნაკეთობებს, მაგრამ მასზე გამოსახულებები შექმნა თუ არა ადამიანის ხელმა, ამას მომავალი გამოკვლევები გვიჩვენებს, რომლებიც ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ლაბორატორიებში ჩატარდება. თუმცა კვართი არსად წავა, გავიტანთ მხოლოდ მისი ქსოვილის 2 მილიგრამს, რათა ასაკი დავაზუსტოთ.

— ამბობენ, რომ კვართს ავადმყოფების განკურნება შეუძლია, მართალია?

— ღვთისმშობლის კვართის შესახებ პირველად საზოგადოებას ზუგდიდის მუზეუმის მთავარმა მცველმა ლილი ბერაიამ ამცნო. მას მუდმივი ურთიერთობა აქვს კვართთან და ეს სიწმინდე საქართველოს რომ შემორჩა, მისი დამსახურებაა. ლილი მის შესახებ ბევრ საინტერესო ამბავს ჰყვება, მაგრამ კვართის სასწაულები არ მინდა ავადმყოფების მკურნალობამდე ან სინათლის ჩაქრობამდე დავიყვანო, რადგან ისეთი დიდი სასწაულები აქვს მოხდენილი, როგორიც იყო ორჯერ ქალაქის გადარჩენა და ა. შ. ცხადია, კვართის საქართველოში ყოფნა ბევრი საფრთხისგან იცავს ჩვენს ქვეყანასაც.

— ბატონო გიორგი, ამბობენ, რომ მარიამ ღვთისმშობლის კვართს ჰქონდა სარტყელიც, მაგრამ ის ახლა ზუგდიდში არ ინახება. მისი ადგილსამყოფელი ცნობილია?

— არსებობს მარიამის თავსაბურავი, რომელიც საფრანგეთში, შატრის მონასტერშია დაცული. ეს ტაძარი სპეციალურად სწორედ ამ წმინდა ნივთის გამო აშენდა. მარიამ ღვთისმშობლის სარტყელი კი სამ ნაწილად დაიყო; ერთი ნაწილი ჰერაკლე კეისარს მუდმივად თან დაჰქონდა. შუა ნაწილი, რომელზეც მარიამის ხელითაა ამოქარგული მისივე გამოსახულება, საქართველოში მოხვდა. ერთ-ერთი ისტორიული ცნობით, იგი ბაგრატ მესამის ცოლმა ელენემ წამოიღო ბიზანტიიდან, რადგან იგი განუკურნავს და ბედიის მონასტერში დაუსვენებია. 1533 წელს კვართი დადიანების სასახლეში გადმოიტანეს. ამისთვის სპეციალურად გაკეთდა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი და მასში იყო სარტყელი დაცული, მაგრამ იგი საქართველოში აღარ არსებობს.

— მაშ, სად გაქრა?

— სამეგრელოს დედოფალმა ნინომ, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს ვლაქერნის ხატი საჩუქრად გაუგზავნა. სამეგრელოს მთავრის ბიძამ ნიკო დადიანმა კი უთხრა, ხატი ისეთივე დიდ სიწმინდეს წარმოადგენს ჩვენთვის, როგორც წმინდა ნინოს ჯვარი და მისი დაბრუნება მოსთხოვა. ვლაქერნის ხატი ღვთისმშობლის სარტყლით კვლავ ჩამოვიდა საქართველოში. 1911 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დადიანების სასახლიდან იგი თბილისის საეკლესიო მუზეუმში მიიტანა. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ხატი პარიზში წაიღეს, მაგრამ მალევე უკან ჩამოიტანეს. გატანა-შემოტანის ოქმებში ხატთან ერთად ღვთისმშობლის სარტყელი არსად ფიქსირდება. საეკლესიო მუზეუმში წესი იყო, ნივთს შლიდნენ და ოქროს — ოქროს ფონდში, ნაჭერს კი ქსოვილთა ფონდში გზავნიდნენ. გვაქვს ეჭვი, რომ ღვთისმშობლის ხატის შუა ნაწილიც ასე დაშალეს. ხელოვნების მუზეუმში ამჟამად 6 000-მდე უსახელო ქსოვილია. ვიცით სარტყლის დანარჩენი ნაწილის შემადგენლობა და ვაპირებთ დაკარგული ნაწილი ამგვარად ვიპოვოთ. შემდეგ კი მისი აღდგენა მოხდება და დაუბრუნდება ხატს.

— სარტყელსაც თუ უკავშირდება რაიმე სასწაული?

— მას სამი დიდი სასწაული აქვს მოხდენილი: როცა ბიზანტიის დედოფალი

ზოია ავად გახდა, შუბლზე დააფარეს და განიკურნა. ასევე განუკურნია ბაგრატ III-ის ცოლი – დედოფალი ელენე არკიროსი. როცა ჰერაკლე კეისარი და ბულგარეთის მეფე კოლომანე ერთმანეთს ებრძოდნენ, ჰერაკლემ მეტოქე დაამარცხა. როგორც ცნობილია, მას სარტყელი მუდმივად თან დაჰქონდა.

– მისი დაკარგვაც რაიმეზე ხომ არ მიგვანიშნებს?

– ცხადია, ეს ყველაზე დიდი სასწაულია და დარწმუნებული ვართ, მას მალე ვიპოვით.

* * *

როგორც უკვე ვთქვით, სკივრში, რომელშიც ამჟამად მარიამ ღვთისმშობლის კვართი ინახება, წმინდანთა სხეულის ნაწილებიცაა მოთავსებული. როგორც ამბობენ, ისინი უხრწნელია და ხორცითაა შემოსილი. მათაც, ისევე როგორც კვართს, სასწაულების მოხდენა შეუძლიათ.

გიორგი კალანდია:

– წმინდა გიორგის ბარძაყის ძვალი და წმინდა მარინეს ხელის მტევანი საქართველოში ბიზანტიის დედაქალაქის დაცემის შემდეგ მოხვდა. იოანე ნათლისმცემლის ძვალიც, როგორც გამოიკვლიეს, ოპიზის მონასტრიდანაა მოტანილი. მონასტერზე შემოსევის დროს იგი გახიზნეს და სამეგრელო მისთვის ყველაზე კარგი სამალავი იყო. წმინდა კვირიკე კი ადგილობრივი წმინდანია და მისი ხელის მტევნის ჩვენთან არსებობა გასაკვირი არ არის.

– მათ სასწაულებრივ უნარზე რას გვეტყვით?

– ლილიმ მიამბო, რომ 1936 წელს, როცა სიწმინდეები ხობის მონასტრიდან ზუგდიდის სახლ-მუზეუმში გადმოუტანიათ, ერთ-ერთ კომუნისტს მგზავრობისას წმინდა მარინეს ხელის მტევანი გადაუმტრევია – თუ ასეთი სიწმინდეა, აბა, რას მიზამსო. ეს კაცი ცოტა ხანში მართლაც საშინელი სიკვდილით დაიღუპა – მთლიანად დაიწვა. ისინი რომ მართლაც სიწმინდეებია, ამის თქმის უფლებას ისიც გვაძლევს, რომ წმინდა კვირიკეს და წმინდა მარინეს ხელის მტევნებს ხორცი აქვთ, რომელიც არ ლპება. ცხადია, მას მუმიფიცირება ჩატარებული აქვს, მაგრამ საქართველოში ამას ეგვიპტის დონეზე ვერავინ გააკეთებდა. ესეც თავისთავად სასწაულია.

P. S. გაზვიადებულ ნათქვამად ალბათ არ ჩაგვითვლიან, თუ ვიტყვით, რომ კვართის მცირე სასწაულის მომსწრენი ჩვენ, გავხდით. ოპერატორმა გურამ როგავამ ფირი გადმოგვცა, რომელზეც კვართზე გადაღებული ქრისტეს სახე იყო ალბეჭდილი. გადავწყვიტეთ, ფოტოზე გადაგვეტანა იგი, მაგრამ თბილისის ყველაზე ცნობილმა ფოტოხელოვანებმაც კი მისი გამჟღავნება ვერ შეძლეს – სურათზე ქრისტეს სახე არ ფიქსირდებოდა. ვიფიქრეთ, ალბათ კვართს არ სურს მისი სასწაული ასეთი სახით ვიხილოთ-თქო და ამიტომაც ფოტოდოკუმენტური მასალა ისევ ბატონ გიორგი კალანდიას გამოვართვით.

და კიდევ, როგორც გვითხრეს, მარიამ ღვთისმშობლის კვართს, რომელსაც ზუგდიდის მუზეუმის მცველი საგანგებო ადგილზე ინახავს, ხალხის წინაშე პირველ სექტემბერს გამოასვენებენ და ყველას ექნება საშუალება თავისი თვალით იხილოს ხელთუქმნელი სასწაული.

ნელი ვარდიაშვილი

გალობა

გალობა ქრისტიანული რელიგიის საკრალური მხარეა, რაც ხმოვანი გრძნობაა, ხოტბად აღვლენილი ღმერთთან. გალობაში სულის სარკესავით ირეკლება მორწმუნის მსახურება ღვთისადმი და მას ღვთის ხმას უწოდებენ.

რელიგიური ისტორიის თანახმად, პეტრე იბერს სიზმარში უხილავს ხილვა მამაკაცთა გალობის და მას შემდეგ მისსავე აშენებულ ეკლესიაში დაუდგენია ეს წესად. როცა სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის დავალებითა და ხარჯით პეტრე იბერის აშენებული პალესტინის ჯვრის მონასტრის ფრესკები განაახლეს, ვახტანგ გორგასალთან, თამარ მეფესთან, მარიამ დედოფალთან ერთად ფრესკაზე ვინმე გურული მგალობლის გიორგის ხატიც გამოუსახავთ. არსებობდა გალობის სკოლებიც, რომლებიც მომავალ თაობების ზრდიდა.

საგალობელს მრავალმხრივი მიდგომა სჭირდება. თუ გინდა შენი გალობა ღვთაებას მისწვდეს, სულიერებით მორწმუნე უნდა იყო და მხოლოდ კარგი ხმით ვერაფერს გახდები. ეს მაშინ ხდება, როდესაც ხარ ჭეშმარიტი ღვთისმსახური. ეს იმდენად სწორად უნდა გააკეთო, რომ შენი გალობა, შენი განცდა გადასცე სხვას და მხოლოდ შემდეგ მივა ღმერთთან. ქართული ხალხური სიმღერების უმრავლესობა წარმართული ხანისაა, მაგრამ დიდი ხარისხობრივი სიმაღლის და სიცოცხლისუნარიანობის გამო დღემდე არ დაუკარგავს კულტურის სატრადიციო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. დღეს ეს ორი და — ხალხური სიმღერა და გალობა ერთმანეთის ღვიძლები არიან და ერთი ღვთის სამსახურშია, მეორე საერო ფუნქციით მუშაობს, პირველი ვერტიკალურ მდგომარეობაშია და ღმერთს განადიდებს, მეორე ჰორიზონტალურ კავშირშია ხალხთან და მოყვასის სიყვარულს ქადაგებს.

გალობა სამეტყველო ქართული ენის ტოლფასია და ისეთივე მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს, როგორც ენას და ანბანს. სიმღერა და გალობა შთაბერავდნენ ყველაზე დიდ გასაჭირში ერს სულს და ამიტომ არის, რომ მისით ხდება დიდი ზეიმიც და ტრაგედიაც, რათა იმქვეყნად წაჰყოლოდა მხნეობის ძალა. სიმღერას არაერთხელ შეუსრულებია ერის გამთლიანობის ფუნქცია და იმდენად დიდია, რომ შეიძლება ერთი დარტყმით ბოგანო ამაღლდეს მაღალ სულიერებამდე. დაცემულ სულს არაფერი ისე არ შველის, როგორც სიმღერა-გალობა. სიწმინდეების შესახებ მასალის მოპოვებისას, წყაროებად გამოყენებული იქნა თამუნა ახობაძის, თამუნა ძინძიბაძის, რუსუდან ადვაძის, ნელი ვარდიაშვილის და გიორგი კალანდიას წერილები.

სიწმინდეების აღწერა ერთ-ერთი ყველაზე დიდი მადლია ქრისტიანულ სარწმუნოებაში, ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვცანით მათზე საუბარი და შევეცადეთ ყველა დიდ სიწმინდეზე ყოფილიყო ლაპარაკი. ამით კიდევ ერთხელ ხაზი ესმება იმ აზრს, თუ რა ღვთიური მისიის მატარებელია ქართველი ხალხი.

ზემო კრიხი. X-XI ს.ს.

„ბარაქის ხატის“ ლოცვა და მოკლე ისტორია

ბარაქის ხატი დაიწერა 1890 წელს ბოლხოვის დედათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენია იალარიას მიერ, ოპტინელი მამის – ამბროსი ოპტინელის ლოცვა-კურთხევით. მას სასწაულებრივად გადაურჩენია მრავალი ოჯახი გაჭირვებისაგან და შიმშილით სიკვდილისაგან, გვალვისა და მოუსავლიანობის დროს. მამა ამბროსიმ ბარაქის ხატის დღესასწაულად დაადგინა 15 ოქტომბერი.

* * *

ჰოი, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო ქალწულო, მეუფეო ყოვლადმოწყალეო, დედოფალო ზეცისა და ქვეყანისაო, ყოველგვარ სახლთა და ქრისტიანულ სახლეულთა კეთილადმომწყობელო, უქონელთა დაულევნელო სიმდიდრეო. ობოლთა და ქვრივთა და ყოველი კაცის განმაძღებელო, მასაზრდოებელო ჩვენო, მშობელო სამყაროს მასაზრდოებლისაო, ხვავის და ბარაქის მომცემელო, შენ, მეუფეო, გარდამოუვლინე დედობრივი კურთხევაი შენი ქალაქთა, სოფელთა და ყოველთა ნათესთა ჩვენთა და ყოველსა სახლსა შენზედა მსასოებელსა. ეგევითარი კეთილკრძალული ძრწოლითა და შემუსვრილი და დამდაბლებელი გულით გვედრით შენ: გვეყავი ჩვენცა, ცოდვილთა და უღირსთა მონათა შენთა ბრძენ სახლისმომწყობელათ, ცხოვრებისა ჩვენისა კეთილად წარმმართველო. ყოველგვარი ერთობა, ყოველი სახლი და სახლეული ღმრთისმოსაობითა და მართლმადიდებლობით, თანამოაზრეობით, მორჩილებითა და ბარაქიანობით დაიცევ გლახაკნი და არასმქონენი განაძღე, მოხუცებულთა შეეწიე, ჩვილნი აღზარდე, ყოველთა შთააგონე გულითა წრფელითა შეჰღაღადონ უფალს: „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“. დაიცევ, ყოვლადუბიწოო დედაო ერი შენი ჭირთა, სნეულებათა, შიმშილისა, იწროებისა, წვისა ძვრისა და ყოველგვარ დამღუპველ გარემოებათაგან. სამყოფელთა ჩვენთათვის, სახლთა და სახლეულთათვის, ყოველი ქრისტიანისა და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის გამოითხოვე მშვიდობა და გარდმოგვივლინე წყალობა შენი. გადიდებთ რა შენ, ყოვლადმოწყალე განმაძღებელსა და მასაზრდოებელს ჩვენსას, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

„მოწყლული“, „მანუგეშებელი“, „სამხელა“...

მართლმადიდებელი მორწმუნენი ღვთისმშობელთან დაკავშირებულ სასწაულებს ხშირად ყვებიან. ერთ-ერთი ასეთი სასწაულის შესახებ თბილისელმა მიმოზა (თამარ) ბრეკაშვილმა მოგვითხრო. მარტყოფის დედათა მონასტერში არის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც სხვადასხვა ტაძარსა და მორწმუნეთა ოჯახებში დააბრძანებენ. მისი სასწაულებრივი უნარი პირველად მარტყოფელებმა აღმოაჩინეს – რაც შესთხოვეს, სწრაფად შეუსრულდათ. განსაკუთრებით ავადმყოფებს სწყალობს.

აკაურთა. V-VI ს.ს.

ღვთისმშობლის ხატთა სასწაულები

(ერთ-ერთი მლოცველი გვიამბობს)

რამდენიმე ხნის წინ ხატი თბილისში, ფერისცვალების მონასტერში მიიტანეს. მას მირონი სდის და ბამბა სურნელოვანი ზეთით იჟღინთება. „ცოტა ხნის წინ ავტოავარიაში მოვყევი. მძიმედ ვიყავი ავად. 4-5 თვე საავადმყოფოში ვიწექი. დამოუკიდებლად სიარული არ შემეძლო. ახლობლებმა ფერისცვალების მონასტერში წამიყვანეს. მარტყოფის ღვთისმშობლის ხატთან დამხობილმა ღამე ლოცვაში გავატარე. დილით კარგად ვიგრძენი თავი, სახლამდე ჩემი ფეხით მივედი. წელს, 19 აგვისტოს, ხატი სახლში მოვაბრძანეთ. სამი-ოთხი დღის მანძილზე უამრავი ხალხი მოდიოდა. ხატმა ჩვენ თვალწინ მოახდინა სასწაულები. მეზობლის ქალს ხუთი წლის მანძილზე ვალს არ უბრუნებდნენ, ამის გამო ძალიან ნერვიულობდა. ხატთან ლოცვის შემდეგ სახლში დაბრუნებულს მოვალეები დახვდნენ და ფული დაუბრუნეს. ხატისთვის ამ საქმის კეთილად დასრულება უთხოვია. ჩემს მეგობარს ხელი ჰქონდა დასიებული, მან ხატს ღამე ლოცვით გაუთენა. დილით ხელი დასცხრომოდა. მარტყოფის ღვთისმშობლის ხატმა ძლიერი ტკივილებისგან ჩემი მეზობელიც განკურნა“, – გვიამბო ქალბატონმა თამარმა.

ღვთისმშობლის სასწაულები საქართველოში ხშირად ხდება. რამდენიმე წლის წინ თბილისში, ლურჯი მონასტრის ერთ-ერთ კედელზე მრევლმა ღვთისმშობლის გამოსახულება დაინახა. პეტრე-პავლეს ტაძარში ღვთისმშობლის ხატს, რომელსაც „შენ ხარ ვენახი“ ჰქვია, მირონი სდის... საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ამ ფაქტებს ღვთისმშობლის საქართველოს მიმართ განსაკუთრებული გულმოწყალებით ხსნიან – თავის წილხვედრ ქვეყანას განსაკუთრებულად მფარველობსო. მაგრამ მსგავსი სასწაულები სხვაგანაც ხშირად ხდება. ისტორიამ ასეთი არაერთი თქმულები შემოგვინახა.

უბედურების, საფრთხის, მშობიარობის, ავადმყოფობის, გაჭირვების დროს მორწმუნენი ხშირად შველას წმინდა მარიამს შესთხოვენ. მის სახელზე აგებენ ტაძრებს, ქმნიან ხატებს. ღვთისმშობლის ზოგიერთი ხატი მეტსახელითაა ცნობილი, იმის მიხედვით, თუ რა სასწაული მოახდინა: „ფხიზელი თვალი“, „ნაყოფიერი მთა“, „მოალერსე“, „ცოდვილთა ხელისამპყრობელი“, „გამომზრდელი“, „ცეცხლსახილველი“, „სამხელა“... მათი ასლები საქართველოს ეკლესია-მონასტრებშია დაცული. ყველა მათგანს თავის ცალკე ისტორია აქვს.

„მოწყლული“

„მოწყლულის“ სახელით ცნობილ ღვთისმშობლის ხატს ასეთი ამბავი გადახდა: ათონის მთაზე, მონასტერში, სადაც ის იყო დაბრძანებული, ტაძრის მოვლით დაკავებულ ერთ-ერთ დიაკონს ტრაპეზზე მისვლა დააგვიანდა და სადილის გარეშე დარჩა. განაწყენებულმა ღვთისმშობლის ხატზე იყარა ჯავრი – როდემდე უნდა გემსახურო, ვშრომობ, ვშრომობ და სამაგიეროს ვერ ვიღებ, პურის ნაჭერიც არ მარგუნეს, გამოლეული ძალა რომ მომეკრიბაო. აიღო დანა და ხატზე გამოსახულ ღვთისმშობელს ლოყაში გაუყარა. ჭრილობიდან სისხლმა გამოჟონა, ის კი დაემხო და შეშლილს

დაემსგავსა. რამდენიმე წლის შემდეგ, სიკვდილის პირას მისულს, ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა, რომ ცოდვა შეუნდო, მაგრამ მისი ხელი მაინც დაისჯებოდა. დიაკონის სამარე სამი წლის შემდეგ გახსნეს. საშინელმა სანახაობამ ყველა გააოგნა – მარჯვენა, რომლითაც ხატს დანა ჩაარტყა, გაუხრწნელი და გაშავებული იყო. ნაიარევ ღვთისმშობლის ხატს მეტსახელად „მოწყლული" უწოდეს.

„მანუგეშებელი"

„მანუგეშებლის" სახელით ცნობილი ღვთისმშობლის ხატის დედანი ათონის მთაზე, ვატოპედის მონასტრის ხარების ეკლესიაშია. პირველი დიდი სასწაული ამ ხატმა 385 წელს მოახდინა. ძლიერი ქარიშხლის დროს უფლისწული გემიდან ზღვაში გადავარდა და წყალმა გაიტაცა. ყველას ეგონა, რომ დაიღუპა, მაგრამ მოგვიანებით შემთხვევით მიაგნეს სანაპიროზე. მას მონასტერთან ახლოს, ბუჩქის ძირას,მშვიდად ეძინა. იმ ადგილას,სადაც უფლისწული იპოვეს,მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხეველი ააშენეს, ის ხატი კი, რომელსაც მისი გადარჩენა დაუკავშირეს, ერთ-ერთი კედლის ნიშაშია მოთავსებული. ხატმა სასწაული 807 წელსაც მოახდინა. გადმოცემის მიხედვით, ყაჩაღთა ჯგუფმა ვატოპედის მონასტრის გაძარცვა განიზრახა. ღამით ყაჩაღები მონასტრის ახლოს, ბუჩქებში დაიმალნენ და გათენებას დაელოდნენ. დილით, სანამ წინამძღვარი კარს გახსნიდა, ღვთისმშობლის ხატიდან ხმა შემოესმა, სავანის კარი არ გახსნა, სანამ მონასტრის ეზოდან ყაჩაღებს არ გააძევებთო. მოეჩვენა, თითქოს ხატზე ღვთისმშობლის და ყრმის სახე გაცოცხლდა. ყრმამ დედას ხელი ააფარა – ნუ ეუბნები ამას, დაე, დაისაჯონო. მაგრამ ღვთისმშობელი შეეცადა, თავისი ძის – უფლის ხელი შეეჩერებინა. სახე მარჯვნივ შეაბრუნა, იესოს თავი აარიდა და ორჯერ კიდევ გაიმეორა გაფრთხილება. მონასტრის მსახურებმა ბუჩქებში დამალული ყაჩაღები მართლაც იპოვეს და კეტებით გააძევეს. ამბობენ,რომ ხატზე მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამომეტყველებები ისევეა დარჩენილი, როგორც წინამძღვარმა იხილა. ღვთისმშობელი იესოსკენ არ იყურება და თავი შებრუნებული აქვს. ამ სასწაულთმოქმედ ხატს „მანუგეშებელი" უწოდეს.

„დაშრიტე მწუხარება ჩემი"

ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის – „დაშრიტე მწუხარება ჩემი" – ორიგინალი მოსკოვში, ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ტაძარშია. გადმოცემის მიხედვით, ერთი ქალი უკურნებელი სენით იყო ავად, ტკივილებისგან იტანჯებოდა, მკურნალები ვერაფერს შველოდნენ. ერთხელ ღვთისმშობლის ხატი იხილა და შემოესმა – მოითხოვე მოსკოვში წაყვანა, იქ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში არის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, შესთხოვე მას და განიკურნებიო. გამოცხადების შემდეგ ქალმა მხნეობა იგრძნო. მოსკოვში წაიყვანეს. ტაძარში დაკიდებული ყველა ხატი დაათვალიერა, მაგრამ მინიშნებული არ აღმოჩნდა. მაშინ ღვთისმსახურმა იგი შიგნიდან გამოიტანა, საკმაოდ მტვრიანი და დაძველებული. წმინდა მარიამის სახე წესიერად არც კი ჩანდა, მაგრამ ავადმყოფმა შეჰკივლა, ის არისო. ხატზე მთხვევის შემდეგ ძალების ისეთი მოზღვავება იგრძნო, ტაძრიდან საკუთარი ფეხით გავიდა, ცოტა ხანში კი სრულიად გამოჯანმრთელდა. ხატი მწუხარე ადამიანთა დამხმარედაა მიჩნეული. სასწაულებს ამ კუთხით ახდენს, ამიტომაც შეარქვეს სახელად „დაშრიტე მწუხარება ჩემი".

„დაღუპულთა მომძიებელი“

ღვთისმშობლის ხატთან, რომლის სახელწოდებაა „დაღუპულთა მომძიებელი“, საინტერესო ისტორიაა დაკავშირებული. ღვთისმოსავი გლეხი ეკლესიას ხატებით ამკობდა – როგორც შეეძლო, ისე შეეწეოდა მას. ნათლისღების დღეს სხვა ქალაქიდან მომავალს გზაზე საშინელი ქარბუქი წამოეწია, ზედ ძლიერი ყინვაც დაერთო. ქარბუქის გამო ვერაფერს ხედავდა და არ იცოდა, რომ სოფელთან ახლოს იყო. გადარჩენის იმედი დაკარგა. ცხენი მარხილიდან გამოუშვა, შეიფუთნა და სიკვდილს დაუწყო ლოდინი. მხოლოდ ღვთისმშობელს ევედრებოდა, თუ გადაარჩენდა, მის სახელზე ხატს დაწერდა. მოხდა სასწაული. გზასთან ახლოს მცხოვრებლებს შემოესმათ ქალის უცნაური ხმა - გარეთ გაჭირვებულია, გადაარჩინეთ და მიიღეთო. სახლებიდან გამოვიდნენ და დაინახეს მარხილი, რომელშიც ნახევრად გაყინული კაცი იჯდა. სახლში შეიყვანეს, გაათბეს და მოასულიერეს. გადარჩენილმა გლეხმა აღთქმა შეასრულა. ხატმწერს ხატი დააწერინა და მას „დაღუპულთა მომძიებელი“ უწოდა. ხატის ზედა ნაწილზე გამოსახულია ღვთის გამოცხადება – იესოს ჯვარედინად აქვს ხელები მკერდზე დაკრეფილი, მორჩილებით თავდახრილი მდინარე იორდანეს წყალში დგას და ნათლდება. თავთან მტრედის სახით სულიწმიდა უზის. მარცხნივ გამოსახულ ანგელოზებს მისი სამოსელი უჭირავთ. იქვეა იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებაც. ღვთისმშობელი ყრმით ხელში ხატის ქვედა ნაწილშია. უფალი ფეხზე დგას და დედას ეალერსება. როცა ხატს უმზერ, გეჩვენება, თითქოს ღვთისმშობლის მზერა მხოლოდ შენკენაა მოპყრობილი.

„ნაყოფიერი მთა“

ხატზე „ნაყოფიერი მთა“ მოცემულია, რომ ღვთისმშობელს იმ ხელში, რომლითაც იესო უჭირავს, თითის წვერებში მთა აქვს მოქცეული. მთაზე გუმბათებით და ჯვრით დამშვენებული ეკლესია ჩანს. ხატი საკმაოდ ძველია. მასთან ასეთი გადმოცემაა დაკავშირებული: 200 წლის წინ ტვერის მონასტრის ერთ-ერთ მშენებელს გასამრჯელოდ ქრისტიანული ხატი შესთავაზეს. სიკვდილის წინ მან შვილებს უანდერძა, თან დაუბარა, ხატისთვის მიეხედათ, მაგრამ მათ ანდერძი მიივიწყეს და სიწმინდე სხვენზე აიტანეს. ერთხელ, ოჯახში უთანხმოების შემდეგ, რძალმა თვითმკვლელობა განიზრახა, თოკი ჩამოკიდა და ის იყო, თავი უნდა ჩამოეხრჩო, რომ კარი გაიღო და უცნობი ბერი გამოჩნდა. რას აკეთებ, უბედურო, უთხრა ბერმა, მონახე სახლში ღვთისმშობლის ხატი „ნაყოფიერი მთა“, ილოცე მის წინ და მშვიდი ცხოვრება გექნებაო. შეშინებულმა ქალმა ოჯახის წევრებს უამბო რაც გადახდა. ბერი ვეღარსად იპოვეს, სხვენზე ატანილი ხატი კი მოძებნეს და შესაფერისი ადგილი მიუჩინეს. ოჯახში სიმშვიდემ დაისადგურა.

„სამხელა“

„სამხელა“ ღვთისმშობლის ხატის ისტორია წმინდა იოანე დამასკელის ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. იოანე დამასკელი დიდგვაროვნის კარზე მსახურობდა. ბრალად მას ღალატი დასდეს, ხელი მოკვეთეს და ქუჩაში გამოკიდეს. მხოლოდ დიდი თხოვნის შემდეგ დაუბრუნეს მას საკუთარი მარჯვენა. იოანე ღამით ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო და მოკვეთილი ხელის გამრთელება შესთხოვა. ლოცვისას

ჩასთვლიმა, სიზმრად მოწყალე თვალებით მომზირალი ღვთისმშობელი იხილა, მან უმტკივნეულოდ გაუმრთელა ხელი. როცა იოანემ გამოიღვიძა, ხელი მართლაც შეზრდოდა, მოკვეთილ ადგილზე მხოლოდ სისხლისფერი წრე იყო დარჩენილი. ამ ამბის შემდეგ იოანემ ვერცხლისგან ხელის მტევანი ჩამოასხმევინა და ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს შესწირა. ამ ხატზე ღვთისმშობელს სამი ხელი აქვს, ამიტომ ხატს „სამხელა" უწოდეს.

„სამხელას" კიდევ ერთ სასწაულს უკავშირებენ. ერთ-ერთმა ხატმწერმა ღვთისმშობლის ხატის დაწერა დაიწყო. წმინდა მარიამს ორივე ხელი გაუკეთა. სახე კი ცარცით მოუხატა. მეორე დღეს დაინახა, რომ ღვთისმშობელს სამი ხელი ჰქონდა. იფიქრა, სულიერი ძმები გამეხუმრენო და მესამე ხელი წაშალა. ღამით ისევ გამოისახა ხატზე მესამე ხელი. ხატმწერს შემოესმა ხმა – აღარ გაბედო მესამე ხელის წაშლა, რადგან ის ჩემი ნებით არისო. ეს ხატი დღემდე ახალ იერუსალიმშია. იოანე დამასკელის მიერ შემკული ხატის ორიგინალი კი ორლოვის გუბერნიაში იპოვეს მეჩვიდმეტე საუკუნეში.

„ზეციური ნიშანი"

რუსეთში, აბალაკის სასაფლაოზე განმარტოებით ცხოვრობდა ერთი ღვთისმოსავი ქვრივი. ერთხელ სიზმრად ღვთისმშობლის ხატი ნახა, რომელიც ჰაერში იყო გაჩერებული. წმინდა მარიამის მარჯვნივ გამოსახული იყო ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი, მარცხნივ კი – ღირსი დედა მარიამ მეგვიპტელი. ქვრივს ეუბნებოდნენ, ხალხისთვის ეთქვა, რომ სასაფლაოზე, ფერისცვალების ძველი ეკლესიის მარცხნივ ორეკვდერიანი ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აეგო. ერთი ეკვდერი ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზე ეკურთხებინათ, მეორე – მარიამ მეგვიპტელის. ქალმა სიზმარი არავის უამბო და არც დანაბარები გადასცა. ხილვები გაუმეორდა. ერთხელ გზაზე მიმავალს წინ ღრუბლისმაგვარი სვეტი დაუდგა. მასზე მარიამ მეგვიპტელის ხატება გამოჩნდა. ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი კი მიწაზე იდგა და მრისხანედ ეუბნებოდა, გადაეცა ხალხისთვის დანაბარები. მინიშნებულ ადგილზე ეკლესია მართლაც ააშენეს. იქ დასაბრძანებელი ხატიც ღვთის ნებით გამოჩნდა. საწოლს მიჯაჭვულმა ავადმყოფმა დააწერინა გამოცხადების მიხედვით. დაასრულეს თუ არა მისი მოხატვა, ავადმყოფმა უკეთესობა იგრძნო, ცოტა ხანში კი სრულიად გამოჯანმრთელდა. რადგან ეკლესიის აშენების და ხატის მოხატვის ბრძანება ხილვით მიიღეს, ხატს „ზეციური ნიშანი" უწოდეს.

„ვნება"

„ვნების" სახელით ცნობილი ღვთისმშობლის ხატის ზედა კუთხეებში ანგელოზებია გამოსახული. ხატის სასწაული ქალთანაა დაკავშირებული. გლეხის გოგო გათხოვებისთანავე ეშმაკეულმა ძალამ შეიპყრო. თავის მოკვლა რამდენჯერმე სცადა. ამ მდგომარეობაში 7 წელი გაატარა. ერთხელ ცრემლებით შეევედრა ღვთისმშობელს, გაეთავისუფლებინა ამ უბედურებისაგან. აღთქმაც დადო, თუ კარგად გახდებოდა, მონაზვნად აღიკვეცებოდა. ქალი განიკურნა, მაგრამ დანაპირები დაავიწყდა და ქმარ-შვილთან კეთილდღეობით ცხოვრება დაიწყო. მოგვიანებით კვლავ გახდა ავად. ღამით გაიგონა, რომ მის კართან ვიღაც მიმოდიოდა და ლოცვებს კითხულობდა.

უცებ ღვთისმშობელი შემოვიდა და დანაპირები შეახსენა. ქალი მონაზვნად აღკვეცას მაინც აყოვნებდა. ურჩობის გამო სხეულის ერთი მხარე გაუშეშდა, ყბა მოეღრიცა და დაუძლურდა. ბურანში მყოფს მოულოდნელად შემოესმა ხმა, წასულიყო ხატმწერთან და ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ის ხატავდა, შეემკო. თუ ამ ხატის წინაშე ილოცებ, გამოჯანმრთელდებიო. ქალი მართლაც განიკურნა. ხატი, რომელმაც ეს სასწაული მოახდინა, ახლა მოსკოვშია და ისევ ახდენს სასწაულებს.

„ყოველთა მწუხარეთა სიხარული“

„ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ ხატს საინტერესო ამბავს უკავშირებენ. მისი ორიგინალი პეჩორის მონასტერში, ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ეკლესიაშია. 1106 წელს იქ ბერად აღიკვეცა დიდი იაროსლავის შვილიშვილი – ნიკოლოზი. მანვე დააარსა საავადმყოფო ღარიბთათვის და ავადმყოფებს თვითონვე უვლიდა. საავადმყოფოს დარაჯმა რამდენჯერმე შეამჩნია, რომ შენობაში პერიოდულად მოდიოდა თეთრებით შემოსილი ქალი. მისი გამოჩენის შემდეგ ყოველთვის იკურნებოდა ერთ-ერთი მძიმე ავადმყოფი. დარაჯი ქალის ვინაობით დაინტერესდა. პასუხად მიიღო, მე ვარ ყოველთა მწუხარეთა სიხარულიო. ერთხელ დარაჯი ქალს უკან გაჰყვა. იგი მძიმე ავადმყოფის ოთახში შევიდა. მომაკვდავი ადამიანის საწოლთან, კედელზე, მთვარის შუქის მსგავს ნათებაში დარაჯმა ღვთისმშობლის გამოსახულება შენიშნა. მაშინღა მიხვდა, რომ საავადმყოფოს ხშირი სტუმარი წმიდა მარიამი იყო.

მათთვის, ვისაც ჯერ ზიარება არ მიუღია

სინანულში ჩავარდნისა და მღვდელმსახურისთვის აღსარების ჩაბარების მერე ქრისტიანი წმინდა ზიარებას იღებს. ყველაფერს თავისი წესი აქვს. ამდენად, მათთვის, ვისაც ჯერ ზიარება არ მიუღია, საინტერესო იქნება, როგორ უნდა მოემზადოს რწმენაში ახლად შესული კაცი, რათა მასზეც აღსრულდეს ზიარების საიდუმლო.

წმინდა ზიარების მიღება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა ქრისტიანის ცხოვრებაში. თუ ადამიანი წელიწადში ერთხელ მაინც არ ეზიარა, იგი ეკლესიის გარეთ დგას. უწინ ქრისტიანები ყოველ წირვაზე ეზიარებოდნენ ხოლმე, მაგრამ, როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, თანამედროვე ადამიანისთვის ყველაზე ოპტიმალურია ზიარების მიღება თვეში ერთხელ, ხოლო მარხვების პერიოდში კვირაში ერთხელ უნდა ვეზიაროთ. ვისაც ჯერ არ მიგიღიათ ზიარება, მიდით რომელიმე ტაძარში, შეუთანხმდით მღვდელმსახურს, დაიცავით მარხვა, იარეთ ეკლესიაში და ილოცეთ, ხოლო უშუალოდ ზიარების წინ, ღამის 12 საათის შემდეგ, საჭმელი არ ჭამოთ, წყლის დალევაც კი აკრძალულია. ზიარებისთვის მოსამზადებლად წაიკითხეთ საგანგებო ლოცვები (ზიარების წინაც და მერეც). როცა ეკლესიიდან დაბრუნდებით, საღამოს, მსუბუქი ვახშმის შემდეგ, ხატების წინაშე დადექით და ძილად მისვლის ლოცვების ნაცვლად ზიარებისთვის მოსამზადებელი ლოცვები წაიკითხეთ, მაგრამ თუ გიჭირთ დაღლილობის ან ავადმყოფობის გამო, ლოცვების გაყოფაც დასაშვებია. თუ ხანდაზმული

ან სნეული ხართ, მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, შესაძლებელია ლოცვის დროს დაჯდომა და ლოცვების შემოკლება მის მიერვე მითითებული წესით. ზიარების მიღების შემდეგ ღმერთს მადლობის ნიშნად ლოცვა უნდა შესწიროთ. მათი წაკითხვა (ზიარების შემდგომი ლოცვები) უმჯობესია ტაძარში, წირვის შემდეგ, თუმცა, სახლშიც შეიძლება, მთელი დღის განმავლობაში.

რა უნდა ვქნათ მეტი სულიერების მისაღებად?

კატეხიზმო

(ფერილი 1)

– რატომ ითვლები ცოდვად მრავლისმეტყველება?

– მრავლისმეტყველება კაცნიერების წინამძღვარი, ტყუილის მსახური, ლმობიერების დამხსნელი და ძილის წინამორბედია. იგი კეთილ გულისსიტყვათა განმბნეველი, გლოვის უჩინომყოფელი, მხურვალების განმაგრილებელი და ლოცვის დამაბნეველია. აჭირვე მუცელს და დაადუმე პირი, რადგანაც ენა ჭამადთა სიმრავლისაგან ძლიერდება და მრავლისმეტყველებას იწყებს. აღსდეგ ამ მტარვალის წინააღმდეგ და ებრძოლე, თუნდაც ძლიერ დაშვრე, უფალი მეყსეულად შეგეწევა. ლოცვის დროს ნუ მრავლისმეტყველებ, რათა გონება არ დაგებნეს სიტყვათა ძიებაში.

– რა არის საჭირო სულის ცხონებისათვის?

– ადამიანის სულის ხსნა, ანუ ცხონება, ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენაში მდგომარეობს. სულის ხსნისათვის სიყვარულსა და სათნოებასთან ერთად გვესაჭიროება რწმენა, რადგანაც „თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნოყოფაი ღმრთისაი", მაგრამ სარწმუნოება ჭეშმარიტი უნდა იყოს, დაუმახინჯებელი და შეურყეველი, როგორც ჩვენი ხსნისათვის განკაცებულმა უფალმა გვიქადაგა.

– რა ითვლება მწვალებლობად?

– წმინდად და უცვალებლად დაცული მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუ-ნოებრივი სწავლება საუკუნო ხსნის უმთავრესი პირობაა, ასე რომ, ნებისმიერი შეცდომა ადამიანისთვის დამღუპველია. ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან ყოველგვარ გადახვევას ეკლესიის წმინდა მამები მწვალებლობას, იგივე ბოროტის მსახურებას უწოდებდნენ, რადგანაც მტკიცედ იდგნენ წმინდა წერილის შეგონებაზე: „გლოცავ თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რაითა მასვე იტყოდით ყველანი, და ნუ იყოფინ თქუენ შორის წვალება". მართლმადიდებლური სარწმუნოებრივი მრწამსითა და დოგმატებით შეიარაღებული წმინდა მამები ყოველთვის გმობდნენ ერეტიკოსებს მსოფლიო საეკლესიო კრებებზე და მათზე უხილავად გადმოსული სულიწმიდის მადლით ამარცხებდნენ მეტოქეებს.

– „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა"... როგორი ადამიანია „სულით გლახაკი", გიჟი?.. ზოგიერთი ძველი ქართული ენის სპეციალისტი „სულით გლახაკს" სულით ავადმყოფად

მიიჩნევს...

– სულით გლახაკია ის, ვინც საკუთარ ცოდვებს და სულის არასრულყოფილებას შეიცნობს. მას ესმის, რომ ღვთის შეწევნის გარეშე ვერანაირ სიკეთეს ვერ აღასრულებს, ამიტომაც არ ქედმაღლობს, არ ტრაბახობს, არც ღვთის და არც კაცთა წინაშე, ანუ თავმდაბალი ადამიანია და არა – სულით ავადმყოფი, როგორც ზოგიერთი ძველი ქართული ენის სპეციალისტი მიიჩნევს.

– ჩვენ გარშემო კარგი აღარაფერი ხდება, რატომ განვიცდით სიხარულის ნაკლებობას?

– სიხარული იმიტომ გვაკლია, რომ ღვთისა და კაცთა სიყვარული დავკარგეთ. ადამიანი გაბოროტდა, რადგანაც რწმენა დაკარგა. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ღმერთი სიყვარულია". ასე რომ, თუ სიხარულის დაბრუნება გვსურს, ჭეშმარიტი რწმენა უნდა დავიბრუნოთ.

– ხშირად მიწევს კამათი ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად, ვცოდავ?

– ადამიანს უამრავი მანკიერი ჩვევა აქვს, თითოეული მათგანი საზიანოა სულისთვის, მაგრამ ყველაზე დამღუპველი თავის მართლება და კამათის სიყვარულია. ამიტომაც გიბიძგებთ ეშმაკი, თავი იმართლოთ, რადგანაც იცის, რომ თუ მოითმენთ, ღვთისგან გამართლდებით.

– როგორ დავთრგუნო ვნებები?

– ქრისტიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ვნებათა საწინააღმდეგოდ იმოქმედოს, მაგალითად, თუ ვნება გაიძულებთ იჩხუბოთ, გაჩუმდით; თუ გაიძულებთ გაძღეთ, ცოტა შეჭამეთ და ა. შ.

– როგორ მოვიქცე მარადიული სასუფევლის დასამკვიდრებლად?

– თუ გონებას ცუდი, ბოროტი და ამაო აზრებისგან დაიცავთ, ხოლო მზერას – ამა სოფლის საცდურისგან, გულს – ბოროტი სურვილებისა და განდიდებისგან, სმენას – ამაო და სასაცილო საუბრებისგან, უფრო მეტად კი მოყვასზე ბოროტ სიტყვათა მოსმენისგან, ენას – განკითხვისა და დრტვინვისაგან, კუჭს – გემოთმოყვარეობისა და ზედმეტი ღვინის სმისგან, საკუთარ თავს კი – უსაქმურობისგან, გადარჩებით და მარადიულ სასუფეველს დაიმკვიდრებთ.

– მიჭირს მოთმინების გამომუშავება, რა ვქნა?

– მოთმინებას ყველაზე კარგად მაშინ გამოიმუშავებთ, თუ უსიამოვნებასა და განსაცდელს ყოველთვის იმ განწყობით შეხვდებით, რომ მისი დათმენა საკუთარ ცოდვათა გამო გიწევთ.

– რამდენიმე კვირის წინ გამქურდეს, როგორ შევინარჩუნო სულიერი სიმშვიდე?

– ყველანაირად ეცადეთ, ქურდობა არავის დააბრალოთ. ჩათვალეთ, რომ ეს გამოცდა და განსაცდელი თქვენზე რაიმე ცოდვის გამო დაუშვა უფალმა. სული რომ დაიმშვიდოთ, იფიქრეთ, რომ მოპარული თანხა ან ქონება წყალობის გაცემაზე უფრო დიდ მადლად ჩაგეთვლებათ.

– როგორ დავანებო თავი სიგარეტის წევის მავნე ჩვევას?

– აღსარების დროს დაწვრილებით აღიარეთ ყველა ცოდვა, რაც 7 წლის ასაკიდან დაწყებული, დღემდე ჩაგიდენიათ, ეზიარეთ წმინდა საიდუმლოს და ყოველდღე ფეხზე დგომით იკითხეთ წმიდა სახარება (თითო თავი მაინც ან მეტი). როცა

სიგარეტის მოწევის სურვილი მოგეძალებათ, კვლავ სახარების საკითხავად დადექით და მანამდე იკითხეთ, სანამ არ გადაგივლით ან, მაცხოვრის მიწიერი ასაკის შესაბამისად, 33 მეტანია გააკეთეთ თაყვანისცემით.

– რა ვქნა შვილების ჯანმრთელობისთვის?

– ხშირად მიიყვანეთ მოძღვართან ბავშვები საზიარებლად, თუ გინდათ, რომ ჯანმრთელები, ჭკვიანები და ბედნიერები იყვნენ.

– მცნებას – „არ იმრუშო" – ვიცავ, მაგრამ ლამაზ ქალს თვალი რომ არ გავაყოლო, არ შემიძლია. მაინც ვცოდავ?

– როცა კაცი ლამაზ ქალს თვალს ვერ აშორებს, გულში მრუშობს... მოათვინიერე შენი „ცხენი" – მზერა რათა აქეთ-იქით ყურებით სიძვის ვნებაში არ ჩავარდე და შენ – „მხედარი" ძირს არ ჩამოგაგდოს. ილოცე უფლისადმი: „მოაქციენ თუალნი ჩემნი, რაითა არა იხილონ ამაოებაი და გზასა შენსა მაცხოვნე მე". იფხიზლე, რადგანაც მოკვდავი ხარ: წამიერი სიამოვნებისათვის მარადიული ცხოვრების დაკარგვას ნუ მოისურვებ.

– ქრისტიანი ვარ, თავს მორწმუნედ ვთვლი, მაგრამ მარხვას ვერ ვინახავ... არა მგონია, ღმერთს აინტერესებდეს, როდის ვჭამ და ვსვამ...

– ვინც მარხვას უარყოს, ის საკუთარ თავსაც და სხვებსაც ვნებიანი ხორცისა და ეშმაკის წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღს ართმევს. თავშეუკავებლობის გამო უწმინდური ჩვენზე მძლავრობს. მარხვის უარმყოფელი ქრისტეს მხედარი ვერ იქნება, რადგანაც იარაღს ყრის და თავისი ნებით ბარდება ტყვედ სიტკბოებისა და ცოდვისმოყვარე სხეულს. ასეთი კაცი ბრმაა, რადგანაც ვერ ხედავს მიზეზსა და შედეგს შორის არსებულ კავშირს.

– მინდა ეკლესიური გავხდე, მაგრამ დილით ადრე ადგომა და ლოცვა მეზარება, შაბათ-კვირას ვერ ვახერხებ ეკლესიაში დროულად მისვლას. მითხარით, რა ვქნა?

– როცა ადამიანს ლოცვა უჭირს, ბოროტი სულ ჯერ კიდევ მძლავრობს მასზე. გამოიკვლიეთ საკუთარი თავი. თქვით გულწრფელი, გულისხმიერი აღსარება და ემოციების გამოვლინებისას მეტი თავშეკავება გამოიჩინეთ. ნუ იზარმაცებთ, ნუ ადგებით მთქნარებ-მთქნარებით, პირჯვარი გადაისახეთ და თქვით: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". სულიერ მამაზე მინდობა და აღსარებაში გულისთქმათა გამომჟღავნება ლოცვაში გულმოდგინებას განაპირობებს. შეძლებისდაგვარად ერიდეთ ურჩობას, განკითხვას, ამპარტავნებას, შურს, ნაყროვანებასა და ყოველივეს, რაც ხელს უწყობს სულიერ სიცივეს.

– ხშირად მიჩნდება მოძღვრისთვის აღსარების ჩაბარების სურვილი. მაინტერესებს, მოსაწონია თუ არა?

– ვინც მოძღვრის წინაშე ხშირად აღიარებს თავის ცოდვებს, მისთვის ძნელი არ იქნება ქრისტეს სამსჯავროზე წარდგომა. აღსარება პირველი ბიძგია გულწრფელი და ყოველდღიური სინანულისა. რაც უფრო დიდი ხნით გადადებთ მონანიებას, მით უფრო გაიხლართებით ცოდვებში.

– ზოგჯერ მათხოვრის დანახვისას მოწყალების გაღების სურვილი მაქვს, მაგრამ გაჩერება და ჯიბიდან ფულის ამოღება მეზარება... რა არის ამის მიზეზი?

– როცა მოწყალების გაცემის სურვილი გაქვს, მაგრამ გულისთქმა ამის საშუალებას არ გაძლევს, დაფიქრდი და იპოვე მიზეზი. თუ აღმოაჩენ, რომ სიძუნწის გამო არ გინდა მოწყალების გაღება, იმაზე მეტი მიეცი მათხოვარს, ვიდრე აპირებდი.

– რომელი ცოდვებია მომაკვდინებელი და რა არის მათი წამალი?

– არსებობს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და მათი წამალი შვიდი სათნოებაა: 1. ამპარტავნება – სიმდამბლე; 2. ანგარება – მოწყალება; 3. სიძვა – უმანკოება; 4. მრისხანება – სიმშვიდე; 5. ნაყროვანება – მარხულობა; 6. შური – სიყვარული; 7. მიმოწვლილველობა – სათნოება.

– ითვლება თუ არა ცოდვად, როცა ტაძარში მორწმუნეები ბევრს ლაპარაკობენ?

– ის, ვინც ღვთისმსახურების დროს ამაოდ მეტყველებს, არამარტო უსარგებლოდ დადის ტაძარში, არამედ საკუთარი თავის საზიანოდაც.

– ნათლობის დროს რომელი ცოდვები ეპატიება ადამიანს?

– წმიდა ნათლობის შედეგად ადამიანს მიეტევება პირველქმნილი და მანამდე ჩადენილი ნებისმიერი ცოდვა, რადგანაც ამ საიდუმლოს აღსრულებით ცოდვას ადამიანზე ბატონობის ძალა ერთმევა.

– როგორ მოვიქცე განსაცდელის ჟამს?

– რაოდენ დიდი მწუხარებაც უნდა შეგემთხვეს, საკუთარი თავის გარდა ნურავის დაადანაშაულებ და თქვი: „ჩემი ცოდვების გამო დამემართა, დიდება ღმერთს ყველაფრისთვის". – ეს ფრაზა ეშმაკს სასიკვდილო იარას აყენებს, ხოლო განსაცდელში მყოფ ღვთისმადიდებელს ანუგეშებს და მხნეობას მატებს. ნურასდროს შეწყვეტ ღვთის მადლიერებას, განსაკუთრებით კი, მწუხარებისა და განსაცდელის ჟამს.

– ლოცვისას ხშირად მიტაცებს ფიქრი ყოფით საზრუნავზე და მიჩნდება სხვადასხვა გულისთქმა, როგორ მოვიქცე?

– შეუძლებელია, ცალი თვალით ზეცას შეჰყურებდე, მეორეთი – მიწას, წარმოუდგენელია, ადამიანი ერთდროულად ზრუნავდეს ზეციურსა და მიწიერზე. დროის ტყუილად დაკარგვა იმაზე, რაც ვერ შეგეწევა გარდაცვალების შემდეგ, უსარგებლოა. იფიქრე ზეციურ საუნჯეზე და ვერანაირი მიწიერი საზრუნავი თუ ამქვეყნიურით ტკბობა ვერ შეგეხება... ბოროტმა სულმა კარგად იცის, რამხელა ძალა აქვს ლოცვას, ამიტომაც განსაკუთრებით გვებრძვის სწორედ ლოცვის დროს. გულში შემოჭრილი უნებლიე გულისთქმანი იესოს ლოცვით აღმოიფხვრება.

– როგორ მივაღწიო უშფოთველობას?

– ბევრს ჰგონია, რომ ხორცის დათრგუნვით მიაღწევს უშფოთველობას, სასწაულთქმედებასა და მჭვრეტელობას, რადგანაც არ იციან, რომ ამ სათნოებათა დედა მორჩილება და სიმდაბლეა.

– რა მოვუხერხო საკუთარ პატივმოყვარეობას?

– პატივმოყვარეობის დაძლევა დიდი ღვაწლია, რომლის მისაღწევად საჭიროა, ფარულად აკეთოთ სიკეთე და ხშირად ილოცოთ. ამ ვნებისგან განთავისუფლების ნიშანი იქნება, თუ ავისმთქმელზე არ განრისხდებით.

– მინდა, ღმერთმა შეისმინოს ჩემი, როგორ ვილოცო?

– თუ გსურთ, ღმერთმა თქვენი ლოცვა შეისმინოს, გონება მოიკრიბეთ და დაბალ ხმით. ყურადღებით ილოცეთ, როცა გემახსოვრებათ, ვის ესაუბრებით. თუ გეცოდინებათ,

რომ ამით მსხვერპლს სწირავთ ღმერთს, აზრები არ გაგეფანტებათ.

– სასიამოვნო სურნელის გარდა, რა მნიშვნელობა აქვს საკმევლის კმევას?

– ძველთაგანვე საკმევლის კმევა სიმბოლურად აღიქმებოდა, როგორც უფლისადმი აღვლენილი ლოცვა და კაცის დაუოკებელი სურვილი, ღმერთამდე მივიდეს მისი სიტყვები, ანუ ლოცვაც საკმევლის ბოლვით ამაღლდეს.

– ზოგიერთი მოძღვარი ლოთებს, ნარკომანებსა და აბორტისმკეთებელ ქალებს წესს არ უგებს. როგორი დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი ეკლესიას?

– აბორტის მკეთებელი მკვლელია, ნარკომანი – თვითმკვლელი, ლოთი – თვითმკვლელიცაა და ეშმაკეულიც. თუ ადამიანმა სიცოცხლეში არ შეინანა და ამ ცოდვებით დამძიმებული წავიდა წუთისოფლიდან, რა აზრი აქვს წესის აგებას? შეგახსენებთ, რომ მხოლოდ სინანულში ჩავარდნილებზე აქვს ძალა წესის აგების ძირითად ლოცვას...

– რა ნივთები იხმარება ღვთისმსახურების დროს?

– საკელესიო ღვთისმსახურების დროს იხმარება ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი, ლახვარი, დაფარნები და ღრუბელი. ბარძიმი ფეხიანი სასმისია, მასში კვეთის დროს ასხამენ წყლით შეზავებულ ღვინოს, რომელსაც წირვაზე აკურთხებენ და ქრისტეს სისხლით შეიცვლება. ფეშხუმი მრგვალფეხიანი ლანგარია, ზედ კვეთის დროს დებენ პურს, რომელსაც ტარიგი ეწოდება. მას წირვაზე აკურთხებენ და ქრისტეს ხორცად შეიცვლება. ვარსკვლავი ლითონისგან გაკეთებული ორი მომცრო რკალია, ერთმანეთთან ჯვარედინად გადაბმული. ვარსკვლავი იდგმება ფეშხუმზე, რათა დაფარნა არ შეეხოს სეფისკვერიდან ამოღებულ ნაწილს. ლახვარი სეფისკვერიდან ნაწილების ამოსაღებად იხმარება, ხოლო ღრუბელი – ბარძიმის გასაწმენდად. სამირონე არის სპეციალური ჭურჭელი, რომელშიც წმინდა მირონი ინახება, გვირგვინებს კი ქორწინების დროს იყენებენ.

– რატომ არ შეისმენს ღმერთი ზოგიერთების ლოცვას?

– უფალი მხოლოდ იმ ადამიანთა ლოცვას არ შეისმენს, ვინც თვითონ არ იღებს ყურად ღვთის სიტყვას, პატივს არ მიაგებს უზენაესს და მის ნებას არ აღასრულებს.

– რომელ წელს გაქრისტიანდა საქართველო?

– IV საუკუნეში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველო გაქრისტიანდებოდა, დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, ნიკეაში გამართულ მსოფლიო კრებას დაესწრო 325 წელს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო 337 წელს გაქრისტიანდა. ღვთის სიტყვა წმინდა ნინომ იქადაგა.

– ვის მკვლელობაში დასდეს ბრალი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას?

– 1908 წელს, როცა ამბროსი ხელაია თბილისში, სინოდალური კანტორის წევრად მუშაობდა, ბრალი დასდეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში, მაგრამ 1910 წელს გაამართლეს და მღვდელთმსახურების წართმეული უფლება დაუბრუნეს.

წმინდა დიდმოწამენი – დავით და კონსტანტინე მხეიძენი მორწმუნეებს სულიერი და ხორციელი ტკივილისაგან აღადგენენ

მძიმე ჟამი დაუდგა საქართველოს მე-8 საუკუნეში. იმ დროისთვის არგვეთის მთავრები იყვნენ ძმები – დავით და კონსტანტინე მხეიძეები. როცა მათ უსჯულოთა მოსვლის შესახებ შეიტყვეს, უფალს შემწეობა სთხოვეს და ლაშქარი შეკრიბეს, ხოლო ერს გაძლიერებული ლოცვა და ღამისთევა დაუდგინეს. თავდაპირველად ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ გაბრაზებულმა მურვან-ყრუმ ურიცხვი ჯარით ყველაფერი აარხრა. უთანასწრო ბრძოლაში ძმები ტყვედ ჩაიგდეს და სიკვდილით დასაჯეს ურჩი ქრისტიანები. ისინი წმინდა კოზმასა და დამიანეს ტაძრის მახლობლად, მდინარის პირას გაიყვანეს, სასტიკად გვემეს და მდინარეში გადაყარეს. მოწამეთა ნაწილები წყალწითელას ნაპირზე მდგარ მურვან-ყრუს მიერ დანგრეულ ეკლესიაში დაკრძალეს. ბაგრატ IV-ის მეფობამდე (1027-1072) დავითისა და კონსტანტინეს საფლავები დაფარული იყო, მხოლოდ მისი ბრძანების შემდეგ აშენდა მონასტერი, სადაც წმინდანთა უხრწნელი ნაწილები დაასვენეს. მათ ღვთისაგან კურნების მადლი მიიღეს და მორწმუნეებს სულიერი თუ ხორციელი ტკივილისგან აღადგენენ.

ვინ იყო ერისკაცობაში სასწაულთმოქმედი წმინდა ონოფრე გარეჯელი?

წმიდა ონოფრე გარეჯელი, სასწაულთმოქმედი, ერისკაცობაში ქართველი აზნაური ოთარ მაჭუტაძე, მდიდარი და სახელგანთქმული კაცი იყო. იგი ყველასგან გამოირჩეოდა საოცარი და დიდებული სტუმართმოყვარეობით, უცხოთა შემწყნარებლობით, გლახაკთა მიმართ მოწყალებით, გაჭირვებულთა ნუგეშისცემით.

ნეტარი ონოფრე მშვიდი, მდაბალი, მორჩილი და დაუცხრომელი მოღვაწე იყო. იგი ღამის მყუდროებაში გულმხურვალედ ლოცულობდა, ცისკრის შემდეგ კი ხევში ჩადიოდა, სადაც არანაირი ხმაური არ აღწევდა და იქ აგრძელებდა ფსალმუნების კითხვას, გარდასული ჟამის ცოდვებზე გლოვას. მხოლოდ წყალსა და პურს იღებდა ხოლმე, ისიც – მწუხრის ლოცვის შემდეგ, სხვას არაფერს ჭამდა. ნეტარი ონოფრე ისე დასნეულდა, ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. ძმები ევედრებოდნენ, ლოგინში ჩაწოლილიყო და თავი სასთუმალზე მიედო. მაშინ ნეტარმა მათ პირველად გაუმხილა: „აღთქმა მიქმნიეს, რათა იყოს აღსასრული ჭილსა ამას ზედა“... ნათლისღების დღესასწაულზე, საღვთო ლიტურგიის შემდეგ, წმინდანს მართალთა ძილით მიეძინა. ონოფრე გარეჯელის ნეშტი საკურთხევლის სარკმელთან, წმინდა დავით გარეჯელის საფლავის სამხრეთით დაკრძალეს.

წმინდა ქეთევან წამებულის სხეულის ნაწილები

ბოლო წლებში ბევრჯერ დაიწერა ქეთევან წამებულზე, რომლის მოწამეობა ერთ-ერთი ყველაზე სამაგალითოა საქართველოს გმირულ და მოწამეობრივ ისტორიაში. როგორც ცნობილია, წმინდანის ნაწილებზე ყოველთვის მიდიოდა ნადირობა. მისი ნაწილები, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, წაღებულია ინდოეთში, პორტუგალიაში და კიდევ სხვაგანაც. წამების თვითმხილველ ფრანგებს კი წმინდა ნაწილები ჯერ კათოლიკურ მონასტერში დაუსვენებიათ, შემდეგ კი კახეთში წამოუბრძანებიათ მის შვილთან — თეიმურაზთან. წმინდანის თავის ქალა, მკლავი და კიდევ სხვა ნაწილები თეიმურაზ მეფეს ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარში დაუკრძალავს დიდი პატივით.

ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

კახეთის ბახტრიონის აჯანყების გმირებს 1659 წელს, ალავერდობის დღესასწაულზე, უზენაესმა შთააგონა, სპარსული უღლის გადაგდების შემდეგ სპარსეთის შაჰს სწვეოდნენ და იქ ეგოთ პასუხი სპარსული მეციხოვნეების განადგურების გამო. შაჰმა მათ ჯერ რწმენის შეცვლა მოსთხოვა, მაგრამ უარის მიღების შემდეგ ბიძინას შესაშინებლად, შალვას და ელიზბარს თავები მოჰკვეთეს, თუმცა ბიძინა მაინც ვერ გატეხეს და ჯერ თითები მოჰკვეთეს, შემდეგ ხელები მოაჭრეს მაჯაში და ფეხები — კოჭებამდე. ბოლოს შუბი აძგერეს გულში. მათ თავი სამშობლოს და ქრისტიანობას შესწირეს. ქართულმა ეკლესიამ ქრისტესთვის და სამშობლოსთვის წამებული რაინდები იკორთის ივერიის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში დაკრძალეს და დიდებულ წმინდანთა რიგებს შეუერთდა.

სულის საცხოვნებლად

- ვინც წმინდა ბარძიმთან რაიმე ვნებით შეპყრობილი მივა, ის იუდაა და თვალთმაქცურად ემთხვევა განკაცებულ უფალს.
- უფალი ჩვენთან არის. ამას თვალნათლივ მისი ღვთიური, ცხოველმყოფელი საიდუმლოებები ადასტურებენ, რომელთა საშუალებითაც ხელებით ვეხებით მაცხოვრის ჭრილობებს.
- წმინდა საიდუმლოთა ჭეშმარიტების თავდები თავად ქრისტეა. ესაა ჭეშმარიტება ყოფით სამყაროში. განწმენდა ცოდვათაგან — ზიარებით მიღებული მშვიდობა და გულის სიხარული.

• ვინც ხანგრძლივად არ ეზიარება წმინდა საიდუმლოებებს, მისი სული უბედურდება და ცოდვებით იხრწნება. ეს ხრწნა სულისა მით უფრო ღრმავდება, რაც უფრო დიდხანს არ ექნება ადამიანს ურთიერთობა სიცოცხლის მომნიჭებელ წყაროსთან.

• ერთ-ერთი უდიდესი სასწაული უფლის სასწაულთაგან ისაა, რომ შემოქმედმა და ღმერთმა ჩემმა ცოდვით გახრწნილი ჩემი არსება აღადგინა, გარდაქმნა ისე, როგორც პურსა და ღვინოს გარდაქმნის ევქარისტიის ჟამს თავის სისხლად და ხორცად, ცეცხლს – ცვარად.

• წმინდა საიდუმლო სულის თაფლია, სიცოცხლის მომნიჭებელი წყაროა. სასოების რა სიმდიდრეა! როგორი ლოცვებია!

• მთელი ძალით შეეცადე, რომ ყველა საიდუმლოს აღსრულების ჟამს იყო მოკრძალებული. შენთვის თქვი: „ეს უფლის საიდუმლოა, მე მხოლოდ მისი უღირსი მონაწილე ვარ", თორემ ჩვენს ამაყ გონებას ღვთიური საიდუმლოს გამოკვლევაც სურს და თუ ვერ გამოიკვლევს, მაშინ უარყოფს როგორც მისი უღირსი გონებისათვის შეუფერებელს.

წმინდა იოანე კრონშტადტელი

კატეხიზმო

(წერილი 2)

– რაში მდგომარეობს სასოება ღვთის მიმართ?

– ჩვენი სასოება უნდა იზომებოდეს არა ტევადობით ან მოცულობით, არამედ უფლის პირით, რომელსაც მიემართება. თუკი ვინმე აკმევს, ან კითხულობს, ან გალობს, ან სხვა რამეს აკეთებს, რამდენადაც დაუდევრად აღასრულებს საღვთო საქმეს, ასევე დაუდევრად განიკითხება მსაჯულთა მიერ. ისევე არის ეკლესიაში მყოფთათვისაც: დგას ვინმე ლოცვაზე, მეტანიას აღასრულებს, სანთელს ანთებს, სეფისკვერს ჭამს – თუ ყოველივე ამას აკეთებს დაუდევრად, რამდენსაც სცოდავს, ისეთსავე სამსჯავროს იმსახურებს.

– როგორ შევხედოთ მას, ვინც არ ამბობს აღსარებას და არ ეზიარება?

– დაიწერე გულის ფიცარზე: ვინც გაურბის წმინდა საიდუმლოებებს, ის მადლგაცილებულია, ანუ არა აქვს სულიწმიდის მადლი. ვისაც არა აქვს სულიწმიდის მადლი, ის არ არის ქრისტესი.

– რატომ არის, რომ მონასტერში ყოფნის შემდეგ მრავალი ვერ იღებს სულიერ სარგებლობას და განკითხავს მათ?

– იცოდეთ, რომ ყოველ მონასტერში ორი ცხოვრება მიედინება: ერთი – ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული – დადიან, ლაპარაკობენ, ჭამენ, სვამენ, სძინავთ და ასე შემდეგ; და მეორე – საკუთრივ მონასტრული – ლოცვა, მარხვა, უფლის სიტყვის კითხვა, საუფლო აზროვნება, ვნებებთან ბრძოლა. თვალსაჩინო მხოლოდ პირველია, ხოლო მეორე უხილავია და საგანგებოდ იფარება, თავისიანებისთვისაც კი, და არა მარტო მოსულთათვის, როგორც შენა ხარ. თუ მას არ იხილავ, მაშინ დაასკვნი: რა

არის ეს, მონოზნობა? რისთვის კიცხავენ ბერებსა და მონოზნებს? იმიტომ, რომ ხედავენ ცხოვრებისეულ მხარეს; მონოზნურს, ნამდვილს კი ვერ ხედავენ, როცა მონასტერში იმყოფებიან, როგორც მხოლოდ დამთვალიერებლები.

— *შეიძლება თუ არა ლოცვა ლოცვანისა და ფსალმუნის გარეშე?*

— ფსალმუნისა და ლოცვანის გარეშე არ შეიძლება. ამით ისე თბება გული, როგორც შეშის შეკეთებით ძლიერდება ჩანავლული ცეცხლი. მაგრამ, როდესაც გული აენთება და რაიმე გრძნობა მთლიანად მოედება სულს, მაშინ კითხვა უნდა შეწყვიტო და ილოცო შენი სიტყვებით.

— *სად ვეძიოთ შეგონება?*

— შეგონება ეძიეთ წიგნებსა და ლოცვაში... თუ გყავს ანგელოზი-მფარველი, უფალი უბრძანებს მას, რაც საჭიროა, ის უთხრას შენს სულს.

— *რისთვის არის სასარგებლო იესოს ლოცვა?*

— „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!" — ლოცვის ეს სიტყვები, რომელიც სხვა ლოცვებს ჰგავს და თავისთავად არაფერს განსაკუთრებულს არ შეიცავს, სინამდვილეში მთელ ძალას იკრებს იმის მიხედვით, თუ როგორი განწყობით აღავლენენ მას. მისი ნაყოფი კი არის აზრის მოკრება, სასოება და უფლის შიში; სიკვდილზე ფიქრი, ზრახვათა ალაგმვა და გულის სითბო. ყოველივე ეს არის ბუნებრივი ნაყოფი შინაგანი ლოცვისა... იესოს ლოცვის აღსრულებისას ღვთივ ფიქრი მაინც აუცილებელია: წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არის მშრალი საზრდო. კარგია, თუ ვინმეს ენაზე მიეკერება იესოს სახელი, მაგრამ ამ დროს, შეიძლება, არ გახსოვდეს უფალი და აზრი მის საწინააღმდეგო მიმართულებით გაგირბოდეს.

— *რომელი დროა საუკეთესო ლოცვისთვის?*

— ღამეა საუკეთესო დრო ლოცვისთვის... განსაკუთრებით — შუაღამე.

— *შეიძლება თუ არა სახარების კითხვა დამჯდარ მდგომარეობაში?*

— დამჯდარი კითხვა შეიძლება ოღონდ სასოება არ შეამცირო.

— *ვის უწოდებს წმინდა წერილი ბრძენს?*

— წმინდა წერილი ბრძენს უწოდებს იმათ, ვინც ყურს უგდებს რჩევას, თუნდაც ეს რჩევა ერში ბრძნულად არ მიაჩნდეთ.

— *კარგია თუ არა ლოცვა იმ მოღვაწეთათვის, ვინც მიწიერ ცხოვრებაში ჯერ არ განდიდებულა?*

— უფლისათვის სასიამოვნოა მისთვის სათნო გარდაცვლილებისათვის ლოცვა. ჩვენი ლოცვა შუამდგომლობს, რათა მათ მიენიჭოთ მეტი დიდება, ხოლო ისინი ლოცულობენ ჩვენთვის უფლის წინაშე.

— *რატომ აქვს ცხოვნებისათვის დიდი მნიშვნელობა განსჯას?*

— ყოველ კეთილ საქმეს ელის საშიშროება, რომ იგი უნაყოფო იქნება ჩვენი ცხოვნებისათვის. ეს მაშინ მოხდება, თუ განსჯეა არ არის სულისმიერი, ან კაცი შეუდგება ისეთ ღვაწლს, რომელიც მის სულიერ ძალებს აღემატება, ან ხელს ჰკიდებს ისეთ საქმეს, რომელიც არავის არ სჭირდება, ან აკეთებს ისე, რომ მისი არასწორი გარჯით საჭირო და სასარგებლო საქმე უსარგებლოდ იქცევა. ეს კი ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ მის სიკეთეს ეპარება მტერი და ძარცვავს მას პატივმოყვარეობის, ანგარებისა და თვითდარწმუნებულობის მეშვეობით.

— *როგორ უნდა ლოცვად დგომა?*

— ლოცვად დამდგარი არ უნდა მოეშვა, არ უნდა ინაცვლებდე ფეხს, არ ეყუდებოდე კედელს ან სვეტს, ხელები წესიერად დაიკრიფო, ფეხები სწორად დადგა და არ ყანყალებდე, თავი არ ატრიალო აქეთ-იქით, ოდნავ დახარო, გონება არ დაფანტო ცნობისმოყვარეობით, არ გაერთო იმათი სმენით, ვინც ერთმანეთს ეჩურჩულება; მზერა და სმენა უნდა მოიკრიბო და ყური უგდო ლოცვის სიტყვებს, რათა ერთიც არ დაგეკარგოს ურგებად. თუ ამგვარ ყოფას მიაჩვევ შენს თავს, მალე მიაღწევ წარმატებას კაცობრივი სრულყოფილების საქმეში. ღმრთისმსახურების დასრულების შემდეგ მაშინვე ნუ დაიწყებ საუბარს, არამედ დაიდუმე და გონებით განშორდი სხვებს ასეთი ფიქრით: „რა უნდა ვთქვა კარგი მე, როცა ასეთი უწმინდური და უგუნური ვარ, როცა არა ვარ ღირსი იმისა, რომ წარმოვთქვა და ვისმინო რაიმე, ან ვითვლებოდე კაცთა შორის?“

— *რისთვის არის საჭირო ეპიტემია?*

— უფალმა უბრძანა კეთროვანს, აღესრულებინა ყოველივე კანონის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ აღსარებით უნდა მიეღო ეპიტემია და ერთგულად შეესრულებინა ის; მასში დაკრძალულია უდიდესი დამცავი ძალა.

— *რა არ უნდა გიხაროდეს?*

— ზარმაცმა შეწყვიტა შრომა და უხარია უქმე დღის დადგომა. მას უხარია თავისი სიზარმაცის ზეიმი და არა საუფლო დღე; თავქარიანი დიაცი კეკლუცად მოირთო და უხარია დღესასწაული. მას თავისი ამაოდ ყოფნა უხარია და არა საუფლო დღე; მსუნაგი და ლოთი შესცქერის სადღესასწაულო სუფრას და უხარია წინასწარ. მას თავისი სტომაქისათვის უხარია და არა საუფლო დღე.

— *როგორი შეკითხვაა სულისათვის მავნებელი?*

— ამის მსგავსი შეკითხვები — რამდენად დიდია ღმერთი? რა არის მისი საზომი? — საშიშია შემკითხველისათვის და ძნელია იმისთვის, ვინც უნდა უპასუხოს. მდუმარება საუკეთესო პასუხია ამ კითხვებისა.

გრაალის თასი

დიდი საიდუმლო და დიდი მისტერიის სიმბოლო. ეს არის ფიალა, რომლითაც სვამდა საიდუმლო სერობის დროს იესო ქრისტე, შემდეგ კი იოსებ არიმათელმა ამ ფიალაში დააგროვა ქრისტეს სისხლი, როდესაც მაცხოვარი ჯვრიდან ჩამოხსნა. აღმოსავლური ტრადიციული გადმოცემით, ეს არის დიდი ძვირფასი ქვა ჩინტამანი.

ეზოთერული მოძღვრება მოგვითხრობს, რომ ეს ქვა მოთავსებული იყო ულამაზეს კიდობანში და მსოფლიოში დაატარებდნენ. ამ ქვის პატარა ნატეხი ჩასმულია ბეჭედში, რომელსაც ჩინტამანის ძალა გააჩნია და თუ მსოფლიოზე ბატონობა არა, მას ფანტასტიკური წარმატების მოტანა შეუძლია. ეს ქვა ძველი ატლანტიდიდან მოდის, გადასცემდნენ მეფეებს, გმირებს და არასოდეს მოხვედრილა ბოროტმოქმედების ხელში. მას ამაოდ ეძებდა ჰიტლერი და „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებში ნათქვამია, რომ ეს ქვიანი ბეჭედი ეკუთვნოდა სულეიმან-იბნ დაუდს, იგივე ბრძენსა და მეფე სოლომონს.

ეზოთერიკის თანახმად, ყოვლისშემძლე ქვა გამოგზავნილია ორიონის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი მაღალი ცივილიზაციის მქონე პლანეტის მცხოვრებთა მიერ, რომლებმაც გამოაგზავნეს ეს ქვა ანუ მეტეორიტი და გააჩნდა ენერგიის კოლოსალური კონცენტრაცია.

ის, ვინც შევა ამ ენერგიასთან კონტაქტში, ამ მეტეორიტის საშუალებით შეუძლია მიწვდეს საწადელს. მაგრამ, რადგანაც ქვა გამიზნული იყო არა ეგოისტური მისწრაფებების მქონე დედამიწელებისათვის, არამედ კურთხეულთათვის, უფრო სწორად, იმ სხვა სამყაროელთათვის, რომლებიც უკვე იყვნენ დედამიწაზე და ეხმარებოდნენ ადამიანებს თავის დიდ სავანეში ყოფნის დროს. ეს სავანე კი ტიბეტშია, სადაც აღმოსავლური კოსმოლოგიის თანახმად დაეცა ქვა, – შამბალაში.

ერთმა მათგანმა, ვისაც მიენიჭა ამ ქვის დაცვა, მისი წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ თქვა: „ორიონიდან ჩამოვარდნილი ქვა ინახება ძმობაში. მისი ნამსხვრევი იგზავნება სამყაროში, რათა თან ახლდეს მსოფლიო მოვლენებს და თავისი შინაგანი მაგნიტური ძალით დაეხმაროს იმ საძმოსთან შეერთებას, სადაც ქვის მთავარი სხეული დევს". ეს წერილი გადასცეს ცნობილ რუს მოღვაწეს ქალბატონ ელენე რერიხს თავის მასწავლებლებთან ერთ-ერთი ტელეპატიური სეანსის დროს. ჩანაწერი გაკეთებულია 1924 წლის 3 მაისს.

ქვა, რომელიც იმყოფება ღრმა სამალავში ტიბეტის სიღრმეში, ფხიზლად იჭერს ყველა ქარს, რომელიც გადაიქროლებს ადამიანთა სამყაროს თავზე. აღმოსავლეთის კრიპტოგრამები ამგვარად აღწერენ ამ ქვას: „როდესაც ქვა მუქია, მაშინ ღრუბლები მოდიან. როცა ქვა მძიმეა... სისხლი იღვრება, როცა ქვის ზემოდან ვარსკვლავია – წარმატებაა. როდესაც ქვა ტკაცუნობს – მტერი მოდის. როდესაც გვესიზმრება ქვის ზემოდან ცეცხლი, მაშინ მსოფლიო შეზანზარდება.

ნუთუ ლეგენდარული მეფე, ბრძენი სოლომონი ფლობდა ამ ენერგეტიკას, რაც ძევს მის ძალმოსილებაში, მაგრამ ეზოთერიკა მასზე მეტყველებს: „სოლომონი ჩაწვდა სამყაროს მოწყობის საიდუმლოს, დროთა დასაწყისს, დასასრულს და შუას... ყველაფერი სანუკვარი და ცხადი გადადიოდა ჰაერით, მოგზაურობდა დროში", ხოლო მისი ტაძარი, როგორც თანამედროვე ეზოთერიკები თვლიან, იყო დიდი პირამიდის ასლი. მხედველობაშია ხეოფსის (ხუფუს) პირამიდა. ტაძრის პროპორციებში და თითეულ აგურში დაშიფრული იყო იგივე ინფორმაცია, რაც ეგვიპტის კოლოსში. ამიტომ უწოდებდნენ რაინდ ჯვაროსნებს ტამპლიერებს (მეტაძრეები). მათგან მხოლოდ კურთხეულნი და საუკეთესონი ეზიარნენ სოლომონის პირმშოს – საიდუმლო მცნებებს.

ეზოთერული მოძღვრების თანახმად, ქვის ან ქვისთვლიანი ბეჭდის პატრონის უძლეველობა ვლინდება მაშინ, როდესაც მის გვერდით არის ქალი. აქ უკვე მოქმედებაში ერთვებიან ფაქიზი პლოანები! ქალის გარეშე ქვა წყვეტს მფლობელისადმი დახმარებას და სცილდება მას, რომლის აღება თავისი ძალით და სურვილით არავის შეუძლია. ჩვეულებრივად კი, ქვა აღმოჩნდება იმასთან, ვინც, უცხო სამყაროელთა აზრით, შეძლო კაცობრიობის გაერთიანება. ასე მოუვიდა ალექსანდრე მაკედონელს, რომელსაც ჰქონდა სანუკვარი ბეჭედი. მაკედონელმა შექმნა უზარმაზარი და ხანმოკლე დროის იმპერია, ის დაახლოებით ოცი წლის ასაკში ავიდა ტახტზე და ოცდაცამეტის გარდაიცვალა. ორიონის ქვის ეზოთერული შინაარსის აზროვნების თანახმად, მან ზურგი შეაქცია თავის პირველ ცოლს მელისას (სტატირა) და ცოლად შეირთო

დარიოსის ქალიშვილი რაუშიკი (როქსანა), რითაც დინასტიური ქორწინება დააყენა სიყვარულით ქორწინებაზე მაღლა. იგივე ბედი ეწია ნაპოლეონს, როდესაც წმინდა სიყვარული შეცვალა სამეფო დინასტიური სიყვარულით, როდესაც მან მოიყვანა ავსტრიის იმპერატორის შვილი მარი-ლუიზა და არის ცნობები, რომ ყოველივე ამის შესახებ ის გააფრთხილა იდუმალმა უცნობმა მარსელში.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც პატივისცემით ეპყრობოდნენ იდუმალ რჩევას – ჩინგისხანი, თემურ-ლენგი, მონღოლების იმპერატორი აკბარი და ალბათ სხვებიც. აქ ლაპარაკია ასეთ რჩევებზე, რომ, მაგალითად, თემურ-ლენგს ურჩიეს რუსეთზე ლაშქრობა და კიდევაც გააკეთა ასე.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, მხოლოდ გმირებსა და მეფეებს ეძლეოდათ შანსი ჰქონოდათ მფლობელობა და შეხება ამ ბეჭედთან. ამ მასალის ერთ-ერთმა ინფორმატორმა სვიატოსლავ რერიხმა თავის ფერწერაში დედამისი – ელენე. რერიხი ხელზე შესამჩნევი ბეჭდით გამოსახა. იმასაც ამბობენ, რომ ვინც ელენე რერიხს იცნობდა, ყვებოდნენ, რომ მას ჰქონდა უცნაური თილისმა, რომელიც ფერს იცვლიდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ერთად.

ყველაფერი ეს შეიძლება დავიჯეროთ ან არ დავიჯეროთ, მაგრამ ურწმუნოება სასწაულის შესაძლებლობას ვერ დაჩრდილავს, მოგვითხრობენ მისი პროპაგანდისტები.

ახლა კი დავუბრუნდეთ სავანე შამბალას და იქ არსებულ ძმობას, რომელზეც ამბობენ, რომ ისინი – დიდი ძმობა, დიდი ხნის წინათ წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ე. ი. წავიდნენ ყოფიერების ფიზიკური სხეულიდან, მაგრამ მათი ასტრალური სხეულები შამბალაში მუშაობენ. იდუმალი საძმოს სამყოფელი ტიბეტი კი არის ყველაზე უცნაური, ამ სიტყვას პირობითად ვხმარობთ, რადგან ის უცნაური კი არა, უფრო ბევრად მეტია და ასტრალური მუზეუმი, რომლის საუნჯენი შექმნილია ადამიანების მიერ ადამიანური ცივილიზაციის მთელ მანძილზე და მიეკუთვნება მომავალ კაცობრიობას, რომელიც დაივიწყებს დამანგრეველ ომებს, ვანდალიზმს და სხვა შეურაცხმყოფელ გამოვლინებებს სულიერი და კულტურული ფასეულობებისადმი.

ამ მუზეუმი-საცავის ორიგინალობა ის არის, რომ ბევრი ექსპონატი აქ ასტრალურ პლანშია წარმოდგენილი. ამბობენ, რომ ომებმა და სხვა სტიქიურმა კატაკლიზმებმა ბევრი რამ გაანადგურეს და არ იწვის მხოლოდ ხელნაწერები. ამ მუზეუმში ატლანტიდის საუნჯეები ინახება და არის დედამიწის პირველი ცოცხალი არსებების ნიმუშები, რომელთა კლიშეს დანახვა მნახველებს შიშის ზარს გვრის. იქვეა შამოსა და მობის ხალხების ცივილიზაციების რელიკვიები და ისინი ოდესღაც ლეგენდარული ატლანტიდის მეზობლები იყვნენ, ცხოვრობდნენ აყვავებულ ზეგნებზე და მას გოტლი ჰქვია.

ამ ქვეყნის მცხოვრებლები ქალურ საწყის სცემდნენ პატივს და ეს ნიშნავს იმას, რომ ეს იყო მატრიარქატის პიკი. მათი წმინდა სიმბოლოები იყო ძაფი, სიმი და გველი, რომელნიც შეადგენდნენ საკრალურ კავშირს. საცავში არის, აგრეთვე, პლანეტაზე არსებული ყველა მატერიკის მოდელები. არის თანამედროვე მსოფლიოს რუკაც და მასზე ის ენერგეტიკული საზღვრებია მოცემული, რომლებიც რეგიონებს ერთმანეთისაგან ყოფს. არის გაფუჭებული გეგმების კოლექციაც, რომელსაც სამყაროს განუხორციელებელ პროექტებად თვლიან. არის ნაპოლეონისა და ალექსანდრე მაკედონელისადმი მიძღვნილი განყოფილებები.

ყველა ეს ცნობები დაცულია ელენე რერიხის დღიურებში, რომელიც დიდი ხნის პერიოდში ენერგოტელეპატიურ კონტაქტში იყო შამბალას ძმებთან და ასტრალური სხეულით იმოგზაურა საცავში. მაგრამ, როგორც ყველა სხვა, მასაც აკრძალული ჰქონდა ყველაფრის გახმიანება, რაც იქ იხილა და სუფევს. აქვე, ამავე საცავში, ასტრალური სხეულით მუშაობდა ელენე ბლავატსკაია, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება წაეკითხა უძველესი უნიკალური წიგნების გვერდები და მათ შორის, ამბობენ, ალექსანდრე დიდის ბიბლიოთეკის ეგზემპლარებიც.

ერთ-ერთ დარბაზში ინახება დიდი ქვა ჩინტამანი. ეს დარბაზი ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლო დარბაზად რჩება და არის მოსაზრება, რომ ღამით იქ ჩამოდიან უცხოპლანეტელები, რათა იმ ქვის საშუალებით აწარმოონ მედიტირება მთელს კაცობრიობაზე და გაუგზავნონ კაცობრიობას სინათლის, სიკეთის და სიყვარულის ენერგია.

ამ წიგნში თავმოყრილ მასალასთან დაკავშირებით, თემა – ეზოთერიკა და კიდევ ზოგი სხვაც, ზუსტად რომ ვთქვათ, რამდენადმე გადახვევაა, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ ბედის შუბი და ორიონის ქვა (გრაალის თასი, რიცხვთა ღვთაებრივი არსი და ზოგი სხვა წერილი), რომელიც ეზოთერიკულ ჭრილში განიხილება, მაინც ენათესავება წიგნში თავმოყრილ საკითხებს და ქართული სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის საკითხებს.

რუდოლფ შტაინერი გრაალის შესახებ

(მერაბ კოსტავა)

რუდოლფ შტაინერი ერთ-ერთ თავის ლექციაში ამბობს, რომ: წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანილი იქნა აღმოსავლეთში მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, რადგან ევროპაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით აღარ შეიძლებოდა მისი აქ დატოვება. ცხადია, აღმოსავლეთში იგი იმხანად ჯვაროსანთა შორის ყველაზე მაღალი სულიერებით აღჭურვილ მხედრებს და ქურუმებს უნდა წაეღოთ. საგულისხმოა, რომ მეტაძრეებს (ტამპლიერები), გრაალის ძმობის წინამძღვრის, პარსიფალის ნახევარძმებსაც უწოდებდნენ. თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს კერაში, მათ არა მარტო ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ სასულიერო პირებთან, არამედ სპეციალური მისიითაც ჩამოსულან საქართველოში დავით აღმაშენებელთან და შესაძლოა გადაცემაც მაშინ მოხდა. გადმოცემით, გრაალის ბარძიმი გაკეთებული იქნა იმ ძვირფასი ქვისაგან, ოდესღაც ლუციფერის გვირგვინიდან რომ გადმოვარდა დედამიწაზე და მას შემდეგ დიდი ხელდასხმულები ინახავდნენ მას საიდუმლოდ. გრაალის ბარძიმი ის თასია, იესოს ფერდიდან გადმოღვრილი სისხლით რომ აავსო იოსებ არიმათიელმა გოლგოთაზე, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ ევროპაში, ინგლისში, წაიღო იგი. მანამდეც და შემდგომშიც ბარძიმი ვიწრო ეზოთერული წრეების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, მსოფლიოში

ყველაზე მაღალი ინდივიდუალობების მეთვალყურეობის სფეროში.

პირველად გრაალის ბარძიმს ძველ აღთქმაში ვხვდებით, როცა სალიმის მეფე-მღვდელმთავარი მელქისედეკი ბარძიმში ჩადებული პურითა და ღვინით შეეგება ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ აბრაამს. ახალ აღთქმაში გრაალის ბარძიმი საიდუმლო სერობისას გვხვდება პირველად, საიდანაც ქრისტემ მისსავე სისხლად და ხორცად გარდაქმნილი პური და ღვინო უწილადა თავის მოწაფეებს, როგორც აღვნიშნეთ, გოლგოთის მისტერიის შემდეგ იოსებ არიმათიელმა ჩრდილოეთ ევროპაში წაიღო იგი, საიდანაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ბარძიმი მონსალვატის მთაზე და გრაალის რაინდთა ხელში აღმოჩნდა. მონსალვატიდან კი აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან იქნა იგი გადატანილი, რის შემდეგაც საერთოდ გაქრა ადამიანთა თვალთახედვიდან. ზემოთქმულით ერთ მნიშვნელოვან საიდუმლოს ეხდება ფარდა: თუ რატომ ეწოდა მეფე-მღვდელმთავარი დავით აღმაშენებელს. მეფე-მღვდელმთავარი, როგორც გრაალის ბარძიმის ძველი მფლობელი, მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფილიყო, ერთდროულად სპირიტუალურ და საერო სფეროში მოქმედებით, უმაღლეს დონეზე რომ აერთებდა და ახორციელებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულს და მსახურების მისტერიას. ამ შემკრებ ფუნქციას კი ყველაზე მეტად მეფე-მღვდელმთავრის ხარისხი შეესატყვისებოდა. დავით აღმაშენებელი უმაღლეს დონეზე ამთლიანებდა ორივე საწყისს და თავისი ეპოქის შესაბამისად აკმაყოფილებდა ყველა იმ მოთხოვნილებას, კაცობრიობის წინამძღოლი მანუ რომ უყენებდა ოდესღაც ბრაჰმანებსა და ქშატრიებს, სასულიერო და მაღალი საერო წოდების პირებს ინდოეთში. დავითი ნიადაგ მზად იყო საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვა თვისტომთა კეთილდღეობა, მაცხოვარივით მოყვასისათვის მასაც შთაეღვარა გრაალის ბარძიმში საკუთარი სისხლი, აზროვნებისა და სხვა სპირიტუალური უნარების მეოხებით უშუალო კონტაქტი ჰქონოდა სულიერ სამყაროსთან. ამიტომაც გახლდათ ღირსი გრაალის ბარძიმის ფლობისა. სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი ხარისხი, სახელ იოანესთან ერთად და შესაძლოა მისი ხელდასხმის საიდუმლო რიტუალს ქართველებთან ერთად ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ, რომლებიც შემდეგ ორასი ფრანგი მებრძოლის სახით დიდგორის ბრძოლაში მეწინავის და ბრძოლის ბედის გადაწყვეტის მისიას შეასრულებენ.

აქვე ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, როგორც ძველი აღთქმის ერთ-ერთი ეპიზოდიდან ჩანს, პირველად გრაალის ბარძიმი ადამიანთა წინაშე მამა აბრაამის ხანაში წარმოჩინდა. როგორც ჩანს, მეფე-მღვდელმთავარმა მელიქისედეკმა მარტოოდენ პური და ღვინო როდი შესთავაზა, არამედ გადასცა კიდეც მფლობელობაში ბარძიმი აბრაამს. ასე რომ, ბარძიმი ერთი ხელდასხმულის ხელიდან მეორის ხელში გადავიდა. როგორც მხედართმთავარი და ღვთისადმი ჭეშმარიტი მსხვერპლის შემწირველი, ბიბლიური აბრაამიც აერთიანებდა თავის თავში მეფისა და მღვდელმთავრის თვისებებს. ბიბლია გვამცნობს, რომ ერთი მეტად მაღალი ინდივიდუალობა, აბრაამი, შუმერთა ქალაქ ურიდან გამოვიდა და საფუძველი ჩაუყარა სემიტურ ეროვნებათა ოჯახს, რაც ანთროპოსოფიური მონაცემებით 3000 წელს მოხდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მისი გამოსვლა დაემთხვა სულიერ მეცნიერებაში კარგად ცნობილი უზარმაზარი ეპოქის, კალიიუგას დასაწყისს. კალიიუგა ნათელხილვის დაკარგვასთანაა დაკავშირებული, შორეულ წარსულში, რომ გააჩნდათ ადამიანებს, რის

გამოც ისინი საფუძვლიანად მოსწყდნენ სულიერ სამყაროს და მის ხარჯზე ფიზიკური სამყაროს ორ ძირეულ ფაქტორში, დროსა და სივრცეში დამკვიდრებით მე-ცნობიერება განავითარეს, რადგან განგების მიზანი დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამიანი გახლდათ. ძველი აღთქმა ადასტურებს, რომ თანდათან სულ ნაკლებად ერეოდნენ სულიერი არსებები ადამიანთა საქმეებში. მხოლოდ განსაკუთრებით წინ წასული ინდივიდუალობები ავითარებდნენ მე-ცნობიერებასთან, ძლიერ აზროვნებით უნართან ერთად მაღალ სპირიტუალურ უნარებსაც, სულიერ სამყაროსთან კონტაქტის დასამ-ყარებლად. დანარჩენებისათვის კი თავი გაიუჩინარა სულეთმა და მაღალი სულიერი არსებები დიდი ხანია რაც აღარ ეცხადებოდნენ ადამიანებს, რამაც ათეიზმამდე მიიყვანა მრავალი, განსაკუთრებით ისინი, ვისაც რწმენის ამარა დარჩენა აღარ აკმაყო-ფილებდა, მაგრამ ცოდნის წიაღში ჯერ კიდევ ღრმად არ იყო შესული.

როგორც თანამედროვე სულიერი მეცნიერება ანთროპოსოფია გვაუწყებს, კალიიუგა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში დასრულდა და დაიწყო სულიერი სამყაროსაკენ ხელახალი მიბრუნება, რაც სულ უფრო და უფრო ინტენსიურდება მომავალში. ძველი დროისაგან განსხვავებით მაღალ არსებებთან კონტაქტის დამყარება უფრო მეტად ადამიანის ინიციატივაზე იქნება დამოკიდებული, რადგან თვით ყველაზე საკრალურ სპირიტუალურ პროცესებში არ უნდა გამოირიცხოს თავისუფლების არანაკლებ საკრალური მომენტი. ასეთია მაღალი სულიერი არსებების სურვილი და განუზომელია იმ ადამიანთა მადლიერების გრძნობაც, ვინც უწყის თავისუფლების ყადრი. ზემოთ აღნიშნულით ჩვენ ხაზი გავუსვით იმ ფაქტს, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი კალიიუგა დასაწყისში აიარეკლა პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ხოლო კალიიუგას ბოლო ათასწლეულში კი გაქრა ადამიანთა თვალთახედვის არედან და მისი უკანასკნელი მფლობელი, მეფე-მღვდელმთავარ იოანედ სახელდებული დავით აღმაშენებელი ისეთივე მაღალი ინდივიდუალობა გახლდათ, როგორიც ბარძიმის ადრინდელი მფლობელები იყვნენ.

ახლა კი, წმინდა გრაალის ბარძიმთან დაკავშირებით, ერთ ამბავსაც მივაქციოთ ყურადღება და ისევ დავუკვირდეთ დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული გელათის ტაძრის ფრესკებს. ბევრი დრო არ დაგვჭირდება იმის დასადგენად, რომ გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს. ტაძრის კედლებზე გამოსახულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბარძიმები, სხვადასხვა სულიერ იერარქიათა წარმომადგენლებს რომ უპყრიათ ხელში. მსგავს შემთხვევას, არც ერთი ტიპის ფრესკულ მხატვრობაში არ შევხვედრივართ (ვგულისხმობ ამ მოტივის ვარიაციათა მრავალფეროვნებას). აშკარა ხდება, რომ გელათის ტაძარი გრაალის ბარძიმის მოტივისადმია მიძღვნილი, წმინდა გრაალის საიდუმლოებასთანაა დაკავშირებული, რაც მთელი სიმძაფრითაა გადმოცემული საკურთხევლის მოზაიკურ კომპოზიციაში, სადაც ბარძიმი პირდაპირ იესო-ემანუილის შუბლზეა გამოხატული. ეს კი უპრეცეუნიკალური დენტო მოვლენაა მსოფლიოს ფრესკული ხელოვნების ისტორიაში.

ამასთან დაკავშირებით, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუკი გავიხსენებთ წმინდა გრაალის ბარძიმთან დაკავშირებულ იმ საიდუმლოს, ანთროპოსოფიის ფუძემ-დებელი რუდოლფ შტაინერი რომ გვამცნობს. თავის ერთ-ერთ ლექციაში იგი აღნიშნავს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული

ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, ეპიფაზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული. თუ კვლავაც და კვლავაც გავითვალისწინებთ, რომ ქართულ საეკლესიო ფერწერაში ნებისმიერი სიმბოლო და მათი გამოსახვის ადგილი შემთხვევითი არაა და ღრმა შინაარს შეიცავს, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წმინდა გრაალის ბარძიმის მფლობელებმა მასთან დაკავშირებული ყველა საიდუმლო იცოდნენ, აღარ უნდა გაგვიკვირდეს დავით აღმაშენებლისა და მისი გარემოცვის ამ თუ იმ ეზოთერული საიდუმლოს ცოდნა, გელათის ტაძრის საკურთხევლის მხატვრობაში რომ აისახა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვალსაჩინო ხდება დასავლეთ ევროპისა და ქართული რაინდული მიმდინარეობის სულიერ წყაროთა იდენტურობა, თვალსაჩინო ხდება აგრეთვე სპირიტუალური მიღწევებისა და პოლიტიკური ძლიერების თანხვედრილობა საქართველოში, დავითის და თამარის ეპოქაში რომ ჰქონდა ადგილი. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ იმჟამინდელი საქართველოს პოლიტიკური ძლიერება თავდაცვითი სტრატეგიის მაღალმა ორგანიზებამ განაპირობა, რომელიც შეტევით სტრატეგიასა და აგრესორობაში არ გადაზრდილა. მაღალი სპირიტუალური დონე ამგვარივე დონის ჰუმანიზმსაც გულისხმობდა და გამორიცხავდა ნებისმიერ უსამართლობას საგარეო პოლიტიკაში. თუ დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველო აშკარად უჭერდა მხარს აზიაში შეჭრილ ჯვაროსანთა მხედრობას, არაბულ-სპარსულ-სელჯუკური კოალიციის ძალმომრეობას ფრთებს აკვეცდა, მათ მიერ მიტაცებული ქართული და სომხური მიწების განთავისუფლებით აღმოსავლეთის საქრისტიანოს ძველებურ იერს უბრუნებდა, უკვე თამარ დედოფლის ეპოქაში, როცა ჯვაროსნებმა ერთობ შეავიწროვეს მშვიდობიანი არაბული მოსახლეობა, როცა კონსტანტინოპოლის სამარცხვინო დარბევითა და გაძარცვით აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენეს ქრისტიანობის ერთ-ერთ ბურჯთაგანს აღმოსავლეთში და მთელს მსოფლიოს დაანახეს, რომ მათ შორის გარკვეულ ნაწილს ქრისტიანული სულისკვეთება როდი ამოძრავებდა, არამედ სიხარბე და ანგარება, როცა თავიანთი მოქმედებით ნათელყვეს, რომ მათი უმრავლესობა შორს დგას ცხოვრების იმ წესისაგან, მეფე არტურის, პარსიფალის და ტაძრელთა რაინდულმა ძმობებმა რომ უანდერძეს მათ, როცა მათი ძალმომრეობით აღშფოთებულმა ეგვიპტის სულთანმა სალადინმა თვისტომთა დასაცავად სამართლიანი ომი წამოიწყო ჯვაროსანთა წინააღმდეგ, ქართულმა დიპლომატიურმა ალღომ სულთანის მხარე დაიჭირა. დიდად ცდება, ვისაც ჰგონია, რომ თამარის სამეფო კარი ამ შემთხვევაში შეცდა, რადგან უფრო სიმართლის და არა უსამართლო ერთმორწმუნის მხარეზე დადგომაშია ჭეშმარიტი ქრისტიანობა. თამარს, დავით აღმაშენებლის პოლიტიკიდან არ გადაუხვევია, რადგან აღნიშნულ სიტუაციაში დავითიც ამგვარადვე მოიქცეოდა. ეროვნული ღირსებისა და ტრადიციული რელიგიური ფორმისადმი ორგულების გარეშე, მოყვასის სიყვარულის გაგება საქართველოში შორს სცილდებოდა ეროვნული შეზღუდულობისა და რელიგიური დოგმატიზმის საზღვრებს და უკვე იმ დროში ლესინგის „ნათან ბრძენისეული" გაგების მასშტაბებს უტოლდებოდა.

შეპიაკი. X ს.

ბიბლიური შუბი

(ბედის შუბი)

„მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა მას ფერდი და მყისვე გადმოსკდა სისხლი და წყალი. მხილველმა დაადასტურა ეს და მისი მოწმობა ჭეშმარიტია: მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს, რათა თქვენ ირწმუნოთ, რადგან ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო წერილი: „მისი ძვალი არ შეიმუსრება“. „ასევე სხვა წერილიც ამბობს: შეხედავენ მას, რომელიც განგმირეს“ იოანე 19. 34-37.

სახარების ამ ფრაგმენტში მონაწილეობს რომაელი მხედარი გაიუს კასიუსი, რომელიც თვალის კატარაქტის გამო ჩამოცილებული იყო სამხედრო საქმიანობას და პილატეს დავალებით აკვირდებოდა იესოს მოქმედებას, გრძნობდა მის ღვთაებრივ ძალას და იყო აღფრთოვანებული, მან კი შუბი ჩასცა იესოს ფერდში, რათა ტანჯვითი სიკვდილი აეცილებინა და ჭრილობიდან სისხლმა და წყალმა გადმოსჩქეფა. იესოს ტანჯვის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობდა, რომ, რადგან შაბათ დღეს ებრაული კანონის თანახმად, ადამიანის მოკვდინება აკრძალული იყო და ახლოვდებოდა იუდეველთა დღესასწაული შაბაში, იუდეველმა უხუცესებმა პილატე პონტოელს მოსთხოვეს ჯვარცმულისათვის დაემტვრია ძვლები, რათა მისი გარდაცვალება საღამომდე მომხდარიყო და ამასთანავე დაემტკიცებინათ მაცხოვრის არაღვთაებრივობა და ჩვეულებრივი მოკვდავობა. ამ დავალების შესასრულებლად გოლგოთაზე წავიდა იუდეველთა ჯარის კაპიტანი, ჰეროდე ანტიპას სამეფო შუბით, რომელიც ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ფინურსმა, რომელიც ებრაელთა სინედროინში რიგით მესამე მღვდელმთავარი იყო კაიფასა და ანანოს შემდეგ, მოითხოვა ძალაუფლების შუბით ჯვარცმულის განგმირვა.

ჰეროდე ანტიპას ძალაუფლების სიმბოლო – შუბი, ჯერ ისუ-ნავუს ძეს საკუთრება იყო იერექონის ალყის დროს. ეს შუბი ესროლა შურით დაბრმავებულმა საულმა დავითს და ჰეროდე ანტიპას ხელში აღმოჩნდა, იმიტომ, რომ მისთვის არ წაერთვათ ძალაუფლება, რადგან წინასწარმეტყველების მიხედვით უნდა დაბადებულიყო იუდეველთა მეფე-მაცხოვარი და მას ნაბრძანები ჰქონდა ჩვილთა ამოწყვეტა.

მაცხოვრის ჯვარცმის პროცესი კი იმდენად ძნელი იყო საყურებლად და განსაკუთრებით მაშინ, როცა ძვალი უნდა დაემტვრიათ, თავის ქალა და სხვა ადგილები, ყველამ ზურგი აქცია და მხოლოდ გაიუს კასიუსი უყურებდა, რომელმაც ტანჯვის გაიოლების მიზნით შუბი უგმირა ფერდში და კატარაქტიანი თვალის სნეულება უეცრად განეკურნა.

ამ დროს კი, სადაც კაიაფა და ანანო იესოს სიკვდილს ელოდნენ, სამსხვერპლო კულტი გასკდა და გამოჩნდა შიგ მოთავსებული კუბოს ფორმის შავი ქვა, რომელიც იქ ძველი აღთქმის პერიოდიდან იდო. ცოტა ხნის შემდეგ ქვა დაიშალა და წარმოიქმნა ჯვარი, რაც ძველი სამყაროს დასასრულს და ახლის დასაწყისს ნიშნავდა. ღვთაებრივი

შუბი კი ამ მოვლენის მატერიალური მტკიცება იყო, ისევე, როგორც მაშინ, როცა ურწმუნო თომას უჩვენებს შუბით მიყენებულ ჭრილობას, რათა დაუმტკიცოს მისი ამქვეყნად მოვლენა, რომ ის არის.

მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ გაიუს კასიუსი მოინათლა და გახდა ებრაელთა თემის ერთ-ერთი აქტიური ქრისტიანი, რომელსაც უწოდეს ლონგინი, ანუ კაცი შუბით. მაცხოვრის ფერდიდან წამოსული წმინდა სისხლი და წყალი იყო კავშირი ღმერთსა და ცოდვილ ადამიანს შორის და ამისთვის დაამაგრეს ამ შუბზე ქრისტეს სხეულზე გამოყენებული ერთი სამსჭვალი (ლურსმანი). „ესენი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმერთისა და რათა მორწმუნეთ გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით". იოანე 20-31.

1912 წელს, ადრეული ბიზანტიისა და შუასაუკუნეების ხელოვნების ექსპერტმა ვალტერ შტეინმა ვენის ერთ-ერთ მაღაზიაში „პარსიფალის" მოძველებული გამოცემა შეიძინა, სადაც XIII საუკუნეში დაწერილ წიგნში აღწერილია წმინდა ფიალის ისტორია, საიდანაც მაცხოვარი საიდუმლო სერობის ღამეს ღვინოს სვამდა. შტეინმა მაღაზიის პატრონს სთხოვა, რომ შეეხვედრებინა წიგნის ყოფილი პატრონი, რომელსაც წიგნის ფურცლებზე კომენტარები ჰქონდა გაკეთებული და ისინი მოიცავდა ოკულტისტურ მიმართულებებს, ტევტონთა და ჯვაროსანთა შთამომავლობის უპირატესობას სხვა რასებთან შედარებით.

რამდენიმე დღის შემდეგ შტეინი ხვდება წიგნის ძველ მფლობელს ადოლფ შიკლგრუბერს, შემდგომში ადოლფ ჰიტლერს, რომელმაც აუწყა, რომ რიჰარდ ვაგნერის ოპერის შემდეგ გაუჩნდა ოკულტისტური მოძღვრების ძირფესვიანი შესწავლის სურვილი და ამ მიზნით იგი, ჰიტლერი 1909 წლიდან გახდა დოქტორ იორგ ლანც ფონ ლობენფელსის მოძღვრების მიმდევარი, რომელიც განუდგა ქრისტიანობას და ახალი კულტი დააარსა. ბერი იორგი, დუნაის პირას მდებარე ციხე-სიმაგრეში აზიარებდა თავის მოწაფეებს ოკულტიზმის და მისტიციზმის პრაქტიკულ მაგიას. სწორედ ამ საუბრებში მოისმინა ადოლფმა ხსენებული შუბის შესახებ და მან ძალზედ სწრაფად იწამა შუბის ძალაუფლების აღჭურვილობა და არგუმენტად მოჰყავდა, რომ კარლოს დიდს და მის შთამომავლებს, გადმოცემის თანახმად, ამ შუბის ძალით 47 ბრძოლა ჰქონდათ მოგებული, ხოლო გარდაცვალების წინადღეს კი იმპერატორს შუბი ხელიდან გავარდნია, რაც ყოფილა მისი ამ ქვეყნის დატოვების ნიშანი. მეორე იმპერატორმა – ჰენრიხმა, მეტსახელად მეჩიტბატემ დაისაკუთრა ეს შუბი, რომლითაც შეძლო პოლონელების გაძევება აღმოსავლეთ გერმანიიდან და დააარსა საქსონთა სამეფო დინასტია. XV საუკუნეში, წმინდა შუბით შეიარაღებულმა ფრიდრიხ ბარბაროსმა დაამარცხა იტალიელთა არმია და რომის პაპი ვატიკანიდანაც გააძევა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ჰიტლერმა მოახერხა ამ შუბის ნახვა ვენის ჰოფსბერგის მუზეუმში და აღტაცებული უყვებოდა შტეინს, „მე ვიგრძენი დიდი ძალა და მოზღვავებული ენერგია, რომელიც შუბის გარშემო არსებობდა. მე მჯერა, რომ მელის განსაკუთრებული ბედი. სისხლი, რომელიც ჩემში ჩქეფს, ჩემი ხალხის ეროვნულ სულისკვეთებად გადაიქცევა".

შტეინმა თორმეტი წლის შემდეგ შეიტყო, რომ მისმა ყოფილმა მოსაუბრემ ადოლფ ჰიტლერმა – შიკლგრუბერმა ნაცისტური პარტია დააარსა და სიმბოლოდ

ვიკინგთა ჭექა-ქუხილის ღმერთის ტორის ერთ-ერთი ატრიბუტი სვასტიკა აირჩია, რომლის ერთ-ერთი პოპულარიზატორი რელიგიური ლიდერი გვიდო ფონ ლისტი იყო. ძველ ტიბეტში, საიდანაც მზის ტრიალის აღმნიშვნელი ჯვარი ვიკინგებთან მოხვდა, სიცოცხლის მომნიჭებელი სხივების გამოსახულებად და ბედნიერების სიმბოლოდ ითვლებოდა. აი, სწორედ ამ უძველეს ტიბეტურ და შემდეგ ვიკინგების ჯვარს უპირისპირებდა, ევროპაში უკვე გაჩენილი კომუნისტების ვარსკვლავის სიმბოლოს, რომელიც შინაარსით ადამიანის და მიწიერების გამოსახულება იყო. ჯერ კიდევ არავინ არ იცოდა, რომ სვასტიკას თხუთმეტი და წითელ ვარსკვლავს სულ რაღაც სამოცდაათი წლის სიცოცხლე ელოდა.

1933 წელს მიუნხენში მუზეუმის მშენებლობა დაიწყო და საძირკვლის პირველი ქვა ჰიტლერმა ჩადო, რომლის გასწორებას ვერცხლის ჩაქუჩის დარტყმით შეეცადა. უეცრად ჩაქუჩი გატყდა და ადოლფმა ჩაილაპარაკა, „საშინელი ბოროტება მზადაა პირველი დარტყმა მომაყენოს“. რამდენიმე თვე ადგილს ვერ პოულობდა, მაგრამ 1934 წლის იანვარში გამოცოცხლდა და იმავე დღეს შეატყობინეს, რომ ჰაუ ლუდვიგ ტროოსტი მოულოდნელად გარდაიცვალა. ფიურერი და ტროოსტი მეგობრები იყვნენ და ჰიტლერმა ჩაილაპარაკა, „წყევლა მოხსნილია... უნდა მომკვდარიყო ტროოსტი და არა მე“.

დღემდე ბევრმა არ იცის, რომ ჰიტლერი განსაკუთრებული უნდობლობით უყურებდა ჰაინრიხ ჰიმლერს, რადგან ამ უკანასკნელმა ერთხელ წამოროშა, რომ ის იყო ნამდვილი განსახიერება, ძალაუფლების შუბის ერთ-ერთი მფლობელის მეჩიტბატის.

1938 წლის 14 მარტს ფიურერმა განაცხადა, რომ ავსტრიას მესამე რაიხის შემადგენლობაში შეიყვანდა, ხოლო ძალაუფლების შუბი ჰოფსბერგის მუზეუმიდან ესესელთა რაზმებმა უპრეცედენტო დაცვით გაიტანეს ნიურბერგში. თუმცა, დღემდე ამბობენ ასეთივე შუბის ასლი ინახება პარიზში, კრაკოვში და ვატიკანშიც. იშვიათია ისეთი ემოციები, რომელსაც ჰიტლერი ამჟღავნებდა ვენის მუზეუმში არსებული რელიკვიების მიმართ, განსაკუთრებით ძალაუფლების შუბი, რომელიც ნაცისტების სულიერ სასახლეში, წმინდა ეკატერინეს ტაძარში დაიდებდა ბინას. აი, როგორ ასახავდნენ ჰიტლერის შეხებას ამ რელიკვიებთან: „ჰიტლერი ფეხაკრეფით მიუახლოვდა ვიტრინას და მონუსხული დააცქერდა რელიკვიას, დროთაგან გაშავებული რკინის ბუნიკი წითელ ხავერდზე იდო. გრძელი და წვრილი ლითონის საყრდენებს ეჭირა. ბუნიკის ცენტრში, ხვრელიდან უზარმაზარი ლურსმანი მოჩანდა.

სულ მალე ჰიტლერი ისევ ეწვია მუზეუმს, რათა წმინდა შუბისთვის ეცქირა და დალოდებოდა, როდის გაუხსნიდა მას თავის საიდუმლოს“. შემდეგ ისევ მოგვითხრობენ, „ჰაერი ისე დაიხუთა, რომ ძლივსღა ვსუნთქავდი. სამუზეუმო დარბაზის მწველი ატმოსფერო თითქოს ჩემს თვალწინ გაბუნდოვანდა. ამ დროს რაღაც ზეადამიანის მსგავსი ფიგურა გამოჩნდა, რომელსაც უგრძნობი და გულქვა სახე ჰქონდა. ვიდექი მარტო მის წინ და ერთიანად ვკანკალებდი. მოკრძალებით შევთავაზე მას ჩემი სული, რათა ის თავის ნების ინსტრუმენტად მექცია“.

ერთი პერიოდი ასტროლოგი ლუდვიგ შტრანიაკს უფრო მეტად ენდობოდა, ვიდრე ყველაზე წარმატებულ გენერლებს, და ეს იმიტომ, რომ ბედისწერის მოვლენა ძალზე დიდია ჰიტლერის საქმიანობაში.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ჰიტლერმა „ბედის შუბის“ გადამალვა ბრძანა წყალქვეშა ნავ „V 530“-ში, ზოგი ვერსიით, „H 534“-ში, იმ მიზნით, რომ მოეხდინათ მისი ჩაძირვა და მხოლოდ გემის ჩაძირვის კოორდინატების გაგების შემდეგ მოხდებოდა ხომალდის ხელმძღვანელობის ლიკვიდაცია, სხვა ვერსიით ზღვაში უნდა გადაეგდოთ რაიმე ნიშნის დამახსოვრებით.

შუბი 1945 წლის 30 აპრილს, მეშვიდე ამერიკული არმიის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის მიერ იქნა აღმოჩენილი, 1946 წლის 4 იანვარს კი ავსტრიის მთავრობას გადაეცა, სხვა ვერსიით ავსტრიას გადაეცა მისი ასლი, ხოლო ორიგინალი ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ვინ იცის, იქნებ ესეც არის მათი სამხედრო ძალამოსილების მიზეზი. ზოგი წყარო ინგლისელებსაც მიაკუთვნებს ამ შუბს და ასე იყო თუ ისე, 1945 წლის 20 აპრილს ადოლფ ჰიტლერს, იგივე შიკლგრუბერს, 56 წელი შეუსრულდა. ამბობენ, რომ ათი დღის ძებნის შემდეგ, ერთ-ერთი ესესელის დახმარებით, შუბის ადგილსამყოფელს ლეიტენანტ ვილიამ ჰორნის ჯგუფმა მიაგნო. იმავე ღამეს ფიურერმა საკუთარ თავს, მეულლესთან – ევა ბრაუნთან ერთად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და ეს მოხდა ძველი კელტური, წარმართული კალენდრით, ვალპურგის საიდუმლო ღამეს, 30 აპრილს. ჩვენ ყველა ვერსია მოგაწოდეთ, რაც ჩვენს ხელთ იყო, ძალაუფლების სიმბოლოს – ბედის შუბის, იგივე ლონგინოს შუბის შესახებ, რომლის ფლობა, მისტიური ჭვრეტით, უტყუარად წარმოადგენს მსოფლიოში პირველ სამხედრო ძლიერებას.

ჯვარი ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოა

• უფალო, დიდება შენი ჯვრის მარადიულ და მოუღლელ ძალას! როდესაც მტერი ცოდვილი აზრებითა და გრძნობებით მავიწროებს, რწმენით პირჯვარს რამდენჯერმე ვისახავ და ეს სივიწროვე სადღაც ქრება, ცოდვა მეხსნება და თავისუფალი ვხდები.

• რატომ გვეუფლება ჯვრის წინაშე უდიდესი მოკრძალება? რატომ ვიგონებთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ზეციურ ძალთა შემდგომ ლოცვებში მის ძალას? რატომ ვახსენებთ მას წმინდანებზე და ზოგჯერ ზეციურ ძალებზე უწინ? იმიტომ, რომ მაცხოვრის ჯვარცმის შემდგომ იგი ძე კაცის სიმბოლოდ იქცა. მასზე გაკვრით ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები მოაკვდინა და მტრის კლანჭებისგან გვიხსნა, ამიტომაც უდიდესი მოწიწებით ვეთაყვანებით მას. იგი მორწმუნესთვის ის მარადიული ძალაა, რომელიც მას უხილავი მტრის ყოველგვარი მოქმედებისგან იცავს.

• ჯვარი ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოა. ამიტომ მისი ჩრდილიც კი, როგორც ქრისტეს ნიშანი, აშინებს დემონს. წყალკურთხევა, რომელიც ჯვრის ძალით აღსრულდება, მკურნალობის უნარს იძენს და განდევნის ბოროტს.

• როდესაც პირჯვარს გამოისახავ, გწამდეს და მუდამ გახსოვდეს, რომ ჯვარზე შენი ცოდვებია მიჭედილი. როცა ცოდვაში ვარდები, მაშინვე შეინანე, პირჯვარი

გამოისახე და თქვი: უფალო, ჯვარს, რომელზეც ჩემი ცოდვებია მილურსმული, მიაჯაჭვე ჩემი ახლანდელი ცოდვაც, „შეიწყალე დიდითა წყალობითა შენითა, რამეთუ უსჯულოებაი ჩემი მე ვუწყი და ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“ (ფს. 50,3). ამ გზით შენი ცოდვები განქარდება.

წმინდა იოანე ქრონშტადტელი

ჯვარი ევროპულ თეოლოგიაში

არსებობს ჯვრის ორი მთავარი ტიპი: ლათინური და ბერძნული, რომელთა თავისებურებებმა გავლენა მოახდინა ორივე ეკლესიის არქიტექტურის ტიპზე. ლათინური ჯვარი წარმოადგენს ადამიანის ფორმას გაშლილი ხელებით და არის ქრისტეს ვნებათა პირდაპირი ასახვა. ეს არის ეგრეთ წოდებული Crux imissa. მისი ვერტიკალური ღერძი გადაკვეთილია ჰორიზონტალურით მისი სიგრძის 1/3-ზე.

ბერძნული ჯვრის ჰორიზონტალური ღერძი შუა ადგილზე კვეთს ვერტიკალურს და ქმნის კვადრატის გეგმილს; ამ ჯვარს ეწოდება Crux quadrata.

წმ. ანდრიას ჯვარი ქმნის ასო X-ს და ეწოდება Crux decussata, ეს არის ლათინური სიტყვა და აღნიშნავს რომაულ ციფრ 10-ს. გადმოცემის მიხედვით წმ. ანდრია ჯვარცმული იქნა ასო X-ის სახით (იგივე ლათინური ციფრი 10). ეს ჯვარი მუდმივად არსებობს შოტლანდიის ჰერალდიკაში, ვის მფარველადაც გვევლინება წმ. ანდრია.

ჯვარი ტაუ, რომელიც მოგვაგონებს ბერძნულ ასო T-ს, გამოსახული იყო ისრაელელების მიერ ტაძრის შესასვლელ კარზე. ძველი აღთქმის მეორე – გამოსვლათა – წიგნის თანახმად, ეს იყო ნიშანი, რომელზეც მოსემ უდაბნოში გველი აღმართა. ამ ჯვარს ეწოდება Crux comissa და ნიშნავს სულის გარდმოსვლას ამ სამყაროში. ეს იყო წმ. ანტონის ჯვარი ეგვიპტეში.

ჯვარი ანქი გამოიყენებოდა კოპტების, ეგვიპტელი ქრისტიანების მიერ. იგი ჯვარს სიცოცხლის ხეს უკავშირებს. ეგვიპტური იეროგლიფი ანქი იყო სიცოცხლისა და ფულის ნიშანი. ანქს ხელში აჭერინებდნენ გარდაცვლილთა მუმიებს, გამოსახავდნენ ფარაონების ხელში. იგი შედგება ტაუ ჯვრისაგან, რომელსაც თავზე ედგა იეროგლიფი „რუ“. ქვევით მიმართული ტაუ ჯვარი აღნიშნავს სულის გარდამოსვლას მატერიაში (ქვეყნიერების ოთხი მხარე, ოთხი ელემენტი). იეროგლიფი „რუ“ (სულიერების ნიშანი, დაბადების კარიბჭე, მესამე თვალი) ნიშნავს სინათლის გადმოღვრას და არსებათა გასვლას ფაქიზი სამყაროებიდან მატერიალურ სამყაროში.

წრისა და ჯვრის შეთავსება არის ნიშანი სულიერისა და მატერიალურის შერწყმისა, სიმბოლო ინიციაციისა, მეორედ დაბადებისა, აგრეთვე სიმბოლო ფაქიზი სამყაროების ხილვისა.

პაპის ჯვარი – ეს არის ლათინური ჯვარი სამი ჰორიზონტალური ძელით – ყოველი ზედა ძელი თავის ქვედაზე მოკლეა. გამოიყენება პაპის პროცესიებში.

პატრიარქის ჯვარს ხშირად შეცდომით უწოდებენ ლორეინის ჯვარს. აქვს ორი ჰორიზონტალური ძელი. ზედა ჰორიზონტალური, შედარებით მოკლე ძელი, იყო წარწერისათვის: იესო ქრისტე, მეფე იუდეისა; გაკეთდა პილატე პონტოელის დროს.

აღმოსავლურ ანუ რუსულ ჯვარს აქვს სამი ჰორიზონტალური ძელი: ზედა – წარწერისათვის, ქვედა – ჯვრის საფუძვლის ახლოს არის suppadenium – ჯვრის საყრდენი.

ჯვარი ჯვარცმა – ლათინური ჯვარი, რომელზეც გამოსახულია ჯვარცმული ქრისტე. გამოისახება საკურთხევლის თავზე. ჯვარცმა – ქრისტეს სიკვდილის გამოსახვაა და მის მიერ მისი გამომგზავნელი მამის ნების აღსრულება.

უფლის ვნებათა ჯვარი – პატრიარქის ჯვარი, აღმართულია სამსაფეხურიან საფუძველზე; სამი საფეხური აღნიშნავს ქრისტიანობის სამ მთავარ სათნოებას: რწმენას, სასოებას, სიყვარულს (თანაგრძნობას). გამოიყენება ჰერალდიკურადაც, როგორც კავალერის ჯვარი.

ჯვარი ჰერალდიკური სიმბოლიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. იგი იყო სახელმწიფოს ატრიბუტი და ხელისუფლების უძველესი ნიშანი. იერუსალიმის ანუ ჯვაროსანთა ჯვარი წარმოადგენს ბერძნულ ჯვარს, რომლის მთავარი ჯვრის ირგვლივ განლაგებულია მისი ოთხი პროექცია. მას ატარებდა გოდფრუა ბუიონელი – მუსულმანებისაგან განთავისუფლებული იერუსალიმის პირველი მმართველი.

მალტური ჯვარი შექმნილია ოთხი შუბის წვერის შეერთებით; შედეგად მიღებულია რვაქიმიანი ჯვარი, რომლის თითოეული ქიმი აღნიშნავს რვა სათნოებიდან ერთს. ჯვაროსანთა ორდენები ერთმანეთისაგან განირჩეოდა ჯვრის ფორმის, ფერის, ვექტორების რაოდენობის მიხედვით. წმ. მიხეილისა და წმ. გიორგის ორდენების მედლები შედგებოდა ჯვრისაგან შვიდი ვექტორითა და თოთხმეტი ბოლოთი.

კონტურული ჯვარი **gammadiou**-ი შექმნილია ოთხი ბერძნული ასო გამისაგან, აღნიშნავს ქრისტეს, როგორც ეკლესიის ქვაკუთხედს. გამოსახავენ მართლმადიდებელი მღვდლების სამოსელზე.

ჯვარი **potent**-ი წარმოადგენს ბერძნული ჯვრის სახეცვლილებას, რომლის ძელები ქმნის ასო T-ს და ჯვარი იქმნება ოთხი ტაუ ჯვრისაგან.

ჯვარი ყვავილოვანი – ტიპიური ჰერალდიკური ჯვარია, რომლის ძელები ბოლოვდება შროშანებით. ჯვარი პატარა ჯვრებით წარმოადგენს ბერძნულ ჯვარს. ოთხი პატარა ლათინური ჯვრით საფუძველთან – აღნიშნავს ქრისტიანობის მისიონერულ მოღვაწეობას მთელ მსოფლიოში.

კელტური ჯვრები მოიცავს IX-XI სს-ების დიდბრიტანულ და ირლანდიურ მაღალ ჯვრებს. მათ გამოკვეთდნენ ქვისაგან და გულდასმით ამუშავებდნენ, ზედ, ჩუქურთმის დიდი ხელოვნებით შესრულებულ ფონზე, ასახავდნენ წმინდა წერილის სტენებს. ტიპიური კელტური ჯვრის ფორმა მოიცავს ქვაზე გამოყვანილ წრეს, რომელიც ერთდება ჯვრის ძელებით.

ჯვრის სიმბოლიკას ეძღვნება რენე გენონის ამავე სახელწოდების წიგნი, რომელიც მრავალმხრივ ხსნის ამ უძველესი სიმბოლოს მნიშვნელობას.

ბლეიკთან ჯვარი – ეს არის იესო ქრისტეს უდიდესი მსხვერპლი, მაგრამ მასთან ჯვარზე გაკრული აღმოჩნდა მატერიალიზმის გველი. ბლეიკი ჯვარში, უპირველეს ყოვლისა, ხედავს ცოდვებისათვის დასჯის ინსტრუმენტს, რომლის მნიშვნელობა ჯვარზე გაკვრით გადალახა ქრისტემ. მაგრამ ბლეიკისათვის ჯვარი, უწინარეს, რჩება როგორც ხსოვნა ქრისტეს ტანჯვისა და სიკვდილის შესახებ. ბლეიკის „იერუსალიმში" ჯვრის ანალოგად გვევლინება ვაშლებმოსხმული ხე, რომელზეც გააკრეს ქრისტე.

* * *

წმინდა წერილების სწავლების მიხედვით, ჯვარი არის მცველი მთელი მსოფლიოსი, მშვენება ეკლესიისა, სიმტკიცე მეფეთა და მორწმუნეთა, ანგელოზთა დიდება და ეშმაკთა ლახვარი, საძირკველი და გვირგვინი ეკლესიისა. ჯვარი ქრისტესი ამშვენებს ეკლესიის მორწმუნე შვილთა და გულზე ჰკიდია ყველას. ჯვარს ქრისტიანობამდე აქვს დიდი ღრმა ისტორია, ამიტომ საჭიროდ ვცანით მოგაწოდოთ ყველა ის ინფორმაცია, რაც მის ირგვლივ არსებობს.

ცხოველმყოფელი ჯვარი

მოციქულებზე წმინდა სულის გადმოსვლის შემდეგ ქრისტიანობამ დაიწყო სწრაფი გავრცელება მთელს დედამიწაზე, მაგრამ წარმართი იმპერატორები მტრულად იყვნენ განწყობილნი ქრისტიანობის მიმართ, ყოველმხრივ დევნიდნენ, აწამებდნენ მათ. ქრისტიანთა დევნა გაგრძელდა სამას წელს და დამთავრდა მხოლოდ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს, რომელმაც თვითონ მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება.

დიდად პატივცემულმა კეთილმა დედოფალმა ელენემ, იმპერატორ კონსტანტინეს დედამ, განიზრახა მოეძებნა ჯვარი, რომელზედაც გააკრეს ჩვენი უფალი იესო ქრისტე და ამ მიზნით გაემგზავრა იერუსალიმში. დედოფალს უთხრეს, რომ ქრისტეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და იმ ადგილზე აშენებულია წარმართული ტაძარი. როდესაც დედოფლის ბრძანებით დაშალეს ტაძარი და დაიწყეს მიწის გათხრა, ნახეს მიწაში სამი ჯვარი და პატარა ფიცარი წარწერით: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა“ (სხვა გადმოცემით, „მეუფე იუდეასი“). რომ გაეგოთ, რომელია უფლის ჯვარი, დაიწყეს ჯვრების შეხება მიცვალებულზე, ორი ჯვრით არ მოხდა არავითარი სასწაული, მესამე ჯვრის შეხებით მიცვალებული აღსდგა და ამით გამოიცნეს უფლის ჯვარი. იქ მყოფ მრავალრიცხოვან ხალხს ეწადა დაენახა ცხოველმყოფელი ჯვარი. იერუსალიმის პატრიარქი მაკარი და დედოფალი ელენე დადგნენ ამაღლებულ ადგილზე და აღმართეს ჯვარი. ხალხმა თაყვანი სცა ჯვარს და შეღაღადა: „უფალო, შეგვიწყალე“. პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღე დადგენილია მძიმე მარხვად, ტაძარში სრულდება ჯვრის საღდესასწაულოდ გამოტანა და თაყვანისცემა.

ჯვარი – სვასტიკა

ჯვარი სვასტიკა ერთ-ერთი უძველესია ჯვრის ფორმათა შორის და უდავოა, რომ იგი შეიქმნა მზის კულტის აღმავლობის ხანაში და აღსანიშნავია, რომ არც ერთი მზის სიმბოლო ასე სრულყოფილად არ გამოსახავს სამყაროს და ჟამთასვლის ბრუნვას თავის ოთხივე მხარის ჩვენებით, როგორც სვასტიკა. თუმცა არსებობს სხვა არანაკლებ სრულყოფილი ჯვრის სიმბოლოები.

ჯვრის ამ სიმბოლოს, სვასტიკას ძალზე ცუდი სამსახური გაუწია იმ ფაქტმა, რომ იგი ჰიტლერმა გამოიყენა ფაშისტური იდეოლოგიის მამოძრავებელ ძალად. სვასტიკის ეს ნიმუში ჰიტლერს გაურგოფერმა ჩამოუტანა ტიბეტიდან. მაგრამ მან ეს ფორმა აჩვენა პირუკუ – საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. ზოგი ეზოთერული განმარტებით, პირუკუ მისი ჩვენება თვითგანადგურების მაჩვენებელი,



1. ანქი, სიცოცხლის სიმბოლო, 2. ვოტანის (ვოდანის) ჯვარი, 3. მგლის ჯვარი, გერმანული, რუნიკული დამწერლობა. 4-7. კატაკომბების პერიოდის ადრექრისტიანული ტრადიციის ჯვარი. 8-11. ადრექრისტიანული პერიოდის (კატაკომბის პერიოდი) ღუზისებური ჯვარი. 12-14. კონსტანტინეს ქრისტესმონოგრამიანი ლაბარიუმი. 15. გამადიონი, ადრექრისტიანული კატაკომბებიდან. 16. კენტერბერიული ჯვარი. 17. წმ. ანტონის ტაუ ჯვარი. 18. კელტური ჯვარი. 19. ჯვარი კლიშიდან, საფრანგეთი. 20. წმ. პეტრეს ჯვარი. 21. წმ. გიორგის ჯვარი, საბერძნეთი. 22. ლათინური (კათოლიკური) ჯვარი. 23. მალტური ჯვარი. 24. პაპის ჯვარი (კათოლიკური), ვატიკანი. 25. საპატრიარქო (მართლმადიდებლური) ჯვარი. 26. წმ. ლაზარეს ჯვარი. 27. ვარსკვლავებიანი ჯვარი. 28. წმ. ანდრიას ჯვარი. 29. წმ. იულიანეს ჯვარი. 30. ნესტორიანული ჯვარი. 31. წმ. იაკობის ჯვარი. 32. ლოტარინგული ჯვარი. 33. ვარდისა და ჯვრის ორდენის ჯვარი.



ჯვრის სხვადასხვა ფორმები

ანასტასიური ჯვარი
(სარკოფაგიდან, IV ს.).



გიორგის ჯვარი ხარისხის
ნიშნის გარეშე



გიორგის ჯვარი პრუსიის
არმიის ვეტერანი
ჯარისკაცებისათვის



გიორგის ჯვარი არაქრისტიან
აღმსარებელთათვის





ჯვრები: კელტური, გადაბრუნებული, ანქი **Rosae crucis**, როზენკროიცერების



ლათინური (კათოლიკური) ჯვარი



წმინდა გიორგის ჯვარი (საბერძნეთი)



ჯვარი სვასტიკა

საათის ისრის მიმართულებით კი, სამყაროს მოძრაობის და სიდიადის, ხელოვნების და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშემწყობად აღნიშნავენ და ასიმბოლოებენ. პირუკუ სვასტიკას ისევე, როგორც ჰიტლერის ომებს, დასაწყისში წარმატება მოაქვთ, მაგრამ საბოლოოდ იგი განწირული არის თვითგანადგურებისათვის. მართლაც, ისტორიის მკვლევარები ვერ პოულობენ ისეთი საომარი მოქმედებების მარცხს, რომელმაც კატალიზატორის როლი ითამაშა ჰიტლერის ბრძოლებში, მაგრამ თვითგანადგურება დაიწყო და ისე განვითარდა, რომლის ამგვარი ფინალი გვერდაუვლელი გეჩვენება, უკვე ჯერ კიდევ საკმაო დროით ადრე, საბოლოო განადგურებამდე. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ჯვარმა ან სხვა სახის სიმბოლომ, რომ თქვენზე დადებითი გავლენა მოახდინოს, აუცილებელია მისი სწორი ფორმით და შინაარსით გამოყენება.

ჯვრის საერთო ისტორიული ხედვა

ჯვარი, როგორც სიმბოლო, ყოველთვის არსებობდა ადამიანთა შეგნებაში და მას დასაბამიდან რელიგიური დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ უზენაეს თვისებას იძენს ქრისტიანულ სარწმუნოებაში რადგან, ჯვრით და ჯვარზე გაკვრით ღმერთმა დათრგუნა სიკვდილი და გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები. ჯვარი არის ერთადერთი ნივთიერი საგანი მაცხოვრის სულიერებასთან ახლოს მყოფობის და ქრისტემ ამით ადამიანებს თვითშეწირვისაკენ მოუწოდა, რომ „აიღონ თავისი ჯვარი" და მისდიონ მას. პავლე მოციქული კი ამბობს, რომ „მე ქრისტესთან ვარ ჯვარცმული. მე უკვე არ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში" (გალატ. 2:19-20). ჯვარი არის ყველაზე საკრალური საგანი და მასთან მუდმივი არსებობა არის ის, რითაც ღმერთი შეახსენებს მოკვდავს თავს. მას ცხოველმყოფელი ძალა გააჩნდა. საომარი ბრძოლის ველზე ჯვრითა და სხვა ქრისტიანული ხატებით ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ ამგვარი სიტყვებით „ქრისტეს სახელით ეკვეთეთ მტერს". ხშირია, სხეულზე ღმერთის ძალით ჯვრების გამოსახვა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჯვრის სახით ღმერთი მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ მოცემულობაზე და მისი გარეგანი ნიშანი არის ჯვარი.

ჯვარი, უდავოა, რომ იქნებოდა სექსუალური აქტის უძველეს მისტერიულ განზომილებაში, განაყოფიერების და მამრის და მდედრის გადაჯდობის და შეკავშირების სიმბოლო. ჯვარს ადამიანი ხელების გაშლითაც ქმნის და საკრალური ფორმით ყველაზე ახლოს მიდის ამ საგანთან. ადამიანი გაშლილი ხელებით და ფეხებით ვარსკვლავის ფორმაში გადადის და ყველა ეს წმინდა ნივთი და საგანი ამგვარი გააზრებით უნდა იყოს მიგნებულ-შექმნილი.

ძველი წელთაღრიცხვის თეოლოგიურ აზროვნებაში შეჯვარება ანუ განაყოფიერება, ასევე სიმბოლურად წარმოადგენს ცეცხლსა და სინათლეს, სადაც დედამიწის ჰორიზონტალობა და ზეციური ვერტიკალობა, ფიზიკურ შერწყმას განიცდიდნენ ჯვრის სიმბოლიკაში. მაგრამ ყოველივე ეს იქნებოდა ძველ ცივილიზაციებში. და კიდევ რა უნდა ვიცოდეთ ჯვრის შესახებ. უტყუარია, რომ ყველაზე დიდი სიწმინდე ჯვართა შორის არის ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელზეც გაეკვრა მაცხოვარი. ჯვარცმის მისტერიიდან სამას წელზე მეტს გრძელდებოდა ქრისტიანობის დევნა, მაგრამ, როდესაც ის იმპერატორმა კონსტანტინემ თვითონ მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება, სახელმწიფოებრივ რელიგიად ოფიციალურად აღიარეს.

ჯვარი მისტერიულ და ქრისტიანულ სამყაროში

ქრისტიანულ სიმბოლოთა სამყარო წარმოადგენს ნიშანთა იერარქიას. მორწმუნეთათვის ის თავის დასაბამს იღებს ღვთაებრივ ფორმათა ხატებიდან. ყოველი ნიშანი „სულისა და ძალის გამოვლენად" (კორ. 2,4) აღიქმება. ჯვრის მნიშვნელობის წვდომა ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმაღლესი მიზანია. „მამა ღმერთის ჩვენამდი სიყვარულის სიმბოლო" (წმ. იოანე ოქროპირი) სრულად ახალ აღთქმაში გაცხადდა. როგორც სამების მეორე ჰიპოსტასის (მაცხოვრის) სიმბოლო, ის გაიგივებულია გამოცხადების ისტორიასთან. ჯვარი ღვთის სიტყვაა, ადგილია, სადაც განხორციელდა სამყაროს ხსნის იდეა. მას თაყვანს სცემენ როგორც მეორედ მოსვლის ნიშანს (ესქატოლოგიური ჯვარი).

საგულისხმოა, რომ ჯვარი ძველი სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოა. იგი გვხვდება ეგვიპტეში, ჩინეთსა და ინდოეთში. კრეტაზე ნაპოვნია მარმარილოს ჯვარი, რომელიც მიეკუთვნება ძვ. წ. XV საუკუნეს. ჯვარი ძირითადია ოთხ ფუნდამენტურ სიმბოლოს შორის, ერთმანეთთან აკავშირებს დანარჩენ სამს (ცენტრი, წრეწირი, კვადრატი). მართლაც, მისი შემადგენელი ორი მონაკვეთის გადაკვეთა გვაძლევს წერტილს ანუ ცენტრს, რომელიც ჩახაზულია წრეწირში, მონაკვეთების ბოლოების შეერთებით კი კვადრატს მივიღებთ. ამ მარტივი დაკვირვებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჯვრის მდიდარ, მრავლისმომცველ სიმბოლიკაზე. იგი განსაზღვრავს ოთხ ძირითალ მიმართულებას, ამდენად, ჯვარი წარმოადგენს ბაზას ყველა მაორიენტირებელ სიმბოლოს შორის. ადამიანის ტოტალური ორიენტაცია უკავშირდება შემდეგ სამეულს: ორიენტირება მის ცხოველურ ბუნებაში, ორიენტირება დროში, რაც უკავშირდება სამყაროს ღერძს, ერთდროულად სამხრეთი-ჩრდილოეთი და ზევით-ქვევით და ამ ორი ღერძის გადაკვეთა გვაძლევს ჯვარს. ამდენად, ჯვარს აქვს სინთეზის ფუნქცია, იგი აერთებს მიწას და ზეცას, დროსა და სივრცეს.

ჯვრის ორი ღერძი გვაფიქრებინებს დროის სვლაზე, სივრცის კარდინალურ წერტილებზე, წრე – გამოცხადების ციკლზე, ხოლო ცენტრი, რომელშიც არ არის არავითარი ცვლილება, არის ადგილი სოფლისა და ზესთასოფლის სიმბოლური კავშირისა. ეს არის „ომფალოსი", წერტილი, სადაც ერთმანეთს სწყდება დრო და სივრცე. წრეში ჩახაზული ჯვრის გამოსახულება კელტურ ძეგლებზეც გვხვდება.

ინდურ სამყაროში ვერტიკალური ღერძი შესაძლოა იყოს პურუშას (ზეცის) სიმბოლო, ხოლო ჰორიზონტალური ღერძი – პრაკრიტისა (უნივერსალური პასიური სუბსტანცია).

ეგვიპტური ჯვარი „ანკი" ქალღმერთ იზიდას ატრიბუტია, ღვთაებრივი სიცოცხლისა და უსასრულობის სიმბოლო. მიცვალებულთა ხელში ჯვარი გამოხატავს დაუსრულებელი ბედნიერი არსებობის აღთქმას ოზირისისა და იზიდას სამყოფელში.

ჯვრის ჩვენამდე მოღწეული პირველი ქრისტიანული გამოსახულება 134 წლით თარიღდება. ქრისტიანული სტავროგრაფიის გზას ორი ტენდენცია განსაზღვრავდა: პირველი თავის საფუძველს იესო ქრისტეს მონოგრამიდან იღებდა და წარმოადგენდა ჯვრის საიდუმლოებას, ვითარცა შესაქმის პირველსახეს. მეორეს ჯვარცმის ხსნის იდეა ასაზრდოებდა. ამდენად, საჭირო იყო ზუსტი ისტორიული ცნობა იმ ჯვრის შესახებ, რომელზეც ევნო მაცხოვარი. მონოგრამული სიმბოლოს საფუძვლად მიჩნეულ იქნა ბერძნული ანბანის ასო X. შემდგომ ნაბიჯს ნიშნის განვითარებაში წარმოადგენს

X-ის ჰორიზონტალური გადაკვეთა „I“ ასოთი (სიტყვა „იესოს“ პირველი ასო).

ექვსბოლოიანი ჯვარი სამყაროს სრულყოფილი სიმბოლოა. მისი სქემა მარადიულად წარმოიქმნება სამყაროს სტრუქტურაში, რიტმსა თუ ციკლში. ექვსი სხივი შესაქმის ექვს დღეს აღნიშნავს.

IV საუკუნიდან ადგილს იმკვიდრებს სამბოლოიანი ჯვარი. ცნობილია, რომ რომის იმპერიაში სასჯელის უმაღლეს საშუალებად იყენებდნენ ორი ძელისაგან შემდგარ ჯვარს, რომელსაც ჰქონდა ბერძნული ასო ტაუს ფორმა. T-ს ფორმის ჯვარი სიმბოლოა ხიმინჯზე დაფიქსირებული გველისა, სიმბოლოა მსხვერპლით დამარცხებული სიკვდილისა. ამდენად, ჯვარი იძენს ძველი აღთქმის მისტერიულ მნიშვნელობას.

V საუკუნიდან გავრცელდა ოთხბოლოიანი ჯვარი. ოთხ სხივს ხშირად აკავშირებენ სამყაროს ოთხ ელემენტთან (მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი). საერთოდ, ციფრი ოთხი სრულყოფილების, უნივერსალურობის სიმბოლოა, ის არის ამქვეყნიურის (შექმნილის) მისტერიული შიფრი, სამყაროს საიდუმლოების გასაღები.

ოთხბოლოიანი ჯვრის ორი ფორმა არსებობს: „ბერძნული“ და „ლათინური“. პირველის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძელები ტოლია. ის კვადრატში ჩაიხატება და წარმოადგენს ჯვრის იდეალიზებულ ფორმას. მეორის ჰორიზონტალური ძელი ვერტიკალურზე მოკლეა და მოგვაგონებს ხელებგაშლილი ადამიანის გამოსახულებას. ეს ფორმა ნატურალისტურია. ბერძნული და ლათინური ეკლესიები ოთხბოლოიანი ჯვრის ფორმას ასახავენ.

გვხვდება აგრეთვე რვაბოლოიანი ჯვარი. ზემოთა ჰორიზონტალური ძელი ის ხის ფიცარია, რომელზეც პილატეს ბრძანებით გაკეთდა წარწერა სამ ენაზე: „იესო ქრისტე იუდეველთა მეფე“. ქვედა ირიბი ძელის აწეული მხარე გვაუწყებს ღვთის წყალობას ერთ-ერთი ავაზაკის მიმართ.

ხშირად ჯვრის ქვევით გამოსახავენ ადამიანის თავის ქალას. ეს სიმბოლოა ადამის მკვდრეთით აღდგინებისა. ერთ-ერთ აპოკრიფულ წერილში ვკითხულობთ ადამის წინასწარმეტყველებას: „იმ ალაგს, სადაც მე ვიქნები დამარხული, ჯვარს აცვამენ ღვთის სიტყვას, მისი სისხლით მოირწყვება ჩემი თავის ქალა. სწორედ მაშინ მოხდება ჩემი აღდგინება“.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით, მაცხოვრის მიერ სიკვდილის დათრგუნვას მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ადამიანისათვის, არამედ ბუნებაში არსებული ყოველი სულიერი იერარქიისთვის. ეს ფაქტი ჯვრის სხვადასხვა გამოსახულებებზეც აისახება.

დასასრულ, ჯვარი წარმოადგენს აღმავლობის სიმბოლოს. წმინდა მამები განმარტავენ, რომ ჯვარი არის ხე სიცოცხლისა.

წმინდა ნინოს ჯვარი

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქრისტიანული სწავლებით, ჯვარი არის ეკლესიის მშვენება, სიმტკიცე მეფეთა და მორწმუნეთა, ანგელოზთა დიდება და ეშმაკთა ლახვარი, საძირკველი და გვირგვინი ქრისტეს ეკლესიისა, რომელიც მარადის აშშვენებს ეკლესიის მორწმუნე შვილებს და გულზე ჰკიდიათ. ქართველთა განსაკუთრებულად ღვთიური დამოკიდებულება ჯვართან



წმინდა ნინოს ჯვრით იწყება, როდესაც ჯავახეთის ზეგანზე მოსულ წმინდანს ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი, გაამხნევა და მისცა ვაზის ლერწებისაგან გაკეთებული ჯვარი. წმინდა ნინოს გამოეღვიძა, ჯვარი ხელში ეკავა, შეკრა თავისი თმით და დარწმუნდა, რომ ღმერთი მისი შემწე იყო. გამხნევებული „ვაზის ჯვრით" წამოვიდა და მოვიდა მცხეთაში, იქ, სადაც მეფობდა მირიან მეფე და თაყვანს სცემდნენ არმაზის კერპს, რათა წარმართი ქართველები ქრისტიანობაზე მოექცია. ქართული ეკლესიის ეს სიწმინდე-საუნჯე დღეს სიონის ტაძარშია დაბრძანებული და გვადრუცშია (კიდობანი) მოთავსებული. წმინდა ჯვარს შემოხვეული აქვს ფარჩის ძვირფასი საბურველი, მისი სიმაღლეა 88,75 სმ, ხოლო სიგანე – 53,55 სმ. აბრეშუმის ძაფით დამაგრებული, ვაზის მსხვილი ღეროები წმინდა ნინოს თმებითაა შეკრული. წმინდა ჯვრის ფრთები ოდნავ დახრილია. ერთ ადგილას, ცნობისმოყვარე მკრეხელის მიერ, დანითაა ამოთლილი, რითაც ალბათ უდიდესი სიწმინდე ღვთაებრიობაში გამოსცადა. წმინდა ჯვრისთვის შესანახად გაკეთებული გვადრუცი (კიდობანი) არის მოოქროვილი ვერცხლის დაფა, რომელიც 6 ნაწილადაა დაყოფილი და წარმოადგენს ჭედური ხელოვნების უზადო ნიმუშს, რომელზეც გამოსახულია მოციქულთა მსახურება და ქრისტიანული სასწაულით აღსავსე სცენები. ამ სიწმინდეს ათასშვიდასწლიანი არსებობის მანძილზე ბევრი ადგილი გამოუცვლია ავბედითი დროის გამო. 1749 წელს კი, მიტროპოლიტ რომანოზს საიდუმლოდ წაუღია რუსეთში და მიურთმევია ვახტანგ მეფის ძე ბაქარისათვის, მოსკოვში. ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფელ ლისკოვოში, ვახტანგ მეფის მამულში ინახებოდა ჯვარი 52 წლის განმავლობაში. მეფეთა მთელი წყება, გიორგი VIII, თეიმურაზ II, ერეკლე II ევედრებოდნგენ ვახტანგ მეფეს ამ სიწმინდის დაბრუნებას, საბოლოოდ კი, ბაქარის შვილიშვილს გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის, ვაზის ჯვარი 1800 წელს იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის მიურთმევიათ. რუს იმპერატორს კი იქ მცხოვრებ ქართველებზე მეტი ყურადღება გამოუჩენია და 1801 წლის 15 ოქტომბერს რესკრიფტით საქართველოსთვის გამოუგზავნია, ამგვარი ტექსტით: „ჩვენ უწყით რანაირად უყვარდა და პატივს სცემდა საქართველოს ხალხი პატიოსანსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა ნინასა, ამიტომ ვგზავნით ამ ძვირფას საუნჯეს საქართველოში".

რესკრიფტში პირდაპირ ყოფილა მითითებული, რომ პეტრე კოვალენსკის უნდა უზრუნველეყო წმინდა ჯვრის მიბრძანება სამშობლოში და ქართველი სამღვდელოება და ხალხი უნდა მოგებებოდა მას „ქალაქის გარე ბჭესა". მთელი ამ მოგზაურობის დროს კოვალენსკის ამალა ექვს ადგილას უნდა გაჩერებულიყო და გამართულიყო ქრისტიანული ზეიმი. თბილისის გარეუბანში კათალიკოსი ანტონ II შეეგება და იქიდან სიწმინდე მიაბრძანეს სიონის ტაძარში, სადაც დღემდე განისვენებს საკურთხევლის მარცხენა კედელში.

წარსულში წმინდა ჯვარი ინახებოდა სვეტიცხოველში (დაახლ. 642 წელი), მაგრამ სპარსეთიდან შემოსულმა მოგვობამ საშინლად შეავიწროვა ქრისტიანული

სიწმინდეები. 475 წელს წმინდა შუშანიკის განკარგულებით, ცეცხლთაყვანისმცემელთა შიშით ტაოში წაასვენეს, იქიდან სპერის პროვინციაში, ხოლო სპერიდან კაპოეტის ციხეში. გადაჰქონდათ უფრო ხანმოკლე პერიოდებით ვანანდში და ქალაქ ანს, ამის შემდეგ მცხეთის ტაძარში, შემდეგ ანანური და ღვთისმშობლის ეკლესიიდან 3 წლის შემდეგ წმინდა ჯვარი გადანახული ყოფილა არშის ციხეში. იყო პერიოდები, როდესაც ეს უდიდესი სიწმინდე დაკარგულად ითვლებოდა. დავით აღმაშენებლის დროს წმინდა ჯვარი ინახებოდა მცხეთის ტაძარში, როგორც ივერიის დიდება.

გრიგოლ რობაქიძეს „წმინდა გრაალის მცველში", ამგვარი აზრი აქვს ჩადებული, რომ უბედობის ხანაში ვაზის ნასხლავისაგან გამოჭრილ ჯვარს, რომელიც წმინდა ნინომ თმებით შეაკავშირა, მტევნები გამოულია, მისი წვენი რაინდებს თასით შეუნახავთ. ეს თასი „გრაალია", გული საქართველოსი.

ქრისტიანული თეოლოგიის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ვაზი და ჯვარი იქცა სიწმინდის ერთსახედ მოციქულთასწორის წმინდა ნინოს ხელში და ეს ივერთ კუთვნილებად და სიმბოლოდ იქნა გამოცხადებული. დროდადრო აუცილებლად მოხდება ამ სიწმინდის სიმბოლოთა უფრო დეტალური ახსნა, რაც დაკავშირებული იქნება ქრისტიანულ ქვეშეცნეულობასთან და მის ქართველებთან ურთიერთობაზე.

რიცხვთა თეორია ქალაქებთან მიმართებაში

რიცხვთა თეორია ძველ მსოფლიოში იმდენად აქტუალური იყო, რომ პლატონი პითაგორელთა მოძღვრებაზე დაყრდნობით ავითარებდა აზრს, რომ თვით ქალაქი – პოლისები ძველ საბერძნეთში, იდეალურ განზომილებაში 5040 ადამიანს უნდა მოიცავდეს, ამ შემთხვევაშიც მისი იდეალურობის მთავარ არგუმენტად მრავალგამყოფიანობას აღნიშნავენ და სულ 59 გამყოფ ციფრს გამოყოფენ, მათ შორის უმთავრესად მიჩნეულია რიცხვები ერთიდან ათამდე და თორმეტი. ჩვენი აზრით, ადამიანთა რიცხვი 5040 უნდა მოიცავდეს განსაზღვრულ ტერიტორიაზე მათი საუკეთესოდ გამოყენების შესაძლებლობას და სხვა სამეურნეო თუ ადმინისტრაციულ ფუნქციებს, ოღონდ კიდევ ვიმეორებთ განსაზღვრული ტერიტორიის და ქალაქის ზღუდეთა აგების გათვალისწინების მიზნით. ამ ციფრში (5040) ჩადებული იქნებოდა სტიქიასთან ბრძოლის საშუალებები, მიწის დამუშავებაც და ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობა.

პლატონის მიხედვით მეფის სიმბოლოა 1, გეომეტრიულად – წერტილი, არისტოკრატიის – 2, გეომეტრიულად – წრფე, ოლიგარქიის – 3, გეომეტრიულად – სამკუთხედი. მისი აზრით, სახელმწიფოც ასე ვითარდება: მეფის ხელისუფლება, არისტოკრატია, ოლიგარქია. ამ სახელმწიფოთა ფორმის ამოწურვის შემდეგ, ოლიგარქიიდან იშვება დემოკრატია, ამ უკანასკნელისგან – დიქტატურა და ამ შემთხვევაში ციფრები ასე განლაგდება: ოლიგარქია – 1, დემოკრატია – 2, დიქტატურა – 3. ამჯერად, ოლიგარქიიდან დემოკრატიაზე და ტირანიაზე გადასვლისათვის 3 უნდა გავამრავლოთ 3-ზე და მივიღებთ 9-ს, გეომეტრიულად კი – კვადრატს. მაშასადამე,

ტირანიის სიმბოლოა 9, გეომეტრიულად – კვადრატი. იმდენად, რამდენადაც სიბრტყე ჯერ კიდევ არაა სივრცის საბოლოო გაფორმება, ამიტომ დიქტატურა ბოლომდე არ არის ტირანიული ძალაუფლების სრულად განმხორციელებელი. პლატონი შემდეგ ამბობს, რომ ტირანია საბოლოო სრულყოფილებაში შევიდეს და 3X9=27, ანუ გეომეტრიულად უდრის კუბს, რომლის თითოეული წიბო 3-ის ტოლია, რომელიც ქმნის მტკიცე და სასტიკ ტირანიას. ეს არის სახე, რომელიც მოიცავს მასში მოცემული თავდაპირველი მარტივი და შემდეგ განვითარებული წერტილების ისეთ თანმიმდევრულ ერთობლიობას, რითაც იქმნება უსაზღვროდ მტკიცე სხეული ტირანიის შინაარსში. ეს არის გეომეტრიული სხეული, რომელთა წერტილები ერთმანეთში თანასწორუფლებიან ურთიერთობას კი არ ახორციელებენ, არამედ მორჩილებენ ერთმანეთს მონური და ჩაგრული გარემოთი, ისევე როგორც დესპოტი ადამიანის მიმართ მისი ქვეშევრდომნი.

პლატონი შემდეგ ადარებს მეფის სიამოვნებას ტირანის სიამოვნებასთან და 27X27-ზე და იღებს ციფრს 729-ს, რომლის გამოყვანის შემდეგ ამბობს, რომ მეფე 729-ჯერ უფრო საამურად ცხოვრობს, ვიდრე ტირანი. საბოლოო ჯამში კი ფილოსოფოსი ამბობს, ყველა არსებული ნივთიერი და სულიერი სამყარო რიცხვს ემორჩილება და გვაწვდის პითაგორას რიცხვთა თეორიის უკვდავ დებულებას: „რიცხვში ყველაფერია და ყველაფერშია რიცხვი“.

რიცხვთა თეორია და სულიერი მისია

სულიერი მათემატიკური განზომილებების თეორიები, ძველ ტიბეტსა და ქალდეას უკავშირდება. ზოგიერთი ავტორის აზრით, არც ერთი გეომეტრიული ნახაზი თუ მათემატიკური განზომილება არ შექმნილა კაცობრიობის ყოფითი პრობლემების გადასაჭრელად, როგორც ამას მატერიალისტური მიდგომა გვასწავლის, არამედ ძველმა ქალდეველებმა, შუმერის მხარეში ინტუიციური ხილვით, მაღალი სულიერი შთაგონებით, პროგნოზის გავლით და გამოცხადებით მიიღო.

მკვლევარ ოთარ ქვრივიშვილის აზრით, მესამე კულტურულ ეპოქაში, ადამიანი შევიდა გარეგანი გრძნობადი რეალობის სიღრმით შრეებში. ეს ადამიანები იყვნენ ძველი ქალდეველები, ქართველთა წინარე ტომები და სულიერი მისიის პირველი ამღებნი და დამფუძნებლები დედამიწაზე. მათი ქურუმებისათვის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, დედამიწა, ვარსკვლავთ განლაგება ღმერთისაგან დაწერილი კოსმიური წიგნია, რომლის სიღრმეში ისინი ფრთხილად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ. თვით ეგვიპტეში სივრცის გეომეტრიული დანაწევრება ხდება და განიხილება არა როგორც მკვდარი წერტილი, არამედ ცოცხალ გეომეტრიულ ფიგურებთან და ცხოველებთან განსულიერებული. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ სამყარო ისეა შექმნილი, თუ ჩვენ ერთ ფოთოლს გამოვიკვლევთ მთელი მოცულობით და ყველა პარამეტრით, ის მოგვცემს ყველა ინფორმაციას რაც კი სამყაროშია ჩადებული. საგულისხმოა ასევე ის ფაქტი, რომ ხუთი ათასი წლის წინანდელი სამყარო, იმდენად უსწრებს დღევანდელს, ზოგიერთ დარგში, რომ უნდა ვივარაუდოთ შემდეგი: სხვადასხვა დარგში, მედიცინაში,

ფარმაკოლოგიაში და კიდევ სხვებში უსწრებენ დღევანდელ დონეს, ხოლო ვარსკვლავთმრიცხველობა საერთოდ აბსოლუტურ სიზუსტემდე იყო მიყვანილი და ეს ხდებოდა ამგვარი პრინციპით — სამყაროს მოვლენის, საგნის დეტალი და მთლიანობა ისწავლებოდა მაქსიმალური ამოწურვითა და სიზუსტით. მაგრამ რა მოხდა შემდეგ? სამყარომ დაკარგა ეს ცოდნა, ადამიანები გადაეშვნენ ომების, ფუფუნების, მტაცებლობის და ურთიერთჩაგვრის ეპოქაში. ერთი სიტყვით, ასცდა განვითარების ჭეშმარიტ ხაზს. მეოთხე ბერძნულ-რომაული კულტურის დროს ადამიანების გონება განმსჭვალულია მაღალი კოდური ხარისხით, მაგრამ ის აწარმოებს მატერიალურ სამყაროში საკუთარი თავის მხატვრულ გამოვლინებას და იქმნება კიდევაც ანტიკური (ძვ. X-I) და ელინისტური (ძვ. წ. III-I) ხანის დიდი ფასეულობები ხელოვნების დარგში, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ სულიერი განვითარებით დაღმავალ ფრაგმენტებშია მოქცეული ზოგიერთ შემთხვევაში. მხედველობაშია ისევ და ისევ კავშირი კოსმოსთან და სხვადასხვა სოციალური მოწყობის დარგები. სულიერების ხაზით, კი მიდის მხოლოდ მზადება ქრისტიანული რელიგიის შესახვედრად, სადაც უკვე არის მრავალგზის გამოცხადებები და ხილვები. ანთროპომეტრული ხაზით ადამიანის აგებულების შესწავლა-შემეცნება გადადის მეცნიერულში, ხოლო ამ კულტურის წარმომადგენელ ვიტრევიუსთან მხოლოდ მკრთალი აჩრდილებიღა მოჩანს ანთროპომეტრიული სისტემის სულიერი არსისა. თუ ბერძნულ-რომაულ კულტურაში ადამიანი მიწიერის და ღვთაებრივის ზღვარზეა მოქცეული, დღევანდელ მეხუთე ეპოქაში ადამიანი მატერიის მონად იქცა (ტერმინები I ეპოქა, II ეპოქა და ა. შ. ვხმარობთ, იმ განსაზღვრებით, როგორც მიღებულია ისტორიულ მეცნიერებაში). მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ყოფიერების ოკეანეში ჩაძირვამ გამოიწვია ტექნიკის არნახული განვითარება. მაგრამ ღვთაებასთან მისასვლელი გზა აქედანაც ჩანს, მაგრამ ეს გზა შორია, სჯობდა 1-ელ ათასწლეულის განვითარების გზით წასულიყვნენ. ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ კარგი იქნება პითაგორას თეორემის ამგვარი განმარტება: თუ მატერიალისტური გაგებით კათეტების კვადრატების ჯამი უდრის ჰიპოტენუზის კვადრატის ჯამს, ძველი ეგვიპტელებისათვის იგი „წმინდა სამკუთხედად" წარმოიდგინებოდა და ხელდასხმულნი მცირე კათეტს, რომელიც 3-ით იყო გამოსახული, წარმოადგენდა ოზირისის მანიფესტაციას, ანუ ღვთაების მამაკაცობრივ ასპექტს, მეორე კათეტი, რიცხვით 4, უკავშირდებოდა ღვთაების მდედრობით ასპექტს — იზიდას. ჰიპოტენუზა რიცხვით 5, წინა ორ ჰიპოსტასს აერთებდა და წარმოდგებოდა როგორც მე-ჰორუსი. მკვლევარ ოთარ ქვრივიშვილის აზრით, პითაგორას სამკუთხედად ცნობილი და ადრეულ ეგვიპტურ აზროვნებაში დამკვიდრებული წმინდა სამკუთხედი განაცხადებდა წარმართულ სამებას და იძლეოდა გასაღებს ოზირისის მისტერიის გახსნისა.

შუა საუკუნეებში (XIV-XV) არსებულმა ევროპულმა მეცნიერებამ ხილულ და უხილავ სამყაროთა ხატებად ქმნილი რიცხვები უსიცოცხლოდ გარდაქმნა და წარმოადგენდნენ გვამებად წარმოქმნილ სამყაროს ფიზიკურ განზომილებებს. რამდენიმე საუკუნეში შეფასებული და აწონილი სამყარო ფიზიკურმა იმდენად შთანთქა, რომ იგი მთლიანად გაქრა გონების ასპარეზიდან, ე. ი. რაც უფრო მიიწევდა ადამიანი გარეგანი გრძნობადი სამყაროს ჭვრეტაში, მით იკარგებოდა სულიერი ჭვრეტის ჰორიზონტი. მათემატიკა გარდაიქმნა აბსტრაქტულ მოვლენად და დაკარგა ცოცხალი კავშირი ადამიანის სამშვინველთან. ერთი სიტყვით, სხეულებრივი ყოველთვის

უფრო დაბლა დგას სულიერთან მიმართებაში და აფერხებს სულიერ-მშვინვიერის განვითარება-ევოლუციას. ამგვარად, სულიერი შინაარსისგან განძარცული მათემატიკური განზომილებები, ჩამოყალიბდა თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს მკვდარ აზროვნებად და სრულიად დაცილდა ნათელხილვით მოსულ აზროვნებას. იმ დროს, როცა ნებისმიერი სულიერი მიმართება, მისტერია და სხვა უნდა ჩამჯდარიყო რიცხვთა თეორიაში და თუ იქ ზუსტ მეცნიერებაში მიიღებდნენ სასურველ და სანდო შედეგს მიეცემოდა მას წიაღსვლა.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ ე. წ. „მკვდარმა აზროვნებამ" გამოიწვია მანქანათმშენებლობაში ის მასშტაბები, რაც დღეს გვაქვს (ტელევიზია, თვითმფრინავი, ატომი, ბირთვული იარაღები და სხვა), მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ კაცობრიობამ კომფორტით და დინამიტით მომეტებული საფრთხეც შეუქმნა საკუთარ თავს.

„ღმერთი ზომით არ იძლევა სულს" (იოანე 4,34) – სახარებისეული ეს თეზისი იმის დასტურია, რომ ზომის შესწავლით კი არ მივდივართ არსის შემეცნებისაკენ, არამედ სადაც სულიერი არსია გაცხადებული, იქ ბუნებრივად ვლინდება ზომაც. ასევე გოეთეც მიუთითებდა რიცხვების როლზე: „რიცხვები არ მართავენ სამყაროს, მაგრამ ისინი აჩვენებენ, როგორ იმართება სამყარო". რიცხვების სიცოცხლეში დიდი როლი ეკავა ყოველთვის „ოქროს კვეთის" კანონზომიერებებს, რომლის მიხედვითაც მთელი პროპორციულად უკავშირდება თავის შემადგენელ ნაწილებს. ოქროს კვეთის ეს საფუძვლები სამყაროს და კოსმოსის აგებულებას და მის სტრუქტურულ მთლიანობას უდევს ფუნდამენტად. ოქროს კვეთის კანონებით, ჰარმონიაში მოდის მთელი მაკრო და მიკრო სამყარო, და ის თვით ისეთ დარგებთან, როგორიცაა ასტრონომია, ფსიქოლოგია, ბიოლოგია, მუსიკა, პოეზია, ფერწერა, არქიტექტურა და სხვა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ.

ოქროს კვეთის პროპორცია გვიჩვენებს მთელის ისეთ გაყოფას არათანაბარ ნაწილად, როცა მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდ ნაწილს, როგორც დიდი ნაწილი მთელს.

როგორც ვხედავთ, ადამიანი სიცოცხლის მოსვლიდან ეზიარა ორ ცოდნას – გარეგანს და შინაგანს. გარეგანია, უმეტესი ნაწილით, მისი მეცნიერული და ხელოვნებაში მიღწეული მწვერვალები, მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ ყველა მაღალი მონაპოვარი სულიწმიდის გამოვლინებაა და, მით უმეტეს, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, კაცობრიობა გამოცხადების შედეგად მიღებული ცოდნით სულდგმულობდა. გამოდის, რომ დრომ სათავე განვითარებისა ღმერთისაგან მიიღო, რომელიც წმინდა წერილის სახით არის ბოძებული და ერთი და იმავე ღვთაებრივი სიბრძნის სხვადასხვა სახის გაცხადებაა და მეცნიერება-ხელოვნება დღეისათვის შემეცნების სფეროში, სილამაზის, ესთეტიზმის, გრძნობადი სამყაროს კვლევის გზით მიდის ღმერთის შემეცნებისაკენ და არა ბუნებრივი, იგივე სულიერი. სულიერების გზით კი, „კაცს შეუძლია ღვთისაგან შექმნილ ქვეყნის განხილვით დარწმუნდეს, რომ არსებობს ღმერთი, რომ ის არის ყოვლად ძლიერი, ყოვლად სახიერი, ყოვლად მოწყალე". სწორედ ეს უნდა იყოს ღმერთის ბუნებითი განაცხადი. „სულიერი, ანუ გონითი სამყარო მათთვის, ვისაც შეუძლია იხილოს, გრძნობადი სამყარო სრულად თავის ძალად გამოისახება სიმბოლურ სახეებში, ხოლო გრძნობადი სამყარო სრულად თავის საფუძვლებით გონით სამყაროში არსებობს" *(მაქსიმე აღმსარებელი).*

13 რიცხვის და ღვთაებრივი არსის ძებნაში

რიცხვებს შუმერების და ქალდეველების შემდეგ მისტიკური მნიშვნელობა მიანიჭეს პითაგორამ და მისმა მიმდევრებმა. პითაგორა სიცოცხლეშივე (დაახლოებით 540-500 ჩვ. წ. აღ.) იყო ძველი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ფილოსოფოსი, იმ ყაიდის მკვლევარი, რომელიც სამყაროს ყველანაირი კუთხით ეხებოდა.

პითაგორას სკოლაში ეგრეთ წოდებული რიცხობრივი მისტიკა იფურჩქნებოდა. ჰარმონიის თემაზე მუშაობისას, პითაგორელები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბგერათა ხარისხობრივი განსხვავება, განპირობებული იყო სიმთა სიგრძის რაოდენობრივი განსხვავებულობით. სიმთა ასეთი ურთიერთპროპორციისას 1-2, 3-2, 4-3 ტონთა შორის სხვაობა იქნება ოქტავა, კვინტა და კვარტა, მუსიკალური ინტერვალები და კეთილხმოვანება. ამან ისინი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბუნების ყოველი კანონზომიერება შესაძლებელია ციფრებით გამოისახოს.

თავის მეტაფიზიკაში არისტოტელე წერდა, რომ პითაგორასა და მისი სკოლისათვის, „რიცხვთა ელემენტები წარმოადგენენ ყველა ნივთთა ელემენტებს და საერთოდ მთელი სამყარო რიცხვთა ჰარმონიას წარმოადგენს". პითაგორელები ცდილობდნენ რიცხვების საშუალებით აეგოთ სამყაროს მოდელი. ისინი ამბობდნენ, „ბუნებაში ყველაფერი განიზომება, ყველაფერი მასში რიცხვებს ემორჩილება, რიცხვებშია ყველანაირი სხეულების არსი, სამყაროს შეცნობა. მისი კანონზომიერებათა არსში წვდომა, ნიშნავს მათი მმართველი რიცხვების შეცნობას, ადამიანის ყოველ საქმიანობაში, ყველანაირ ხელოვნებაში მუსიკასა და ყველანაირ ხელობაში შეგვიძლია ვიხილოთ რიცხვთა ძალა, მათი მნიშვნელობა. ყოველი ნივთიერების საწყისი არა მატერიაა, არამედ რიცხვი. პითაგორას აზრით, ისეთი ცნებებიც კი, როგორიცაა „მეგობრობა", „სამართლიანობა", „პატიოსნება" და საერთოდ, ადამიანის ყველა სხვა თვისება შეიძლება აღიწეროს, ამა თუ იმ რიცხობრივი პროპორციით. ის ასევე თვლიდა, რომ რიცხვთაგან ზოგს შეეძლო მოეტანა სიხარული, ბედნიერება, კეთილდღეობა, სხვას კი – მწუხარება, ტანჯვა, უბედურება. ამიტომაც, მათემატიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ის, რომ მოძებნილი ყოფილიყო ყოველი რიცხვის ღვთაებრივი არსი. თითოეული ადამიანის სამშვინველი დაკავშირებულია სრულიად განსაზღვრულ რიცხვებთან, ის უკვდავია და გარდასახლდება ერთი ადამიანიდან მეორეში. გადმოცემით ცნობილია, რომ პითაგორა ამბობდა, თითქოს მას ახსოვდა, თუ სად სახლობდა მისი სული ბოლო 207 წლის განმავლობაში.

პითაგორელობა წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფილოსოფიურ მიმართულებას, იმდროინდელ მსოფლიოში. შემდგომ კი შუა საუკუნეების ევროპაში. ჩვენი ერის პირველ საუკუნეში, ის გაერთიანდა სტოიციზმთან, ნეოპლატონიზმთან, ასევე, სხვადასხვა გნოსტიკურ მოძღვრებებთან და ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების სახით.

პითაგორელებმა, პირველ ყოვლისა, რიცხვები დაჰყვეს კენტებად და ლუწებად. ლუწი რიცხვები მამაკაცურად ითვლებოდნენ, კენტები კი – ქალურად. სამყაროს, როგორც ცნობილია, რიცხვთა სწორ ჰარმონიულ კომბინაციად წარმოდგენისას, ზოგიერთ რიცხვს პითაგორელები უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათ 1-დან 10-მდე

შემდეგი თვისებები მიანიჭეს.

1 – არის ყველა რიცხვთა კენტლუწი, ამ რიცხვშია ლუწი და კენტი რიცხვების დამახასიათებელი ყველა თვისება. ამის დამამტკიცებელ საბუთად გამოდგება ის, რომ თუკი ერთიანს დავუმატებთ ლუწ რიცხვს, ის კვლავ კენტად იქცევა და პირიქით. რადგან ერთიანი აერთიანებს კენტი და ლუწი რიცხვების მახასიათებელ მამაკაცურ და ქალურ საწყისებს, ის წარმოადგენს სამყაროსეული სისტემის საფუძველს, მისგან წარმოდგება მთელი ხილული სამყარო. ერთიანი ესაა – სული, სიკეთე, სინათლე, ჰარმონია და, ამავე დროს, მატერია, სიბნელე, ქაოსიც.

2 – უტოლობის, წინააღმდეგობრიობის საწყისი, გაორებისა და გაყოფის მიზეზი.

3 – ცოცხალი სამყაროს სიმბოლო.

4 – სიმბოლო ყოველივე ცნობილი, თუ უცნობი არსებულისა, რადგან პირველი ოთხი რიცხვის სხვადასხვა ფორმით, შეიძლება მივიღოთ პირველი ათეულის ყველა რიცხვი.

5 – ლუწი (მამაკაცური) და კენტი (ქალური) რიცხვების ჯამი – ქორწინების სიმბოლო.

6 – იდეალური რიცხვი, რომელიც იყოფა როგორც 2-ზე, ისე 3-ზეც, სრულყოფილების სიმბოლო. გადმოცემით ცნობილია, რომ ჰორაციუსი ყველა ქეიფში, მეექვსე ადგილას წამოწვებოდა.

7 – ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი რიცხვია.

8 – სიკვდილის სიმბოლო. შესაძლებელია, ეს დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ძველბერძენ მეფეთა ზეობის ვადა შემოისაზღვრებოდა 8 წლით. თვით რვაწლიანი ციკლი განისაზღვრებოდა ასტროლოგიური წესის მიხედვით, რომელიც საფუძვლად დაედო ძველბერძნულ კალენდარს. კალენდრის შედგენისას, ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტი იყო მზის წელიწადის მთვარის წელიწადთან შეთანხმება.

ძველად კალენდრის შედგენით ქურუმები იყვნენ დაკავებულნი, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მეფე, რომელიც, ამავე დროს, უმაღლეს ქურუმად ითვლებოდა, უნდა მომკვდარიყო 8-წლიანი ციკლის გავლის შემდეგ. ესე იგი, გარკვეული ასტრონომიული ციკლის შემდეგ. იმ დროისათვის, როდესაც უნდა დაწყებულიყო ციური მარათონის ახალი ტური, ადამიანებს ჰქონდათ რწმენა, რომ მეფესაც უნდა განეახლებინა მისთვის ბოძებული ღვთის ენერგია, ან ადგილი დაეთმო ახალი მმართველობისათვის, ანუ შედარებით ძლიერი მემკვიდრისათვის.

10 – ამ რიცხვს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ის წარმოშობილია შემდეგი რიცხვებისაგან 1, 2, 3, 4-ის შეკრების შედეგად. იმის გამო, რომ 10-იანი წარმოშობილია პირველი ოთხი რიცხვის შეერთებით, მან მიიღო სახელწოდება „უდიდესი ტეტრაქსისი". პითაგორელები ამ რიცხვის სახით, გამოხატავდნენ სრულყოფილ სამკუთხედს, ის კი წარმოადგენდა ჰარმონიისა და სისრულის სიმბოლოს.

„ეშმაკის დუჟინი“ – 13 და ღვთაებრივი – 12

ინგლისში არცერთი ხომალდი არ გადის ნავსადგურიდან 13 რიცხვში. ქუჩებზე არ არსებობს ეს ნომერი. პარიზში არის კანტორები მეთოთხმეტის მოსაყვანად, თუკი აღმოჩნდება, რომ სადილზე შეკრებილთა რიცხვი „ეშმაკის დუჟინს“ შეადგენს. ჩიკაგოს სახელგანთქმულ სასტუმრო „სტატლერში“, როდესაც სადილზე ცამეტი სტუმარი შეიკრიბება, ადმინისტრაცია დგამს მაგიდასთან მეთოთხმეტე სავარძელს და მასში სვამს ფრაკში გამოწყობილ მანეკენს, მასაც, როგორც ყველა სხვა სტუმარს, სადილს მიართმევენ ხოლმე. სტუმრები კი მას ხუმრობით ლუდოვიკო მეთოთხმეტეს უწოდებენ.

ამრიგად, ილბლიანია თუ ნავსი ეს რიცხვი – „ეშმაკის დუჟინი“, მასზე განსხვავებული რწმენა, ძალზე შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა. პლუტარქეს მიხედვითაც, რიცხვთა თეორიაში სრულყოფილად მიჩნეულია ის რიცხვი, რომელიც გამყოფთა ჯამის ტოლია, ასეთი რიცხვებია ექვსი, ოცდარვა 6=1+2+3, 28=1+2+4+7+14.

ახლა კი მივადგეთ ჩვენ საყვარელ და საინტერესო რიცხვს – 12-ს. ბაბილონში ყველაზე არაჩვეულებრივი რიცხვი იყო 12. ბაბილონელები ზოდიაქოს ნიშანთა მიხედვით, ყოფდნენ წელიწადს 12 თვედ. დღეღამეს ისინი ყოფდნენ 24 ან 12 წყვილ საათად, თითოეული საათი 60 წუთად იყოფოდა, ანუ 5-ჯერ 12 წუთად. გარდა ამისა, ეს რიცხვი ძალზე მოსახერხებელი იყო ანგარიშის საწარმოებლად. ამ რიცხვის ღრმა ფუნქციურობა რელიგიაშიც აისახა. ქრისტეს და მანამდე ბუდას, ჰყავდათ 12 მიმდევარი-მოწაფე. რიცხვი 12-ის ასეთი ხშირი გამოყენებისას, დააკვირდით რიცხვ 13-ს, რამდენად უბადრუკად გამოიყურება. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში ძალზე მოხერხებულად გამოიყენა მისი ჯარის დაყოფა 1200-კაციან რაზმებად. ვფიქრობ, ის ამით უკავშირდებოდა ღვთაებრივ არსს (რიცხვთა თეორიაში).



პარხალი. X ს.

საქართველოს ეკონომიკის ოქროს ხანა (XII ს.).

„მდიდარი ის არის, ვინც იმდენს ფლობს, რომ მეტი აღარ სურს“.

ციცერონი

„რა არის სიმდიდრე? – ზოგიერთისთვის ძველი პერანგიც უკვე სიმდიდრეა, ზოგი კი ათი მილიონითაც ღარიბია“.

ფ. კაფკა

გარდა იმ ციხე-ტაძრებისა და სულიერი ხალხური და ფოლკლორული კულტურისა, საინტერესოა თუ რა მრეწველობითი და ფინანსური სიმძლავრეები ჰქონდა საქართველოს ოქროს ხანაში. ბუნებრივია, იყო მოსახლეობის სწრაფი ზრდა, როდესაც თვით ინგლისი, საფრანგეთი გერმანია იტალია და სხვა ერები 2-დან 8 მილიონამდე მერყეობდნენ. ამ მონაცემებით, გიგანტებად და პოლიტიკის მკარნახებლად იყვნენ სახელდებული იმ ეპოქაში.

თამარ მეფის ბრძანებით აიგო ორი დიდი სარწყავი არხი. ერთი მათგანი – ალაზნის არხი 119 კილომეტრის სიგრძის იყო და რწყავდა 53000 ჰექტარ მიწას, მეორე – სამგორის არხი 20 კილომეტრის სიგრძის იყო და, უნდა ითქვას, დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე იყო იმ დროში, რადგან ქვეყნის ეკონომიკა პირდაპირპროპორციული იყო სარწყავი არხების და ქვეყნისთვის არხი ცივილიზაციის ერთ-ერთ პირველ ნიშანს და ფუფუნებას წარმოადგენდა. ასევე, თამარის პერიოდში, 1202 წელს ანტონ მწიგნობართუხუცესმა შიო-მღვიმის უდაბნოს სოფელ სხალტბიდან 7 კილომეტრის სიშორეზე, წყალსადენი გაუყვანა, რომელიც ამ სავანეს დღე-ღამეში 243.000 ლიტრ წყაროს წყალს აწვდიდა. როგორც არხები, ასევე წყალსადენები მაშინდელი ჰიდროტექნიკური ცოდნის მაღალი დონის დასტურია.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს დაიწყო გზების მშენებლობა, რათა გაფართოებულიყო ვაჭრობა, აღებ-მიცემობა. XII საუკუნის ერთი ასეთი ნაგებობის ნაშთი – ბესლეთის ხიდი აფხაზეთში დღემდე არის დაცული.

მესხეთი წარმოადგენდა საქართველოს პურის ბეღელს და თამარმა აქედან თბილისამდე გაიყვანა საქარავნე გზები და გზაზე ფუნდუკები და სასტუმროები ააშენებინა. მგზავრებს და ვაჭრებს აქ ყველა პირობა ჰქონდათ, რომ მოემარაგებინათ ყველა საჭირო საგანი და ნივთი, რათა კვლავ გასდგომოდნენ გზას. მესხეთი ოდითგან გამოირჩეოდა ასევე კარგი საძოვრებითაც.

ქართველ ვაჭრებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ თვით სამხრეთ ეგვიპტესთან და ჩრდილოეთ რუსეთთან. თამარის პირველი ქმარი გიორგი რუსი საქართველოში ჩამოყვანილი იქნა ქართველი ებრაელი ვაჭრის ზაქარია ზორაბაბელის მეშვეობით.

ალექსანდრიიდან (ეგვიპტე) საქართველოში შემოდიოდა საუკეთესო ჯიშის მატყლი. საქართველოდან გაჰქონდათ ასევე მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები, სინდიყი (ვერცხლის წყალი და თერმომეტრი), ცხენები, ჯორები და სხვა. საქართველოს სავაჭრო ექსპორტს წარმოადგენდა საუკეთესო ოქროქსოვილები,

თივთიკი და სხვა, რომლებიც მიჰქონდათ აქლემებითა და გემებით სახელმწიფოდან.

იმ დროს საქართველოში არსებობდა ბევრი დიდი სავაჭრო ქალაქი, რომელთა შორის სავაჭრო აქტიურობით გამოირჩეოდა: თბილისი, ქუთაისი, დმანისი, ანისი, სამშვილდე, ფოთი, ცხუმი, ახალქალაქი, მანგლისი, გორი, ახალციხე და სხვა.

განსაკუთრებით კარგი მდგომარეობა შეინიშნება ფინანსებში. საკუთრივ საქართველოს (ყმადნაფიცი ქვეყნების გარდა) ყოველწლიური სახელმწიფო ფულადი შემოსავალი 3750000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამავე ხანაში მცირე აზიის შემოსავალი 2475000 მანეთს, არაბული ერაყის 2250000 მანეთსა და საკუთრივ სპარსეთის 2153460 მანეთს შეადგენდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4000000 ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთისა 1311 წელს 3000000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის აღნიშნული თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავალია. ამის გარდა, მას ნატურით დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა.

შეგნებულად არ მახვილდება ყურადღება ქართული კულტურის სხვა მხარეებზე, რადგან ეს ისედაც ყბადაღებული თემაა და ისიც საკმარისია, რომ ამ პერიოდში მოღვაწეობდა ქართული და მსოფლიო კულტურის ყველა დროის უდიდესი წარმომადგენელი შოთა რუსთაველი.

რუდოლფ შტაინერის შეხედულება არიმანის სულიერების ინკარნაციაზე

(შტაინერის წინასწარმეტყველება)

XIX-XX საუკუნის თეოსოფის და ფილოსოფოსის შეხედულება მსოფლიო ზოგადი სულიერების სულიერ-მეცნიერულ შემეცნებაზე, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა იმ საკითხთა წრისათვის, რომელიც ქართველი ერის სულიერებას ეხება. 1919 წელს წაკითხულ ლეკციების ციკლში „სულიერ-მეცნიერული შემეცნება და სოციალური გაგება“ – საუბარია არიმანის (სატანის) ინკარნაციაზე. ინკარნაცია ანუ სულთა გადასვლა ან ჩასახლება, პირობითი სიმბოლოა და მის ქვეშ იგულისხმება, ადამიანთა საერთო სულიერი განწყობა, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გარკვეულ ეპოქებს, ათასწლეულებს განსაზღვრული სულიერება, შარმი და კარმა ფარავს, ანუ ირწევა ადამიანთა გონების, მათი სულიერების სხვადასხვა ფაზები, რომლებიც, მისგან გამომდინარე, კანონზომიერ მოვლენებს ბადებენ. ესენია ომები, ჰუმანიზმი, მოკვდავთა ცბიერი დამოკიდებულება გარემოსადმი, ფიქრი და ტრაქტატები ადამიანთა უფლებებზე და სხვა, მაგრამ უფრო უმჯობესია, თვითონ მას – ანტროპოსოფოსს (რომელიც ასე განიმარტება მეცნიერება სულის შესახებ) რუდოლფ შტაინერს მოვუსმინოთ, რომელსაც მე ოდნავ გამარტივებული თხრობით მოგაწვდით.

„ყოველივე იმას, რაც უნდა ვიცოდეთ ადამიანის განვითარების შესახებ. აუცილებლად

უნდა დავუმატოთ იმის ცოდნა, რომ ადგილი ჰქონდა, როგორც ქრისტეს ინკარნაციას ადამიანში, ასევე ლუციფერის ინკარნაციას ქრისტეშობამდე, მესამე ათასწლეულში – აზიაში და უძველესი კულტურის დიდი ნაწილი ინსპირირებული იქნა – ადამიანის სხეულში ლუციფერის ამ ინკარნაციით... გოლგოთის მისტერიის მნიშვნელობას სწორად ვერ გავიგებთ თუ არ გვეცოდინება, რომ მას არასრული სამი ათასი წლით წინ უსწრებდა ლუციფერის ინკარნაცია".

შტაინერი თვლის, რომ XV საუკუნიდან იწყება ადამიანის ინდივიდუალიზმის, პიროვნული მეობის უკიდურესი აქტივობა. არადა, ჩემი აზრით, რა ზუსტად ემთხვევა, მსოფლიო იზმების გამოჩენილ იზმს – რენესანსს, რომელმაც შექმნა სრულიად ახალი დამოუკიდებელი ადამიანი, მისივე დასკვნით, ამ განვითარებაში ჩადებულია, კიდევ ერთი ახალი ადამიანი – ზეგრძნობიერი ადამიანის ინკარნაცია, ისევე როგორც ლუციფერის და ქრისტეს ინკარნაცია და ეს მოხდება მანამდე, სანამ ჩათავდება მესამე ათასწლეული.

ჩვენ ამ განვითარებას (მხედველობაშია განვითარების ის ხაზები და გადაადგილებები, რაც მთელ მსოფლიოში ხდება) ვეძახით, სწრაფ და ძალზე ცვალებად საუკუნეს, ტექნიკის თავბრუდამხვევ ტემპებს. შტაინერის მიხედვით კი ეს სულიერება; სამყაროში კაცობრიობის გაჩენიდანვე ჩაიდო. იგი ამბობს, რომ დასავლეთში მოხდება არიმანის ნამდვილი რეინკარნაცია: ხორციელი არიმანის მოსვლით. კაცობრიობა მას ვერ ასცდება და მთავარია ადამიანებმა გამონახონ სწორი პოზიცია არიმანის მიწიერი ინკარნაციის მიმართ.

შტაინერი ამას ამბობდა, დაახლოებით ასი წლის წინ და მისი თქმით, არიმანი უკვე ამზადებს ნიადაგს თავის ინკარნაციისათვის და ცდილობს ადამიანი ისე წარმართოს, რომ გარკვეული სარგებლობა მიიღოს. ცუდი იქნება თუ ამ პროცესს კაცობრიობა ძილ-ბურანში შეხვდება.

არიმანის ძირითადი მიზანი იქნება, რომ შექმნას ის მაქინაციები, რომელიც მის მიწიერ ინკარნაციას მოამზადებს, რათა ადამიანებს დაუკარგოს წინათგრძნობა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებაზე. იგი ამასთანავე უფრო კონკრეტულად განმარტავს ამ მოვლენის მოსვლის მიზეზად ასეთ ფაქტორს – ადამიანთა შორის გავრცელდება ის რწმენა, რომლის მიხედვითაც მექანიკურ-მათემატიკური შედეგებით მოხდება სამყაროს შემეცნება, კოსმოსში მიმდინარე პროცესები და ა. შ. ამიტომ, სულიერ მეცნიერებაში ძლიერად უნდა იყოს ხაზგასმული, რომ კოსმოსში სული და სულიერება ვეძებოთ და არა უბრალოდ ის, რასაც სამყაროს აღქმის გალილეისა და კოპერნიკისეული მოდელი ეძებს – მათემატიკის და მექანიკის მიხედვით, თითქოს ქვეყანა ერთი დიდი მექანიზმი იყოს... არიმანს სურს, რომ კაცობრიობა იმდენად ძლიერად მოიმწყვდიოს ბნელში, რომ იგი ასტრონომიას მხოლოდ მათემატიკურად აღიქვამდეს. ამით არიმანი უამრავ ადამიანს აცდუნებს და აიძულებს კაცობრიობას, შეუმჩნევლად გადაახვევინოს სულისა და სულიერი ცოდნის მისწრაფებისაგან. მეორე მთავარ მაცდუნებელ ხაზად წარმოდგენილია ადამიანთა ზრუნვა მხოლოდ მატერიალურზე და ყოფიერზე.

არიმანი თავის ინკარნაციას გაძლიერებს, რაც იქნება დაკავშირებული ნაციონალურ პრინციპთან და ყველაფერი ის,რაც ადამიანებს ჯგუფებად ყოფს, რაც ხელს უშლის მათ ურთიერთგაგებას. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს არიმანისეულ პრინციპებს,

რის შესახებაც იქნება უამრავი საუბარი ახალ იდეალებზე.

ამ ახალ იდეალებში გაცხადდება არიმანისეული სურვილები ხალხთა თავისუფლების სახით, ადამიანის უფლებების დაცვით და მათ შორის მცირერიცხოვანი ერებისაც, განსაკუთრებით იმძლავრებს პარტიული შეხედულებები. მოხდება ქადაგება, რომ ის დრო წავიდა, როცა სისხლი ჰყოფდა ადამიანებს. დამტკიცება შეეძლებათ როგორც ჭეშმარიტების, ასევე უკუჭეშმარიტების. ეს ყველაფერი მოხდება ინტელექტის ბაზაზე. შემდეგ ეს ყველაფერი გადაიზრდება ძლიერ დაპირისპირებაში და სიძულვილში და ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს არიმანის მიწიერ ინკარნაციას და ეს იქნება სახარების არასულიერი შემეცნება, რადგან მას სურს, რომ ადამიანი არ ილტვოდეს სულისაკენ.

შტაინერი ამბობს, რომ: ჯერ კიდევ ქრისტემდე, სამი ათასი წლით ადრე ჩინეთში მოხდა ლუციფერის ინკარნაცია და სუფევდა მისი კულტურა. ამჟამად ჩვენს დროში კი ისეა მოწყობილი ყველაფერი, რომ ამ ნაკვალევის დანახვა, აღმოჩენა ან წაკითხვა შეუძლებელია. მისივე თქმით, არიმანმა და ლუციფერმა ხელშეკრულება დადეს, რომლის მიხედვით, არიმანი ეუბნება ლუციფერს, – ჩემთვის ხელსაყრელად ვთვლი – მივხედო კონსერვის ქილებს; შენი ეპოქით კი კუჭს მიტოვებ, თუკი საშუალებას მომცემ კუჭთან დაკავშირებით გონება დავუბინდო ადამიანებს.

კონსერვის ქილებში ნაგულისხმებია ბიბლიოთეკები და სხვა მსგავსი, რომლის მიმართ ადამიანებს მისწრაფება გააჩნიათ, იმიტომ, რომ დისერტაციები დაიცვან და ყოფიერება გაიუმჯობესონ და არა სულიერება შეიცნონ. არიმანის დასაყრდენი ხდება ეს „სიბრძნით სავსე ქილები“.

შტაინერის აზრით, დაკონსერვებული, ჩაკეტილი, დახშული – არაფერია კარგი. სულსა და აზროვნებას თავისუფლება სჭირდება, რასაც ებრძვის კიდევაც არიმანი. მოვლენათა ასეთი ორომტრიალით ყოფიერი და მატერიალური ცხოვრება ენაცვლება სულის შემეცნების მეცნიერებას და იქცევა ხორციელ მასად. არიმანისეული ხელისუფლება სულიერ თავისუფლებას წყვდიადად მოაჩვენებს, სულის მეცნიერებას და თავისუფლებას კი, გამანადგურებელ ცეცხლად. ამიტომ ადამიანები ფრთხილად უნდა მოექცნენ არიმანის ანუ სატანის ცდუნებებს და მიეძალონ სულიერების განვითარებას.

შტაინერი არიმანისეულ ეპოქის, ძლიერ დარტყმას ხედავს იმაში, რომ გაჩნდება, კიდევ ერთი ხელშემწყობი პირობა ამ დროის გაძლიერების და ეს იქნება სიზარმაცე, რომელიც გამოხატული იქნება სულიერ, ფიზიკურ და გონებრივ პლანში. ადამიანებს გაუჩნდებათ მოსაწყენი დამოკიდებულება საბირჟო, საბუღალტრო და სხვა ბევრი საქმიანობის მიმართ და შემდეგ ცეცხლოვანი დაინტერესება წარმოიქმნება სულის და ქრისტეს მეცნიერების მიმართ. მაშინ კი, სასკოლო მშრალი სახელმძღვანელოებიც ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც შილერის „ორლეანელი ქალწული“ და რაფაელის „სიქსტის მადონა“. უმთავრესი კი ის იქნება, რომ აღმოჩენილი იქნება წერტილი, რომლიდანაც მოხდება ცხოვრებაში ყველაფერი საინტერესო.

და ბოლოს, ანტროპოსოფიის ფუძემდებელი შტაინერი ამბობს რომ: „თუკი არიმანი მოახერხებს საუკუნის ბოლოს ხორცი შეისხას მისთვის სასიკეთო პირობებში, მაშინ იგი გრანდიოზული ხელოვნებით შეიტანდა დასავლეთში იმას, რისი მოპოვება ყოველთვის ძნელი იყო. ადამიანები მიიღებდნენ ნათელმხილველობის უნარს. ისე გააგრძელებდნენ ჭამასა და სმას, რომ ამისთვის შრომა არ დასჭირდებოდათ. ამ

შემთხვევაში იგი დააარსებდა უდიდეს საიდუმლო სკოლებს, რომელშიც მოხდებოდა ჯადოქრობის გრანდიოზული ხელოვნების შესწავლა და კაცობრიობას წინ გადაეშლებოდა ის,რაც ყოველთვის დიდ შრომის ფასად მოიპოვებოდა. ამავე დროს,იგი მოახერხებდა, რომ თითოეული ადამიანი გამხდარიყო ნათელმხილველი, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც იქნებოდა. ის, რასაც ერთი იხილავდა, მეორისათვის უხილავი დარჩებოდა. ადამიანები დაიქსაქსებოდნენ, რაც უსიამოვნებასა და შუღლს გამოიწვევდა... აქედან გამომდინარე, მთელი მიწიერი კულტურა არიმანის ძალაუფლების ქვეშ მოექცეოდა! ადამიანები არიმანს დაემორჩილებოდნენ და მის მბრძანებლობას აღიარებდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ თავად ვერ შეითვისეს ის, რისი შეთვისებაც შეეძლოთ, მაგრამ არიმანმა უწყალობათ.

ყოველივე კი იმის გამო მოხდება,რომ ლუციფერს სურს დაიპყროს კაცობრიობა, განსაკუთრებით ქრისტეს მეუფებისათვის უცხო სფეროსათვის".

თითქმის ასი წლის წინანდელი შრომა, გარკვევით იძლევა წინასწარმეტყველებას დღევანდელობაზე და ვფიქრობ, რომ ყველაზე მძიმე პერიოდი გავლილი გვაქვს. ხშირად იმდენად ზუსტად აქვს გათვლილი მოვლენები და მომენტები, რომ აღტაცება მიპყრობს და მეტს არ განვიხილავ. თუმცა მისი შრომები,ბრწყინვალე სიგნალებია ადამიანის სულის კრიზისზე და მატერიის პირველადობაზე. სამწუხაროდ, ეს პერიოდი დღემდე გრძელდება და უნდა ვივარაუდოთ, რომ თანდათან შესუსტდება.

ანტროპოსოფიით ძლიერ იყვნენ დაინტერესებული XX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართველი მეცნიერების გარკვეული ჯგუფები, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებმაც მცირე შრომებიც კი მიუძღვნეს, რისთვისაც ბევრმა მათი ანტიმართლმადიდებლად და არაქრისტიანებად შერაცხვა მოინდომეს, მაგრამ მათ სასწრაფოდ ჩააყენეს ხალხი საქმის კურსში და გამიჯნეს ერთმანეთისგან ანტროპოსოფია და მართლმადიდებლობა, იმ კუთხით, რომ ანტრპოსოფიას აღმსარებლობა არ გააჩნია და ეს არის მხოლოდ მოძღვრება სულის მეცნიერებაზე.

საქართველოს სულიერი მისიის წარმოდგენა ანტროპოსოფიის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია, რადგან მან, არიმანის მბორგავ არტახებს უნდა დააღწიოს თავი და გაიკვლიოს წამებული გზა თავისუფლების სინათლისაკენ.



შეპიაკი. X ს.

ზვიად გამსახურდიას აზრი ქართველთა ეთნოგენეზისზე და სულიერ მისიაზე

ერთ-ერთი პირველი, ვინც დაიწყო საუბარი ქართველთა ეთნოგენეზისსა და სულიერ მისიაზე, იყო ზვიად გამსახურდია და უმართებულო იქნებოდა ამ თემის ირგვლივ ამ შრომაში არ განგვეხილა.

ზვიადს სჩვეოდა, რომ ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობისას, მოეშველიებინა დიდი გერმანელი ენათმეცნიერი და მოაზროვნე ვილჰელმ ჰუმბოლდტი, რომელსაც ძალზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჰქონდა ბასკური ენის სფეროსა და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში, რის თანახმადაც ასკვნიდა, რომ სამხრეთ ევროპის, პირინეის, აპენინის ნახევარკუნძულის (იტალია) და ხმელთაშუაზღვის კუნძულების პირველადი ავტოქთონური მოსახლეობა იბერიული წარმოშობის იყო. მათ შეიძლება ეწოდოთ პროტოიბერიული და მათი შთამომავლები არიან გვიანდელი ევროპის მოსახლეობა. მეცნიერულ ბრუნვაში ხმარობენ ტერმინებს, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის რასსა, მედიტერანული რასსა ან მოდგმა, ხოლო იმ ხალხის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია კავკასიური რასსის, იხმარება ტერმინები: პალეოკავკასიური რასსა, ანუ უძველესი კავკასიური რასსა, უძველესი მედიტერანული რასსა. საუბარია იმ ხალხზე, რომელიც დომინირებდა ხმელთაშუაზღვის აუზში, ეგეოსის აუზში, ბალკანეთში, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიასა და პალესტინაში. ეს არის ის გეოგრაფიული სივრცე, სადაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის აზრით, ადგილი ჰქონდა პროტოიბერიულ განშტოებას. ამ ხალხის ენა იყო ერთი, რომლებიც შემდგომ, სხვადასხვა გეოგრაფიული, ეთნიკური და რელიგიურ-კულტურული ზეგავლენების შედეგად იღებდნენ სხვადასხვა დიალექტებს და კილოკავებს. ამგვარად, პროტოიბერიული რასსა არის წინარე ხალხი იმ ხალხის, რომლებიც ცხოვრობენ პირინეების, იტალიის, განსაკუთრებით ბასკურის, ლუზიტანურის, ტურდეტანულის, ეტრუსკულის, პელაზგურის (ბერძნების წინაპრები) და კიდევ ბევრი სხვა ეთნოსები, რომლებიც ცხოვრობენ ამ გეოგრაფიულ არეალში. მასვე ემატება, ნიკო მარის და მიხეილ წერეთლის გამოკვლევებით, ის ხალხები, რომლებიც მესოპოტამიაში, უძველესი იბერიული ტომების სუმერების ენობრივი და სხვა გამოკვლევებით არის მიღებული.

ნიკო მარისა და ბევრი სომეხი მეცნიერის, მათ შორის ღაფანციანის და ადონცის გამოკვლევებით მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მესხები, კაპადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვები, არიან იმ მოდგმის წარმომადგენლები, რომლებიც პროტოიბერიელებად უნდა იწოდებოდნენ. იბერიულის მრავალი განშტოებიდან, დღესდღეობით ძველი ფორმით და წარმოშობასთან კავშირით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები. ჩრდილოეთ კავკასიაში, დანარჩენი პროტოიბერიული მოსახლეობა ასიმილირებულია ინდოევროპული რასსის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, ევროპის ტერიტორიაზე მოსული უნდა იყვნენ მეორე ათასწლეულის შემდეგ. პროტოიბერიული კაცობრიობა კი, რომელიც განვითარების პიკს მესამე ათასწლეულში აღწევს, იწყებს შემცირებას ინდოევროპელების მიერ და, რა თქმა უნდა, კლებულობს მათი ზეგავლენაც. ამ

დროიდან წინა პლანზე იწევს ხეთური, ძველბერძნული და ელინური სამყაროები. ამ პერიოდშივე ხდება სინთეზი მინოსური, ეგეოსური და ძველი კოლხური კულტურების და უკვე მეორე ათასწლეულში ჩნდება ხეთური კულტურის კვირტები, რომელიც ინდოევროპული სამყაროა და აგრეთვე წინაურდება ძველბერძნული კულტურა, რომელიც სათავეს ვედური ტომიდან უნდა იღებდეს. რაც შეეხება პელაზგებს, რომლებიც ძველი ბერძნების წინარე ხალხად არის ცნობილი, პროტოიბერიული მოდგმის ხალხი უნდა იყოს, ისევე, როგორც იტალიელთა წინაპრები, ეტრუსკები, ყოველივე ეს კარგად ირეკლება ჰომეროსის ეპოსში. „ილიადაში" გამოვლენილია გენეტიკური ნათესაობა ქართული ენისა ეტრუსკულთან, ქართველურ ტომებთან ლიკიელებთან, კარიელებთან და კიდევ უფრო ძლიერ ტროას სამყაროსთან. ტროა უფრო ძველი სამყაროა, ვიდრე ელინები, რადგან ელინები ტროაში ლაშქრობენ საკრალური, მისტერიალური სიბრძნის, ანუ პალადიუმის მოსაპოვებლად. ტროა არის იგივე კოლხური სამყარო, ვინაიდან ტროელებთან აქაველების დავის დროს ტროელები ხსნიან ელენეს მოტაცებას, როგორც ერთგვარ შურისძიებას ადრე მათ მიერ მედეას მოტაცებისათვის, რასაც აქაველები ეუბნებიან კიდეც ტროელებს. ზვიად გამსახურდიას აზრით, მსოფლიოში კარგა ხანია ხდება ამ სიმართლის ტაბუირება და ინდოევროპელების როლის წინ წამოწევა არქაულ და პრეისტორიულ ეპოქაში. ფაქტობრივად კი, ინდოევროპელები თვალსაჩო ხდებიან მეორე ათასწლეულიდან და ტროას ომი (ილიადა) არის პერიოდი, როდესაც მძლავრობს ინდოევროპული რასა და იწყება პელაზგური (პროტოიბერიული) სამყაროს დეკადენსი. აქილევსი წარმოშობით პელაზგია, ანუ პროტოიბერია. აგამემნონი და მენეალოსი ელინია (აქაველი). ამ კონფლიქტში ჩანს, რომ ლაშქრობის მთავარი მიზანი პალადიუმის მოტაცებაა, რომელიც სიმბოლურად ტროასეული ცხენის მეშვეობით ხორციელდება, მიზნის განხორციელება კი ხდება ელენეს (იგივე სოფია, ანუ სიბრძნე) მოტაცებით. ცხენი, როგორც იცით, ინტელექტის სიმბოლოა მისტერიებში. აქაველთა ანუ ელინთა მიზანია ინტელექტის ამაღლება, ანუ ცნობიერების ახალი, მაღალი ეტაპის შექმნა. ძველკოლხური, პელაზგური ანუ ტროიანული კულტურა არის ნათელ-ხილვითი კულტურა, ძველბერძნული მითოსი ბერძნული კი არ არის, არამედ პელაზ-გურია. ამასვე აღნიშნავდა დიდი გერმანელი მეცნიერი შელინგი და პელაზგურ ეპოქას საბერძნეთში, განმარტავდა როგორც საბიზმს, ე. ი. ნათელხილვითი ეპოქის სიბრძნეს. შემდგომდროინდელი ბერძნული მითოლოგია, პერსევსი და სხვა გმირები ახდენენ ნათელხილვითი ეპოქის გადაყვანას აზროვნებით კულტურაზე, ანუ ინტელექ-ტისმიერ ელინურ კულტურაზე.

საერთოდ, მითოსი და მითოლოგია, სხვადასხვა მცნებებია, მითოსია ზოგადად მითების სამყარო, მითოლოგია მათი განმარტებები, ანუ ლოგოსი, მითოსის ლოგოსი. ძველბერძნული მითების სინამდვილე შექმნილია პელაზგების მიერ, ხოლო ელინების მიერ არის სისტემაში მოყვანილი და ინტერპრეტირებული. ჰომეროსი და ჰესიოდე ძველბერძნული მითების შექმნელი და შემოქმედნი კი არ არიან, არამედ მათ მოახ-დინეს პელაზგური (პროტოიბერიული) ეპოქის მითოსის სისტემატიზირება და გან-მარტება. ისინი არიან მითოლოგოსები, ხოლო პელაზგური ეპოქის მითოსის შემოქ-მედთა, მითოგრაფოსთა სახელებმა ჩვენამდე არ მოაღწიეს, მოაღწიეს მათმა ღვთაებებმა, პერსონაჟებმა.

ძირითადი ღვთაებები ძველბერძნული მითოსისა პელაზგურია, მათ შორის ზევსი.

არსებობს პელაზგური ქტონური ზევსი, რომლის უძველესი პელაზგურ-იბერიული ქალღმერთია აგრეთვე დემეტრა, რომლის ფუძის განმარტებისას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიანიშნებდა იმაზე, რომ „დე“ ფუძე სავსებით უცხოა ძველბერძნული ენისათვის. „მეტერ“ მართალია დედას ნიშნავს, მაგრამ „დე“ არის სუფთა იბერიული წარმოშობის ფუძე, „დე“ ანუ „დედა“, დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელია. ამრიგად, დემეტრა არის ის სახე, რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთი შეერწყა ძველბერძნულ ქალღმერთს. ამგვარად, ძველბერძნული პანთეონი არის დაფუძნებული პროტოქართულ, პროტოიბერიულ, ანუ პელაზგურ პანთეონს.

რაც შეეხება პრომეთეს მისტერიას, იგი უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის ევოლუციის თვალსაზრისით და აგრეთვე ქართველთა ეთნოგენეზისის თვალსაზრისით, რადგან ეს მითი დაკავშირებულია კავკასიასთან და საერთოდ ისე, როგორც ბერძნულ მითოსის ბევრი მომენტი. მხედველობაშია არგონავტები, პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიონზე და სხვა. მითოსის პერსონაჟთა მისია, მათი სულიერი რაობა ყოველთვის მათი სახელების მიხედვით განიმარტებოდა. სახელები მითოსის პერსონაჟებისა იქმნებოდა ქურუმების, ხელდასხმულების და ადეპტების მიერ, მათი არსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. „პრო-მეთეო“ ძველბერძნულად ნიშნავს წინასწარმეტყველურ აზროვნებას, წინასწარგანჭვრეტას, ეპიმეთე – მისი ძმა – ნიშნავს განსჯისმიერ აზროვნებას. რასაკვირველია, ერთის მისიაა წინასწარმეტყველური ანუ ინტუიტიური აზროვნება, ხოლო ეპიმეთესი განსჯითი – ინტელექტუალური აზროვნების განვრცობა. პრომეთე არის იაპეტოსის ძე. იაპეტოსის სახელი ზენონ ელეელის მიერ განიმარტება, როგორც ზენა სამყარო, სულიერი სამყარო. იაპეტოს, ე. ი. რაც მიისწრაფვის ზევით, სულიერი სამყაროსაკენ. ე. ი. პრომეთე არის ზენა სამყაროს, სულიერი სამყაროს ძე, ანუ წინასწარმეტყველური აზროვნება. პლუტარქე აღნიშნავს, რომ, ძველბერძნული და საერთოდ მითები შეიძლებოდა განემარტათ თორმეტ სხვადასხვა დონეზე. ერთ-ერთი მათგანი არის ის, რომ პრომეთეს მითი კაცობრიობის ევოლუციაში, არის აზროვნების ახალი ეტაპი, როდესაც აზროვნება მიეჯაჭვება ადამიანის ფიზიკურ სხეულს, ადამიანის ფიზიკურ სულის ფიზიკურ სხეულში. განთავისუფლება პრომეთესი, რომელიც მიჯაჭ-ვულია კავკასიის ქედზე, არის განთავისუფლება ამ აზროვნებისა სხეულებრივი საწყისებისგან. განთავისუფლებული პრომეთე არის განთავისუფლებული წინასწარ-მეტყველური აზროვნება, ხოლო მიჯაჭვული პრომეთე ადამიანის ფიზიკურ სხეულზე მიჯაჭვული აზროვნებაა. ეს არის ეტაპი კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც ცნობილია ადამიანური არსების, სულის ჩაძირვად ფიზიკურ სხეულში, ხოლო შემდეგ ხდება მატერიისაგან სულის განთავისუფლება. ეს არის ერთი ასპექტი პრომეთეს მითისა, მისი სპირიტუალური, ფილოსოფიური ასპექტი.

მეორე ასპექტი არის ეთნოლოგიური ასპექტი. კერძოდ, პრომეთე არის მოდგმა იმ ხალხისა, რომელმაც უნდა განავითაროს მისტერიათა კულტურა და არის შემქმნელი მისტერიათა კულტურისა. სახელდობრ, სულიერი განვითარებისა, ინიციაციისა და სულიერი აზროვნებისა. ასეთია ეს მოდგმა. ხოლო ზევსი, ამ თვალსაზრისით, განა-სახიერებს იმ მოდგმას, რომელიც უფრო გვიან არის მოსული საბერძნეთში და რომელიც ძალადობით ამკვიდრებს თავის კულტს და მიაჯაჭვავს პრომეთეს კავკასიის კლდეზე. მიჯაჭვის მიზეზი კი ის იყო, რომ კორინთოში ერთმანეთს შეხვდნენ ორი რასსის, კულტურის წარმომადგენლები – ერთნი პრომეთესთან, მეორენი ზევსთან

დაკავშირებულნი. ერთნი, პირველები იყვნენ, მკვიდრები ძველი ბერძნული და პელაზგური ანუ პროტოიბერიული ხალხის, მეორენი, მოსულები ელინური ანუ ინდოევროპული რასის. პრომეთე და მისი მიმდევარი ქურუმები ამ შეხვედრის დროს მოატყუებენ ზევსს და მის ქურუმებს სამსხვერპლო ხარის დანაწილებისას, იმ გაგებით, რომ მათი ინტელექტი, მათი აზროვნება იყო უფრო წინ წასული, რითაც ისინი ახერხებენ კიდევაც მათ მოტყუებას. ეს მოტყუება სიმბოლოა იმისა, რომ მათი კულტურა და ინტელექტი უფრო მაღალგანვითარებულია, რაც ასკვნის იმ ფაქტს, რომ პელაზგური (პროტოიბერიული) კულტურა ინდოევროპულზე მაღლა დგას, შესაბამისად, აზროვნების კულტურაც. შემდეგ კი ინდოევროპელებმა ელინური აზროვნებით კულტურა უმაღლეს საფეხურამდე განავითარეს, მაგრამ ჯერ ის პერიოდია, როდესაც პირველად შეხვდა ეს ორი რასა, ორი მოდგმა ერთმანეთს და პრომეთეს ქურუმები დაანაწილებენ ხარს იმგვარად, რომ ზევსის ქურუმებს და ზევსს შეხვდებათ ძვლები და ქონი, ხოლო მათ — ხარის საუკეთესო ნაწილები. აქაც არის სიმბოლოები და სიმბოლურია, ვინაიდან აქ მსხვერპლის ორგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე და ამ დროს ზევსის ქურუმები ისე წარმოსახავენ ვითარებას, თითქოს მათ შეგნებულად მოიტყუეს თავი. შემდეგ ზევსი მიმართავს პრომეთეს:

— იაპეტოსის ძეო, უკეთილშობილესო ყველა მეუფეთა შორის, ყველაზე დიდი მცნობო მომავლისა, მეგობარო, რად დაანაწილე ხარი ამგვარად?

ზევსი გვიან ხვდება იმას, რომ პრომეთემ ამით ცეცხლი მისცა კაცობრიობას, რითაც უნდა განვითარდეს ადამიანის სამშვინველი და შეიქმნას ახალი ცივილიზაცია, ადამიანის — მე! ამისათვის მიჯაჭვავს კავკასიის ქედზე. ცეცხლი არის ადამიანის მე-ს სიმბოლო და შესატყვისი. თქვენ იცით, რომ ოთხ ელემენტს: ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერს შორის, ცეცხლი მე-ს შეესაბამება. ე. ი. ზევსი ეწინააღმდეგება ადამიანის მე-ს განვითარებას. უფრო ზუსტად, მისი პანთეონი და მისტერია განსაზღვრავს მისტერიალური კულტურის ახალ, მაღალ საფეხურს, როდესაც ადამიანებმა მიიღეს „მე" ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლით და პრომეთეს მიჯაჭვა არის სწორედ ეს ეტაპი (სხვათა შორის, ამას ნიშნავს აგრეთვე ტიტანების დამარხვაც ტარტაროსში ღმერთებისა და ტიტანების სულიერი სამყაროდან ფიზიკურ სხეულში და ადამიანს ებადება „მე"-ცნობიერება).

პრომეთეს აწამებს ზევსის არწივი. არწივი, ერთი მხრივ, სიმბოლოა სულიერი აღმაფრენისა და შემეცნებისა, ხოლო მეორე მხრივ, ეს არის სიმბოლო იმპერიული ძალმომრეობის, რომელიც აწამებს პრომეთეს. კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე, ანუ ფიზიკურზე მიჯაჭვული აზროვნება გაანთავისუფლა ჰერაკლემ, რომელიც არის ინიციაციის ახალი კულტურა, ნებელობითი ინიციაცია, ჰეროიკული ინიციაცია, რომელიც არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა. საერთოდ, ძველბერძნული მისტერიები თავისი ხასიათით პროფეტული იყო. ძველი საბერძნეთის ცენტრალური მისტერიები „ელოიზისის" მისტერიები იყო. სიტყვა „ელოიზისის" ძველბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მოწევნადს, მოვლინებადს, წინასწარ განჭვრეტას მომავლისას. ჰერაკლეს სახე არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა, რომელიც დაკავშირებულია ნებელობასთან, სულის აქტივობასთან და კერძოდ იმასთან, რასაც ქრისტიანობაში სასუფევლის ძალისხმევით აღება ჰქვია, ვინაიდან ქრისტიანული ინიციაციის არსი იესო ქრისტემ განმარტა, როგორც სასუფევლის აღება ძალისხმევით („სასუფეველი იძულებისა"). ამრიგად,

ჰერაკლეს გმირობანი სიმბოლურად უნდა გავიგოთ როგორც ინიციაციის სხვადასხვა საფეხური და სულიერი განვითარების სხვადასხვა დონეები, რომლის კულიმინაცია არის პრომეთეს განთავისუფლება ანუ აზრის დახსნა ფიზიკური სხეულის ტყვეობიდან და კაცობრიობის ხსნა-განვითარება. ეს არის იგივე პროტოიბერიული მოდგმის განთავისულება ინდოევროპული მოდგმისგან, რომელთა მხრიდან იქნა მიჯაჭვული ანუ ლოკალიზებული კავკასიაში. ე. ი. პრომეთეს მითში აირეკლა პროტოქართული ანუ პროტოიბერიული მოდგმის წარსული და მომავალი.

ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი ვხვდებით ჩვენ ისეთ ძეგლებს, სადაც მინიშნებულია, რომ ჰერაკლე არის წინასახე ქრისტესი. კერძოდ, მის მიერ კვერთხით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ. აგრეთვე, არგონავტების ლაშქრობა და ოქროს საწმისი ანტიკურ პერიოდში არის ის, რაც შუა საუკუნეებში გრაალი და ფილოსოფიური ქვის ძიება არის არა მარტო ფიზიკური ოქროს ძიება, არამედ სულიერი ინიციაციის ძიება, ღვთის ძიება, სულიერი ცნობიერების განვითარების გარკვეული დონის ძიება, რომელიც ანტიკურ მისტერიებში, ძველბერძნულ მისტერიებში გადმოცემული იყო როგორც ოქროს საწმისის ძიება. თავდაპირველად ოქროს ვერძი საბერძნეთიდან არის წამოსული კოლხეთში, მაგრამ ამ პერიოდის საბერძნეთი პელაზგურია, კერძოდ, პელაზგურია არგოსის კულტურა. შემთხვევითი არ არის, რომ ხომალდსაც „არგო" ჰქვია და „არგო" თავისი ძირით კოლხეთიდან მოდის – არგო, არგვეთი, ეგრისი „გრ" – ფუძე; ესეც კოლხეთია. ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატიურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნისა, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა უკვე საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. ისევე, როგორც კრეტაზე წასვლა თეზეოსისა არის იმ სიბრძნის მოპოვება, რომელიც ელინურ საბერძნეთში იმჟამად აღარ არსებობდა.

საბერძნეთის მითიური გმირები – თეზეოსი, ჰერაკლე და იაზონი (სხვათა შორის ჰერაკლე თან ახლავს არგონავტების ლაშქრობას) იმ ქვეყნებში ლაშქრობენ სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელნიც წარმოშობით პროტოქართული, პროტობერიული იყო. ასეთი არის მინოსური კრეტა („მინოს" ნიშნავს აზრის მატარებელს, მოაზროვნეს) და თეზეოსის ჩასვლა მინოსში, მის მიერ მინოტავრის მოკვლა, ლაბირინთში შესვლა და მისი ლაბირინთიდან გამოსვლა არის სწორედ იმ მინოსურ კულტურასთან ზიარება, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე ძველბერძნული კულტურა (არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მინოსს ცოლად ჰყავდა აიეტის და პასიფაე). ასე რომ, ბერძნული პანთეონის გმირების ლაშქრობები მუდამ ქართველურ ქვეყნებთანაა დაკავშირებული. ჰერაკლეც ასევე მიდის პირინეის იბერიაში ჰერპერიდების ბაღში ვაშლების მოსაპოვებლად.

ამავე დროს, ორფეოსის შესახებ მითიც მოგვითხრობს, რომ ორფეოსის მთავარი მიზანი იყო პელაზგი წინაპრების კულტის აღორძინება. ორფეოსი წარმოშობით პელაზგია, ძე ეაგრისა (ორფეოსის მამის სახელი, პირდაპირ ემთხვევა კოლხეთის სახელს – ეგრისი – ეგრი). მისი მიზანი იყო აღორძინება იმ პელაზგური კულტურისა, რომელიც ელინურ პერიოდში გადაგვარდა და დაკნინდა.

რაც შეეხება არგონავტების ლაშქრობას, მასში არის მოცემული ძველბერძნული, დორიული ინიციაციის სხვადასხვა ეტაპები და შემთხვევით არ არის, რომ დორიული,

აქტიური ინიციაცია დაკავშირებულია კოლხეთთან. შუა საუკუნეებში თვით ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი გერმანე კონსტანტინეპოლელი პატრიარქის მიერ არის შექმნილი ძეგლი „სასწაულნი მთავარანგელოზთაგან", რომელშიც აღწერილია არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში, რომელსაც მფარველობს მიქაელი, ქრისტიანული მთავარანგელოზი, და არგონავტების გამოცხადებით „ცით მოვლენილი ძლიერებაი საზარელი", ანუ მიქაელ მთავარანგელოზი და უწინასწარმეტყველებს მათ მომავალში გამარჯვებას. აი, დაუკვირდით, როგორი გაგებაა წარმართული მითისა ერთი შეხედვით ეგზოტერული ეკლესიის წარმომადგენელთან – გერმანე პატრიარქთან. ე. ი. „ცით მოვლენილი ძლიერებაი საზარელი" არის მიქაელ მთავარნაგელოზი და არგონავტების ლაშქრობა დაკავშირებულია მიქაელის მისიასთან, რომელიც არის უმთავრესი მზიური მთავარანგელოზი ქრისტიანობისა, ძალა ღვთისა, როგორც მას განმარტავენ ჩვეულებრივად და ასევე მნიშვნელოვანია, რომ გერმანე პატრიარქი წარმოშობით კოლხი, ლაზი იყო.

აი, ასეთი კავშირები არსებობს წარმართულ და ქრისტიანულ ინიციაციას შორის, რაც დაკავშირებულია უძველეს პროტოქართული მისტერიალურ ცენტრებთან.

იაზონი, როგორც ფიგურა, როგორც გმირი, პინდარეს მეოთხე ოდაში მოხსენიებულია ვეფხისტყაოსნად. ე. ი. იაზონი არის აგრეთვე ვეფხისტყაოსნის გმირი. ის არა მხოლოდ ოქროს საწმისის მომპოვებელია, არამედ ვეფხისტყაოსანი გმირიც არის და, საერთოდ, ვეფხისტყაოსნის გმირებიც დაკავშირებული არიან უძველეს, პროტოქართულ სამყაროსთან. ვეფხისტყაოსანი ქურუმები ეგვიპტის მისტერიებშიც გვხვდება. სხვათა შორის, ტროელი პარისიც ვეფხისტყაოსანია, ტროაშიც გმირებს ვეფხვის ტყავი მოსავთ. დიონისეს პროცესიებს, სხვათა შორის, მიუძღვის ვეფხვი. თავად დიონისეც ვეფხისტყაოსანია. ასე რომ, ვეფხვის ტყავი უძველესი ტოტემური სახეა იაფეტური კაცობრიობისა, კავკასიური რასისა.

ახლა დავუბრუნდეთ დასაწყისს და მინდა გითხრათ, რომ არსებობს გაგება სემიტური კაცობრიობისა, სემიტური მოდგმისა, ასევე არსებობს ქამიტური მოდგმა, რომელიც უკავშირდება ძველ ეგვიპტეს, აფრიკას და არსებობს მცნება იაფეტური მოდგმა. ეს სამი ძმა, რომელიც ნოეს შვილების სახელებიდან მოდის, ბიბლიაში ასახავს გარკვეულ შტოებს კაცობრიობისა. კერძოდ, ნოე ასახავს ატლანტურ, წარღვნამდელ კაცობრიობას, ე. ი. კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპს, რომელიც ატლანტიდის წარღვნამდე ჰქონდა. ხოლო მისი ძენი არიან უკვე ატლანტიდის შემდგომი კაცობრიობის წარმომადგენლები. ერთ-ერთი ამათი შტო არის იაფეტური და, სხვათა შორის, იაფეტი ძველი აღთქმისა დაკავშირებულია ძველი ბერძნული მითოლოგიის იაპეტოსთან. შემთხვევითი არ არის, რომ პრომეთეს მამა იაპეტოსია. მისი იდენტურია იაფეტი და ყოველივე ამასთანაა დაკავშირებული აგრეთვე პლანეტა იუპიტერი და იუპიტერის რასსა, ანუ თეთრი რასსა, მერკურთან შავი, ვენერასთან წითელი, მარსთან ყვითელი, ანუ მონგოლური რასსა. იუპიტერის რასსის პირველადი რასობრივი სუბსტრატი არის სწორედ ეს იაფეტური, პროტოევროპული, პროტოიბერიული კაცობრიობა. აი, ასე უკავშირდება იუპიტერის რასსის მისიას პროტოევროპული, ანუ პალეოკავკასიური, მედიტარანული რასსის მისია. ეს ყოველივე, რაც შეეხება ანტიკურ, წარმართულ ეპოქას, პერიოდს.

ახლა, რაც შეეხება ქრისტიანულ პერიოდს. ქრისტიანობის შემოსვლა

საქართველოში დაკავშირებულია პირველსავე საუკუნეებთან. არ არის შემთხვევითი, საქართველოში ორი მოციქული რომ იმყოფებოდა – ანდრია და სვიმონ კანანელი – პირველი და უკანასკნელი მოციქულები. ანდრია იყო პირველწოდებული, სვიმონ კანანელი კი ყველაზე ბოლოს მივიდა ქრისტესთან. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ისინი გამოხატავენ ალფას და ომეგას, ე. ი. დასაწყისსა და დასასრულს. რა როლი აქვთ ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში და რატომ ეწოდება გეორგია საქართველოს?

მოგეხსენებათ, რომ მიქაელი მთავარანგელოზი არის არსება, რომელსაც ჰყავს პროტოტიპები ანტიკურ ეპოქაში, ქრისტემდელ ეპოქაში. ეს არის არსება, რომელიც გვევლინება ნაყოფიერების ღვთაებათა მცველ, ამინდის, ჭექა-ქუხილის ღვთაებათა სახით, როგორც ძველ ინდოეთში ინდრა, მესოპოტამიურ სამყაროში მარდუკი, პალეოკავკასიურ სამყაროში ტარჰუ, ამინდისა და ჭექა-ქუხილის ვეფხისტყაოსანი ღვთაება. მას გამოქვაბულებში ყოველთვის ვეფხვის ტყავით მოსავდნენ და ისე გამოსახავდნენ. ვეფხვის ტყავი არის ატრიბუტი იმ არსებისა, რომელსაც ანტიკურობაში იცნობდნენ როგორც ინდრას, მარდუკს, ტარჰუს, ქრისტიანობის ეპოქაში კი იცნობენ, როგორც მიქაელს და წმინდა გიორგის. წმინდა გიორგი არის სულიერი სამყაროს ასპექტი ისტორიულ პლანში, ფიზიკურ სამყაროში. რატომ უკავშირდება საქართველოს სახელი გეორგიას?

ჯერ კიდევ ძველბერძნები „გეორგოსებს" უწოდებდნენ ქართველებს იმის გამო, რომ მიწათმოქმედება იყო ყველაზე მეტად განვითარებული ჩვენს ქვეყანაში. „გეორგოს" ნიშნავს მიწის დამმუშავებელს და, ამავე დროს, გიორგის კულტი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, კერძოდ, ნაყოფიერების ღვთაებათა დაცვასთან, ამინდთან, მეტეოროლოგიასთან. ასე იყო ძველ საქართველოში და ამასთან არის დაკავშირებული ქართველი ეროვნული ღვთაება – თეთრი გიორგი. ქრისტიანული წმინდა გიორგი ისტორიულად არსებული პიროვნებაა, ამავე დროს არის მიწიერი სახე იმავე სულიერი არსებისა, მიქაელ მთავარანგელოზისა, დრაკონის დამთრგუნველის. ეს სახე და კულტი ერთ-ერთი ყველაზე მახლობელია ქართული მოდგმისათვის. საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე. ქრისტიანობა თავისი წმინდა სახით არსებობდა სამღვდელოებისათვის, ფეოდალური კლასისათვის, სამეფო კარისათვის, მაგრამ ხალხური ქრისტიანობა საქართველოში, შეიძლება ითქვას, გიორგიანობასთან არის შერწყმული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგიანობამ დაჩრდილა ქრისტიანობა. წმინდა გიორგის სახეში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ კაბადოკიელ წმინდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს. ღმერთი მას წარმოედგინა წმინდა გიორგის მებრძოლ სახეში, დრაკონის დამთრგუნველ სახეში. ე. ი. მიქაელური ასპექტი ქრისტიანობისა იყო ყველაზე მეტად მახლობელი საქართველოსთვის. საქართველოს სახელწოდებაც დაუკავშირდა გიორგის და იგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ ქრისტიანული ღმერთის სახე. უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის სხვადასხვა სახეები და ასპექტები ცნობილია ღვთისმეტყველებაში. აპოკალიპსშიც კი მესია, ღმერთი, ქრისტე გამოსახულია როგორც თეთრტაიჭოსანი ზეციური მხედარი (გამოცხ, 11-15). ის ტრადიციული სახეები ქრისტესი, რომლებიც ჩვენ ვიცით, არ ამოწურავენ მის არსს. არის აგრეთვე სხვა სახე – მებრძოლი, დრაკონის დამთრგუნველი, როგორიც ის არის მოცემული

აპოკალიპსისში. და ეს არის სწორედ წმინდა გიორგის წინასახე და ეს სახე იყო მახლობელი ყველაზე მეტად ქართველებისათვის. სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ წმინდა გიორგის კულტი საქართველოში უპრეცედენტო მოვლენაა. ჩვენ გვაქვს შემთხვევები სამების, ქრისტეს დღესასწაულების, აღდგომის დღესასწაულების „შთანთქმისა" წმინდა გიორგის დღესასწაულის მიერ, მათ სახელობაზე აგებული ტაძრები იდენტიფიცირებულია წმინდა გიორგისთან. ე. ი. წმინდა გიორგი იდენტიფიცირებულია ღმერთთან. ეს არის სახე ღვთისა და არა მხოლოდ კონკრეტული წმინდანი.

ამერიკელი მეცნიერი ჯობსი აღნიშნავს, რომ წმინდა გიორგის ისეთივე პოზიცია უკავია საქართველოში, როგორც ქრისტესო. მაგრამ არ არის სწორი, რადგან იგი ისეთივე პოზიციით კი არ სარგებლობს, არამედ იმაგინატიურად, სიმბოლურად ქრისტიანობა მოცემულია მებრძოლ, სამხედრო ასპექტში, რადგან ეს არის მოყმეთა, მებრძოლთა ქრისტიანობა და ასევე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო იყო ერთი მთლიანი სულიერი ორდენი წმინდა გიორგისა და ასეთად აღიქვამდნენ მას ჯვაროსნები, საქართველოში ჩამოსული უცხოელები და ამიტომ დამკვიდრდა ეს სახელი – „გეორგია", რომელიც, რა თქმა უნდა, წარმართული ეპოქიდან მომდინარეობს. ასეთი აღქმა ქართველობისა მხოლოდ უცხოელებს ჰქონდათ. მთლიანობაში კი არ არსებობს უფრო ეროვნული ხასიათის გამომხატველი, სხვა უფრო შესაფერისი სახე ქართველობისათვის.

ამასთან, უნდა გავიხსენოთ ჩვენი მწერლობის ძირითადი ძეგლები და მათი კავშირი მიქაელურ ქრისტიანობასთან, წმინდა გიორგის კულტთან.

მეორე ასპექტი ქრისტიანული საქართველოს სულიერი მისიისა დაკავშირებულია ღვთისმშობლის წილხვდომილობასთან. რატომ არის საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი?

იმის გამო, რომ იაფეტური მოდგმის, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა-ქალღმერთი, რომელიც სხვადასხვა ასპექტით გვევლინებოდა ამ მოდგმის სხვადასხვა განშტოებებში, ამიტომაც მას ჰქვია „მირიონიმი", ე. ი. მირიადსახელიანი. ეს იყო ის ცენტრალური დედა-ქალღმერთი, რომელიც დახვდათ ბერძენ კოლონისტებს ფაზისში. ფაზისის შესასვლელთან იდგა მისი დიდი ქანდაკება, რომელიც ცნობილია ჩვენში დედა უფლის, ადგილის დედის სახით და რომელიც პროტოქართველურ ქვეყნებში გვევლინებოდა როგორც დემეტრა, როგორც ჰერა. არტემიდეს კულტიც მომდინარეობს ამ ქალღმერთიდან, პარალელური კულტი არის სვანეთში – დალის კულტის სახით. როგორც მოგეხსენებათ, მცირეაზიური ქალღმერთების კულტიც დაკავშირებულია ამ უძველეს იაფეტურ დედა-ღმერთთან, ხოლო ღვთისმშობელი ქრისტიანული ეპოქის არის იგივე ქალღმერთის ქრისტიანული ასპექტ-სახე, რომელიც ყველაზე მახლობელი იყო ამ მოდგმასთან და აქ არის სწორედ მისტიკური წინასწარგანსაზღვრულობა. როდესაც წილი ჰყარეს მოციქულებმა იმის გასარკვევად, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა, საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს. წილად ხვდა იმის გამო, რომ ტრადიციულად ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო ღვთისმშობლის მისიასთან, რომელიც არის იგივე სულიწმიდის მისია.

მოგეხსენებათ, რომ სამება – მამა, ძე და სულიწმიდა – მრავალი ასპექტით, მრავალსახოვნებით ხასიათდება. ძის იპოსტასი,მეორე იპოსტასი,მჟღავნდება სამების

ე. წ. ღმერთმამაკაცურ ასპექტში, ხოლო სულიწმიდა მჟღავნდება სამების ფემინურ, მდედრობით ასპექტში, ანუ ღვთისმშობელში. ამის შესახებ გრიგოლ ნოსელს აქვს შრომები. კერძოდ, იგი ამბობს, რომ სულიწმიდა გამოვლენილია ღვთისმშობელში და ღვთისმშობელი არის იგივე მიწიერი განსახიერება და მოქმედება სულიწმიდისა. სულიწმიდის მისია უშუალოდ დაკავშირებულია ღვთისმშობლის მისიასთან. რა მისიაა ეს? ეს არის სანქტიფიკაციის, განწმენდის მისია, კაცობრიობის განწმენდისა და ამავე დროს მხილებისა, რომელიც უნდა განახორციელოს ამ საწყისმა. ისევე, როგორც მიქაელ-გიორგის მისია არის სულიერი აზროვნების განვითარება, უნივერსალური გველის, ანუ დრაკონის დათრგუნვა, მატერიალიზმის დათრგუნვა, უნივერსალური ბოროტების დათრგუნვა და კაცობრიობის ხსნა. აი, ეს ორი ასპექტი ყველაზე მეტად უკავშირდება საქართველოს მისიას, საქართველოს სულიერ მისიას. მიქაელური ქრისტიანობა, გიორგიანული ქრისტიანობა ორი სხვადასხვა ასპექტია ერთი და იმავე მოვლენისა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სოფიანური ქრისტიანობა, ანუ ღვთისმშობელთან დაკავშირებული ქრისტიანობა, ქრისტიანობის ის ასპექტია, რომელიც ვლინდება ღვთისმშობელში, ანუ სოფიაში. ანტიკურობაში ეს ქალღმერთი, ეს არსება ვლინდებოდა როგორც ნაყოფიერების ქალღმერთი, დედაღვთაება, დედამიწა, ხოლო ქრისტიანობაში იგი ვლინდება როგორც სოფია, ანუ საღვთო სიბრძნე, კოსმიური სიბრძნე. სოფია არის ერთ-ერთი სახელწოდება ღვთისმშობლისა, ერთ-ერთი სახე ღვთისმშობლისა, ანუ სულიწმიდისა. სიბრძნე მომდინარე სულიწმიდიდან გამოხატულია სოფიაში. ეს არის ორი ასპექტი და არის დაკავშირებული ერთმანეთთან ქართული ღვთისმეტყველება, ხელოვნება, მწერლობა.

საქართველოს სულიერ მისიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სვეტიცხოვლის ტაძარს. არცერთ ქრისტიანულ ტაძარში არ არსებობს სვეტი, უფრო სწორად, არსებობდა ორი სვეტი იერუსალიმის სოლომონის ტაძარში, ხოლო აქ ქრისტიანული ტაძარია აგებული სვეტთან დაკავშირებით. თავდაპირველი საფუძველი ამ ტაძრისა იყო სვეტი. მისი აგების ისტორია უკავშირდება სვეტის აღმართვის ისტორიას, ხოლო ეს სვეტი სიმბოლურად განასახიერებს ცხოვრების ხეს, ისტორიულადაც ამ ადგილას იზრდებოდა კედარი და არის ცხოვრების ხის სიმბოლო, რომელიც მოიჭრა და შემდეგ, ეს მოჭრილი კედარი ანგელოზებმა წმინდა ნინოს ლოცვით აღმართეს და ამ ადგილას აშენდა პირველი ტაძარი, პირველი ეკლესია წმინდა ნინოსი, ხოლო შემდეგ უფრო გვიან აშენდა სვეტიცხოველი, რომელიც არის ალეგორიული ტაძარი, ისევე როგორც სოლომონის ტაძარი იყო ალეგორიული. რაში მდგომარეობს სოლომონის ტაძრის ალეგორიულობა? სოლომონის ტაძარში იყო აღმართული ორი სვეტი, რომელიც განასახიერებდა ცხოვრების ხეს და ცნობადის, ანუ შემეცნების ხეს. სვეტიცხოველში კი ვხედავთ ერთ სვეტს. რატომ არის განსხვავება სვეტთა რაოდენობას შორის? იმიტომ, რომ სოლომონის ტაძარი უკავშირდება ძველ აღთქმას, ეზოტერულ იუდაიზმს, როდესაც ცხოვრების ხე და ცნობადის ხე ჯერ გათიშული, გაყოფილი იყო, ხოლო ქრისტიანული ინიციაციის მისია არის ცხოვრების ხისა და ცნობადის ხის ჰარმონიული შერწყმა ერთ მთლიანობაში, ერთ სვეტში. აქედან ჩანს ეზოტერული იუდაიზმის და ეზოტერული ქრისტიანობის ერთობა. ცნობილია, რომ საქართველოში პირველად მცხეთაში ებრაული თემი (რომელიც თავიდან გაქრისტიანდა), ხედავდა ერთობას ეზოტერულ იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის. ამ თემიდან ერთ-ერთი ესწრებოდა

ქრისტეს ჯვარცმას და მან მიიღო წილად კვართი, ანუ სამოსი უფლისა და წამოიღო მცხეთაში, რომელიც დამარხულია სვეტის ქვეშ მის დასთან, სიდონიასთან ერთად. კვართი უფლისა არის სიმბოლო კოსმიური ეთერისა, რომელიც მოსავს ქრისტეს და ამასთან არის დაკავშირებული ცხოვრების ხე, რომელიც ამ კვართის დაფლვის ადგილზე არის აღმართული. ამ ცხოვრების ხეში შერწყმულია აგრეთვე ცნობადის ხეც, რომელიც ქრისტიანობამდელ ეტაპზე განცალკევებული იყო, აქ არის მოცემული მომავლის იდეალი, მომავლის ქრისტიანობის მისია. სხვა სიმბოლოები სვეტიცხოვლისა აგრეთვე მოგვითხრობენ, თუ რაოდენ ღრმად იყო განვითარებული ეზოტერული ქრისტიანობა საქართველოში. კერძოდ, სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე ჩვენ ვხედავთ წმინდა გიორგის ლომთან და ვეფხვთან ერთად. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანში" მთავარი გმირის ბრძოლა ლომთან და ვეფხვთან. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ წმინდა გიორგი ზოგიერთ ქართულ ბარელიეფზე, მაგალითად, მრავალძალის ბარელიეფზე, გმირავს არა დრაკონს, არამედ ვეფხვს. ვეფხვი არის სინონიმი დრაკონისა, რომელსაც გმირავს წმინდა გიორგი, ე. ი. სიმბოლო ქვენაინსტინქტებისა, რომელსაც ამარცხებს ადამიანის „მე" ინიციაციის გზაზე. პოლიტიკური ასპექტით ეს არის სიმბოლო მებრძოლი საქართველოსი, რომელიც ამარცხებს პოლიტიკურ ისლამს — ვეფხვს, ანუ თურქეთს და ლომს — ირანს. ასეთი ინტერპრეტაციაც აქვს ამ ბარელიეფს. სვეტიცხოვლის შიდა, სამხრეთ კედელზე გამოსახულია აპოკალიფსური მეორედ მოსვლა, სადაც მრავალი საინტერესო სიმბოლოა ეზოტერული თვალსაზრისით და მათ შორის ისევ ვეფხვის გამოსახულება, როგორც აპოკალიფსური მხეცისა. აპოკალიფსური მხეცი ამ ფრესკაზე გამოსახულია დაწინწკლული ვეფხვის, ანუ პანთერის სახით. საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის" ვეფხვი ეს არის პანთერა, დაწინწკლული ვეფხვი. ასეთი ეზოტერული სიმბოლოები მრავალია ქართულ ფრესკებზე, ქართულ ტაძრებში და ისინი მოითხოვენ სპეციალურ კვლევას, სპეციალურ განმარტებას. მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ძალზე ხშირია გრაალის მოტივები ქართულ ფრესკებზე. ასეთ მოტივებს ვხედავთ ჩვენ გელათში, რომელიც, როგორც ცნობილია, იყო მართლმადიდებლური მონასტერი, გრაალის კულტურის კერა და საქართველოში გრაალის ქრისტიანობა შერწყმულია მართლმადიდებლობასთან.

დასავლეთში კათოლიკური ეკლესია გამოყოფილი იყო ეზოტერულისაგან და ჯვაროსნულ ომს უცხადებდა მას, ხოლო საქართველოში ეს ყოველივე წარმოადგენდა ერთ მთლიანობას და ამის გამო უწოდებდნენ ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს მეფე-ხუცეს იოანეს. რას ნიშნავს მეფე-ხუცესი იოანე და როგორ უნდა განვმარტოთ ის ხანა კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც უკავშირდება მეფე-ხუცეს იოანეს? ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ჩვენ ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა „პარციფალი", — ვისი ძეა მეფე-ხუცესი იოანე? იგი არის პარციფალის ნახევარძმის — ფაირეფიცის ძე. რას ნიშნავს ფაირეფიცი? სიტყვა „ფაირეფიც" ნიშნავს „შავ-თეთრ" ვაჟს. რატომ არის შავ-თეთრი ეს სიმბოლო? შუა საუკუნეების რაინდულ რომანებში და პოემებში პიროვნებები, გმირები სიმბოლურად განახორციელებენ რომელიღაც გზას, რომელიღაც იდეას, ისინი წარმოადგენენ პერსონიფიკაციას, რომელიც ეძებს გრაალს და პოულობს მას, ხოლო ფაირეფიცი წარმოადგენს აღმოსავლური და დასავლური გზების შერწყმას, ამიტომ არის იგი შავ-თეთრი, ე. ი. თეთრი რასისა და უფრო მუქი რასის შენარევი. შავ-თეთრი არის აგრეთვე იმიტომ, რომ მასში შერწყმულია

ქრისტიანული – დასავლური სიბრძნე არაბულ სიბრძნესთან, ისევე, როგორც ტამპლიერობაში. ტამპლიერობა არის დასავლური ინიციაციური გზა გადმოსული აღმოსავლეთში, რომელმაც აითვისა აღმოსავლური სიბრძნე, კერძოდ არაბულ-სპარსული სიბრძნე და იშვა მისგან ჰიბრიდი, შავ-თეთრი ვაჟი ფაირეფიცი, რომელიც არის განსახიერება აღმოსავლური ტამპლიერობისა და გადმოვიდა აღმოსავლეთში და მიიღო აღმოსავლური ელფერი და ამ ტამპლიერობასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ძველი ქართული რაინდობა და, უწინარეს ყოვლისა, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფის ეპოქის საქართველო, ასევე, შოთა რუსთაველი. ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის. ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გააერთიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე, დასავლური და აღმოსავლური ინიციაცია. ამიტომ არის, რომ ამ შავ-თეთრი ვაჟის, პარციფალის ნახევარი ძმის ძეა მეფე-ხუცესი იოანე. მეფე-ხუცესი იოანე ჯვაროსნულ ქრონიკებში გაიგივებულია დავით აღმაშენებელთან, მაგრამ ეს არის არა მხოლოდ პიროვნულად დავით აღმაშენებლის სიმბოლო, არამედ მთელი იმ სიბრძნის სიმბოლოა, რომელიც დაიბადა დასავლეთში და შემდეგ შეერწყა აღმოსავლურ სიბრძნეს. ამ გაერთიანებული, სინთეზირებული სიბრძნის შვილია ის კულტურა, რომელიც მოხსენიებულია ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში" როგორც ტაურონიტი, ანუ კავკასიის მთიანეთი. საქართველო აქ პირდაპირ ნახსენები არ არის, ვინაიდან ეს ალეგორიული პოემაა. ეშენბახის პოემაში არც ერთი ისტორიულად ცნობილი ქვეყანა ან პირი არ არის მოხსენიებული, იქ არის მხოლოდ სიმბოლური და ალეგორიული სახელები ქვეყნების, პირების და ამა თუ იმ მოძრაობის და ინიციაციური გზისა, რომელიც მოცემულია სხვადასხვა გმირის სახით. კერძოდ, პარციფალის მამა გაჰმურეტი იმ ეტაპის სიმბოლოა, როდესაც ჯერ არ იყო განთვისებული გრაალის მოძრაობა, გრაალის ქრისტიანობა და საერთოდ ქრისტიანობა ჯერ არ იყო გამოსული ასპარეზზე. პარციფალი თვითონ გრაალის მოძრაობის სიმბოლოა, ხოლო ფაირეფიცი, როგორც ვთქვით, არის აღმოსავლეთში გადმოსული გრაალის მოძრაობის, ანუ ტამპლიერული მოძრაობის სიმბოლო და ყოველივე ამის წყაროდ ვოლფრამ ფონ ეშენბახს პირდაპირ აქვს მითითებული ტაურონიტი, ანუ საქართველო. საქართველოს ფსევდონიმი, ასე ვთქვათ, ამ ნაწარმოებში არის ტაურონიტი, ანუ ტაბრონიტი. რატომ არის ეს ნახმარი? ეს სიტყვა დაკავშირებულია ტაურუსთან, ანუ კუროს კულტურასთან, ხარის კულტურასთან; ხარის კულტურა, როგორც მოგეხსენებათ, პროტოქართულ, პროტოიბერიულ სამყაროში იყო წამყვანი, ვიდრე კოსმიურად, ზოდიაქალურად იყო კუროს ეპოქა. არსებობს კრეტა-მინოსის ხარის კულტი, მინოტავრის კულტი, მასთან ბრძოლა და სხვა. და, ამასთან დაკავშირებით, ვოლფრამ ფონ ეშენბახი აღნიშნავს, რომ ეს არის წყარო მისტერიალური კულტურისა. აი, ამ კავკასიის მთიანეთზე, ამ ტაურონიტზე, ამ ზღაპრულ ქვეყანაზე, სადაც მეფობს მეფე-ხუცესი – იოანე ვოლფრამ ფონ ეშენბახი ამბობს, რომ ეს არის სათავე ყოველივესი – მისტერიალური სიბრძნისა და კულტურისა, მოცემულია მინიშნებით და მთლიანად ამოხსნა არ არის ჯერ კიდევ ადვილი. აქ დაშიფრულია მთელი რიგი სახელები, თუმცა მას კონკრეტულად მითითებული აქვს კავკასიის მთიანეთი, კავკასიის მიმდებარე ქვეყანა, როგორც წყარო მისტერიალური კულტურისა და მეფე-ხუცეს იოანეს სამკვიდრებელი, რომლის სახელმწიფოში არის სულიერი სიბრძნის კერა, რომელსაც ჯვაროსნები, სულიერ

ინდოეთსაც უწოდებდნენ. ინდოეთად მოიხსენიება ეს ქვეყანა იმის გამო, რომ ინდოეთი შუა საუკუნეებში იყო არა მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი, არამედ ხშირად იხმარებოდა სულიერი თვალსაზრისითაც, როგორც სულიერი, მისტერიალური კულტურის სამშობლო. ასევე იხსენიება ინდოეთი „ვეფხისტყაოსანშიც"; ეს გეოგრაფიული და ისტორიული ინდოეთი არ გახლავთ. იგი იხსენიება ნიზამი განჯელის „ისკანდერნამეში" – ინდოეთი, როგორც მისტერიათა სამყარო. ამის გამო ვხვდებით ასეთ დამთხვევებს ქართულ და დასავლურ კულტურებს შორის. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ არც გამოკვლეულია და არც ისტორიამ შემოგვინახა, სამწუხაროდ, ბევრი მონაცემი ამ პერიოდის ურთიერთობის შესახებ. მაგრამ, ისეთი ქმნილებები, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი", ოდები, დასავლეთში რაინდული რომანები, ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა, მაინც გვაძლევენ იმ ღრმა ხედვებს ურთიერთობებზე, რომელიც არსებობდა იმჟამინდელ საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. კერძოდ ის, რომ „ვეფხისტყაოსანი" და „ამირან-დარეჯანიანი" საოცრად ენათესავება დასავლეთის რაინდულ პოემებს, თუმცა აქვთ უაღრესად ღრმა თავისებური სპეციფიკა, სადაც იკვეთება აგრეთვე ქართული კულტურის მისია. ამ ნაწარმოებში აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის ტრადიციები ერთ მთლიანობაშია მოცემული. ქართული კულტურისა და საქართველოს მისია, კულტურული თვალსაზრისით, არის სინთეზირება დასავლური და აღმოსავლური კულტურებისა და მათი მოცემა ერთ მთლიანობაში, ამიტომ „ვეფხისტყაოსანი" ორივე მხარის კუთვნილებაა. აქ გაყოფა და გათიშვა შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ ფიტარეთი, ეს უდიდესი ძეგლი ქართული არქიტექტურისა, შეიძლება ჩავთვალოთ როგორც ქრისტიანული არქიტექტურის ნიმუშად, აქ დასავლური და აღმოსავლური კულტურული ელემენტები ყოველთვის ერწყმოდა ერთმანეთს.

აი, ასე მესახება საქართველოს მისია, ქართული კულტურის მისია. ახლა შევეხოთ გრაალის წარმოშობა.

გრაალის ეტიმოლოგია. გრაალი მიმდინარეობს ძველპროვანსული და ალბათ, ძირით კაბადოკიური ტერმინიდან „გრაცალ" და, საერთოდ, გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია, აგრეთვე კაბადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბერიული ეთნოსია და არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაბადოკიელი, ე. ი. ქართველური წარმოშობისა. შემთხვევით როდია, რომ კაბადოკიელები ესწრებოდნენ სულიწმიდის გამოსვლას და გრაალის მისია არის სულიწმიდის მისია. გრაალი არის სულიწმიდის მატარებელი, სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმიდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმიდით განმსჭვალული და სულიწმიდამომადლებული ადამიანი. გრაალის მოძრაობა, გრაალის ქრისტიანობა შექმნეს სწორედ იბერიელმა ხალხებმა. ის შეიქმნა ჯერ კაბადოკიაში, შემდეგ პროვანსში, ლანგდოკში, სადაც ძირითადად იბერიული და კელტიბერიული მოდგმის ხალხები ცხოვრობენ. კელტ-იბერები იგივე იბერებია წარმოშობით, რომელთაც შემდეგ გვიანდელ პერიოდში შეერწყნენ კელტები. კელტების მიგრაცია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით მესამე საუკუნიდან დაიწყო და მოგვიანებით გაგრძელდა. შემდეგ ჩამოყალიბდა კელტ-იბერიული მოდგმა, მაგრამ წარმოშობით მაინც იბერიულია. კელტ-იბერიული მოდგმაც კაბადოკიასთანაა დაკავშირებული და სწორედ კაბადოკიიდან, ამ მესხური, ანუ მოსხური,

ზანური კაბადოკიიდან მომდინარეობს გრაალის ქრისტიანობა და ხასიათი. ქართლში არის, სხვათა შორის, სოფელი გრაკალი. რამდენადაც პირველადი სახე ამ თასისა არის გრაცალი, – გრაცალი და გრაკალი აშკარად მონათესავე მცნებებია და ეს ტოპონიმი უნდა იყოს გრაალთან დაკავშირებული. გრაალი მოხსენიებულია შავთელის ოდებში და ეწოდება „მადლთა ბარძიმი, ერთ განსაწმენდ". როგორც მოგეხსენებათ, გრაალი არის ბარძიმი, თასი და გარდა ამისა, ეს თასი მოხსენიებული არის ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, როდესაც წმინდა გიორგი – ქართული ფოლკლორის წმინდა გიორგი – ლაშქრობს ქაჯავეთში კოპალასთან და იახსართან ერთად, მას ქაჯავეთიდან მოაქვს თასი და ეს გრაალის თასი უნდა იყოს. ე. ი. წმინდა გიორგის ჩასვლა ქვესკნელში დაკავშირებულია გრაალის თასის წამოღებასთან, ე. ი. ეს არის ინიციაციის სიმბოლო. ამრიგად, გრაალი უკავშირდება ქართულ კულტურას, ქართულ ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული. ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს! ამგვარად არის უაღრესად ღრმა კავშირში ქართულ კულტურასთან. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს", შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანი" გრაალის პოემაა, იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოები, სინონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე. ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან, იგივეა, რაც ქვესკნელიდან გრაალის გამოხსნა. ქალი ამ შემთხვევაში განასახიერებს ანიმას, სამშვინველს და ანიმას გამოხსნა დრაკონის ტყვეობიდან არის სწორედ ინიციაციის მიზანი. აი, ეს არის მოცემული სწორედ „ვეფხისტყაოსანში". „ვეფხისტყაოსანი" არის ინიციაციის გზა, ჰეროიკული ინიციაციის გზა არის აქ აღწერილი. ალეგორიულად, საერთოდ, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელში შთასვლა და გრაალის გამოსხნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა, ბნელი ძალების ტყვეობისაგან.

(ჩვენ მცირედი შემოკლებით, ჩავრთეთ ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისია", რადგან ეს მასალა არსებითად ეხმიანება ჩვენს თემას. ასევე, მან პირველმა იმუშავა და მოგვაწოდა, მერაბ კოსტავასთან ერთად, შეხედულებები მეცნიერულ დონეზე, საქართველოს სულიერ მისიასთან დაკავშირებით. დე, ქართველ მკითხველს ჰქონდეს ამ მასალის ფონზე, უფრო მეტი შედარების და განსჯის შესაძლებლობა, თუ სად ემთხვევა ჩვენი ხედვები, ან სად არის განსხვავება. – ბ. თ.)

იოანების წარწერა. XI ს. კაცხი

რა მიეკუთვნება კულტურულ ფასეულობას და რა უნდა ვიცოდეთ მის მესაკუთრეობაზე

კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანას, დროებით გატანას, საზღვარგარეთიდან შემოტანას ან დროებით შემოტანას არეგულირებს კანონი. ამ კანონის მიზანია, დაიცვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობები საქართველოდან მათი უკანონო გატანისა და უნებართვო არქეოლოგიური გათხრებისაგან.

— კულტურულ ფასეულობებად მიჩნეული ნივთებია, რომლებზედაც ვრცელდება ეს კანონი:

- ფლორისა და ფაუნის, მინერალოგიისა და პალეონტოლოგიისათვის საინტერესო, იშვიათი კოლექციები და ნიმუშები;
- ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიასთან, მათ შორის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ომებისა და საზოგადოების ისტორიასთან, აგრეთვე ეროვნულ მოღვაწეთა, მოაზროვნეთა, მეცნიერთა, ხელოვანთა და სპორტსმენთა ცხოვრებასთან და დიდმნიშვნელოვან ეროვნულ ფაქტებთან;
- არქეოლოგიური აღმოჩენები;
- მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების ფრაგმენტები;
- 100 წელზე მეტი ხნის წარწერები, მონეტები და ბეჭდები;
- ეთნოგრაფიული მასალა;
- ნებისმიერი მასალით ხელით შესრულებული ტილოები, სურები, ნახატები (ნახაზისა და ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის გარდა) და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები;
- ნებისმიერი მასალისაგან შესრულებული ქანდაკების ორიგინალური ნაწარმოები;
- ორიგინალური გრავიურა, ესტამპი და ლითოგრაფია;
- ნებისმიერი მასალისაგან დამზადებული ორიგინალური მხატვრული შენარჩევი და მონტაჟი;
- იშვიათი ხელნაწერი და ინკუნაბულა, ძველი წიგნი, გუჯარი და გამოცემა, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს (ისტორიულ, მხატვრულ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვა) იწვევენ ცალ-ცალკე და კოლექციად;
- მიმოქცევიდან ამოღებული საფოსტო მარკა, საგადასახადო ან ანალოგიური მარკა ცალ-ცალკე ან კოლექციად;
- არქივზე, მათ შორის ფონო, ფოტო და კინოარქივი;
- 100 წელზე მეტი ხნის ავეჯი და ძველებური მუსიკალური საკრავი;

ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება თანამედროვე სუვენირული ხასიათის ნაკეთობაზე, აგრეთვე სერიული და მასობრივი წარმოების კულტურული დანიშნულების ნივთზე.

— კულტურული ფასეულობა, რომელიც საქართველოდან საზღვარგარეთ გატანას არ ექვემდებარება:

- მოძრავი ნივთი, რომელსაც განსაკუთრებული, ეროვნული ან ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულება აქვს

და მიეკუთვნება საქართველოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებულად ფასეულ ობიექტს, მიუხედავად მათი შექმნის დროისა;

• მოძრავი ნივთი, რომელიც სახელმწიფოს მიერ ამ კანონის მიღებამდე უკვე შეტანილია დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრში ან რომელსაც ამ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე საქართველოს კულტურის სამინისტრო შეიტანს სპეციალურ სიასა და რეესტრში და რომელსაც იცავს სახელმწიფოში;

• კულტურული ფასეულობა, რომელიც მისი აღმოჩენის ან შექმნის დროიდან მუდმივად ინახება სახელმწიფო სამუზეუმო ფონდში, არქივში, ბიბლიოთეკაში, კულტურული ფასეულობის დაცვის სხვა სახელმწიფო დაწესებულების სხვა ფორმით არსებულ ანალოგიური დანიშნულების დაწესებულებაში.

– აკრძალულია იმ კულტურული ფასეულობის საქართველოში შემოტანა, რომელზედაც უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების შეტყობინების საფუძველზე გამოცხადებულია ძებნა.

– საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, კულტურული ფასეულობის მესაკუთრეს უფლება აქვს, თხოვნით მიმართოს საქართველოს შესაბამის ორგანოებს, მხარდაჭერა აღმოუჩინონ საზღვარგარეთ უკანონოდ გატანილ ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო მფლობელობაში მყოფი კულტურული ფასეულობის საქართველოში დასაბრუნებლად.

ამ კატეგორიის კულტურულ ფასეულობაზე კანონიერი მესაკუთრის უფლების აღდგენის გარანტი სახელმწიფოა.

– საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით საზღვარგარეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობა დაუბრუნდება მესაკუთრეს.

დაბრუნება ხდება მომთხოვნი მხარის განაცხადისა და მის მიერ სათანადო დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის ამოღებისა და კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების შემთხვევაში მის კეთილ-სინდისიერ შემძენს მომთხოვნმა მხარემ, თუ იგი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოა, მისი მოქალაქე ან იურიდიული პირია, უნდა გადაუხადოს ამ კულტურული ფასეულობის კომპენსაცია, თუ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ასეთი კომპენსაციის გადახდა. სხვა შემთხვევაში გადახდა მოხდება ნებაყოფლობით ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ, შეუზღუდავად მიიღონ სრული და ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს კულტურული ფასეულობის დაცვის, მისი საზღვარგარეთ გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის შესახებ, თუ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებთან ან ფასეულობის გამტანი ფიზიკური და იურიდიული პირების კანონით დაცულ ინტერესებთან დაკავშირებულ საიდუმლოს.

– კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანა შეიძლება განხორციელდეს კანონიერი მესაკუთრის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ამ კანონით დადგენილი წესით.

კულტურული ფასეულობის გატანისას იურიდიული პირი ვალდებულია,

დოკუმენტურად დაასაბუთოს საკუთრების უფლება გასატან ნივთზე.

საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად გამსვლელი ფიზიკური პირი ვალდებულია წარადგინოს საკუთრების უფლების დამამტკიცებელი საბუთები კულტურულ ფასეულობაზე, თუ განცხადებულია, რომ იგი საოჯახო რელიკვიისა და მემორიალური ფასეულობის სახით ინახება მის ოჯახში და არა სახელმწიფო მუზეუმში, არქივში ან კულტურული ფასეულობის საცავ სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში.

სახელმწიფოს უპირატესი უფლება აქვს საზღვარგარეთ გასატანად გამზადებული კულტურული ფასეულობის შესყიდვაზე, რომელიც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიული პირთა ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ განცხადებულია საქართველოდან გასატანად. შესყიდვისათვის საჭირო თანხას, განაცხადებისა და აუცილებელი თანხმობის არსებობისას, ანაზღაურებს სახელმწიფო მესაკუთრის საზღვარგარეთ გასვლამდე, ხელშეკრულების საფუძველზე.

ავტორის მიერ კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანისას ამ ფასეულობის სახელმწიფოს მიერ შესყიდვაზე უპირატესი უფლება არ გამოიყენება. კულტურული ფასეულობის ავტორს (ან მის მემკვიდრეს ავტორის გარდაცვალებიდან კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში), იმის მიუხედავად, იგი საქართველოს საზღვრებს გარეთ დროებით გადის თუ მუდმივ საცხოვრებლად, უფლება აქვს, გაიტანოს მის (მამკვიდრებლის) მიერ შექმნილი კულტურული ფასეულობა. კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ დროებით გატანას სამუზეუმო, საარქივო, საბიბლიოთეკო დაწესებულებები, ფიზიკური და იურიდიული პირები ახორციელებენ შემდეგი მიზნებისათვის:

ა) გამოფენის ორგანიზება;

ბ) სარესტავრაციო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება;

გ) საკონცერტო, თეატრალური ან სხვა სახის სამსახიობო საქმიანობა;

დ) სხვა შემთხვევაში, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება ამ კანონს და საქართველოს კანონმდებლობას.

ლელა ნაბახტეველი



ვეჟან ატენელის წარწერა. VIII ს. ატენის სიონი

საიდან მოვიდნენ კოსმოსელები... ადამიანი დამოუკიდებელი არ არის...

მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პოლონელი ჟურნალისტის არნოლდ მოსტოვიჩის სტატიის შემოკლებული თარგმანი, რომელიც კოსმოსური კონტაქტების ფრიად საინტერესო პრობლემას ეხება.

ინგლისელმა მეცნიერებმა კემბრიჯიდან ჯორჯ სასუნმა და როდნეი დალმა გამოაქვეყნეს დასკვნები მანანას (ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, საკვები, რომელიც ზევიდან უცვიოდათ ებრაელებს უდაბნოში სვლის დროს) მწარმოებელ მანქანაზე. მე-13 საუკუნის კაბალისტიკური წიგნის „ზეფერ ჰაზოჰარის" მეტად დეტალური და უჩვეულოდ საინტერესო ანალიზის შედეგად, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბიბლიურ მანქანას და თანაც საკმაოდ რთულს, აწარმოებდნენ სავსებით ჩვეულებრივი მიწიერი ზემოქმედების ძალები – რაღაც რთული ტექნიკური მოწყობილობით. შეუძლებელია, იგი შეექმნა ადამიანს 3500 წლის წინათ (ეგვიპტიდან ებრაელების გაქცევის პერიოდში), იმდროინდელ დედამიწაზე არსებული ტექნიკის საშუალებით. მხოლოდ ეს დანადგარი შეიძლება გამხდარიყო საფუძველი კოსმოსური ხომალდის შექმნისა და ამავე დროს, ადამიანებისათვის საკვების მიწოდების წყარო.

საჭირო პირველწყაროების მოპოვებისათვის აუცილებელი იყო „ზოჰარის" წიგნის წაკითხვა. ორივე ავტორმა შეისწავლა არამეული ენა (რადგან ეს წიგნი სწორედ ამ ენაზეა დაწერილი) და ამავე დროს, ებრაული, მათი არგუმენტები ამტკიცებენ სრულიად უჩვეულო ამბებს, ხოლო „ზოჰარის წიგნზე" დაყრდნობით შესრულებული, მანქანის აღწერა საკმაოდ დახვეწილია.

თუ გულდასმით წავიკითხავთ ბიბლიას და თან ვირწმუნებთ მანანას რეალობის ისტორიას (რასაც თანამედროვე ისტორიკოსებიც ამტკიცებენ), აუცილებლად დაგვებადება აზრი, რომ მანანა შეუძლებელია ყოფილიყო ხილი ან რაიმე ფხვნილი. მხოლოდ მანქანას შეეძლო ასეთი რეგულარობით ეწარმოებინა საკვები, თანაც ყოველი მეხუთე ულუფა გაორმაგებულად.

სასუნმა და დალმა სტატია „მანანას მწარმოებელი მანქანა" მოათავსეს 1977 წელს, საკმაოდ სერიოზულ ინგლისურ ჟურნალ „საიენსში" და დავუბრუნდეთ პალეოასტრონომიის ყრილობაზე წაკითხულ რეფერატებს, რომელიც ჩატარდა 1979 წელს ქალაქ მიუნხენში და გავაკეთოთ დასკვნები:

პირველადი დასკვნის გაკეთება შეიძლება ინჟინერ იოზეფ ბლუმრიხის რეფერატიდან. მისი აზრი ემთხვევა მსოფლიოს მრავალი მეცნიერის აზრს, რომელნიც კვლევას აწარმოებდნენ პალეოასტრონომიაში. „...მართლაც, რომ არ უნდა დაიშურო ძალა და დრო, რათა შეაგროვო და ჩაიწერო პირველყოფილი ხალხის ლეგენდები და მითები... უნდა ვიჩქაროთ, რადგან ეს ხალხი მალე ჩვენი თვალთახედვიდან გაქრება..."

ბლუმრიხის რეფერატი ყრილობაზე შეეხებოდა ჰოპის ინდიელების შეხედულებას სამყაროსა და კაცობრიობის შესახებ. მათ განსაკუთრებით უჩვეულო მონათხრობს ორივე ამერიკაზე. აი, კიდევ ერთი წვეთი აუხსნელ თეთრ ლაქაზე, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც გასაღები, საიდუმლოებით მოცული ჩვენი ცივილიზაციის ასახსნელად. როგორც ბლუმრიხი ამტკიცებს, ჰოპის ინდიელების მითოლოგია ძირითადად ეძღვნება ღმერთებს, რომლებიც რომელიღაც ვარსკვლავიდან ჩამოვიდნენ და გარკვეული დრო დედამიწაზე გაატარეს.

მეორე დასკვნა: ძველი ტექსტების, განსაკუთრებით ბიბლიისა და ინდუსების წიგნების ახალი თვალთახედვით და უფრო გულდასმით წაკითხვაა საჭირო. ნუ დავივიწყებთ, რომ „ზოჰარის წიგნი", ძველ დროში, შავი მაგიის მიმდევართათვის ბიბლიის მაგიერი იყო. იგი იყო წყარო მრავალი მისტიკური თეორიისა. აღმოჩნდა, რომ ამ წყაროს გულდასმით ამოკითხვა, შეიძლება გახდეს უჩვეულოდ მორგებული გასაღები წარსულის საიდუმლოებათა გახსნისა.

ახალგაზრდა შვეიცარიელი თეოლოგი ვალტერ ლანგბაინი მიუთითებს, თუ რამდენი შეცდომაა დაშვებული ბიბლიაში გადაწერის და თარგმანის დროს. ლანგბაინს თავის რეფერატში მოჰყავს აპოკრიფები, რომლებიც, როგორც ჩანს, არ შესულა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. თუკი გულდასმით წავიკითხავთ გარკვეულ ფრაგმენტებს „ენოქის წიგნისა", ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე შეიძლება აღმოვაჩინოთ ცნობები პალეოკონტაქტებზე, რომელიღაც არამიწიერი ცივილიზაციის წარმომადგენლების შესახებ და ჩვენი ცივილიზაციის განვითარებაზე.

მესამე დასკვნა – შუმერების საიდუმლოების ამოხსნა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ჩვენი ცივილიზაციის შესწავლაში. ეს არის ხალხი, რომელიც უცბად, მოულოდნელად, ვულკანის ამოფრქვევასავით გაჩნდა კაცობრიობის შექმნის პირველ დღეებში მესოპოტამიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მისი კულტურისა და ცივილიზაციის ისტორია დღითი დღე მდიდრდება ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად. სწორედ ამიტომ, ნამდვილი სენსაცია მოახდინა ამერიკელი ორიენტალისტის ზაკარი სიჩინის რეფერატმა მიუნხენის ყრილობაზე. სიჩინი სპეციალიზდება შუმერების ისტორიაში, ხალხისა, რომელიც ისტორიაში გაჩნდა 6000 წლის წინათ.

სიჩინის ცნობები ეყრდნობა გათხრების უახლეს მასალებს. შუმერებს ჰქონდათ ცოდნის საოცარი მარაგი მეცნიერების ნებისმიერ სფეროში, ჰქონდათ განვითარებული ლიტერატურა და განუმეორებელი ხელოვნება. მაღალ დონეზე იყო მათი მედიცინა, კულინარია, მაგრამ წარმოუდგენლად დიდია მათი ცოდნა ასტრონომიაში. შეუძლებელია ასეთი ცოდნის შეძენა საკვლევი აპარატურის გარეშე.

შუმერებს ჰქონდათ დეტალური ცნობები მზის სისტემის შესახებ. იცოდნენ, რომ მზე არის ცენტრში და მის გარშემო ბრუნავს ყველა პლანეტა. იცოდნენ 199 წლის წინ აღმოჩენილი ურანის, 133 წლის წინ აღმოჩენილი ნეპტუნის, 50 წლის წინ აღმოჩენილი პლუტონის არსებობა. ეს წერილი იწერებოდა XX ს-ის 80-იან წლებში და ამიტომ ვადები დაახლოებით იმ პერიოდიდან აღირიცხებოდა. საიდანაა ასეთი ცოდნა? ვერც ერთი მეცნიერი ვერ შეძლებს ლოგიკური პასუხი გასცეს ამ შეკითხვაზე. საჩინი ამტკიცებს, ერთადერთი პასუხი ამ ამოცანისა შეიძლება იყოს ფაქტი, რომ ეს ცოდნა განვითარებული კოსმოსური ცივილიზაციის წარმომადგენლების მიერ არის მოტანილი და გადმოცემული. სიჩინს საამისოდ ბევრი არგუმენტი მოაქვს.

დედამიწა, როგორც ცნობილია, არის მესამე პლანეტა მზის სისტემაში, თუკი ათვლას მზისგან დავიწყებთ. შუმერები კი მას მე-7 პლანეტად მიიჩნევდნენ. ეს სწორი იქნება მაშინ, თუკი თვლას ზემოდან დავიწყებთ. ზემოდან კი დაითვლიდა მხოლოდ ის, ვინც ზემოდან უყურებს გალაქტიკას, ან ზემოდან მოვიდა, – ამტკიცებს სიჩინი.

სიჩინი არის ავტორი წიგნისა, რომელიც თითქმის ორი ათეული წლის წინათ გამოიცა და დღემდე იქაური ბაზრის ბესტსელერად ითვლება. წიგნს ეწოდება „მე-12 პლანეტა".

პირველი საბუთი ამისა არის შუმერული ტექსტი სახელწოდებით „ენემუ ელიშ“. გარკვეული დროის განმავლობაში ამ ტექსტს მეცნიერები მითად თვლიდნენ, სინამდვილეში კი, იგი ფართო მკითხველისთვის შესრულებული სამეცნიერო ნაშრომია. აქ მოცემულია ჩვენი მზის სისტემის სტრუქტურის აღწერა, მისი წარმოშობა. აქვე ლაპარაკია პლანეტა ნიმირუზე ანუ მარდუკუზე. ჩვენი მზის სისტემის შექმნიდან სულ მალე მოხდა მისი ორბიტის მიზიდვა ზემოთ არსებული პლანეტების გრავიტაციის ძალით. კოსმოსიდან ამ განზიდვის ტრაექტორიამ გამოიწვია საშინელი ცვლილებები, შეჯახებები, ნგრევა. დაიშალა მარსსა და იუპიტერს შორის არსებული პლანეტა „ტიამატი“. ამის შედეგად, – ამბობს შუმერების მითი, – შეიქმნა, ერთი მხრივ, ასტეროიდების ზოლი, რომელიც დღემდე არსებობს, მეორე მხრივ – დედამიწა და მთვარე. ამის გარდა, მარდუკს არავითარი ზიანი არ მოუტანია.

მეორე საგნობრივი მტკიცება არის ბერლინის მუზეუმში არსებული შუმერული ჩანაწერები, რომელზეც გარკვევით არის ჩახატული ჩვენი სისტემა. თუკი ამ სქემას გავადიდებთ და შევადარებთ თანამედროვეს, ვნახავთ, რომ ისინი ერთმანეთის ასლებია. და მაინც, ამ ორ სქემას შორის, დაკვირვებული კაცი აღმოაჩენს მცირე განსხვავებას. შუმერების სქემაზე მარსსა და იუპიტერს შორის არის პატარა რგოლი, რაც აკლია თანამედროვე სქემას. ის წარმოადგენს ჩვენთვის უცნობ ობიექტს. სიჩინის აზრით, სწორედ ეს არის პლანეტა მარდუკი.

ამ პლანეტაზე ამყარებს მე-12 პლანეტის ავტორი თავის იმედებს. აქ ვარაუდობს იგი განვითარებული ცივილიზაციის არსებობას. სწორედ აქედან მოვიდნენ ჩვენთან „მცველები“, რომელთაც გარკვეულად განაპირობეს კიდეც ადამიანის განვითარება. ამავე დროს, ისინი წინასწარი განზრახვით მოვიდნენ. ამაზე მეტყველებს ის, რომ მათ სცადეს „ადამიანის მსგავსი“ მაიმუნის ჩონჩხი გადაეკეთებინათ „ინტელიგენტის საწყისად“. ეს ბოლო აზრი,რა თქმა უნდა,მხოლოდ სიჩინს ეკუთვნის. ამ ჰიპოთეზის დაჯერება ძნელია... ახლა კი, კვლავ დავუბრუნდეთ წიგნის ფრაგმენტებს გერმანულ გამოცემაში. შესავალში ვკითხულობთ: „ვამტკიცებ, რომ ჩვენს მზის სიტემაში არსებობს კიდევ ერთი პლანეტა. როცა ეს წიგნი გამოჩნდა, ყველა ჩემი წინააღმდეგი იყო. ჩემს მხარეზე იყო მხოლოდ ტექსტი და შუმერების მიერ შესრულებული სურათები, აგრეთვე ძველი აღთქმის ისტორია. ახლა კი, დიდი სიხარულით ვურთავ თან ამ შესავალს გერმანულ გამოცემას. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ასტრონომები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მართლაც არსებობს ჩვენს სისტემაში კიდევ ერთი პლანეტა – პლუტონის იქით, სწორედ იქ, სადაც ვვარაუდობდი“.

ეს აზრი დაიბადა მას შემდეგ, რაც ვაშინგტონის ზღვისპირა ობსერვატორიის ასტრონომებმა 1978 წლის ივნისში დაამტკიცეს, რომ პლუტონის მასა ბევრად უფრო პატარაა, ვიდრე დღემდე ეგონათ. ის თითქმის მთვარის ზომისაა. პლუტონს არ შეუძლია განაპირობოს ნეპტუნის ზიგზაგისებრი, არარეგულარული ორბიტა.

რამდენიმე კვირის წინ მაცნობეს, – ამბობს სიჩინი, – რომ ალბათობა უფრო მეტ სიმყარეს იძენსო და დაიწყო ძებნა მე-12 პლანეტის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდმა ასტრონომებმა აღიარეს, რომ 6000 წლის წინათ შუმერებმა იცოდნენ უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ დღესდღეობით... იმედს არ ვკარგავთ, რომ მეორედ აღმოაჩენენ ერთხელ უკვე აღმოჩენილ პლანეტას. მაშინ მაინც გამოვუტყდებით ჩვენს თავს, რომ ამ ქვეყანაზე თუ კოსმოსში ადამიანი დამოუკიდებელი არ არის.

სენსაცია დმანისში

მე ბევრი ხალხი მინახავს, მაგრამ სილამაზისა და კეთილშობილების ეტალონად მხოლოდ ერთ ერს მივიჩნევ. ეს ერი მე ვნახე კავკასიაში – ქართველები.

ანუტ ჰამსუნი

დმანისის ნაქალაქარში ქართველმა და გერმანელმა არქეოლოგებმა ადამიანის თავის ქალა აღმოაჩინეს. ერთი შეხედვით, ეს აღმოჩენა გასაოცარი არაფრით იქნებოდა, რომ არა ერთი ფაქტორი – მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ექსპერტ-მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევებით, თავის ქალის ასაკი მილიონ რვაასი ათასი წლით დათარიღდა! ფაქტობრივად, ამ აღმოჩენამ თავდაყირა დააყენა აქამდე არსებული ყველა აქსიომა.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში პირველი ადამიანის ნაკვალევი, აფრიკის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს გერმანელებმა. მსოფლიოს არქეოლოგები აქამდე მიიჩნევდნენ, რომ აფრიკიდან პირველყოფილი ადამიანი ინდოეთის ტერიტორიაზე გადავიდა, საიდანაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამრავლდა.

დმანისში აღმოჩენილმა თავის ქალამ კი დაამტკიცა, რომ ადამიანი აფრიკიდან არა ინდოეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ საქართველოში დასახლებულა.

ადამიანის უძველესი თავის ქალის გარდა დმანისში ნაპოვნია ფლორისა და ფაუნის უნიკალური ექსპონატები: სპილოს კბილები, ჟირაფის ძვლები, მარტორქის ჩონჩხის ნარჩენები, გიგანტური სირაქლემა და ა. შ., რომელთა უმრავლესობა ამჟამად გადაშენებულია.

როგორც არქეოლოგები ამტკიცებენ, ამ აღმოჩენამ ქართველებს შესაძლებლობა მისცა დავუმტკიცოთ მსოფლიოს, რომ პირველყოფილი ადამიანი არა აზიის ტერიტორიაზე, არამედ საქართველოში ბინადრობდა.

მიწის ფენის ქვეშ არის ვულკანური წარმონაქმნების ფენა, ხოლო უფრო ქვემოთ, კვლავ მიწა და თიხა, აქედან გამომდინარე, არქეოლოგები თეორიულად უშვებენ ვერსიას, რომ ამ ქანების შესწავლის შემდეგ შესაძლებელია აღმოჩნდეს ადამიანის ჩონჩხის ნაწილი, რომელთა გამოკვლევით შეგვეძლება დავამტკიცოთ, რომ პირველყოფილი ადამიანი დმანისის ნაქალაქარზე ცხოვრობდა. მათივე განმარტებით, საქართველო არქეოლოგიური მასალებით ძალზე უნიშვნელოდაა შესწავლილი და აქედან მიღებულმა შედეგებმა შეიძლება ბევრი მსოფლიო სენსაცია გამოიწვიოს.

ზეზვა და მზია – გზა აფრიკიდან საქართველომდე

დმანისის ნაქალაქარზე გათხრები გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მიმდინარეობს. შუასაუკუნეებში დმანისი მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. მსოფლიო ალაპარაკდა დმანისში ნაპოვნი ადამიანის ორი თავის ქალის და ქვედა ყბის შესახებ. როგორც ექსპერტები ამტკიცებდნენ, დმანისში აღმოჩნდა აფრიკის შემდეგ ყველაზე ადრეული ადამიანის წინაპარი.

დმანისის არქეოლოგიურ გათხრებს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები ლევან მუსხელიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი, ხოლო უშუალოდ პალეოანთროპოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ აბესალომ ვეკუა, ლეო გაბუნია, დავით ლორთქიფანიძე, აგრეთვე მ. ნიორაძე, გ. კილაძე და ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფი.

დმანისის არქეოლოგიური გათხრების ქრონოლოგია ასეთია:

– 1983 წელი – პროფესორმა აბესალომ ვეკუამ სხვა ნამარხებთან ერთად აღმოაჩინა მარტორქის კბილი, რომლის საშუალებითაც განისაზღვრა ამ შრეების გეოლოგიური ასაკი 1,5-2 მილიონი წელი;

– 1984 წელი – ნაპოვნია პრიმიტიული ქვის იარაღები;

– 1991 წელი – ადამიანის ქვედა ყბა;

– 1997 წელი – ტერფის მესამე ძვალი;

– 1999 წელი, 31 მაისი – იპოვეს ზრდასრული მამაკაცის თავის ქალა;

– 1999 წელი, 22 ივლისი – აღმოაჩინეს ახალგაზრდა ქალის თავის ქალა;

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა სამეცნიერო ჟურნალმა „საიენსმა“ (მეცნიერება), რომელიც ყოველი წლის ბოლოს ასახელებს განვლილ წელს მსოფლიო მეცნიერებაში მომხდარ ყველაზე მნიშვნელოვან ათ მოვლენას, 2000 წელს დმანისის ახალი პალეოანთროპოლოგიური მონაპოვარი მესამე ადგილზე დაასახელა. მრავალი საზღვარგარეთული გამოცემა, მათ შორის „ვაშინგტონ პოსტი“, „ნიუ იორკ თაიმსი“, „ნეიშენელ ჯიოგრაფიკი“, „საიენსი“, „ფიგარო“, „ლიბერასიონი“ შემდეგი სენსაციური სათაურებით გამოეხმაურა ამ აღმოჩენას: „საქართველო პირველი ევროპელების სამშობლოა“, „ეს ნაპოვნი აიძულებს მსოფლიოს ყველა მუზეუმს განაახლონ ადამიანის ევოლუციის ექსპოზიციები“, „ორმა უბრალო თავის ქალამ, რომელთა ღირებულება ოქროს ზოდებზე მეტია, მსოფლიოს ყველა პრეისტორიკოსი თავდაყირა დააყენა“.

დღეს მეცნიერებაში მიღებულია, რომ ჩვენი ბიოლოგიური წინაპრები, პირველი ჰომინიდები აფრიკაში წარმოიშვნენ და დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ამ კონტინენტზე ბინადრობდნენ, შემდეგ მოხდა მათი მიგრაცია. ის, თუ როდის და რატომ გავრცელდნენ ისინი ევრაზიაში, მეცნიერთა მუდმივი დავის საგანია. დმანისის ახალი მონაცემებით დასტურდება, რომ ადამიანის აფრიკის გარეთ გავრცელება მოხდა მინიმუმ 1,7-1,8 მილიონი წლის წინათ. ადრეული ჰომინიდების მიერ დმანისის მიდამოების საცხოვრებლად ათვისების დროს აქ მრავალფეროვანი ლანდშტაფი იყო. დმანისში აღმოჩენილი ძვლების მიხედვით დადასტურებულია ისიც, რომ აქ ბინადრობდნენ ხმალკბილა ვეფხვები, აფთრები, ჟირაფები, მარტორქები, სპილოები, გიგანტური ზომის სირაქლემები, ირმები და სხვა ცხოველები. რაც შეეხება დმანისელ ჰომინიდებს, როგორც მეცნიერები უწოდებენ homo erectus-ებს, ასე გამოიყურებოდნენ:

სიმაღლე (მდედრი) 150 სანტიმეტრი (გამოთვლილია ტერფის ძვლის მიხედვით). ასაკი 15-16 წელი.

ტვინის მოცულობა – თანამედროვე ადამიანზე ორჯერ პატარა (დაახლოებით 650 სმ^3).

სიმაღლე (მამრი) – დაახლოებით 150 სანტიმეტრი. ასაკი 18-20 წელი. ტვინის კოლოფის მოცულობა დაახლოებით 775 სმ^3.

„ზეზვა და მზია“

ამზადებდა ქვის იარაღებს (დმანისში 800-მდე ქვის იარაღია ნაპოვნი), ეწეოდა შემგროვებლობას, ნადირობდა პატარა ცხოველებზე (ძირითადად ჩლიქოსნებზე), სავარაუდოდ იყენებდა ცეცხლსაც.

სამი თვის განმავლობაში მუშაობდა ფრანგი რესტავრატორი ელიზაბეტ დენი დმანისელი ჰომინიდების სახის აღდგენასა და მათი სკულპტურული პორტრეტების შექმნაზე, შედეგი მართლაც განსაცვიფრებელია. „ზეზვასა“ და „მზიას“ მულაჟები დღეს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია წარმოდგენილი და გამოფენის გახსნის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა განყოფილების ხელმძღვანელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი აბესალომ ვეკუა მოგითხრობთ:

როდესაც პალეოანთროპოლოგიაში რაიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა კეთდება, ტრადიციულად მიღებულია მათთვის სახელების დარქმევა. დიდხანს ვფიქრობდით რა სახელები შეგვერჩია დმანისელი ჰომინიდებისათვის, ზეზვა ძველი ქართული სახელია, ძარღვიანი. მზიაც კარგი სახელია.

მულაჟების რაოდენობა ძალიან მცირეა — ერთი ამერიკაშია, ერთიც — იაპონიის ერთ-ერთ მუზეუმშია გამოფენილი. გოჩა კილაძე მუშაობს ამაზე და ვფიქრობთ მულაჟები კიდევ უნდა დავამზადოთ. ზოგს საჩუქრად გადავცემთ, შემდეგში შეიძლება ფულიც გადავახდევინოთ.

რა თქმა უნდა, ხორცისმჭამელები იყვნენ. აუარებელი ცხოველთა ძვალია ნაპოვნი მათთან ერთად. ჩვენ ამ ძვლებს ნასუფრალ ძვლებს ვეძახით. ჩვენ, არ ვამტკიცებთ, რომ აღმოჩენილი 5000 ძვალი ყველა ნასუფრალია, მაგრამ უმრავლესობა ასეა.

თუ დმანისელი ჰომინიდის ტვინის მოცულობის მიხედვით ვისჯელებთ, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები არც ისე დიდი უნდა ყოფილიყო. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ აფრიკიდან აზიისაკენ მასიური მიგრაციის დასაწყებად მათ გაცილებით მეტი' გონებრივი განვითარება სჭირდებოდათ.

დიახ, არქეოლოგები, პალეოანთროპოლოგები ფიქრობენ, რომ ადამიანს აფრიკიდან ევრაზიისაკენ მიგრაცია რომ დაეწყო, გაცილებით მაღალი ინტელექტი და უფრო განვითარებული ქვის იარაღები უნდა ჰქონოდა.

იმასაც ვარაუდობდნენ, რომ აფრიკელი ადამიანი მაქსიმუმ მილიონი წლის წინ გადმობარგდა ევრაზიაში. ეს აქსიომად მიღებული ჰიპოთეზა იყო მეცნიერებაში და აი, უცებ დმანისში აღმოჩნდა 1.7 – 1.8 მილიონი წლის წინანდელი ადამიანი, რომელსაც საკმაოდ განვითარებული ქვის იარაღები გააჩნდა და თვითონაც არ იყო ისეთი პრიმიტივი, მაიმუნს რომ დამსგავსებოდა. დმანისის აღმოჩენის შესახებ პირველი

ცნობა სპეციალისტებმა სენსაციად აღიქვეს. მეცნიერთა ნაწილმა ეს მორიგ საგაზეთო ჭორად ჩათვალა და სერიოზული დასაბუთება მოითხოვა. ქართველ მეცნიერებს ამის საშუალებაც მალე მიეცათ. 1991 წელს ქალაქ ფრანკფურტში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა იავაზე 1891 წელს პირველი პითეკანთროპის ნაშთების აღმოჩენას. სიმპოზიუმს დაესწრო აკადემიკოსი ლეო გაბუნია და მეცნიერებს აჩვენა დმანისელი ადამიანის ქვედა ყბა. ამის შემდეგ თითქმის ყველამ ირწმუნა დმანისის აღმოჩენის უნიკალურობა. 1995 წელს მე და ლეო გაბუნია ვიყავით სამხრეთ ესპანეთში საერთაშორისო სიმპოზიუმზე. მოგვიახლოვდა ჩვენი ამერიკელი კოლეგა, ცნობილი პალეონტოლოგი კლარკ ჰოუელი, რომელიც კარგად გვიცნობდა და საქართველოშიც იყო ნამყოფი, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: „ვიცი ახლა თქვენ ტრაბახობთ, რომ ქართველებმა ადამიანის ასეთი ადრეული ნაშთი იპოვეთ. მე გამოვაგზავნი თქვენთან სპეციალისტებს და ვნახოთ, ისინი დაადასტურებენ არის ეს სიმართლე თუ არაო". მართლაც, ორ თვეში მან გამოაგზავნა სპეციალისტები, აიღეს ნიმუშები და წავიდნენ. იმავე წელსვე მე მისგან მივიღე მილოცვა, რომ ჩვენს მიერ დადგენილი გეოლოგიური ასაკი ზუსტი იყო. რაც შეეხება მიგრაციას, როდესაც ცხოველები ძალიან მრავლდებიან, საკვების ძებნაში ისინი იწყებენ ახალი არეალის ათვისებას. აი, ამ ცხოველების მიგრაციის გზას დაადგნენ ჰომინიდებიც, რადგან მათაც საკვები უნდოდათ. სწორედ ამას შეიძლებოდა გამოეწვია მიგრაცია. საქართველოს ტერიტორიაზე მათ შესანიშნავი საარსებო პირობები დახვდათ: რბილი ჰავა, სითბო, წყალუხვი მდინარეები, ქვა, რომლისგანაც შეეძლოთ იარაღების დამზადება და, რაც მთავარია, მრავალფეროვანი ფაუნა, რომელიც საკვებით უზრუნველყოფდა.

Homo, როგორც ვიცით, ადამიანია, erectus – ამართულს ნიშნავს, ანუ „ამართული ადამიანი", ადამიანი, რომელიც ორ ფეხზე დადგა და ამით გაიფართოვა მხედველობის ჰორიზონტი.

დღეს მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ქართველები პირველი ევროპელები ვართ. როდესაც საქართველო ევროკავშირში შესასვლელად ემზადებოდა, საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე ხუმრობით ასეთი განცხადება გააკეთა: „საქართველოს ევროკავშირის წევრობისათვის სერიოზული არგუმენტი გააჩნია, როგორც ჩანს, ჩვენ უძველესი ევროპელები ვართ და სრული უფლება გვაქვს, ევროკავშირში გაწევრიანება მოვითხოვოთ".

დმანისის გრანდიოზული აღმოჩენის შემდეგ საქართველო მსოფლიოს მეცნიერთა ინტერესის თვალსაწიერში მოექცა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო პროგრამა „ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელის ინტერდისციპლინარული კვლევა დმანისსა და მის მიდამოებში" გრძელდება. ქართველ კოლეგებთან ერთად ექსპედიციაში გერმანელი, ამერიკელი, ფრანგი, ესპანელი, შვეიცარიელი მეცნიერები იღებენ მონაწილეობას.

წერილის წყაროდ გამოყენებულია სოციოლოგია–ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის ფიქრია გვაძაბიას მასალა.

საქართველოდან ევროპამდე მეტალურგიას ხალიბები იწყებდნენ

უცხოელ მეცნიერთა უმრავლესობა დღემდე ერთხმად აღიარებს კავკასიის და მცირე აზიის მეტალურგიის დიდ კავშირს შუმერთან, ეგვიპტესთან, კვიპროსთან, რომთან, საბერძნეთსა და დასავლეთ ევროპასთან. ამ მხრივ, მათი აზრით, ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით პონტოს რაიონში, განსაკუთრებით მდინარე ჰალისის აუზში მცხოვრებ ტომებს – ხალდებს, მოსინიკებსა და თუბალებს.

გერმანელი მეცნიერი რ. ვირხოვი ამტკიცებდა, რომ სპილენძის მეტალურგიას საფუძველი ჩაუყარეს პონტოს რაიონში მცხოვრებმა მელითონეობით სახელგანთქმულმა ტომებმა – ხალიბებმა და ტიბარენებმა.

ინგლისელმა მეცნიერმა ჰ. კარპენტერმა და პოლონელმა მკვლევარმა შტ. პშევორსკიმ მოსინიკები განსაკუთრებული და მაღალი ხარისხის სპილენძ-ბრინჯაოს მწარმოებელ ტომად აღიარეს. ამავე ავტორების აზრით, თითბერის წარმოების ხელოვნება პირველად მოსინიკებმა აღმოაჩინეს, რომელიც შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. გერმანელი მეცნიერი ო. შრაიდერი წერდა, რომ ევროპულ ენებში სპილენძ-თითბერის სახელწოდება messing, masstling, mossondz და სხვა მოსინიკების სატომო სახელისაგან მომდინარეობს. ამ დებულებას დღესაც სავსებით იზიარებს გერმანული ლექსიკოგრაფი ჰ. პაული. ასევე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ არა მარტო ევროპულ, არამედ აღმოსავლურ ენებში, კერძოდ, კი სპარსულში, სპილენძის აღმნიშვნელი ტერმინი „მეს", მოსინიკების სატომო სახელისაგან წარმოდგება და ეს უკანასკნელი პირველის mossinoeki შეკვეცილი mess ფორმაა.

როგორც ცნობილია, ბერძნებმა ფოლადის წარმოება პირველად ხალიბებისაგან ისწავლეს და ამ ლითონს „ხალიბიკოს" (ხალიბური) უწოდეს. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნებს ხალდებისაგან (იგივე ხალიბებისაგან) ფოლადის დამზადების ხელოვნების გარდა, სპილენძის მიღებისა და გამოყენების წესებიც შეუსწავლიათ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ე. ბიბრა წერდა, – „მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები წარმოადგენდნენ ყველაზე მეტად განვითარებულ არიელებს, სპილენძის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. ეს ლითონი მათ სხვა ხალხისაგან შეითვისეს".

საგულისხმოა, რომ ბერძნულ ენაში chalkos ნიშნავს არა მარტო სპილენძს, არამედ ბრინჯაოს და თითბერსაც, ეს დაადასტურა ლეიდენ-სტოკ-ჰოლმში დაცულმა პაპირუსების გაშიფრვამ.

ზემოთ ნახსენებ უცხოელ მეცნიერთა აზრით, მეტალურგიული ცოდნის აღმოსავლეთიდან დასავლეთ ევროპაში გატანა სამი ძირითადი გზით მოხდა: ეგეოსის ზღვის, კუნძულ კვიპროსისა და რუსეთის სტეპების გავლით. მკვლევარმა ლ. ეიჩისონმა ერთმანეთს შეადარა მცირე აზიაში აღმოჩენილი ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებული სპილენძ-ბრინჯაოს ნივთები (ქინძისთავები, სატევრის პირები, ისრის პირები),

კვიპროსზე ახლად მოკვლეულ იმავე სახის საგნებს, რაკი დაემთხვა მათი ფორმები და, რაც მთავარია, ქიმიური შედგენილობა, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ნივთები ეკუთვნის მცირე აზიიდან კუნძულ კვიპროსზე გადმოსახლებულ იმ მეტალურგ ტომებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ლითონწარმოებას.

მაშასადამე, ძვ. წ. III ათასწლეულში მეტალურგია მცირე აზიიდან გავრცელდა ჯერ ეგეოსის სამყაროში, ხმელთაშუაზღვის აუზში და შემდეგ კი – ცენტრალურ ევროპაში შეაღწია.

როგორც ზემოთ ითქვა, უცხოელ მეცნიერთა მტკიცებით, კუნძული კვიპროსი წარმოადგენდა მეტალურგიის ცოდნის მცირე აზიიდან ევროპაში გატანის შუალედურ რგოლს. ამას, მათი აზრით, ლინგვისტური მონაცემებიც ადასტურებს. ევროპულ ენებში სპილენძის ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ სახელწოდებას „Cuprum" ამ კუნძულის სახელისაგან მომდინარედ მიიჩნევენ. ამ მხრივ, ისინი ეყრდნობიან ძველი რომაელი ავტორების: პლინიუსის, ლარგუსის, პალადიუსის, ვიტრუვის, სკრიბონიუსისა და პოლიოს ცნობებს.

რ. ფორბსს ძველ კლასიკოს ავტორთა – ლუკრეციუსის, სტრაბონის, არისტოტელესა და დიოდორეს ცნობებზე დაყრნდობით, ვერცხლის მოპოვების ყველაზე ადრეულ და გავრცელებულ მეთოდად მიაჩნია „ტყის დაწვის" ხერხი, როცა დამწვარ ადგილზე არსებული ვერცხლისა და ტყვიის გალღობილი მადნიდან ვერცხლი მცირე ნაკადად მოედინებოდა.

რ. ფორბსს ვერცხლის ამ გზით წარმოება საკვლევით შესაძლებელად მიაჩნია, მაგრამ შედარებითობის მეოთოდის გამოყენებით იგი ასკვნის, რომ პონტოს რაიონში მცხოვრებმა მეტალურგმა ტომებმა აღმოაჩინეს ამ ლითონის წარმოების სრულიად ახალი მეთოდი, რაც გულისხმობს ვერცხლოვანი ტყვიისაგან ვერცხლის მიღების ტექნოლოგიას. „მცირე აზიაში, – წერს რ. ფორბსი, – ვერცხლის მდიდარი საბადოებისა და ვერცხლოვანი ტყვიის მადნების არსებობა, ასევე პონტოში მცხოვრები ხალიბების მიერ მეტალურგიის ცოდნით აღჭურვა და სხვა აღმოჩენებიც გვაფიქრებინებს, რომ ვერცხლისა და ტყვიის რაფინირება პირველად პონტოში შეიმუშავეს, ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში". მისივე გამოკვლევით, ვერცხლისა და ტყვიის ნაწარმი ძვ. წ. III ათასწლეულში მცირე აზიიდან თანდათან გავრცელდა ეგეოსსა და კუნძულ კრეტაზე, აღმოსავლეთით კი სომხეთში, შემდეგ კი ელამსა და ქირმანში, დასასრულ ბაქტრიაში. ვერცხლი და ტყვია ახლო აღმოსავლეთში ამ დროს ფართოდ იყო გავრცელებული გარდა ეგვიპტისა, სადაც ამ ლითონის ფართო ათვისება მხოლოდ სპარსელთა ხანაში (იგულისხმება აქემენიდთა ირანი) დაიწყო.

პონტოს რაიონის ვერცხლისა და ტყვიის დამორჩილების ეპიცენტრად აღიარების დასასაბუთებლად და ამ საქმეში ხალიბთა წვლილის წამოსაჩენად, რ. ფორბსს მოჰყავს სტრაბონის ცნობა, ჰომეროსის მიერ Alybe-ს ქვეყნის „ვერცხლის წარმოების სამშობლოს" მიიჩნევის შესახებ. იგი სავსებით იზიარებს Alybes chalybes-თან „ხალიბთა ქვეყანასთან" გაიგივების სტრაბონისეულ ვერსიას და ცნობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ლ. ეიჩისონი თითბერის წარმოების ისტორიის შესახებ მსჯელობისას რ. ფორბსის აშკარა გავლენას განიცდის. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: ზოგიერთი მონაცემი შუქს ფენს იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთი სახის თითბერი, ეგრეთ წოდებული

„თეთრი ბრინჯაო“ დაამზადეს მესოპოტამიაში სარგონ მეორის (ძვ. წ. 72-70) დროს, მაგრამ ბერძნულ-რომაული პერიოდის ბერძენ მწერალთა ჩანაწერების მიმოხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ნამდვილი თითბერი მოსინიკებმა გაცილებით ადრე აღმოაჩინეს. ამ ლითონის მისაღებად ისინი თუთიის კარბონატს ამუშავებდნენ, ამის დასასაბუთებლად რ. ფორბს მოჰყავს ფსევდოარისტოტელეს ცნობილი აღწერილობა, რომლის მიხედვით, მოსინიკები თითბერის მისაღებად სპილენძში ურევდნენ „სპეციალურ მიწას“. ეს „მიწა“ რ. ფორბსის აზრით, უნდა ყოფილიყო მიწიანი თუთიის კარბონატი. ამ ორიგინალურ აღმოჩენას იგი ძვ. წ. I ათასწლეულით ათარიღებს.

მცირე აზიიდან თითბერის დამუშავების ხელოვნების გავრცელება აღმოსავლეთსა და დასავლეთში ლინგვისტური მონაცემებითაც მოწმდება. მრავალ ევროპულ ენაში თითბერი „messing“-ის სახელითაა ცნობილი ზოგიერთ მკვლევარს იგი ლათინურ „massa“-სა (ლითონის ნაჭერი) და ბერძნულ „maza“-საგან მომდინარედ მიაჩნია. ო.შრადერი კი, როგორც ცნობილია, ამ ტერმინს, ისევე როგორც ძველ სლავურ ფორმას „mesengiu“, კავკასიურ moss-ს ანუ „mossum“-ს უკავშირებს. ამ ვერსიას რ. ფორბსი ჯერ კიდევ დასამტკიცებლად მიიჩნევს. აღსანიშნავია ისიც, რომ რომანულ ენებში თითბერის სახელწოდება – laiton საფუძვლად დაედო იტალიური iatta-ს (კრიალა თითბერი), რუსებს თითბერის სახელწოდება – Латун იტალიურ ან რომელიმე რომანული ენისაგან აქვს შეთვისებული.

დაახლოებით ასეთია ქართველთა წინამორბედი ტომების ხალიბების, მუშქების, ტიბარენების, მოსინიკების წვლილი მსოფლიო მეტალურგიაში და მათი კავშირი ისეთ ლითონებთან, როგორიცაა ვერცხლი, ტყვია, თითბერი, სპილენძი.

ილია ჯავჯავაძე

ფიქრები ქართულ ხასიათზე

საკვირველი კაცია ქართველი!.. ძალიან თვალების აბმა იცის, სხვის თვალებისა კი არა, მაგოდენა არ შეუძლიან, თავის საკუთარი თვალებისა. თუ მოინდომა, და თუნდაც არ მოინდომა, და თუნდაც არ მოინდომოს, ისე ხელობად დასჩემებია, რომ რაც უნდა კეთილ-სვინდისიანი საქმე იყოს, ასეთს კუდს გამოაბამს, ასეთნაირად წაშლის-წამოშლის, რომ შენი გაკეთებული საქმე შენვე ვერ იცნო, შენი ნათქვამი სიტყვა შენვე ველარ გაიგო, რით უყვარს ქართველს ამისთანა სულის კლაკვნა? მრავალი რამ არის ამის მიზეზი, ჩემო მკითხველო, სხვათა შორის ისიცა, რომ სიკეთეს ყველანი გადავჩვეულვართ, კეთილი არა გვწამს, სული და გული ამოგვშრობია. კაცმა რომ პატიოსანს და კეთილს საქმეს თავი შესწიროს, ერთი ჩვენგანი არ დაიჯერებს. რატომ? იმიტომ, რომ ყოველივე ჩვენგანი იმ კაცის ალაგას თავის თავსა დააყენებდა და იტყოდა: მე უანგაროდ იმას ვიქმოდი? ამის პირდაპირი პასუხი „არა“ იქნებოდა, რასაკვირველია... „მაშ არც ის იქმოდა“, – დაასკვნის გონიერი ქართველი და გამოვიდა, რომ პატიოსანი თავგანწირული კაცი გაუპატიურებული იქნებოდა ქართვლის თვალში. რისთვის? მარტო იმისთვის, რომ თითონ ქართველი იმის

ადგილას პატიოსნებისთვის თავს არ გაიწირავდა, თუ რომ სხვა დაბალი განზრახვა გულში არა ჰქონდეს, მე ვიცნობ ერთს კაცს, რომელმაც სიმართლისათვის სამსახური დაჰკარგა, მაგრამ არც ერთმა ქართველმა ეს არ დაიჯერა, და იგი, სამსახურიდან, საზოგადოებაში არამც თუ ნუგეშსა, შეურაცხყოფას პოულობდა. ქართვლის შეუსყიდველი გული ეხლა შეისყიდება ხოლმე. თითონ რომ სიკეთეს გადაჩვეულა, სხვისაგანაც სიკეთე აღარა სჯერა; აღარა სჯერა, რომ იმ დედამიწაზედ, საცა თითონა სცხოვრობს და ათასი კიდევ სხვა მის მსგავსი, აღარა სჯერა – რომ იმ დედამიწაზედ კაცი არის, რომელსაც სიკეთე სიკეთისათვის უყვარს, რომელსაც იმოდენა სულის ძალაცა აქვს, რომ თუ გაჭირდა, სიკეთისათვის თავსაც დასდებს. ქართველი, როგორც თითონ არის, ისე თავის მოძმეც ჰგონია; ამიტომაც ყოველი პატიოსანი საქმე პატიოსნობის სიყვარულისაგან კი არა ჰგონია წარმომდგარი, არამედ რომელიმე დაბალი და სამარცხვინო გრძნობასა და წადილისაგან. ამით ჩვენში ყოველ ბრწყინვალე საქმეს სამარცხვინო ფერს მოაცხობენ ხოლმე, ყოველ კეთილშობილურს განზრახვას ლაფით მოსვრიან, ყოველს თავგამოდებითს ხალისს ადრე და მალე ჭუჭყიანის ხელით ფრთას მოჭკვეთენ სოლმე. დიდი სულის ღონე უნდა, რომ კეთილმა კაცმა თავი შეიმაგროს და საზოგადო განკიცხვის ყიჟინამ არ შეაყენოს თავის დანიშნულ საგნის შუაგზაზედა.

* * *

მრავალი წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსანი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. თუნდ რომ თავი გამოედოს ვისმე და აზრი და გრძნობა აღედგინოს, შენივე შვილები მიწასთან გაასწორებდნენ. „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო“: ჩვენ გულს გაგვიგმირავს ხოლმე ცხოველი სიტყვა, ჩვენის ძმისვე სიკეთე. ჩვენი ძმისვე ჩვენთვის თავგამოდება. პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისგანვე არის გამოტყორცნილი. წადი აქა და ძლიერი მუხლი ნუ მოგეჭრება, რათა ვართ ასე? იმიტომ, რომ ჩვენ აზრსაც, გრძნობასაც გადავჩვეულვართ. მერე ასე გადავჩვეულვართ, რომ ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, უანგარო გულმხურვალება, თავგამოდებული ხალისი რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნობთ. ეს კიდევ არაფერი, რომ ვერ ვიცნობთ: ავიღებთ და იმასაც ლაფში გავსვრით, – იმ მიზეზით, რა მიზეზად გამოვა. თვალებზედ ხელს იფარებს, რადგან სინათლეს ისე გადაჩვეულა, რომ სინათლე თვალებსა სტკენს, და ამის გამო რაც ნათელია, ბრწყინვალე, იმას თვალების აფარებით აბნელებს. საწყალო ქვეყანავ! შენს ღონიერ დედამიწაზედ იქნება ორიოდე კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელიც სადმე მარტო ჩუმად სტირის შენს მაგ ყოფაზედ, ჩუმადა ტირის იმიტომ, რომ შენ შვილებს რომ თავისი ცრემლი დაანახოს, ის პატიოსანი, მდუღარე ცრემლი, – შენი კეთილი შვილები თვითონვე დასცინებენ და პატიოსანს ცრემლს უპატიოდ გაუხდიან.

* * *

ავბედისანი ვართო, ვიტყვით ხოლმე, რომ ჩვენვე ჩვენი თავი მოვატყუოთ. „რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო“, ნათქვამია. ბედი რა არის? ბედს თვითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენ თვითონვე უფრო

ვართ, ვიდრე სხვანი. ამის აღიარება ჩვენ სირცხვილად მიგვაჩნია და ამიტომაც ყველაფერს ბრმა ბედს ვაბრალებთ. ჩვენა ვართ ცუდნი, მაგრამ ესეც კია, რომ სიცუდე ბუნებით კაცს თან არ დაჰყვება ხოლმე. მაშასადამე, ჩვენის ბუნების თვისებაში სიცუდე არა ყოფილა. ესეც გვეყოფა სათქმელად, რომ მიზეზს მივაგნოთ...

ასეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც" გავანამცეცეთ, მამული ერთობ ჩვენ სამშობლო ქვეყანას კი არა ნიშნავდა, არამედ თვითეულის სოფლის საკუთრებასა. არ იქნება ხუთი წელიწადი, რაც მაგ საოცარმა და საყვარელმა სიტყვამ, რომლის ხსენებაზედაც სხვა ბედნიერ ქვეყნებში უღონოსაც ძალი მიეცემა ხოლმე და მტლად დაედება საყვარელს მამულს, არ იქნება ოთხი-ხუთი წელიწადი, რაც მაგ სასწაულთ-მოქმედმა სიტყვამ თავისი დაკარგული მნიშვნელობა ჩვენ'ში ისევ დაიბრუნა. სიტყვა აღვადგინეთ, ჩვენ კი ვეღარ აღვდეგით, ვეღარ ავყევით თანა.

* * *

მრავალი, მრავალი წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსნური გრძნობა არ ჩავარდნია გულში. შენ გადაჩვეულხარ ერთსაც და მეორესაც,იმიტომ რომ სიპ ქვაზედაც რომ წვეთი მუდამ, დაუყოვნებლივ სწვეთდეს, იმასაც გაარღვევს. მერე ასე გადაჩვეულხარ, რომ ნახო კიდეც ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, ვერ იცნო, აიღებ და იმასაც ლაფში გასვრი. შენს ღონიერ დედამიწაზედ იქნება ხუთი და ექვსი კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელნიც სადმე კუთხეში ტირიან შენს ყოფაზედ, მაგრამ იმათი ხმა შენამდე როგორ მოაღწევს. თუნდ მოაღწიოს, რა გამოვა? კეთილს რომ გადაჩვეულნი ვართ, იმათ ბოროტების კუდს გამოვაბამთ; სიტყვას, რომელსაც იქნება გულიდამ სისხლიც ამოაყოლა, წაუმურტლავთ, გრძნობას ფეხ-ქვეშ გაუსრესთ, იმედს სასაცილოდ აუგდებთ. რა ქნას იმან? უნდა მოგვშორდეს ჩვენ, წავიდეს სადმე, დაიმალოს და იგლოვოს ის ხალხი, რომელიც უყვარს, რადგანაც თვით იმ ხალხის შვილია, და რომელსაც ისე გასწვრილებია, გასწბილებია გული და გონება, რომ სხვასაც არ ინდობს და, როგორც შურიანი, მართალს სიტყვას, პატიოსნურ ქცევას ამურტლებს და ჰრყვნის, კარგია, თუ ვინმე იმათგანი იმისთანა თამამი გულისას, რომ ხალხის სიყვარულისთვის ამ საძაგლობას არ დაერიდება და ათას ჭირში და ვაი-ვაგლახში გააპობს მკერდით თავის მოძმეთა ბოროტებასა; მაგრამ მაინც კიდევ ხომ სიკვდილია იმისათვის, როცა ხედავს, რომ ვისთვისაც ჭირშია, ვისთვისაც იბრძვის, ვისთვისაც იტანჯება, ის პირველი ესვრის ქვასა სხვათა შორის. რაც უნდა თავგამოდებული იყოს, რაც ღონე და გამბედაობა ჰქონდეს, მაინც და მაინც ღონეც და გამბედაობაც მოაკლდება, მუხლი მოეჭრება ცოტად მაინცა და ხალისიც დააკლდება. თქვენ არ იცით რა ძალა აქვს საზოგადო ხმას: როცა ის კაცს აქეზებს, კლდეს გაარღვევინებს, სუსტსა ახოვნებას აძლევს; და როცა ისევ ის ხმა ბოროტობს, თვით ახილესსა ქონდრისკაცად თუ არა ხდის, დაასუსტებს მაინც. ტყუილად კი არა აქვთ მუშა ხალხთა ჩვეულება, რომ როცა მძიმე რასმესა სწევენ, ერთხმად დასძახებენ: ეს ხმა ბევრსა ჰშველის. სუსტს თავის უღონობას ავიწყებს. ტყუილად კი არ იციან მეომართა კიჟინა, როცა უნდათ, რომ მტრის რაზმი გაარღვიონ, — ამ კიჟინით მხდალი ლომად ხდება.

მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, იმ კაცისათვის, რომელიც თავის-თავის გარეითად, სხვაზედაც ფიქრობს, სხვაზედაცა სწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს.

„ქართველ ქალებზე უმშვენიერესი არაფერი მინახავს...“

გამარჯვებაზე უფრო ძნელი მისი შენარჩუნებაა, ოჯახის შექმნაზე უფრო ძნელი მისი დაცვა, დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ძნელი მისი განმტკიცება. ეს მარტო პიროვნებებს კი არა, ქვეყნებსაც შეეხებათ. ჩვენს მატერიალურად და მორალურად შეჭირვებულ მდგომარეობაში საჭიროა ხანდახან გადავხედოთ ისტორიას. წარსულის ნოსტალგიაზე არ მოგახსენებთ, უნდა გავიხსენოთ საიდან მოვდივართ, რა სტატუსი გვქონდა მსოფლიოში. ქართველი ერის პატრიოტიზმის, ვაჟკაცობისა და გარეგნული მონაცემების ქება-დიდებას არაერთ ისტორიულ წყაროში შეხვდებით. ქართველი მანდილოსნის მომხიბვლელობა ხომ ლეგენდად იყო ქცეული. ქართული სულიერი და მორალური შარმი თითოეულ ჩვენგანში ცოცხლობს და მისი გაქრობა არ უნდა დავუშვათ.

გთავაზობთ უცხოელ მწერალ-მოგზაურთა ცნობებს ქართველ ქალთა შესახებ.

„ქართველ ტომთა სილამაზე განუმეორებელია“, – აღნიშნავს სტრაბონი (ძვ. წ. აღ. 64-20 წწ.), რომელსაც, სავარაუდოდ, დედა ქართველი ჰყავდა, ჭანეთიდან. მემატიანე წერს: „უკანასკნელ დროს კოლხას მეფე იყო პოლიმონი, მისი სიკვდილის შემდეგ გამეფდა დედოფალი პითადორა, ქალი დიდად გონიერი და იშვიათი ადამიანი“.

იტალიელი მისიონერი, ბერი არქანჯელო ლამბერტი (1728-1777 წ.წ.) ქართველი ქალების შესახებ წერდა: „საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი არაფერი მინახავს. იმათი ცქერით უნებლიე განცვიფრებაში მოვდიოდი. აქ ძვირად ნახავთ შეუხედავ დედაკაცს. თითქმის ყოველ ნაბიჯზე გხვდებიან ლამაზები“.

ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს საქართველოში უმოგზაურია როსტომ მეფის დროს, სამშობლოში დაბრუნებულს თავისი მოგზაურობის შესახებ დაუბეჭდავს რამდენიმე ტომი. ერთ-ერთში მოცემულია საქართველოს აღწერა. შარდენი ქართველ ქალებზე წერს: „ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლია ვთქვა, მთელ მსოფლიოში. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუჯილდოებია, რომ სხვას ასეთს ვერსად შეხვდებით. არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა...

...ქართველი ქალნი არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში განსაცვიფრებლად წვრილნი, არიან მახვილი გონებისა, ზრდილნი და თავაზიანი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი.“

ინგლისელ მეცნიერს ჩარლზ დარვინს ქართველთა შესახებ ცნობები მოჰყავს ჟან შარდენის ნაშრომიდან და აღნიშნავს: „ძველისძველი მოგზაური შარდენი აღწერს რა ირანელებს, ამბობს, რომ „მათი სისხლი ძლიერ გააკეთილშობილა ქორწინებამ ქართველებსა და ჩერქეზებთან, ორ ხალხთან, რომელიც ულამაზესია მსოფლიოში.“ მეცნიერი დასძენს, რომ მათ თავიანთი სილამაზე მემკვიდრეობით მიიღეს არა თავისი წინაპრების, არამედ ზემოხსენებული შერეული ქორწინებისგან და რომ არა ეს კავშირები, დიდგვაროვანი ირანელები, რომლებიც თათრების შთამომავალნი არიან, მეტად უმსგავსონი იქნებოდნენ.

დიდ ფრანგ მწერალს ვიქტორ ჰიუგოს 1877 წლის გაზაფხულზე, პარიზში ეწვია იონა მეუნარგია, რომელსაც ამ შეხვედრის შესახებ თავის უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს:

„*ვიქტორ ჰიუგო* – რუსეთიდან ბრძანდებით?

– არა, საქართველოდან.

ვიქტორ ჰიუგო – ლამაზი ქალებით განთქმული ქვეყნიდან?“

ალექსანდრე დიუმა XIX საუკუნის ოცდაათ წლებში საქართველოს ესტუმრა და თავისი შთაბეჭდილებანი საქართველოზე აღწერა წიგნში „კავკასია“. ყველაზე მეტად მოგზაური მოხიბლა ქართველი ქალების სილამაზემ.

ცნობილ ფრანგ მოგზაურსა და ლიტერატორს მარკიზ დე კიუსტენს, უმოგზაურია რუსეთში და აუწერია ნიკოლოზ I-ის დროინდელი რუსეთი; პეტერბურგში მას შეკრება-საღამოებზე უნახავს ქართველი ქალები, რომელთა შესახებ წერს: „მე რამდენიმე ქართველი ქალი შემხვდა, მათში შერწყმული იყო სილამაზე და გრაცია. ეს მნათობნი ბრწყინავენ ჩრდილო-სამხრეთის ბნელ ცაზე“.

ბარონი ტორნაუ მუდმივი სტუმარი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახისა, იგი ასე ახასიათებს მასპინძლის ქალიშვილებს – ნინოსა და ეკატერინეს: „მე ჯერაც ვერ გავრკვეულვარ, ნამდვილად რომელი უფრო მომწონდა, ეკატერინეს სხივოსანი თვალები და მომხიბლავი ღიმილი თუ გულს მწვავდა, ნინოს მიბნედილი სილამაზე და ანგელოზური ხასიათი გულზე მალამოსავით რომ მედებოდა“.

აზერბაიჯანელი პოეტი ხაკანი (1120-1199), რომელიც მუდამ იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს და ვერსად პოულობდა მოსვენებას, ამბობდა: „ამ ხუჭუჭთმიანი, სახენათელი ქალის გულისთვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე ლაპარაკი“.

გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ვაგიფი (1717-1797) ლექსში „ქართველი ქალი“ მოხიბლულია ქართველი ქალის „გადავარცხნილი თმით, ზეაწეული, უჩადრო – ღია სახით, სადაფის კბილებით, ლალისებრი ბაგით, მშვილდისებრი წარბებით“. ლექსში „თბილისი“ იგი ამბობს:

„დაჰყრიათ წელზე თმის ნაწნავები
ბოლოს რგოლებით შეგრეხილები!
შესადარს თვალ-წარბს, ბაგეებს, კბილებს
მოგზაურებიც ვერსად ჰგულობენ“.



ზემო კრიხი. X-XI ს.ს.

რას წერდნენ საქართველოზე

„ამჟამადაც ხომ არსებობს ხალხი დედამიწის რომელიმე კუთხეში, სადაც რაკიღა ყველა ლამაზია, ამიტომ სილამაზე უპირატესობად არ მიიჩნევა. მოგზაურები ერთხმად ამბობენ ამას ქართველებზე.“

* * *

„ერთად აღებული ევროპის მთიანეთი ისეთ მომაჯადოებელ გავლენას ვერ ახდენს მნახველზე, როგორც დიდებული და მშვენიერი კავკასიონი...

ყინულოვანი ქედები და უფსკრულები უკან მოვიტოვეთ და ჩვენს თვალწინ გადაიშალა მწვანე გორაკებიანი ქვეყანა.

მცხეთაში, არაგვისა და მტკვრის შესართავთან, ერთხელ კიდევ შევისვენეთ და რამდენიმე საათში საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჩავედით.

თბილისური თავყრილობა თითქმის არაფრით განსხვავდება ევროპის დიდი ქალაქების სალონებში გამართული დარბაზობებისაგან, როგორც პარიზის, ვენის ან ბერლინის სალონებში, ისე თბილისშიც აზიურს ვეღარაფერს იხილავთ...

მივიხიბლე ქართული ხალხური სიმღერებით, ახალგაზრდა ქართველ ქალთა მოხდენილი ცეკვებითა და მამაკაცთა შექცევით, რაშიც ქართველებს დედამიწის ზურგზე მეტოქეობას ვერავინ გაუწევს...“

„... ზაფხულში, როცა თბილისში ძლიერი სიცხეები დაიჭირა, ახალციხეში გავემგზავრე. დავათვალიერე ახალქალაქი, ხერთვისი, ასპინძა. მგზავრობამ ძალიან დამქანცა, რადგან ზოგჯერ თხუთმეტი ვერსის გავლას ცხრა საათს ვუნდებოდით...

ახალციხეში ქეიფის დროს ადიუტანტმა ფონ დალიმ ერთი ქართველი თავადის ლამაზ ცოლზე დაიჭირა თვალი, მაგრამ ქმარმა იეჭვიანა, იძრო ხანჯალი და ის იყო... მაგრამ ოფიცრები, ჯარისკაცები, მასპინძლები შუაში ჩაუვარდნენ და გულმოსული თავადი ძლივს დააშოშმინეს. მე არც გამკვირვებია, რადგან კავკასიაში მოგზაურობისას ამის მსგავსი რამ ბევრჯერ მინახავს...“

ფრიდრიხ ბოდენშტედტი
გერმანელი მწერალი (1819-1892)

* * *

„თბილისი აღმოსავლური ქალაქია, მაგრამ ეს არის აღმოსავლეთი რომანტიკული ტალახისა და მრავალფეროვანი მეძავების გარეშე.

თბილისის არქიტექტურა აერთიანებს ბეტონის, მინის და ფოლადის თანამედროვე შენობებს სვეტების და თაღების აღმოსავლურ სინატიფესთან. ქალაქში ბევრი სიმწვანეა, ბევრი ტყე და ბაღი.

ყველაფერში იგრძნობა ძველი, საუკუნოვანი კულტურა.

ქართველებს მეტი ცეცხლი აქვთ ფეხებში და ქართული ცეკვა თითისწვერებზე ბევრად უფრო ამაღელვებელია, ვიდრე მთელი ჰოლივუდის მოძრაობები მაშინაც კი, როცა მისი მცხოვრებლები კონვულსიურად აწყდებიან აქეთ-იქით და იგრიხებიან. ქართველების ფეხები ციბრუტივით ტრიალებენ პარკეტზე, ტანი კი უმოძრაოდ აქვთ

გაჩერებული, ხელები ნაზად ირხევიან. უკრავს ამაღელვებელი მუსიკა, მაგრამ ქართველი, მრავალი წლის მანძილზე შეჩვეული, მშვიდად ხვდება ყველაფერ ამას. ცეკვისა და მუსიკის ოპიუმი არ ამახინჯებს კაცის სახეს და კრუნჩხვებში მყოფს არ ამსგავსებს. რა დასანანია, რომ მხოლოდ ორი დღით ვარ ამ ქალაქში, რომელსაც შეუძლია განკურნოს მთელი მსოფლიოს ნერვები. აქ მეფობს ჭეშმარიტი გრძნობა და ნამდვილი ენთუზიაზმი, მათ გვერდით კი გულახდილი, დაუფარავი სიხარული სიცოცხლისა, რომელიც დასავლეთელ კაცში ბადებს შიშს თავისი განძარცვული, ნორმირებული, დაშტამპული, სამჯერად გაფილტრული ცხოვრების მიმართ. ლამაზად შრიალებენ ქართველი ქალების კაბები, არაფერი ტოვებს უხამსობის შეგრძნებას, არცერთი „შემთხვევითი" მოძრაობა თეძოს გასაშიშვლებლად. შანსონეტის იაფფასიან სიშიშვლეზე აქ ისეთივე რეაქცია იქნება, როგორიც ძველ ლიმონათზე. მაგრამ ქართული ცეკვის მიბაძვა არც ისე იოლია, როგორც ბუგიბუგისა.

საქართველოში მიზნად არ დაუსახავთ, ქალები ლამაზად და მსუბუქად სიარულს გადააჩვიონ ინდუსტრიალიზაციისაკენ აღებული კურსის გამო.

საქართველოში უფრთხილდებიან და ინარჩუნებენ თავის ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს. მათ უფარდებენ ცხოვრების ახალ წესს. თუმცა კი, დათმეს ზოგიერთი დრომოჭმული ჩვეულებანი, როგორიცაა, მაგალითად, სისხლის აღება.

საქართველოში ხალხი ისე იქცევა, როგორც, წესით, თითქოს არ უნდა იქცეოდნენ – ბევრს ჭამენ, ჭამენ ცხიმიან და ცხარე საჭმელებს, სვამენ მაგარ ღვინოს, თუთუნს ეწევიან და, მიუხედავად ამისა, თითქმის 130 წელს აღწევენ".

კუბა (კურტ ბარტელი),
გერმანელი პოეტი (1914-1967).

* * *

„საქართველოს ბუნებას ბადალი არა აქვს მთელ ქვეყნიერებაზე. საზოგადოდ, საქართველო ეკუთვნის უმშვენიერეს ქვეყანათა რიცხვს და წარმოადგენს დაუშრეტელ მასალას როგორც ხელოვნების, ისე მეცნიერებისთვისაც.

... საქართველოს ყველა კუთხე და, საერთოდ, მთელი ამ ქვეყნის ბუნება უმშვენიერესია დედამიწაზე.

ვინც ევროპიდან ბათუმს ჩამოვა, პირველად უეჭველად იფიქრებს, სამოთხეში მოვხვდიო. შავი ზღვის სანაპირო საოცრებაა, იგი დამშვენებულია მთებითა და ნაირნაირი მცენარეებით...

საყვარელო ქართლო! შენს წიაღში იშვა საქართველო და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შენ აძლევდი სიცოცხლეს მთელ ივერიას, შენ იყავი მისი სული და გული, მისი სიმაგრე აღმოსავლეთის გააფთრებულ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

... ქართველებს ვუსურვებ, ასულიყვნენ მაღალ საკაცობრიო კულტურის ასპარეზზე, თუმცა მწამს, რომ ხელოვნებაში ისინი უეჭველად უფრო მაღლა ავლენ, ვიდრე სხვა ევროპელი ერები".

„ღმერთს დაუბერტყავს უხვი კალთა ამ ქვეყანაში!"

არტურ ლაისტი,
გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, ქართველოლოგი (1852-1927)

* * *

„მე თითქმის ყველაფერი ვნახე თბილისში – ქართულ სამოთხეში და მთელი ცხოვრების მანძილზე ისე ნაყოფიერად არსად მიმუშავნია, როგორც თბილისში.

ერთი სიმართლით განთქმული რუსი მეუბნებოდა: ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალუძთ, ზეცა იერიშით აიღონ“.

ალექსანდრე დიუმა (მამა),
ფრანგი მწერალი (1802-1870)

* * *

„ქართველები უნიკალური, ყოველმხრივ დაჯილდოებული ხალხია“.

ბარონი ფონი

* * *

„... ასეთი მოწმენდილი ცა ხელს უწყობს ულამაზესი და ტანკენარი ადამიანების გაჩენასა და ზრდა-განვითარებას, რომელთა იერი პირწმინდად ესადაგება მათსავე თანდაყოლილ ზნეობას. ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებს ლამაზი ადამიანების ქვეყანა – საქართველო, რომელიც ასეთ ნაყოფიერებას მოკრიალებულ და უღრუბლო ზეცას უნდა უმადლოდეს...“

იოჰან იოახიმ ვინკელმანი,
გერმანელი ისტორიკოსი (1717-1768)

* * *

ყველა ევროპელი მოგზაური, ვინც კი ჩერქეზთსა და საქართველოში ყოფილა, ერთხმად აღიარებს ჩერქეზი და ქართველი ქალიშვილების სილამაზესა და მომხიბვლელობას. თურქები, არაბები და სპარსელები უთუოდ იზიარებდნენ ამ მოსაზრებას, რადგან გულით სწადდათ თავიანთი ხალხი ქართველთა სისხლით გაეკეთილშობილებინათ, რასაც სპარსულმა რასამ მიაღწია კიდევაც.

იმანუელ კანტი

* * *

ქართველები უდავოდ ერთ-ერთი ულამაზესი ხალხია დედამიწის ზურგზე. მაღალ, ჯანიან მამაკაცებსა და ტანწერწეტა მოქნილ, დიდრონთვალებიან ქალიშვილებს აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით. სილამაზე, მომხიბვლელობა, ლომგულობა, გონიერება და მაღალი სული თითოეულ მათგანს თითქოს თვალებშივე აქვს ალბეჭდილი. როდესაც სილამაზეზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, კულტურის უმაღლეს საფეხურზე მდგომ ხალხს ვგულისხმობთ...

ქართველები დარდიმანდი და გულღია ხალხია. თავიანთი ადგილ-მამულის მოსავლელად დიდი ჯაფა არ ადგებათ, მაგრამ ხანდახან შრომას არაფრად დაგიდევენ. ალბათ ამიტომაა, ქვეყნის სავაჭრო საქმეები ძირითადად სომეხთა ხელში რომ არის ჩავარდნილი.

სამაგიეროდ, ქართველი მამაკაცები მთელ მსოფლიოში უპატიოსნესი და უმამაცესნი არიან: კავკასიელ ყველა ხალხივით სტუმართმოყვარენი, ერთგულნი, თავიანთი მერნებივით

ფიცხები და მკვირცხლები, ომში გულადები და მასპინძლობისას გულუხვები...

უძველესი დროიდან საქვეყნოდაა ცნობილი ქართველ მამაკაცთა ვაჟკაცობა და ალალმართლობა...

მეგრელები უძველეს კოლხთა ნაშიერნი არიან, რომელთა მიწაზე მოსულმა იაზონმა თანამებრძოლებთან ერთად ხშირფოთლოვანი ტყეების ჩრდილს შეაფარა თავი.

სიმშვენიერით, მიმზიდველობით, ტანკენარობით, ფაფუკი თმით, ცეცხლოვანი თვალებითა და კეთილშობილური გამომეტყველებით განსაკუთრებით გამოირჩევიან გურული ქალები...

იგივე შეიძლება ითქვას იმერლებზე...

სვანები, რომლებიც ენით, ადათ-წესებითა და ზნე-ჩვეულებებით სხვა ქართველი ტომებისაგან რამდენადმე განსხვავდებიან, მიუხედავად იმისა, უხსოვარი დროიდან ბევრი რამ საერთო აქვთ შემორჩენილი, რაც ჩვენთვის ძალზე საინტერესოა, რადგან ბუნებრივი პირობების გამო ისინი ასცდნენ ყოველგვარ უცხო ზეგავლენას და ამჟამად ერთადერთნი არიან იბერიელ ტომთა შორის, ვინც თავისთავადობა და თვითმყოფადობა საუკუნეებში გამოატარა და თითქმის უცვლელად შემოინახა დღემდე...

„კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“.

კარლ რიხტერი,
გერმანელი გეოგრაფი

* * *

„ქართული პოეზია მსოფლიო პოეტური აზროვნების მწვერვალია... მოხიბლული ვარ რუსთაველით, ბარათაშვილით. არცერთ კულტურულ ქვეყანას არა ჰყავს რომანტიზმის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც ბარათაშვილია“.

მარჩელ პეტრიშორი,
რუმინელი მწერალი

* * *

„ლეგენდარულია საქართველო არა მარტო თავისი სტუმართმოყვარეობით: თქვენი ქალაქისა და ქვეყნის სილამაზე, თქვენი ხალხის სილამაზე, თქვენი მდიდარი ისტორია და კულტურული საგანძურები მიმზიდველია ყველა სტუმრისათვის. ყოველივე ეს ხდის თითოეულ მოგზაურობას აქ არა მარტო სასიამოვნოს, არამედ, აგრეთვე, განმანათლებელს; და რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი – დაუვიწყარია“.

ჯეკ მეტლოკი,
აშშ-ის ელჩი სსრკ-ში

* * *

თბილისი არის ნაყოფიერი, გამაგრებული, სურსათ-სანოვაგით მდიდარი, ფასების თვალსაზრისით – იაფი ქალაქი. თავისი კეთილდღეობით იგი აღემატება სხვა მდიდარ სახელმწიფოებსა და ქვეყნებს. თბილისის მცხოვრებთა შორის უცხოელი უშიშრად

გრძნობს თავს და მათი გულუხვობით სარგებლობს. ისინი მეგობრულად არიან განწყობილნი მათ მიმართ, ვინც მათთან შემთხვევით მოხვდება და ვისაც რაიმე, თუნდაც მცირე გულისხმიერება ან ცოდნა აქვს მეცნიერებისა.

იბნ ჰაუქალი,
არაბი გეოგრაფი, X ს.

* * *

„კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

აპოლონ როდოსელი,
ბერძენი მეცნიერი, პოეტი ძვ. წ. III საუკ.

* * *

„კოლხთა ოქროს საწმისი იყო ტყავზე ნაწერი წიგნი, შემცველი იმისა თუ რით უნდა გაკეთდეს ოქრო“

იოანე ანტიოქიელი,
ბერძენი ისტორიკოსი, VII ს.



გუდალეთი. X ს.

თეზისები ეროვნულ და სამოქალაქო თანხმობაზე და ქვეყანაში არსებულ სტაბილურობაზე

საქართველოს ისტორიაში საჭირო ხდება მიღებული იქნეს ეროვნული თანხმობის შინაარსის შემცველი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება რეგულირების ის წესები და ნორმები, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის შემდგომ მშვიდობიან განვითარებას, რადგან, ისტორიულად ხელოვნურად აგრესიული განწყობილება არ შექმნან საქართველოს და მის საზღვრებში მცხოვრებ ხალხებში და თავს მოახვიონ სამოქალაქო თუ სხვადასხვა ეთნოსთა ომები.

– ადამიანთა შემეცნებაში უნდა დამკვიდრდეს აზროვნება, რომ მთავრობები უნდა არსებობდნენ იმისათვის, რათა ხელი შეუწყონ ხალხთა ბედნიერებისაკენ სწრაფვას და თუ მართვის რომელიმე ორგანო ზღუდავს სიცოცხლის ამ ფორმას, იგი უნდა იქნეს გაუქმებული, ან იქ მომუშავე პირები დასჯილი.

– უპირველეს ყოვლისა ქართველი ერის წარმომადგენლები იქნებიან ის პირები, ვინც პირობით ან ფიცით განამტკიცებენ თავიანთ კეთილისმყოფელ დამოკიდებულებას ქართველ ეთნოსთა მიმართ და აღუთქვამენ ერთმანეთს ურთიერთობას სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე.

– ამ დოკუმენტმა უნდა უზრუნველყოს მათ შორის საყოველთაო სიმშვიდის და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცება.

– არასოდეს კაცობრიობის წარსულში სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა არ ყოფილა ასე მაღალი ადამიანთა მიმართ გულშემატკივრობით და თანაგრძნობით, როგორც დღეს. გასულ საუკუნეებში ეს აქტივობა გამოისახებოდა მხოლოდ რელიგიის მსახურთა მხრიდან, თანამედროვეობაში კი ეს გაცილებით მასობრივია, ოღონდ არ არის ამავე სიმაღლეზე ასული ამ აქტივობის პრაქტიკული რეალიზაციის ქმედება.

– ჩვენ კარგად ვიცით, ქვა რომელსაც სივრცეში ისვრიან, დედამიწის მიზიდულობის კანონით ისევ დედამიწაზე ვარდება, მაგრამ არ ვიცით სად იბადება ეს ძალა და რა ხელშეწყობით. ასევე, ამგვარი აზროვნებით უნდა ჩავწვდეთ არსს იმისას, რაც უშლის ხელს ეროვნული თანხმობის მიღწევას საქართველოში სხვადასხვა ეთნიკურ და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის.

– წარსულს ყოველთვის აქვს მოპოვებული უკვდავება აწმყოში და მთელი ჩვენი სულიერი არსება, ცხოვრება, წარსულის შინაარსის განმეორებაა სახეცვლილი ფორმით.

– ეროვნულობა, გარდა სხვა ზოგადი ნიშნისა, ხასიათდება აუცილებელი ნიშნებითაც: ფიზიკური ტიპის მსგავსება,ტემპერამენტი,სისხლის საერთო ჯგუფიდან წარმოშობა, ტერიტორია, რელიგია, ფოლკლორი, ტრადიციები, ენა, დამწერლობა და სხვაც ბევრი. მაგრამ აქ ჩამოთვლილთა შორის, ჩემი აზრით, უპირველესი არის კიდევ ერთი – საერთო თვითგანცდა სხვადასხვა პერსონალებისა, რომელსაც საერთო სიხარული ეწოდება და გამომდინარეა ერის საერთო წარმატებიდან, ან სირცხვილი, ამავე ნიშნის უკუდარტყმით მიღებული.

– ის ეროვნულობა, რომელიც ხასიათდება იმ სიჯიუტით, რომ ყველაფერ

ნაციონალიზმს და საკუთარს სხვაზე და უცხოზე მაღლა აყენებს, მიანიშნებს ჩამორჩენილობაზე. ხდება პირიქითაც, როდესაც ყოველგვარ უცხოს საკუთარ კულტურაზე მაღლა აყენებს. ერის სიცოცხლისთვის ორივე უკიდურესობა მომაკვდინებელია.

— გონების აზროვნება გამარჯვებული ადამიანური საწყისია, გრძნეულება პირველყოფილი ველურობის, და მთელი — ცხოვრება მიღწევებით და ტრაგედიებით, არის ბრძოლა ამ ორ საწყისს შორის.

— პირველყოფილ საწყისს ადამიანი ებრძვის ღმერთის საშუალებით, რომლის მეშვეობით ადამიანს აქვს ირეალურში (მისტიკურში) გახედვის საშუალება.

— რელიგიის საშუალებით თანამედროვე ადამიანი კოსმოსის ეპოქიდან ხელს უწვდის მითოსში მყოფ ჰომო საპიენსს.

— თალეს მილეთელმა, წყალთა სამყაროს შექმნის საფუძვლად დაუშვა უმაღლესი გონება (ღმერთი), რომელმაც წყლისაგან შექმნა ყველაფერი. შემდეგ ანაქსიმანდრემ უარყო თალესის აზრი და განავითარა იგი დასაბამ ნივთიერებად და აღიარა არა კონკრეტული, თვალით ხილული წყალი ან სხვა რაიმე, არამედ ნივთიერება, რომელსაც არა აქვს განსაზღვრული სახე და არის თვისობრივად უსაზღვრო, რასაც მან უსაზღვრო უწოდა.

— რელიგია, მითი, ხელოვნება — საშუალებაა, რითაც ადამიანები იბრძვიან ბოროტებისა და სიკვდილის წინააღმდეგ.

— ადამიანმა მარადიულობის ძიების გზაზე შექმნა ადამი და ევა, სამოთხე და უკვდავება, რომელიც უპირისპირდება მკაცრ სინამდვილეს, ბოროტადქმნილი ყოფილი ანგელოზი — სატანა კი მოახერხებს აკრძალული ნაყოფით აცდუნოს ადამი და ევა, რითაც წარმოშობს მათ შორის მწუხარებას და ტკივილს.

— განათლებული და დნმ-ით გაძლიერებული ადამიანი ქმნის ახალ რელიგიას, რომლის მიწაზე ჩამოტანას, ძე ღმერთის ფიზიკურმა არსებობამაც განაპირობა, ამიტომ ხდება, რომ ქრისტემ თავისი ჯვარცმით იხსნა კაცობრიობა ცოდვებისაგან, თავისი დაღვრილი ერთი წვეთი სისხლი მიეხალა ადამის თავის ქალას და გამოისყიდა პირველქმნილი ცოდვა და აღდგომით დათრგუნა სიკვდილი.

— ეროვნული თანხმობის პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტი ინფორმაციის მოპოვებას კონფლიქტის ირგვლივ.

— ეთნიკური კონფლიქტების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ურთიერთშორის წონასწორობის და მოთხოვნათა დაკმაყოფილების პრინციპს,უპირველესად რელიგიის, ტრადიციის, წარსულის და დროის ყველა მომენტს, რომელშიც უნდა ხდებოდეს ფაქტების და მოვლენების შეჯერება.

— ეთნიკურ ჯგუფთა პირობები, რომელთა კონფლიქტი გამოწვეულია ტერიტორიული ან ეთნიკური ნიშნით, პატივდებული უნდა იყოს ორივე მხრიდან. ამ დროს ყოველგვარი იდეოლოგია განხილული და გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც ტრადიციული აუცილებლობა თანამედროვეობასთან კავშირში და არა როგორც ბუტაფორიული თვითმიზანი.

— ყველამ უნდა იცოდეს, რომ დემოკრატია და თავისუფლება, მხოლოდ პრესის თავისუფლება არ არის. ამ დროს ხალხთა წიაღი გავს განთავისუფლებულ მონებს, რომელთაც არ ძალუძთ ქმედითად და შედეგით განახორციელონ თავისუფლება და

დემოკრატია, ანუ ეს არის უფუნქციო თავისუფლება.

— იმპერიები ყოფილ მეტროპოლიებში ყოველთვის ტოვებენ შენელებული მოქმედების ნაღმებს, რომლებიც მაშინ მოქმედებენ, როდესაც ისინი მოინდომებენ ან არ მოეწონებათ განთავისუფლებული კოლონიის პოლიტიკური ან ეკონომიკური ნაბიჯები.

— ყველა ეთნიკურ ჯგუფთან უნდა შეიქმნას თავისებური ინდივიდუალური მიდგომები, რომელიც დაყრდნობილი იქნება მათ კულტურაზე და მსოფლიო სამართლებრივ სისტემაზე. ამ მიდგომებში არც ერთი მხარე არ უნდა ჩანდეს შეზღუდულად.

— როგორც არ უნდა ხორციელდებოდეს ეთნიკური ჯგუფის მიმართულება, ის თავის განვითარებით ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფოს განვითარებას, სადაც ის ცხოვრობს.

— ასევე სახელმწიფოს მიმართება უნდა იყოს მცირე ერების მიმართ გამაძლიერებელი და დამხმარე.

— ეთნიკურმა ჯგუფებმა, რომელთა სიმწვავე პოლიტიკურ სარბიელზე სახეზეა, უნდა აწარმოონ განსაკუთრებული პატივისცემა ურთიერთობის დროს, ენის, მამულის, ფოლკლორის, ტერიტორიის, ტრადიციების და ზოგადად კულტურის მიმართ.

— თითოეულ ეთნიკურ ჯგუფთან შერიგების პრაქტიკული ღონისძიების განხორციელებამდე, უნდა შედგეს ხანგრძლივი, საგანგებო ენერგიულობით აღჭურვილი მოქმედება ცალ-ცალკე ეთნიკურ ჯგუფთან და სანამ შერიგების ცენტრალურ ნაწილზე გადახვიდოდეთ, აუცილებელია იმ რწმენის შინაგანად მიღება, რომ ეს ხალხი უკვე შეძლებს ერთად მუშაობას.

— ყველანაირ მატერიას და სულიერებას თავის განსაკუთრებული ბეჭედი აზის და აქვს საკუთარი ხელწერა.

საზოგადოება და ადამიანებმა ყველაფერში სულიერების კვალი უნდა ეძებონ, ეს შარაგზის მტვერი იქნება თუ მოკვდავი ადამიანის გონებაში მიმოქცეული სისხლის ჩქერალი. ამ შემთხვევაში შევძლებთ ავიდეთ ღრმა სულიერების სიმაღლეზე.

— ცნებები და საგნები უნდა იქნეს გასინჯული თანამედროვეობაში წარსულის გამოცდილების ფონზე, რათა არ დაიკარგოს მათი გამოყენების სარგებლიანობა, ამიტომ ცნება უნდა განისაზღვროს ფაქტის არეალში.

— ტერიტორიები და ეთნოკონფლიქტები ეს არის თანამედროვე მსოფლიოს სევდა, სადაც თვით ძველი აღთქმის მეშვეობით არ ხერხდება აბრაამის შთამომავლობაში ვინ იყო პირველი, სარასთან შეძენილი ვაჟიშვილი (ისააკი), თუ უფრო ადრე მხევალ ქალთან — აგარისთან, (არკანონირი ცოლი) შეძენილი შვილი (ისმაილი).

— დღეს ათმაგად ნაკეცი საუკუნეები და სისხლიანი ცრემლის წვიმები ფარავენ, მისტიკურ შორეულობაში არსებულ ლანდებს. ყოველივე ამას მაშინ ეშველება, როდესაც ადამიანები დადგებიან თავის მე-ზე მაღლა და განაგდებენ, ზოგჯერ დამღუპველ, ინდივიდუალიზმის გრძნობებს.

— ადამიანი უნდა გასცდეს მხოლოდ ტემპერამენტით და ემოციით აზროვნებას, რათა არ დაემსგავსოს სამყარო უმწეო მარტოსულებით დასახლებულ საავადმყოფოს, საიდანაც ერთადერთი საშველი სასაფლაოს გზაა.

— სამყარომ ყოველი ტანჯვა და უსამართლობა ისე უნდა გაიაროს, როგორც

სულისა და სხეულის წვრთნა სიძნელეების დაძლევისათვის.

— ფეთქებადი და ნაკლებადსაშიში ეთნოკონფლიქტების ზონებში, მაგალითად, როგორიცაა სამხრეთ საქართველო, არსებითად საჭირო ცნობების მისაღებად აუცილებელია პრობლემის მოგვარების კუთხით საკითხების გადასაწყვეტად ადგილზე ჩასვლა და მოსახლეობასთან გასაუბრება.

— დაცული უნდა იქნეს როგორც ქართული, ისე არაქართული მოსახლეობის ინტერესები, რაიმე ნიშნით უპირატესობის მინიჭების გარეშე და აქცენტირება უნდა ხდებოდეს სოციალურ, პოლიტიკურ, ტრადიციულ, სულიერ და სხვა კულტურულ ღირებულებებზე.

— ამ ღირებულებების განხორციელებისათვის უნდა შემუშავდეს კონკრეტული გეგმა და დახურული იქნეს მათი განხორციელების ქმედითი ღონისძიებები.

— ასევე პრიორიტეტების პლანში აქტუალურ საკითხებად წამოწეული უნდა იქნეს ისეთი საკითხები, რომლებიც მათ სოციალურ სფეროში გამოიწვევს მოსახლეობის შედარებით კეთილმოწყობილ მდგომარეობას, მაგალითად, პასპორტიზაცია, სკოლების უზრუნველყოფა სათანადო პირობებით, გზების მშენებლობა და სხვ.

— ეთნიკურად რთულ და ეთნოკონფლიქტურ ზონებში, როგორც ადგილებზე, ასევე დედაქალაქში და სხვა ქალაქებში მოსახლეობა უნდა გაჯერდეს თანამედროვე სამართლებრივი სტანდარტების აზროვნებით, რისთვისაც უნდა მოხდეს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტების მიწოდება და უზრუნველყოფილი იქნეს მათი მოწვევა სემინარებზე, სიმპოზიუმებზე, დისპუტებსა და სხვა ამგვარ ღონისძიებებზე.

ცხოვრების აზრი მოხერხება, თქმა და მოქმედებაა ამ სიძნელეებში.

თავისუფლება

1) ყოველი ადამიანის მოვლენა, თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა ღმერთის ნებითაა ნაკარნახევი და არასოდეს არ უნდა ხდებოდეს ამ უფლებების ხელყოფა.

2) საქართველოში დაგმობილი და დასჯილი უნდა იქნეს ყოველი სახის ჩაგვრა და მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს ადამიანთა უსაფრთხოების, თავისუფლების, პირადი საკუთრების და სხვა უფლებების დაცვა.

3) რადგან, საქართველოს კონსტიტუციით ხელისუფლების წყარო ხალხია, უზენაესობის პრინციპს თავად ერი განახორციელებს და არც ერთმა პირმა ან ჯგუფმა არ უნდა მიიტაცოს რაიმე უფლებები, თუ ის ერის ნებას ეწინააღმდეგება.

4) თავისუფლება გულისხმობს იმგვარ ფუნქციებს, რაც არ ვნებს და შეურაცხყოფს სხვისი თავისუფლების საზღვრებს და ადგენს ორგანული კანონი.

5) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად უნდა არსებობდნენ მუდმივად მოქმედი ორგანოები, რომლებიც განახორციელებენ მათ დასაცავ მექანიზმს. თუ სამოქალაქო საზოგადოებას არ ექნება ადამიანთა უფლებების დამცავი მექანიზმები და სტრუქტურები, რომლებიც ქმედითად ახორციელებენ ამ ფუნქციებს, სახელმწიფო და მის შიგნით მოქმედი საზოგადოებები ვერ იქნება დემოკრატიისკენ მსწრაფველი დინამიკის შემოქმედი.

რეაბილიტაცია

1) მოვიძიოთ 1990-იან წლებში ის დაზარალებულები, რომლებმაც განიცადეს რეპრესიები და დევნა.

ა) გარდაცვლილები, რომლებსაც არ გააჩნიათ საფლავები,

ბ) ოჯახები, რომლებმაც განიცადეს მატერიალური და მორალური ზიანი.

გ) ა და ბ პუნქტებში აღნიშნული და მოძიებულ პირებზე უნდა მოხდეს კომპენსაციის გაცემა.

დ) ეროვნული გვარდიის ნაწილების ჩართვა მოხდეს სამხედრო უწყებებში.

2) ეროვნული თანხმობის საკითხებზე უნდა მოხდეს მემორიალის შექმნა.

3) ქუჯი, ფარნავაზი, იოანე მარუშის ძე – ეს პირები უნდა აღინიშნოს მემორიალში.

4) მოხდეს გააფხაზებული ქართველების მიმართ ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარება, რომ ისინიც და ჩვენც ერთ ძირზე ვართ წარმოშობილი და ვართ ისტორიულად ძმები. ასევე მოხდეს აფხაზ-ქართველთა და შერეული ოჯახების შეხვედრა და საუბარი ჩვენს მომავალ ურთიერთობაზე.

5) მოხდეს აფხაზ-ქართველთა კულტურული ურთიერთობების აღდგენა.

6) შეიქმნას მეგობრობის სახლი ორივე მხარეში, რომელთაც უნდა იმუშაონ სახალხო დიპლომატიით.

7) აღსდგეს სამეგრელოში რუხის სახლის ძველი, ტრადიციული საქმიანობა, რაც დაკავშირებულია აფხაზურ-ქართული კულტურული ურთიერთობისთვის.

8) შემუშავდეს ზვიად გამსახურდიას ამსახველი მასალა (წიგნი, სკოლებში მუშაობა, გადმოსვენება, სახელის დარქმევა ქუჩებზე და სხვ.).

სახალხო დიპლომატია

სახალხო დიპლომატია მაშინ იწყებდა თავის გამოჩენას, როდესაც ამ საქმის უმაღლესი პროფესიონალები უშედეგოდ იღწვოდნენ ამ საქმეში, რადგან დიპლომატები მუშაკობენ არა კონკრეტულად დიპლომატიისათვის,არამედ ხალხისთვის. ამ სფეროში პირველი ნაბიჯების გადადგმისათვის საჭიროა აღსდგეს ძველი ტრადიციული დღესასწაულები, სადაც არც ერთი სიტყვა არ უნდა იქნეს დაძრული პოლიტიკაზე და უნდა მოხდეს მათი – ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეების – შეჩვევა-შეგუება. ასევე უნდა შეიქმნას სხვადასხვა სამოქალაქო დარგობრივი გაერთიანებები, მაგალითად, ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ლიტერატორების და სხვ., რომლებსაც ექნებათ საერთო პროფესიული მიზნები. სასურველია, ამ გაერთიანებათა საქმიანობა დაფინანსდეს სათანადო ანაზღაურებით. ყველა დიდი წამოწყება – რეფორმა – უნდა ხასიათდებოდეს დაპირისპირებული მხარეების მონაწილეობით და აუცილებლად უნდა იქნეს დაცული პრიორიტეტი, უნდა იქნეს დაწესებული მონანიების დღე, სადაც ორივე მხარე გულწრფელად დაიტირებს ამ კონფლიქტში დაღუპულებს და, საერთოდ, ადამიანთა გონებიდან ძირფესვიანად უნდა იქნეს გამოძევებული ჯიბრი და შურისგება.

ინტეგრაცია

მსოფლიო ისტორია სამოქალაქო თანხმობის მხრივ თავისუფლების მეტი შეგნებაა, აწმყოსთან მიმართებით — მომავალში. უმეტესი თავისუფლების შეგრძნება მოფენილია უამრავი წყალქვეშა მეჩეჩით. ამ დაბრკოლების გადალახვაში ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა ინტეგრაცია, რომლის მიზანია ცალკეული ნაწილების ერთ მთელად გაერთიანება, მათი მიჩვევის და კეთილმეზობლობის თანახმიერებით. ინტეგრაციის გარეშე ვერ იარსებებს მსოფლიო სიმშვიდე და ჰარმონია.

ინდივიდუალობა, რომელიც ბევრი ერისათვის ეგზომ სანატრელია, რადგან ისინი დიდი ფანტაზიის ბეჭდით არიან დაღდასმულნი, მომეტებული დოზის შემთხვევაში, არცთუ იშვიათად ამბოხის ან კონფლიქტის ზონაში შეჰყავს ადამიანთა ჯგუფები. არაფერი არ წარმოადგენს საჭიროებას ადამიანთა შეგნებისათვის სხვა რამ ისე აუცილებლად, როგორც ამ თვისებების მოცემულობა ბალანსში. ეს თვისებებია: ინდივიდუალური და ჯგუფურ-საზოგადოებრივი აზროვნება და მისწრაფებები, რომლებიც ზომიერების ფარგლებს არ უნდა სცდებოდეს, რადგან იქიდან იწყება ადამიანის ხასიათის და ჩვევების რეგრესი — დაქვეითება.

ლაილაშის ბიბლიის ფრაგმენტი. X ს. სინგურნარეული ოქრომელნით დაწერილი ყველაზე ძველი ებრაული ხელნაწერი. ლეჩხუმი

მსოფლიოს სასტიკი და საოცარი მიღწევები

დამწერლობის ძველი ნიმუშები აღმოაჩინეს კერამიკის ფრაგმენტებზე ჩინეთის შენიელის პროვინციის ქალაქ სიანის მახლობლად. ეს იდეოგრამები გამოიყენებოდა ციფრების აღნიშვნისათვის და თარიღდება 4-5 ათასწლეულით ჩვენს ერამდე. მაგრამ ეს დამწერლობა არ არის უძველესი. ირანში იპოვეს ციფრული ნიშნები,რომლებიც მეცხრე ათასწლეულის შუალედით თარიღდება!

ისტორიაში უდიდესი პოლიგლოტის სახელი ეკუთვნის იტალიელ კარდინალ მეცოფანტის (1774-1849), რომელიც 27 ენას ფლობდა; ამ სიაში შედიან დანიელი პროფესორი რასკი (1787-1832), ინგლისელი ჯონ ბაურინგი (1792-1872) და ახალ-ზელანდიელი პროფესორი ჰაროლდ უილიამსი; თითოეული მათგანი ფლობდა 28 ენას. ჩვენს დროში ყველაზე დიდ პოლიგლოტად ითვლებოდა ჯორჯ შმიდტი (დაიბადა საფრანგეთში 1904 წელს), რომელიც გაეროში მუშაობდა და ამ ორგანიზაციის ბიბლიოგრაფიული ცნობარის მიხედვით ფლობდა 19 ენას და დროის უკმარისობის გამო ვერ შეძლო, სრულყოფილად დაუფლებოდა კიდევ 12 ენას.

ტაილანდის დედაქალაქის ბანკოკის ოფიციალური სახელწოდებაა კრუნგტეპ-მახანაგონი. თუმცაღა მისი მთლიანი სახელწოდება 167 ასოსასაგან შედგება.

1990 წლის მონაცემებით, 1989 წელს მსოფლიოში შეიარაღებაზე 950 მილიარდი დოლარი დაიხარჯა, ხოლო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებაზე 810 მილიარდი, ე. ი. 140 მილიარდით ნაკლები.

ამავე პერიოდში მსოფლიო მოსახლეობის 10% შიმშილობს, ხოლო 10% სიღატაკის ზღვარზეა.

იუნესკოს მონაცემებით, ყოველწლიურად სხვადასხვა ლოკალურ და რეგიონულ ომებში იღუპება მსოფლიოს მოსახლეობის 5%.

პირველი ატომური ბომბი 2 მილიარდი დაჯდა. პირველი ბომბის შემოწმება დედამიწაზე ნიუ მექსიკის შტატში მოხდა 16 ივლისს და მომწავლელი კვამლის სვეტი 12 კმ-ის სიმაღლეზე გაიშალა. 9 კმ-ზე აფეთქების ტალღამ ორი მეთვალყურე მიწაზე დანაარცხა, მისმა სინათლემ მომენტალურად მზის სინათლეს გადააჭარბა.

პირველ ატომურ ბომბს, რომელიც ხიროსიმაში ჩამოაგდეს (1945 წ. 6 აგვისტო), ისეთი გამანადგურებელი ძალა ჰქონდა, რომ სამასათასიანი ქალაქის 3/5 იქცა მკვდარ ზონად. მეორე ბომბი ნაგასაკში ჩამოაგდეს 9 აგვისტოს და ქალაქის 1/3 პირისაგან მიწისა აღიგავა.

ჩვენ მოკლედ, ფრაგმენტულად მოვიყვანეთ მსოფლიოს სასტიკი სტატისტიკის და შედეგების მაგალითები, სადაც და რაზეც სახელმწიფოები აუარებელ ფულს ხარჯავენ, რათა ადამიანთა გონება წარმართონ ამ უსასტიკესი ამოცანების შესასრულებლად.

ჩვენმა ეპოქამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ შეჩერდეს ან შენელდეს ამ მრისხანე და ულმობელი მაგალითების სიხშირე.

დემოგრაფია

ძველი მსოფლიო

ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობას, ყოველთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ერის სიძლიერისათვის, რადგან ხალხთა სიმრავლე ბუნებრივად იყო სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი წამყვანი ნიშანი, განსაკუთრებით ძველ საუკუნეებში, თუმცა დღესაც თვლიან, რომ, მაგალითად, ჩინეთის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა არის ის, რომ ერთი ვალუტის ქვეშ ხორციელდება მილიარდნახევარ ადამიანს შორის ფულის მიმოქცევა, ანუ ეკონომიკაშიც თავის უზარმაზარი პლიუსი ჰქონია და არა მხოლოდ ომებში და თავდაცვით ბრძოლებში.

ძველ მსოფლიოს მკვიდრი, ურყევი ცნობები, ხალხთა დემოგრაფიის შესახებ, განსაკუთრებით ადრეულ შუა საუკუნეებში არ გააჩნია, მით უმეტეს, საქართველოს და მხოლოდ ერეკლე II-ის დროიდან იღებს ქართულ სინამდვილეში ეს საქმე სათავეს. ერეკლე II-ის დროს ქართლ-კახეთის აღწერა ოთხჯერ ჩატარდა და შემდეგ რუსეთის იმპერია ატარებდა საქართველოს გასაბჭოებამდე აღწერებს.

საქართველოს (XIII ს.) და ძველი მსოფლიოს დემოგრაფიული ცნობები აღებული უნდას იყო დემოგრაფ-ისტორიკოსთა იმ პარამეტრებით, რომ მათ იციან სამყაროს მოსახლეობის განვითარების პარამეტრები მშვიდობიან და საომარ ვითარებაში, ერთ წელიწადში, ათ წელიწადში ან საუკუნეში, რამდენი წევრისგან შედგებოდა კომლი და სხვა. ამგვარად აცილება სიზუსტესთან, თითქმის უმნიშვნელო შეიძლება იყოს, თუ ის არსებობს მაინც.

პლანეტის მოსახლეობა მილიონობით

15 ათასი წლის წინათ — 3-4
9 ათასი წლის წინათ — 5-10
7 ათასი წლის წინათ — 30-50
ახ. წ. ა-ს დამდეგს — 250
1000 წლისათვის — 280-300
1500 წლისათვის — 400-500
1750 წლისათვის — 600-900
1800 წლისათვის — 750-1100
1850 წლისათვის — 1150-1400
1900 წლისათვის — 1570-1750
1930 წლისათვის — 2015
1950 წლისათვის — 2509
1965 წლისათვის — 3285
1971 წლისათვის — 3706

2000 წლისათვის ვარაუდობდნენ 6000-7000 მილიარდს, მაგრამ მხოლოდ 6 მილიარდს გადასცდა.

აღებული პირველი 6 ათასი წლის მანძილზე პლანეტის მოსახლეობა გაიზარდა 2,5-ჯერ; შემდგომ 2 ათასი წლის განმავლობაში - 4,5-ჯერ; მერმინდელი 6 ათასი წლის სიგრძეზე — 8-ჯერ. ახ. წ. აღ. პირველი ათასი წლის მანძილზე მოსახლეობა

გაიზარდა 30-40%, XI-XV საუკუნეებში – 154%.

დაახლოებთ 9000 წლის წინათ დედამიწის მოსახლეობა არ აღემატებოდა 10 მლნ-ს, რომლის გაორმაგებას 2500 წელი სჭირდებოდა.

შემდეგი გაორმაგება მოსახლეობისა მოხდა 2000 წლის მანძილზე და ბოლოს 1000 წლის განმავლობაში.

ახ. წ. პირველ ათასწლეულში მოსახლეობა კიდევ უფრო გაორმაგდა და დაახლოებით 300 მილიონს მიაღწია.

– 1800 წლამდე, რვა საუკუნეში მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა და 900 მილიონი შეადგინა.

– 1900 წელს მოსახლეობამ საშუალოდ 1620 მილიონი შეადგინა.

– 1965 წელს – 3285 მილიონი

– 1972 წელს მსოფლიო მოსახლეობა 74 მლნ-ით გაიზარდა.

2000 წელს მოსახლეობამ 7 მილიარდს მიაღწია (ზოგი წყაროს ცნობით, 6 მილიარდს გადააჭარბა – ბ.თ.).

1500 - 1750 წლებში - 165%, ხოლო მომდევნო 250 წლის განმავლობაში, ე. ი. 1750-2000 წწ-ში ის დაახლოებით 8-ჯერ გაიზრდება, წერდნენ 1973 წელს.

მე-16 საუკუნეში პლანეტის მოსახლეობის საშუალოწლიურ მატებას ანგარიშობენ 0,1% (უფრო ადრე კიდევ ბევრად ნაკლებს), შემდეგ 1750-1850 წწ. ეს მატება შეადგენდა 0,5%, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მერმინდელ პერიოდში იგი 1,5%-ს აღემატებოდა. თუ ახ. წ. აღ. პირველ ათასწლეულში მოსახლეობა 25%-ით გაიზარდა, შემდგომი 950 წლის მანძილზე კი – 9-ჯერ და დაახლოებით 2509 მილიონს მიაღწია, ხოლო კიდევ 50 წლის შემდეგ, ე. ი. 2000 წლისათვის ვარაუდობდნენ, რომ იგი 6-7 მილიარდს მიაღწევს. მხოლოდ 1974 წელს დედამიწის მოსახლეობა დაახლოებით 74 მილიონით გაიზარდა.

ასევე უნდა ითქვას, რომ, ჩემი აზრით, ზრდის ეს ტემპი მიღებულია, მხოლოდ დედამიწის მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდში.

სპეციალისტთა ვარაუდით, 40-50 ათასი წელიწადია რაც წარმოიქმნა ჰომო საპიენსი (გონიერი ადამიანი), რაც დაახლოებით 1600-2000 თაობას ითვლის. ადამიანთა განვითარების ადრინდელ საფუძველზე იზოლაციამ განაპირობა რასების წარმოშობა. რასების, ხალხთა ურთიერშერწყმის, მიგრაციის მეოხებით იზრდება შერჩევა, პოპულაცია და თანდათანობით ყალიბდება ადამიანის გენეტიკური პოტენციალის მდგრადობა.

დარვინის აზრით ბუნებრივი შერჩევა ხდება ადამიანთა საზოგადოებაში. ევოლუციონისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ჰომო საპიენსით თავდება ადამიანის ევოლუცია. რაც, ცხადია, არ ნიშნავს პოპულაციაში აბსოლუტური შერჩევის უარყოფას, რომელიც ძალზედ მაღალ როლს თამაშობს ცხოველთა სამყაროში, სადაც ახლაც იქმნებიან ახალი სახეები და რასები. საქმე ისაა, რომ, იმ დროიდან რაც შეიქმნა და ადამიანმა აღმართა ბუნებასა და მას შორის შრომის ასეთი განვითარებული საშუალებები, მით უფრო ნაკლებად ემორჩილება ბუნებას და, პირიქით, იმორჩილებს და გარდაქმნის მას. დროთა განმავლობაში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და საბოლოოდ ეს გამოიწვევს იმას, რომ ჰომო საპიენსის გენეტიკური მოდელის მთელი ერთობლიობა უაღრესად მდგრადი და მტკიცე გახდება. საბოლოო გამარჯვება ადამიანისა ბუნებაზე

მოხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ჩაერევა თავისი გენეტიკური ინფორმაციის (დნმ) დამორჩილებაში.

სიცოცხლის ასაკი გახანგრძლივდა

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის დაბერების ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთა. ასეთი დასკვნა ექსპერტებმა 1990-2003 წლების მონაცემებზე დაკვირვების შედეგად მიიღეს. 2003 წელს საქართველოს მოსახლეობის 13,1% 65 წლისა და მეტი ასაკის იყო, 20,4% კი - 15 წლამდე ასაკის. 1990 წელს ეს მონაცემები ასე გამოიყურება: 65 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენდა 9,2%-ს, 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი კი - 24,5%-ს. 1995 წლისთვის 65 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი გაიზარდა 10,8%-მდე, 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი კი შემცირდა 22,7%-მდე. 1990-2003 წლებში შობადობის დონე საქართველოში განახევრდა, გარდაცვალების დონემ კი რამდენადმე (1,3%-ით) მოიმატა.

ადამიანთა წონა 1993 წელს პლანეტაზე ზოგადი გათვლით 270 მილიონ ტონას შეადგენს და წელიწადში 2%-ის მატების შემთხვევაში ვარაუდობენ, რომ დედამიწის წონას გადააჭარბებს.

საქართველოს დემოგრაფია წარსულიდან დღემდე

საქართველოსთვის 1254 წლის აღწერით, მონღოლებს ცხრა კომლზე თითო ჯარისკაცის გამოყვანა შეუწერიათ და მთლიანად ჯამს შეუდგენია 90 ათასი კაცი. აქედან გამომდინარე, თუ იმასაც ჩავთვლით, რომ აუცილებლად იქნებოდა მოსახლეობის გამორჩენის ფაქტები და ავიღებთ არა ცხრა, არამედ 10 ოჯახს, მივიღებთ, რომ საქართველოში ყოფილა 900 ათასი ოჯახი და მას საშუალოდ ხუთ სულზე გადავამრავლებთ, გამოდის, რომ საქართველოში ყოფილა 4,5 მილიონი ადამიანი. ამ პერიოდში საქართველო ფლობდა და ეკავა 150 000 კვადრატული კილომეტრი. ეს უკვე გიგანტი სახელმწიფოა, თუ წარმოვიდგენთ, რომ მე-13 ს-ის პირველ მეოთხედში საფრანგეთის მოსახლეობა 13 მილიონ კაცს შეადგენდა, იტალიის 8, გერმანიის 7,3 ესპანეთისა - 5,4, ხოლო ინგლისისა (უელსისა და შოტლანდიის მოსახლეობის ჩათვლით) - 2,6 მილიონს.

ამ დროს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში შედიოდა საკუთრივ საქართველო, ჩრდილოეთ სომხეთი, ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთით ალვანეთი, შირვანი. საქართველოს სახელმწიფოს ეჭირა კავკასიის მთავარი, ცენტრალური ნაწილი შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყნები: ტრაპიზონის სამეფო, რომლის ძირითად ტერიტორიას ქართული პროვინციები, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი (ლაზეთი, ჭანეთი) შეადგენდა. ზოგიერთი ცნობით საქართველოს სახელმწიფოსა და ტრაპიზონის სამეფოს ეკავათ 246 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი და მოსახლეობა 10 მილიონს აღწევდა. ისტორიკოსთა ნაწილი ამ ციფრს

ოდნავ გაზვიადებულად მიიჩნევს, ნაწილი სრულებითაც არა. ამ მეტ-ნაკლები ვარაუდის მიუხედავად, საქართველო ახლო აღმოსავლეთისთვის, როგორც ამიერკავკასიის ქვეყანა, ყველაზე ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალაა. ტერიტორიის და მოსახლეობის ამ კონდიციებით იმ დროინდელ მსოფლიოში, და გონივრული პოლიტიკით ყველაფრის გადაწყვეტა შეიძლებოდა.

ს. კაკაბაძე და ვახ. ჯაოშვილი თვლიან, რომ ზევით მონღოლებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში ნახსენები ცხრა კომლზე თითო ჯარისკაცი შესაძლებელია ნიშნავდეს, არა ზოგადად ცხრა გლეხს, არამედ ცხრა ვარგის მეომარს და ჟამთააღმწერელი მიუთითებს „ცხრასა გლეხსა სრული მიწისი მქონებელსა", ანუ სრული ფუძისა მქონე უნდა ყოფილიყო სამხედრო ბეგარის გადამხდელი. მეორეც, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სრულფასოვან მამაკაცთა ერთი მეხუთედი ლაშქარში გაწვევის შემთხვევაში 90 ათასზე ბევრად მეტი ქართველი მხედარი იქნებოდა მონღოლთა სამსახურში, რაც თვით მონღოლებისათვის საშიში ძალა გახდებოდა. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში, მაინც გვაძლევს 1,8-2 მილიონ სულს, თუმცა ვახ. ჯაოშვილის გათვლა ამ ციფრს 2,4-2,5 მილიონ მაცხოვრებელს ვარაუდობს. ყველა პროგნოზით საქართველო დიდი ქვეყანაა და, პირველ რიგში, თითქმის 4-ჯერ მეტი ტერიტორიით, ვიდრე დღეს თავის 51 ათასი კვ. კმ-ით და შედარებითი პრინციპის საფუძველზე - მოსახლეობით. ის ამ სიდიდეებით, მაშინ ევროპის მე-5 ან მე-10 სახელმწიფოა მაინც. წარმოვიდგინოთ და შევადაროთ დღევანდელ ევროპის ქვეყნებს, და ავიღოთ ისე, როგორც მაშინ ცხოვრობდა საქართველო.

* * *

1989 წელს საქართველოში დაიბადა 66,9% ქართველი, ეს იმ დროს, როდესაც საქართველოში 70,1% ქართველია. იმ წელს საქართველოში მხოლოდ 61 ათასი ქართველი დაიბადა.

შობადობის მაღალი დონე იყო უკრაინაში – დაიბადა 508 ათასი უკრაინელი, 37 მილიონ უკრაინელში და უზბეკეთში – 529 ათასი უზბეკი, 14 მილიონ უზბეკში.

ზრდის ტემპებით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ არა მარტო ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, არამედ ცალკეული რეგიონების მცხოვრებლებიც. იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა; სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებში შეიქმნა განსხვავებული დემოგრაფიული სიტუაცია, რაც პირველ ყოვლისა აისახა მოსახლეობის მატების ტემპებში.

* * *

საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა დასაქმებულთა ფარდობითი და აბსოლუტური რაოდენობა ვაჭრობაში, კომუნალურ მეურნეობაში, განსაკუთრებით განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. მოსახლეობის შრომითი აქტივობის ზრდას და დასაქმების სფეროში მომხდარ სტრუქტურულ ცვლილებებს თვალსაჩინო პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ცვლილებები ასახავდა წარმატებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმთავრეს უბნებზე და მოსახლეობის სოციალურ ყოფაში მომხდარ ძირეულ ძვრებს.

გარე მიგრაციულმა პროცესებმა არსებითი ცვლილებები გამოიწვიეს საქართველოს

მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. 1930-იან წლებში საქართველოში ასეული ათასობით მიგრანტი არაქართველის ჩამოსახლებას მოჰყვა რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი ოდენობის შესამჩნევი შემცირება.

თბილისი – ღვთაებრივი ქალაქი

„გამოცხადდეს ქალაქი თბილისი უბედურების ზონად. ამისათვის გამოყენებულ იქნეს ყველა ღონე, ტერორისტული აქტების ჩათვლით" (კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის და სუკ-ის აგენტის. იუსუფ სოსლამბეკოვის ბრძანებულებიდან), 1990-იანი წლები.

XX საუკუნის მიწურული. გადავფურცლოთ ისტორიის ფურცლები და კიდევ ერთხედ გავიხსენოთ, რა კონტექსტში მოიხსენიებდნენ ჩვენს სათაყვანებელ ქალაქს გარდასულ დროთა ისტორიკოსები და თვალსაჩინო მოღვაწეები.

„ქალაქი თბილისი მტკიცედაა გამაგრებული, მისი აღება საძნელო საქმეა" (არაბი ისტორიკოსი იბნ ალ ასირი).

„დამპყრობლებმა ვერ შეძლეს ამ შესანიშნავი ქალაქის სასიცოცხლო ფესვის ამოძირკვა, ქალაქისა, რომელიც 1500 წელი იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის" (მოსკოველი ქალაქთმცოდნე გიორგი ლანო).

საქართველოში „არის მშვენიერი ქალაქი, გარშემორტყმული გარეუბნებითა და სიმაგრეებით. აქ აწარმოებენ აბრეშუმისა და სხვა სახის ქსოვილებს" (სახელგანთქმული ვენეციელი მარკო პოლო).

თბილისი „მეგობრული განწყობით ხვდება ყველა შემთხვევით მოგზაურსაც კი. მსგავსი არაფერი მინახავს სხვა ქალაქებში" (X საუკუნის არაბი გეოგრაფი იბნ ჰაუქალი).

„საქართველოს სამეფო კარზე მუსლიმანი მეცნიერები ისეთი პატივითა და დიდებით არიან მოცულნი, რაც მუსლიმანთა შორისაც არ რგებიათ წილად" (XI საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი).

„დიდძალი ცნობებისა და გამოკითხვის შემდეგ დავრწმუნდით, რომ თეფელისი საქართველოს სამეფო დედაქალაქი, საუკეთესო, ხალხმრავალი, მდიდარი, ცნობილი და შესანიშნავი ქალაქია" (რომის პაპი იოანე XXII, 1329 წ.).

„მოხერხებულად განლაგებული, განსაცვიფრებელი, საქვეყნოდ ცნობილი, დიდი ქალაქია თბილისი" (სომეხი ისტორიკოსი უხტანესი).

„კავკასიაში ორმოცამდე სხვადასხვა ტომი სახლობს და ყველა მათგანის წარმომადგენელს შეხვდები თბილისის ქუჩებში" (გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი).

„თბილისი როდი გახლავთ ერთმანეთისთვის უცხო ეთნოსთა საკრებულო. იგი მხიარულ საქორწინო სუფრას წაგავს, სადაც კავკასიელ ხალხთა ყველა წარმომადგენელი მიუწვევიათ" (სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანი).

„მთელ მსოფლიოში ვერსად შეხვდებით ამდენ უცხოელს, როგორც თბილისში"

(ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, 1672 წ.)

„შესანიშნავი, სახელგანთქმული ქალაქია თბილისი. მისი მშვიდობისმოყვარეობა და კეთილგანწყობა შეუდარებელია“ (სომეხი ისტორიკოსი ესანი ჯალალიანიცი, 1772 წ.).

„მთელი ჩემი არსება მოიცვა თბილისის ხილვის სურვილმა“ (ალ. პუშკინი, 1829 წ.).

„თბილისი ორიგინალური სანახაობაა, ევროპული და აზიური არქიტექტურის ჰარმონიული შერწყმა, რომელიც თვალს ახარებს“ (რუსი მწერალი პლატონ ზუბოვი, 1822 წ.).

„მხოლოდ კონსტანტინოპოლსა და პარიზში შემხვედრია ტანსაცმლის ისეთი მრავალფეროვნება და დიდებულება, როგორიც თბილისის სალონებში გამართულ საღამოებზე ვიხილე“ (გერმანელი მწერალი ფრიდრიხ ბოდენშტედტი, 1844 წ.).

„ჩემს კალამს არ ძალუძს აღწეროს ნანახი. ძველი თბილისი შემოქმედის აღმოჩენაა“ (რუსი პოეტი იაკობ პოლონსკი, 1846 წ.).

„თბილისში რომ მივემგზავრებოდი, მეგონა ველურ ქალაქს ვნახავდი, რაღაც ბაქოს ან ნუხას მსგავსს. შევცდი“ (ალ. დიუმა, 1855 წ.).

„თბილისში გატარებული ერთი თვე ყველაზე ნათელი, ყველაზე ბედნიერი დრო გამოდგა ჩემთვის“ (ჰ. ჩაიკოვსკი, 1886 წ.).

„თბილისი ულამაზესი ქალაქია მსოფლიოში – იგი თავისი განსაცვიფრებელი ისტორიითაა ცნობილი“ (გერმანელი ენათმეცნიერი მორფილი, 1890 წ.).

„არასოდეს დამავიწყდება, რომ პირველი ნაბიჯები სწორედ თბილისში გადავდგი და ლიტერატორი გავხდი“ (მ. გორკი, 1931 წ.)

* * *

მიუხედავად ასეთი ეთნიკურ-რელიგიური სიჭრელისა, თბილისში ყოველთვის წინამძღვრობდა ქართული ენა და კულტურა, არ არსებობდა შუღლი და მტრობა ცალკეულ ეროვნებათა შორის; საქართველოს მთავარი ქალაქის მოსახლეობა გამოირჩეოდა თავისი ინტერნაციონალური ყოფითი ელემენტებით. ეს მეტად საგულისხმო ტრადიცია თბილისს ჩვენ დროშიც შემორჩა. უკანასკნელი ათეული წლების მიგრაციული პროცესები იმგვარად მიმდინარეობს, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში თანდათან იზრდება ქართველი მოსახლეობის ფარდობითი რაოდენობა, მაგრამ თბილისი, მსგავსად მრავალი სხვა მსხვილი ქალაქისა, მაინც რჩება მრავალეროვან დასახლებად. ერთი მხრივ, მიგრაციული პროცესების, მეორე მხრივ, დემოგრაფიული ქცევის არაერთგვაროვნება სხვადასხვა ეროვნებათა შორის, მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურაში, რაც ჩანს აქ მოტანილი ცხრილიდან.

არქეოლოგიური მონაცემებით, თბილისი უკვე 6000 წლის წინ ყოფილა დასახლებული.

– ახ. წ. IV ს. – ვარაზ-ბაკურის დროს თბილისში არსებობდა ციხე-სიმაგრე.

– VI ს. სომხურ, ბიზანტიური და ბერძნული წყაროები იხსენიებენ თბილისს.

– VI ს. დამდეგს ვახტანგ I-ის (გორგასალი) ძემ დაჩიმ დაასრულა მამის დაწყებული საქმე – თბილისის, როგორც სამეფო ქალაქის მშენებლობა, შემოავლო ზღუდე და მცხეთიდან აქ გადმოიტანა სამეფო რეზიდენცია.

– 627 წელს ბიზანტიელ-ხაზართა არაბი ამირასა და ქართლის რეზიდენციას წარმოადგენს. 764 წელს თბილისი ხაზარებმა მეორედ დალაშქრეს.

– 853 წელს ბულა-თურქმა თბილისი მიწასთან გაასწორა. ეს მოხდა 5 აგვისტოს შაბათს. ერთი წერილობითი ცნობით დაიღუპა 50000 მაცხოვრებელი. ვარაუდობენ, რომ ამ დროს თბილისში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 100000 მაცხოვრებელი.

– 1122 წელს დავით აღმაშენებელმა თბილისი გაანთავისუფლა 400-წლიანი თურქ-სელჯუკთა ოკუპაციისგან.

– XIII ს-ის დამდეგს, თბილისში 100 000 მაცხოვრებელი უნდა ყოფილიყო.

– 1226 წელს თბილისი აიღო და დაახლოებით 50-100 ათასი მაცხოვრებელი გაანადგურა ჯალალ ედ-დინმა. დემოგრაფთა და ისტორიკოსთან ვარაუდით, თბილისში 200 000-მდე მაცხოვრებელი უნდა ყოფილიყო.

– XIII ს-ის 40-იანი წლებიდან საქართველო და, მათ შორის, თბილისი მოექცა მონღოლთა 100-წლიანი ბატონობის ქვეშ.

– 1386 წელს საქართველოს და თბილისს თემურ-ლენგის სისასტიკე დაატყდა. მან 17 წლის მანძილზე თითქმის გაუკაცრიელა აღმოსავლეთ საქართველო, რვაგზის შემოსევების შედეგად, თითქმის გარდაცვალებამდე (1405) არბევდა ქართლ-კახეთს და მიწისაგან პირისა აღიგავა 800-მდე სოფელი. ისტორია გვაუწყებს, რომ ძალზედ შემცირდა თბილისის მოსახლეობა.

– XV ს. მეფე ალექსანდრე პირველის დროს აღსდგა და განახლდა თბილისის მოსახლეობა.

– 1444 წელს თბილისი თავრიზის მფლობელმა ჯამან (ჯაშან) შაჰმა აიღო და გაძარცვა.

– 1477 წელს თურქმანთა სახელმწიფოს გამგებელმა უზუნ-ჰასანმა დაიკავა თბილისი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ქალაქს კვლავ ქართველები დაეპატრონენ.

– 1488 წელს ქართველებმა დაამარცხეს თბილისის ასაღებად მოსული ირანელი ხალილ-ბეგი.

– 1522 წელს თბილისი დაარბია შაჰ-ისმაილმა, მაგრამ 1524 წელს აჯანყებულმა ქართველებმა ისინი ქალაქიდან განდევნეს.

– 1524-1541 წლებში თბილისი აღსდგა და მოღონიერდა.

– 1541 წელს ირანელმა შაჰ-თამაზ I-მა თბილისი აიღო და დაიმორჩილა.

– 1578 წელს აღმოსავლეთ ამიერკავკასია ოსმალეთს დაემორჩილა და თბილისიც მათ ხელში აღმოჩნდა.

– 1583 წელს სიმონ მეფე ათავისუფლებს თბილისს, მაგრამ მას მალე ისევ თურქები იკავებენ.

– XVI ს-ის ბოლოს თბილისმა დაკარგა ერთიანი საქართველოს დედაქალაქის ფუნქცია და მხოლოდ ქართლისთვის წარმოადგენდა დედაქალაქს. ამავე პერიოდში საქართველო სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი.

– 1606 წელს ქართველებმა თბილისი უკან დაიბრუნეს.

– 1620 წელს შაჰ-აბას I-ის ბრძანებით თბილისი სასტიკად დაარბია ჰარჩიხა-ხანმა.

– 1625 წელს გიორგი სააკაძის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა განდევნა ირანელები, მაგრამ მცირე ხნით ქალაქი ისევ ხელიდან ხელში გადადიოდა.

– XVII ს-ში თბილისი აღსდგება და გამოცოცხლდება როსტომ მეფის ხელში, ამ დროს თბილისში იმყოფება ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი.

– XVII ს-ის ბოლოს თბილისის მოსახლეობამ 20 ათასს მიაღწია.

– XVIII ს-ის დამდეგს (1723) კახეთის მეფემ კონსტანტინემ ირანელების და ლეკების შემწეობით თბილისი აიღო. ვახტანგ VI-მ შიდა ქართლს შეაფარა თავი.

– 1735 წლამდე თბილისი კვლავ ოსმალების ხელში რჩება.

– 1735 წელს თბილისმა გამოიყენა ნადირ-შაჰის ძლიერება და ქალაქი ოსმალებისაგან გაწმინდა. ირანის ბატონობა 1747 წლამდე გაგრძელდა და 1748 წელს თბილისი ერეკლე II-მ ირანელებისაგან გაწმინდა.

– 1762 წელს თბილისი ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს ცენტრად გამოცხადდა.

– 1795 წელის 11-12 სექტემბერს ირანის ლაშქარმა აღა მაჰმად ხანის მეთაურობით თბილისი მთლიანად დაანგრია, ამისთვის კმარა ისტორიკოსის ამგვარი ფრაზა: „არ არსებობდა არც ერთი ორსართულიანი სახლი". ჯუჯა საჭურისი (აღა-მაჰმად-ხანი) თბილისში 20 სექტემბრამდე დარჩა.

თბილისის მოსახლეობის დინამიკის პორტრეტი:

1803 წ. – 14620 ათასი მცხოვრები
1835 წ. – 25290 ათასი მცხოვრები
1845 წ. – 32500 ათასი მცხოვრები
1860 წ – 44421 ათასი მცხოვრები
1876 წ. – 104024 ათასი მცხოვრები

•

აფხაზეთი

XX საუკუნის 30-50-იან წლებში მ. დელბა წერდა და ამბობდა: „აფხაზები ქართველები არიან. აფხაზები წარმოადგენენ ქართველთა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ტომს.

აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ: „XI ს-ის ბიზანტიელი მწერალი იოანე ცეცესი ამტკიცებს: იბერები, აბაზგები და ალანები ერთ ხალხს შეადგენენო", ხოლო XV ს-ის სომეხი მემატიანე თომა მეწოფელი ამბობს, რომ ქართველთა სახლში, ე. ი. ქართველ ეროვნულ-კულტურულ გაერთიანებაში, შედის 8 ტომი - ქართები („ვრაცები"), იმერლები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, მესხები, დვალები და ოსები. XVII ს-ის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე 1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ მოგვითხრობს: „ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუაზე გაიყვეს: სამცხე, ქართლი და კახეთი – ყაენსა, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა ხაინთქარს დარჩაო". იგივე აზრია გატარებული

ეროვნული ერთობის იდეის შესახებ 1703 წელს არჩილ მეფის მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში: ჩვენი მიწები - იმერეთი, სამცხე, საათაბაგო, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი და ჯიქეთი, ნაწილი სპარსელებმა, ნაწილი სულთანმა ბითვისაო“.

ასევე გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინმე ნუგზარ ჯოჯუა, რომელიც აცხადებს, რომ: „ქართული და მეგრული ენები აბსოლუტურად სხვადასხვაა“. ეტყობა მან ან ქართული არ იცის, ან არ იცის სიტყვების მნიშვნელობა. ასევე მოძებნეს ისეთებიც, როგორც გ.წულაიაა, რომელიც ასევე გვმოძღვრავს, რომ: „გაგონილი მაქვს, რომ ჩვენ, მეგრელები 1,5 მილიონი ვართ და პასპორტშიდაც ქართველის მაგივრად მეგრელი უნდა მეწეროსო“.

1989 წლის აღწერით, იმერეთის რეგიონში 767 ათასი კაცი ცხოვრობს, სამეგრელოში 410 ათასი. წულაიასნაირები ალბათ ორივე რეგიონს ცალკე რესპუბლიკად აქცევდნენ და ა. შ. გააგრძელებდნენ. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიასა და საბჭოთა ენციკლოპედიურ ლექსიკონშია აღნიშნული, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის V ს-დან ახალი წელთაღრიცხვის II ს-მდე ცხოვრობდნენ კორაქსები — ქართული ტომები. საგულისხმოა ისიც, რომ გულრიფშის რაიონში, არსებობს სოფელი ყორასი. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია, რომ მდინარე კოდორის სამხრეთი მხარე მეგრელებით ყოფილა დასახლებული, ჩრდილოეთით სვანებით და ასევე ამ ორივე რეგიონში ხვდებიან მესხურ ტოპონიმებსაც, თვითონ საკუთრივ ღღევანდელი აფხაზეთის ტოპონიმიკა, გაგრა, სოხუმი, მერხეული, ოჩამჩირე, ლიხნი, ბიჭვინთა და მრავალი სხვა ღრმად ქართულია. რაც შეეხება თვითონ აფხაზეთის ქვეყანას, ისტორია ასე გვაუწყებს მასზე, „ქართლად აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

გრ. ხანძთელის ცხოვრება დაახლოებით 951 წლის შედეგ არის დაწერილი და ალბათ გახსოვთ აფხაზთა მეფეზე გრიგოლის განრისხება, როდესაც მან მონაზვნები დაუმალა და საერთოდ ამ ნაწარმოებში აფხაზეთი მთლიანად საქართველოს ნაწილად იკითხება. ასევე „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“, რომელიც 1066-1068 წლებშია დაწერილი, აღნიშნულია, რომ ქართველი მეფეები ზამთრობით აქ ისვენებდნენ: „რამეთუ მოწევნულცა იყო ჟამი ზამთრისა და თვისისა წარვიდა აფხაზეთად... რათა მუნ დაიზამთროს და განისვენოს... და ზამთარი იგი მუნ დავყავით“, თვითონ გიორგი მთაწმინდელი აფხაზეთს „ქუეყანასა ჩვენსას“ უწოდებს.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში აღნიშნავს, რომ: „ბაგრატ მეფემან დაიპყრა ყოველი ესე ქვეყანა და შეაერთა კუალად ქართლსავე, ვითარცა აფხაზეთი და ჰერკასნი, და ჰყო ყოველნი ერთ სამეფოდ თვის მეფობასა შინა, და იყო ყოველი ესე ივერია ერთ სამეფოდ“. XII საუკუნეში, თამარის დროს კი, ჟამთააღმწერელი ასე ახასიათებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას: „საყდართა და მონასტერთა დალეწასა ვერვინ იკადრებდა. ქარავანსა ვერავინ ძარცუიდა. ამიერი და იმიერი ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა, რომელ ერთი ქათამი არსად მოიკვლოდა: მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო... და მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“.

ასევე მთელი შუა საუკუნეები დასავლეთ საქართველო, ეგრისი და აფხაზეთი იდენტური მცნებებია. X-XI სს. სომეხი ისტორიკოსი, მაგ., იოანე დასხანაკერტელი აფხაზეთის ქვეყანას ეგრისს უწოდებს, მათ მეფეს — „ეგრისის მეფეს“, ხოლო

მცხოვრებთ - „ეგრისელებს“.

ვნახოთ რა მდგომარეობაა დემოგრაფიის მხრივ აფხაზეთში? მე-17 საუკუნეში ანაპასა და რიონს შორის ცხოვრობდა 600 ათასი კაცი. ამ ცნობამ საქართველოს დემოგრაფ ისტორიკოსებს შორის თითქმის პანიკა გამოიწვია და ხმამაღლა არ ამბობენ, მაგრამ თვლიან, რომ ყველა სპეციალობის ხალხში არის არასერიოზული მეცნიერები. მაგრამ იქვე ამბობენ, რომ ჩვენთვის კარგად ცნობილი ზაქარია ჭიჭინაძე (მე-19ს) აფხაზთა რაოდენობას 1770 წელს 400 ათასით აფიქსირებს, არ დაგვავიწყდეს, რომ ამ დროს ქართლ-კახეთში (ბარის მოსახლეობა), კავკასიის და კერძოდ საქართველოს ყველაზე ანგარიშგასაწევ მხარეში დაახლოებით 200-220 ათას კაცს ანუ სულს ითვლიან. ცნობილი მეცნიერის ვახტანგ ჯაოშვილის გათვლით კი, ამ დროს იმერეთში 119 ათასი კაცი ცხოვრობდა, სამეგრელოში – 75, ხოლო აფხაზეთში 64 ათასი. ახსნა ასეთია, ზოგადად არა პროფესიონალებს და ან არაკვალიფიციურ სპეციალისტებს აქვთ ასეთი ჩვევა, როცა რაიმეს ფიქრობენ მათთვის არამახლობელ საქმეზე, ბუნებრივად უჩნდება გაზვიადებული წარმოდგენისკენ მიდრეკილება. ეს არგუმენტი, ძალზე ფსიქოლოგიურია და არავითარ ფაქტობრივ არგუმენტაციას არ წარმოადგენს, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ანგარიშგასაწევია. თუ ეს არ კმარა, მაშინ წარმოვადგინოთ მსოფლიო დემოგრაფების წინაშე ეს ციფრი (600 ათასი აფხაზი) და ვთქვათ, რომ შეიძლება ასეთი დიდი მასა კავკასიაში იყოს და პოლიტიკური, სავაჭრო ან სხვა რაიმე ზეგავლენა არ იგრძნობოდეს? მით უმეტეს, რომ XVII საუკუნის საქართველო ძლიერ დაცარიელებული იყო ხალხისაგან და ირანის შაჰს კახეთიდან ირანის მესვეურები შემაშფოთებელ ცნობას აწვდიან „ქართველები ისე მომრავლდნენ უკვე 10 ათასზე მეტ ხმალს ითვლიანო“. სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა მომხდარიყო, რომ ეს 600 ათასკაციანი მასა, მხოლოდ მიწის ფლობის სურვილით უნდა მოფენილიყო საქართველოს მიწა-წყლის ასათვისებლად. რადგან, როდესაც მჭიდროდ დასახლებული მასა ხედავს, მეზობლის თუ იგივე მშობლიურ ქვეყანაში, საქართველოში დაცარიელებულ მიწებს, ბუნებრივად ხდება სიმჭიდროვის ცოცვა და განფენა ცარიელ სივრცეში. მით უმეტეს, არსად არ ჩანს აფხაზური გვარების საუკუნეობრივი ლოკალური ცხოვრება ჯგუფებად საქართველოს გაშილილ სივრცეში, თუ არ ჩავთვლით აჭარას, სადაც თუ არ ეცდები, ერთი თუ ორი სოფელია.

აკად. პაატა გუგუშვილის გაანგარიშებით, 1800 წელს აფხაზეთის მოსახლეობა 30 ათასს აღწევს, 1832 წელს – 34,8 ათასს. 1867 წელს უკვე 65 ათასი იყო და აქედან 22 ათასი სამურზაყანოში ცხოვრობდა. საკუთრივ აფხაზთა რაოდენობა კი 43 ათას კაცს შეადგენდა. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, აფხაზეთში ცხოვრობდა 68,7 ათასი კაცი, აქედან 28 ათასი აფხაზი, 34 ათასი ქართველი. აღსანიშნავია, რომ სიების შედგენის დროს აფხაზეთში აღრიცხული იყო 30,6 ათასი სამურზაყანოელი ქართველი. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის დროს სამურზაყანოელები სრულებით აღარ უჩვენეს, რათა მსოფლიოსთვის ეჩვენებინა ქართველების იქ არყოფნა და ვითომ შემდგომ მოხდა ბერიას მიერ მათი ჩასახლება. ამ პერიოდზე აფხაზებმა წარმოადგინეს, რომ იქ ცხოვრობდა 98,7 ათასი აფხაზი.

1926 წლის აღწერით კი გასწორდა და დავინახეთ, რომ 1867 წელს აფხაზეთში იყო 42,6 ათასი აფხაზი და არა 98,7 ათასი. 1926 წლის აღწერით კი 67 ათასი ქართველი და 56 ათასი აფხაზია აფხაზეთში.

1886 წლის მონაცემებს კი, აფხაზები განგებ აყალბებენ და თვლიან, რომ საოჯახო სიების მიხედვით აფხაზეთში აფხაზების რაოდენობა 59 ათასია (85,7%), ხოლო ქართველების 4 ათასი (6%) და ეს იმით მიაღწიეს, რომ სამურზაყანოს არც ერთი ქართველი არ შეიყვანეს სიებში. ასევე იცრუეს, როდესაც მათ მოიყვანეს ყალბი ფაქტი, ვითომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მათ, აფხაზებს მოუხდათ ქართველების ძალდატანებით თურქეთში გახიზვნა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით სამურზაყანოში 40858 ქართველი და 1161 აფხაზი ცხოვრობდა.

რაც შეეხება ტერიტორიას, აფხაზეთს შესახებ ნაშრომების ავტორები: შარდენი, ვახუშტი ბატონიშვილი, არქანჯელო ლამბერტი და სხვები, თვლიან ჯიქეთიდან მდინარე კოდორამდე.

ფრანგი კონსული გამბა კი სამურზაყანოს სამეგრელოს ერთ-ერთ პროვინციად თვლის. ასევე, როდესაც 1834 წელს აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ სოფელი ილორის მოსახლეობა ერთგულების ფიცზე დააფიცა, ამის თაობაზე გაკვირვებას გამოთქვამს რუსი მეფისნაცვალი თუ მთავარმართებელი ბარონი როზენი და იქვე მიუთითებს, რომ: „რამდენადაც ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მდინარე ღალიძგაა და სოფელი ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირას, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს და შეგიძლიათ გამოუცხადოთ ყველ ილორელს, რომ მათ მიერ თქვენდამი მიღებული ფიცი უსაფუძვლოა“, ანუ როდესაც სურს ან პოლიტიკურად აწყობს რუსეთის იმპერიის ოკუპანტს, ბარონ როზენი სხვა ბევრ დოკუმენტებშიც ამტკიცებს, რომ სამურზაყანო საქართველოა. საოჯახო სიების მონაცემებით, 1886 წელს სოხუმში სამი ათასი ცხოვრობდა ათასი ქალი და ორი ათასი მამაკაცი. ქალაქის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს კი ქართველები შეადგენდნენ, ამავე დროს კი ოჩამჩირეში თითქმის სულ ქართველები ცხოვრობდნენ. ცნობილი ეთნოგრაფი თედო სახოკია კი მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე აღნიშნავს, რომ: „გუდაუთა საკმაოდ მოზრდილი დაბაა აფხაზეთისა. შიგ 172 კომლი (1117 სული) მცხოვრები ითვლება სხვადასხვა ეროვნებისა. მათ შორის რიცხვით, როგორც ყველგან აქეთკენ, პირველი ადგილი უჭირავს ქართველებს – 356 სული, შემდეგ რუსებს (242 სული), მერე მოჰყვებიან ბერძნები (133 სული), სომხები (132 სული), აფხაზები (87 სული), ლაზები (32 სული) და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილის შედეგად დემოგრაფები ადგენენ, რომ: 1926 წლის მოსახლეობის აღწერით, აფხაზეთში ცხოვრობდა 67494 ქართველი და 55918 აფხაზი და აფხაზებიდან 8920 აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევდა, 1979 წელს კი – 730.

1926 წლიდან 1979 წლამდე აფხაზეთში ქართველების რაოდენობა 68 ათასიდან 213 ათასამდე გაიზარდა, ე. ი. 3,1-ჯერ, სომხების – 25 ათასიდან 73 ათასამდე, ე. ი. დაახლოებით 3-ჯერ (1886 წელთან შედარებით კი – 67-ჯერ), რუსებისა – 12 ათასიდან 80 ათასამდე, ე. ი. – 6,6-ჯერ.

1922 წლის მონაცემებით კი, სოხუმში მცხოვრები 4992 ბერძენიდან 3381 დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, 4467 რუსიდან - 3400, ხოლო 1889 სომეხიდან – 1123. ანალოგიური მდგომარეობა გუდაუთასა და სხვა ქალაქებშიც. ამასთანავე, 1922 წელს სოხუმში აფხაზები, ისევე როგორც გუდაუთაში, მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ და, შესაბამისად, მთელი მოსახლეობის 2,4 და 6,5

პროცენტს შეადგენდნენ.

აფხაზი მოღვაწე ს. ლაკობა კი მისთვის ჩვეული სტილით აცხადებს, რომ, თურმე ქართველებს უნდა რცხვენოდეთ, რომ აფხაზები აფხაზეთის 17%-ს შეადგენენო. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია, რადგან 1989 წელს ქართველები და აფხაზები არიან ამ მხარის ერთადერთი მკვიდრი მოსახლეობა და სხვებით კი ხელოვნურად ანუ ძალდატანებით არის გაზრდილი.

მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში და მესხეთში

1910 წელს იმპერატორი ამტკიცებს დებულებას „საქართველოში გადმოსახლებულთა შესახებ", ხოლო რუსეთ თურქეთის ომის შემდეგ ნიკოლოზ I-მა ყველაზე ხელსაყრელად მიიჩნია სომეხთა ნაწილი დაესახლებინათ ახალციხესა და მის მიდამოებში.

ცარიზმისათვის უკვე არავითარ მნიშვნელობას არ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთი ისტორიულად ქართული ტერიტორია იყო. რუსეთს თავდაპირველად აქ კაზაკ-რუსების ჩამოსახლებას ცდილობდა და ამ მიზნით უგულებელყო ქართველი მოსახლეობის თავის სამშობლოში ცხოვრების კანონიერი უფლებები. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მკვიდრი მოსახლეობა აქედან აყრილიყო და თურქეთში გადახვეწილიყო. დარჩენილი ქართველი მოსახლეობა კი თათარ-თურქებად გამოაცხადა. რუსეთი უკვე სამცხესა და ჯავახეთს უშუალოდ თავის ტერიტორიად თვლიდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა აქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ინტერესებს. სამცხე-ჯავახეთში სომხების დასახლება მას უფრო ხელსაყრელად მიაჩნდა და ასეთი გეგმა კიდეც შეადგინა გენერალმა პასკევიჩმა. თურქეთიდან გადმოსახლებულ სომეხთა დიდი ნაწილი ახალქალაქში, ახალციხეში, აწყურში, ხერთვისსა და სხვა ადგილებში დასახლდა. ამის შედეგად საგრძნობლად შეიცვალა ამ კუთხის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უფრო ადრეც მტრისაგან შევიწროებული და დევნილი სომხობა საქართველოს აფარებდა თავს. მაგალითად, ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანული აგრესიისაგან შევიწროებული სომხები დიდ ჯგუფებად გადმოდიოდნენ საცხოვრებლად საქართველოში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ სომხეთიდან, კერძოდ ხაფანიდან, რასაც თვით სომეხი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ. მომდევნო ხანებში ისინი ხშირად ქართველებადაც კი იწოდებოდნენ. ასევე უწოდებს, მაგალითად, ერთ-ერთი სომეხი ავტორი დავით ბეგს, მეფე ვახტანგ VI უფროსი ძის ბაქარის პირადი გვარდიის ერთ-ერთი ასეულის მეთაურს და სხვა სამხედრო პირებს, თუმცა იქვე დასძენს, ესენი ენომით და სარწმუნოებით სომხები არიანო.

მტრებისგან დევნილი, ლტოლვილი სომხობა იძულებული ხდებოდა საქართველოს შემოხიზვნოდა. ეს პროცესი მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდებოდა, ძირითადად კი 1897-1917 და 1914-1918 წლებში. ისინი უმთავრესად სახლდებოდნენ სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს ქალაქებში. საქართველოში სომხების გადმოსახლების პროცესი არც უცხოელ ავტორებს გამორჩენიათ მხედ-

ველობიდან და ისინი კავკასიაში თავიანთი მოგზაურობის დროს აგვიწერენ ოსმალთა ძალადობისა და სპარსთა შევიწროებისაგან საქართველოში თავშესაფრის მძებნელ „მოზღვავებული სომხების“ მძიმე მდგომარეობას.

საქართველოში სომხების გადმოსახლების მასშტაბებს კარგად გვიჩვენებს XIX საუკუნეში ჩვენთან მცხოვრები სომხების რაოდენობა და აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დინამიკა ცალკეული წლების მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია პროფ. ვ. ჯაოშვილის მიერ. კერძოდ, თუ 1800 წელს საქართველოში 47 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1832 წლისათვის მათმა რაოდენობამ საქართველოში 84 ათასს მიაღწია. ამავე პერიოდში კი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 37 ათასიდან 65 ათასამდე გაიზარდა ანუ 75 პროცენტით, მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობა დაახლოებით 10 პროცენტით გადიდდა. ამავე წლებში საქართველოში ქართველებისა და სომხების ზრდამ შესაბამისად 9 და 79 პროცენტი შეადგინა. შემდგომ წლებშიც საქართველოში სომხების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ქართველების.

წლები	სომხების რაოდენობა საქართველოში (ათასობით)	სამცხე ჯავახეთის მოსახლეობა (ათასობით)
1800	47,0	37,0
1832	84,0	65,0
1865	122,6	86,8
1886	172,9	122,6
1897	197,0	141,5

სომხების გადმოსახლებამ სამცხე-ჯავახეთში ძირეულად შეცვალა ამ კუთხის ეროვნული შემადგენლობა. 1800 წელს აქ ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად ქართველები ცხოვრობდნენ. პროფ. ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით, როგორც აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისში 37 ათას უდრიდა. აქედან 30 ათასზე მეტს ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა შეადგენდა, ხოლო დაახლოებით 6 ათასი თურქი 1828-1831 წლებში თურქეთში გადასახლდა.



გუდალეთი. X ს.

კომლთა რაოდენობა ქართლ-კახეთის სამეფოში 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით ქალაქები და პროვინციები[1]

ქალაქები და პროვინციები	კომლთა რიცხვი მთლიანად	მათ შორის	
		თანამედროვე საქართველოს ფარგლებში	მის ფარგლებს გარეთ
ქალაქები:			
თბილისი	4000	4000	-
გორი	500	500	-
ცხინვალი	700	700	-
სურამი	200	200	-
თელავი	750	750	-
სიღნაღი	100	100	-
ანანური	100	100	-
ახალგორი	140	140	-
სულ ქალაქები	6490	6490	-
პროვინციები (სოფლის მოსახლეობა):			
ზახა, თრუსო, ჭვრივი, ხადა, ღუდა (ოსები).	1200	1200	-
არაგვის ხეობა (ქართველები)	2000	2000	-
ქსნის ხეობა (ოსები)	2000	2000	-
ქსნის საერისთაო (ქართველები)	1600	1600	-
ლიახვის ხეობა (ოსები, ებრაელები)	900	900	-
ქართლი ხიზნების გარდა (ქართველები, სომხები)	4500	4500	-
დემირჩი-ასანლუ (თათრები ხიზნები)	1000	1000	-
ბაიდარი (თათრები)	200	200	-
ბორჩალო და ფამბაკის ხეობა (სომხები)	2560	1500	1060
ყაზახი (სომხები, თათრები)	4700	-	4700
შამშადილო (თათრები, სომხები)	3400	-	3400
ხევსურეთი (ქართველები)	1200	1200	-
ფშავი (ქართველები)	1000	1000	-
თუშეთი (ქართველები)	1400	1400	-
კახეთი (ქართველები, სომხები, თათრები)	8450	8450	-
სულ სოფლის მოსახლეობა	36110	26950	-
ქალაქის და სოფლის მოსახლეობა	42600	33440	9160

1. ვახტანგ გამრეკელი, ზურაბ ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1973, №1, გვ. 144-155

ქართლ-კახეთის, იმერეთისა და რაჭის მოსახლეობა 1800 წელს (*ვახტანგ ჯაოშვილი*)

რეგიონები	კომლთა რაოდენობა	კომლის საშუალო სულადობა	მოსახლეობის რაოდენობა
საქართველოს ქალაქები:			
მათ შორის თბილისი	4480	4,75	21,300
ქუთაისი	3244	4,75	15,400
ქართლ-კახეთი	180	4,75	850
ქართლ-კახეთის ბარი	29800	7,57	225,600
ქართლ-კახეთის ჩრდილოეთ მთიანეთი	10900	6,87	74,900
იმერეთი (ქუთაისის გამოკლებით)	18250	6,89	125,740
რაჭა	4370	7,75	33,900
სულ	67800	7,1	481,440

კომლის საშუალო სულადობა საქართველოს რეგიონებში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (*ვახტანგ ჯაოშვილი*)

რეგიონები	კომლთა რაოდენობა	კომლის საშუალო სულადობა	მოსახლეობის რაოდენობა
აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონები	4,41	3,91	8,32
აღმოსავლეთ საქართველოს მთის რაიონები	4,00	3,54	7,54
დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონები	4,01	3,55	7,56
დასავლეთ საქართველოს მთის რაიონები	4,52	4,01	8,53
ქალაქები	2,77	2,45	5,22

საქართველოს მოსახლეობა 1800-1832 წლებში

ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები	მოსახლეობა 1800 წ.		მოსახლეობა 1832 წ.		1832 წელი 1800 წლის მიმართ (პროცენტრობით)
	ათასობით	%%	ათასობით	%%	
ქართლ-კახეთი	320,9	40,9	359,4	40,3	112,0
იმერეთი	125,7	16,0	138,9	15:5	110,5
რაჭა	33,9	4,3	37,4	4,2	110,3
სამეგრელო და ლეჩხუმი	106,4	13,6	116,9	13,1	109,9
სვანეთი	12,0	1,5	12,5	1,4	104,1
გურია	31,0	4,0	34,0	3,8	109,7
აფხაზეთი	77,8	9,9	82,0	9,2	105,4
აჭარა	40,0	5,1	46,0	5,2	115,0
მესხეთ-ჯავახეთი	37,0	4,7	65,0	7,3	175,7
სულ	784,0	100,0	892,1	100,0	113,7

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა 1800 და 1832წწ.

ეროვნება	1800 წ..		1832 წ.		1832 წელი 1800 წლის მიმართ (პროცენტრობით)
	ათასობით	%%	ათასობით	%%	
ქართველი	622,6	79,4	677,1	75,9	108,8
აფხაზი	52,0	6,6	56,6	6,3	108,8
ოსი	29,3	3,7	32,3	3,6	110,2
სომეხი	47,0	6,0	84,0	9,4	178,7
თათარ-თურქი	30,0	3,8	27,0	3,0	90,0
ებრაელი	3,3	0,4	4,0	0,5	121,2
ბერძენი	0,5	0,1	7,0	0,8	14-ჯერ
დანარჩენი	–	–	4,1	0,5	–
სულ	784,7	100,0	892,1	100,0	113,7

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დასადგენად 1832 წლისათვის ვსარგებლობდით როგორც აღნიშნულ წელს ჩატარებული კამერალური აღწერის მასალებით, ისე მოსახლეობის ბუნებრივი მატების იმ ნორმებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ დავადგინეთ 1800 - 1832 წლებისათვის, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მონაცემებით.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რეფორმისშემდგომ პერიოდში

ეროვნებანი	1865 წ.		1886 წ.		1897 წ.		1887 წელი 1865 წლის მიმართ (%-ით)
	ათასობით	%%	ათასობით	%%	ათასობით	%%	
ქართველი	950,6	73,8	1188,1	72,4	1331,3	69,4	140,0
აფხაზი	60,0	4,6	38,0	2,3	42,6	2,2	71,0
ოსი	45,5	3,6	71,0	4,3	81,5	4,2	179,1
სომეხი	122,6	9,5	172,9	10,5	197,0	10,3	160,7
რუსი	25,9	2,0	42,5	2,6	101,0	5,3	390,0
აზერბაიჯანელი	51,5	4,0	62,6	3,8	81,1	4,2	157,5
ბერძენი	12,0	0,9	28,8	1,8	38,5	2,0	320,8
ებრაელი	7,8	0,6	11,7	0,7	17,2	0,9	220,5
გერმანელი	4,2	0,3	5,5	0,3	7,4	0,4	176,2
დანარჩენი	9,1	0,7	20,8	1,3	21,8	1,1	239,1
სულ	1289,2	100,0	1641,9	100,0	1919,4	100,0	148,9

მოსახლეობა
ახალციხე-ახალქალაქის, ბათომის და არტაანის მხარეებისა მე-20 საუკუნის 10-იან წლები, პავლე ინგბოროყვას მიხედვით

	სივრცე (ლეიხკუთხი კილომეტრებით)	მოსახლეობა ბარდა ქალაქებისა	ეთნოგრაფიული შემადგენლობა მოსახლეობისა									ქართველ მუსულმანთა შორის ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობს:
			ქართველები				სხვა ერები					
			მუსულმანი ქართველები	ორთოდოქსი ქართველები	კათოლიკე ქართველები	სულ ქართველები	სომხები	თურქები	ბერძნები	სხვა ერები (ქრისტიანები)	სხვა ერები (მუსულმანები)	
I. ახალციხე-ახალქალაქის მხარე												
1.ახალციხის მაზრა	2.706	72.000	52.000	8.000	6.000	66.000	4.00		2.000			50-
2. ახალქალაქის მაზრა	2.793	101.000	7.00	7.000	8.000	22.00	70.000	1.000	1.000	7.000		60%
სულ მთელს მხარეში	5.499	173.000	59.000	15.000	14.000	88.000 50,9%	74.000	1.000	3.000	7.000		32.00 დახლ.
II. ბათომის მხარე												
1. ბათომის ოლქი	3.779	82.000	73.000	1.000		74.000		1.000	2.000	4.000	1.000	100%
2. ართვინის ოლქი	3.339	61.000	56.000			56.000	4.000			1.000	(ჟუხაზ)	60%
სულ მთელს მხარეში	7.118	143.000	129.000	1.000		130.000 90.9%	4.000	1.000	2.000	5.000		107.000 დახლ.
III. არტაანის მხარე												
1. ფოცხოვის უბანი	588	15.000	15.000			15.000						5-10%
2. არტაანის ოლქი	5.137	56.000	15.000			15.000		16.000	12.000	13.000		
3. ოლთისის ოლქი	3.051	32.000	20.600			20.000	2.000	3.000	4.000	3.000		1-5%
სულ მთელს მხარეში	8.776	103.000	50.000			50.000 48,8%	2.000	19.000	16.000	16.000		2.000 დახლ.
სულ სამივე მხარეში	21.293	419.000	238.000	16.000	14.000	268.000 64,0%	80.000	21.000	21.000	28.000	1.000	141.000

რეგიონალური სხვაობანი საქართველოს მოსახლეობის დინამიკაში[1]

დედაქალაქი, ავტონომიები და ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები	მოსახლეობის რაოდენობა				1926 წელი 1939 წლის მიმართ (პროცენტრობით)
	მოსახლეობა 1926 წ.		მოსახლეობა 1939 წ.		
	აბსოლუტური	%%	აბსოლუტური	%%	
თბილისი	294044	10,98	519220	14,67	176,6
აჭარის ასსრ	131957	4,93	200106	5,65	151,6
აფხაზეთის ასსრ	210423	7,86	311885	8,81	148,2
სვანეთი	18823	0,70	27128	0,77	144,1
ჯავახეთი	71794	2,68	99230	2,80	138,2
შიდა ქართლი	225594	8,43	296135	8,37	131,3
ქვემო ბართლი	201434	7,52	263649	7,45	130,9
მესხეთი	102321	3,82	129448	3,66	126,5
კახეთი	290978	10,87	364608	10,30	125,3
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	87747	3,28	106118	2,99	120,9
იმერეთი	492569	18,39	595051	16,81	120,8
სამეგრელო	270868	10,13	323811	9,15	119,5
გურია	113455	4,24	132134	3,73	116,5
აღმოსავლეთ კავკასიონი	63934	2,39	72374	2,04	113,2
რაჭა-ლეჩხუმი	101292	3,78	99126	2,80	97,9
საქართველოს სსრ	2677233	100,0	3540023	100,0	132,2

1. ცხრილი შედგენილია გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალების საფუძველზე; რეგიონები დალაგებულია მოსახლეობის ზრდის ტემპების დაღმავალი ნიშნის მიხედვით.

უფრო კონკრეტულ ასპექტში და უახლოესი პერიოდის 1897-1970 წ., საყოველთაო აღწერების მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა ასეთი სურათის სახით წარმოგვიდგება (%%-ობით):

მოსახლეობის აღწერების წლები	ქართველი	აფხაზი	ოსი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	დანარჩენი
1897	67,9	3,1	3,7	5,4	9,2	5,6	5,1
1926	67,1	2,2	4,3	5,2	11,6	3,6	5,5
1939	61,4	1,6	4,2	5,3	11,7	8,7	7,1
1959	64,3	1,6	3,5	3,8	11,0	10,1	5,7
1970	66,8	1,7	3,2	4,6	9,7	8,5	5,5

კავკასიის მოსახლეობა და ტერიტორია

ადმინისტრაციული ერთეულები	ტერიტორია ათასი კვად. ვერსი	მოსახლეობა ათასობით		მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. ვერსზე 1915 წ.
		1897 წ. აღწერით	1915 წ. ადმინისტრაციული ცნობით	
ამიერკავკასია				
ბაქოს გუბერნია	33,4	714,8	826,0	24,7
ქალაქი ბაქო	0,9	111,9	406,5	451,7
ბათუმის ოლქი	6.1	144,6	84,6	13,9
დაღესტნის ოლქი	26,1	571,2	706,4	27,1
ელიზავეტპოლის გუბერნია	38,9	878,4	1243,5	32.0
ზაქათალის ოკრუგი	3,5	84,2	79,6	22,7
ყარსის ოლქი	16,5	290,7	255,5	15,5
ქუთაისის გუბერნია	18,5	807,5	1057,5	57,2
სოხუმის ოკრუგი	5,8	106,2	198,6	34,2
თბილისის გუბერნია	35,9	966,8	1401,6	39,0
შავი ზღვის ოკრუგი	5,9	57,5	159,1	27,0
ერევნის გუბერნია	23,2	829,6	1065,9	45,9
ჯამი	214,7	5563,4	7484,8	34,9
იმიერკავკასია				
ყუბანის ოლქი	83,3	1918,9	2598,2	31,2
თერგის ოლქი	63,6	932,3	1366,2	21,5
ჯამი	146,9	2851,1	3964,4	27,0
სულ კავკასიაში	361,6	8414,6	11449,2	31,7

ფრიად მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც საქართველოს მოსახლეობის ეროვნულმა შედგენილობამ მე-19-20 სს. ვარიცადა, წარმოგვიდგენს ქვემოთ მოყვანილი ციფრები

წლები	მთელი მოსახლეობა ათასობით	მათ შორის ქართველები %%
1800	675	89,0
1832	840	75,0
1865	1,287	74,0
1886	1,601	71,0
1897	1,929	67,9
1926	2,666	67,1
1939	3,540	61,4
1959	4,044	64,3
1970	4,688	66,8

საქართველოს მოსახლეობის განაწილება განათლების დონის მიხედვით დინამიკაში (მოსახლეობის აღწერებით)

	1959	1970	1979	1989	2002
საქართველოს მოსახლეობა სულ 15 წლისა და უფროს ასაკში	2859386	3255623	3695607	4062367	3455591
მათ შორის აქვთ განათლება:					
უმაღლესი	153418	273801	425066	613498	773454
დაუმთავრებელი უმაღლესი	42569	69465	79290	98167	115604
საშუალო პროფესიული	173354	256336	414504	759735	540811
საშუალო ზოგადი	436660	78093	1212242	1473980	1237517
არასრული საშუალო	602159	672688	730423	615805	400863
დაწყებითი	532598	599353	524383	347673	230739
15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ 1000 კაცზე აქვთ განათლება	54	84	115	151	224
უმაღლესი	15	21	21	24	33
დაუმთავრებელი უმაღლესი	61	79	112	187	157
საშუალო პროფესიული	153	241	328	363	358
საშუალო ზოგადი	211	207	198	152	116
არასრული საშუალო	186	184	142	86	67
დაწყებით					

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1926-1939 წლებში

ეროვნება	1926 წ..		1939 წ.		1939 წელი 1926 წლის მიმართ (პროცენტრობით)
	ათასობით	%%	ათასობით	%%	
ქართველი	1788186	66,8	2173574	61,4	121,6
აფხაზი	56847	2,1	56640	1,6	99,6
ოსი	113298	4,2	148680	4,2	131,2
სომეხი	307018	11,5	414182	11,7	134,9
რუსი	96085	3,6	307988	8,7	320.5
უკრაინელი	14356	0,5	46020	1,3	320,6
აზერბაიჯანელი	143951	5,4	187621	5,3	130,3
ბერძენი	54054	2,0	84960	2.4	157,2
ებრაელი	30159	1,1	42480	1,2	140,8
დანარჩენი	73279	2,8	77878	2,2	106,3
სულ	2677233	100,0	3540023	100,0	132,2.

საქართველოს მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და ენის მიხედვით
(მოსახლეობის 1926, 1959 და 1989 წლების აღწერებით)

ეროვნება	1926 წ.							1959 წ.							1989 წ.						
	მოსახლეობა სულ ათას.	მ.შ. თვლის მშობლიურ ენად						მოსახლეობა სულ ათას.	მ.შ. თვლის მშობლიურ ენად						მოსახლეობა სულ ათას.	მ.შ. თვლის მშობლიურ ენად					
		თავისი ეროვნების ენას		სხვა ეროვნების ენას					თავისი ეროვნების ენას		სხვა ეროვნების ენას					თავისი ეროვნების ენას		სხვა ეროვნების ენას			
				ქართულს		რუსულს					ქართულს		რუსულს					ქართულს		რუსულს	
		ათას.	%%	ათას.	%%	ათას.	%%		ათას.	%%	ათას.	%%	ათას.	%%		ათას.	%%	ათას.	%%	ათას.	%%
სულ	2666	2479	93,0	89	3,3	25,4	0,9	4044	3830	94,7	71	1,8	110	2,7	5401	5167	95,7	83,6	1,5	143	2,6
ქართველი	1788	1769	99,0	-	-	2	0,1	2601	2588	99,5	-	-	11,5	0,4	3787	3777	99,7	-	-	8,9	0,2
აფხაზი	57	48	84,0	9	15,7	0,1	0,1	63	60	95,8	1,2	1,9	1,4	2,3	96	92	96,4	1,2	1,2	2,2	2,3
სომეხი	307	225	73,2	74	24,1	5,3	1,7	443	364	82,2	44,2	10,0	33,3	7,5	437	372	85,0	25	5,7	40	9,1
აზერბაიჯ.	138	138	99,7	0,2	0,1	0,1	0,1	154	151	98,3	0,6	0,4	1,8	1,2	308	300	97,7	2,9	0,9	4	-1,3
ოსი	113	110	96,9	3,3	2,9	0,15	0,1	141	122	86,3	1,7	12,0	2,3	1,6	164	126	76,8	33,7	20,5	4,2	2,6
რუსი	96	95	98,4	1,3	1,3	-	-	408	406	99,5	1,9	0,5	-	-	341	337	98,8	4	1,2	-	-

საქართველოს მოსახლეობა 1939 წელს

ეროვნება	სულ საქართველოში		მათ შორის					
			აფხაზეთი		აჭარა		ოსეთი	
	აბსლტ.	%%	აბსლტ.	%%	აბსლტ.	%%	აბსლტ.	%%
ქართველი	2173922	61,4	91967	29,5	127542	63,7	27525	25,9
აფხაზი	57805	1,6	56,197	18,0	1029	-	6	-
ოსი	147677	4,2	-	-	-	-	72266	68,1
აზერბაიჯანელი	188058	5,3	-	-	-	-	89	0.1
სომეხი	415013	11,7	49705	15,9	14085	-	1537	1,5
რუსი	308684	8,7	60201	19,3	30535	-	211	2.0
დანარჩენი	248864	7,7	53815	17,3	25915	-	2574	2,4
სულ	3540023	100,0	311885	100,0	200106	100,0	106108	100,0

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა დინამიკა 1959 - 1979 წლებში

ეროვნებანი	1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1979 წ. 1926 წ-ის მიმართ (%-ით)	1979 წ. 1959 წ-ის მიმართ (%-ით)
	ათასობით	%%	ათასობით	%%	ათასობით	%%		
ქართველები	2600,6	64,3	3130,7	66,8	3433,0	68,8	192,0	132,0
აფხაზები	62,9	1,5	79,4	1,7	85,3	1,7	149,6	134,9
ოსები	141,2	3,5	150,2	3,2	160,5	3,2	141,2	113,5
სომხები	442,9	11,0	452,3	9,6	448,0	9,0	145,9	101,1
რუსები	407,9	10,1	396,7	8,5	371,6	7,4	387,5	91,2
აზერბაიჯანელები	153,6	3,8	217,8	4,6	255,7	5,1	185,5	166,6
ბერძნები	72,9	1,8	89,2	1,9	95,1	1,9	175,9	130,1
უკრაინელები	52,2	1,3	49,6	1,1	45,0	0,9	314,7	86,5
ებრაელები	51,6	1,3	55,4	1,2	28,3	0,6	91,8	54,9
ქურთები	16,2	0,4	20,7	0,5	25,7	0,5	-	160,5
დანარჩენი	42,0	1,0	44,4	0,9	45,0	0,9	-	107,1
სულ	4044,0	100,0	4686,4	100,0	4993,2	100,0	187,3	124,0

საქართველოს მოსახლეობა 1959-70 წელს

ეროვნება	სულ საქართველოში		მათ შორის					
			აფხაზეთი		აჭარა		ოსეთი	
	აბსლტ.	%%	აბსლტ.	%%	აბსლტ.	%%	აბსლტ.	%%
ქართველი	2173922	61,4	91967	29,5	127542	63,7	27525	25,9
აფხაზი	57805	1,6	56,197	18,0	1029	-	6	-
ოსი	147677	4.2	-	-	-	-	72266	68,1
აზერბაიჯანელი	188058	5,3	-	-	-	-	89	0.1
სომეხი	415013	11,7	49705	15,9	14085	-	1537	1,5
რუსი	308684	8,7	60201	19,3	30535	-	211	2.0
დანარჩენი	248864	7,7	53815	17,3	25915	-	2574	2.4
სულ	3540023	100,0	311885	100,0	200106	100,0	106108	100,0

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა 1959-70 წელს

ეროვნებათა დასახელება	1959 წ.		1970 წ.			
	სულ აბსოლუტ.	%% ჯამთან	სულ აბსოლუტ.	%% ჯამთან	მატება აბსოლუტ.	%% ჯამთან
სულ მოსახლეობა	4,044.0	100,0	4686,4	100,0	642,3	100,0
მათ შორის ქართველები	2600,6	64,3	3130,8	66,8	530,2	82,6
ოსები	141,2	3,5	150,2	3,2	9,0	1,4
აფხაზები	62,9	1,6	79,4	1,7	16,5	2,6
სომხები	442,9	11,0	452,3	9,7	9,4	1,5
რუსები	407,9	10,0	396,7	8,5	11,2	-
აზერბაიჯანი	153,6	3,8	217,8	4,6	54,2	8,4
ბერძნები	73,0	1,8	89,2	1,9	16,2	2,5
ებრაელები	51,6	1,3	55,4	1,2	3,8	0,6
უკრაინელები	52,2	1,3	49,6	1,0	2,6	-
ქურთები	16,2	0,4	20,7	0,4	4,5	0,7
ბელორუსები	5,1	0,1	6,1	0,1	1,0	0,2
თათრები	5,4	0,1	5,9	0,1	0,5	0,1
ასირიელები	5,0	0,1	5,6	0,1	0,6	0,1
დაღესტნელები	5,1	0,1	4,6	0 1	0,5	-
სხვა დანარჩენი	21,3	0,5	22,0	0,5	0,7	0,1

თბილისის მოსახლეობა 1959 და 1970 წწ. (ათასობით)

ეროვნება	1959 წ.		1970 წ.	
	აბსოლუტური	%%	აბსოლუტური	%%
სულ მოსახლეობა	694,7	100,0	889,0	100,0
ქართველები	336,3	48,4	511,4	57,5
ოსები	15,6	2,3	21,8	2,5
სომხები	149,2	21,3	150,2	16,9
რუსები	125,7	18,1	124,3	14,0
აზერბაიჯანელები	9,6	1,4	10,8	1,2
ბერძნები	7,0	1,0	10,7	1,2
ებრაელები	17,3	2,5	19,6	2,2
უკრაინელები	10,9	1,6	10,6	1,2
ქურთები	12,9	1,9	18,4	2,1
ასირიელები	2,6	0,4	2,8	0,3
სხვა ეროვნების	7,6	1,1	8,4	0,9

თბილისის მოსახლეობის ეროვნული რაოდენობა

ეროვნება	1897 წ.		1926 წ.		1939 წ.		1959 წ.		1979 წ.	
	ათას.	%%	ათას.	%%	ათას.	%%	ათას.	%%	ათას.	%%
ქართველი	42,3	26,5	113,2	38,5	230,7	44,4	336,3	48,4	653,2	62,1
სომეხი	47,2	29,6	100,5	34,2	138,3	26,8	149,3	21,3	152,8	14,5
რუსი	44,9	28,1	46,0	15,6	93,6	18,0	125,6	18,2	128,1	12,3
ოსი	-	-	2,9	1,0	9,6	1,8	15,6	2,3	27,9	2,7
ქურთი	-	-	-	-	-	-	12,9	1,8	23,4	2,2
ბერძენი	-	-	-	-	-	-	7,0	1,0	16,2	1,5
ებრაელი	-	-	10,1	3,4	13,9	2,7	17,3	2,5	14,9	1,4
აზერბაიჯანელი	-	-	-	-	-	-	9,5	1,4	12,8	1,2
უკრაინელი	-	-	-	-	-	-	10,9	1,6	12,6	1,2
ასირიელი	-	-	-	-	-	-	2,9	0,3	0,2	0,2
დანარჩენი	25,2	15,8	21,4	7,3	32,9	6,3	16,0	1,2	0,7	0,7
სულ	159,6	100,0	294,0	100,0	519,0	100,0	703,0	100,0	1052,3	100,0

თბილისის მოსახლეობის ეროვნული რაოდენობა (ათასობით)

ეროვნება	1876 წ.		1897 წ.		1922 წ.		1926 წ.		1959 წ.		1979 წ.		1989 წ.	
	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%
სულ	104,0	100,0	159,6	100,0	233,9	100,0	294,0	100,0	694,7	100,0	1056,1	100,0	1246,8	100,0
ქართველი	22,2	21,4	42,2	26,4	80,9	34,6	112,2	38,2	336,3	48,4	656,4	62,2	824,3	66,1
სომეხი	37,6	36,2	47,1	29,5	85,3	36,5	100,1	34,1	149,2	21,5	152,9	14,5	150,1	12,0
რუსი	30,8	29,6	44,8	28,2	38,6	16,5	45,9	15,6	125,7	18,1	129,1	12,2	124,9	10,0
ოსი	-	-	0,9	0,5	1,4	0,6	2,8	1,0	15,6	2,2	27,9	2,7	33,2	2,7
უკრაინელი	-	-	2,7	1,7	-	-	-	-	10,9	1,6	12,6	1,2	16,1	1,3
ებრაელი	1,3	1,3	2,9	1,8	8,8	3,8	8,9	3,0	17,3	2,5	14,8	1,4	13,5	1,1
აზერბაიჯანელი	-	-	-	-	3,3	1,4	5,8	2,0	9,6	1,5	12,9	1,2	18,0	1,4
იეზიდი და ქურთი	-	-	-	-	-	-	2,5	0,9	12,9	1,9	23,4	2,2	30,3	2,4
ბერძენი	0,4	0,4	1,2	0,8	1,3	0,6	1,4	0,5	7,1	1,0	16,2	1,5	21,7	1,8
სხვა ეროვნებანი	11,6	11,1	17,8	11,2	14,3	6,1	14,1	4,8	10,1	1,3	9,7	1,0	14,7	1,2

საქართველოს მოსახლეობის აღწერა 1800-1970 წლებში

მოსახლეობის აღწერების წლები	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	დანარჩენი
1800	43,0	42,6	6,6	7,8
1832	38,4	37,6	16,3	7,4
1865	35,6	34,9	20,0	9,5
1886	30,7	33,3	22,9	13,1
1897	28,8	32,0	21,6	17,6
1926	31,2	30,3	23,0	15,5
1959	27,3	29,0	25,6	18,1
1970	25,5	33,7	25,6	15,2

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

ეროვნებათა დასახელება	1926 წ.		1959 წ.		1989 წ.	
	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%
მთელი მოსახლეობა	2666494	100,0	4044045	100,0	5400841	100,0
ქართველი	1788186	67,1	2600588	64,3	3787393	70,1
აფხაზი	56847	2,1	62878	1,6	95853	1,8
სომეხი	307018	11,5	442916	11,0	437211	8,1
რუსი	96085	3,6	407886	10,1	341172	6,3
აზერბაიჯანელი	137921	5,2	153600	3,8	307556	5,7
ოსი	113298	4,2	141178	3,5	164055	3,0
ბერძენი	54051	2,0	72938	1,8	100324	1,8
უკრაინელი	14356	0,6	52236	1,3	52443	1,0
ქურთი	10217	0,4	16212	0,4	33331	0,6
ებრაელი	30159	1,1	51582	1,3	24626	0,5
ბელორუსი			5152	0,1	8595	0,2
ასურელი	2904	0,1	5005	0,1	6206	0,1
დანარჩენი	55452	2,1	31874	0,7	42076	0,8

შენიშვნა: 1926 წელს ბელორუსები დანარჩენ ერებშია შეყვანილი. 1989 წელს საქართველოში 14314 ქართველი ებრაელი და 10312 დანარჩენი ებრაელი ცხოვრობდა.
1254 წელს საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონ კაცს უდრიდა, 1800 წელს დაახლოებით 785 ათას, ხოლო 1897 წელს 1919,4 ათას კაცს.

აზერბაიჯანის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

ეროვნებათა დასახელება	1926 წ.		1959 წ.			
	აბსოლუტ.	%%				
მთელი მოსახლეობა	2314571	100,0	3697717	100,0	7021178	100,0
აზერბაიჯანელი	1437977	62,1	2494381	67,5	5804980	82,7
სომეხი	282004	12,2	442089	12,0	390505	5,6
რუსი	220545	9,5	501282	13,6	392304	5,6
დაღესტნის ხალხები	71919	3,1	121442	3,3	233057	3,3
ებრაელი	30848	1,3	40204	1,1	30792	0,4
თათარი	9948	0,4	29552	0,8	28019	0,4
უკრაინელი	18214	0,8	25778	0,7	32345	0,5
ქართველი	9452	0,4	9526	0,3	14197	0,2
ტატი	28443	1,2	5887	0,2	10239	0,1
დანარჩენი	205194	8,9	27576	0,7	84740	1,2

შენიშვნა: 1926 წელს აზერბაიჯანში ცხოვრობდა 41193, ხოლო 1989 წელს 1226 ქურთი

სომხეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

ეროვნებათა დასახელება	1926 წ.		1959 წ.		1989 წ.	
	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%
მთელი მოსახლეობა	880464	100,0	1763048	100,0	3304776	100,0
სომეხი	743571	84,5	1551610	88,0	3083616	993,3
აზერბაიჯანელი	76870	8,7	107748	6,1	84860	2,6
რუსი	19548	2,2	56477	3,2	51555	1,6
ქურთი	15262	1,7	25627	1,5	56127	1,7
უკრაინელი	2826	0,3	5593	0,3	8341	0,3
ასურელი	2215	0,3	4326	0,2	5963	0,2
ბერძენი	2980	0,3	4976	0,3	4650	0,1
ქართველი	300	0,0	800	0,1	1364	0,0
დანარჩენი	16892	1,9	5891	0,3	8300	0,2

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

ეროვნება	1886 წ.		1926 წ.		1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1989 წ.	
	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%
აფხაზი	28320	41,2	55918	27,8	61193	15,1	77276	15,9	83097	17,1	93267	17,8
ქართველი	34806	50,6	67494	33,6	158221	39,1	199595	41,0	213322	43,9	239872	45,7
სომეხი	1090	1,6	25677	12,8	64425	15,9	74860	15,4	73350	15,1	76541	14,6
რუსი	1216	1,8	12553	6,2	86715	21,4	92889	19,1	79730	16,4	74914	14,3
ბერძენი	2149	3,1	14045	7,0	9101	2,2	13114	2,7	13642	2,8	14664	2,8
სულ	68773	100,0	201016	100,0	404738	100,0	486959	100,0	486082	100,0	525061	100,0

აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა (1970 წლის 15 იანვრის აღწერით)

ეროვნებათა დასახელება	მოსახლეობის რიცხოვნობა ათასობით	პროცენტობით ჯამთან
მთელი მოსახლეობა	487	100,0
აფხაზი	77	15,9
ქართველი	200	41,0
რუსი	93	19,1
სომეხი	75	15,4
ბერძენი	13	2,7
უკრაინელი	12	2,5
ებრაელი	4	0,9
სხვა ეროვნების	13	2,5

აჭარის ასსრ მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა (1970 წლის 15 იანვრის აღწერით)

ეროვნებათა დასახელება	მოსახლეობის რიცხოვნობა ათასობით	პროცენტობით ჯამთან
სულ მოსახლეობა	310	100,0
ქართველი	237	76,5
რუსი	36	11,5
სომეხი	16	5,0
უკრაინელი	7,2	2,3
ბერძენი	6,9	2,2
ებრაელი	1,5	0,5
აფხაზი	1,4	0,4
სხვა ეროვნების	4,0	1,6

ცხინვალის მოსახლეობა *(ანზორ თოთაძე)*

ეროვნებათა დასახელება	1886 წ.	1922 წ.	1926 წ.	1959 წ.	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.
ქართველი	1135	1436	1920	4652	5475	5584	6905
ებრაელი	1953	1651	1772	1649	1475	652	396
სომეხი	744	765	827	860	768	712	734
ოსი	-	613	1152	12432	20846	25319	31537
რუსი	-	64	114	1583	1180	1737	1836
სულ	3832	4543	5818	21641	30311	34791	42333

ქართველების რიცხოვნობის დინამიკა საქართველოში 1800-1989

ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები	ტერიტორია (კმ²)	1886		1926		1959		1989		მოსახ. შემც. (1886-1989	
		სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა	სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა	სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა	სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა	სოფლების რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა
ხევი	1082	51	8843	54	8727	54	7976	44	6376	2467	27,9
მთიულეთი	642	90	9282	87	10483	86	8522	76	6822	2460	26,5
ხევსურეთი	995	53	4985	49	3589	44	2047	24	652	4333	87,8
ფშავი	604	48	5067	35	2250	33	1411	26	1127	3940	77,7
თუშეთი	675	44	4074	31	1618	22	543	5	101	3973	97,5
აღმ. კავკასია	4298	286	32251	256	26676	239	20499	175	15078	17178	53,5

საქართველოს მოსახლეობის განაწილება ცალკეული ეროვნებისა და ასაკის მიხედვით 1989-2002 წლებში

	სულ მოსახლეობა	მათ შორის:									
		ქართველი	აზერბა-იჯანელი	სომეხი	რუსი	ოსი	იეზიდი	ბერძენი	ქისტი	უკრაინელი	აფხაზი
სულ მოსახლეობა											
მათ შორის:	4371535	3661173	284761	248929	67671	38028	18329	15166	7110	7039	3527
0-9	545876	457111	46821	28699	2913	2478	2458	896	1538	194	407
10-19	727213	602267	60867	42880	6087	4181	3886	1715	1384	504	501
20-29	638647	537175	45517	34666	7383	4082	3164	1387	1146	604	465
30-39	624085	528123	42744	31895	7086	5183	2715	1511	964	648	582
40-49	623094	520848	38073	37372	10676	5986	2983	2020	714	1105	519
50-59	396258	337192	17672	19852	10203	4031	1299	1940	508	1173	371
60-69	460184	383972	20396	29230	11085	6961	1255	3002	513	1221	424
70 და უფროსი	353856	292244	12667	24320	12198	5121	568	2691	343	1590	257
შრომისუნარიანზე უმცროსი	915944	766039	77245	49291	5663	4490	4301	1744	2286	414	677
შრომისუნარიანი	2796899	2350915	181461	155319	41249	23566	12605	8600	4158	4091	2286
შრომისუნარიანზე უფროსი	6563370	541978	26051	44304	20719	9967	1422	4818	666	2534	563
მოსახლეობის საშუალო ასაკი	36.1	36.1	30.7	37.3	47.9	44.5	31.3	47.3	29.4	51.5	37.5
სულ მამაკაცი											
მათ შორის:	2061753	1738364	141237	116408	19294	15894	8558	6627	3467	1718	1524
0-9	283043	236134	25020	14930	1436	1359	1317	471	826	105	225
10-19	367472	304202	31245	21526	2945	2066	1906	868	709	254	261
20-29	314314	264106	23290	17264	3000	1994	1499	651	561	224	233
30-39	296688	252448	20797	15114	2168	2163	1230	701	454	158	251
40-49	291816	246934	18344	17202	2938	2286	1352	815	319	264	198
50-59	181563	157453	8296	9030	2568	1532	535	737	239	258	137
60-69	198553	168766	9266	12302	2418	2693	500	1259	227	221	135
70 და უფროსი	127068	107119	4976	9031	1807	1798	219	1124	132	234	83

	სულ მოსახლეობა	მათ შორის:									
		ქართველი	აზერბა-ეჯანელი	სომეხი	რუსი	ოსი	ებრაელი	ბერძენი	ქისტი	უკრაინელი	აფხაზი
შრომისუნარიანზე	470721	392676	40811	25192	2807	2341	2233	908	1200	223	368
უმცროსი	1395490	1180855	92039	77701	13954	10729	5946	4069	2059	1208	1023
შრომისუნარიანი											
შრომისუნარიანზე	194306	163631	8384	13506	2519	2821	379	1649	208	287	132
უფროსი											
მოსახლეობის საშუალო	34.3	34.5	29.4	35.2	39.9	41.5	29.7	45.4	27.8	43	33 5
ასაკი	1236	1202	3	9	14	3	0	1	0	0	1
ასაკი არაა მითითბული											
სულ ქალი	2309782	1922809	143524]	132521	48377	22134	9771	8539	3643	5321	2003
მათ შორის:	262833	220977	21801	13769	1477	1119	1141	425	712	89	182
0-9	359741	298065	29622	21354	3142	2115	1980	847	675	250	240
10-19	324333	273069	22227	17402	4383	2088	1665	736	585	380	232
20-29	327397	275675	21947	16781	4918	3020	1485	810	510	490	331
30-39	331278	273914	19729	20170	7738	3700	1631	1205	395	841	321
40-49	214695	179739	9376	10822	7635	2499	764	1203	269	915	234
50-59	261631	215206	11130	16928	8667	4268	755	1743	286	1000	289
60-69	226788	185125	7691	15289	10391	3323	349	1567	211	1356	174
70 და უფროსი											
შრომისუნარიანზე	445223	373363	36434	24099	2856	2149	2068	836	1086	191	309
უმცროსი	1401409	1170060	89422	77618	27295	12837	6659	4531	2099	2883	1263
შრომისუნარიანი											
შრომისუნარიანზე	462064	378347	17667	30798	18200	7146	1043	3169	458	2247	431
უფროსი											
მოსახლეობის საშუალო	37.8	37.7	32	39.1	51	46.6	32.6	48.7	31	54 3	40 6
ასაკი											

საქართველოს მოსახლეობის განაწილება სარწმუნოების მიხედვით მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მხარეების) ჭრილში
(2002 წლის მოსახლეობის მიხედვით)

	სულ მოსახლეობა	მართლმა-დიდებელი	კათოლი-კური	სომხურ-გრიგორი-ანული	იუდეური	მაჰმადი-ანური
ა	1	2	3	4	5	6
საქართველო სულ	4371535	3666233	34727	171139	3541	433784
ქ. თბილისის მერია	1081679	988664	2715	51687	2320	11438
აფხაზეთის არ	1956	1940	1	1	–	9
აჭარის არ	376016	240562	683	3162	161	115161
გურიის მხარე	143357	127217	724	341	13	13736
იმერეთის მხარე	699666	693462	478	591	365	1549
კახეთის მხარე	407182	350126	737	1146	73	51256
მცხეთა-მთიანეთის მხარე	125443	121690	43	101	15	2240
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე	50969	50670	3	6	32	75
სამეგრელო და ზემო სვანეთის მხარე	466100	462435	64	190	51	1015
სამცხე-ჯავახეთის მხარე	207598	85011	27871	87827	69	5859
ქვემო-ქართლი მხარე	497530	242086	1040	25688	110	225657
შიდა ქართლის მხარე	314039	302389	368	399	332	5789

საქართველოს მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების), მათში შემავალი ქალაქების და რაიონების ნუმერაცია

1. ქ. თბილისი

2. აფხაზეთის აარ

V გაგრა
58 გალი
54 გუდაუთა
56 გულრიფში
57 ოჩამჩირე
55 სოხუმი

3. აჭარის აარ

61 ქედის რაიონი
59 ქობულეთის რაიონი
60 ხელვაჩაურის რაიონი
63 ხულოს რაიონი
62 შუახევის რაიონი
IX ქ. ბათუმი

4. გურიის მხარე

25 ლანჩხუთის რაიონი
38 ოზურგეთის რაიონი
39 ჩოხატაურის რაიონი

5. იმერეთის მხარე

28 ბაღდათის რაიონი
27 ვანის რაიონი
29 ესტაფონის რაიონი
16 თერჯოლის რაიონი
26 სამტრედიის რაიონი
17 საჩხერის რაიონი
III ტყიბულის რაიონი
VI წყალტუბოს რაიონი
IV ჭიათურის რაიონი
30 ხარაგოულის რაიონი
15 ხონის რაიონი
VIII ქ. ქუთაისი

6. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე

14 აბაშის რაიონი
11 ზუგდიდის რაიონი
5 მარტვილის რაიონი
1 მესტიის რაიონი
13 სენაკის რაიონი
II ქ. ფოთი
4 ჩხოროწყუს რაიონი
3 წალენჯიხის რაიონი
12 ხობის რაიონი

7. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე

7 ამბროლაურის რაიონი
2 ლენტეხის რაიონი
8 ონის რაიონი
6 ცაგერის რაიონი

8. კახეთის მხარე

23 ახმეტის რაიონი
35 გურჯაანის რაიონი
36 ყვარელის რაიონი
24 თელავის რაიონი
37 ლაგოდეხის რაიონი
34 საგარეჯოს რაიონი
49 დედოფლისწყაროს რაიონი
48 სიღნაღის რაიონი

9. მცხეთა-მთიანეთის მხარე

20 ახალგორის რაიონი
21 დუშეთის რაიონი
22 თიანეთის რაიონი
33 მცხეთის რაიონი
10 ყაზბეგის რაიონი

10. სამცხე-ჯავახეთის მხარე

40 ადიგენის რაიონი
42 ასპინძის რაიონი
50 ახალქალაქის რაიონი
41 ახალციხის რაიონი
43 ბორჯომის რაიონი
51 ნინოწმინდის რაიონი

11. ქვემო ქართლის მხარე

VII რუსთავი
47 გარდაბნის რაიონი
53 ბოლნისის რაიონი
52 დმანისის რაიონი
45 თეთრი წყაროს რაიონი
46 მარნეულის რაიონი
44 წალკის რაიონი

12. შიდა ქართლის მხარე

19 გორის რაიონი
32 კასპის რაიონი
18 ქარელის რაიონი
9 ჯავის რაიონი
31 ხაშურის რაიონი
X ქ. ცხინვალი



რელიგიის წარმოშობა



მსოფლიო რელიგიების გავრცელება ქვეყნების მიხედვით

რელიგიები	ქვეყნები
ქრისტიანობა: კათოლიციზმი	ირლანდია, საფრანგეთი, ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი, გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ლიეანი, ფილიპინები, ცენტრ. აფრიკის რესპ-კა, კამერუნი, გაბონი, ზაირი, ანგოლა, ბოტსვანა, ნამიბია, მოზამბიკი, კენია, კანადა, მექსიკა, კუბა, არგენტინა, ჩილე, პერუ, ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, ეკვადორი, ურუგვაი, პარაგვაი.
მართლმადიდებლობა	ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, რუსეთი, უკრაინა, საქართველო, ეთიოპია, საბერძნეთი.
პროტესტანტიზმი	ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ისლანდია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, შვეიცარია, სამხ. აფრიკის რესპ-კა, კანადა, აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია.
ისლამი: სუნიზმი	ალბანეთი, თურქეთი, სირია, იორდანია, საუდის არაბეთი, იემენი, იორდანია, ომანი, არაბთა გაერთ. საამიროები, კატარი. ბაჰრეინი, ქუეეითი, ერაყი, ავღანეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, მალაიზია, ბრუნეი, ინდონეზია, ალჟირი, ლიბია, ეგვიპტე, მაროკო, მავრიტანია, მალი, ნიგერია, ჩადი, სუდანი, სომალი, სენეგალი, იაპონია, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი.
შიიზმი	იემენი, ერაყი, ირანი.
ბუდიზმი	მიანმა, ტაილანდი, ლაოსი, კამბოჯა, ვიეტნამი, სინგაპური, მონღოლეთი, ჩინეთი, კორეა.
კონფუციანელობა	ვიეტნამი, ჩინეთი, კორეა.
იუდაიზმი	ისრაელი.
ინდუიზმი	ინდოეთი, ნეპალი.
დაოსიზმი	ჩინეთი, ვიეტნამი.
სინტოიზმი	იაპონია.



იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი



დამწერლობის სისტემათა საორიენტაციო განვითარების გენეალოგიური სქემა XX საუკუნის 70-იანი წლებისათვის.

წყვეტილი ხაზებით აღნიშნულია განვითარების ან გავლენათა სავარაუდო გზები

მასალა ენათმეცნიერების შესახებ მოპოვებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან

საქართველოს მოსახლეობის განაწილება სარწმუნოების მიხედვით (2002 წ.)

<table>
<tr><th colspan="2"></th><th>კაცი</th><th colspan="2">%</th></tr>
<tr><td colspan="2">სულ მოსახლეობა</td><td colspan="2">4371535</td><td colspan="2">100</td></tr>
<tr><td colspan="6">მათ შორის:</td></tr>
<tr><td>მართლმადიდებელი</td><td rowspan="3">ქრისტიანული</td><td>3666233</td><td rowspan="3">3872099</td><td>83,9</td><td rowspan="3">88,6</td></tr>
<tr><td>კათოლიკური</td><td>34727</td><td>0,8</td></tr>
<tr><td>სომხურ-გრიგორიანული</td><td>171139</td><td>3,9</td></tr>
<tr><td colspan="2">იუდეური</td><td colspan="2">3541</td><td colspan="2">0,1</td></tr>
<tr><td colspan="2">მაჰმადიანური</td><td colspan="2">433784</td><td colspan="2">9,9</td></tr>
<tr><td colspan="2">სხვა</td><td colspan="2">33468</td><td colspan="2">0,8</td></tr>
<tr><td colspan="2">არც ერთი</td><td colspan="2">28631</td><td colspan="2">0,6</td></tr>
</table>

ქართველ წმინდანთა მოხსენიების დღეები

იანვარი
1. მამა გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა – ხახულელნი
3. მამა მაკარი მმარხველი, ხახულის მონასტრის წინამძღვარი
13. ღირსი საბიანა, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვარი
16. წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი ღვთისკაცი
17. ღირსნი შიომღვიმელ-ზედაზნელნი მოღვაწენი ევაგრე ციხე-დიდის მთავარი (აგრეთვე 17.II), ელია დიაკონი და სხვანი
21. მოწამე აბო თბილელი
27. დედა ჩვენი და მოციქულთა სწორი ქალწული ნინო
28. სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი
31. ღირსი ეფრემ მცირე ფილოსოფოსი, ღირსი ალექსი მღვდელმონაზონი (შუშანია)

თებერვალი
1. ანტონ მარტმყოფელისა
8. კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებელი
11. მოწამე აშოტ დიდი კურაპალატი
19. ღირსი არსენ იყალთოელი
22. ღირსი შიო მღვიმელი
23. ღირსი იოანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი
25. წმინდა მოწამენი: პროხორე ქართველი, ლუკა იერუსალიმელი (მუხაიძე), ნიკოლოზ დვალი

მარტი
2. ნიკოლოზ კათოლიკოსი;
   წმინდა მოწამე თევდორე აჭარელი
6. წმინდა მოწამენი ცხრა ყრმა კოლაელნი
23. ღირსი იოანე ხახულელი, ოქროპირი
25. დემეტრე თავდადებული
29. აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)
30. ღირსი მღვდელმოწამე გაბრიელ მცირე

აპრილი
10. მამა იოანე მანგლელი ეპისკოპოსი (სააკაძე)
11. ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი (იოანე ზოსიმე)
14. ღირსი იოანე შავთელი
15. მამა გიორგი მაწყვერელი
23. თემურლენგის დროს ქვაბთაზევის მამათა მონასტერში წამებულნი
28. მოწამე სუქია და მისთანა მოწამეთა
30. ეფრემ მცირე მაწყვერელი

მაისი
1. ღირსი ბასილი (რატიშვილი)
14. კეთილმსახური მეფე თამარი
16. კათოლიკოსი მამაი;
   ღირსნი მიქაელ და არსენ ულუმბოელნი
20. ღირსი იოანე ზედაზნელი (აგრეთვე 25. II) და მისი ათორმეტი მოწაფე
26. ღირსი ექვთიმე ათონელი
31. ღირსი დავით გარეჯელი (აგრეთვე 14.VI);
   მოწამენი დავითი და ტირიჭანი

ივნისი
1. წმიდა ნინოს მოსვლა საქართველოში
4. მამადავითობა და აგრეთვე დავით გარეჯელის ხსენება
5. ღირსი დამიანე (დანიელი) მეფედყოფილი დემეტრე I
9. ღირსნი: ბასილი და მიქაელ პარეხელი
14. ღირსი შიო ახალი; გაბრიელ და პავლე გარეჯელნი
21. მოწამე თევდორე მღვდელი (კკელთელი)
22. ღირსი იოანე შავთელ-გაენათელი
25. ღირსი იოანე (თორნიკე) ათონელი
26. ანთიმოზ ივერიელი
29. მოწამე ქაიხოსრო ქართველი
30. მოწამე შალვა ახალციხელი

ივლისი
4. დიდებული მოწამენი საქართველოს მეფენი არჩილი (არჩილ III) და ლუარსაბი (ლუარსაბ II)
10. ღირსი გიორგი ათონელი;
მღვდელმოწამე კირიონ II, (საძაგლიშვილი)
25. ღირსნი მამანი: იოანე და გაბრიელ ათონელები (ათონის მონასტრის დამაარსებელნი)
31. ღირსი კოზმან ხუცეს-მონაზონი

აგვისტო
2. მოწამე სალომე ქართველი; ილია მართალი (ჭავჭავაძე)
6. ილარიონ თვალელი
10. ღირსი გიორგი მაშენებელი (ათონელი)
11. მოწამე ევსტათი მცხეთელი
12. აღმსარებელი ცოტნე დადიანი
13. ღირსი არსენი ნინოწმინდელი ეპისკოპოსი
16. პირველმოწამე რაჟდენი; 9 ძმა ხერხეულიძე დედითა და დით და მათთან ერთად მარაბდის ველზე დაღუპული 9 ათასი ქართველი
21. ღირსი ექვთიმე გარეჯელი
25. ღირსნი გერონტი, სერაპიონ, გერმანე, ბესარიონ, მიქაელ და სვიმეონ
27. მღვდელმოწამენი: ნაზარე ქუთათელ-გაენათელი, ხუცესები: გერმანე, იეროთეოზ და სვიმონ; ბესარიონ მთავარდიაკონი და ყოველნი ახალმოწამენი ტოტალიტარული რეჟიმის დროს წამებულნი
29. ანტონ მარტყოფელი და ქრისტეფორე გურული
31. ღირსი ქრისტოდულუს ქართველი, ფილოსოფოსი

სექტემბერი
3. მამა სარმეანე კათოლიკოსი
6. ღირსი სერაპიონ საკვირველთმოქმედი (გარეჯელი)
9. ღირსი პარმენ დიდი ოსთა აღმსარებელი
10. დიდებული მოწამე დედოფალი შუშანიკი
17. ღირსი სვიმეონი გარეჯელი, წინასწარმხედველი
25. მღვდელმოწამე დოსითეოს თბილელი
26. დიდმოწამე საქართველოს მნათობი ქეთევანი
28. ღირსი ამბა იოსებ ალავერდელი

ოქტომბერი
1. მთავარმოწამე ბიძინა ჩოლოყაშვილი, მოწამენი შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი
8. არსენ დიდი კათოლიკოსი
12. მამა ონოფრე გარეჯელი, საკვირველთმოქმედი
15. დიდმოწამენი არგვეთის მთავარნი დავითი და კონსტანტინე-მოწამეთობა, ორწიფობა
17. მამა ევდემოზ კათოლიკოსი
18. მამა გრიგოლ ხანძთელი
20. ღირსი იოსებ ხუცესი, მოხევე, საკვირველთმოქმედი
26. მამა ანტონ ჭყონდიდელი და მისი მოწაფე იაკობ ხუცეს-მონაზონი
30. მამა იოსებ კათოლიკოსი საკვირველთმოქმედი; მოწამე კოზმანი

ნოემბერი
8. ალექსანდრე, სამეგრელოსა და გურიის ეპისკოპოსი
10. მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი
11. მამა სერაპიონ ზარზმელი
12. მოწამე იოთამ ზედგენიძე, მეფისათვის თავდადებული
13. წმინდა მოწამე ასი ათასი თბილისელი ხვარაზმელთაგან წამებულნი
16. ღირსი ნიკოლოზ ქართველთა მნათობი
17. მართალნი იოანე, სტეფანე და ესაია ქართველები
23. დიდმოწამე კონსტანტი კახი, ქართველთა მთავარი
30. დიდმოწამე მიქაელ-გობრონი და ასოცდაცამეტი მისი მხედარი

დეკემბერი
2. მამა ილარიონ ქართველი
6. მოწამე გრიგოლ არქიმანდრიტი (ფერაძე)
12. მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელი
13. დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი
15. ღირსი ისე წილკნელი
24. ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა, ღირსთა მამათა და დედათა
26. გაბრიელი, (ქიქოძე) იმერეთის ეპისკოპოსი

საქართველოს ფიზიკური რუკა
5
3
4700
5204
5033
4493
2819
2379
ცაგერი
ბაბისონის უღელტ.
ზესტაფონი
ბაზალეთი
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი
ასპინძა
ბოლნისი
ბაღდათი
ოზურგეთი
ფოთი
ზუგდიდი
ანაკლია
ბათუმი
ქუთაისი
ტბილისი
ალაზანი
ალ. ბარანდოვი
ალ. ბარანდოვი
ალ. ბარანდოვ

აფხაზეთი
ზემო სვანეთი
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
ზუგდიდი
სამეგრელო
ქუთაისი
იმერეთი
ზემო ქართლი
ფშავ-ხევსურეთი
ბაკურიანი
ბორჯომი
ახალციხე
ჯავახეთი
ქვემო ქართლი
ბაქურიანი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკ

	ეპარქია	კათედრა	რეზიდენცია	მღვდელმთავრის წოდება
1	მცხეთა-თბილისის	სვეტიცხოველი, სიონი	მცხეთა-თბილისი	
2	ალავერდის	ალავერდი	თელავი	ეპისკოპოსი ამბა ალავერდელი
3	ახალციხის	ახალციხე, საფარა	ახალციხე, საფარა	ეპისკოპოსი ახალციხელი
4	ბათუმისა და სხალთის	ბათუმი, სხალთა	ბათუმის, ქობულეთი	ეპისკოპოსი ბათუმისა და სხალთისა
5	ბოდბის	ბოდბე	ბოდბე, სიღნაღი	ეპისკოპოსი ბოდბელი
6	ბოლნისისა და დმანისის	ბოლნისი, დმანისი	ბოლნისი და დმანის	ეპისკოპოსი ბოლნისისა
7	ბორჯომისა და ახალქალაქის	ბორჯომი	ბორჯომი, ახალქალაქი, ნინოწმინდა	ეპისკოპოსი ბორჯომისა და ახალქალაქისა
8	ვანისა და ბაღდათის	ბაღდათი	ვანი, ბაღდათი	ეპისკოპოსი ვანისა და ბაღდადისა
9	ზუგდიდისა და ცაიშის	ზუგდიდი ცაიში	ზუგდიდი, წალენჯიხა	ეპისკოპოსი ზუგდიდისა და ცაიშისა
10	მანგლისისა და წალკის	მანგლისი, ცალკა	მანგლისი, წალკა	ეპისკოპოსი მანგლისისა და წალკისა
11	მარგვეთის	ზესტაფონი	ზესტაფონი, თერჯოლა ხარაგოული	ეპისკოპოსი მარგველი
12	ნეკრესის	ნეკრესი, ყვარელი	ყვარელი, ლაგოდეხი	ეპისკოპოსი ნეკრესელი
13	ნიკორწმინდის	ნიკორწმინდა	ამბროლაური, ონი	ეპისკოპოსი ნიკორწმინდელი
14	ნიქოზისა და ცხინვალის	ნიქოზი, ცხინვალი	ნიქოზი, ცხინვალი	ეპისკოპოსი ნიქოზისა და ცხინვალისა
15	რუსთავის	რუსთავი	რუსთავი, მარნეული	ეპისკოპოსი რუსთავისა
16	სამთავისისა და გორის	სამთავისი, გორი	სამთავისი, გორი	ეპისკოპოსი სამთავისისა და გორისა
17	საგარეჯოსა და გურჯაანის	საგარეჯო, გურჯაანი	გურჯაანი, ნინოწმინდა	ეპისკოპოსი საგარეჯოსი და გურჯაანისა
18	ურბნისისა და რუისის	ურბნისი, რუისი, ხაშური	ხაშური	ეპისკოპოსი ურბნისისა და რუისისა
19	ფოთის	ფოთი	ფოთი, ხობი, სენაკი	ეპისკოპოსი ფოთისა
20	ქუთაის-გაენათის	ქუთაისი, გელათი	ქუთაისი, გელათი	ეპისკოპოსი ქუთაის-გაენათელი
21	შემოქმედის	შემოქმედი, ოზურგეთი	ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური	ეპისკოპოსი შემოქმედელი
22	ცაგერისა და სვანეთის	ცაგერი, მესტია	ცაგერი, მესტია, ლენტეხი	ეპისკოპოსი ცაგერისა და სვანეთისა
23	ცხუმ-აფხაზეთის	სოხუმი, ახალი ათონი	სოხუმი, გუდაუთა, გაგრა	ეპისკოპოსი ცხუმ-აფხაზეთისა
24	წილკნის	წილკანი	წილკანი, დუშეთი, თიანეთი	ეპისკოპოსი წილკნელი
25	ჭიათურის	ჭიათურა	ჭიათურა, საჩხერე	ეპისკოპოსი ჭიათურისა
26	ჭყონდიდის	მარტვილი	მარტვილი, აბაშა, ჩხოროწყუ	ეპისკოპოსი ჭყონდიდელი
	ხონის	ხონი	ხონი, სამტრედია	ეპისკოპოსი ხონელი



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები



საქართველოს ეკლესიური ისტორიული კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრები



ცოცხალი ალიაქმეწელი ხალხებიდან
1. ბერები, 2. ძმობაგვარები, 3. ძმობაგვარები, 4. ბერმონაზონ



საქართველოს შეიარაღებული ძალები XII-XIII სს-ში



ეთნოგრაფიული საქართველო აწინდელ
შეკვეცილ საზღვრებში



- საქართველოსგან მიტაცებული ტერიტორიები


ქვის ხანის ძეგლები
საქართველოს ტერიტორიაზე
შავი
ზღვა
ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ
პალეოლითი (ძველი ქვის ხანა)
ქვედა პალეოლითი
ზედა პალეოლითი
მეზოლითი (შუა ქვის ხანა)
ნეოლითი (ახალი ქვის ხანა)
ენეოლითი (სპილენძ-ქვის ხანა)
საქართველოს თანამედროვე საზღვარი
მეზობელი ქვეყნების საზღვარი
ზედაპალეოლითური გამყინვარება
© M Shekiladze, 2002
მასშტაბი 1 : 2 500 000
ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ
ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ
ᲡᲝᲩᲘᲡᲘ
ᲪᲘᲕᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ
ᲙᲘᲡᲢᲠᲘᲜᲯᲘ
ᲥᲕᲔᲛᲝ ᲘᲐᲨᲗᲮᲕᲐ
ᲛᲐᲭᲐᲠᲐ
ᲡᲕᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲜᲔ
ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲜᲘᲩᲐ
ᲠᲣᲮᲘ
ᲝᲓᲘᲨᲘ
ᲣᲠᲗᲐ
ᲗᲔᲗᲠᲐᲛᲘᲬᲐ
ᲡᲐᲙᲐᲝ
ᲙᲣᲓᲐᲠᲘᲐ
ᲮᲔᲠᲒᲣᲚᲘᲡ ᲙᲚᲓᲔ
ᲬᲘᲮᲘᲜᲐ
ᲡᲐᲙᲐᲯᲘᲐ
ᲙᲐᲪᲮᲘ
ᲓᲐᲠᲯᲔᲗᲘᲡ ᲔᲮᲘ
ᲡᲐᲒᲕᲐᲠᲯᲘᲚᲔ
ᲗᲐᲠᲝᲙᲚᲓᲔ
ᲚᲐᲛᲞᲔᲐᲚᲗᲐ
ᲑᲣᲠᲙᲚᲓᲔᲑᲘ
ᲣᲘᲜᲕᲐᲚᲘ
ᲑᲝᲓᲝᲠᲜᲐ
ᲖᲔᲛᲝ ᲐᲚᲕᲐᲜᲘ
ᲥᲘᲡᲢᲐᲣᲠᲘ
ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲝᲠᲔᲑᲘ
ᲖᲘᲐᲠᲘ
ᲒᲣᲠᲘᲐᲜᲗᲐ
ᲐᲜᲐᲡᲔᲣᲚᲘ
ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ
ᲮᲣᲪᲣᲑᲐᲜᲘ
ᲤᲔᲠᲡᲐᲗᲘ
ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ
ᲓᲔᲕᲘᲡᲮᲕᲠᲔᲚᲘ
ᲔᲥᲐᲜᲘ
ᲤᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ
ᲐᲠᲣᲮᲚᲝᲡ ᲒᲝᲠᲐ
ᲨᲣᲚᲐᲕᲠᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲡ
ᲒᲐᲠᲣᲯᲘ
ᲖᲘᲐᲠᲘ
ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘ
ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ
ᲬᲝᲤᲘ
ᲡᲘᲝᲜᲘ

სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები




საქართველო ძვ.წ. VI - II სს.
პირობითი აღნიშვნები
ეგრისის სამეფოს საზღვარი ქართლთან ძვ.წ. VI-IV სს.
ქართლის სამეფოს საზღვარი ძვ.წ. III ს.
დედაქალაქი
საერისთავოს ცენტრი
დასახლებული პუნქტი
მცხეთის დამცველი ციხეები
სანავსადგურო ქალაქი
საერთაშორისო სავაჭრო გზა
სპერის ზღვა
პიტიუნტი (ბიჭვინთა)
დიოსკურია (სოხუმი)
გიენოსი (ორპირი)
ფაზისი (ფოთი)
ტრაპეზუნტი
ციხეგორი
ქუთაისი
ვარდციხე
შორაპანი
ურბნისი
(საძეგური)
ზადენიცხე
(დაბლაგომი)
ვანი
(ტაშისკარი)
სარკინე
(ფიქვნარი)
(ახალციხე)
ბერი
ნეკრესი
(ხოფა)
(ართვინი)
ქაჯთა ქალაქი (არტაანი)
ბერთვისი
(ახალქალაქი)
ბოსტან-ქალაქი
(ბრესთავი)
გაჩიანი
ტაბუერისციხე
ხუნანი
ართანუჯი
 თუხარისი
სპერი
© M.Shekiladze, 2002


ხაქართველო ძვ.წ. II - ახ.წ. III სს.
ასრეული აღნიშვნები
საქართველოს საზღვარი ახ.წ. I-III სს.
დედაქალაქი
საერისთავოს ცენტრი
დასახლებული პუნქტი
მცხეთის დამცველი ციხეები
სანაცვლადგურო ქალაქი
საერთაშორისო საგაჭრო გზა
პომპეუსის ლაშქრობა ძვ.წ. 65 წ.
ᲞᲝᲜᲢᲝᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲞᲘᲢᲘᲣᲜᲢᲘ (ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐ)
ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘᲡᲘ (ᲡᲝᲮᲣᲛᲘ)
ᲒᲘᲔᲜᲝᲡᲘ (ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔ)
ᲤᲐᲖᲘᲡᲘ (ᲤᲝᲗᲘ)
ᲐᲤᲡᲐᲠᲣᲜᲢᲘ (ᲒᲝᲜᲘᲐ)
ᲢᲠᲐᲞᲔᲖᲣᲜᲢᲘ (ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘ)
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲞᲝᲜᲢᲝᲡ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲐᲓᲘᲐᲓᲔᲡ
ᲢᲝᲛᲔᲑᲘ
ᲐᲚᲐᲜ-ᲝᲕᲡᲔᲑᲘ
ᲓᲘᲝᲚᲔᲥᲢᲘ
ᲗᲣᲨᲔᲑᲘ
ᲚᲔᲙᲔᲑᲘ
ᲞᲘᲢᲘᲣᲜᲢᲘ (ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐ)
ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘᲡᲘ (ᲡᲝᲮᲣᲛᲘ)
ᲬᲘᲑᲘᲚᲘ
ᲖᲐᲘᲨᲘ
ᲒᲘᲔᲜᲝᲡᲘ (ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔ)
ᲗᲐᲒᲘᲚᲝᲜᲘ
ᲪᲘᲮᲔᲒᲝᲕᲘ (ᲐᲠᲥᲔᲝᲞᲝᲚᲘᲡᲘ)
ᲥᲣᲗᲐᲗᲘᲡᲘ
ᲡᲙᲐᲜᲓᲐ
ᲤᲐᲖᲘᲡᲘ (ᲤᲝᲗᲘ)
ᲖᲐᲠᲓᲘᲪᲮᲔ
ᲨᲝᲠᲐᲙᲐᲜᲘ
ᲓᲘᲛᲜᲐ
ᲖᲐᲜᲘ
ᲪᲘᲮᲘᲡᲫᲘᲠᲘ
ᲝᲠᲫᲔ (ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ)
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ
ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔ
ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲔ
ᲐᲠᲛᲐᲖᲪᲘᲮᲔ
ᲖᲐᲓᲔᲜᲪᲘᲮᲔ
ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲘ
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ
ᲜᲔᲥᲠᲔᲡᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲑᲔᲠᲘ
ᲑᲝᲡᲢᲐᲜ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ)
ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡᲪᲘᲮᲔ
ᲮᲣᲜᲐᲜᲘ
ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲔ
ᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘ
ᲬᲣᲜᲓᲐ
ᲮᲔᲠᲗᲕᲘᲡᲘ
ᲥᲐᲥᲗᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘ)
(ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘ)
ᲗᲣᲑᲐᲠᲘᲡᲘ
ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘ
ᲡᲐᲠᲘ
ᲛᲐᲮᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ
ᲛᲐᲮᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ
ᲛᲐᲚᲐᲮᲘᲡᲘ
ᲛᲐᲚᲐᲮᲘᲡᲘ
ᲛᲐᲚᲐᲮᲘᲡ

ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება ფარნავაზის ხანაში


ბერძნები
(პონტოს
სამეფო)
ბერძნული
(ბოსპორული)
ბერძნული
(ბოსპორული)
ბერძნული
(ბოსპორული

სამხრეთ კავკასია რომის ხელმწიფეთა ძვ.წ. I ს.-ის მეორე ნახევარში – ახ.წ.I ს-ის 30-იანი წლებში




საქართველო IV - VI სს.
პირობითი აღნიშვნები
საქართველოს საზღვარი V ს. II ნახევარში
დედაქალაქი
საერისთაოს ცენტრი
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
სანავსადგურო ქალაქი
საეპისკოპოსოს ცენტრი
ბრძოლის ადგილი
პონტოს ზღვა
ბიზანტია
ალანეთი
ხაზარეთი
ალბანეთი
ეგრისი
ლაზეთი
ბასიანი
ტაოსკარი
ქართლი
ჯავახეთი
ერეთი
ბერდაალი
ბოლოქანი
ბალასაგანი
ბალეთი
ბალეკარი
ბალეთი
ბალეთი
ბალეთ


საქართველო VII - VIII სს.
ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐᲗᲘ
საქართველოს საზღვარი VIII საუკუნეში
დედაქალაქი
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
სანავსადგურო ქალაქი
საეპისკოპოსოს ცენტრი
მურვან-ყრუს ლაშქრობის მიმართულება 735-737 წწ.
ᲞᲝᲜᲢᲝᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲮᲐᲖᲐᲠᲔᲑᲘ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘ
ᲮᲣᲜᲫᲔᲗᲘ
ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
© M.Shekiladze, 2002
მასშტაბი 1 : 2 800 000


საქართველო IX - X სს.
ᲐᲠᲐᲠᲔᲡᲐᲒᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ
საქართველოს საზღვარი IX-X სს.
ქართული საეკლესიო-საამთავროების საზღვრები IX-X სს.
საეკლესია და საამთავროს ცენტრი
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
სანავსადგურო ქალაქი
საეპისკოპოსოს ცენტრი
ეკლესია-მონასტერი
ᲞᲝᲜᲢᲝᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲞᲝᲜᲢᲘᲡ ᲐᲛᲘᲐᲠᲘᲐ
ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ-ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲔᲑᲘ
ᲚᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲜᲗᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ
ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ
ᲒᲐᲒᲘ
ᲚᲝᲠᲔ
ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲗᲐᲕᲘ
ᲙᲣᲛᲣᲠᲓᲝ
ᲬᲣᲜᲓᲐ
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ
ᲐᲜᲬᲣᲠᲘ
ᲖᲐᲠᲗᲐ
ᲓᲘᲓᲘ ᲚᲘᲐᲠᲘ
ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲚᲘᲐᲠᲘ
ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲚᲘᲐᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲜ
ᲞᲘᲠᲗᲐᲜ
ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲚᲘᲐᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲜ
ᲞᲘᲠᲗᲐᲜ
ᲛᲐᲢᲡᲔᲠᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲜ
ᲛᲐᲢᲡᲔᲠᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲜ
ᲛᲘᲜᲐᲜᲗᲘᲡ

აფხაზეთი საუკუნე IX - X საუკუნეებში


ᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ
1 თბილისის საამირო
აფხაზთა საქართველოს საზღვრები
აფხაზთა საქართველოში XI-ში შესული ტერიტორიის საზღვრები
აფხაზთა საამიროს იმ ტერიტორიის საზღვრები რომელიც; არ შეედგა აფხაზთა საქართველოში
აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია
ქართლის კათალიკოსის რეზიდენცია
კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული ლაზეთის მიტროპოლიტის რეზიდენცია
კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული საარქიეპისკოპოსოს რეზიდენცია
ლაზეთის მიტროპოლისადმი დაქვემდებარებული საეპისკოპოსო კათედრალი
აფხაზეთის კათალიკოსისადმი დაქვემდებარებული საეპისკოპოსო კათედრალი
ქართლის კათალიკოსისადმი დაქვემდებარებული საეპისკოპოსო კათედრალი
ეკლესია
მონასტერი
დედაქალაქი
დასახლებული პუნქტი
ციხე-სიმაგრე
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲠᲝ
ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲠᲝ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲠᲝ
ᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲠᲝ
ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲠᲝ
ᲡᲐᲛᲪᲮ


ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲝ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲝ
ᲯᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲝ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲝ
ᲒᲐᲜᲯᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲝ
ᲒᲐᲜᲯᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲝ
ᲕᲔᲯᲘᲜᲘᲡ ᲡᲐ-ᲕᲝ
ᲑᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘᲡ ᲡᲐ-ᲕᲝ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐ-ᲕᲝ
ᲯᲐᲠᲘᲡ ᲡᲐ-ᲕᲝ
ᲒᲐᲜᲯᲘᲡ ᲡᲐ-ᲕᲝ
ᲠᲐᲜᲘ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲗᲘ
ᲯᲐᲠᲘ
ᲒᲐᲜᲯᲐ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲔᲗᲘ
ᲒᲝᲠᲘ
ᲮᲣᲜᲐᲜᲘ
ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘ
ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘᲡ ᲡᲐ-ᲕᲝ
ᲑᲝᲚᲓᲔ
ᲮᲘᲠᲡᲐ
ᲕᲔᲯᲘᲜᲘ
ᲒᲐᲠᲓᲐᲤᲮᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲔᲗᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲛᲐᲠᲯᲘᲡᲘ
ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲔ
ᲛᲐᲠᲯᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲝ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲛᲐᲠᲯᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲝ
ᲒᲐᲠᲓᲐᲤᲮ

სამხრეთ კავკასია XI-ის მეორე ნახევარში



საქართველო და სელჩუკთა იმპერია XI საუკუნის ბოლო მეოთხედში


ARALIS ZRVA
SAMXRETIS ZRVA
EGVIPTOS
SASULTANO
SASULTANO
ITALIA
ZRVA
ZRVA
ZRV

საქართველოს სამეფო დავით IV აღმაშენებლის ხანაში


შავი ზღვა
კასპიის ზღვა
ბიზანტია
ალანეთი
ირანი
ბაგრატ
ბიჭვინთა
ანაკოფია
ცხუმი
დრანდა
ბედია
ბეჭეთ
ბაბუეთ
ბათომი
ქუთაისი
ბაღდათ
ბეთანია
ბოლნისი
ბეთლეემ
ბეთანია
ბეთელ
ბეთანია
ბეთანია
ბეთანია



საერისთაოები:

1. ერწოს, 2. ახალციხის, 3. ობრის, 4. ფალიანოს, 5. წუნდის, 6. ხიმშიეფლის, 7. ხერთვისის, 8. ჯავახეთის, 9. შიდა ქართლის ხანაბრები



ტერიტორიები:

- საქართველოს სახელმწიფოსი
- საქართველოს გავლენის სფეროებისა (ტრაპეზუნდი)
- საქართველოს უმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნებისა

საზღვრები:

- სახელმწიფოებრივი
- უმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნებისა
- დედაქალაქები
- ფეოდალურ სამთავროთა ცენტრები
- სხვა დასახლებანი

საქართველო XIII ს-ში „ნიკოფსიიდან... დარუბანდამდე...“

საქართველო XIII საუკუნის I მეოთხედში



საქართველო გიორგი V ბრწყინვალის ხანაში




საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად
XV საუკუნის ბოლოს
პონტოს
ზღვა
ბიჭვინთა
ანაკოფია
ზუფუ
ცხუმი
დრანდა
ბედია
ლორი
ცაიში
ანაკლია
ფოთი
ბათომი
გონიაი
ხოფა
ტრაპიზონი
რიზე
ბაბანი
ბასიანი
ბანა
ბანაგა
ბანჯა
ბოლნისი
ბორჯომი
ბურთელი
ბაქურიანი
ბაკურიანი
ბოდბე
ბარუკი
ბერეთი
ბერბეტი
ბატალი
ბაღდადი
ბაღანა
ბაღაბანი
ბაქარი
ბაქრაძე
ბაქაბანი
ბაქაბანი
ბაქაბანი

საქართველო XV საუკუნის დასასრულს



საქართველო, წინა აზია და ევროპა XVს-ის დასასრულს


ატლანტის
ოკეანე
ინგლისი
ესპანეთის
ბურგუნდიის
ბავარიის
ავსტრიის
ბოემიის
ბალკანეთის
ბალტიის
ზღვა
ბალტიის
ზღვა
ბალტიის
ზღვა

საქართველო 1500–1577 წლებში


შავი ზღვა
ბაკურიანი
ბაბტრიონი
ბოდბე
ბორჯომი
ბიჭვინთა
ბაღდადი
ბაზალეთი
ბაზალეთის ტბა
ბაზალეთის ხეობა
ბარალეთი
ბარალეთის ტბა
ბარ

საქართველო 1578-1639 წლებში


შავი ზღვა
ბერძენთა ხალხები
ოსეთი
ინგუშეთი
ჩეჩნეთი
ყაბარდო
ბალყარეთი
ოსმალეთი
ირანი
ალბანეთი
ბერძენთა ხალხები
ოსმალეთი
ბერძენთა ხალხები
ალბანეთი
ბერძენთა ხალხები
ოსმალეთი
ბერძენთა ხალხები
ოსმალეთი
ბერძენთა ხალხები
ოსმალ

საქართველო, წინა აზია და ევროპა XVIII-ის I ნახევარში


პირობითი ნიშნები
1
2
4
5
9
10
13
ატლანტის
ოკეანე
ესპანეთის
ინდოეთი
ბენგალიის
ყურე
ინდოეთის
ოკეანე
ინდოეთის
ზღვა
ბაბილონი
ბასრა
ბაღდადი
ალეპო
ბეიბერ
ბალხი
ბუხარა
ხანი
ბალხი
ბალხი
ბალხ

საქართველო XVIII ს.-ის II ნახევარში




საქართველო
XVIII ს. II ნახევარში
პირობითი აღნიშვნები
საქართველოს საზღვარი XVIII ს. II ნახევარში
ძეობელი ქვეყნების საზღვარი
საქველი-სამთავროს ცენტრი
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
ეკლესია-მონასტერი
ბრძოლის ადგილი
ქართლ-კახეთის სამეფო
იმერეთის სამეფო
სამცხე-საათაბაგო, დაპყრობილი ოსმალეთის მიერ
© M. Snekiladze 2002
1:2 800 000
შავი ზღვა
ბიჭვინთა
ანაკოფია
ცხუმი
დრანდა
ილორი
ბედია
ზუგდიდი
ანაკლია
ფოთი
ციხისძირი
ბათუმი
ზონა
ბაღდათი
ბარაკონი
ონი
ნიკორწმინდა
1757
ბრეხილი
ჩხარი
ბურბანისი
ბორი
ქსანი
1754
მცხეთა
ალავერდი
1755
ბელაქანი
ბოდბე
ბაკურიანი
ბაბერული
ანჩა
ბერტანი
ბოლნისი
ერევანი
ბიჯნისი
ანისი
ყარსი
ბორჩალო
ბანა
ბოლნისი
ბორჩალო
ბანასკერტი
ბაბერული
ბოლნისი
ბორჩალო
ბანა
ბოლნისი
ბორჩალო
ბანა
ბოლნისი
ბორჩალო
ბანა


სამხრეთი კავკასია XVIII ს. ბოლოს
ზღვა
ქუთაისი
ახალციხე
თბილისი
ხუნძახი
დარუბანდი
ნახჭევანი
ყუბა
ბაქო
ყარსი
ერევანი
ბაიზეთი
ნასჭვეტანი
ანზრუმი
ბორჩალო
ბოლნისი
ბაზალეთი
ბაზალეთი
ბაზალეთ

საქართველო და კავკასიის სამთავარმართებლო 1830 -იან წლებში


ᲞᲔᲠᲣᲜᲘᲜᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ
1 ანაგორის ბრძოლა
2 ციხის ჩახრა
3 დუშეთის ჩახრა
4 ტყიბულის ჩახრა
5 თელავის ჩახრა
6 ხიდისთავის ჩახრა
7 ქარბელიანის ციხე
8 ელისავეტინოს ჩახრა
ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ
1 ჯოის ციხეები
2 ჭალასის ციხეები
3 შირაქის ციხეები
4 რაქის ციხეები
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲛᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲛᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝ
ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝ
ᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ
ᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤ


საქართველოს დაპყრობა
რუსეთის მიერ XIX საუკუნეში
ᲐᲛᲠᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐᲕᲘ
საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი
ქართული სამეფო სახელმწიფოს საზღვარი
ძველთანამედროვე ქვეყნების საზღვარი
დედაქალაქი
დასახლებული პუნქტი
ქართული მხარეების დაპყრობა რუსეთის მიერ
1801 - ქართლ-კახეთის სამეფო
1810 - იმერეთის სამეფო
1829 - გურიის სამთავრო
1829 - სამცხე-ჯავახეთი
1830 - ბარა-ბალაქანი
1857 - სამეგრელოს სამთავრო
1859 - სვანეთის სამთავრო
1864 - აფხაზეთის სამთავრო
1878 - აჭარა
1878 - არტაანი
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲗᲮᲕᲔᲚᲘ


საქართველო XIX საუკუნის ბოლოს
პირობითი აღნიშვნები
რუსეთის იმპერიის საზღვარი
ოსმალეთთან
გუბერნიებისა და ოლქების საზღვრები
ოკრუგებისა და მაზრების საზღვრები
გუბერნიისა და ოლქის ცენტრი
ოკრუგის ცენტრი
მაზრის ცენტრი
თბილისის გუბერნია
ქუთაისის გუბერნია
ყარსის ოლქი
რუსეთი
თურქეთი
© M Shekiladze, 2002

კავკასია I მსოფლიო ომის წინ


ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲝᲑᲐ
ᲙᲐᲡᲠᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ
ᲡᲐᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ
ᲡᲐᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲒᲔᲖᲘᲡᲞᲘᲠᲘ
ᲡᲝᲩᲘ
ᲒᲣᲓᲐᲣᲢᲐ
ᲮᲔᲑᲣᲚᲘ
ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔ
ᲠᲔᲓᲣᲢ-ᲥᲐᲚᲔ
ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ
ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲔ
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
ᲛᲐᲠᲘᲐᲚᲘ
ᲮᲝᲒᲣ
ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ
ᲡᲐᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲝᲑᲐ
ᲛᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

საქართველოს დაპყრობა
საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს
პირობითი აღნიშვნები
საქართველოს დეფაქტიური რესპუბლიკის საზღვარი წარდგენილი ერთა ლიგაში
საქართველოს თანამედროვე საზღვარი
ბრძოლული ქმედების საზღვარი
დედაქალაქი
დასახლებული პუნქტი
ლორეს ნეიტრალური რაიონი
საბჭოთა რუსეთის არმიების შეტევა 1921 წლის თებერვალში
სომხეთიდან ქვემო ქართლის გაყოლით ტფილისზე
აზერბაიჯანიდან ელიზავეტპოლის გაყოლით ტფილისზე
სოჭის მხრიდან ფოთზე
ჩრდილოეთ კავკასიიდან ძმისთის უღელტეხილით ქუთაისზე
საქართველოს მაჟორების წასვლა ემიგრაციაში 1921 წლის 17 მარტს ბათუმიდან
© M Shekiladze, 2002
1 : 2 800 000
სოჭი
გაგრა
გუდაუთა
სოხუმი
გალი
ანაკლია
ფოთი
ზუგდიდი
ხონი
ქუთაისი
სენაკი
საჩხერე
ონი
ცაგერი
ამბროლაური
ოზურგეთი
აბასთუმანი
ბათუმი
ახალციხე
ხაშური
გორი
შორაპანი
ახალციხე
ახალქალაქი
ბორჩალო
ელადიკავკაზი
ცხინვალი
ფასანაური
ახალგორი
დუშეთი
თიანეთი
მცხეთა
ტფილისი
ელავი
ლაგოდეხი
ბაკურიანი
ბაქოთალა
ბორჩალო
ბოლნისი
ბოლნისი
ბორჩალო
ბორჩალო
ბორჩალო

საქართველო 1920-1921 წლებში


რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა
ოდესა
ბათუმი
სოჭი
ადლერი
გაგრა
გუდაუთა
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ზესტაფონი
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი
ალექსანდროპოლი
ერევანი
ბაკური
ბაქო
ბორჩალო
ბოლნისი
ხაშური
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი
ალექსანდროპოლი
ერევანი
ბაქო
ბორჩალო
ბოლნისი
ხაშური
ქუთაისი
ზესტაფონი
ფოთი
ბათუმი
ოდესა
ბაქო
ბაკური
ალექსანდროპოლი
ერევანი
ბორჩალო
ბოლნისი
ხაშური
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი


საქართველო
XXI საუკუნის დამდეგს
საქართველოს სამხარეო მოწყობა
XXI საუკუნის დამდეგისათვის
1. აფხაზეთის ა.რ. . . . . სოხუმი
2. აჭარის ა.რ. . . . . ბათუმი
3. თბილისი . . . . . თბილისი
4. სამცხე-ჯავახეთი სვანეთი . . . . ზუგდიდი
5. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი . . . . ამბროლაური
6. გურია . . . . . ოზურგეთი
7. იმერეთი . . . . . ქუთაისი
8. სამეგრელო-ზემო სვანეთი . . . . ფოთი
9. შიდა ქართლი . . . . . გორი
10. ქვემო ქართლი . . . . . რუსთავი
11. მცხეთა-თიანეთი . . . . . მცხეთა
12. კახეთი . . . . . თელავი
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲡᲝᲩᲘ
ᲒᲐᲗᲣᲨᲘ
ᲤᲝᲗᲘ
ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
ᲝᲩᲩᲩᲐᲛᲘᲠᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ
ᲒᲝᲠᲘ
ᲙᲐᲠᲚᲘ
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ
ᲐᲮᲐᲚᲙᲘᲗᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲐᲘᲠᲝᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ
საქართველოს სახელმწიფო საზღვარი
საზღვარი საქ. მხარეებს შორის
საზღვრები მეზობელ ქვეყნებს შორის
სახელმწიფოებს შორის
რუსეთის ფედერაციის
პოლიტიკურ ერთეულებს შორის
დედაქალაქი
ავტ. რესპუბლიკის ცენტრი
მხარის ცენტრი
რაიონის ცენტრი
ნავთობსადენი
გაზსადენი
ოპტიკურ-ბოჭკოვანი
სატელეკომუნიკაციო მაგისტრალი
© M Shekilacze, 2002
მასშტაბი 1 : 2 500 000

სარჩევი

ქართული სულიერების საფუძვლები (შესავალი) ---------- 3
საქართველოს სულიერი მისტერია, ანუ მისია კაცობრიობს წინაშე ---------- 6
ინდივიდუალური დამოკიდებულება სულიერ მისიასთან ---------- 7
მიზეზობრივი კავშირი ადამიანსა და იდუმალს შორის ---------- 8
მისია და მისიონერობა – რატომ? ---------- 10
სულიერი მისია ისტორიის ურთულეს გზაჯვარედინზე ---------- 13
სულიერი მისიის შესწავლის მნიშვნელობა და მიდგომა ---------- 16
ბრძოლა ხარვეზებთან ანუ შეცნობა საკუთარი თავისა ---------- 17
როგორ და რით განისაზღვრა ქართველთა სულიერი მისია ---------- 20
ქართველი ერის სულიერი მისია და მსოფლიო გონი ---------- 22
მისტერიების ეპოქა (შესავალი) ---------- 25
საქართველოს მზადება ქრისტიანობისათვის ---------- 26
მისტერიების ეპოქა ზოგად ჭრილში ---------- 27
ადამიანის ზომები სამყაროსთან მიმართებაში (დრო, სივრცე, კოსმოსი, დედამიწა) ---------- 33
მისტერიათა ეპოქა (წმინდა გიორგის კულტი, მისი მნიშვნელობა და პარალელები) ---------- 42
ადამიანის სამშვინველის გაძლიერება ---------- 45
მისტერიების ეპოქა (ჰომო საპიენსი აქტიურობს) ---------- 48
მისტერიათა ეპოქა (რელიგია და დრო) ---------- 49
მისტერიათა ეპოქა (ფარნავაზიდან მირიანამდე) ---------- 56
მისტერიების ეპოქა (ჰომოსაპიენსის სულიერი სრულყოფა) ---------- 60
სული და მისი მიმოქცევანი ---------- 63
სულის უკვდავება ---------- 64
სულიწმიდა ---------- 68
ღვთიური მადლის გადმოსვლა ადამიანზე და მირონცხების საიდუმლოება ---------- 70
მადლი. ---------- 71
მართლმადიდებლური ქრისტიანობა ქართველ მეფეებთან, ერთან და სიმრავლესთან კავშირში - 74
გაბრიელ ბერი (სალოსი ბერი) და მისი ღვთიურობა ---------- 77
სიცოცხლე – ბედისწერა თუ ღვთის ნება? ---------- 78
ბედისწერა და წინასწარმეტყველება ---------- 80
აჩრდილები და ბედისწერა ---------- 81
ღვთისმშობელი ---------- 82
ღვთისმშობლის კვართი ---------- 86
ქალის ფუნქციის რაობა ზოგადქართულში და საერთოდ ---------- 88
ღვთისმშობლის პორტრეტი ---------- 90
წმინდა ნინო (ამბავი წმინდა ნინოსი და წმინდა ვაზის ჯვრისა) ---------- 91
რა არის რწმენა ადამიანში ---------- 94
რელიგია (წერილი 1) ---------- 96
ქრისტიანობა ---------- 99
რელიგია (ამით ხორციელდება მსოფლიო ისტორია, წერილი 2) ---------- 101
მსოფლიო რელიგიების მიმართულებები (ზოგადი მიმოხილვა) ---------- 104
მცხეთა – მეორე იერუსალიმი ---------- 105

სვეტიცხოველი და ქრისტეს კვართი ---------- 111
თავისუფლება ---------- 116
თავისუფლება (მერაბ კოსტავა) ---------- 118
ერი და ეროვნება ---------- 120
ლეგენდა ქართული ეთნოსის წარმოშობაზე ---------- 121
ეთნოსი და ტოპონიმიკა ---------- 121
სისხლის მონაწილეობა გენიოსების გამოვლინებაში ---------- 123
რასა და გენეტიკა ---------- 124
ქრისტე და ქართველთა გენეტიკური წარმოშობა ---------- 126
ერები, ეთნოსი (წერილი 1) ---------- 131
რასა, ერები, ეთნოსი (ერის ტრადიციების გარდამავლობა, წერილი 2) ---------- 133
რასა და ეთნოსი (ჩვევები, ხასიათი, თვისებები, წერილი 3) ---------- 136
გვარები და ეთნოსი ---------- 138
ეროვნულობა და გლობალიზმი ---------- 139
ისტორიული ფუნქცია ---------- 141
როგორ დაიკარგა ისტორიული ფუნქცია ---------- 142
საქართველოს როლი მსოფლიო კულტურაში ---------- 147
ქართველი ერის ისტორიული ფუნქცია ---------- 153
ისტორია და ცივილიზაცია ---------- 157
ცივილიზაცია და დუმილი ---------- 160
ცივილიზაციის შექმნა ---------- 161
ვერიდოთ ბრბოდ გადაქცევას ---------- 165
საზოგადოება, მასა, ბრბო ---------- 168
ავტორიტარიზმი და ძალაუფლება ---------- 171
ინტელიგენცია ---------- 172
ადამიანი (წერილი 1) ---------- 173
ადამიანი (წერილი 2) ---------- 175
ადამიანი (წერილი 3) ---------- 176
ადამიანი (წერილი 4) ---------- 178
ადამიანის აღზრდა ძველ საქართველოში ---------- 180
ადამიანში – იდეა, სული, მთელი და ცალკეული ---------- 180
ქართველი პირველი ევროპელია? ---------- 181
ენა და ენის ზოგადი მიმართებები (წერილი 1) ---------- 182
ენა და მისი ზემოქმედება ასტრალურ გარემოზე (წერილი 2) ---------- 184
ქართული ენის მანიფესტი ---------- 185
ენის ბიოლოგიური და სოციალური არსი ---------- 187
ენა, ხალხურობა და ლიტერატურა ---------- 189
დედაენა და უცხო ენის ურთიერთკავშირი ---------- 191
ანბანები ---------- 193
ქართულ ანბანზე გამოთქმული მოსაზრებები ---------- 195
ქართული ანბანის აგების ფორმები და ხასიათი ---------- 197
უძველესი ქართული ეპიგრაფიკული წარწერები და სხვა ნაწერები ---------- 199
„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ---------- 201

„ქებაᲐ“ და კომპიუტერით მიღებული – მესია ---------- 207
ენა (წერილი 3) ---------- 210
ილია და ქართული ენა ---------- 212
ენის დამცავი მექანიზმები ---------- 213
ენა (წერილი 4) ---------- 215
ენა (წერილი 5) ---------- 218
ენის ანბანი და დამწერლობა ---------- 221
რა ენაზე ლაპარაკობდა მაცხოვარი? ---------- 222
ყველაზე გავრცელებული ენები პლანეტაზე და რამდენი ადამიანი ლაპარაკობს ამ ენაზე ---- 223
პირველი ანბანი დედამიწაზე ---------- 224
ანბანთქება ---------- 226
დედაენა ---------- 241
მწიგნობრობაი ქართული ---------- 242
ვინ არიან ლაზები და რა კავშირი აქვთ ლაზებს ქართველურ ტომებთან ---------- 249
ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის განმარტება ლაზეთის და ჭანეთის შესახებ ---------- 252
იოანე მარუშისძის ბედი და თავგანწირვა ---------- 253
ფარნავაზი ---------- 254
ქართული ქრისტიანული რელიგიის სიწმინდეები ---------- 256
ოქროს ფონდი ---------- 266
კოლხთა ლეგენდარული მეფის აიეტის ნიღაბი ---------- 274
ქრისტიანული სიწმინდეები, მათი სასწაულები და მომლოცველობა ---------- 276
რატომ გვემალება ღვთისმშობლის კვართზე დაფიქსირებული ქრისტე ---------- 280
„ბარაქის ხატის“ ლოცვა და მოკლე ისტორია ---------- 286
ღვთისმშობლის ხატთა სასწაულები ---------- 287
„მოწყლული“ ---------- 287
„მანუგეშებელი“ ---------- 288
„დაშრიტე მწუხარება ჩემი“ ---------- 288
„დაღუპულთა მაძიებელი“ ---------- 289
„ნაყოფიერი მთა“ ---------- 289
„სამხელა“ ---------- 289
„ზეციური ნიშანი“ ---------- 290
„ვნება“ ---------- 290
„ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ ---------- 291
მათთვის, ვისაც ჯერ ზიარება არ მიუღია ---------- 291
რა უნდა ვქნათ მეტი სულიერების მისაღებად? (კატეხიზმო, წერილი 1) ---------- 292
წმინდა დიდმოწამენი – დავით და კონსტანტინე მხეიძენი მორწმუნეებს სულიერი და
ხორციელი ტკივილისაგან აღადგენენ ---------- 297
ვინ იყო ერისკაცობაში სასწაულთმოქმედი წმინდა ონოფრე გარეჯელი? ---------- 297
წმინდა ქეთევან წამებულის სხეულის ნაწილები ---------- 298
ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები ---------- 298
სულის საცხოვნებლად ---------- 298
კატეხიზმო (წერილი 2) ---------- 299
გრაალის თასი ---------- 301

რუდოლფ შტაინერი გრაალის შესახებ (მერაბ კოსტავა) ---------- 304
ბიბლიური შუბი (ბედის შუბი) ---------- 308
ჯვარი ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოა ---------- 311
ჯვარი ევროპულ თეოლოგიაში ---------- 312
ცხოველმყოფელი ჯვარი ---------- 314
ჯვარი – სვასტიკა ---------- 314
ჯვრის საერთო ისტორიული ხედვა ---------- 319
ჯვარი მისტერიულ და ქრისტიანულ სამყაროში ---------- 320
წმინდა ნინოს ჯვარი ---------- 321
რიცხვთა თეორია ქალაქებთან მიმართებაში ---------- 323
რიცხვთა თეორია და სულიერი მისია ---------- 324
13 რიცხვის და ღვთაებრივი არსის ძებნაში ---------- 327
„ეშმაკის დუჟინი“ – 13 და ღვთაებრივი – 12 ---------- 329
საქართველოს ეკონომიკის ოქროს ხანა (XII ს.) ---------- 330
რუდოლფ შტაინერის შეხედულება არიმანის სულიერების ინკარნაციაზე ---------- 331
ზვიად გამსახურდიას აზრი ქართველთა ეთნოგენეზისზე და სულიერ მისიაზე ---------- 335
რა მიეკუთვნება კულტურულ ფასეულობას და რა უნდა ვიცოდეთ მის მესაკუთრეობაზე ---- 348
საიდან მოვიდნენ კოსმოსელები... ადამიანი დამოუკიდებელი არ არის... ---------- 351
სენსაცია დმანისში ---------- 354
ზეზვა და მზია – გზა აფრიკიდან საქართველომდე ---------- 354
საქართველოდან ევროპამდე მეტალურგიას ხალიბები იწყებდნენ ---------- 358
ილია ჭავჭავაძე – ფიქრები ქართულ ხასიათზე ---------- 360
„ქართველ ქალებზე უმშვენიერესი არაფერი მინახავს...“ ---------- 363
რას წერდნენ საქართველოზე ---------- 365
თეზისები ეროვნულ და სამოქალაქო თანხმობაზე და ქვეყანაში არსებულ სტაბილურობაზე - 370
თავისუფლება ---------- 373
რეაბილიტაცია ---------- 374
სახალხო დიპლომატია ---------- 374
ინტეგრაცია ---------- 375
მსოფლიოს სასტიკი და საოცარი მიღწევები ---------- 376
დემოგრაფია (ძველი მსოფლიო) ---------- 377
პლანეტის მოსახლეობა მილიონობით ---------- 377
სიცოცხლის ასაკი გახანგრძლივდა ---------- 379
საქართველოს დემოგრაფია წარსულიდან დღემდე ---------- 379
თბილისი – ღვთაებრივი ქალაქი ---------- 381
აფხაზეთი ---------- 384
მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში და მესხეთში ---------- 388

ცხრილები ---------- 390

რუკები ---------- 417

დიდება შენ და, უფალო ღმერთო, შენ შემოგვიღებ საქართველოს ერთიანობას, სიძლიერეს, თავისუფლებას, ერთ ძრავალძალ ერ ნაბი, ღვთივ ჯანსაღ ნაბილი, ბევრჯერ წამებული და სისხლიანთსეული.

დიდება შენ და, სიკეთევ, სიმართლევ, სიყვარულო და სათნოებავ, შუაზე და ბოზე სიძინლით ამაღლებული.

ავეღრებ და ვამულარებ, შენ ღვთისშობილი, შენ წილხვედრილ ქვეყანას, დიდება თქვენ და უდიდესი წინალანო, ძლევამოსილი თეთრცვაიფლისანი წინა ვიორეი, წინა ნინოვ, და მარადის არსი იესო ქრისტეს, სული წინავ და მამა უფალო, თქვენ ლაითვარე და ვამოსწყალი ყველა ის თვისება ამ ქვეყნის ქარცვეცხლში, რაც საქართველოს ვამარჯვებამდე მიიყვანს, თავის არაქართველებთან ერთად.

დე, თქვენი შეხით ალმოცისკროს ბრწყინვალება და ნათელი ბედკრული საქართველოზე.

ალიდე, ამინ!



გელათის ოთხთავი. XII ს.
ვედრება



ადიშის ოთხთავი. 897 წ.
ლუკა და იოანე მახარობლები

გელათის ოთხთავი. XII ს.
ხელნაწერის გვერდები მინიატურებით
(იუდას ამბორი და ორი კომპოზიცია პეტრეს განდგომისა)

ფსალმუნი. XV ს.
სოლომონისათვის ძღვენის მირთმევა



ფსალმუნი. XV ს.
მიქაელ მთავარანგელოზის ჰაერ ...
წაყვანა დანიელის მღვ...

ექვთიმე მთაწმინდელის სვინაქსარი. 1030 წ.
ხარება